ასდრუბალ ფეიდო

# ყალბი ფულის მჭრელები

ფრანგულიდან თარგმნა
**დავით კახაბერმა**

**გამომცემლობა ინტელექტი**
**თბილისი**

**ნობელის პრემიის ლაურეატები**
**საგამომცემლო პროექტის ავტორი**
**კახმეგ კუდავა**

წიგნი გამოიცა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოში საფრანგეთის საელჩოსა და თბილისის ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის ხელშეწყობით მერაბ მამარდაშვილის სახელობის საგამომცემლო დახმარების პროგრამის ფარგლებში.

Ourvage réalisé dans le cadre du programme d'aide à la publication Mérab Mamardachvili avec le soutieb du Ministère français des affaires étrangères, de l' Ambassade de France en Géorgie et du Centre culturel français Dumas de Tbilisi.

გამომცემლობა გალიმარი, პარიზი, 1925.
Edition Gallimard, Paris 1925

ISSN 1512-4568
ISBN 978-9941-9015-5-3

© თარგმნა, დ. კახაბერი, 2008
© გამომცემლობა „ინტელექტი", 2008

# ანდრე ჟიდი

სახელგანთქმული ფრანგი მწერალი, 1947 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ანდრე პოლ გიიო ჟიდი 1869 წლის 22 ნოემბერს დაიბადა პარიზში. მამა პოლ ჟიდი მასწავლებელი იყო და რომის სამართლს ასწავლიდა. დედა ჯულიეტა რონდო რუანელი შეძლებული ბურჟუაზიული ოჯახის შთამომავალი გახლდათ. ოჯახი პროტესტანტულ სარწმუნოებას აღიარებდა და პროტესტანტიზმი ანდრე ჟიდის ბიოგრაფიაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, თუნდაც იმიტომ, რომ პურიტანული აღზრდა მიიღო, რომლის გავლენამაც, მიუხედავად მისი შინაგანი პროტესტისა, ძლიერ იმოქმედა მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში. მამა ადრე გარდაეცვალა, ბიჭი დედის, დეიდებისა და მრავალრიცხოვანი დეიდაშვილების ამარა დარჩა. ამ ფემინურმა გარემომ თავისი დაღი დასვა მის პიროვნებას.

1887 წელს ანდრე ჟიდი ალზასური სკოლის წარჩინებული მოწაფეა, მეგობრობს პოლ ვალერთან და მარსელ დრიონთან (შემდეგში საფრანგეთის სახელოვანი მწერლები). სკოლას ჟიდი ბაკალავრის წოდებით ამთავრებს. ამ დროიდან იწყებს წერასაც. მისი პირველი ნაწარმოები „ანდრე ვალტერის დღიურები" 1880 წელს შეიქმნა და პირველ სიყვარულს მადლენ რონდოს უძღვნა, რომელიც მისი დეიდაშვილი იყო. ქალმა ქორწინებაზე თავდაპირველად უარი უთხრა. „დღიურები" ახალგაზრდა კაცის (იგი მისი ორეულია) მიერ ჩანაწერების ფორმით დაწერილი წიგნია, სადაც ბევრი სიკვდილია, უარი, ემოცია, წარმოსახვითი იდეალები და საეჭვო ტრაგედიები. ამ ნაწარმოებით ავტორმა ხარკი გადაუხადა რომანტიზმს — სული გადაშალა, თავის იდეალებზე, მისწრაფებებზე, ჭაბუკურ ტანჯვაზე ილაპარაკა, მოკლედ, სიყვარული აუხსნა, უფრო მეტიც, ულტიმატუმი წაუყენა, გააფრთხილა ავტორს რა დაემართებოდა თუ მადლენი ცოლად არ გაყვებოდა. სიყვარულის ასეთმა ახსნამ შთაგონების მაგივრად მადლენი შეაშინა. მათ 1895 წელს იქორწინეს.

პირადული ცხოვრების ასეთი დეტალები შეიძლება ვინმეს ზედმეტადაც მოეჩვენოს, მაგრამ ანდრე ჟიდის შემთხვევაში, მის შემოქმედებაზე ლაპარაკისას უამისოდ ძალიან ბევრ მომენტს ვერ გავიგებდით. ვინ იცის, მადლენი მას ცოლობაზე 1891 წელს რომ დათანხმებოდა, იქნებ ჟიდის ცხოვრებაც სხვანაირად წარმართულიყო და მის წიგნებსაც სხვა სათაურები ჰქონოდა.

„ანდრე ვალტერის დღიურებს“ წარმატება არ ჰქონია, მაგრამ ჟიდს ლიტერატულური სალონების კარი გაუსსნა, უპირველესად კი, სიმბოლისტების სალონის კარი. იგი ფრანგი სიმბოლისტების მეფეს სტეფან მალარმეს წარუდგინეს. 1890 წელს პოლ ვალერიმ „ტრაქტატი ნარცისზე“ შექმნის იდეა შთააგონა, რომელიც დროის მდინარის მშფოთვარე ტალღებში საკუთარ თავს ჭვრეტს, გარდასულზე, დაკარგულ სილამაზეზე, სრულყოფილებაზე ნაღვლობს და ხვდება, რომ სინამდვილეს ვერც სილამაზით, ვერც სრულყოფილებით ვერ ჩასწვდება და მას მხოლოდ ინტუიტურად თუ შეიმეცნებს. ავტორმა ცხოვრების მიერ შემოთავაზებულ ბუნებრივ მასალაზე უარი თქვა, მითოლოგიას მიმართა და ეცადა თავისი მსჯელობები მხოლოდ სახეების მეშვეობით განევითარებინა, რომელთაც მკითხველისთვის უნდა გაემეღავნებინათ ის აზრები, რაც ამ სახეებს იქით იფარებოდა. ოღონდ არც თუ მთლად დარწმუნებულმა მკითხველი გაუგებდა თუ არა, წიგნს უამრავი სქოლიო დაურთო, სადაც ნათლად არის ჩამოყალიბებული, ფრანგული სიმბოლიზმის დოქტრინა, პოეტური ინტუიციის მეშვეობით რეალობასთან მიახლოვების პროგრამა.

სიმბოლისტური იდეალებით შთაგონებული ავტორი „დღიურების“ შემდეგ, რაღაც ერთ კვირაში, „ანდრე ვალტერის ლექსებს“ ჰქმნის (1892). ამ ნაწარმოებში ჯერ კიდევ არ უთქვამს უარი თავის პერსონაჟზე, თავის ორეულზე, აქედან აიხსნება კრებულის სათაურიც, მაგრამ ესთეტიკური პრინციპები უკვე სხვაა, უაღესად ლიტერატურულია. „ანდრე ვალტერის დღიურები“ ერთადერთი ნაწარმოებია მის შემოქმედებაში, სადაც ავტორი ერთმანეთს უკავშირებს ლიტერატურასა და ცხოვრებას. „ნარცისიდან“ მოყოლებული კი ამ ორ მხარეს ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამიჯნავს. ცხადია, ლიტერატურა და ცხოვრება მის ნაწარმოებებში ერთმანეთთან კავშირშია, მაგრამ წრე არ იკვრება. მისთვის უკუკავშირმა არსებობა შეწყვიტა.

დიდი ხნის შემდეგ ჟიდი იტყვის: ის ლექსები ანდრე ვალტერს რომ აჩუქა, მეტისმეტად კარგიაო „იმ სულელისთვის“; მას ლირიკისკენ მიდრეკილება ყოველთვის ჰქონდა, მაგრამ კარგი ლექსი ვერა და ვერ დაწერა. მისი მთავარი ღირსება, როგორც პოეტისა, ემოციასა და საჭირო რითმის მიგნების უნარში მდგომარეობდა.

სიმბოლისტური ესთეტიკის წესებს პასუხობდა 1893 წელს გამოსული ნოველა „სასიყვარულო ლტოლვა“ და „ურიანის მოგზაურობაც“, რომლებიც „ანდრე ვალტერის ლექსებში“ დასმულ თემის ხელიდან გამსხლტარი სინამდვილის ძიების გაგრძელება გახლდათ. იმ დროს გამოსულ სიმბოლისტურ მრავალ ნაწარმოებს შორის ანდრე ჟიდის შემოქმედება ფანტაზიის სიმდიდრით, ინტრიგების სირთულითა და პერსონაჟთა გულწრფელობას შორის გასაოცარი წონასწორობით გამოირჩეოდა. მოკლედ, მის ნაწარმოებებს ესთეტიკური ღირებულება გააჩნდა, მაგრამ მკითხველში წარმატება ვერ მოიპოვა.

1893 წელს ანდრე ჟიდი მეგობარ მხატვარ პოლ ალბერ ლორანსთან ერთად

ჩრდილოეთ აფრიკაში მოგზაურობს. ჩრდილოეთ აფრიკას წილად ხვდა დიდი როლი ეთამაშა მის ცხოვრებაში და მის სულიერ ევოლუციაში. მოგზაურობისას მწერალი გაცივდა და მძიმედ დაავადდა. ფილტვებში უსიამოვნო პროცესის გაჩენის ეჭვი გაჩნდა. ალჟირში ავადმყოფობა გაურთულდა. გამომჯობინების ეიფორიამ არსებითი გავლენა მოახდინა ჟიდის განწყობაზე და აიძულა მრავალი რამისთვის სხვა თვალით შეეხედა. მოგზაურობა მარტო სივრცეში გადაადგილება არ აღმოჩნდა, მან გაცილებით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მის სულიერ მდგომარეობაზე, იგი გათავისუფლდა .ინტელექტუალური, ესთეტიკური ჩაკეტილობისგან და უზარმაზარ გარე სამყაროს დაუკავშირდა, სტეფან მალარმეს ცოტა უკან დახევა მოუწია და ადგილი უიტმენს, ნიცშეს, დოსტოევსკის დაუთმო.

1895 წელს ანდრე ჟიდმა საკმაოდ უცნაური წიგნი გამოსცა სათაურით „ჭაობები", რომელიც ლიტერატურის ისტორიაში მოვლენა გახდა და რომლის მთავარი თემა იყო თუ როგორ წერს მწერალი რომანს. იგი ერთგვარი შეჯამება გახლდათ იმ ყველაფრისა, რაც ადრე შექმნა. ეს წიგნი ერთგვარი მანიფესტია, რომელშიც ავტორი უარს ამბობს ლიტერატურულ სკოლებსა და მიმართულებებზე, რათა დამოუკიდებლად შექმნას თავისი ნაწარმოები. მოგზაურობიდან დაბრუნებულმა ანდრე ჟიდმა ბევრ რამეს სხვა თვალით შეხედა. ყველაფერი, რაც სიმბოლიზმთან იყო დაკავშირებული, გროტესკულ და უაზრო ფუსფუსად ეჩვენა, იგრძნო, რომ თვითონ მას და საუკუნის დასასრულის მთელ ლიტერატურასაც ეზოთერული სინატიფით გატაცების საფრთხე ემუქრებოდა, რომელსაც ლიტერატურის გარდა სხვა ფესვები არ ჰქონდა და რეალურ ცხოვრებასთან სრულიად მოწყვეტილი აღმოჩნდებოდა. ზუსტად ეს განწყობილება ასახა „ჭაობებში", სადაც სატირული ფორმით, იუმორით დახატა პარიზის ლიტერატურული საზოგადოება და საკუთარი შემოქმედებაც. წიგნში არც კვანძია, არც კვანძის გახსნა, არც ინტრიგა, არც ფსიქოლოგია, არც აღწერა, რის შედეგადაც ბევრი რამ დაირღვა, რაც ადრე საკანონო ნორმის აუცილებლობად ითვლებოდა. იგი XX საუკუნის ფრანგული ლიტერატურული მოდერნიზმის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნაწარმოებია (ალენ რობ-გრიეე და როლან ბარტი) და ფრანგული იუმორის შედევრად ითვლება.

შემდეგი წიგნი, რომელიც 1897 წელს დაწერა სათაურით „მიწიერი კერპები", ისეთ ნაწარმოებად მიიჩნევა, რომელმაც დიდი და ღრმა გავლენა მოახდინა ფრანგ ლიტერატორთა რამდენიმე თაობაზე, მათ შორის ანრი მონტერლანსა და ალბერ კამიუზეც. ჟანრულად ეს ნაწარმოები რაღაც საშუალოა გრძელ პოეტურ პროზასა და ლირიულ დღიურს შორის. მიუხედავათ იმისა, წიგნის პირველი ტირაჟის გაყიდვას თვრამეტი წელი დაჭირდა, მაგრამ მერე ისეთი ჭუდბედიანი აღმოჩნდა, ავტორმა სინანული გამოთქვა, პოპულარობით ბევრი გამოჩენილი მწერალი დავრჩენილეო. ანდრე ჟიდის მიზანი საკუთარი თავისა და მკითხველის

მორალური ნორმებისგან  გათავისუფლება იყო. მოითხოვდა ტრადიციებზე უარის თქმას და თავისუფლების სახიფათო გზებზე სიარულს, ქებას ასხამდა ბუნებას და ბუნებრივ გრძნობებს. ამ ნაწარმოებში აღიბეჭდა ნიცშე, გოეთე, ბიბლია, აღმოსავლური წმინდა წიგნები. მასში გამოხატული იდეები იმდროინდელი ფრანგული საზოგადოების განწყობილების თანაზიარი იყო, განსაკუთრებით ახალგაზრდობისა, რომელმაც პირველი მსოფლიო ომი გამოიარა. იმ საუკუნის ოციან წლებში ანდრე ჟიდს უამრავი თაყვანისმცემელი, მოწაფე და მიმდევარი გაუჩნდა, მაგრამ მოწაფეები იმიტომ არსებობენ რომ ოსტატს ვერ გაუგონ. „მიწიერი კერპები" ინსტიქტების, ავხორცობის ჰიმნად მიიღეს. ოდნავ შეშინებული ჟიდი მკითხველს არწმუნებდა ინსტიქტებზე მეტად უბრალოებასა და სულის თვითდისციპლინაზე ვლაპარაკობო.

1899 წელს დაიწყო დრამა „საულის" წერა, რომელიც 1903 წელს გამოაქვეყნა, სადაც ავტორმა დიამეტრალურად საწინააღმდეგო შეხედულებები გამოთქვა და ეგოისტური ინსტიქტები მკაცრად განსაჯა. იმავე წელს შეუდგა „ცუდად მიჯაჭვული პრომეთეს" შექმნასაც და კიდევ ერთხელ დააყენა ადამიანის ინდივიდუალური თავისუფლების საკითხი. დასცინის იმ ადამიანებს, რომლებიც მეტისმეტად სკრუპულოზურად მიჰყვებიან პურიტანული მორალის ნორმებს, საკუთარი თავის მწვალებლებად იქცევიან და ამ ტანჯვაში მაზოხისტურ სიამოვნებას იღებენ. იგი ირონიული, ძალზე სერიოზული ნაწარმოებია და თანამედროვე საფრანგეთის ლიტერატურაში ნატიფ ფილოსოფიურ თხზულებად ითვლება. გარდა ამისა, ავტობიოგრაფიულიცაა, ისევე როგორც შემდეგ დაწერილი ნოველა „იმორალისტი", რომელიც 1902 წელს გამოვიდა. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გამოჯანმრთელებული, მკაცრი პურიტანული მორალით აღზრდილი ახალგაზრდა კაცი ცხოვრებას უბრუნდება, ეთიკურ ნორმების ბარიერს გადალახავს, თავისუფლებას მოიპოვებს, მაგრამ მისი თავისუფლება სხვებს ძვირად უჯდება.

ასეთივე გასლაეთ 1909 წელს გამოქვეყნებული „ვიწრო კარიბჭენიც", დიპტიქის მეორე ნაწილი, რომელმაც ჟიდის ყველაზე წარმატებული ნაწარმოების სახელი დაიმკვიდრა. „ვიწრო კარიბჭენის" წყალობით, სრულიად მოულოდნელად, ჟიდისთვის ფართო მკითხველისკენ გაიხსნა გზა.

1912 წელი. მან ნოველა „იზაბელი" გამოსცა. იგი აქტიურად მოღვაწეობს კრიტიკაშიც. 1903 წელს ყველა თავისი ესე შეაგროვა და გამოსცა საერთო სათაურით „მიზეზები, განსჯები ლიტერატურისა და მორალის ზოგიერთ საკითხზე".

1911 წელს წერილების მეორე კრებული „ახალი მიზეზები" გამოსცა. ამავე პერიოდში მის ირგვლივ მიმდევართა მთელი წრე ყალიბდება. 1909 წელს ისინი აარსებენ „ახალ ფრანგულ ჟურნალს", რომელიც სულის ჩამდგმელი ორმოციან წლებამდე ანდრე ჟიდია. ჟურნალი XX საუკუნის ყველაზე გავლენიანი ჟურნალი ხდება, რომლის რედაქტორიც გასტონ გალიმარი გახლდათ. მალე ჟურნალთან

აარსებენ გამომცემლობა „გალიმარსაც“, რომელიც დღემდე არსებობს და ერთ-ერთი გავლენიანი გამომცემლობაა საფრანგეთში. მერე კულტურის ამ კომპლექსს თეატრი „ძველი სამტრედეც“ შეემატა, რომელსაც დიდხანს არსებობა არ ეწერა, მაგრამ თავისი როლი მაინც ითამაშა ფრანგული თეატრის განვითარებაში.

წლების განმავლობაში ფიქრობდა ანდრე ჟიდი კათოლიკური ეკლესიის საკითხებზე. „კათოლიზიცმის აღორძინების“ ტალღა ბევრ მის მეგობარს და კოლეგას შეეხო. მასაც აცდუნებდა პირადი თავისუფლების გაცემის სამაგიეროდ აბსოლუტური რწმენა მიეღო და ამგვარად შინაგანი სიმშვიდე მოეპოვებინა.

იგი სულით ქრისტიანად გრძნობდა თავს, მაგრამ გადამწყვეტი ნაბიჯი ვერ გადაედგა, რადგან, მისივე სიტყვებით, მისთვის კათოლიციზმი, „მიუღებელი“ იყო, პროტესტანტიზმი კი „აუტანელი“.

1914 წელს ანდრე ჟიდმა, „ვატიკანის მიწისქვეშეთი“ გამოაქვეყნა, სადაც საბოლოო პოზიცია ჩამოაყალიბა რელიგიის საკითხში. მერე კათოლიციზმს კიდევ ერთხელ დაუბრუნდება და 1919 წელს გამოსცემს ნოველას „პასტორალური სიმ-ფონია“.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ანდრე ჟიდი ნამდვილი დიდების მწვერვალზეა. იგი ახალგაზრდობის სულის მბრძანებელი ხდება, რომლებიც ომის დროინდელმა პატრიოტულმა პროპაგანდამ დაღალა და ახლა „მიწიერი კერპების“ გმირების დამსგავსებას ცდილობდა. მოწოდებამ რაც შეიძლება მეტად მინდობოდნენ ინ-სტიქტებს, ნაკლებად კი ინტელექტს, რომელიც ჟიდმა თავის დროზე გამოაცხადა, მეოთხედი საუკუნის შემდეგაც ჰპოვა გამოძახილი, მაგრამ ახლა მწერალს სხვა პრობლემები აღელვებდა.

1923 წელს ჟიდმა „დოსტოევსკი“ გამოაქვეყნა; წიგნი თეატრ „ძველ სამ-ტრედეში“ წაკითხული სტატიებისა და ლექციების ციკლისგან შედგება, რომელიც ავტორმა რუსი მწერლის დაბადების ასი წლისთავს მიუძღვნა.

1925 წელს ანდრე ჟიდის „ყალბი ფულის მჭრელები“ გამოდის; ერთადერთი ნაწარმოები, რომელსაც რომანი უწოდა და ამით ხაზი გაუსვა წიგნის სტრუქტურის სირთულეს და მასში ასახულ ხასიათების სიმძიმეს. რომანის ზოგიერთი სიუჟე-ტური ხაზი მან ომამდელი საგაზეთო ქრონიკებიდან აიღო; მაგალითად, ლიცეის-ტის თვითმკვლელობისა და ესპანეთიდან შემოტანილი ყალბი მონეტების ამბავი, რომელთა გასასაღებლადაც ცნობილი ოჯახების შვილებს იყენებდნენ. მწერალს სურდა მის რომანში ეფიქრიყო მრავალფეროვანი ცხოვრებისეული ფაქტები, რომ მერე ამორფული მასისთვის მწყობრი კლასიკური კომპოზიცია მიეცა. სურდა წიგნი

ნამდვილი ინტელექტუალური რომანი გამოსულიყო და წერდა, როგორც „შესაძლებელ ავტობიოგრაფიას"; თუმცა რომანის ბევრ პერსონაჟშია ასახული ავტორის პიროვნების რაღაც ნაწილი, ნაწარმოები მაინც ნაკლებ ავტოპორტრეტული, ნაკლებ სუბიექტური წიგნია მის სხვა ნაწარმოებებთან შედარებით. მართალია მწერალ ედუარდს მრავალი თავისი თვისება მიაწერა, მაგრამ მათ შორის მსგავსება მხოლოდ გარეგნულია. ედუარდი მოყვარული მწერალია, ხელმოცარული და თუმცა იგი რომანში რომანს წერს სათაურით „ყალბი ფულის მჭრელები", მისი ჩანაფიქრი განწირულია.

მაგრამ, როცა ედუარდი მკითხველს რომანის წერის თაობაზე თავის გეგმებს უზიარებს, ავტორის შეხედულებები ცხადდება. ანდრე ჟიდს სურდა ბახის „ფუგის" ლიტერატურული ეკვივალენტი შეექმნა, ეგონა, მიუხედავად მუსიკისა და ლიტერატურის სხვაობისა, ანალოგის მიღწევა მაინც შესაძლებელი იყო. „ყალბი ფულის მჭრელები" მართლაც მუსიკალურ ნაწარმოებს გვაგონებს, სადაც წარმოიშობა თემები, ერთმანეთში იხლართება და ჭეშმარიტი მუსიკალური დახვეწილობით ცხრება. ედუარდი, მთავარი პერსონაჟი, ყველა მოქმედებაშია ჩართული და მთავარი მუსიკალური თემის ფუნქციას ასრულებს. იგი რომანის ყველა პერსონაჟს, რომანის განვითარების ყოველ პოტენციურ ხაზს ისე აერთიანებს, რომ შეიძლება განვიხილოთ, როგორც შესაძლებელი ახალი რომანების საწყისი. ძალიან ხშირად ჟიდი ოსტატურად შექმნილ კვანძს უკუაგდებს, უარს ამბობს მის განვითარებაზე და ახალ პერსონაჟებზე გადადის. მწერალი თითქოს სიუჟეტური ხაზებით თამაშობს, ხან ანადგურებს, ხან აღადგენს, რეალობას არ იმეორებს და მხოლოდ შესაძლებელს აჩვენებს. „რომანის გენიალობა იმაშია, რომ სიცოცხლე შთაბეჭროს პოტენციურ შესაძლებელს და არა ის, რომ არსებული სინამდვილე დახატოს" (ტიბოდე). ეპოქის ესთეტიკური მოთხოვნების შესაბამისად, „ყალბი ფულის მჭრელები" იმ დროს ყველაზე გაბედული ლიტერატურული ექსპერიმენტების ცენტრი გახდა.

როჟე მარტენ დიუ გარი, რომელსაც წიგნი უძღვნა, ეუბნებოდა, რომანის ზოგიერთი თემა ზედაპირულად არის დამუშავებულიო. ურჩევდა გაეღრმავებინა ეს ადგილები, რათა არაკეთილმოსურნე კრიტიკოსებისა და მკითხველის განსჯის საბაბი არ გამხდარიყო. რომანის უგულისყურო მკითხველი ამ წიგნის ღირსებას მართლაც უცბად ვერ აღმოაჩენს, არ მოეწონება და აბდაუბდად მოეჩვენება. თავისი ესთეტიკური პოზიცია მწერალმა დაწვრილებით აღწერა 1926 წელს გამოქვეყნებულ „ყალბი ფულის მჭრელების დღიურში", სადაც მკითხველს, ნაწარმოების უკეთ გასაგებად, ზოგიერთი ორიენტირი მოუსაზა.

რაც შეეხება „ყალბი ფულების მჭრელების" შინაარსში იმ სიუჟეტს, რომელმაც რომანს სათაური მისცა, ძალიან პატარა ადგილი უჭირავს. ყალბი მონეტების მოჭრას და გასაღებას ფართო თვალთახედვით განიხილავს, მთელი საზოგადოების მასშტაბით: ყალბი ფულის მჭრელად შეიძლება თითოეული ადამიანი გახდეს, ისიც კი, ვი-

საც ცხოვრებაში ერთი ყალბი მონეტაც არ უნახავს, რომ ყალბი ფულის პრობლემა ზნეობრივი პრობლემაა. რომანში ყალბი ფულის მთავარ მჭრელად საზოგადოებაა გამოყვანილი, რომელიც ადამიანის სტერეოტიპურ ფორმას ახვევს თავს და მის ინდივიდუალურ თავისებურებებს არ ითვალისწინებს. ყალბი ფულის მჭრელი რომანში ბევრია. ერთი ნათელი გამონაკლისი ბერნარია, რომელიც საკუთარ ჭეშმარიტ არსში ჩაწვდომას ცდილობს.

„ყალბი ფულის მჭრელები" ანდრე ჟიდის მთელი შემოქმედების ერთგვარი შეჯამებაა. ამიტომაცაა, რომ რომანში მოცემულია მისი შემოქმედების ყველა ძირითადი თემა: თაობათა კონფლიქტი, საკუთარი სამართლის ძიების აუცილებლობა, პირობითობის წინააღმდეგ ბრძოლა, იმათი სიბრიყვე, ვინც მკაცრი პრინციპებით ცხოვრობს...

ისიც საინტერესოა, რომ ჟიდი, რომელიც მხოლოდ ლიტერატურული ცხოვრებით ცხოვრობდა და ყურადღებას არ აქცევდა სოციალურ საკითხებს, ოციანი წლებიდან ნელ-ნელა იცვლის პოზიციას. ამ რომანში, რომელიც ღრმად ესთეტიკური ნაწარმოებია, თავს ვერ იკავებს და თავის გმირს პარიზის „უფლისგან მივიწყებულ" ერთ ადგილს აჩვენებს, სადაც გაჭირვება, ავადმყოფობა, პროსტიტუცია, დანაშაული მეფობს. რომანის დამთავრების შემდეგ აფრიკაში კიდევ ერთმა მოგზაურობამ მისი სოციალურ სამართლიანობისკენ სწრაფვა გაამძაფრა. 1927 წელს „მოგზაურობა კონგოში" გამოაქვეყნა, 1928 წელს კი „ჩადიდან დაბრუნება".

ოცდაათიანი წლებიდან იწყება მისი კომუნისტური იდეებით გატაცება. მანამდე კი მოასწრო და დაწერა „ქალთა სკოლა" (1929), „რობერი" (1930) და „ჟენევიეი" (1936), სადაც თანამედროვე სამყაროში ქალთა მდგომარეობის ასახვას ეცადა. ნაწარმოებებს ოდნავ პოლიტიკური ელფერი მიანიჭა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ პოლიტიკით გატაცება მის შემოქმედებაზე მაინცდამაინც კარგად არ აისახა. ჟიდი არ იყო სოციალური საკითხებით დაინტერესებული ადამიანი, იგი ლიტერატურის ადამიანი იყო და მიაჩნდა, რომ „ხელოვანმა საკუთარ შემოქმედებაში უნდა დამყაროს წესრიგი და არა გარემომცველ სამყაროში".

და მაინც, XX საუკუნის პოლიტიკურმა ქარტეხილებმა ჟიდამდეც მიაღწია. საუკუნის დასწყისისათვის ხარკი უნდა გადაეხადა. მისი ბევრი მეგობარი და კოლეგა კომუნისტური იდეებისადმი კეთილად იყო განწყობილი. ისიც ჩაერთო საერთო ორომტრიალში, მაგრამ...

მაგრამ პოლიტიკურ ცხოვრებაზე მისი მსჯელობები უფრო თავშეკავებული გახდა, როცა საბჭოთა კავშირში იმოგზაურა და მიხვდა, რომ იქ დამყარებული წყობილება არაფრით განსხვავდებოდა ფაშისტური იტალიისა და გერმანიის ნაცისტური წყობილებისაგან.

ის საბჭოთა კავშირში 1936 წელს ჩამოვიდა და საქართველოსაც ეწვია.

გთავაზობთ ცნობილი პოეტის ირაკლი აბაშიძის მოგონებას:

„ანდრე ჟიდი, 1936 წლის ივლისში ჩამოვიდა საქართველოში. ეს მაშინ თბილისში სენსაცია გახლდათ; უცხოელი კაცი ჩვენში მაშინ საერთოდ უცხო ხილი

იყო და უცებ ანდრე ჟიდი უგამოჩენილესი წარმომადგენელი დასავლეთის სამყაროს მხატვრული სიტყვისა. რასაკვირველია, მისი მასპინძლობა და გიდობა პაოლო იაშვილს და ტიციან ტაბიძეს დაევალა თვითონ მთავრობის მიერ და მათაც მთელი საქართველო მოატარეს სასურველ უცხო სტუმარს. ამ მოგზაურობაზე მაშინ, მახსოვს, ბევრს ლაპარაკობდნენ თბილისში, მათ შორის ზოგ კომიკურ შემთხვევაზეც. მაგალითად, ამბობდნენ, თუ როგორ გაოცებულა უცხოელი სტუმარი თელავის სასტუმროში, როცა საწოლში, ღამით, რაღაც წითელმა მწერებმა დილამდე არ დააძინეს, დილით კი რამდენიმე ეგზემპლარი ქაღალდში შეუხვეია საფრანგეთში წასაღებად, იქ უნდა შევისწავლოთო.

ანდრე ჟიდს მოგზაურობაზე მალე პარიზში გამოუქვეყნებია დღიურები, სადაც საქართველოზე ბევრი თავისი კრიტიკული შენიშვნაც უთქვამს; ეს წიგნი ჩვენამდე არ მოღწეულა და მასზე აქ ვერაფერს ვიტყვი. ვიტყვი მხოლოდ, რომ საქართველოს სტუმრის მიერ ჩვენი ქვეყნის ნაკლისა და „ჩრდილოვანი მხარეების" დანახვისთვის გაკიცხეს მისი მასპინძლები, პაოლო იაშვილი და, განსაკუთრებით, ტიციან ტაბიძე, რომელიც ჟიდს თავის დღიურებში მოწმედ დაუსახელებია. ერთი წლის შემდეგ კი მათ ეს მოწმეობა კიდევ უფრო საბედისწეროდ შემოუბრუნდათ" (ირაკლი აბაშიძე, „ზარები ოცდაათიანი წლებიდან").

იმავე წელს ჟიდმა გამოაქვეყნა წიგნი „საბჭოთა კავშირიდან დაბრუნება", სადაც აღიარა თავისი შეცდომა და განაცხადა, რომ ეს იყო უკანასკნელი მსხვერპლი, რომელიც საზოგადოებრივი საქმიანობისთვის გაიღო და სამუდამოდ დაივიწყა კომუნიზმი. მეორე მსოფლიო ომის დროს ტუნისში ცხოვრობდა. იქ დაიწყო თავისი უკანასკნელი დიდი ნაწარმოები „თეზევსი", რომელიც მისი სულიერი ანდერძი იქნება.

1947 წელს ანდრე ჟიდს ნობელის პრემია მიანიჭეს. „ღრმა და მხატვრულად მნიშვნელოვანი ნაწარმოებებისათვის, რომლებშიც ადამიანური პრობლემები წარმოდგენილია ჭეშმარიტების შეუპოვარი სიყვარულითა და ღრმა ფსიქოლოგიური გამჭრიახობით".

ნობელიანტს ლიტერატურული მოღვაწეობა სიკვდილის ბოლომდე არ შეუწყვეტია: გამოაქვეყნა „ჰამლეტის" პროზაული თარგმანი, სცენისთვის დაამუშავა კაფკას „პროცესი", გამოსცა კრებული „შემოდგომის ფოთლები", შეადგინა ფრანგული პოეზიის ანთოლოგია; შესანიშნავად თარგმნა შექსპირი, კონრადი, რილკე, უიტმენი, თაგორი, ბლეიკი.

ანდრე ჟიდი 1951 წლის 19 თებერვალს გარდაიცვალა პარიზში.

დავით კასაბერი

# ნაწილი პირველი

## პარიზი

### I

„ლამის დავიჯერო, რომ დერეფანში ვიღაცა დადის“, —გაიფიქრა ბერნარმა; თავი ასწია და ყური მიუგდო. არა, არავინ არის: მამა და უფროსი ძმა სასამართლოში შეყოვნდნენ, დედა სტუმრადაა, და — კონცერტზე, ხოლო ყველაზე უმცროსი, პატარა კალუ, ლიცეუმის დამთავრების შემდეგ, ყოველდღე თავის პანსიონში მიდის. ბერნარ პროფიტანდიე სახლში მარტო დარჩა, გამოსაშვები გამოცდებისთვის საგნების მომზადება რომ დაეწყო; იქამდე კი, სამი კვირა იყო დარჩენილი. ოჯახი მის განმარტოებას პატივისცემით შეხვდა; აი, ეშმაკი კი — არა. თუმცა ბერნარმა პიჯაკი გაიხადა, სული მაინც ეხუთებოდა. ღია ფანჯარაში ქუჩიდან მხოლოდ პაპანაქება იღვრებოდა. შუბლი ოფლით დაეცვარა; ერთი წვეთი ცხვირსაც ჩაჰყვა და ზედ იმ წერილს დაეცა, ხელში რომ ეჭირა.

„ცრემლსა ჰგავს, — გაუელვა თავში. — მაგრამ ოფლის დენა სჯობია ცრემლს“.

დიახ, თარიღს რაც შეეხება, ეჭვს ვერ შეიტან, დამაჯერებელია. ყველაფერი ნათელია: მასზეა ლაპარაკი, ბერნარზე. წერილი დედამისისადმი იყო მიწერილი; ჩვიდმეტი წლის წინანდელი სატრფიალო ბარათი; ხელმოუნერელი.

„ეს ინიციალი რაღას ნიშნავს? ასო „V“, რომელიც ისეთივე წარმატებით შეიძლება ნაიკითხო, როგორც „N“... დედაჩემს ხომ არ ვკითხო?.. არა, ვენდოთ მის გემოვნებას. ახლა თავისუფალი ვარ და შემიძლია ის კაცი ნარმოვიდგინო, თუნდაც პრინცად. დიდებული სიურპრიზი კი მექნება თუ აღმოჩნდა, რომ ვიღაც ღატაკი მანანწალის შვილი ვარ! არ იცოდე, ვინ არის მამაშენი, მშვენიერი საშუალებაა იმ შიშის

სამკურნალოდ — მას ხომ არ ვგავარო. გამომძიებისას ზომიერებაა საჭირო. ისიც საკმარისია, რომ ამან თავისუფლება მომიტანა. ნულარ ჩავულრმავდებით. დღეს საკმაოდ ბევრი რამ გადამხდა თავს".

ბერნარმა წერილი დაკეცა. იგი იმავე ფორმატისა იყო, როგორიც დანარჩენი თორმეტი, პაკეტში რომ ეწყო. პაკეტი ვარდისფერი ბაფთით იყო შეკრული, რომელიც არც გაუხსნია, ისე გამოაძრო წერილი. უბრალოდ ბაფთა გადასწია და ახლა აღარც გასძნელებია წერილის თავის ადგილზე დაბრუნება. პაკეტი უკან, კოლოფში ჩადო, კოლოფი კი ტუალეტის მაგიდის უჯრაში. უჯრა დაკეტილი იყო და თავისი საიდუმლო ზევიდან გასცა. ბერნარმა დაშლილი სახურავის ხის თხელი ნაჭრები თავის ადგილზე დაალაგა, რომელსაც ზემოდან ონიქსის მძიმე ფილა ეფარებოდა. მერე, ნელა, დიდი სიფრთხილით, ფილა დაადო, ზედ ბროლის ორი შანდალი და მაგიდის უშველებელი საათი დაადგა, რომლის შეკეთებაც, ამ ცოტა ხნის წინ, გასართობად მოინდომა.

საათმა ოთხჯერ დარეკა. ხელახლა მომართა და ზუსტ დროზე დააყენა.

„სასამართლოს ბატონი გამომძიებელი და მისი ვაჟი, ბატონი ვექილი, ექვს საათზე ადრე არ დაბრუნდებიან. დრო კიდევ მაქვს. საჭიროა, სასამართლოს ბატონმა გამომძიებელმა, სახლში დაბრუნებისას, თავის მაგიდაზე წერილი აღმოაჩინოს, რომლითაც ჩემი წასვლა უნდა ვაუწყო. მაგრამ, ვიდრე წერილს შევადგენ, ვგრძნობ, ფიქრების გამზეურება მჭირდება — და ჩემს ძვირფას ოლივიესთან შეხვედრა, რათა დავრწმუნდე, რომ თუნდაც დროებითი თავშესაფარი მექნება, ოლივიე, ჩემო მეგობარო, დადგა დრო შენი კეთილი განწყობის გამოცდისა და იმისაც, გავიგო რას წარმოადგენ. აქამდე ჩვენი მეგობრობა იმით იყო მშვენიერი, რომ ერთმანეთისთვის არანაირი სამსახური არ გაგვიწევია. აჰ! ასეთი უმნიშვნელო სამსახურის გაწევა მოურიდებლად შემიძლია ვთხოვო. ის კი ცუდია, ოლივიე მარტო რომ არ იქნება. არა უშავს! რამეს ვიღონებ და დავიმარტოხელებ. ჩემი სიმშვიდით მინდა გავაშტერო. მდგომარეობა რაც უფრო მეტად უჩვეულოა, მით ბუნებრივად ვგრძნობ თავს".

ტ—ს... ქუჩა, სადაც აქამდე ბერნარ პროფიტანდიე ცხოვრობს, ლუქსემბურგის ბაღის გვერდით მდებარეობს. იქ, მედიჩის შადრევანთან მდებარე ხეივანში, ყოველ ოთხშაბათს, ოთხსა და ექვს საათს შორის, ზოგიერთ მის ამხანაგს, ჩვეულებად ჰქონდა, ერთმანეთთან შეხვედრა. ლაპარაკობდნენ ხელოვნებაზე, ფილოსოფიაზე, სპორტზე,

პოლიტიკასა და ლიტერატურაზე. ბერნარი სწრაფად მიდიოდა; ბაღის ღობეს გაუარა და ოლივიე მაშინვე შეამჩნია, სისწრაფეს უკლო.

დღეს ჩვეულებრივზე მეტი ხალხი შეკრებილიყო, ალბათ, იმიტომ, რომ მშვენიერი ამინდი იდგა. ვიღაც ახლებიც შემატებოდნენ; ბერნარი მათ არ იცნობდა. თითოეული მათგანი, როგორც კი ვინმეს წინაშე აღმოჩნდებოდა, მაშინვე ვიღაცის როლის თამაშს იწყებდა და სრულიად კარგავდა ბუნებრიობას.

ოლივიემ მოახლოებული ბერნარი დაინახა და მაშინვე წამონითლდა, საკმაოდ სწრაფად მიატოვა ახალგაზრდა ქალი, რომელთანაც საუბრობდა და გაერიდა. ბერნარი მისი ყველაზე ახლო მეგობარი იყო, ამიტომ ძალიან ცდილობდა, სხვის თვალში ისე გამოჩენილიყო თითქოს მისკენ არც ისწრაფოდა, დროდადრო თავსაც იკატუნებდა, ვითომ ვერც ხედავდა.

ვიდრე ოლივიესთან მივიდოდა, ბერნარიც იძულებული იყო რამდენიმე ჯგუფთან მისულიყო, შეჩერებულიყო, თვითონაც ეთვალთმაქცა, აქაოდა, მეგობრის ნახვას არ ვესწრაფიო.

მისი ოთხი ამხანაგი პენსნეიან, წვერიან, პატარა ტიპს შემოხვეოდა, რომელსაც ხელში წიგნი ეჭირა და მათზე გაცილებით უფროსი ჩანდა. ეს პატარა კაცი დიურმერი იყო.

„აბა, რა უნდა ქნა, — ამბობდა იგი, ვითომ ერთ იმათგანს მიმართავდა, მაგრამ აშკარად კმაყოფილი იყო, ყველა რომ უსმენდა. — ოცდამეათე გვერდამდე ჩავიკითხე, მაგრამ ერთი ფერიც ვერ აღმოვაჩინე, არც ერთი სიტყვა, რომელიც სახეს ქმნის. ქალზე ლაპარაკობს; ისიც კი ვერ გავიგე, კაბა წითელი აცვია თუ ცისფერი. როცა ფერები არ არსებობს, პატიოსნებას გეფიცებით, ვერაფერს ვხედავ“. — და რადგან იგრძნო, მისი სიტყვები სერიოზულად არ მიიღეს, დაჟინებით გაიმეორა: „აბსოლუტურად ვერაფერს“.

ბერნარი აღარ უსმენდა, მაგრამ სწრაფი განშორება უხერხულად მიიჩნია; მისი ყური ახლა სხვა ჯგუფის კამათს იჭერდა ნაწყვეტ—ნაწყვეტად; იმ ჯგუფისა, რომელსაც ახალგაზრდა ქალის მიტოვების მერე, ოლივიე შეუერთდა; მათგან ერთი სკამზე იჯდა და „აქსიონ ფრანსეზს“ კითხულობდა.

მათ შორის ყველაზე სერიოზული ოლივიე მოლინიე ჩანს! თანაც ყველაზე პატარაა. სახე ისევ ბავშვური აქვს, გამოხედვა კი მისი გონების ნაადრევ განვითარებას ამჟღავნებს. ადვილად წითლდება. სათუთი გული აქვს. თუმცა ყველასთან თბილი და თავაზიანია, მაგრამ

შინაგანი თავდაჭერილობა და რიდი მის მეგობრებს გარკვეულ ბარიერს უქმნის, რაც მას ძალიან ანერვიულებს და იტანჯება. ბერნარი რომ არ ყოფილიყო, უფრო მეტად დაიტანჯებოდა.

ოლივიემ, ბერნარივით, თითოეულ ჯგუფს ცოტაოდენი ყურადღება დაუთმო, უფრო თავაზიანობის გამო, რადგან რაც გაიგო, არაფერმა დააინტერესა.

მერე გაზეთის მკითხველის მხართან დაიხარა და ზურგით მდგარ ბერნარს შემოესმა, რაც ოლივიემ თქვა:

„— რა გაკითხებს მაგ გაზეთებს. მაგათი ბრალია სისხლი თავში რომ აგივარდა".

მკვახე პასუხიც მიიღო:

„— შენ კი, როცა მორასზე ლაპარაკობენ, მწვანდები".

მერე მესამე კითხულობს დამცინავად:

„— შენ რა, მორასის სტატიები მოგწონს?"

პირველი პასუხობს:

„— გულის გამაწყალებელია, მაგრამ, მგონი, მართალია".

მერე ვიღაც მეოთხე ჩაერთო საუბარში, რომლის ხმაც ბერნარმა ვერ იცნო:

„— შენ სულ ასე ხარ, თუ გულს არ გიწყალებს, გგონია, რომ სიღრმე აკლია".

პირველი იგერიებს:

„— შენ კიდევ გგონია, საკმარისია სულელი იყო, რომ სასაცილო გამოჩნდე!

— აქეთ მოდი.— ჩუმად უთხრა ბერნარმა ოლივიეს, რომელსაც უცბად მკლავში სტაცა ხელი და განზე გაიყვანა. — სწრაფად მიპასუხე, მეჩქარება. ერთხელ მითხარი, რომ იმ სართულზე არ გძინავს, სადაც შენი მშობლები ნვანან, ხომ?

— ჩემი ოთახის კარიც გაჩვენე. დანარჩენ ოთახებზე ნახევარი სართულით დაბლაა და კარიც პირდაპირ კიბეზე გადის.

— ისიც მითხარი, რომ შენ ძმას იმავე ოთახში სძინავს.

— დიახ, ჟორჟს.

— მხოლოდ ორნი ხართ?

— დიახ.

— პატარამ ენაზე კბილის დაჭერა იცის?

— თუ საჭიროა. მერე რა, რომ?

— მისმინე. სახლიდან წამოვედი; უფრო სწორად, ამ საღამოს

წამოვალ. ჯერ არ ვიცი, სად წავალ. ერთი ღამით შეგიძლია შემიფარო?"

ოლივიე გაფითრდა. ისე აღელდა, ბერნარისთვის შეხედვა ველარ შეძლო.

„— დიახ, — უთხრა მან, — ოღონდ, თერთმეტ საათზე ადრე არ მოხვიდე. დედა ყოველ საღამოს ჩამოდის, რომ ღამე მშვიდობისა გვისურვოს და კარი გასაღებით ჩაკეტოს.

— თუ ასეა...".

ოლივიემ გაიღიმა:

„— სხვა გასაღებიც მაქვს. შენ მხოლოდ ჩუმად დააკაკუნე, ჟორჟმა არ გაიღვიძოს თუ ეძინება.

— მეკარე გამომიშვებს?

— გავაფრთხილებ. მასთან კარგი ურთიერთობა მაქვს. გასაღებიც იმან მომცა. ნახვამდის".

ხელი არ ჩამოურთმევიათ ისე დაშორდნენ ერთმანეთს. ბერნარი თავის გზას გაუყვა, თან იმ წერილზე ფიქრობდა, რომლის დაწერასაც აპირებდა და რომელიც სასამართლოს გამომძიებელს სახლში დაბრუნებისას უნდა აღმოეჩინა. ოლივიეს არ უნდოდა ბერნართან განმარტოებული ვინმეს ენახა, ამიტომ ლუსიენ ბერკესთან მივიდა. ლუსიენს სხვები ცოტა აბუჩად იგდებდნენ ხოლმე. ოლივიეს ეს ბიჭი ძალიან ეყვარებოდა, ბერნარისთვის რომ არ მიეცა უპირატესობა. რამდენადაც ბერნარი ყოჩაღი იყო, იმდენად ლუსიენი მორცხვი გახლდათ. იგრძნობოდა, რომ სუსტი იყო; გეგონებოდათ, მთელი მისი არსება მხოლოდ გულისა და გონებისგან შედგებაო. იშვიათად თუ გაბედავდა ხმის ამოღებას, მაგრამ სიგიჟემდე უხაროდა, როცა ოლივიეს მისკენ წამოსულს ხედავდა. ყველა ხვდებოდა, რომ ლუსიენი ლექსებს წერდა; მაგრამ, ასე მგონია, ოლივიე იყო ერთადერთი, რომელსაც თავის გეგმებს უზიარებდა.

„— ყველაზე ძალიან ის მინდა, — ამბობდა ლუსიენი, — ამბავი გადმოვცე, პიროვნებისა კი არა, ადგილისა, — რომელიმე ბაღის ხეივნის, მაგალითად, აი, ამისა; გადმოვცე, რაც მასში ხდება დილიდან, გვიან საღამომდე. ჯერ გადიები რომ გამოჩნდებიან ბავშვებით, ბაფთიანი ძიძები... არა, არა... ჯერ ნაცრისფერებში გამონყობილი ადამიანები მოვლენ, უსქესო, უასაკო, და ხეივნის დაგვას შეუდგებიან, ბალახის მორწყვას, ყვავილების დარგვას; მოკლედ, სცენასა და დეკორაციას მოამზადებენ, ვიდრე კარი გაიღება. გამიგე? მერე, ამის შემდეგ, შემო-

ვლენ ძიძები. პატარები სილისგან ნამცხვრებს გააკეთებენ, იჩხუბებენ, გადიები მათ მიტყიპავენ. მერე უმცროსი კლასების მოწაფეების გამოსვლაა; მერე მუშა ქალების. სადღაც სკამებზე ჩამომსხდარი ღარიბები საუზმობენ. მოგვიანებით, ახალგაზრდები მოდიან, ერთნი ერთმანეთთან შეხვედრას ლამობენ, მეორენი განმარტოებას ეძებენ, ვიღაცისგან გარბიან; არიან მეოცნებენიც, ესენიც მარტოობას ესწრაფვიან. ცოტა უფრო გვიან, ხეივანი ხალხით ივსება, ეს უკვე მუსიკისა და მაღაზიებიდან გამოსვლის დროა; და კიდევ სტუდენტებით, როგორც ახლაა. საღამოს შეყვარებულები მოდიან, ზოგი ერთმანეთს კოცნის, ზოგიც ტირილით შორდება ერთმანეთს. ბოლოს, საღამოს ბინდ—ბუნდში, ხანდაზმული წყვილი... და უცბად, დოლის ბრახუნი: ბაღი იკეტება. ყველა მიდის. სპექტაკლი მთავრდება. გამიგე? რაღაც ისეთი უნდა იყოს, რისგანაც ყველაფრის დასასრულის შთაბეჭდილება წარმოიქმნება, სიკვდილის შთაბეჭდილება... მაგრამ, ბუნებრივია, სიკვდილის ხსენების გარეშე.

— დიახ, ნათლად ვხედავ, ძალიან ნათლად, — თქვა ოლივიემ, რომელიც ბერნარზე ფიქრობდა და ერთი სიტყვაც არ გაუგია.

— ეს კიდევ ყველაფერი არ არის; ეს კიდევ ყველაფერი არ არის! — ფიცხლად გააგრძელა ლუსიენმა. — მინდა კიდევ რაღაცა გავაკეთო, ეპილოგის მსგავსი: იგივე ხეივანი ვაჩვენო, ოღონდ, ღამით, მას შემდეგ, რაც დაცარიელდა და ყველა წავიდა. ცარიელი, უფრო მშვენიერი, ვიდრე დღისით იყო; დიდ მდუმარებაში ჩაძირული; ბუნებრივი ხმაურის მეუფებას მინდობილი: შადრევნის ჩქრიალის ხმა, ხის ტოტებში მონავარდე ქარის ხმაური, და ღამის ჩიტის გალობა. იმასაც ვფიქრობდი ჩრდილებსაც ემოძრავათ, იქნებ, ქანდაკებებსაც... მაგრამ, მგონი, ძალზე ბანალური გამოვა; შენ როგორ გგონია?

— არა, ქანდაკებები საჭირო არ არის, ქანდაკებები საჭირო არ არის,— დაემოწმა დაბნეული ოლივიე, მაგრამ მის ნაღვლიან მზერას რომ წააწყდა, მხურვალედ წამოიძახა: — მართლაცდა, მეგობარო, თუ გამოგივა, დიდებული იქნება!"

## II

პუსენის წერილებში კვალიც არა ჩანს, რაიმეთი რომ იყო მშობლებისგან დაკალებული. შემდეგში ერთხელაც არ უნანია, მათ რომ დაშორდა. საკუთარი ნებით საცხოვრებლად რომში გადავიდა და სახლში დაბრუნების სურვილი სამუდამოდ დაკარგა. იმასაც ამბობენ, სხვა ბევრი რამის გახსენების სურვილიცო.

**პოლ დეჟარდენი /პუსენი/**

ბატონ პროფიტანდიეს სახლში ეჩქარებოდა და ეგონა, მისი კოლეგა მოლინიე, რომელმაც სენ-ჟერმენის ბულვარზე მისი გაცილება მოისურვა, საკმაოდ ნელა მოდიოდა. დღე ალფრედ პროფიტანდიეს სასამართლოში განსაკუთრებით დატვირთული გამოუვიდა; ახლა შეწუხებული იყო, რადგან მარჯვენა გვერდში სიმძიმეს გრძნობდა: ღვიძლი ოდნავ აწუხებდა და დაღლილობისას ყოველთვის თავს შეახსენებდა ხოლმე. ფიქრში წარმოიდგინა, აბაზანას როგორ მიიღებდა; ისე არაფერი ამშვიდებდა დღიური საზრუნავისგან დაქანცულს, როგორც აბაზანა; წინასწარ განიცდიდა ამ სიამოვნებას, და აღარც უსამხრია დღეს; წინასწარ გრძნობდა, წყალში როგორ ჩაწვებოდა, თუნდაც ძალიან ცხელი არც ყოფილიყო, ამიტომ უკეთესიც იყო, თუ სავსე სტომაქი არ ექნებოდა. შეიძლება ეს ცრურწმენაც გახლდათ, მაგრამ ცივილიზაციას ხომ ცრურწმენები მართავს.

ოსკარ მოლინიე ნაბიჯს უჩქარებდა როგორც შეეძლო. ცდილობდა პროფიტანდიეს მიჰყოლოდა, მაგრამ ძალზე ტანდაბალი იყო, წელიც მოუქნელი ჰქონდა; გარდა ამისა, გულზე ოდნავ სიმსუქნე მოკიდებულს, სული ადვილად ეხუთებოდა. პროფიტანდიე, რომელმაც ორმოცდათხუთმეტი წლის ასაკშიც ბრტყელი მუცელი და მსუბუქი სიარული შეინარჩუნა, სიამოვნებით მიატოვებდა თანამგზავრს, მაგრამ ზრდილობის წესებს ძალზე დიდ ყურადღებას აქცევდა: მისი კოლეგა ასაკითაც უფროსი იყო და მდგომარეობითაც. ასე რომ, პატივისცემით უნდა მოპყრობოდა. თანაც, რაღაც დანაშაულის გრძნობასაც განიცდიდა იმის გამო, რომ თვითონ, ცოლის მშობლების გარდაცვალების

შემდეგ ძალიან გამდიდრდა, მაშინ, როცა ბატონი მოლინიეს მთელი ქონება მხოლოდ პალატის თავმჯდომარის ჯამაგირი იყო; სასაცილო ხელფასი სულაც არ შეეფერებოდა იმ მაღალ თანამდებობას, რომელიც დიდი ღირსებით დაიკავა. ეს თანამდებობა მის უნიჭობას საფარველად ემსახურებოდა. პროფიტანდიე ცდილობდა მოუთმენლობა დაეფარა; ის მოლინიეს მიუბრუნდა და დაინახა სახიდან ოფლი როგორ მოიწმინდა; თანაც ძალზე აინტერესებდა, რასაც მოლინიე ამბობდა, მაგრამ მათი თვალსაზრისი ერთმანეთს არ ემთხვეოდა და კამათიც უფრო და უფრო ცხარე ხდებოდა.

„— სახლს უთვალთვალეთ, — ეუბნებოდა მოლინიე. — მეკარისა და მსახური გოგოს ცრუ ჩვენებები შეაგროვეთ; ეს ყველაფერი საჭირო იქნება. მაგრამ გაითვალისწინეთ, როგორც კი ამ გამოძიებაში ოდნავ წინ წაიწევთ, მთელი საქმე დაირღვევა... იმის თქმა მინდა, რომ ამან შეიძლება გაცილებით შორს წაგიყვანოთ, ვიდრე თავიდან ფიქრობდით.

— ასეთ სიფრთხილეს მართლმსაჯულებასთან საერთო არაფერი აქვს.

— ნუთუ! ნუთუ, ჩემო მეგობარო; მე და თქვენ ხომ ვიცით, მართლმსაჯულება როგორი უნდა იყოს და ახლა როგორია; ცხადია, გვინდა ყველაფერი უკეთესად გავაკეთოთ, რაც ჩვენს ძალას არ აღემატება, მაგრამ რაც უნდა მოვიმოქმედოთ, მაინც დაახლოებით შედეგებს ვღებულობთ. საქმე, რომლითაც დღესა ხართ დაკავებული, განსაკუთრებით დელიკატურია: თხუთმეტ მსჯავრდებულს შორის, ცხრა არასრულწლოვანია, მათი ბედი თქვენს ხელთაა. ხვალ თქვენს ერთ სიტყვაზეა დამოკიდებული ისინი მსჯავრდებულები გახდებიან თუ არა. თანაც ისიც იცით, რომ ზოგიერთი ფრიად საპატივსაცემო ოჯახიდანაა. ამიტომ, მსგავს სიტუაციაში, მე მგონია, დაპატიმრების ყოველგვარი ორდერი, დიდი შეცდომაა. საქმეს ხომ მაშინვე ხელს მოჰკიდებენ არაკეთილგანწყობილი გაზეთები, და აღმოჩნდება, რომ თქვენ კარი გაუღეთ ყოველგვარ შანტაჟს, ცილისწამებას. და მერე, რაც უნდა გააკეთოთ, რა სიფრთხილეც არ უნდა გამოიჩინოთ, კონკრეტული გვარების დაფარვას ვეღარ მოახერხებთ... უფლება არა მაქვს, რჩევები მოგცეთ, მშვენივრად იცით, მე თვითონ სიამოვნებით მივიღებდი თქვენს რჩევებს, რადგან მუდამ ვაღიარებდი და ვაფასებდი თქვენს ამაღლებულ შეხედულებებს, თქვენს გამჭრიახობას, პირდაპირობას... მაგრამ თქვენს ადგილზე აი, როგორ მოვიქცეოდი: ვეცდებოდი დამე-

ჭირა ოთხი-ხუთი ხელშემწყობი, ამ საზიზღარი სკანდალისთვის ამგვარად რომ მომეღო ბოლო... დიახ, ვიცი, ამის გაკეთება ძალზე ძნელია, მაგრამ, ეშმაკმა დალახვროს, ესაა ჩვენი ხელობა. ვუბრძანებდი დაეკეტათ ის ბინა, სადაც ორგიები იმართება და ამ ახალგაზრდა თავხედების მშობლებს საქმის კურსში ჩავაყენებდი, საიდუმლოდ, უხმაუროდ, რათა ამგვარი საშუალებით შემდგომი რეციდივებისთვის ხელი შემეშალა. მაგალითად, აიღეთ და დააპატიმრეთ ქალები! ამაში სიამოვნებით დაგიჭერთ მხარს. ასე მგონია, ნარმოუდგენელ გარყვნილებთან გვაქვს საქმე, და მათგან განმენდა, ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა. ოღონდ, არ დაიჭიროთ ბავშვები; დაკმაყოფილდით მათი დაშინებით, მერე საქმე დახურეთ გრიფით „არანინასწარგანზრახული ქმედება"; რათა დიდხანს, დიდხანს გაოცებული იხსენებდნენ, ასე ადვილად და მხოლოდ შეშინებით რომ გადარჩნენ. არ დაგავიწყდეთ, მათ შორის სამი ბავშვი თოთხმეტი წლისაც არ არის, და მათ მშობლებს, უეჭველია, თავიანთი შვილები ანგელოზური სიწმინდისა და უმანკოების განსახიერებად მიაჩნიათ. ჩვენს შორის დარჩეს, ძვირფასო მეგობარო, მათ ასაკში განა უკვე ქალებზე ვფიქრობდით?"

იგი შეჩერდა, უფრო საკუთარი მჭევრმეტყველებით სულშეხუთული, ვიდრე სიარულით, და პროფიტანდიეც, რომლის სახელოსაც ეჭიდებოდა, აიძულა შეჩერებულიყო...

„— და თუ გვიფიქრია მათზე, — გააგრძელა მან, — ისიც მხოლოდ, მე ვიტყოდი, იდეალური, მისტიკური, რელიგიური თვალსაზრისით. დღევანდელ ბავშვებს არავითარი იდეა არა აქვთ... სიტყვამ მოიტანა და, როგორ არიან თქვენები? ცხადია, რაც ვთქვი, მათ არ ეხებათ. ვიცი, რომ თქვენი მზრუნველობისა და აღზრდის ნყალობით, მსგავსი ცდომილების შიში არ უნდა გქონდეთ".

თავისი ვაჟების შემყურე პროფიტანდიეს, მართლაც შეეძლო გაეხარა, მაგრამ ილუზიებით არ იკვებებოდა: მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო აღზრდაც კი უძლურია ცუდი მიდრეკილებების წინააღმდეგ; მადლობა ღმერთს, მის შვილებს ცუდი მიდრეკილებები არა აქვთ, ისევე როგორც, უეჭველია, არა აქვთ მოლინიეს შვილებსაც. ბავშვები თვითონ გაურბიან ცუდ ნაცნობობას და ცდილობენ, არ წაიკითხონ ცუდი წიგნები. თორემ რა აზრი აქვს აუკრძალო კითხვა, როცა ხელის შეშლას, სულერთია, მაინც ვერ შეძლებ? თუ აუკრძალავ, მალულად ნაიკითხავს. რაც შეეხება თვითონ მას, აღზრდის საკმაოდ მარტივი სისტემა აქვს: ცუდი წიგნების კითხვას არ კრძალავს; მაგრამ ისე ახე-

რხებს, რომ მის შვილებს მათი წაკითხვის უმცირესი სურვილიც არ უჩნდებათ. ხოლო, რაც შეეხება ამ საქმეს, კიდევ იფიქრებს, ყოველ შემთხვევაში, აღუთქვამს, არაფერი მოიმოქმედოს მანამ, სანამ მოლინიეს არ აცნობებს. ჯერჯერობით კი, ფარულ თვალთვალს გააგრძელებენ, და რადგან ეს სისაძაგლე უკვე სამი თვეა გრძელდება, რამდენიმე დღის მოთმენაც შეიძლება, რამდენიმე კვირაც. გარდა ამისა, გამორიცხული არ არის, რომ არდადეგების დროს დამნაშავენი თავად გაიფანტნონ.

ბოლოს და ბოლოს, პროფიტანდიემ ნაბიჯის აჩქარება შეძლო.

როგორც კი სახლში შევიდა, მაშინვე ტუალეტის ოთახში შევარდა და აბაზანის ონკანები მოუშვა. ანტუანი პატრონის დაბრუნებას ელოდა და ეცადა კიდეც დერეფანში დახვედროდა.

ეს ერთგული მსახური უკვე თხუთმეტი წელია ემსახურებოდათ; ბავშვები მის თვალწინ დაიზარდნენ; ბევრი რამ ენახა, ბევრს კი გუმანით ხვდებოდა, მაგრამ ისეთ სახეს იღებდა, თითქოს ვერ ამჩნევდა იმას, რასაც უმალავდნენ. ანტუანისადმი ბერნარის სიყვარულს წლებმა ვერაფერი დააკლო; არ უნდოდა მასთან დაუმშვიდობებლად წასულიყო. არც ის იყო გამორიცხული, რომ რაღაც იდუმალ სიხარულსაც განიცდიდა, როცა ოჯახის წინააღმდეგ დაგროვილი ბოღმის გამო სახლიდან წასვლა მხოლოდ უბრალო მსახურს გააგებინა და ახლობლებს არაფერი უთხრა; მართალია, ბერნარის გასამართლებლად ისიც შეიძლება თქვა, რომ იმ წუთში სახლში არც ერთი შინაური არ იყოო. და თანაც დაიწყებდა თუ არა გამომშვიდობებას, ისინი მის შეჩერებას შეეცდებოდნენ: ყველაზე მეტად კი ახსნა-განმარტებებისა ეშინოდა. ანტუანისთვის კი უბრალოდ შეეძლო ეთქვა: „მივდივარ". უთხრა კიდეც, და ისეთი ზეიმით გაუწოდა ხელი, რომ მოხუცი მსახური გაოცდა.

„— ბატონი ბერნარი სადილზე არ მოვა?

— არც დასაძინებლად, ანტუან. — და რადგანაც ეს უკანასკნელი საგონებელში ჩავარდნილი იდგა, არ იცოდა ნათქვამი როგორ გაეგო, არც ის, რა უნდა გაეკეთებინა, ბერნარმა უფრო გარკვევით გაუმეორა: — მივდივარ, — მერე დაუმატა: — წერილი დავტოვე სანერ მაგიდაზე... — ვერ შეძლო „მამის მაგიდაზეო" ეთქვა და გააგრძელა: — საწერ მაგიდაზე, კაბინეტში. მშვიდობით".

ანტუანს რომ ხელს ართმევდა, უცებ ისეთი მღელვარება იგრძნო, თითქოს მასთან ერთად მთელ თავის წარსულს ემშვიდობებოდა; აჩქა-

რდა, ვიდრე ყელში მოწოლილი ქვითინი აუვარდებოდა, კიდევ ერთხელ დაემშვიდობა და წავიდა.

ანტუანს თავში გაუელვა, აი, ასე წასვლის უფლებას რომ აძლევდა, საკუთარ თავზე სერიოზულ პასუხისმგებლობას იღებდა, — მაგრამ, აბა, რა უფლება ჰქონდა დაეკავებინა?

ცხადია, ანტუანი ხვდებოდა, რომ ბერნარის წასვლა ოჯახისთვის მოულოდნელიც იქნებოდა და შემზარავიც, მაგრამ იდეალურ მსახურს თავისი როლი მოუწოდებდა გაოცება არაფრით გამოეხატა; მან არ უნდა იცოდეს ის, რაც ბატონმა პროფიტანდიემ არ იცოდა. რა თქმა უნდა, შეეძლო მისთვის უბრალოდ ეკითხა: „ბატონმა იცის, რომ ბატონი ბერნარი მიემგზავრება?“ მაგრამ უპირატესობას მაშინვე დაკარგავდა და ამასთან, არავითარ სიამოვნებას არ მიიღებდა. და თუ იგი თავის ბატონს ასეთი სიამოვნებით ელოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ სრულიად აუღელვებელი ტონითა და მონიწებით, თითქოსდა ბერნარის სრულიად უბრალო დავალებას ასრულებდა, ის ფრაზა წარმოეთქვა საგულდაგულოდ რომ მოამზადა:

„— წასვლისას ბატონმა ბერნარმა, ბატონისთვის, კაბინეტში, საწერ მაგიდაზე, წერილი დატოვა. — ფრაზა იმდენად მარტივი იყო, შეიძლებოდა შეუმჩნეველიც დარჩენილიყო. მსახური ამაოდ ცდილობდა სხვა სიტყვები, უფრო მნიშვნელოვანი ეპოვა, თანაც ბუნებრივი, მაგრამ ვერაფერს მიაგნო. რადგან ადრე არასოდეს მომხდარა, რომ ბერნარი სადილზე არ ყოფილიყო, ამიტომ ბატონმა პროფიტანდიემ, რომელსაც ანტუანი თვალის კიდეებიდან უთვალთვალებდა, მკვეთრი მოძრაობა ვერ შეიკავა და თქვა:

— როგორ! სადილის წინ...“.

მაგრამ მაშინვე გონს მოეგო: გაოცებას ხომ ვერ გაამჟღავნებდა მსახურის თანდასწრებით; საკუთარი უპირატესობის გრძნობა არასოდეს ტოვებდა. და მშვიდი ხმით დაამთავრა, ისე, როგორც ნამდვილ მოსამართლეს ეკადრება:

„— ძალიან კარგი“.

და მერე, თითქმის თავისი კაბინეტის კართან მისულმა:

„— რა მითხარი, სად არისო წერილი?

— ბატონის საწერ მაგიდაზე“.

როგორც კი ოთახში შევიდა, პროფიტანდიემ მაშინვე დაინახა კონვერტი, რომელიც თვალში საცემ ადგილზე იდო, სავარძლის პირდაპირ, სადაც მუშაობის დროს ჩვეულებრივ ჯდებოდა ხოლმე; ანტუანი

მას მხედველობის არედან არ უშვებდა; ბატონმა პროფიტანდიემ ორი სტრიქონის წაკითხვაც ვერ მოასწრო, რომ კარზე კაკუნი შემოესმა.

„— დამავიწყდა ბატონისთვის მეთქვა, რომ ორი ქალბატონი ელოდება მცირე სასტუმრო ოთახში.

— ვინ არიან?

— არ ვიცი.

— ერთად არიან?

— არ ემჩნევათ.

— ჩემგან რა უნდათ?

— არ ვიცი. ბატონის ნახვა სურთ".

პროფიტანდიემ იგრძნო, რომ მოთმინებას კარგავდა.

„— უკვე ვთქვი და რამდენჯერ გავიმეორე, რომ არ მსურს აქ ვინმე მოდიოდეს და მაწუხებდეს, განსაკუთრებით ამ დროს; მე სასამართლოში მაქვს მიღების დღეები და საათები... რატომ შემოუშვი?

— ორივემ თქვა, რომ სასწრაფო და გადაუდებელი საქმე აქვთ ბატონთან.

— დიდი ხანია აქ არიან?

— მალე ერთი საათი შესრულდება".

პროფიტანდიემ ოთახში რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და შუბლზე ხელი გადაისვა, მეორე ხელში ბერნარის წერილი ეჭირა. ანტუანი ღირსეული, აღუშფოთებელი იერით იდგა. ბოლოს და ბოლოს, ეღირსა და ნახავს ჩვეულ სიმშვიდეს როგორ დაკარგავს მოსამართლე, ცხოვრებაში პირველად იხილავს როგორ დააბაკუნებს ფეხებს და ხმას აუწევს:

„— თავი დამანებონ! თავი დამანებონ! უთხარი, რომ დაკავებული ვარ. სხვა დროს მოვიდნენ".

ანტუანმა გასვლა ვერც მოასწრო, რომ პროფიტანდიე კართან გაჩნდა:

„— ანტუან! ანტუან!.. მერე სააბაზანოში ონკანები დაკეტე".

რაღა დროს აბაზანის მიღება იყო! ფანჯარას მიუახლოვდა და კითხვა დაიწყო:

„ბატონო ჩემო,

ერთი აღმოჩენის შემდეგ, რაც სრულიად შემთხვევით მოხდა დღეს, მივხვდი, რომ აღარ უნდა მიგიჩნიოთ მამად, რამაც უზარმაზარი შვება მომგვარა. თითქმის არავითარი სიყვარული თქვენდამი არ გამაჩნდა, და ამის გამო დიდი ხანია საკუთარ თავს ზნეობრივ

სიმახინჯედ აღვიქვამდი; ამიტომ ჩემთვის გაცილებით სასიამოვნოა იმის შეგნება, რომ თქვენი შვილი საერთოდ არა ვყოფილვარ. შეიძლება იმის იმედიც გაქვთ, რომ თქვენდამი მადლიერების გრძნობა უნდა მქონდეს, რადგან ისე მექცეოდით, როგორც ერთ-ერთ საკუთარ შვილს, მაგრამ, ჯერ ერთი, მუდამ ვგრძნობდი იმ განსხვავებას, რომელსაც ჩემ და მათ მიმართ დამოკიდებულებაში იჩენდით. მეორე, საკმაოდ კარგად გიცნობთ და მესმის, ასე სახელის გატეხვის შიშით მოიქეცით, რათა დაგეფარათ ის გარემოება, რომელიც ღირსეულად არ წარმოგაჩენდათ; დაბოლოს, სხვანაირად მოქცევა ვერ შეძელით. ვამჯობინებ, დედაჩემის უნახავად წავიდე, რადგან მეშინია, მასთან სამუდამო განშორება გულს მომილბობს; და კიდევ იმიტომ, რომ ჩემს წინაშე თავი უხერხულად არ იგრძნოს, რაც ჩემთვის ფრიად არასასიამოვნო იქნებოდა. მეეჭვება, მას ასერიგად ვუყვარდე; მე ხომ დროის უმეტესი ნაწილი პანსიონში გავატარე, რის გამოც, თითქმის არც მიცნობს; და რადგან ჩემი დანახვა, ალბათ, გამუდმებით ახსენებდა თავისი ცხოვრების რომელიღაც ეპიზოდს, რომლის მეხსიერებაში წაშლასაც ამჯობინებდა, ამიტომ მგონია, ჩემი წასვლით ერთგვარ შვებასაც იგრძნობს და სიამოვნებასაც. თუ ვაჟკაცობა გეყოთ, უთხარით, სულაც არ ვადანაშაულებ უკანონო შვილი რომ აღმოვჩნდი; პირიქით, ეს უფრო მომწონს, ვიდრე თქვენგან მოვვლენოდი ამ ქვეყანას (მომიტევეთ ამ სიტყვებისთვის. სულაც არ განმიზრახავს თქვენი შეურაცხყოფა. მაგრამ ის, რაც ვთქვი, სრულ უფლებას გაძლევთ შეგეზიზღოთ, და ეს შვებას მოგანიჭებთ).

თუ გსურთ საიდუმლოდ შევინახო ის მიზეზები, რამაც თქვენი ოჯახის მიტოვება მაიძულა, მაშინ, გთხოვთ, ჩემს უკან დაბრუნებას ნუ ეცდებით. უნდა მიგატოვოთ; ჩემ მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა. არ ვიცი, დღემდე ჩემს მოვლა-პატრონობაზე რა თანხა დახარჯეთ; მანამდე, ვიდრე არაფერი ვიცოდი და თქვენს ხარჯზე ვცხოვრობდი, ამაში სამარცხვინო არაფერი იყო; ამიერიდან კი, ბუნებრივია, ვვამჯობინებ არაფერი მივიღო თქვენგან. ჩემთვის უკვე აუტანელია იმის გაფიქრებაც, რომ რაღაცით თქვენგან დავალებული ვარ, და მიჯობს, შიმშილით მოვკვდე, ვიდრე კვლავ მივუჯდე თქვენს სუფრას. საბედნიეროდ, ბუნდოვნად მახსოვს ოდესღაც ნათქვამი სიტყვები, იმ დროს, როცა დედაჩემი ცოლად მოგყვებოდათ, რომ იგი თქვენზე მდიდარია. მაშასადამე, შემიძლია თავისუფლად ვიფიქრო, მხოლოდ და მხოლოდ მის ხარჯზე მიცხოვრია. მისი მადლობელი ვარ,

ვათავისუფლებ ყველა მოვალეობისგან და ვთხოვ, დამივიწყოს. თქვენ კი, ვფიქრობ, შეძლებთ და როგორმე აუხსნით სახლიდან ჩემს წასვლას იმათ, ვისაც გაუკვირდება. ნებას გაძლევთ დამადანაშაულოთ (თუმცა, კარგად ვიცი, არ დააყოვნებთ და ჩემი ნებართვის გარეშეც ასე მოიქცევით).

ვაწერ თქვენს კუთვნილ სასაცილო გვარს, რომელსაც სიამოვნებით გიბრუნებთ, და რომელსაც პირველივე შესაძლებლობისთანავე ვეცდები შევარცხვინო.

**ბერნარ პროფიტანდიე**

P.S. ჩემს ნივთებს თქვენთან ვტოვებ; იმედი მაქვს, კალუს უფრო მეტი კანონიერებით გამოადგება, ვიდრე მე".

ბატონმა პროფიტანდიემ ბარბაცით ძლივს მიაღწია სავარძელს. უნდოდა ყველაფერი მოეფიქრებინა, აეწონ-დაეწონა, მაგრამ აზრები თავში არეულ-დარეულად, სწრაფად დაუტრიალდა; ამას მარჯვენა გვერდში, ნეკნებქვეშ მსუბუქი ჩხვლეტებიც დაერთო: ეს ღვიძლის შეტევა იყო, რომლის აღსაკვეთადაც საშუალება არ არსებობდა. ნუთუ სახლში ვიშის წყალიც[1] არ არის? ცოლი მაინც მალე დაბრუნდეს! როგორ უთხრას, რომ ბერნარი გაიქცა? ღირს კი წერილი აჩვენოს? ეს წერილი ხომ უსამართლოა? საშინლად უსამართლო. ცხადია, მასში არის რაღაც აღმაშფოთებელი. და იგი მზად იყო თავის სევდაზეც აღშფოთებულიყო, რომელმაც მთლიანად მოიცვა. ღრმად სუნთქავდა, ყოველ ამოსუნთქვას „ოჰ! ღმერთო ჩემო!"-ო, ამოაყოლებდა — სწრაფად და სუსტად, ოხვრასავით. გვერდის ტკივილი თითქოს მის მწუხარებას შეერია, უფრო საგრძნობი გახდა და ერთ ადგილზე მოიყარა თავი. ასე ეგონა, თითქოს მისი მწუხარება ღვიძლში იბადებოდა. სავარძელზე დაეცა და ისევ გადაიკითხა ბერნარის წერილი; მერე ნაღვლიანად აიჩეჩა მხრები. ცხადია, წერილი ძალიან მკაცრი იყო; მასში წყენაც იგრძნობოდა, გამოწვევაც და თავმოწონებაც. ვერასოდეს ვერც ერთი მისი შვილი, ნამდვილი შვილი, ასე წერას ვერ შეძლებდა, თუმცა თვითონაც ვერ დაწერდა ასე; მშვენივრად ესმოდა ეს, რადგან მათში სხვას ვერაფერს ამჩნევდა, რაც თვით მასში არ იყო. ცხადია, მუდამ მიაჩნდა, რომ საჭიროა დაეგმო ის რაღაც ახალი, უხეში და

1. მინერალური წყალი

უდრეკი, რაც ბერნარში აღმოაჩინა; ახლაც ასევე ფიქრობდა, მაგრამ იმავე დროს მშვენივრად გრძნობდა, რომ ზუსტად ამის გამო უყვარდა იგი, სხვა დანარჩენ თავის შვილებზე უფრო მეტად.

მეზობელი ოთახიდან შემოესმა კონცერტიდან დაბრუნებული სესილი როგორ მიუჯდა როიალს და ჯიუტად როგორ იმეორებდა ბარკაროლას ერთი და იმავე ფრაზას; ერთხანს უსმინა, მერე ვეღარ მოითმინა, სასტუმრო ოთახის კარი გამოაღო და საცოდავი, თითქმის მავედრებელი ხმით, რადგან ღვიძლის ტკივილი უფრო უძლიერდებოდა და ულმობლად სტანჯავდა (თანაც ქალიშვილთან ურთიერთობისას მუდამ ოდნავ მორცხვობდა კიდეც), უთხრა:

„— ჩემო პატარა სესილი, შეგიძლია ნახო, სახლში, სადმე ვიშის წყალი ხომ არ არის? თუ არ არის, იქნებ ვინმე გააგზავნო ამოსატანად. და კიდევ, გთხოვ, როიალზე დაკვრა ცოტა ხნით შეწყვიტო.

— ცუდად ხარ?

— არა, არა. უბრალოდ სადილამდე რაღაც მინდა მოვიფიქრო; შენი მუსიკა კი ხელს მიშლის, ყურადღებას მიფანტავს“.

და რომ ესიამოვნებინა, რადგან მწუხარება მუდამ კეთილს ხდიდა ხოლმე, დაუმატა:

„— ძალიან სასიამოვნო იყო, რასაც ახლა უკრავდი. რა არის?“

მაგრამ ისე გავიდა ოთახიდან, პასუხისთვის არც მოუცდია. თუმცა, მისმა ქალიშვილმა კარგად იცოდა, რომ მას მუსიკისა არაფერი გაეგებოდა; ერთმანეთში ურევდა უხამს მოდურ მუსიკასა და „ტანჰაიზერის“ მარშს (ყოველ შემთხვევაში, სესილი ასე ამბობდა) და პასუხის გაცემა არც დაუპირებია. მამამისმა ისევ გამოაღო კარი:

„— დედაშენი კიდევ არ დაბრუნებულა?

— არა. ჯერ არა“.

ყველაფერი უიღბლოდ ეწყობა. ისე გვიან დაბრუნდება, ვახშმობამდე დალაპარაკებას ვერ მოახერხებს. მანამდე კი რაღაცის მოფიქრებაა საჭირო, რომ ბერნარის მოუსვლელობა როგორმე ახსნას, მაგრამ როგორ? სიმართლის თქმა არ შეუძლია, ბავშვებს იმ საიდუმლოს ვერ გაუმხელს, ერთხელ მათი დედა რომ ცოდვაში ჩააგდო. ყველაფერი დიდი ხნის წინ მოხდა, ნაპატიებია, დავიწყებული, გამოსნორებული. უმცროსი შვილის დაბადებამ კი ისინი საბოლოოდ შეარიგა. და უცბად, ნარსულიდან შურისმაძიებლის ლანდი გამოჩნდა; ცხედარი, რომელიც ტალღამ გამორიყა...

ეს კიდევ რაღაა? მისი კაბინეტის კარი უხმაუროდ გაიღო; პიჯაკის

შიდა ჯიბეში სწრაფად ჩააცურა ნერილი; კარის ფარდა ნელა გადაინია და კალუ გამოჩნდა.

„— მამა, მითხარი... რას ნიშნავს, ეს ლათინური წინადადება. ვერაფერი გავუგე...

— ხომ გითხარი, დაუკაკუნებლად შემოსვლა არ შეიძლება. თანაც არ მინდა, რომ ათასგვარი მიზეზის გამო ხელი შემიშალო მუშაობაში. ჩვეულებად გექცა ვინმეს სთხოვო დახმარება, სხვა ამუშაო, იმის მაგივრად, რომ თვითონ იშრომო. გუშინ გეომეტრიის ამოცანა იყო, დღეს... საიდან არის ეგ შენი ლათინური წინადადება?"

კალუმ რვეული გაუწოდა:

„— არ გვითხრა. დახედე მხოლოდ და უცბად მიხვდები. გვიკარნახა, შეიძლება ცუდადაც ჩავინერე. მინდოდა, გამეგო სწორი თუა მაინც...".

ბატონმა პროფიტანდიემ რვეული გამოართვა; ტკივილი არ ეშვებოდა, აწამებდა, ამიტომ ბავშვი ფრთხილად მოიშორა:

„— მოგვიანებით. ახლა ვახშმობის დროა. შარლი დაბრუნდა?

— თავის კაბინეტში ჩავიდა (ადვოკატი კლიენტებს პირველ სართულზე იღებდა).

— უთხარი ჩემთან შემოვიდეს. იჩქარე".

ზარი! ბოლოს და ბოლოს, ქალბატონი პროფიტანდიეც დაბრუნდა; დაგვიანებისთვის ბოდიში მოიხადა; ბევრგან შეევლო სტუმრად. მეუღლის ავადმყოფობამ დააღონა. რამეთი ხომ არ შეუძლია დახმარება? მართლაც, ძალიან ცუდად გამოიყურება. — ვახშმობის თავიც არ აქვს. სჯობს, უიმისოდ მიუსხდნენ სუფრას; ვახშმობის შემდეგ კი, ბავშვებთან ერთად ყველას თავის ოთახში ელის. — ბერნარი? — აჰ, დიახ; მეგობარმა... შენ იცნობ მას, მათემატიკის გამოცდისთვის ერთად ემზადებოდნენ, შემოუარა და ვახშამზე მიიწვია.

პროფიტანდიემ უკეთ იგრძნო თავი. ჯერ შეეშინდა, ვაითუ ტკივილმა ლაპარაკის საშუალება არ მომცესო. მაგრამ ბერნარის გაქრობის მიზეზის ახსნა აუცილებელი იყო. ახლა უკვე იცოდა, რაც უნდა ეთქვა. იტყვის, როგორი სამწუხაროც უნდა იყოს. სიმტკიცე და გამბედაობა იგრძნო. ერთადერთი რისიც ეშინოდა ის იყო, რომ ცოლს ტირილით ან ყვირილით სიტყვა არ შეეწყვეტინებინა; ცუდად არ გამხდარიყო...

ერთი საათის შემდეგ ქალბატონი პროფიტანდიე სამ შვილთან ერთად მასთან შევიდა და მიუახლოვდა. ბატონმა პროფიტანდიემ თავისი სავარძლის პირდაპირ დასვა.

„— ეცადე,თავი შეიკავო, — უთხრა დაბალი ხმით, მაგრამ ბრძანების ტონით, — ერთი სიტყვაც არ თქვა, გესმის? მერე ყველაფერს ორივე ერთად განვსჯით“.

ვიდრე ლაპარაკობდა, ქალის ხელი ხელებში ეჭირა.

„— დასხედით, ბავშვებო. ვერ ვლაპარაკობ, ვიდრე ჩემს წინაშე ისე დგახართ, თითქოს გამოცდაზე იყოთ. ფრიად სამწუხარო ამბავი უნდა გითხრათ... ბერნარმა მიგვატოვა, და მეტად ველარ ვნახავთ... ერთხანს მაინც. დღეს უნდა ისეთი რაღაც გაუწყოთ, რასაც უნინ ვფარავდი, რადგან მსურდა ბერნარი ისე გყვარებოდათ, როგორც ძმა; დედათქვენსა და მე იგი ისე გვიყვარდა, როგორც საკუთარი შვილი. სინამდვილეში, ის ჩვენი შვილი არ იყო... და აი, მისი ბიძა, მისი ნამდვილი დედის, რომელმაც სიკვდილის ნინ ჩვენ მოგვანდო მასზე მზრუნველობა, ძმა... ამ საღამოს მოვიდა და ნაიყვანა“.

ამ სიტყვებს სამარისებური სიჩუმე მოჰყვა, რომელსაც მხოლოდ კალუს სრუტუნი არღვევდა. ყველა ელოდა, რომ მამა კიდევ იტყოდა რამეს, მაგრამ მან ხელი ჩაიქნია:

„— ახლა ნადით, ბავშვებო. დედათქვენს უნდა ველაპარაკო“.

მათი წასვლის შემდეგ, ბატონი პროფიტანდიე დიდხანს იყო ჩუმად. ქალბატონ პროფიტანდიეს ხელი, რომელიც ისევ ხელში ეჭირა, მიცვალებულის ხელივით იყო გაშეშებული; მეორე ხელით ცხვირსახოცი თვალებთან მიიტანა; მერე დიდ მაგიდას დაეყრდნო, შებრუნდა და ტირილი წასკდა. პროფიტანდიეს შემოესმა, ქვითინისგან აკანკალებული ხმით როგორ ნაიჩურჩულა ქალმა:

„— ოო! რა მკაცრი ხართ... ოო! თქვენ ის გააგდეთ!..“

აქამდე არ აპირებდა მისთვის ბერნარის წერილი ეჩვენებინა; ასეთი უსამართლო ბრალდების შემდეგ იძულებული გახდა გამოეჩინა:

„— აი, წაიკითხე.

— არ შემიძლია.

— უნდა წაიკითხო“.

საკუთარ ტკივილზე აღარ ფიქრობდა და ვიდრე ცოლი სიტყვასიტყვით კითხულობდა წერილს, მისთვის თვალი არ მოუშორებია. ლაპარაკის დროს ცრემლს ძლივს იკავებდა, მაგრამ მღელვარება გაუქრა, და მხოლოდ ცოლს აკვირდებოდა. რას ფიქრობს? რა აზრები უტრიალებს თავში? ისეთივე საცოდავი ხმით, ნანყვეტ-ნანყვეტი ქვითინით, ქალმა ისევ ნაიჩურჩულა:

„— ოო! რატომ უთხარი... არ უნდა გეთქვა.

— მაგრამ, ხომ ხედავ, არაფერი მითქვამს... წერილი ყურადღებით წაიკითხე.

— ყურადღებით წავიკითხე... მაშ, როგორ გაიგო? ვინ უთხრა?.."

რა?! აი, თურმე რაზე ფიქრობს! აი, თურმე რა არის მისი მწუხარების მიზეზი! ამ საშინელ ამბავს ისინი უნდა გაეერთიანებინა. აფსუს! პროფიტანდიე ბუნდოვნად გრძნობდა, რომ მათ აზრებს სხვადასხვა მიმართულება ჰქონდა. ქალი ჩივის, ადანაშაულებს, ოხრავს, თვითონ კი ცდილობს, ეს ურჩი სული უფრო ღვთისნიერი გრძნობებისკენ მიმართოს:

„— აი, ამას ჰქვია ცოდვების გამოსყიდვა". — თქვა პროფიტანდიემ.

ინსტინქტით იგრძნო, თავისი უპირატესობა უნდა განემტკიცებინა და ადგა, გაიმართა, ფიზიკური ტკივილი დაავიწყდა, დინჯად, ნაზად და მბრძანებლურად მარგარეტს მხარზე ხელი დაადო. კარგად იცოდა, ქალი ნაკლებად ნანობდა იმას, რაც მას სურდა მხოლოდ წუთიერ სისუსტედ ჩაეთვალა. ახლა უნდოდა მისთვის ჩაეგონებინა, რომ ეს სამწუხარო ამბავი, ეს გამოცდა დაეხმარება დანაშაულის გამოსყიდვაში. ოღონდ, ამაოდ ცდილობდა იმ ფორმულის პოვნას, რომელიც მასაც დააკმაყოფილებდა და ქალისთვისაც მისაღები იქნებოდა. მსუბუქად დადებულ მის ხელს მარგარეტის მხარი წინააღმდეგობას უწევდა. ქალმა იცოდა, ძალიან კარგადაც იცოდა, რომ ბატონი პროფიტანდიე ცხოვრებაში მომხდარი ყოველი მოვლენიდან, აუცილებლად და დაუნდობლად, მხოლოდ ზნეობრივ საკითხებს გამოყოფდა: ყველაფერს ისე აგებდა და განმარტავდა, როგორც თავისი დოგმა კარნახობდა. ბატონი პროფიტანდიე ქალისკენ დაიხარა. აი, რა უნდოდა ეთქვა მისთვის:

„— ჩემო საცოდავო მეგობარო, ხომ ხედავ ცოდვას კარგი არაფერი მოაქვს. როგორ არ ვეცადეთ შენი შეცოდება დაგვეფარა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ეეჰ! მე ხომ ამ ბავშვისთვის ყველაფერი გავაკეთე, რაც კი შემეძლო; ისე ვექცეოდი, როგორც საკუთარს. უფალი ახლა გვიჩვენებს, რომ შევცდით, რომ იმედად ყოფნა...".

მაგრამ პირველსავე წინადადებაზე შეჩერდა.

და ეჭვი არ არის, ქალი ამ რამდენიმე სიტყვით, ასე რომ იყო აზრით დატვირთული, ყველაფერს მიხვდა; ეჭვი არ არის, ნათქვამი გულში მოხვდა, რადგან, თითქმის შეწყვეტილი ტირილი ისევ აუვარდა, თანაც უფრო ძლიერად; მერე მოიხარა, თითქოს მის წინ დაჩოქებას აპირებსო, მაგრამ კაცმა ეს ჟესტი თავიდან აირიდა, დაიხარა

და შეაკავა. მაგრამ ქვითინის დროს ნეტავ რას ამბობს? კაცი მის ტუჩებამდე დაიხარა და შემოესმა:

„— ხომ ხედავ... ხომ ხედავ... ოჰ! რატომ მაპატიე?.. ოჰ! არ უნდა დავბრუნებულიყავი!"

ქმარმა ძლივს გაარჩია მისი სიტყვები. ქალი დადუმდა. ამანაც ვერ შეძლო იმისი თქმა, რაც უნდოდა. აბა, რა სიტყვები უნდა მოეძებნა და როგორ აეხსნა მისთვის, რომ პატიმარივით გრძნობდა თავს იმ სათნოებაში, რომელსაც ქმარი მისგან მოითხოვდა; რომ იხრჩობოდა; რომ ახლა იმდენად თავის ცოდვას კი არ ნანობდა, რამდენადაც იმას, რომ მას ნანობდა საერთოდ. პროფიტანდიე წელში გაიმართა:

„— საბრალო ჩემო მეგობარო, — წარმოთქვა მან ღირსეულად და მკაცრად, — მგონი, ამ საღამოს მეტისმეტად ბევრი ინერვიულე. უკვე გვიანია. კარგი იქნება თუ დავწვებით".

ადგომაში დაეხმარა, საწოლი ოთახის კარამდე მიაცილა, შუბლზე ტუჩები შეახო, მერე კაბინეტში დაბრუნდა და სავარძელში ჩავარდა. უცნაურია, ღვიძლის შეტევამ გაუარა; მაგრამ თავს დაღლილად გრძნობდა. შუბლზე ხელები შემოიწყო; მისი მწუხარება იმდენად დიდი იყო, ტირილი ვერ შეძლო. კარზე კაკუნი ვერ გაიგო, მაგრამ კარის გაღების ხმამ თავი ააწევინა: მისი ვაჟი შარლი აღმოჩნდა:

„— ღამე მშვიდობის სათქმელად მოვედი".

შარლი მიუახლოვდა. ის ყველაფერს მიხვდა. და უნდოდა ამას მამაც მიმხვდარიყო და თავისი თანაგრძნობა, სიყვარული, ერთგულება გამოეხატა მისდამი, მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ ადვოკატი სიტყვებით ამის გამოხატვას ვერ შეძლებდა; თუმცა, შეიძლება ეს სისუსტე ზუსტად მაშინ გამოუმჟღავნდა, როცა მისი გრძნობები ჭეშმარიტი იყო. ის მამას მოეხვია; თავი მხარზე დაადო, ერთხანს ასე დარჩა და ბატონ პროფიტანდიეს საშუალება მისცა დარწმუნებულიყო, რომ შვილი ყველაფერს მიხვდა. იმდენად კარგად მიხვდა, რომ, როცა თავი ოდნავ ასწია, ისევე მოუქნელად ჰკითხა, როგორც ყველაფერს აკეთებდა, — შარლი თავის მოუქნელობას გრძნობდა, მაგრამ ახლა გული ისე ჰქონდა, თავი ვერ შეიკავა:

„— კალუ?"

უაზრო კითხვა კი იყო, რადგან კალუს მსგავსება ოჯახის დანარჩენ წევრებთან იმდენად საგრძნობი ჩანდა, რამდენადაც ბერნარი არ ჰგავდა სხვა შვილებს. პროფიტანდიემ შარლს მხარზე ხელი დაადო:

„— არა, არა. დამშვიდდი. მხოლოდ ბერნარი".

შარლმა მაღალფარდოვნად წამოიწყო:

„— უფალი განაძევებს უცხოს, რამეთუ...".

მაგრამ პროფიტანდიემ შეაჩერა; აბა, რა საჭირო იყო ასე ლაპარაკი?

„— გაჩუმდი".

მამასა და შვილს სათქმელი აღარაფერი აქვთ. მაშ, ასე დავტოვოთ ისინი. მალე თერთმეტი საათი გახდება. ქალბატონი პროფიტანდიეც ასევე დავტოვოთ, თავის ოთახში, ოდნავ მოუხერხებელ, პატარა სკამზე მჯდარი. ის აღარ ტირის, არც არაფერზე ფიქრობს. მასაც გაქცევა უნდა; მაგრამ ამას არ გააკეთებს. როცა თავის სატრფოსთან, ბერნარის მამასთან იყო, რომლის გაცნობაც ჩვენთვის აუცილებელი არ არის, მაშინ საკუთარ თავს უთხრა: „რაც უნდა ჩაიდინო, მაინც სამუდამოდ პატიოსან ქალად დარჩები"-ო. მას თავისუფლებისა ეშინოდა, ძალდატანებისა ეშინოდა, დანაშაულისა ეშინოდა და ამიტომაც ათი დღის შემდეგ მონანიებით დაუბრუნდა საკუთარ კერას. ოდესღაც მშობლები სრულიად სამართლიანად ეუბნებოდნენ: „არასოდეს არ იცი, რა გინდა". ესეც ისევე დავტოვოთ, როგორც არის. სესილის უკვე სძინავს. კალუ სასონარკვეთილი უყურებს სანთელს, რადგან მანამდე ჩაიწვება, ვიდრე სათავგადასავლო წიგნს ჩაათავებს, რომელიც ბერნარის ნასვლაზე ფიქრს არ ანებებს. წინააღმდეგი არ ვიქნებოდი გამეგო, რა უამბო ანტუანმა თავის მეგობარ მზარეულ ქალს, მაგრამ ყველას მიყურადება შეუძლებელია. აი, მოვიდა დრო, როცა ბერნარი ოლივიესთან უნდა მივიდეს. მართალია, არ ვიცი, სად ისადილა ამ საღამოს; არც ის, საერთოდ თუ ისადილა. მან დაუბრკოლებლად გაიარა მეკარის ოთახის წინ და მალვით ადის კიბეზე...

## III

Plenty and peace breeds cowards;
hardness ever of hardiness is mother.
**Shakespeare**[1]

ოლივიე დანვა; დედას ელოდება, რომელიც ყოველ საღამოს შედის ორი უმცროსი შვილის ოთახში მშვიდობის ღამე რომ უსურვოს და აკოცოს. ბერნარის მისაღებად ოლივიეს შეეძლო ისევ ჩაეცვა, მაგრამ ეჭვი ეპარებოდა, რომ მოვიდოდა; იმისაც ეშინოდა, უმცროსი ძმა არ გაელვიძებინა. ჟორჟი ჩვეულებრივ სწრაფად იძინებდა და გვიან იღვიძებდა; ალბათ, ვერც შეამჩნევდა რაიმე უჩვეულოს.

კარზე ფრთხილი ფხაჭუნის მსგავსი ხმა შემოესმა; ოლივიე საწოლიდან წამოხტა, ფეხი ფოსტლებში წაყო და კარს გასაღებად მივარდა. სინათლის ანთება საჭირო არ იყო: მთვარის ნათელი საკმარისად ანათებდა ოთახს. ოლივიე ბერნარს გადაეხვია.

„— როგორ გელოდი! არცა მჯეროდა, მოხვიდოდი. შენმა მშობლებმა იციან, რომ ამ საღამოს დასაძინებლად არ მიხვალ?“

ბერნარი წინ იყურებოდა სიბნელეში და მხრები აიჩეჩა მხოლოდ.

„— შენ რა, გგონია, მოვალე ვარ ნებართვა ვთხოვო მათ, ჰა?“

ხმის ტონი ისეთი ცივი და ირონიული ჰქონდა, ოლივიემ მაშინვე იგრძნო თავისი კითხვის უაზრობა. ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყო, რომ ბერნარი სახლიდან „მართლა“ წამოვიდა; ეგონა, მხოლოდ ერთი ღამის გატარება უნდოდა სხვაგან; ამ საქციელის მიზეზს ვერ ხსნიდა და თავგზა ებნეოდა. ჰკითხა კიდეც: სახლში დაბრუნებას როდის აპირებო? — არასოდეს! — იყო პასუხი. აი, მაშინ კი გონება გაუნათდა ოლივიეს და ყველაფერს მიხვდა. ძალიან უნდოდა მდგომარეობის სიმაღლეზე დარჩენილიყო, არაფერი გაეოცებინა, მაგრამ, მაინც წამოიძახა: „— დაუჯერებელია, რასაც აკეთებ“.

---

1. „დოვლათი და უსაქმურობა ბადებს მშიშარას, გაჭირვება კი დედა არის ვაჟკაცობისა“. (შექსპირი)

ბერნარს მოსწონდა თავისი მეგობრის, აი, ასე, ოდნავი გაოცება; განსაკუთრებით აღფრთოვანების კილო ესიამოვნა, მის სიტყვებში რომ გაკრთა; მაგრამ არ გამოხატა და ისევ მხრები აიჩეჩა. ოლივიემ ხელი მოჰკიდა; სახის ძალზე სერიოზული გამომეტყველებით, მღელვარედ ჰკითხა:

„—მაგრამ... რატომ წამოხვედი?

— ოჯახური ამბავია, მეგობარო. არ შემიძლია გითხრა. — და მეტისმეტად სერიოზული რომ არ გამოჩენილიყო, გაიხუმრა: თავისი ფეხსაცმლის ჭვინტი მის გვერდით საწოლზე მჯდარ ოლივიეს ფეხზე მოქანავე ფოსტალს წამოსდო და გააძრო. ფეხსაცმელი იატაკზე დაეცა.

— სადღა იცხოვრებ?

— არ ვიცი.

— რითი იცხოვრებ?

— მერე გამოჩნდება.

— ფული თუ გაქვს მაინც?

— ხვალინდელ სადილს ეყოფა.

— მერე?

— მერე რაღაცა უნდა მოვძებნო. მგონი, მოვიფიქრე. მერე გეტყვი".

ოლივიე უსაზღვროდ მოიხიბლა მეგობრით. იცოდა, გაბედული იყო, მაგრამ ეჭვი მაინც გულს უღრღნიდა; უსახსრობისა და შექმნილი მდგომარეობის ზეგავლენით, სახლში დაბრუნება ხომ არ მოუხდება? ბერნარის კატეგორიულმა პასუხმა დაამშვიდა: ყველაფერს ვეცდები, რომ ჩემიანებთან არ დავბრუნდეო. და რადგან ეს „ყველაფერს ვეცდები" რამდენჯერმე გაიმეორა უფრო და უფრო გამკაცრებული ხმით, ოლივიეს გული სევდიანი წინათგრძნობით შეეკუმშა. რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერ გაბედა. ბოლოს, თავჩაქინდრულმა, არცთუ დამარწმუნებელი ხმით დაიწყო:

„— ბერნარ... ხომ არ აპირებ... — მაგრამ შეჩერდა. მეგობარმა შეხედა, თუმცა სიბნელე მისი სახის დანახვის საშუალებას არ აძლევდა, მაინც გაარჩია, რომ ოლივიე შემკრთალი იყო.

— რას? — ჰკითხა. — რისი თქმა გინდა? თქვი. ქურდობას?"

ოლივიემ თავი გააქნია. არა, ეს არა. უცებ ცრემლები ჩამოუგორდა და აკანკალებული ბერნარს ჩაეხვია.

„— პირობა მომეცი, რომ არ...".

ბერნარმა გულში ჩაიკრა, მერე სიცილით მოიშორა. ყველაფერს მიხვდა:

„— ამის პირობას კი მოგცემ. არა, სუტენიორობას არ ვაპირებ. — და იქვე დაუმატა, — დამეთანხმე, რომ ეს ყველაზე მარტივი გამოსავალი იქნება".

ოლივიე დამშვიდდა; იმასაც მიხვდა, ამ ბოლო სიტყვებით მოჩვენებით ცინიზმს ხარკი რომ გადაუხადა.

„— გამოცდები?

— დიახ, ეს ერთადერთია, რაც მაწუხებს. დამარცხება მაინც არ მინდა. მგონი, მზად ვარ ჩავაბარო. მთავარია, ჩაბარების დღეს დაღლილი არ ვიყო. საჭიროა, ამ საქმეს სწრაფად დავაღწიო თავი. ცხადია, ცოტა საფრთხე არის, მაგრამ... თავს დავაღწევ, აი, ნახავ".

ერთხანს ჩუმად ისხდნენ. ოლივიეს მეორე ფოსტალიც ჩამოუვარდა ფეხიდან.

ბერნარი:

„— გაცივდები. დაწექი.

— არა. შენ დაწექი, უმჯობესია.

— ხუმრობ! აბა, მიდი, სწრაფად. — და ძალით დააწვინა ოლივიე ლოგინში.

— შენ? შენ სადღა დაწვები?

— მნიშვნელობა არ აქვს. იატაკზე. სადმე კუთხეში. უნდა მივეჩვიო.

— არა. მისმინე. რაღაც მინდა გითხრა, მაგრამ თქმას ვერ შევძლებ, თუ ჩემთან ახლოს, სულ ახლოს არ იქნები. ჩემთან დაწექი. — და იმის შემდეგ, როცა უცბად ტანგახდილი ბერნარი საწოლში ჩაუწვა, უთხრა: — გახსოვს, ამას წინათ რომ გელაპარაკე... იქ წავედი. იქ ვიყავი".

ბერნარი მიუხვდა; მეგობარს მიეკრო, რომელმაც გააგრძელა:

„— უნდა გამოგიტყდე, რომ საზიზღრობაა, საშინელებაა. ამის შემდეგ ფურთხების, ღებინების, ტყავის გაძრობისა და სიკვდილის სურვილმა მომიარა.

— აჭარბებ უკვე.

— ანდა ის მინდოდა მომეკლა, ის...

— ვინ ის? იმედი მაქვს, გაუფრთხილებლობა არ გამოიჩინე და ვინც პირველი შეგხვდა, იმასთან არ იწექი.

— არა. ერთი ქალია. დიურმერი იცნობს კარგად. იმან გამაცნო.

ყველაზე მეტად მისი ლაპარაკი შემეზიზღა. გაუჩერებლად ლაქლაქებდა. რა სისულელეს აღარ ამბობდა! ვერ გამიგია, ნუთუ ასეთ წუთებში გაჩუმება არ შეიძლება. მინდოდა მისთვის პირი ამომევსო, დამეხრჩო...

— ჩემო საცოდავო მეგობარო! უნდა მიმხვდარიყავი, რომ დიურმერი ვინმე სულელს შემოგაჩეჩებდა... ლამაზი მაინც იყო?

— გგონია, დამინახავს!

— რა სულელი ხარ. საყვარელი ვინმე ხარ. დავიძინოთ... ყოველ შემთხვევაში, კარგად მაინც თუ...

— ეშმაკმა დალახვროს! ზუსტად ეს შემეზიზღა ყველაზე მეტად, რომ მაინც შევძელი... და ვითომ ძალიან მსურდა.

— ძალიან კარგი, მეგობარო, დიდებულია.

— გაჩუმდი. თუ ამას ჰქვია სიყვარული, მაშინ კარგა დიდხანს ვიქნები მისით მაძღარი.

— ისევ ბავშვი ხარ! ერთი ჩემს ადგილზე, შენ რას იზამდი.

— ოო! ხომ იცი, ამისკენ არც ისე ვისწრაფვი. ხომ გითხარი, თავგადასავალს ველი—მეთქი. აი, ასე, ცივად, გულგრილად არ შემიძლია, უმცირესი სურვილიც არა მაქვს. და თუ მაინც...

— და თუ მაინც...

— და თუ მაინც... არაფერი, არაფერი. დავიძინოთ. — უცბად გადაბრუნდა და ზურგი შეაქცია, თან ოდნავ გამოიწია, მოშორდა მეგობრის სხეულს, რომელსაც უეცრად ცეცხლი მოედო. წამის შემდეგ ოლივიემ ისევ ჰკითხა:

— მითხარი ერთი... გჯერა, რომ ბარესს აირჩევენ?

— ღმერთო დიდებულო!.. ეს ასე გაღელვებს?

— მიმიფურთხებია! ყური მიგდე... ცოტა ხანს მომისმინე რა... — ბერნარს მხარზე ხელი დაადო. ის გადმობრუნდა. —ჩემს ძმას საყვარელი ჰყავს.

— ჟორჟს?"

პატარა თავს იმძინარებდა, დაძაბული უსმენდა საუბარს, თავისი სახელი გაიგო თუ არა, სუნთქვა შეაჩერა.

„— გიჟი ხარ! ვენსანზე გეუბნები (ოლივიეს უფროსი ძმა ვენსანი სამედიცინო ფაკულტეტის სწავლების პირველ ნახევარს ამთავრებდა).

— თვითონ გითხრა?

— არა. ეჭვიც არ აქვს, რომ ვიცი. არც მშობლებმა იციან რამე.

— თუ გაიგებენ, რას იტყვიან?

— არ ვიცი. დედაჩემი სასონარკვეთილებაში ჩავარდება. მამა კი ან განშორებას მოითხოვს ან დაქორწინებას.

— ეშმაკმა დალახვროს! ამ ნესიერ ბურჟუებს ვერ გაუგიათ, რომ სხვაგვარადაც შეიძლება ნესიერი იყო, ვიდრე ისინი არიან. შენ როგორღა გაიგე?

— აი, ასე: ერთხანს, როგორც კი მშობლები დასაძინებლად დაწვებოდნენ, ვენსანმა ღამღამობით სახლიდან გაპარვა დაიწყო. ცდილობდა, ჩასვლისას არ ეხმაურა, მაგრამ მისი ნაბიჯების ხმას ქუჩაშიც კი ვცნობ. გასულ კვირას, მგონი, სამშაბათს, ისეთი თბილი ღამე იყო საწოლში ვეღარ გავძელი. ადვილად რომ მესუნთქა, ფანჯარასთან დავჯექი. შემომესმა ქვემოთ კარი როგორ გაიღო და დაიხურა. ფანჯარაში თავი გავყავი და, როცა ქუჩის ფანარს ჩაუარა, ვენსანი ვიცანი. შუაღამე გადასული იყო. ასე იყო პირველად. იმის თქმა მინდა, რომ ასე შევამჩნიე პირველად. რაც ეს აღმოვაჩინე, უკვე თვალს ვადევნებ — ოო, ჩემდა უნებურად... და თითქმის ყოველღამე მესმის, როგორ მიდის. თავისი გასაღები აქვს, მშობლებმა ჩვენს, ჩემი და ჟორჟის, ძველ ოთახში პაციენტების მისაღები, ცხადია, როცა გაუჩნდებიან, საკონსულტაციო კაბინეტი მოუწყვეს. მისი ოთახიც იქვეა, წინა ოთახის მარცხნივ, დანარჩენი ოთახები კი მარჯვნივაა. როცა მოისურვებს, მაშინ შეუძლია ისე წავიდეს და დაბრუნდეს, ვერავინ შეიტყობს. ჩვეულებრივ, როდის ბრუნდება, ვერ ვიგებ, მაგრამ გუშინწინ, ორშაბათ ღამეს, არ ვიცი რა დამემართა, გამუდმებით დიურმერის ჟურნალის გამოცემის პროექტზე ვფიქრობდი... დაძინება ვერ შევძელი. უცბად კიბიდან ხმა შემომესმა, მაშინვე ვიფიქრე, ვენსანი იქნება—მეთქი.

— რომელი საათი იყო? — ჰკითხა ბერნარმა, ინტერესი რომ გამოეჩინა, თორემ ამისი გაგება სულაც არ უნდოდა.

— ალბათ, ღამის სამი საათი იქნებოდა. ავდექი და კარს ყური მივადე. ვენსანი ქალს ელაპარაკებოდა. უფრო სწორად, მხოლოდ ის ქალი ლაპარაკობდა.

— საიდან იცი, რომ ვენსანი იყო? შენი კარის ნინ ხომ ყველა აქ მცხოვრები დადის.

— თანაც, ზოგჯერ საკმაოდ უხეშადაც. რაც უფრო გვიანია, მით მეტად ხმაურობენ, როცა კიბეზე ამოდიან. ადამიანებს სძინავთ, ამათ კი ფეხებზე ჰკიდიათ!.. მხოლოდ ის შეიძლება ყოფილიყო, სხვა არავინ;

შემომესმა, ის ქალი სულ მის სახელს იმეორებდა. ეუბნებოდა... ო, მეზიზღება, იმ ყველაფრის გამეორება...

— მაინც თქვი.

— ეუბნებოდა: „ვენსან, ჩემო საყვარელო, ჩემო ძვირფასო, არ მიმატოვოთ!"

— თქვენობით მიმართავდა?

— დიახ. უცნაურია, არა?

— მერე, გააგრძელე.

„—ახლა უფლება არა გაქვთ მიმატოვოთ. წარმოგიდგენიათ, რა მომივა? სად უნდა წავიდე? მითხარით რამე. ოჰ! ხმა გამეცით. ხმა გამეცით". მერე ისევ სახელით მიმართა და რამდენჯერმე გაიმეორა: „ჩემო საყვარელო, ჩემო საყვარელო"; ხმა უფრო და უფრო ნაღვლიანი გაუხდა და სუსტი. მერე ხმაური შემომესმა (საფეხურებზე იდგნენ, ალბათ) — თითქოს რაღაცა დავარდაო. მგონი, ქალი მუხლებზე დაეცა.

— ვენსანმა არაფერი უპასუხა?

— ვენსანმა ბოლო საფეხურები აიარა. გავიგე, როგორ დაკეტა თავისი ოთახის კარი. ქალი დიდხანს დარჩა აქვე, გვერდით, თითქმის ჩემი კარის პირდაპირ, მესმოდა, როგორ ტიროდა.

— კარი უნდა გაგეღო.

— ვერ გავბედე. ვენსანი გაბრაზდებოდა, თუ შეიტყობდა, მისი ამბები რომ გავიგე. თანაც შემეშინდა, იმ ქალს შერცხვებოდა, ასე მტირალი ვიღაცის პირისპირ რომ აღმოჩნილიყო. არც ის ვიცოდი, რა უნდა მეთქვა".

ბერნარი ოლივიესკენ გადაბრუნდა.

„— შენს ადგილზე, მე გავაღებდი.

— ო! ღმერთო დიდებულო, შენ ყოველთვის ყველაფერს ბედავ. რასაც თავში გაივლებ, მაშინვე აკეთებ.

— საყვედურია?

— არა, მშურს.

— როგორ გგონია, ვინ იყო ის ქალი?

— საიდან უნდა ვიცოდე? ძილი ნებისა.

— მითხარი ერთი... დარწმუნებული ხარ, რომ ჟორჟი არ გვისმენს? — ჩაუჩურჩულა ბერნარმა ოლივიეს ყურში. ერთხანს გაინაბნენ და ყური მიუგდეს.

— არა, სძინავს, — უპასუხა ოლივიემ, — თანაც, სულერთია, ვერაფერს მიხვდება. იცი, იმ დღეს მამას რა ჰკითხა?.. რატომ...".

ახლა კი ვეღარ მოითმინა ჟორჟმა, საწოლიდან სანახევროდ წამოიწია და ძმას შეანყვეტინა:

„— სულელო, — დაუყვირა ოლივიეს, — შენ კი იმასაც ვერ მიხვდი, რომ განგებ გავაკეთე... ეშმაკმა წაგიღოს, დიახ, ცხადია, ყველაფერი გავიგე, რაც თქვით, ოღონდ ნუ გეშინიათ. ვენსანის ამბები დიდი ხანია ვიცი. ახლა კი, ჩემო პატარებო, ეცადეთ ჩუმად ილაპარაკოთ. მეძინება. ან საერთოდ გაჩუმდით".

ოლივიე კედლისკენ გადაბრუნდა. ბერნარს არ ეძინებოდა და ოთახს ათვალიერებდა, რომელიც მთვარის სინათლეზე უფრო დიდი ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. თუმცა, ეს ოთახი სულაც არ ახსოვდა. დღისით ოლივიე აქ არ ჩერდებოდა. ბერნარი მასთან რამდენჯერმე იყო ნამყოფი და მაშინაც ოლივიემ ერთი სართულით მაღლა მიიღო. მთვარის სხივმა იმ საწოლის ფეხს მიაღწია, რომელზეც ჟორჟს, როგორც იქნა, ჩაეძინა. რადგან თითქმის ყველაფერი გაიგო, რასაც მისი ძმა ყვებოდა, სიზმრების სანახავი მასალაც უკვე ჰქონდა. ჟორჟის საწოლის ზევით, ორთაროიანი პატარა ბიბლიოთეკა შეამჩნია, სახელმძღვანელოები რომ ელაგა. ოლივიეს საწოლის ახლო მდგარ მაგიდაზე, ბერნარმა კარგა დიდი ზომის წიგნი დაინახა, ხელი გაიწოდა, აიღო და სათაური ამოიკითხა: „ტოკვილი", მაგრამ, როცა უკან, მაგიდაზე დადება გადაწყვიტა, წიგნი ხელიდან გაუვარდა და ხმაურმა ოლივიე გამოაღვიძა.

„— შენ რა, ახლა „ტოკვილს" კითხულობ?

— დიუბაკმა მათხოვა.

— მოგწონს?

— ცოტა მოსაბეზრებელია, მაგრამ ძალიან კარგი ადგილებიც არის.

— ყური მიგდე. ხვალ რას აკეთებ?"

ხვალ, ხუთშაბათი იყო, ლიცეელები გაკვეთილებიდან თავისუფლები იყვნენ და ბერნარმა იფიქრა, იქნებ კიდევ შეხვედროდა თავის მეგობარს. თვითონ ლიცეუმში სიარულს აღარ აპირებდა და ამტკიცებდა, გამოცდას, მარტო, ბოლო გაკვეთილების გარეშეც მოვამზადებო.

„— ხვალ, — თქვა ოლივიემ, — თორმეტის ნახევარზე სენ-ლაზარეს სადგურზე, დიეპის მატარებელს უნდა დავხვდე; ბიძაჩემი ედუარდი ჩამოდის ინგლისიდან. შუადღის შემდეგ, სამ საათზე ლუვრში

დიურმერს ვხვდები. დარჩენილი დრო კი მომიწევს მეცადინეობას ვუძღვნა.

— ბიძაშენი ედუარდი?

— დიახ, დედაჩემის ნახევარძმაა. ექვსი თვეა, რაც წასულია. თუმცა, უამისოდაც, ცუდად ვიცნობ, მაგრამ მაინც ძალიან მიყვარს. არ იცის, რომ დასახვედრად მე მივდივარ და ცოტა მეშინია კიდეც, ვაითუ ვერ ვიცნო. ის სულაც არა ჰგავს ჩემს სხვა ნათესავებს. ძალიან კარგია.

— რას საქმიანობს?

— წერს. თითქმის ყველა მისი წიგნი წაკითხული მაქვს. ოღონდ, ეგ არის, დიდი ხანია, აღარაფერი გამოუქვეყნებია.

— რომანებს წერს?

— დიახ, რაღაც რომანების მსგავსს.

— რატომ არასოდეს არ გიხსენებია ჩემთან?

— იმიტომ, რომ მისი წიგნების წაკითხვა მოგინდებოდა; ვაითუ არ მოგწონებოდა, მერე...

— მერე რა? დაამთავრე.

— ის, რომ ამის გამო გული მეტკინებოდა, და იმიტომ.

— ამბობ, ძალიან კარგიაო. რატომ არის კარგი?

— კარგად არ ვიცი. ხომ გითხარი, თითქმის არ ვიცნობ-მეთქი. ეს წინათგრძნობა უფროა. ისეთი გრძნობა მაქვს, ბევრი რამ აინტერესებს, რაც ჩემი მშობლებისთვის საინტერესო არ არის; რომ მასთან ყველაფერზე ლაპარაკი შეიძლება. ერთხელ, გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე, ჩვენთან ისადილა; მამაჩემთან საუბრისას, ვგრძნობდი, განუწყვეტლივ მიყურებდა; ამან ძალიან შემაწუხა და დავიმორცხვე; უკვე წასასვლელადაც მოვემზადე — სასადილო ოთახში ვიყავით, სადაც ყავის დალევის შემდეგ შევყოვნდით — როცა მამაჩემს ჩემზე დაუწყო საუბარი, რამაც უფრო მეტად ამაღელვა; მერე მამაჩემი უცბად წამოდგა, ლექსების მოსატანად წავიდა, ცოტა ხნის წინ რომ დავწერე, სისულელე ჩავიდინე და ვაჩვენე.

— შენი ლექსების მოსატანად?

— ჰო. გახსოვს ის ლექსი „აივნის"[1] მიბაძვააო რომ მითხარი. კარგად ვიცოდი, ეს ლექსები არანაირ, უფრო სწორად, თითქმის არა-

1. ბოდლერის ლექსია.

ნაირ ღირებულებას არ წარმოადგენდა და საშინლად გავლიზიანდი, მამაჩემმა სტუმრისთვის მათი ჩვენება რომ განიზრახა. ერთხანს, ვიდრე მამაჩემი ლექსებს ეძებდა, ძია ედუარდი და მე მარტო დავრჩით ოთახში; ვიგრძენი, საშინლად გავწითლდი. მისთვის სათქმელი ვერაფერი მოვიგონე და განზე ვიყურებოდი — თუმცა, ეტყობოდა, ისიც ასეთივე მდგომარეობაში იყო. სიგარეტის გახვევა დაიწყო; მერე, ალბათ, ცოტა თავისუფლად რომ მეგრძნო თავი, უეჭველია, დაინახა როგორ გავწითლდი, ადგა და ფანჯარაში დაინყო ყურება. უსტვენდა. მოულოდნელად მითხრა: „შენზე მეტად მე ვარ უხერხულ მდგომარეობაში"- ო. მგონი, თავაზიანობის გამო უფრო თქვა. ბოლოს, მამაჩემიც დაბრუნდა, ძია ედუარდს ჩემი ლექსები მისცა. მან კითხვა დაინყო. ისეთი გაღიზიანებული ვიყავი, ასე მეგონა, რომ შევექე, აუცილებლად თავხედურად მოვექცეოდი. მამაჩემი, ბუნებრივია, ქებას ელოდა, მაგრამ, რადგან ბიძაჩემი არაფერს ამბობდა, თვითონვე ჰკითხა: „აბა? რას ფიქრობ? როგორ მოგეწონა?" ბიძაჩემმა სიცილით უთხრა: „ჩემთვის ცოტა უხერხულია ბიჭთან შენი თანდასწრებით ამ ლექსებზე ლაპარაკი" - ო. მამაჩემი ადგა და სიცილ-სიცილით გავიდა. როცა მარტო დავრჩით, მითხრა, რომ ჩემი ლექსები საკმაოდ სუსტი ჰგონია. ეს სიტყვები სიამოვნებით მოვისმინე; და უფრო მეტი სიამოვნება მივიღე, როცა, უცბად, იმ ორ სტრიქონს დაადო თითი, იმ ორს, რომელიც ყველაზე მეტად მომწონდა; შემომხედა, გამიღიმა და მითხრა: „აი, ეს კარგია". ხომ მართლა კარგი კაცია? თანაც, რომ იცოდე, რა ტონით მითხრა! მზად ვიყავი, გადამეკოცნა. მერე ამიხსნა, თურმე ჩემი შეცდომა იმაში ყოფილა, რომ ამოსავალ წერტილად იდეა მქონდა, სიტყვებს კი ნებას არ ვაძლევდი თავის დინებას მიჰყოლოდნენ. პირველად კარგად ვერ გავიგე; მაგრამ ახლა, მგონი, მივხვდი, რისი თქმაც უნდოდა — და ის მართალი აღმოჩნდა. როდესმე, სხვა დროს აგიხსნი.

— ახლა კი მივხვდი, რატომაც ელი მის დაბრუნებას.

— ო! ყველაფერი არ მითქვამს, თანაც არ ვიცი, რატომ გიყვები. კიდევ ბევრ რამეზე ვილაპარაკეთ.

— თორმეტის ნახევარზეო, ხომ ასე თქვი? როგორ გაიგე, ამ მატარებლით რომ მოდის?

— ღია ბარათი გამოუგზავნა დედაჩემს; მერე მოძრაობის გრაფიკშიც შევამოწმე.

— მასთან ისადილებ?

— ო, არა. თორმეტ საათზე სახლში უნდა ვიყო. ზუსტად იმდენი

დრო მაქვს, რაც ხელის ჩამოსართმევად მეყოფა. ჩემთვის ესეც საკმარისია... ჰო, მართლა, ვიდრე არ ჩამძინებია, მითხარი, როდის გნახავ კიდევ?

— რამდენიმე დღის შემდეგ. იმაზე ადრე ვერ მნახავ, ვიდრე ჩემს საქმეებში არ გავერკვევი.

— და მაინც... თუ რამეში შემიძლია დაგეხმარო...

— დამეხმარო? — არა. ეს თამაშის წესებში არ შედის. ისეთი გრძნობა დამეუფლება, რომ ვთაღლითობ. დაიძინე".

# IV

> მამაჩემი სულელი იყო; სამაგიეროდ, დედაჩემი გახლდათ გონიერი ქალი; კვიეტიზმის[1] მოძღვრებას მისდევდა. პატარა, ნაზი ქალი იყო, რომელიც ხშირად მეუბნებოდა: „ჩემო შვილო, მარადიული ტანჯვისთვის იქნები განწირული". და ამის თქმისას უმცირესი სევდაც არა ჰქონდა ხმაში.
>
> **ფონტენელი**

არა, ყოველღამე საყვარელთან სულაც არ დადიოდა ვენსან მოლინიე. თუმცა, ნაბიჯი ჩქარი ჰქონდა. მოდი და გავყვეთ უკან. ნოტრ—დამ-დე-შამპის ქუჩიდან, სადაც ცხოვრობს, სენ-პლასიდის ქუჩაზე ჩავიდა, რომელიც ნოტრ-დამ-დე-შამპის გაგრძელებაა; მერე ბაკის ქუჩაზე აღმოჩნდა, სადაც რამდენიმე დაგვიანებული გამვლელი კიდევ ჩანდა. ბოლოს, ბაბილონის ქუჩაზე დიდი ალაყაფის კარწინ შეჩერდა; კარი გაიღო. მაშ ასე, ის გრაფი პასავანის სახლში მივიდა. ამ მდიდრულ, განცალკევებულ სასახლეში ვენსანი ხშირი სტუმარი რომ არ ყოფილიყო, ასე თამამად ვერ შევიდოდა. აი, ლაქიამ კი, რომელმაც კარი გაუღო, კარგად იცოდა, რა მოკრძალებაც იფარებოდა მის მოჩვენებით ძალდაუტანებლობაში. ვენსანმა, იმის მაგივრად შლაპა მსახურისთვის მიეცა, განზრახი დაუდევრობით შორიდან ისროლა სავარძელში. არადა, დიდი ხანი არ არის, რაც აქ დაიწყო სიარული. რობერ დე პასავანი, რომელიც ახლა მის მეგობარს უწოდებს საკუთარ თავს, მეგობარი იყო სხვა მრავალისაც. ჩემთვის უცნობია, ერთმანეთი როგორ გაიცნეს. იქნებ, ლიცეუმშიც. რობერ დე პასავანი გაცილებით უფროსია ვენსანზე; რამდენიმე წელი ერთმანეთი მხედველობიდან დაკარგეს, მერე, აქ აღწერილ ამბებამდე ცოტა ადრე, ისევ შეხვდნენ, როცა, ერთ საღამოს ვენსანი თავის ძმასთან ერთად, რაც იშვიათი შემთხვევა იყო, თეატრში აღმოჩნდა. პასავანი, ანტრაქტის დროს, ორივეს

---

1. კათოლიციზმის მიმდინარეობა შეიქმნა XVII საუკუნეში. ქადაგებდა პასიურობას, უმოქმედობას.

ნაყინით გაუმასპინძლდა. იმ საღამოს გაიგო პასავანმა, რომ ვენსანმა ის—ის იყო დაამთავრა ფაკულტეტზე სწავლების პირველი ციკლი და არ იცოდა, მედიცინის განხრით გაეგრძელებინა სწავლა თუ საბუნებისმეტყველო მეცნიერებისთვის მოეკიდა ხელი; სიმართლე რომ ითქვას, ეს უფრო მეტად იზიდავდა, ვიდრე მედიცინა. მაგრამ, აი, ცხოვრებისთვის საჭირო სარჩოს მოპოვების აუცილებლობისთვის... მოკლედ, ვენსანმა სიამოვნებით მიიღო ხელსაყრელი წინადადება, რომელიც მოგვიანებით რობერ დე პასავანმა შესთავაზა — ყოველღამე რობერის მოხუცი მამის მომვლელად უნდა მისულიყო, რომელიც მძიმე ოპერაციის შემდეგ ვერა და ვერ გამოკეთდა: საქმე გადახვევას, დელიკატურ ზონდირებას, ნემსის გაკეთებას ეხებოდა; კიდევ რაღაც სხვა პროცედურებს, კარგად არ ვიცი, რაც გამოცდილ ხელს საჭიროებდა. გარდა ამისა, ვიკონტს, სხვა, უფრო მნიშვნელოვანი მიზანი ჰქონდა: უნდოდა ვენსანს დაახლოებოდა. ამ უკანასკნელსაც თავისი მიზანი ჰქონდა, რისთვისაც მის წინადადებას დათანხმდა. რობერის მიზანში, ვეცდებით, ცოტა მოგვიანებით გავერკვეთ. აი, ვენსანთან დაკავშირებით კი, შეიძლება ვთქვათ, რომ მას ძალიან სჭირდებოდა ფული. თუ ადამიანს გული იქ აქვს, სადაც უნდა ჰქონდეს, და თუ სწორმა აღზრდამ ადრეული ასაკიდან პასუხისმგებლობის გრძნობა განუვითარა, მაშინ იგი უსათუოდ იგრძნობს ზოგიერთი მოვალეობის შესრულების აუცილებლობას იმ ქალის მიმართ, რომელმაც შვილი უნდა გაუჩინოს და ამავე დროს, მისი გულისთვის ქმარიც მიატოვა. ამ ამბამდე ვენსანი კეთილშობილ ცხოვრებას ეწეოდა. ლორასთან კავშირი კი, იმის გათვალისწინებით, თუ დღის რა დრო იყო, ხან საზარელ შეცდომად ეჩვენებოდა, ხანაც ბუნებრივ მოვლენად. მოგეხსენებათ, არცთუ იშვიათად,ზოგიერთი ნვრილმანი ფაქტი, თავისთავად ძალზე უბრალო და სრულიად ბუნებრივი, საერთო ჯამში, საშინელ სახეს იღებს. პასავანის სახლისკენ მიმავალი ვენსანი ამ ფიქრებში იყო, მაგრამ გულზე მაინც არ მოეშვა. რა თქმა უნდა, სულაც არ აპირებდა თავისი ბედი, ქორწინებითა თუ უქორწინოდ, საბოლოოდ ამ ქალისთვის დაეკავშირებინა. იძულებულია აღიაროს, რომ ამ ქალისადმი სიყვარულს სულაც არ განიცდის, ისიც შეგნებული აქვს, იგი პარიზში სრულიად უსახსროდ დარჩა, უბედურება მის გამო დაატყდა თავს და ვალდებულია, რაღაც დახმარება აღმოუჩინოს; დახმარება, დღეს რომ შეეძლო უფრო ნაკლები იყო, ვიდრე რამდენიმე დღის წინ რომ გაეკეთებინა. ჯერ კიდევ გასულ კვირას ხუთი ათასი ფრანკის მფლობელი იყო, რაც დედამისმა

მოთმინებითა და ნვალებით შეუგროვა, რომ კარიერის დაწყება უფრო გაადვილებოდა. ეს ხუთი ათასი ფრანკი, უეჭველია, საყვარლის მშობიარობას, მშობიარობის შემდგომ ხარჯებსა და ბავშვის მოვლასაც ეყოფოდა საავადმყოფოში. რომელი ეშმაკის რჩევას დაუგდო ყური მაშინ? ფიქრებში ეს თანხა უკვე მიცემული ჰქონდა იმ ქალისთვის, მისთვის მიძღვნილი და მისთვის განკუთვნილი, საიდანაც უმცირესი თანხის აღებაც კი დაუშვებლად მიაჩნდა; მაგრამ, ერთ საღამოს, ეშმაკმა ჩასჩურჩულა, ეს თანხა შეიძლება საკმარისი არ იყოსო! არა, ეს რობერ დე პასავანი არ იყო. რობერს არასოდეს მსგავსი რამ არ უთქვამს. ის კი იყო, წინადადება ვენსანს რომ შესთავაზა სათამაშო სახლში ნავიდეთო, ზუსტად იმ საღამოს გაისმა, და ვენსანიც დათანხმდა.

ამ სათამაშო სახლს კი ერთი ვერაგი თვისება ჰქონდა: იქ, ყველაფერი, წესიერ საზოგადოებასა და მეგობართა ნრეში ხდებოდა. რობერმა ვენსანს ყველა გააცნო. იმ პირველ საღამოს ვენსანმა დიდი ფსონის ჩასვლა ვერ შეძლო, რადგან რობერმა მოულოდნელად წაიყვანა იმ სახლში და ფული თითქმის არ ჰქონდა. იმ რამდენიმე ბანკნოტზეც უარი თქვა, რომელიც ვიკონტმა სესხად შესთავაზა. რადგან ფულს იგებდა, სინანული შეეპარა, რატომ მეტი თანხის დადება არ შემიძლიაო, მერე ყველას ჰპირდებოდა, ხვალ კიდევ მოვალო.

„— ახლა, აქ ყველა გიცნობთ და აუცილებელი აღარ არის ჩემი თანხლება". — უთხრა რობერმა.

ეს ამბავი პიერ დე ბრუვილის სახლში ხდებოდა, რომელსაც ყველა პედროს ეძახდა. იმ პირველი საღამოს შემდეგ, რობერ დე პასავანი თავის ავტომობილს ახალი მეგობრის განკარგულებაში ტოვებდა-ხოლმე. ვენსანი საღამოს თერთმეტი საათისთვის მოდიოდა, თხუთმეტიოდე წუთი რობერთან საუბრობდა, საუბრისას სიგარეტს აბოლებდა, მერე მეორე სართულზე ადიოდა და დროის გარკვეულ ნაწილს გრაფთან ატარებდა, რომლის ხანგრძლივობაც მოხუცის განწყობას, მოთმინებასა და საერთო მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული; ამის შემდეგ, მანქანას სენ-ფლორანტენის ქუჩაზე, პედროსთან მიჰყავდა, ერთი საათის შემდეგ კი, სახლში; მართალია, ზუსტად სახლამდე არა, უახლოეს გზაჯვარედინამდე, რადგან ეშინოდა ზედმეტი ყურადღება არ მიეპყრო.

გუშინწინდელ ღამეს, ლორა დუვიე, ღამის სამ საათამდე ელოდა ვენსანს მოლინიების ბინაში ამავალ კიბეზე მჯდარი; სამ საათზე, როგორც იქნა დაბრუნდა. იმ ღამეს ვენსანი პედროსთან აღარ წასუ-

ლა; წასაგები აღარაფერი ჰქონდა; ორი დღის განმავლობაში, იმ ხუთი ათასი ფრანკიდან ერთი სუც აღარ დარჩა. ეს ლორას შეატყობინა; წერილი მისწერა: ამიერიდან საშუალება აღარ მაქვს, შენთვის რამე გავაკეთოო; ურჩევდა ან ქმარს დაუბრუნდი ან მამასო; და ყველაფერი მოვინანიოთო. ლორას მონანიება სრულიად შეუძლებლად მიაჩნდა; ამაზე ფიქრიც კი არ შეეძლო ძრნოლის გარეშე. საატრფოს ამ სიტყვებმა მასში მხოლოდ აღშფოთება გამოიწვია და ეს აღშფოთება მხოლოდ მაშინ ტოვებდა, როცა სასოწარკვეთა ეუფლებოდა. აი, ასეთ მდგომარეობაში ნახა იგი ვენსანმა. ქალი მის შეჩერებას ეცადა, მაგრამ ვენსანი ხელიდან დაუსხლტა. ცხადია, შინაგანი დაძაბულობის გარეშე ეს არ მომხდარა, რადგან ბუნებით გულჩვილი კაცი იყო ვენსანი; მაგრამ, რადგან მის გრძნობებში ავხორცობა უფრო სჭარბობდა, ვიდრე სიყვარული, თავი ადვილად დაირწმუნა, უფრო მკაცრი უნდა ვიყოო; არც ქალის ვედრებას მიაქცია ყურადღება, არც ჩივილ-წუწუნს, და, როგორც მერე ოლივიემ, რომელმაც მათი საუბარი მოისმინა, უამბო ბერნარს, მას შემდეგ, რაც ვენსანმა კარი ცხვირნინ მიუკეტა, ლორა კიბის საფეხურზე იჯდა სიბნელეში და დიდხანს, დიდხანს ტიროდა.

იმ ღამის შემდეგ ორმოც საათზე მეტი გავიდა. წინადღეს ვენსანი რობერ დე პასავანთან აღარ წასულა, რადგან მამამისს გამოკეთება დაეტყო; მაგრამ ამ საღამოს დეპეშა მიიღო — რობერს მისი ნახვა უნდოდა. როცა ვენსანი იმ ოთახში შევიდა, რობერის კაბინეტიც რომ იყო და მოსაწევი ოთახიც, სადაც დროის უმეტეს ნაწილს ატარებდა და რომლის მოწყობაც თავისი გემოვნების მიხედვით არ დაზარებია, რობერი არც კი ამდგარა და დაუდევრად გაუწოდა ხელი.

რობერი რაღაცას წერდა; წიგნებით სავსე საწერ მაგიდასთან იჯდა; იქით კი, ფართოდ გაღებული შემინული კარიდან მთვარის შუქში ჩაძირული ბაღი მოჩანდა. თავიც არ აუწევია, ისე ალაპარაკდა.

„— იცით, რას ვწერ? ოღონდ, არავის უთხრათ... მპირდებით, ხომ?.. მანიფესტს ვწერ, რითაც დიურმერის ჟურნალი დაიწყება. ბუნებრივია, ხელს არ მოვაწერ... რადგან მასში საკუთარ თავს ვაქებ... გარდა ამისა, ცხადია, ბოლომდე მაინც არ დაიფარება, რომ ჟურნალის გამოცემას მე ვაფინანსებ; მაინც მიჯობს, რაღაცა დროის განმავლობაში არავინ იცოდეს ჩემი მონაწილეობის შესახებ. ასე რომ: არც ერთი სიტყვა! ჰო მართლა, გამახსენდა: ერთხელ მითხარით, რომ თქვენი ძმა წერს, არა? რა ჰქვია?

— ოლივიე, — უპასუხა ვენსანმა.

— ოლივიე, დიახ, დიახ, დამავიწყდა... ფეხზე რატომ დგახართ? სავარძელში ჩაჯექით. ხომ არ გცივათ? იქნებ, ფანჯარა დავხურო?.. ლექსებს წერს, არა? კარგი იქნებოდა ჩემთან მოეტანა. ბუნებრივია, დაბეჭდვის პირობას არ ვიძლევი... მაგრამ, მაინც გაოცებული დავრჩები, თუ ცუდი ლექსები აღმოჩნდება. თქვენს ძმას ძალიან ჭკვიანი ადამიანის სახე აქვს. თანაც იგრძნობა, ძალიან ნაკითხია. მასთან საუბარი მინდა. უთხარით, ჩემთან შემოიაროს. მოვილაპარაკეთ? თქვენი იმედი მაქვს. გნებავთ სიგარეტი? — და თავისი ვერცხლის პორტსიგარი გაუწოდა.

— სიამოვნებით.

— ახლა კი, მისმინეთ, ვენსან; თქვენთან ფრიად სერიოზული სალაპარაკო მაქვს. მაშინ, იმ საღამოს, ბავშვივით მოიქეცით... თუმცა, მეც ასევე მოვიქეცი. არ ვამბობ, შევცდი-მეთქი პედროსთან რომ მიგიყვანეთ, მაგრამ მაინც, რაღაც პასუხისმგებლობას ვგრძნობ, ფული რომ ნააგეთ. თავიდან ვერ ვიშორებ იმ აზრს, რომ იგი მე დაგაკარგვინეთ. არ ვიცი, შეიძლება ეს ის არის, რასაც სინდისის ქენჯნას ეძახიან, ძილიც კი გამიფრთხო და საჭმლის მონელების უნარიც დამირღვია. გეფიცებით! გარდა ამისა, გამუდმებით იმ საცოდავ ქალზე ვფიქრობ, რომელზეც უკვე მელაპარაკეთ... მაგრამ ეს სულ სხვა საკითხია და ნულარ შევეხებით ამ თემას — ეს რაღაც უფრო წმინდაა. ახლა, რაც მინდა გითხრათ, რაც მსურს და რისკენაც ვისწრაფი გავაკეთო. დიახ, ზუსტად ასეა, მინდა რომ გადმოგცეთ რაღაც თანხა, იმ თანხის შესაბამისი რაოდენობა, თქვენ რომ დაკარგეთ. ხუთი ათასი ფრანკი იყო, ასე არ არის? და მინდა ისევ გაბედოთ და ითამაშოთ. ეს თანხა ხო, კიდევ ვიმეორებ, მე ასე მივიჩნევ, ჩემ გამო წააგეთ, და ეს თანხა მე მმართებს თქვენი. მადლობის თქმა საჭირო არ არის! თუ მოიგებთ, ამ ფულს დამიბრუნებთ, თუ არადა, რაც იქნება, იქნება! მაშინ ბარიბარში ვიქნებით. თითქოს არაფერი მიმხდარაო. დღეს საღამოს ისევ წადით პედროსთან. მანქანა წაგიყვანთ, მერე ჩემთან დაბრუნდება და ლედი გრიფიტთან მიმიყვანს, სადაც თამაშის შემდეგ, გთხოვთ, თქვენც შემოიაროთ. იმედი მაქვს, კიდევ შევხვდებით. შევთანმხდით? ავტომანქანა პედროსთან შემოგივლით“.

საწერი მაგიდის უჯრა გამოსწია, იქიდან ხუთი ბანკნოტი ამოიღო და ვენსანს მისცა:

„— იჩქარეთ...

— მაგრამ, მამათქვენი...

— ოჰ, დიახ, დამავიწყდა მეთქვა. გარდაიცვალა. აგერ, უკვე... — რობერმა საათი ამოიღო და წამოიყვირა, — ჯანდაბა, უკვე გვიანია! მალე შუაღამე იქნება... იჩქარეთ. ჰო, დაახლოებით, ოთხი საათის წინ".

და ეს ყველაფერი დინჯად, რაღაცნაირი გულგრილობით თქვა.

„— და თქვენ სახლში არ რჩებით, რომ...

— რომ ღამე ვუთიო? — გააწყვეტინა რობერმა, — არა, ამას ჩემი უმცროსი ძმა გააკეთებს. ის ახლა ზევით არის, თავის ბებერ გადიასთან ერთად; მიცვალებულთან მან უკეთესი ურთიერთობა დაამყარა, ვიდრე მე...".

მერე, რადგან ვენსანი ადგილიდან არ იძროდა, დაუმატა:

„— ძვირფასო მეგობარო, არ მსურს თქვენს თვალში ცინიკოსად გამოვჩნდე, მაგრამ შეკვეთილი გრძნობები მძულს. ოდესღაც ჩემს გულში მამაჩემისადმი შვილური სიყვარული რაღაც საზომით შევამზადე კიდეც, მაგრამ, რადგან დიდი აღმოჩნდა, მომიწია მისი ზომების დაპატარავება. მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე, მოხუცისგან მხოლოდ უსიამოვნების, ტანჯვისა და გულისტკივილის გარდა არაფერი მიმიღია. და თუ მის გულს ცოტაოდენი სინაზე მაინც შემორჩა, დამიჯერეთ, იგი მე არ მხვდომია წილად. იმ დროს, როცა პირველად ვიგრძენი მისდამი სიყვარული, არც მიფიქრია მისი დაფარვა; ის ისე უხეშად იღებდა ამ სიყვარულს, რომ მალე ამეხილა თვალი. თავადაც შეამჩნევდით, როცა უვლიდით... ერთხელ მაინც გითხრათ მადლობა? გაღირსათ კი ერთი შემოხედვა, თუნდ წამიერი ღიმილით? მუდამ მიაჩნდა, რომ ყველაფერი კარგი მას ეკუთვნოდა. ოო, იგი, როგორც იტყვიან, ხასიათების კაცი იყო. მჯერა, ბევრი ტანჯა და აწამა დედაჩემიც, თანაც უყვარდა, თუკი საერთოდ შეეძლო ვინმეს ნამდვილი სიყვარული. ასე მგონია, ყველას ტანჯავდა, ვინც მის გარშემო ტრიალებდა: ახლობლებს, თავის ძაღლებს, ცხენებს, საყვარლებს; მარტო მეგობრებს არ აწვალებდა, რადგან ერთი მეგობარიც არა ჰყოლია. ასე რომ, მის სიკვდილს ვინც გაიგებს, ასე მგონია, ყველა შვებით ამოისუნთქავს. „თავის პარტიას" თამაშობდა, როგორც ახლა ამბობენ ხოლმე; ამ „პარტიაში" დიდი ღირსებების კაციც გახლდათ, მაგრამ ვერაფრით მივხვდი ეს რა „პარტია" იყო. უდავოა, ძალიან ჭკვიანი კაციც ბრძანდებოდა. მისდამი ყოველთვის მქონდა და ახლაც მაქვს რაღაც აღფრთოვანების მსგავსი გრძნობა. ოღონდ, ახლა ცხვირსახოცი თვალთან მივიტანო... ცრემლი გამოვიწურო... არა, დამეხსენით, ბავშვობის ასა-

კიდან უკვე გამოვედი. ნადით ჩქარა! ერთი საათის შემდეგ კი ლილიანთან შევხვდეთ. — რაო? გრცხვენიათ, სმოკინგი რომ არ გაცვიათ? რა სულელი ხართ! რატომ? ჩვენ ხომ მარტო ვიქნებით. კარგი, კარგი, გპირდებით, მეც პიჯაკი მეცმება. მოვილაპარაკეთ. წასვლის წინ, სიგარეტს მოუკიდეთ და გააბოლეთ. მანქანა მაშინვე უკან გამოუშვით. მერე თქვენს ნამოსაყვანად მოვა".

მიმავალ ვენსანს თვალი გააყოლა, მხრები აიჩეჩა, მერე საწოლ ოთახში გავიდა ტანსაცმლის გამოსაცვლელად, რომელიც დივანზე გადაეკიდათ უკვე.

მეორე სართულის ერთ ოთახში, სარეცელზე მოხუცი გრაფი განისვენებს. მკერდზე ჯვარცმა დაუდვიათ, ოღონდ გულხელდაკრეფა კი დავიწყებიათ. მისი ნებისყოფიანი ნიკაპის მოხაზულობას რამდენიმე დღეში ამოსული წვერი ოდნავ არბილებს. განივი ნაოჭებით დაფარული შუბლი, ჯაგარივით ამოზრდილი თმის ქვემოთ, ჩვეულებრივზე ნაკლებ დაღარული ჩანდს და როგორღაც გადასწორებულივით გამოიყურება. თვალები, ხშირი წარბების კამარის ქვეშ, გადაბრუნებია. ასე დიდხანს და ყურადღებით იმიტომ ვათვალიერებთ მიცვალებულს, რომ ამის შემდეგ ველარ ვნახავთ. საწოლის თავთან სავარძელი დგას, სადაც ბებერი გადია სერაფინი იჯდა და ახლახანს ადგა. იგი მაგიდას უახლოვდება, მაგიდაზე ზეთის ძველებური მბჟუტავი ლამპა დგას და ოდნავ ანათებს ოთახს; პატრუქის აწევაა საჭირო. შუქი წიგნს ეცემა. წიგნს ჭაბუკი გონტრანი კითხულობს...

„— ბატონო გონტრან, დაიღალეთ. უკეთესი იქნება თუ დასაძინებლად ნახვალთ".

გონტრანი ძალიან ალერსიანად შეხედავს სერაფინს. შუბლზე ჩამოყრილ ქერა თმას საფეთქლებზე გადაიწევს. ის თხუთმეტი წლისაა და მის თითქმის ქალურ სახეზე მხოლოდ სინაზე და სიყვარულია აღბეჭდილი.

„— შენ კი არ დაიღალე? — ეუბნება ბიჭი, — შენ უნდა წახვიდე და დაიძინო, ჩემი საცოდავი ფინა. მთელი ღამე არ დამჯდარხარ.

— ღამის თევას ჩვეული ვარ. თანაც დღისით მეძინა; აი, თქვენ კი...

— არა. არ მინდა. დაღლას არ ვგრძნობ; თანაც, აქ ჯდომა, ფიქრი და კითხვა მსიამოვნებს კიდეც. მამაჩემი ხომ ხშირად არ მინახავს. ასე მგონია, თუ ახლა არ დავაკვირდი და დავიმახსოვრე, საერ-

თოდაც დამავიწყდება. გათენებამდე აქ ვიქნები და ვიფხიზლებ. ფინა, ჩვენს სახლში როდიდან ცხოვრობ?

— თქვენს დაბადებამდე ერთი წლით ადრე მოვედი; თქვენ კი მალე თექვსმეტი წლის შესრულდებით.

— დედაჩემი კარგად გახსოვთ?

— კარგად მახსოვს? ეს რა კითხვაა! ეს იმას ნიშნავს მკითხო, მახსოვს თუ არა ჩემი სახელი. ძალიან კარგად მახსოვს.

— მეც მახსოვს, მაგრამ ძალიან ცუდად... მე ხომ მხოლოდ ხუთი წლისა ვიყავი, როცა გარდაიცვალა... მითხარი... მამაჩემი ხშირად ელაპარაკებოდა?

— დღეებზე იყო დამოკიდებული. მამათქვენი დიდი მოსაუბრე არასოდეს ყოფილა. განსაკუთრებით არ უყვარდა, როცა სხვა უნყებდა ლაპარაკს. ადრე უფრო მეტს ლაპარაკობდა, ვიდრე ბოლო დროს. მაგრამ უკეთესი იქნება თუ ძველ მოგონებებს არ ამოვქექავთ; დაე, უფალმა თავად განსაჯოს ყველაფერი.

— ჩემო კეთილო ფინა, მართლა გჯერათ, რომ უფალი ღმერთი ყველაფერს განსჯის?

— თუ უფალი არ განსჯის, მაშ, ვინღა განსჯის?"

გონტრანის ტუჩები სერაფინის წითელ ხელს შეეხო.

„— იცი, რა უნდა ქნა ახლა? — წადი და დაიძინე. გპირდები, როგორც კი ირიჟრაჟებს, გაგაღვიძებ. მერე მე წავალ დასაძინებლად. გთხოვ".

როგორც კი სერაფინმა მარტო დატოვა, გონტრანმა საწოლთან ჩაიჩოქა; სახე ზენარში ჩარგო, ტირილი სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა: გულში სრული სიმშვიდე ედგა. თვალზე ცრემლი არ მიეკარა. აზრი არ ჰქონდა, არ ეტირებოდა. ადგა. უმოძრაო სახეს დახედა. უნდოდა, ამ ამაღლებულ მომენტში განეცადა, არ ვიცი რა, მაგრამ რაღაცა ამაღლებული, უჩვეულო, სხვა განზომილებიდან მოსული ფიქრთა ნაკადი აეტყორცნა ჰაეროვან, გამჭვირვალე, ზემგრძნობიერ სივრცეებში — მაგრამ არც თვითონ, არც მისი ფიქრები გოჯითაც არ მოწყვეტია მიწას. მიცვალებულის უსისხლო ხელებს დახედა, უცებ გაიფიქრა, ეს ფრჩხილები კიდევ რამდენ ხანს გააგრძელებენ ზრდასო. თავზარი ეცემოდა, როცა ამ გულხელდაუკრეფავ, ერთმანეთთან დაშორებულ ხელებს უყურებდა; მოუნდა ერთმანეთთან მიეახლოებინა, ჯვარცმა ხელში ძალით დაეჭერინებინა. ეს კარგ იდეად ეჩვენა. ფიქრით ისიც წარმოიდგინა, რა გაოცებული დარჩებოდა სერაფინი, როცა მიცვალე-

ბულის შეერთებულ ხელებს ნახავდა, და წინასწარ გაუხარდა კიდეც მისი გაოცება; მაგრამ, მაშინვე საკუთარი თავი გაკიცხა ამ სიხარულისთვის. მაინც ადგა და საწოლზე დაიხარა; მიცვალებულის ის ხელი აიღო, რომელიც უფრო მოშორებით იდო; ხელი გაშეშებულიყო და მორჩილებაზე უარს ამბობდა. გონტრანმა მისი მოხრა ძალით მოინდომა, მაგრამ ხელთან ერთად სხეულიც დაიძრა. მეორე ხელს სტაცა ხელი; უფრო მორჩილი ეჩვენა... გონტრანმა ხელი თითქმის იმ ადგილამდე მიიტანა კიდეც, სადაც უნდა ყოფილიყო; ჯვარცმა აიღო, ცერსა და დანარჩენ თითებს შუა მის ჩაჩრა სცადა, ეცადა ამ თითებს როგორმე დაეკავებინა იგი, რომ... ცივ სხეულთან მიკარებამ უცბად ძალა გამოულია. ეგონა, ახლა ცუდად გავხდებიო. სერაფინის დაძახება მოუნდა. ყველაფერს თავი მიანება — ჯვარცმას, რომელიც დაჭმუჭნილ ზენარზე დაეცა; უსიცოცხლო ხელს, რომელიც თავის უნინდელ ადგილს დაუბრუნდა; და უცბად, ამ ღრმა, მგლოვიარე სიჩუმეში უკმეხად ნათქვამი: „ეშმაკმა დალახვროს“-ო შემოესმა, ბიჭს შიშისაგან გული გადაუქანდა, თითქოს ვიღაცა... შებრუნდა; მაგრამ არა, ძველებურად მარტოა. სადღაც შიგნიდან, ცხოვრებაში პირველად, მწარე გინება აღმოხდა. მერე დაჯდა და კითხვა დაიწყო.

# V

ის იყო სული და სხეული, რომელშიც
არასოდეს შედიოდა მგზნებარება.

**სენტ-ბევი**

ოდნავ წამონეულმა ლილიანმა რობერის წაბლისფერ თმას თითის წვერები შეახო:

„—გამელოტებას იწყებთ, ჩემო მეგობარო. ყურადღებით იყავით, თქვენ ხომ სულ ახლახან ოცდაათი წლისა გახდით. სიქაჩლე არ მოგიხდებათ. ცხოვრებას მეტისმეტად სერიოზულად ღებულობთ".

რობერმა თავი ასწია და ღიმილით შეხედა:

„— როცა თქვენგან შორსა ვარ, გეფიცებით ასეა.

— მოლინიეს უთხარით რომ ჩვენთან მოვიდეს?

— დიახ; ხომ მთხოვეთ.

— და... ფულიც ასესხეთ?

— უკვე გითხარით, ხუთი ათასი ფრანკი, რომელსაც პედროსთან ისევ წააგებს.

— ასე რატომ გინდათ, რომ წააგოს?

— წინასწარ ვიცი. პირველ საღამოსვე ვნახე როგორ თამაშობდა. ყველაფერს უკუღმა აკეთებს.

— სწავლის დრო ჰქონდა... გინდათ დავნაძლევდეთ, რომ ამ საღამოს მოიგებს?

— სიამოვნებით. დავნაძლევდეთ.

— ოღონდ, გევედრებით, ჩემი ახირების გამო ნუ დამთანხმდებით. მიყვარს, როცა რამეს  თავისი სურვილით აკეთებენ.

— გული ნუ მოგდით. შევთანხმდით. თუ მოიგებს, ჩემგან ნასესხებ ფულს, თქვენ მიიღებთ; თუ წააგებს, მაშინ მის ფულს თქვენ დამიბრუნებთ. თანახმა ხართ?"

ქალმა ზარის ღილაკს დააჭირა თითი:

„— ტოკაური[1] მოიტანეთ და სამი ჭიქა. — და თუ მხოლოდ ხუთი ათასის ამარა დაბრუნდა, მაშინ ფულს მას დავუტოვებთ, ხომ? თუ არც მოიგებს და არც წააგებს...

— ასეთი რამ არასოდეს ხდება. უცნაური კია, მისით რა უცბად მოიხიბლეთ.

— უცნაური ის არის, რომ მასში თქვენ ვერ იპოვეთ ვერაფერი საინტერესო.

— საინტერესოდ იმიტომ გეჩვენებათ, რომ შეგიყვარდათ.

— მართალი ბრძანდებით, ჩემო ძვირფასო! შემიძლია გამოგიტყდეთ. და მაინც, მარტო ამის გამო არ მაინტერესებს. პირიქით: როცა ვინმე დამაინტერესებს, ჩვეულებრივ, იმედი მიცრუვდება ხოლმე".

მსახური შემოვიდა, ღვინო და ჭიქები შემოიტანა სინით.

„— ჯერ ჩვენ დავლიოთ სანაძლეოს აღსანიშნავად, მერე მოგებულთან ერთად გავაგრძელოთ".

მსახურმა ღვინო დაასხა; ერთმანეთს ჭიქები მიუჭახუნეს.

„— ეგ თქვენი ვენსანი მოსაწყენი კაცი მგონია. — გააგრძელა რობერმა.

— ოო! „ჩემი" ვენსანი!.. თითქოს თვითონ არ მომიყვანეთ! თანაც გირჩევთ, ყველას ნუ ეტყვით მოსაწყენ კაცად რომ გეჩვენებათ, თორემ ძალიან სწრაფად მიხვდებიან, მასთან რატომაც მეგობრობთ".

ოდნავ შემობრუნებულმა რობერმა ლილიანის შიშველ ფეხს ბაგე შეახო; ქალმა უმალ შეიკეცა ფეხი და მარაოთი დაიფარა.

„—უნდა გავწითლდე? — ჰკითხა რობერმა.

— ჩემთან ნუ ეცდებით. არ ღირს, მაინც არ გამოგივათ".

ჭიქა გამოცალა და გააგრძელა:

„— იცით, რა გითხრათ, ჩემო ძვირფასო. მწერლის ყველა თვისება გაქვთ: პატივმოყვარეობა, პირმოთნეობა, თავმომწონეობა, ცვალებადობა, ეგოისტობა...

— ჩემს მიმართ დიდ სიკეთეს იჩენთ.

— დიახ. ეს ყველაფერი მშვენიერია, მაგრამ კარგი რომანისტი ვერასოდეს გახდებით.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მოსმენა არ იცით.

---

1. უნგრული თეთრი, სადესერტო ღვინო.

— ასე მგონია, ძალიან კარგად გისმენთ.

— აჰ! აი, ის, თუმცა მწერალი არ არის, უფრო ყურადღებით მისმენს. თანაც, როცა ორნი ვართ, მეც ხშირად ვუსმენ.

— მან ხომ ლაპარაკი თითქმის არ იცის.

— ეს იმიტომ, რომ თქვენ ლაპარაკობთ განუწყვეტლივ. მე ხომ კარგად გიცნობთ: ორი სიტყვის თქმის საშუალებას არ აძლევთ.

— წინასწარ ვიცი, რისი თქმაც შეუძლია.

— ასე გგონიათ? კარგად იცით მისი ამბები იმ ქალთან?

— ოო! სატრფიალო თავგადასავლები. ამქვეყნად ამაზე მოსაწყენი არაფერი მეგულება!

— ბიოლოგიაზე როცა ყვება, ისიც ძალიან მომწონს.

— ბიოლოგია. ეს უფრო მოსაწყენია, ვიდრე სატრფიალო ამბები. გამოდის რომ, ლექცია ნაგიკითხათ უკვე?..

— რომ შემეძლოს ყველაფერი გიამბოთ. რაც მითხრა... გასაგიჟებელია, ჩემო ძვირფასო. უამრავი რამ მიამბო ზღვის ცხოველებზე. ზღვის ცხოველებზე ყოველთვის ყველაფერი მაინტერესებდა. იცით, რომ ახლა ამერიკაში ისეთ გემებს აშენებენ, რომლებსაც გვერდებზე ფანჯრები აქვთ; ოკეანის სიღრმეში ყველაფერი კარგად რომ დაინახონ. რაღაც სასწაული უნდა იყოს. შეიძლება ცოცხალი მარჯანი დაინახო, ან... ან... იმას რა ჰქვია? — მადრეპორები[1], ღრუბლები, წყალმცენარეები, თევზების ქარავანი. ვენსანი ამბობს, რომ არსებობს თევზების ისეთი ჯიშები, რომლებიც იღუპებიან, როცა წყალში სიმლაშე მატულობს ან კლებულობს; არსებობენ ისეთებიც, რომლებიც, პირიქით, ეგუებიან სიმლაშის ყველა ცვლილებას, და, თურმე ცდილობენ დინების იმ ზღვარზე მოიყარონ თავი, სადაც წყალი ნაკლებ მლაშეა, რათა ასეთ წყალში დასუსტებული თევზები შეჭამონ. აუცილებლად უნდა თხოვოთ, თქვენც მოგიყვეთ... გარწმუნებთ, ძალიან საინტერესოა, როცა ასეთ რამეებზე ლაპარაკობს, რაღაც საოცარი ხდება ამ დროს. ვეღარ იცნობთ... აი, თქვენ კი არ იცით, როგორ აალაპარაკოთ... ზუსტად ასე ემართება, როცა ლორა დუვიესთან თავის სატრფიალო თავგადასავალზე საუბრობს... დიახ, იმ ქალის სახელია. იცით, როგორ გაიცნეს ერთმანეთი?

---

1. მარჯნის პოლიპების კლასის ნაწლავღრუიანთა რიგის ცხოველები, უმთავრესად ზღვის ან ოკეანის ფსკერის ბინადარნი.

— ესეც გიამბოთ?

— მე ყველაფერს მიამბობენ. და ეს თქვენ მშვენივრად იცით, შემზარავო ადამიანო! — და დაკეცილი მარაოს ფრთებით სახეზე მიეფერა. — განა ეჭვი გეპარებათ, რომ იმ საღამოს შემდეგ, აქ რომ მომიყვანეთ, ყოველდღე მოდის ჩემს სანახავად?

— ყოველდღე! არა, ამას კი, მართლა, ვერ დავიჯერებ.

— მეოთხე დღეს ველარ მოითმინა და ყველაფერი მიამბო. მერე, ყოველდღე, რაღაც წვრილმანს უმატებდა.

— და არ მოგბეზრდათ! შეუდარებელი ხართ!

— ხომ გითხარით, რომ მიყვარს. — და მედიდური პათეტიკური ჟესტით ხელი მოჰკიდა.

— მას... მას ის ქალი უყვარს?"

ლილიანმა გაიცინა:

„— უყვარდა. — ოო! დასაწყისში იძულებული ვიყავი ისეთი სახე მიმეღო, თითქოს ძალიან მაინტერესებდა იმ ქალის ბედი. მასთან ერთად ვიტირე კიდეც. თუმცა, საშინელი ეჭვი მიღრღნიდა გულს. ახლა უფრო მეტად ვეჭვიანობ. ყური მიგდეთ, აი, როგორ დაიწყო ყველაფერი: ისინი პოში, სანატორიუმში, ერთად აღმოჩნდნენ; ექიმებმა ორივე იქ გააგზავნა, რადგან ეგონათ, რომ ორივეს ტუბერკულოზი სჭირდა. სინამდვილეში კი, არც ერთი და არც მეორე, ავადმყოფი არ ყოფილა. მაგრამ ორივეს სჯეროდა, რომ ძალიან ავად იყო. ადრე ერთმანეთს არ იცნობდნენ. პირველად ტერასაზე ნახეს ერთმანეთი, მათი შეზლონგები გვერდიგვერდ აღმოჩნდა, სხვა ავადმყოფთა შორის, რომლებიც მთელი დღე გამაჯანსაღებელი ჰაერის აბაზანებს იღებდნენ. რადგან თავი განწირული ეგონათ, გადაწყვიტეს, რაც უნდა ჩაედინათ მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ვენსანი ყოველ ნამს ერთი და იმავეს ეუბნებოდა ქალს — ორივეს ერთი თვის სიცოცხლე თუღა დაგვრჩაო. ეს ყველაფერი გაზაფხულზე ხდებოდა. ქალი იქ სულ მარტო იყო. ქმარი ფრანგული ენის ერთი უბრალო მასწავლებელი ყოფილა ინგლისში. ქმარს რომ დასცილდა და პოში სამკურნალოდ გაემგზავრა, სულ სამი თვის დაქორწინებულები იყვნენ თურმე. ქმარმა უკანასკნელ გროშამდე ყველაფერი გაიღო მეუღლის სამკურნალოდ. წერილებს ყოველდღე სწერდა. ეს ახალგაზრდა ქალი ძალიან საპატივსაცემო ოჯახიდანაა, კარგად აღზრდილია, ძალიან თავდაჭერილი, მორცხვი. მაგრამ, აი, იქ... არ ვიცი, ვენსანმა რა მოახერხა და ისეთი რა უთხრა,

რომ მესამე დღეს, ქალი გამოუტყდა, როცა ქმართან ვიწექი, ნამდვილი სიამოვნება არ მიგრძვნიაო.

— ამან, ამან რაღა უპასუხა?

— ამან შეზლონგიდან გადმოკიდებული მისი ხელი ტუჩებთან მიიტანა და დიდხანს, დიდხანს კოცნა.

— თქვენ რაღა უთხარით, როცა ეს გიამბოთ?

— მე! ეს საძაგლობაა, მაგრამ... წარმოიდგინეთ, გიჟური სიცილი ამიტყდა. თავი ვერ შევიკავე; გაჩერება ვერ შევძელი... თანაც იმაზე კი არ ვიცინოდი, რასაც მიამბობდა; არამედ იმაზე, რომ ოღონდ ლაპარაკი გაეგრძელებინა, თანაგრძნობისა და შეწუხებული სახის გამომეტყველების მიღება მიწევდა. მეშინოდა, არ შემტყობოდა, რომ მისმა ნაამბობმა ძალიან გამამხიარულა. ისე კი, არსებითად, ეს ამბავი ძალიან ლამაზი და ნაღვლიანია. როცა მიამბობდა, ისე ღელავდა! აქამდე ამის შესახებ არავისთვის არაფერი უთქვამს. ცხადია, მისმა მშობლებმაც არაფერი იციან.

— თქვენ რომანები უნდა გეწერათ.

— ეგლა მაკლია, ჩემო კარგო, ვიცოდე მაინც რომელ ენაზე!.. ვერასოდეს შევძლებ რუსულს, ინგლისურსა და ფრანგულს შორის არჩევანს. — მოკლედ, მეორე ღამეს, თავისი ახალი მეგობრის ოთახში გამოცხადდა და ყველა იმ ხელოვნებას აზიარა, რომლის სნავლებაც მისმა ქმარმა ვერ მოახერხა, და როგორც მგონია, საკმაოდ გვარიანადაც გაანათლა. ოღონდ, ეგ იყო, რადგან დარწმუნებულები იყვნენ დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დარჩენოდათ, ბუნებრივია, სიფრთხილის არანაირი ზომა არ მიუღიათ, და მალე, სიყვარულმა თავისი გაიტანა, ორივემ გამოჯანმრთელება დაიწყო. როცა ქალი მიხვდა ორსულად იყო, ორივე სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. ეს გასულ თვეს მოხდა. სიცხეებიც დაიწყო. პოში ცხოვრება ზაფხულში შეუძლებელია. ერთად ჩამოვიდნენ პარიზში. მის ქმარს ქალი მშობლებთან ეგულებოდა, რომლებსაც ლუქსემბურგის სასახლის ახლოს პანსიონი აქვთ; მაგრამ ქალმა იქ მისვლა ვერ გაბედა. მშობლებს კი ისევ პოში ჰგონიათ. ყველაფერი იმით დამთავრდება, რომ მალე ყველა ყველაფერს გაიგებს. ვენსანი ჯერ ეფიცებოდა თურმე, არ მიგატოვებო; სთავაზობდა, სადაც გინდა იქ წავიდეთ, თუნდაც ამერიკაში, თუნდაც ოკეანეთშიო. მაგრამ ფული სჭირდებოდათ; და აი, ზუსტად ამ დროს თქვენ გადაგეყარათ და თამაში დაიწყო.

— ჩემთვის მსგავსი არაფერი მოუყოლია.

— ოლონდ, არ უთხრათ, რომ გელაპარაკეთ!.. — ლილიანი შეჩერდა და ყური მიუგდო.

— მეგონა, მოდიოდა... ასე თქვა, პოდან პარიზამდე მგზავრობისას, მეჩვენებოდა, ქალი ჭკუიდან იშლებოდაო. ლორა ის—ის იყო მიხვდა თავის ფეხმძიმობას; ვენსანის პირდაპირ მჯდარა ვაგონის კუპეში. მარტონი ყოფილან. ქალს დილიდანვე ერთი სიტყვაც არ უთქვამს; გამგზავრების თადარიგიც ვენსანმა დაიჭირა, ის კი უსიტყვოდ ისე ემორჩილებოდა, თითქოს შეგრძნების უნარი დაკარგაო. ვენსანმა მისი ხელები თავისაში მოაქცია, მაგრამ ლორას ვერც ამან უშველა, უაზროდ იყურებოდა წინ, ვერაფერს ამჩნევდა, მხოლოდ ტუჩებს ამოძრავებდა. ვენსანი მისკენ დაიხარა და შემოესმა: „საყვარელი! საყვარელი! საყვარელი მყავს!“ ერთი და იმავე ტონით იმეორებდა, ერთი და იმავე სიტყვებს, თითქოს სხვა სიტყვები აღარც ახსოვდა... გარწმუნებთ, მეგობარო, როცა ესეც მიამბო, სიცილის არანაირი სურვილი აღარ მქონია. ამაზე უფრო ამაღელვებელი რამ, ცხოვრებაში არ გამიგია. მაგრამ, მაინც, იმის მიხედვით, როგორ ლაპარაკობდა ვენსანი, მივხვდი, რომ იგი უკვე ყველაფერს გაურბოდა. მისი გრძნობა თითქოს სიტყვებთან ერთად ქრებოდა. შეიძლება ითქვას, ჩემი მღელვარების გამო, რაღაც მადლიერების გრძნობაც ეუფლებოდა, რადგან მისი მღელვარების ნაწილს ჩემს თავზე ვიღებდი.

— არ ვიცი, ამას რუსულად ან ინგლისურად როგორ იტყოდით, მაგრამ გარწმუნებთ, ფრანგულად დიდებულად გამოვიდა.

— გმადლობთ. ვიცი. აი, ასეთი ამბის შემდეგ, ზოოლოგიაზე დაიწყო ლაპარაკი; მე კი ვეცადე დამერწმუნებინა, სიყვარულისთვის საკუთარი კარიერის მსხვერპლად შენირვა საშინელება იქნებოდა.

— სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სიყვარულის მსხვერპლად შენირვა ურჩიეთ. და იმ სიყვარულის სანაცვლოდ საკუთარი თავი შესთავაზეთ?“

ლილიანმა არ უპასუხა.

„— ახლა კი, მგონი, მართლა ის არის, — თქვა რობერმა და ადგა... — ვიდრე შემოვა, კიდევ ერთ სიტყვას გეტყვი, ოლონდ ჩქარა მიპასუხე. დღეს მამაჩემი მოკვდა.

— აჰ! — უბრალოდ წამოიძახა ლილიანმა.

— საინტერესოა, როგორ შეხვდებით ნინადადებას, რომ გრაფინია დე პასავანი გახდეთ?“

ლილიანი უცბად უკან გადაიხარა და სიცილი წასკდა.

„— კი მაგრამ, ჩემო კარგო,.. თუ მახსოვრობა არ მღალატობს, ერთი ქმარი უკვე მყავს, ჩემგან ინგლისში მივიწყებული. როგორ, განა თქვენთვის არ მითქვამს?

— შეიძლება არ გითქვამთ.

— ლორდი გრიფიტი სადღაც ხომ არსებობს კიდევ".

გრაფმა დე პასავანმა, რომელსაც თავისი მეგობარი ქალის ტიტულის ნამდვილობა არასოდეს სჯეროდა, მხოლოდ გაიღიმა. ლილიანმა კი გააგრძელა:

„— ერთი გამაგებინეთ, ამას იმიტომ მთავაზობთ, რომ თქვენი ცხოვრების საფარველად ვიქცე? არა, ჩემი კარგო, არა. ისევე დავრჩეთ, როგორც ვართ. მეგობრებად, კარგით?" — და ხელი გაუწოდა. გრაფი ხელზე ემთხვია.

„— ეშმაკმა დალახვროს, ასეც ვიცოდი, — შემოსვლისთანავე შესძახა ვენსანმა. — ტანსაცმელი გამოუცვლია. მუხანათო.

— დიახ, დავპირდი, ჩვეულებრივი პიჯაკით მოვიდოდი, თავისი პიჯაკის რომ არ შერცხვენოდა, — თქვა რობერმა. — გთხოვთ, მომიტევოთ, ძვირფასო მეგობარო, მაგრამ უცბად გამახსენდა, რომ მგლოვიარე ვარ".

ვენსანს ამაყად აეწია თავი; მასში ყველაფერი ტრიუმფით, სიხარულით სუნთქავდა. მისი გამოჩენისთანავე ლილიანი ოდნავ შეტოკდა, წამიერად დაკვირვებით შეხედა, მერე მხიარული მზერა რობერს ესროლა, ეძგერა და ზურგზე მუშტები დაუშინა, თან ცეკვავდა, თან ყვიროდა (ოდნავ მაღიზიანებს, როცა ლილიანი ასე ბავშვობს):

„— სანაძლეო წააგე! სანაძლეო წააგე!

— რა სანაძლეო? — იკითხა ვენსანმა.

— დამენაძლევა, რომ ისევ წააგებდით. ახლა, ჩქარა მითხარით, რამდენი მოიგეთ?

— არაადამიანური სიმტკიცე და თავშეკავება დამჭირდა, რომ ორმოცდაათი ათასზე შევჩერებულიყავი და თამაში შემეწყვიტა".

ლილიანმა სიხარულისგან იკივლა.

„ბრავო! ბრავო!" — ყვიროდა. მერე ვენსანს კისერზე ჩამოეკიდა და ამ უკანასკნელმა მთელი სხეულით იგრძნო სანდალოზის უცხო სურნელით მფეთქავი ქალის მოქნილი ტანის სიმხურვალე. ლილიანმა შუბლი, ლოყები, ტუჩები დაუკოცნა. ატორტმანებულმა ვენსანმა

ძლივს გაითავისუფლა თავი და ჯიბიდან საბანკო ბილეთების დასტა ამოიღო.

„— აიღეთ, აი, თქვენი ფული, — უთხრა რობერს და ხუთი ბილეთი გაუწოდა.

— ახლა უკვე ლედი ლილიანს უნდა მისცეთ“.

რობერმა ბილეთები ლილიანს მიაწოდა, რომელმაც ისინი დივანზე მიყარა. ქალი ქოშინებდა; სულის მოსათქმელად ტერასაზე გავიდა. ის საეჭვო ჟამი დადგა, როცა ღამე მთავრდება და ეშმაკი მოგებას ითვლის. გარედან ჩქამიც არ ისმოდა. ვენსანი დივანზე ჩამოჯდა. ლილიანი მისკენ შებრუნდა და პირველად მიმართა შენობით:

„— აბა, ახლა, რის გაკეთებას აპირებ?“

ვენსანმა თავი ხელებში ჩარგო და თითქმის ატირებულმა თქვა:

„— უკვე აღარც კი ვიცი“.

ლილიანი მიუახლოვდა, შუბლზე ხელი დაადო. ვენსანმა თავი ასწია, თვალი მშრალი და აალებული ჰქონდა.

„— კარგი, მანამდე კი, მოდით და ერთმანეთს ჭიქები მივუჭახუნოთ“. — თქვა და სამი ჭიქა გაავსო ტოკაური ღვინით.

როცა ყველამ დალია, ქალმა განაცხადა:

„— ახლა, ნაბრძანდით. უკვე გვიანია და ძალიან დავიღალე“. — წინა ოთახამდე მიაცილა ორივე; რობერი წინ გაატარა, ვენსანს ჩუმად ხელში მეტალის პატარა საგანი ჩაუდო და ჩასჩურჩულა:

„— მასთან ერთად გადი, თხუთმეტი წუთის შემდეგ კი დაბრუნდი“.

წინა ოთახში ჩათვლემილ ლაქიას მხარი შეუნჯღრია:

„— ამ ბატონებს გზა გაუნათე და ქვევით ჩააცილე“.

კიბეზე ბნელოდა; ცხადია, დენის ჩართვა ჯობდა, მაგრამ ლილიანი მუდამ ცდილობდა ისე მოეხერხებინა, რომელიმე მსახურს მაინც დაენახა, როგორ მიდიოდნენ მისი სტუმრები.

ლაქიამ დიდ შანდალში სანთლები აანთო, ზემოთ ასწია და რობერსა და ვენსანს კიბეზე ჩაუძღვა. რობერის ავტომანქანა სადარბაზოს კარის წინ იდგა; კარი კი მათი გასვლის შემდეგ, ლაქიამ დაკეტა.

„— მგონი, ჯობია სახლში ფეხით ნავიდე. სიარული მჭირდება, ცოტა რომ დავმშვიდდე. — თქვა ვენსანმა, როცა რობერმა მანქანის კარი გამოაღო და ანიშნა ჩაჯექიო.

„— მართლა არ გინდათ, რომ მიგიყვანოთ? — უცბად ვენსანის მარ-

ცხენა ხელის მაგრად შეკრულ მუჭს სტაცა ხელი. — გაშალეთ მუჭა. აბა, გაბედულად, მაჩვენეთ რა გაქვთ".

ვენსანს რობერის ეჭვიანობისა გულუბრყვილოდ შეეშინდა, გაწითლდა და თითები გაშალა. ტროტუარზე პატარა გასაღები დავარდა. რობერმა სწრაფად აიღო, დახედა და სიცილით უკან დაუბრუნა.

„— აი, მესმის! — თქვა და მხრები აიჩეჩა. მერე, ვიდრე მანქანაში ჩაჯდებოდა, შემკრთალი ვენსანისკენ გადაიხარა და უთხრა: — დღეს ხუთშაბათია. უთხარით თქვენს ძმას, ოთხი საათის შემდეგ ველოდები". — ვენსანის პასუხს არც დალოდებია ისე სწრაფად მიკეტა მანქანის კარი.

მანქანა დაიძრა. ვენსანმა სანაპიროზე ცოტა გაიარა, სენის მეორე ნაპირზე გადავიდა, ტიულერის შემოუღობავ ნაწილამდე მივიდა, მიუახლოვდა პატარა აუზს, წყალში ცხვირსახოცი დაასველა, შუბლზე და საფეთქლებზე დაიდო. მერე, ნელი ნაბიჯით ლილიანის სახლისკენ წავიდა. აქ დავტოვოთ იმ მომენტში, როცა მან, ეშმაკის ცულლუტური მზერის ქვეშ, კლიტეში პატარა გასაღები უხმაუროდ შეაცურა...

ეს ის დროა, თანაც ზუსტად ის დრო, როცა სასტუმროს ერთ უსახურ ოთახში, ლორა, მისი გუშინდელი სატრფო, დიდი ხნის ტირილისა და კვნესის შემდეგ, ძილმა წაიღო. ხოლო გემბანზე მდგარმა ედუარდმა, გემს იგი საფრანგეთში მიჰყავს, განთიადის პირველ სხივზე კიდევ ერთხელ გადაიკითხა ქალისგან გამოგზავნილი გულის ამაჩუყებელი წერილი, რომელშიც მუდარით საშველად უხმობდა მას. ნელ—ნელა სამშობლოს მშობლიური ნაპირები იკვეთება, მაგრამ, ბურუსში, მისი დანახვა მხოლოდ გაწაფულ თვალს თუ შეუძლია. ცაზე, სადაც აგერ—აგერ, უფლის ღიმილიანი მზერა უნდა გამოჩენილიყო, ღრუბლის ნაფლეთიც არ ჩანდა. გავარდისფერებული ჰორიზონტის ქუთუთო უკვე იხსნებოდა. ოჰ, რა მცხუნვარე დღე ელის პარიზში! ჩვენ კი დროა ბერნარს დავუბრუნდეთ. მან ზუსტად ამ წუთში გაიღვიძა ოლივიეს საწოლში.

# VI

We are all bastards; And that most venerable man, which I
Did call my fath'er, was I know not where, When I was stamp'd.

*Shakespeare* [1]

ბერნარმა უაზრო სიზმარი ნახა. სიზმრიდან არაფერი დაამახსოვრდა. თუმცა, გახსენება არც უცდია, პირიქით, მისგან გათავისუფლებას ლამობდა. რეალურ სამყაროს დაუბრუნდა და მაშინვე ოლივიეს სხეულის სიმძიმე იგრძნო. ძილის დროს, ყოველ შემთხვევაში, ბერნარის ძილის დროს მაინც, მეგობარი მისკენ მიწეულიყო; თუმცა, ისედაც ვიწრო საწოლი, მათ შორის მინიმალური დაშორების გარდა, სხვა საშუალებას არც იძლეოდა. ოლივიე გადმობრუნდა და ახლა მისი მხურვალე სუნთქვა ბერნარს კისერზე ულიტინებდა. ბერნარს მხოლოდ დღისით ჩასაცმელი მოკლე პერანგი ეცვა; ოლივიეს ხელი მის სხეულს საჩოთიროდ სახიფათოდ ჩახვეოდა. ბერნარს ერთი წამით ეჭვიც შეეპარა, მის მეგობარს მართლა ეძინა თუ არა. ფრთხილად გაითავისუფლა თავი. ეცადა ოლივიე არ გაეღვიძებინა, ადგა, ჩაიცვა და ისევ დაწვა. წასვლა ჯერ ძალიან ადრე იყო. ოთხი საათია. ეს-ეს არის ღამემ გაფერმკრთალება დაიწყო. კიდევ ერთი საათის დასვენება სჭირდება, ძალა რომ მოიკრიბოს და დღე მამაცურად დაიწყოს. მაგრამ ძილისა რა მოგახსენოთ. ბერნარმა ამ პაწია ოთახის ფანჯრის მოცისფრო მინების, ნაცრისფერი კედლებისა და რკინის საწოლის თვალიერება დაიწყო, რომელზეც ჟორჟი იწვა და ძილში წრიალებდა.

„ერთი წამიც და, — გაიფიქრა ბერნარმა, — საკუთარი ბედის

1. დიახ, ჩვენ ყველა ნაბიჭვრები ვართ; და ის პატივცემული ადამიანი, ვისაც მე მამას ვეძახოდი, არვინ იცოდა სად ბრძანდებოდა, იმ დროს, როდესაც ვიღაც ყოჩაღმა თავისი ხელსანყოთი მე გამომჭედა... (შექსპირი)

შესახვედრად წავალ. რა მშვენიერი სიტყვაა: თავგადასავალი! ის, რაც უნდა მოხდეს. მომავლის გასაღები. ყველაფერი ის საოცრება, რაც მელის. არ ვიცი, სხვა რას გრძნობს, მაგრამ ვილვიძებ თუ არა, მაშინვე ზიზღი მეუფლება მათდამი, ვისაც ჯერ კიდევ სძინავს. ოლივიე, ჩემო მეგობარო, შენთან დაუმშვიდობებლად მივდივარ. აბა, წინ! ადექი, მამაცო ბერნარ! დროა".

დასველებული პირსახოცის ბოლოთი სახე გაიწმინდა; თმა დაივარცხნა, ფეხსაცმელი ჩაიცვა, კარი უხმაუროდ გააღო და გზას გაუდგა!

აჰ! რა სასარგებლო ჩანს ყველა სულდგმულისთვის ეს ჰაერი, რომლითაც ჯერ კიდევ არავის უსუნთქია! ბერნარი ლუქსემბურგის ბაღის ღობურს გაუყვა; ბონაპარტის ქუჩით დაეშვა, რომელმაც სანაპიროზე გაიყვანა და სენა გადაჭრა. გაახსენდა თავისი ახალი, ამას წინათ რომ ჩამოაყალიბა, ცხოვრების წესის ფორმულა: „თუ ამას არ გააკეთებ, მაშინ ვინ გააკეთებს? თუ ამას დაუყოვნებლივ არ გააკეთებ, მაშინ როდისღა გააკეთებ?" და გაიფიქრა: „დიდი საქმეებია საკეთებელი"; ეჩვენება, რომ ამ საქმეებს უახლოვდება. „დიდი საქმეები", თავისთვის იმეორებს სიარულისას. ნეტავ იცოდეს, რომელია ეს „დიდი საქმეები"!.. ჯერჯერობით კი, ის იცის, რომ შია; აგერ, ბაზარსაც მიუახლოვდა. ჯიბეში მხოლოდ თოთხმეტი სუ აქვს, არც ერთი გროში ზედმეტი. ბარში შევიდა; ქადა და რძიანი ყავა აიღო. ათი სუ გადაიხადა, ოთხიღა დარჩა; ორი სუ თავმომწონედ დახლზე დატოვა, ორიც ვიღაც მაწანწალას მისცა, სანაგვეში რომ იქექებოდა. გულმოწყალება? თუ გამონვევა? რა მნიშვნელობა აქვს. უცბად, მეფესავით ბედნიერად იგრძნო თავი. აღარაფერი აქვს, მაშასადამე, ყველაფერი მას ეკუთვნის! — „ყველაფერს განგებისგან ველი, — გაიფიქრა, — ოღონდ, დღეს, ასე შუადღისთვის, მადის აღმძვრელი სისხლიანი როსტბიფის[1] მსგავსი რამით თუ გამიმასპინძლდება (რადგან გუშინ საღამოს არ უვახშმია), მაშინ ვიწამებ". ამასობაში, მზეც კარგა მაღლა აიწვერა. ბერნარი ისევ სანაპიროზე გავიდა. თავს ისე მსუბუქად გრძნობს, რომ გაქცეულიყო, ეგონებოდა, მივფრინავო. თავშიც კი უკეთური აზრები დაუტრიალდა. აი, რას ფიქრობს:

„ცხოვრებაში ყველაზე დიდი სიძნელე ერთი და იმავე ამბის ხან-

1. ძროხის სუკის შემწვარი ნაჭერი.

გრძლივად სერიოზულად მიღებაა. მაგალითად, ავიღოთ, დედაჩემის სიყვარული იმ ადამიანისადმი, რომელსაც მამას ვეძახდი — ამ სიყვარულისა მთელი თხუთმეტი ნელი მჯეროდა; მჯეროდა გუშინაც. ეშმაკმა დალახვროს! და, დედაჩემიც ხომ დიდხანს არ ღებულობდა თავის სიყვარულს სერიოზულად. იმის გარკვევა კი საინტერესოა, მძულს თუ უფრო პატივს ვცემ იმისთვის, რომ შვილი ნაბიჭვრად აქცია?.. თუმცა, არსებითად, არც ისე მაინტერესებს. მშობლებისადმი გრძნობები იმ საგანთა ნაწილს მიეკუთვნება, რომლებიც უმჯობესია არ გამოააშკარაო, სინათლის სხივზე უკუჩვენება აქვს. რქოსან ქმარს, რაც შეეხება, აქ ყველაფერი მარტივია: რაც თავი მახსოვს, ყოველთვის მძულდა; დღეს იძულებული ვარ ვაღიარო, რომ ამაში ჩემი დამსახურება დიდი არაფერი იყო — და ეს ერთადერთია, რასაც ვნანობ. აბა, წარმოიდგინეთ: ძალით რომ არ გამეტეხა ის ყუთი, მთელი ცხოვრება მეგონებოდა, უსამართლოდ ვიყავი არაადამიანური გრძნობებით შეპყრობილი მშობელი მამის მიმართ! კარგია, რომ გავიგე!.. თუმცა ყუთი მე არ გამიტეხია; გახსნასაც არ ვაპირებდი... თანაც დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოებაც მაქვს: ჯერ ერთი, გუშინ ძალზე მოწყენილი ვიყავი. მერე კიდევ, ეს საშინელი ცნობისმოყვარეობა, ეს „საბედისწერო ცნობისმოყვარეობა", როგორც ფენელონი[1] ამბობს, რომელიც, ალბათ, მემკვიდრეობით მერგო ჩემი ნამდვილი მამისგან, რადგან პროფიტანდიების ჯიშში ამისი კვალიც არა ჩანს. იმაზე ნაკლებ ცნობისმოყვარე კაცი არ შემხვედრია, ვიდრე დედაჩემის ბატონი ქმარია; თუ არ ჩავთვლით იმ ბავშვებს, რომლებიც მისგან გააჩინა. როცა ვისადილებ, მათზეც ღირს დაფიქრება... ტუალეტის მაგიდის მარმარილოს ფილის აწევა და იმის აღმოჩენა, რომ ყუთის ფიცრებს პირი დაუღია, სულაც არ ნიშნავს კლიტის ძალით გატეხვას. ქურდი არა ვარ. ტუალეტის მაგიდის მარმარილოს ფილა ყველამ შეიძლება ასწიოს. თეზევსიც, ალბათ, ჩემი ხნისა იქნებოდა, როცა კლდე ასწია. ჩვეულებრივ იდგა ტუალეტის მაგიდაზე საათი და ადრე არც გვიფიქრია ხელის ხლება. ტუალეტის მაგიდის მარმარილოს ფილის აწევა აზრადაც არ მომივიდოდა, საათის შეკეთება რომ არ მომეწადინებინა... მაგრამ, აი, აქ აღმოაჩინო იარაღი ან დანაშაულებრივი სიყვარულის მოწმე წერილები! ასეთ რამეს

1. ფრანსუა დე სალინიაკ დე ლა მოტი ფენელონი (1651-1717) — ფრანგი მწერალი და რელიგიური მოღვაწე.

ბევრი ვერ შეხვდება. ოჰ! მნიშვნელობა მხოლოდ იმას აქვს, რომ მე ეს შევიტყვე. ჰამლეტივით ყველას როდი აქვს ის ფუფუნება, რომ მამხილებელი აჩრდილი ჰყავდეს. ჰამლეტი! საოცარია, მაინც როგორ არის ცხოვრებისეული თვალსაზრისი იმაზე დამოკიდებული, ამ ქვეყანას დანაშაულებრივი სიყვარულის წყალობით მოევლინე თუ კანონიერი ქორწინების ნაყოფი ხარ. როცა ვისადილებ, ამ საკითხს ისევ დავუბრუნდები... ცუდად მოვიქეცი ეს წერილები რომ წავიკითხე თუ არა? თუ ეს ცუდია... არა, მაშინ სინდისის ქენჯნა დამტანჯავდა. რომ არ წამეკითხა, მაშინ ცხოვრებას უვიცობაში, სიცრუეში და მორჩილებაში გავაგრძელებდი. აბა, ახლა სუფთა ჰაერი ჩავისუნთქოთ და ღია ზღვაში შევცუროთ! „ბერნარ! ბერნარ, ეს შენი ვარდისფერი სიჭაბუკე...". — როგორც ბოსიუე[1] იტყოდა, აი, აქ დასვი, ბერნარ, ამ მერხზე. რა მშვენიერი დილაა! ისეთი დღეებიც არსებობს, როცა მართლა გგონია, რომ მზე ნამდვილად ეალერსება დედამიწას. და რომ შემეძლოს, ფიქრისგან თავის დახსნა, აუცილებლად ლექსებს დავწერდი".

მერხზე განვა ბერნარი, ფიქრებიდანაც წარმატებით დაიხსნა თავი და მაშინვე ჩაიძინა.

1. ჟაკ ბენინ ბოსიუე (1627-1704) — ფრანგი მწერალი და სასულიერო მოღვაწე.

## VII

მზემ უკვე მაღლა აინია, ღია ფანჯარაში შეაღწია და ლილიანის გვერდით ფართო სანოლზე მწოლიარე ვენსანის შიშველ ფეხს მიეფერა. ლილიანმა ჯერ არ იცოდა, რომ ვენსანს ეღვიძა, წამოიწია, დახედა, მისმა შეწუხებულმა სახემ გააოცა.

იქნებ, ლედი გრიფიტს უყვარდა კიდეც ვენსანი, მაგრამ მისი წარმატებები უფრო ხიბლავდა. ვენსანი დიდი იყო, ლამაზი, ტანადი, მაგრამ არც თავის დაჭერა იცოდა, არც დაჯდომა და არც ადგომა. ექსპრესიული სახე ჰქონდა, მაგრამ თმას ცუდად ივარცხნიდა. ყველაზე მეტად მისი გაბედული და ძლიერი გონებით იყო აღტაცებული; უთუოდ ძლიერ განათლებული იყო, მაგრამ ქალს გაუთლელ ადამიანად მიაჩნდა. საყვარლისა და დედის ინსტინქტს დამორჩილებული ლილიანი, ცდილობდა დაეცვა და ჩამოეყალიბებინა ეს დიდი ბავშვი; მისგან თავისი შედევრი შეექმნა, თავისი ქანდაკება; ფრჩხილების მოვლა ასწავლა, ურჩია, თმას უკან ნუღა გადაიყრი, გვერდზე გაიყავიო და ახლა, სანახევროდ დაფარული შუბლი უფრო ფერმკრთალი და უფრო მაღალიც უჩანდა. ბოლოს, ადრინდელი, უბრალო მზა ნასკვებიანის მაგივრად, ლამაზი ჰალსტუხები შეურჩია, კოსტიუმების შესაფერი. დიახ, ლედი გრიფიტს, ცხადია, უყვარდა ვენსანი, მაგრამ ვერ იტანდა, როცა ის დუმდა, ან, როგორც ქალი ამბობდა, „პირქუში“ იყო.

ლილიანმა ვენსანის შუბლს თითის წვერი ნაზად გააყოლა, თითქოს იმ ორმაგი ვერტიკალური ხაზიდან, წარბებიდან რომ ეწყებოდა, ერთის წაშლა უნდაო.

„— ჩემთან მოსვლისას, თუ არ გსურს მოიშორო სინანული, საზრუნავი, სინდისის ქენჯნა და გინდა ყველა ეს უბედურება აქ მომიტანო, მაშინ უმჯობესი იქნება, საერთოდ არ მოხვიდე“. — ჩაიბუტბუტა ქალმა და მისკენ დაიხარა.

ვენსანმა თვალი ისე დახუჭა, როგორც კაშკაშა სინათლის თვალში მოხვედრის დროს ხდება ხოლმე. ლილიანის მხიარულმა მზერამ დააბრმავა იგი.

„— აქ ისე უნდა შემოხვიდე, როგორც მეჩეთში შედიან; შესასვლელთან ფეხსაცმელი უნდა გაიხადო, გარედან ჭუჭყი რომ არ შემო-

იტანო. თუ გგონია, ვერ ვხვდები, რაზე ფიქრობ?!" — თქვა ქალმა და ჭირვეულად მოიშორა ვენსანის ხელი, რომელიც ამ უკანასკნელმა ლილიანის ბაგესთან მიტანა და ქალის გაჩერება განიზრახა:

„— არა, დამაცადე სერიოზულად გელაპარაკო. იმდღევანდელ შენს ნაამბობზე, ბევრი ვიფიქრე. ჩვეულებრივ, მიაჩნიათ, რომ ქალებს ფიქრის უნარი არ აქვთ, მაგრამ ახლავე ნახავ, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ არიან ეს ქალები... გახსოვს, შეჯვარების შედეგებზე მიამბე... ისიც მითხარი, რომ შეჯვარების შედეგად, რაიმე ღირებულის მიღება შეუძლებელია, რომ უკეთესია სელექციის გამოყენება... აბა! ხომ, კარგად ავითვისე შენი გაკვეთილი?.. მაშ ასე. ასე მგონია, შენ ახლა ურჩხულს ასაზრდოებ, რაღაც უცნაურ ქმნილებას, სული ნმიდისა და ბახუსის მსახურის ჰიბრიდს, რომელიც თავისით აღარ მოგშორდება. ხომ მართალია?.. საკუთარ თავს გმობ, რომ ლორა მიატოვე: შენი შუბლის ნაოჭებზე ამოვიკითხე. თუ მასთან დაბრუნება გსურს, ახლავე მითხარი და დავშორდეთ ერთმანეთს; თუ ასეა, მაშასადამე, შევცდი და შენს წასვლასაც აღარ ვინანებ; მაგრამ, თუ დარჩენას გადაწყვეტ, მაშინ მოიშორე ეგ მგლოვიარე სახე. იმ ზოგიერთ ინგლისელს მაგონებ, რომლის აზროვნებაც, რაც უფრო თავისუფალი ხდება, მით ძლიერ ეჭიდება მორალს; იქამდე, რომ მისთვის დიდი პურიტანები აღარ არსებობენ, გარდა ზოგიერთი თავისუფლად მოაზროვნისა... უგულო გგონივარ? ცდები: მშვენივრად მესმის, რომ ლორა გებრალება. მაგრამ აქ რატომღა მოხვედი?"

ვენსანი გადაბრუნდა. ქალმა გააგრძელა:

„— მისმინე: წადი აბაზანაში და ეცადე შხაპის ქვეშ მთელი შენი სინანული ჩამოირეცხო. მე კი ჩაის მოვატანინებ, კარგი? და როცა გამოხვალ, რაღაცას კიდევ აგიხსნი, თორემ ისეთი სახე გაქვს, გემჩნევა, რაც გითხარი, კარგად ვერ მიხვდი".

ვენსანი ადგა. მის კვალდაკვალ ლილიანიც წამოხტა და მიაძახა:

„— აბაზანის შემდეგ, უცბად არ ჩაიცვა. კარადაში, გამათბობელის მარჯვნივ ბურნუსებს[1] იპოვი, ხალათებს, პიჟამებს... მოკლედ, აირჩიე".

---

1. კაპიუშონიანი გრძელი მოსასხამი, ჩვეულებრივ, თეთრი ფერისაა და ბედუინები ატარებენ.

ოცი წუთის შემდეგ, სალათისფერ ჯელაბაჰში[1] შემოსილი ვენსანი გამოჩნდა.

— ო! მოიცა! მოიცა, ახლავე გამოგაწყობ. — დაიძახა აღტაცებულმა ლილიანმა და აღმოსავლური სკივრიდან ორი ფართო, იისფერი შარფი ამოიღო, უფრო მუქი ქამარივით შემოუჭირა ვენსანს, მეორე ჩალმასავით შემოახვია თავზე.

„— ჩემი ფიქრები მუდამ იმ ფერისაა, რა ფერისაც ჩემი ჩასაცმელია (მას სირმით ამოქარგული მეწამული ფერის პიჟამა ეცვა). მახსენდება, ერთხელ, სან-ფრანცისკოში, სულ პატარა ვიყავი, დედაჩემის ერთ-ერთი დის გარდაცვალების გამო, შავი ტანსაცმელი ჩამაცვეს. მოხუცი დეიდა არასოდეს მინახავს. მთელი დღე ვტიროდი; ისეთი ნაღვლიანი ვიყავი, ისეთი ნაღვლიანი; წარმოვიდგინე, რომ დიდი მწუხარება დამატყდა თავს და საშინლად მეცოდებოდა დეიდა... და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ შავი კაბა მეცვა. დღეევანდელი მამაკაცები მუქ ტანსაცმელს ატარებენ და ქალებზე სერიოზული იმიტომ ჩანან. მზად ვარ სანაძლეო დავდო, ახლა თავში სულ სხვა აზრები გიტრიალებს, ვიდრე აქამდე გქონდა. აქ ჩამოჯექი, საწოლის კიდეზე. როცა ჭიქა არაყს, ფინჯან ჩაის დალევ და ორ-სამ სენდვიჩს მიატან, ერთ ამბავს გიამბობ. მითხარი, როდის დავინყო...“.

თვითონ საწოლთან გაფენილ პატარა ნოხზე მოკალათდა, ვენსანის ფეხებშუა, ეგვიპტურ სტელასავით დახვეული და ნიკაპი საკუთარ მუხლებს დაადო. თვითონაც ჭამა, ჩაიც დალია, მერე დაიწყო:

„— იმ დღეს, როცა „ბურგუნდია“ ჩაიძირა, მეც გემზე ვიყავი. მაშინ ჩვიდმეტი წელი შემისრულდა. ძნელი არ არის გამოთვალო, დღეს რამდენისა ვარ. დიდებულად ვცურავდი; და რომ დაგიმტკიცო მეტისმეტად უგულო ქალი არა ვარ, გეტყვი, პირველი აზრის შემდეგ, რომელიც მაშინ თავში მომივიდა — საკუთარი თავი გადამერჩინა, — მეორე აზრიც გამიჩნდა, სხვაც მეხსნა სიკვდილისაგან. თუმცა დარწმუნებული არა ვარ, იქნებ, პირველი აზრიც ეს იყო. უფრო ზუსტად კი, მგონი, საერთოდაც არაფერი მიფიქრია. ჩემში ყველაზე დიდ ზიზღს ის ადამიანები იწვევენ, ასეთ დროს მხოლოდ საკუთარ თავზე რომ ზრუნავენ; დიახ, ეს იმ ქალებსაც ეხება, რომლებიც წივიან და კივი-

1. კაპიუშონიანი გრძელი ჩასაცმელი. ჩრდილო აფრიკის მცხოვრებნი ატარებენ.

ან. პირველი სამაშველო ნავი ძირითადად ქალებითა და ბავშვებით აივსო, თანაც ზოგიერთი ქალი ისეთი სასოწარკვეთით კიოდა, ჭკუიდან შეიშლებოდა კაცი. ნავი ზღვაში ისე ცუდად ჩაუშვეს, რომ ძირის მაგივრად ცხვირით ჩაერჭო წყალში და მანამდე დაცარიელდა, ვიდრე წყლით აივსებოდა. ყველაფერი ეს ჩირაღდნების, ფანრებისა და პროჟექტორების შუქზე ხდებოდა. წარმოდგენითაც ვერ წარმოიდგენ, რა საშინელება ტრიალებდა. დიდი ტალღები იყო და ყველაფერი, რაც გაუნათებელ სივრცეში ხდებოდა, ტალღების მთის იქით უჩინარდებოდა სიბნელეში. არასოდეს, არც მანამდე, არც შემდეგ, ინტენსიური ცხოვრებით არ მიცხოვრია; იმაზე მეტი დაფიქრების უნარიც არა მქონია, რაც წყალში გადამხტარ ნიუფაუნდლენდს აქვს. დღეს აღარც მახსოვს კარგად, რა ხდებოდა; ის ვიცი მხოლოდ, რომ ნავში გოგონა შევამჩნიე, ხუთი თუ ექვსი წლისა იქნებოდა, ძალიან საყვარელი; და მაშინვე, როგორც კი ნავი გადაბრუნდა, გადავწყვიტე, ის გადამერჩინა. გოგონა ჯერ დედასთან ერთად იყო; ეს უკანასკნელი ცუდად ცურავდა, გარდა ამისა, როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, ქვედა კაბა უშლიდა ხელს. მე კი, ეტყობა, უნებურად გავიძრე ტანსაცმელი; ნავში ჩასაჯდომად დამიძახეს. იქნებ, ჩავჯექი კიდეც, მერე, უეჭველია, ნავიდან ზღვაში გადავხტი; მხოლოდ ის მახსოვს, დიდხანს მიეცურავდი ბავშვთან ერთად, რომელიც კისერზე ჩამფრენოდა. ბავშვი საშინლად იყო შეშინებული და ყელზე ისე ძლიერ მიჭერდა, სუნთქვა მიჭირდა. საბედნიეროდ, ნავიდან დაგვინახეს, დაგვიცადეს ან იქნებ, მოცურდნენ კიდეც ჩვენთან. ამ ამბავს სულ სხვა რამისთვის გიყვები. ამ მოგონებას, რომელიც ნათლად ჩამრჩა გონებაში, არასოდეს არაფერი წაშლის ჩემს ტვინსა და გულში. იმ ნავში, ჩვენს გარდა ერთი ორმოცამდე სასოწარკვეთილი ადამიანი კიდევ აიყვანეს. ნავი გაიჭედა, დამძიმდა. წყალი თითქმის ნავის ნაპირებს სწვდებოდა. წინ ვიჯექი და ჩემს მიერ გადარჩენილ გოგონას ვიხუტებდი, რომ გამეთბო და არ დაენახა ის, რაც შეუძლებელი იყო არ დამენახა: ორი მეზღვაური — ერთი ცულით შეიარაღებული, მეორე სამზარეულო დანით. და იცით, რას აკეთებდნენ?.. თითებს აჭრიდნენ, ხელის მტევნებს აჭრიდნენ იმ მოცურავეებს, თოკებს ჩაფრენილნი ჩვენს ნავში ამოძრომას რომ ლამობდნენ. ერთი მეზღვაური (მეორე ზანგი იყო) ჩემსკენ შემობრუნდა; სიცივისგან, შიშისგან, ზიზღისგან კბილს კბილზე ვაცემინებდი. იმ მეზღვაურმა მითხრა: „ერთიც რომ ამოვიდეს, ყველა დავილუპებით. ნავი გადატვირთულია“. მერე დაუმატა, გემის დაღუპვისას მუდამ იძუ-

ლებულნი არიან ასე მოიქცნენ, ოლონდ, ბუნებრივია, ამაზე არ ლაპარაკობენო.

აი, მაშინ, ეტყობა, გონება დავკარგე. ყოველ შემთხვევაში, ვერაფერს ვიხსენებ; ისე დამემართა, როგორც იმ ადამიანებს, მეტისმეტად ძლიერი ხმაურის შემდეგ საკმაოდ დიდხანს რომ ყრუვდებიან. და, როცა გემზე, რომელმაც აგვიყვანა, გონზე მოვედი, მიეხვდი, ის აღარ ვიყავ, ვერც ვერასოდეს შევძლებდი ვყოფილიყავი ის უწინდელი სანტიმენტალური გოგონა; მიეხვდი, ჩემი რაღაცა ნაწილი „ბურგუნდიასთან" ერთად ჩაიძირა, რომ ამიერიდან თითებსა და ხელებს დავაჭრიდი მრავალ დელიკატურ გრძნობას, რათა საშუალება არ მივცე გულში შემიძვრნენ და ფსკერისკენ გამაქანონ".

მან ვენსანს ცერად გახედა, წელში გაიმართა და დაუმატა:

„— ცხადია, ეს ჩვევაა; ჩვევა კი ჩვეულებრივ გამომუშავდება— ხოლმე".

მერე, რადგან ნაჩქარევად შეკრული თმა გაეშალა და მხრებზე ჩამოუცვივდა, ადგა, სარკესათან მივიდა, თმის ვარცხნა დაიწყო, თან ალაპარაკდა:

„— ცოტა ხნის შემდეგ, როცა ამერიკა დავტოვე, მეჩვენებოდა, ოქროს საწმისი ვიყავი და ჩემი დამპყრობის საძებნელად მივეშურებოდი. ზოგჯერ შევმცდარვარ, ხანდახან შეცდომებიც მომსვლია... შეიძლება ერთ ასეთ შეცდომას დღესაც ჩავდივარ, ამ ყველაფერს რომ გიამბობ. ახლა, ისე ნუ წარმოიდგენ, რომ, რადგან თავი გიძღვენი, დამიპყარი კიდეც. დაიმახსოვრე: საშუალობა მძულს, მხოლოდ გამარჯვებული შემიძლია მიყვარდეს. თუ გჭირდები, მაშინ, დაე, ეს მხოლოდ იმისთვის იყოს, გამარჯვებაში დაგეხმარო. მაგრამ თუ ეს მხოლოდ იმისთვისაა, რომ შეგიცოდო, დაგამშვიდო, გაგანებივრო... მაშინ, ახლავე გეტყვი: არა, ჩემო ძვირფასო მეგობარო ვენსან, არა, შენ მე კი არ გჭირდები, ლორა გჭირდება".

ლილიანმა ეს სიტყვები ისე წარმოთქვა, არ შებრუნებულა, თავისი ურჩი თმის სწორებაც არ შეუწყვეტია; ვენსანის მზერა მის გამოხედვას სარკეში შეხვდა.

„— ნებას მომცემ, პასუხი საღამომდე მადროვო. — ჰკითხა და ადგა, თავისი აღმოსავლური სამოსი გაიხადა, საკუთარი ჩაიცვა. — ახლა, სასწრაფოდ სახლში უნდა მივიდე, ვიდრე ჩემი ძმა ოლივიე წასვლას მოასწრებს; რაღაც სასწრაფო საქმე მაქვს სათქმელი".

ისე თქვა, თითქოს ბოდიშს იხდისო, წასვლისთვის რაღაც შეფერი-

ლობა რომ მიეცა; მაგრამ, როცა ლილიანს მიუახლოვდა, მომლიმარი და უჩვეულოდ ლამაზი ქალი ისე შემოუბრუნდა, რომ ვენსანი შეყოყმანდა:

„— წერილი უნდა დავუტოვო, სადილად რომ დაბრუნდება, ნახოს. — გააგრძელა ნათქვამი.

— ხშირად ელაპარაკებით ერთმანეთს?

— თითქმის არასოდეს. დღეს, საღამოს მიპატიჟებულია და მე მთხოვეს მისი გაფრთხილება.

— რობერტთან... ოჰ! I see... — თქვა უცნაური ღიმილით. — ამაზეც უნდა ვილაპარაკოთ... აბა, ჩქარა, წადი. ექვსისთვის დაბრუნდი, შვიდზე მისი ავტომობილი მოვა და ჩვენ ბულონის ტყეში სავახშმოდ წავალთ".

ვენსანი სახლისკენ ჩაფიქრებული მიდიოდა. გრძნობდა, სურვილების აღსრულებას შეეძლო სასოწარკვეთის მსგავსი რაღაცის წარმოშობაც, რომელიც სიხარულთან ერთდროულად აღმოცენდება, როგორც მისი ფარული აჩრდილი.

# VIII

უნდა აირჩიო: ქალები ან უნდა გიყვარდეს
ან შეიცნო ისინი. საშუალო არ არსებობს.

*შამფორი*

პარიზისკენ მიმავალ სწრაფ მატარებელში ედუარდი ახლახან გამოსულ პასავანის რომან „ღერძს" კითხულობს, რომელიც დიეპის სადგურში იყიდა. ალბათ, პარიზშიც ელოდება ეს წიგნი, მაგრამ ედუარდს მოთმინება არ ეყო, რომ დაუყოვნებლივ არ გასცნობოდა. ყველგან ამ წიგნზე ლაპარაკობდნენ. მის არც ერთ წიგნს, სადგურის წიგნის კიოსკებში გაყიდვის პატივი არ რგებია. ცხადია, ასწავლეს, რაც უნდა მოემოქმედა, ამ შედეგისთვის რომ მიეღწია, მაგრამ ასეთი საქმისკენ გული არ მიუწევდა, არ ესწრაფვოდა. საკუთარი თავისთვის არაერთხელ უთქვამს, რა მესაქმება ჩემი წიგნები სადგურების კიოსკებში გამოფენილი იქნება თუ არაო; დაინახავდა თუ არა პასავანის წიგნს და ისევ იმავეს გამეორება უნდოდა. რასაც პასავანი აკეთებდა, და ყველაფერი, რაც მის ირგვლივ კეთდებოდა, განნყობილებას უფუჭებდა; თუნდაც ეს სტატიები, ქებით ცამდე რომ აჰყავდათ ეს წიგნი. დიახ, სამივე გაზეთში, გემიდან ჩამოსვლისთანავე რომ იყიდა, თითქოს პირი შეუკრავთო, „ღერძის" მადიდებელი სტატიები იყო დაბეჭდილი. მეოთხეში კი თვით პასავანის წერილი იყო მოთავსებული, რომელშიც ამავე გაზეთში ადრე გამოქვეყნებულ ნაკლებ მაქებარ სტატიას პროტესტს უცხადებდა; პასავანი თავის წიგნს იცავდა და კომენტარებს აკეთებდა. ამ წერილმა ედუარდი უფრო მეტად გააღიზიანა, ვიდრე სტატიებმა. პასავანი აცხადებდა, ჩემი ნანარმოების ახსნა მსურსო, სინამდვილეში კი მოხერხებულად მუშაობდა საზოგადოებრივი აზრის შექმნაზე. არასოდეს ედუარდის არც ერთი წიგნი არ გამხდარა ამდენი სტატიის დაწერის მიზეზი. თუმცა, არც არასოდეს გაუკეთებია რამე კრიტიკოსების კეთილგანნყობის მოსაპოვებლად. მათ გულცივ გამოხმაურებებს კი, ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა, არც აღელვებდა. აი, მეტოქის წიგნისადმი მიძღვნილი სტატიების კითხვისას კი ისევ გაუჩნდა მოთხოვნილება, საკუთარი თავისთვის კიდევ ერთხელ ეთქვა: ეს არ მაღელვებს და ნაკლებ მნიშვნელობას ვანიჭებო.

ოღონდ, ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ პასავანი სძულდა. დროდადრო ერთმანეთს ხვდებოდნენ კიდეც და მომხიბვლელ ადამიანადაც მიაჩნდა. პასავანი მასთან მუდამ თავაზიანი იყო; მაგრამ, აი, პასავანის წიგნები არ მოსწონდა; ეჩვენებოდა, რომ იგი ხელოსანი უფრო იყო, ვიდრე ხელოვანი. თუმცა, პასავანზე ლაპარაკი გვეყოფა...

ედუარდმა პიჯაკის ჯიბიდან ლორას წერილი ამოიღო; ეს წერილი გემბანზეც გადაიკითხა და ახლა ისევ თავიდან დაიწყო კითხვა:

„ჩემო მეგობარო,

უკანასკნელად რომ გნახეთ, — თუ გახსოვთ, სენ-ჯეიმსის პარკში, ორ აპრილს, ჩემი სამხრეთში გამგზავრების წინადღეს, — სიტყვა ჩამომართვით, თუ მოულოდნელად გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი, თქვენთვის მომეწერა. და აი, ჩემს სიტყვას ვასრულებ. აბა, თქვენს გარდა, სხვას ვის მივმართო? ჩემი ცხოვრება ისე აეწყო, რომ იძულებული ვარ ჩემი მწუხარება იმ ადამიანებს დავუფარო, ვისი დახმარებისა და მხარდაჭერის იმედიც უნდა მქონოდა. ჩემო მეგობარო, დიდი უბედურება დამატყდა თავს. ერთ დღეს, ალბათ, გიამბობთ როგორ წარიმართა ჩემი ცხოვრება მას შემდეგ, რაც ფელიქსს დავშორდი. მან პომდე ჩამაცილა, თვითონ კემბრიჯში დაბრუნდა, ლექციების კურსის გასაგრძელებლად. ოდესმე გიამბობთ, რაც იქ თავს გადამხდა, როცა მარტო დავრჩი, საკუთარ თავს მინდობილი; გიამბობთ გამოჯანმრთელებაზე და გაზაფხულზე... გაებედავ კი, გამოგიტყდეთ იმაში, რისი თქმაც ფელიქსისთვის არ შემიძლია? ახლა ის დრო დადგა, როცა მასთან უნდა დავბრუნდე. მაგრამ, ვაი, რომ ლირსი არა ვარ მისი ნახვისა. ის წერილები, ერთხანს მას რომ ვწერდი, სიცრუით არის სავსე; მისგან მიღებულ წერილებში კი, მხოლოდ იმ სიხარულზეა ლაპარაკი, ჩემმა გამოჯანმრთელებამ რომ მოუტანა. აბა, ახლა, რაღა ყრია ჩემს გამოჯანმრთელებაში! იქ მოვმკვდარიყავ, უკეთესი იქნებოდა!.. ჩემო მეგობარო, სინამდვილეს უნდა დავუბრუნდე და შევურიგდე: ფეხმძიმედ ვარ; და ბავშვი, რომელსაც ველი, მისი არ არის. ფელიქსს სამ თვეზე მეტია დავშორდი; ასე რომ, რომც მოვინდომო მისი მოტყუება, არ გამომიევა. დაბრუნებასაც ვერ გავბედავ. არც შემიძლია. არც მსურს. ის ძალიან კეთილია. უეჭველია, მაპატიებდა, მაგრამ პატიებას არ ვიმსახურებ; არ მინდა რომ მაპატიოს. მშობლებთან დაბრუნებასაც ვერ ვბედავ; ისინი დარწმუნებული არიან, რომ ისევ პოში ვარ. მამა-

ჩემი მომხდარს თუ შეიტყობს, ალბათ, შემაჩვენებს, და ჩემზე უარს იტყვის. პირისპირ როგორ შევხვდე ისეთ სათნო ადამიანს, რომელსაც სძულს ყოველგვარი ბოროტება, სიცრუე, ყველაფერი, რასაც სიბინძურე ჰქვია? დედაჩემისა და ჩემი დის მნუხარებისაც მეშინია. რაც შეეხება იმას, ვინც... მისი დადანაშაულება არ მსურს; რადგან, იმ დროს, როცა დახმარება შემომთავაზა, მას შეეძლო ამისი გაკეთება. მაგრამ უფრო მეტად რომ დამხმარებოდა, საუბედუროდ, თამაში დაიწყო; ის ფული ნააგო, რომელიც ჩემს მშობიარობასა და სამშობიაროში ყოფნის ხარჯებს უნდა მოხმარებოდა. მთელი ფული ნააგო. ჯერ მასთან ერთად გამგზავრებას ვაპირებდი, საით ნავიდოდი, მნიშვნელობა არა ჰქონდა, ერთხანს მასთან ვიცხოვრებდი; მისი შევიწროება არ მინდა და არც ის მინდა, მისთვის ტვირთად ვიქცე. ცხოვრების საშუალებას მოვნახავდი; ახლა ამის გაკეთება ჩემთვის შეუძლებელია; კარგად ვხედავ როგორ იტანჯება რომ მტოვებს; სხვაგვარად მოქცეევა მას არ შეუძლია, იძულებულია მიმატოვოს, რადგან არაფრის გაკეთება არ ძალუძს, ამიტომ არც ვადანაშაულებ, მაგრამ ხომ მტოვებს. ფული საერთოდ აღარა მაქვს. ერთ პატარა სასტუმროში ვალით ვცხოვრობ. მაგრამ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. არ ვიცი, რა გზას დავადგე. ვაი რომ, სიამოვნების ის ბილიკები მხოლოდ უფსკრულამდე მივიდა. წერილს ლონდონის იმ მისამართზე გიგზავნით, თქვენ რომ მომეცით, მაგრამ არ ვიცი, თქვენამდე როდის მოაღწევს. როგორ მინდოდა დედა ვყოფილიყავი! მთელ დღეს მხოლოდ ვტირი. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე; მხოლოდ თქვენი იმედიღა მაქვს. მიშველეთ, თუ შეგიძლიათ, თუ არადა... სხვა სიტუაციაში უფრო გაბედულად მოვიქცეოდი, მაგრამ ახლა, სიკვდილი მარტო მე როდი მემუქრება. თუ არ ჩამოხვალთ და მომწერთ:"არაფერი შემიძლია"-ო, თქვენს მიმართ საყვედურის ერთი სიტყვაც არ დამცდება. გემშვიდობებით და ვეცდები, მაინცადამაინც დიდად არ ვინანო სიცოცხლესთან განშორება; ასე მგონია, კარგად არ გესმოდათ, რომ თქვენი მეგობრობა ჩემი ერთადერთი უდიდესი სიმდიდრე იყო მუდამ, — არც ის გესმოდათ, რომ იმას, რასაც თქვენს მეგობრობას ვუწოდებ, ჩემს გულში სულ სხვა სახელი ჰქვია.

**ლორა ფელიქს დუვიე".**

P. S — ვიდრე ამ წერილს ფოსტაში მივიტანდე, მას უკანასკნელად შევხვდები. ამ საღამოს სახლთან დაველოდები. თუ ამ წერილს

მიიღებთ, ეს ნიშნავს, რომ მე... მშვიდობით, მშვიდობით, უკვე აღარ ვიცი, რას ვწერ".

ედუარდმა გამგზავრების დღის დილით მიიღო წერილი. უფრო სწორად, გამგზავრება მაშინვე გადაწყვიტა, როგორც კი წერილი მიიღო. თუმცა, ინგლისში დიდხანს დარჩენას აღარც აპირებდა. იმის თქმაც არ მინდა, რომ პარიზში მხოლოდ იმიტომ ბრუნდებოდა, ლორას დახმარებოდა; მე უბრალოდ გაუწყებთ, რომ სიხარულით ბრუნდებოდა უკან. ინგლისში ცხოვრების ბოლო ხანში სიამოვნების უკმარისობის გრძნობას მწვავედ განიცდიდა. პირველი, რასაც პარიზში ჩასვლისას გააკეთებდა, დროს გასატარებლად სადმე, საეჭვო რეპუტაციის დაწესებულებაში წავიდოდა; და რადგანაც პირადი ქაღალდების თან წაღება არ უნდოდა, ჩემოდანი გადმოიღო, გახსნა და შიგ ლორას წერილი ჩადო. ასეთი წერილის ადგილი, ცხადია, პიჯაკსა და პერანგებს შორის არ იყო; ტანსაცმლის ქვემოდან მუყაოსყდიანი, თავისი ხელნაწერით სავსე რვეული ამოიღო; ჯერ გასულ წელს დაწერილი რამდენიმე გვერდი მოძებნა რვეულის თავში, გადაიკითხა, მერე მათ შუა ლორას წერილი ჩადო.

## ედუარდის დღიური

18 ოქტომბერი

„ეტყობა, ლორას აზრადაც არ მოსდის, რა გავლენა აქვს ჩემზე; ჩემი გული ხომ ჩემგან საიდუმლოს ვერ დაფარავს; მე ხომ კარგად ვიცი, რომ დღემდე ერთი სტრიქონიც არ დამიწერია, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, მისით არ იყოს შთაგონებული. როცა ჩემს გვერდითაა, ისევ ბავშვი მგონია და მთელს ჩემს ოსტატურ საუბარს, მხოლოდ იმ გამუდმებულ სურვილს უნდა ვუმადლოდე, ის რომ დამერიგებინა, დამერწმუნებინა და მომეხიბლა. არ შემიძლია რაიმეს დანახვა ან გაგება ისე, რომ მაშინვე არ გავიფიქრო: რას იტყოდა ლორა? საკუთარ განცდებზე უარი ვთქვი და მხოლოდ მისი განცდები ვიცი. ისიც კი მგონია, ჩემს გვერდით რომ არ იყოს, ჩემი ინდივიდუალობა მკვეთრ გამოსახულებას დაკარგავდა, და კონტურები ჩემი პიროვნებისა გაფერმკრთალდებოდა; მხოლოდ მასთან ვხდები ერთი მთლიანი და რაღაც

განსაზღვრულ სახეს ვღებულობ მასთან დამოკიდებულებაში. ნეტავ, დღემდე რა ილუზია მაიძულებდა მეფიქრა, რომ მისგან შევქმნიდი მსგავსსა ჩემსა? პირიქით მოხდა, მან დამიმორჩილა, მე შევეგუე და ეს მხოლოდ ახლაღა შევამჩნიე! ან უფრო: რაღაც უცნაური სატრფიალო გავლენის შეერთებით, ორივემ ერთად, თანაზიარად, ფორმა ვიცვალეთ. შეყვარებულთა წყვილიდან, თითოეული, უნებურად, გაუცნობიერებლად, მეორის მიერ წამოყენებული მოთხოვნის მიხედვით გარდაიქმნება და ცდილობს იმ კერპს დაემსგავსოს, რომელსაც მეორის გულში ხედავს... ის, ვინც ნამდვილად შეყვარებულია, გულწრფელობაზე უარს ამბობს.

„აი, რაში შემაცდინა. მისი ფიქრები მუდამ და ყველგან თან სდევდა ჩემსას. ვეთაყვანებოდი მის გემოვნებას, ცნობისმოყვარეობას, განათლებას და არ ვიცოდი, რომ ვუყვარდი და ამ სიყვარულის გამო, ასე ჟინიანად აინტერესებდა ყველაფერი, რასაც შეეძლო ჩემში სიმპათია გაეღვიძებინა. დამოუკიდებლად რაიმეს აღმოჩენა არ იცოდა. ყოველი მისი აღფრთოვანება, ახლა ვხვდები, დასასვენებელი სარეცელი გახლდათ, სხვა არაფერი, სადაც მის აზრებს ჩემი აზრების გვერდით განოლა შეეძლოთ; ეს არ იყო მისი ბუნების რომელიღაც შინაგანი მოთხოვნილების რეაქცია. „მხოლოდ შენთვის ვცდილობდი გაპრანჭვასა და გალამაზებას“, — იტყვის მერე. მაგრამ მე ხომ მინდოდა, როცა ამას აკეთებდა, თავის საკუთარ, ღრმად პიროვნულ მოთხოვნებს დამორჩილებოდა. ჩემი გულისთვის, რაც საკუთარს დაუმატა, იქიდან ხომ აღარაფერი დარჩება, სინანულიც კი, თვით უკმარისობის გრძნობაც. ერთი დღეც დადგება, როცა ადამიანი ისეთი გამოჩნდება, როგორიც არის; დრო ნელა გახდის ნათხოვარ სამოსელს, და მეგობრის მკლავებს, რომელსაც ის მოსართავები უყვარდა, ცარიელი გარსი და მოგონებაღა შემორჩება... მხოლოდ ნაღველი და სასოწარკვეთა.

„აჰ! რა უმანკოებითა და რამდენი სრულყოფილებით შევამკე მისი სახება!

„მაინც რა გამაღიზიანებელია ეს გულწრფელობის პრობლემა! გულწრფელობა! როცა ამაზე ვლაპარაკობ, მხოლოდ ლორას გულწრფელობა მაქვს მხედველობაში. მაგრამ თუ ამ სიტყვის აზრი ჩემსკენ შემოვაბრუნე, მაშინ უკვე აღარ მესმის ამ სიტყვის აზრი. მუდამ ისა ვარ, ვინც საკუთარი თავი მგონია; საქმე ის არის, საკუთარ თავზე წარმოდგენა განუწყვეტლივ მეცვლება; არცთუ იშვიათად ისიც ხდება, მე რომ არ ვიყო ამ ცვლილებების მაკონტროლებელი, ადამიანი, რომე-

ლიც ჩემში დილით არსებობს, ვერ იცნობს იმას, რომელიც საღამოს ჩამისახლდა. ისეთი არაფერი არსებობს განსხვავებული, როგორიც მე ვარ. ზოგჯერ ასეც ხდება, მხოლოდ მარტოობისას ვხედავ ხოლმე ჩემს სუბსტრატს[1] და ჩემი მდგომარეობის სიღრმეებს ვაღწევ, მაშინ მეჩვენება, ჩემი სიცოცხლის სვლა ნელდება, ჩერდება და აგერ-აგერ შეწყვეტს რეალურ არსებობასაც. ჩემი გული მხოლოდ იმიტომ ძგერს, რომ შეუძლია განიცადოს სიმპათიები; მხოლოდ სხვა ადამიანების წყალობით ვცოცხლობ; მინდობილობით ვცოცხლობ, ერთგვარი სიმბიოზის წყალობით; სიცოცხლის ყველაზე ინტენსიური შეგრძნება მაშინ მიჩნდება, როცა გამომივა და საკუთარ თავს გავურბივარ და ვიღაც სხვად ვიქცევი.

„ეს დეცენტრალიზაციის ანტიეგოისტური ძალა იმდენად დიდია, რომ ჩემში საკუთრების გრძნობას ანადგურებს, მაშასადამე, პასუხისმგებლობის გრძნობასაც. ჩემისთანა ადამიანს ცოლად არ მიჰყვებიან. ეს ყველაფერი ლორას როგორ ავუხსნა?

26 ოქტომბერი

„ჩემი წარმოდგენით, მხოლოდ პოეტური არსებობა შეიძლება (ამ სიტყვის ყველანაირი მნიშვნელობით) — ნათქვამი, უპირველეს ყოვლისა, მე მეხება. ზოგჯერ მეჩვენება, რეალურად არ ვარსებობ, უბრალოდ წარმოვიდგენ, რომ ვარსებობ. ყველაზე დიდ ძალას იმაზე ვხარჯავ, საკუთარი რეალობა დავიჯერო. ჩემი რაობა განუწყვეტლივ ხელიდან მისხლტება და როცა საკუთარ მოქმედებას ვაკვირდები, ბუნდოვნად ვხედები, რომ მოქმედების ადამიანი ერთ მთლიანობაში განიხილება იმ ადამიანთან, რომელიც აკვირდება, გაოცებულია, ეჭვობს, — თუ როგორ ახერხებს ერთდროულად მოქმედების კაციც იყოს და დამკვირვებელიც.

„ფსიქოლოგიური ანალიზისადმი ყოველგვარი ინტერესი იმ დღეს დავკარგე, როცა აღმოვაჩინე, რომ ადამიანი მხოლოდ იმას გრძნობს, რასაც თავისი წარმოსახვა კარნახობს. აქედან კი გამოდის, წარმო-

1. რაიმე მოვლენათა საერთო საფუძველი.

იდგენს, თითქოს იმას გრძნობს, რასაც გრძნობს... ეს კარგად ჩანს ჩემი სიყვარულის მაგალითზე: რომელი ღმერთი გაარკვევს, სად არის ზღვარი ლორასადმი ჩემს სიყვარულსა და ჩემი ფანტაზიით შექმნილ სიყვარულის სახეს შორის — ან რომ იგი ნაკლებად მიყვარს და ნაკლებ სიყვარულის აზრს შორის? გრძნობათა სამყაროში, რეალური არ განსხვავდება წარმოსახულისგან. თუ იმისთვის, რომ გიყვარს, საკმარისია წარმოიდგინო, რომ გიყვარს; მაშინ, როცა გიყვარს, საკმარისი იქნება წარმოიდგინო, თითქოს ნაკლებად გიყვარს, რომ იმავ წუთს აღმოაჩინო სიყვარულის შემცირება და ოდნავ დაშორდე კიდეც იმას, რომ გიყვარს, ოღონდ საკმარისია სიყვარულის საგანს რამდენიმე კრისტალი ჩამოაშორო. მაგრამ საკუთარ თავს ასეთი რამ რომ უთხრა, განა აუცილებელი არ არის, უკვე ნაკლებად გიყვარდეს?

„აი, ასეთი განსჯების დახმარებით, ჩემს რომანში, ეცდება ჩამოშორდეს — განსაკუთრებით კი შეეცდება საკუთარ მეს ჩამოაშოროს იგი.

28 ოქტომბერი

„ახლა გაუთავებლად ლაპარაკობენ სიყვარულის უეცარ კრისტალიზაციაზე. ნელი დეკრისტალიზაცია, რომლის შესახებაც მსჯელობა არასოდეს მომისმენია, ის ფსიქოლოგიური ფენომენია, რომელიც უფრო მაინტერესებს. მიმაჩნია, რომ ამაზე დაკვირვება სიყვარულით შემდგარ ყველა ქორწინებაზე შეიძლება, მნიშვნელობა არ აქვს, ქორწინებიდან ცოტა დრო იქნება გასული თუ ბევრი. ლორას შემთხვევაში, ამისი შეიძლება არ შეგვეშინდეს, ცხადია, თუ ცოლად ფელიქს დუვიეს გაჰყვება (ასე უკეთესი იქნება), როგორც გონება უკარნახებს, ოჯახი და მე. დუვიე ფრიად პატივსაცემი მასწავლებელია, ღირსეული ადამიანი და თავის სფეროში ნიჭიერიც (მახსენდება, მოწაფეები ძალიან აფასებენ). თავის დროზე, ლორას როცა იმაზე ნაკლები ილუზია ექნება, ვიდრე ახლა აქვს, მასში უფრო მეტ სათნოებას აღმოაჩენს, ვიდრე ახლა. მასზე როცა ლაპარაკობს და აქებს, ზოგჯერ მგონია, მაინცადამაინც დიდი ნდობა არ აქვს მისი. ლორა ვერ აფასებს დუვიეს.

„რომანის რა დიდებული სიუჟეტია: თხუთმეტი, ოცი წლის ცოლქმრული ცხოვრების შემდეგ ნათელი ხდება მეუღლეთა პროგრესირე-

ბული დეკრისტალიზაცია! შეყვარებული ადამიანი, ვიდრე მას უყვარს და თავადაც სურს უყვარდეთ, ვერ შეძლებს თავისი ჭეშმარიტი სახის გამოჩენას, გარდა ამისა, მას უნარი არ აქვს დაინახოს მეორეც, საყვარელი არსება; მის მაგივრად კერპს ხედავს, რომელსაც ალამაზებს, აღმერთებს და ქმნის.

„გადავწყვიტე ლორა დამეცვა, მისი საკუთარი თავისგანაც და ჩემგანაც. ვცადე დამერწმუნებინა, რომ ჩვენი სიყვარული ვერ შეძლებდა ხანგრძლივი ბედნიერების უზრუნველყოფას. იმედი მაქვს, ასე თუ ისე, ცოტათი მაინც დავარწმუნე".

ედუარდმა მხრები აიჩეჩა, დღიური, რომელშიც წერილი იდო, დახურა და ჩემოდანში ჩადო. შიგვე ჩადო საფულეც, საიდანაც წინასწარ ასფრანკიანი ბილეთი ამოიღო, იმ იმედით, რომ ეს ფული იქამდე ეყოფოდა, ვიდრე ჩემოდანს შემნახველი საკანიდან გამოიტანდა. სამწუხაროდ, ჩემოდანი გასაღებით არ იკეტებოდა, უფრო სწორად, ვერ შეძლო დაკეტვა, რადგან გასაღები არ ჰქონდა. ის თავისი ჩემოდნების გასაღებებს მუდამ კარგავდა. რაც არის, არის, დღისით შემნახველი საკნის მოსამსახურეებს ბევრი საქმე აქვთ და მარტო არასოდეს რჩებიან. ჩემოდანს კი ოთხი საათისთვის გამოიტანს, სახლში მიიტანს, მერე ლორას დასამშვიდებლად და დასახმარებლად წავა; სავახშმოდაც წაიყვანს.

ედუარდს თვლემა მოერია; მისმა აზრებმა შეუმჩნევლად სხვა მიმართულება მიიღო. საკუთარ თავს ჰკითხა, — ნეტავ ლორას წერილის ერთი წაკითხვით თუ ამოიცნობა, რომ ქალს შავი თმა აქვს? ისიც გაიფიქრა, რომანისტები თავისი პერსონაჟების მეტისმეტი დაწვრილებითი აღწერით, დახმარების ნაცვლად, ხელს უფრო უშლიან წარმოსახვას, და რომ ყოველმა მკითხველმა პერსონაჟები ისეთი უნდა წარმოიდგინოს, როგორიც მათ სურთ იხილონო. ის რომანიც გაახსენდა, რომლის დაწერასაც აპირებდა და, რომელიც აქამდე დაწერილ მის წიგნებს არ უნდოდა დამსგავსებოდა. ჯერ კიდევ არ იყო დარწმუნებული „ყალბი ფულის მჭრელები" კარგი სათაური იყო თუ არა. შეცდა, რომ ამ წიგნზე ილაპარაკა. აბსოლუტურად უაზრო ჩვეულებაა „მზადებაში" მყოფი წიგნების წინასწარ გამოცხადება, რათა მკითხველი მიიზიდონ და მოხიბლონ. მიზიდვით ვერავის იზიდავენ, აი, შენ კი, ხელ-ფეხს გიბორკავენ... არც იმაში იყო დარწმუნებული, კარგი იყო თუ არა სიუჟეტი. განუწყვეტლივ ამაზე ფიქრობდა; დიდი დროც

გავიდა; დაწერით კი ერთი სტრიქონიც ვერ დაწერა; ერთადერთი რაც გააკეთა, უბის წიგნაკში შენიშვნები და მოსაზრებები ჩაინიშნა.

ჩემოდნიდან ახლა ეს უბის წიგნაკი ამოიღო, ჯიბიდან კი ავტოკალამი და ჩაინერა:

„გათავისუფლდეს რომანი ყველა იმ ელემენტისგან, რომელიც საკუთრივ რომანს არ მიეკუთვნება. მსგავსად ფოტოგრაფიისა, რომელმაც, ამ ცოტა ხნის წინ, მხატვრობას ჩამოაშორა ზოგიერთი დეტალის სკრუპულოზური წარმოჩინების საზრუნავი; ეჭვი არ არის, ხვალ ფოტოგრაფია გაათავისუფლებს რომანს დიალოგებისგან, რომლის გადმოცემითაც ხშირად თავს იწონებდნენ რეალისტები. გარეგანი მოვლენები, შემთხვევები, ტრავმატიზმი კინემატოგრაფის საკუთრებაა; და რომანმა მას ისინი უნდა დაუთმოს. პერსონაჟების აღწერაც კი, როგორც მგონია, არსებითად, სხვა ჟანრს ეკუთვნის. დიახ, მართლაც არა ვარ დარწმუნებული, რომ ნამდვილი რომანი (ხოლო ხელოვნებაში, ისევე როგორც ყველაფერში, ჩემთვის მხოლოდ სინამდვილეა მნიშვნელოვანი) ამას უნდა აკეთებდეს. დრამა ხომ ამას არ აკეთებს. ახლა არ მითხრან, დრამატურგი თავის პერსონაჟებს იმიტომ არ აღწერს, რომ მაყურებელმა ისინი სცენაზე ხორცშესხმულნი უნდა იხილოსო: თეატრში მისულთ, რამდენჯერ გვიგრძვნია უხერხულად თავი, დავტანჯულვართ, რადგან მსახიობი იმ გმირს არ ჰგავდა, რომელსაც წარმოაჩენდა და, რომელზედაც აქამდე ასეთი ნათელი ნარმოდგენა გვქონდა. — რომანისტი, როგორც ნესი, ნაკლებად ენდობა მკითხველის წარმოსახვას“.

რომელმა სადგურმა ჩაიქროლა ასე ქარივით? უბის წიგნაკი ჩემოდანში ჩადო. პასავანზე ფიქრი კი თავიდან ვერ ამოიგდო და ანვალებდა. ისევ ამოიღო უბის წიგნაკი და ჩაწერა:

„პასავანისთვის ხელოვნების ნანარმოები იმდენად მიზანი არ არის, რამდენადაც საშუალება. ის იძულებულია ფიცხად ილაპარაკოს მხატვრულ მრწამსზე მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ეს მრწამსი, ღრმა არ არის; არც პიროვნების იდუმალი მოთხოვნილების გაცხადებაა, არამედ ეპოქის კარნახით იწერება; მისი ლოზუნგია: ოპორტუნიზმი.

„ღერძი“. ის, რაც ახლა ძალზე თანამედროვე ჩანს, მალე სრულიად მოძველებული გამოჩნდება. პუბლიკის ყოველი შემწყნარებლობის გამოვლინება, ყოველი თანაგრძნობა ახალი ნაოჭის მაუწყებელი იქნება. ზუსტად ამიტომაც მოსწონთ ახალგაზრდებს პასავანი. მომავალი მას არ აინტერესებს. ის დღევანდელ თაობას მიმართავს (ცხადია,

ეს უკეთესია, ვიდრე გუშინდელს მიმართოს) — მაგრამ, რადგან მხოლოდ მას, „ერთს“ მიმართავს, ამიტომ მისი წიგნები განწირულია და ამ თაობასთან ერთად მოკვდება. მან ეს იცის და თაობათა მახსოვრობაში დარჩენის იმედიც არ აქვს; აი, ამიტომაც იცავს საკუთარ თავს ასე გააფთრებით, თანაც არა მარტო მაშინ, როცა თავს ესხმიან, არამედ მაშინაც, როცა კრიტიკოსებისგან პატარა საყვედურებიც ესმის. თავისი შემოქმედების დიდი ხნის ცხოვრების იმედი რომ ჰქონდეს, თვით მასვე მიანდობდა საკუთარი თავის დაცვას და აღარ შეეცდებოდა განუწყვეტლივ მის გამართლებას. ამას რას ვამბობ? გაიხარებდა კიდეც, მცდარი, უმართებულო საყვედურებით. ხოლო მომავლის კრიტიკოსებისთვის კი კარგი საზრდო იქნებოდა“.

საათს დახედა. თერთმეტი საათი და ოცდათხუთმეტი წუთი. განრიგის მიხედვით, მატარებელი უკვე პარიზში უნდა იყოს. საინტერესოა, თუმც ნაკლებ მოსალოდნელი, ოლივიე დახვედება თუ არა სადგურში? ედუარდს ამისი იმედი საერთოდ არა აქვს. განა ოლივიე ნაიკითხავდა იმ ღია ბარათს, მის მშობლებს რომ გაუგზავნა და თავისი დაბრუნება აუწყა; გაკვრით, დაუდევრად, ვითომ დაბნეულად, ჩასვლის საათი და დღეც დაუზუსტა — თითქოს დაბრკოლებათა სიყვარულით ბედისწერის მახეს აგებსო.

მატარებელი გაჩერდა. ჩქარა, მებარგული! არა, ჩემოდანი არც ისე მძიმეა, არც შემნახველი საკანია შორს... თუ ის მაინც მოვიდა, მაშინ ამდენ ხალხში ერთმანეთს იცნობენ კი? მათ ხომ ერთურთი თითქმის არ უნახავთ. ოღონდ, ძალიან არ იყოს შეცვლილი!.. ოჰ! ღმერთო დიდებულო! ნუთუ ის არის?

# IX

შემდეგ რაც მოხდა, შეიძლება ჩვენთვის არც საინტერესო ყოფილიყო და დიდადაც არ დაგვნანებოდა, ედუარდსა და ოლივიეს შეხვედრით გამოწვეული სიხარულის დასაფარად ნაკლებად რომ ეზრუნათ; რაღაც უცნაურმა, ორივესთვის საერთო უუნარობამ, სრულად შეეფასებინათ თავიანთი სულიერი ურთიერთსიმპათიები, ერთიცა და მეორეც, გაუბედავად, ადგილზევე გააშეშა. ისე გამოვიდა, თითქოს თითოეული მხოლოდ საკუთარ მღელვარებას გრძნობდა, საკუთარი სიხარულით იყო დაკავებული, და ამდენი სიხარულის გამოჩენისა რცხვენიათო, მხოლოდ იმაზელა ზრუნავდნენ, ეს სიხარული მეტისმეტად თვალში საცემი არ ყოფილიყო.

აი, რატომ მოხდა, რომ იმის მაგივრად ოლივიეს ედუარდის მხიარული განწყობილება გაეზიარებინა და ეთქვა რა მხურვალედ ესწრაფვოდა მასთან შეხვედრას, უფრო მართებულად მიიჩნია, რაღაც საქმეზე ელაპარაკა, რომელიც, ვითომდაც ამ დილას ამ კვარტალში გამოუჩნდა. მისთვის, ასე გამახვილებული მგრძნობიარე სულის პატრონს, დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, საკუთარი თავი დაერწმუნებინა, შეიძლება ედუარდს ჩემი აქ ყოფნა მომაბეზრებლად მოეჩვენოსო. ტყუილის დამთავრებაც ვერ მოასწრო, რომ განითლდა. ედუარდმა ეს სიწითლე შეამჩნია, და ის იყო ჭაბუკს სიყვარულითაც მოჰკიდა ხელზე ხელი, ამიტომაც ეგონა, ალბათ, ამ ჟესტის გამო, მეტისმეტი მორიდებულობაა ჭაბუკის განითლების მიზეზი.

დანახვისთანავე უთხრა:

„— მეგონა, არ მოხვიდოდი; გულის სიღრმეში კი დარწმუნებული ვიყავი, განახავდი“.

მაშინვე იფიქრა, ოლივიემ ეს სიტყვები თავდაჯერებულობის გამოვლინებად არ მიიღოსო. მაგრამ, როცა ჭაბუკმა ძალდაუტანებლად უპასუხა: „ზუსტად ამ კვარტალში ერთი საქმე მაქვს მოსაგვარებელი“- ო, ედუარდმა ოლივიეს ხელი გაუშვა და მისი აღტაცებაც უცბადვე ჩაქრა. ისე კი უნდოდა ოლივიესთვის ეკითხა, თუ მიხვდა, მისი მშობლებისთვის გაგზავნილი ღია ბარათი, სინამდვილეში, მისთვის რომ იყო დაწერილი; მაგრამ ბოლო წუთში გამბედაობა აღარ ეყო. ოლივიე დუმდა, ეშინოდა ედუარდს მოსაწყენ მოსაუბრედ არ მოვეჩვენოო; იმისიც ეშინოდა, საკუთარ თავზე ლაპარაკი რომ დავიწყო,

ვაითუ ედუარდს მცდარი შთაბეჭდილება შეექმნასო. ედუარდს შეხედა და მისი ტუჩების უცნაურმა თრთოლვამ გააოცა, უცბად დახარა თვალები. ედუარდს ეს შემოხედვა ესიამოვნა, თან შეეშინდა ოლივიეს ძალიან მოხუცი არ ვეგონოო და თითებშუა მოქცეული ქაღალდის ნაგლეჯი ნერვიულად ააგორგლა. ეს იმ შემნახველი საკანის ქვითარი იყო, სადაც ის—ის იყო ბარგი ჩააბარა, რომელიც სრულიად გადაავიწყდა და ყურადღებაც აღარ მიუქცევია.

„თუ ეს ბარგის შენახვის ქვითარია, — გაიფიქრა ოლივიემ, რომელმაც დაინახა ედუარდმა როგორ დასრისა ქაღალდი და დაბნეულად მოისროლა, — მაშინ ასე არ გადააგდებდა". შებრუნდა, ერთ წამს ქაღალდის ნაგლეჯს გახედა, რომელიც წამოქროლილმა ქარმა მყისვე აიტაცა და შორს, სადღაც მათ უკან, ტროტუარზე მიაგდო. ცოტა ხანს კიდევ რომ ედევნებინა თვალი, დაინახავდა, ვიღაც ახალგაზრდა როგორ დაიხარა და აიღო ქაღალდი. ბერნარი იყო, რომელიც სადგურიდან მოყოლებული უკან მოსდევდა მათ... ამასობაში ოლივიემ ედუარდისთვის სათქმელი ვერაფერი მოიფიქრა და იტანჯებოდა, და ეს მდუმარება მათ შორის უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა.

„როცა კონდორსესთან[1] მივალთ, — თავისთვის იმეორებდა ოლივიე, — ვეტყვი: „ახლა კი დროა, წავიდე. ნახვამდის". ლიცეუმთან მივიდნენ, მაგრამ თქმა ვერ გაბედა და პროვანსის ქუჩის კუთხემდე გადადო სათქმელი. მაგრამ ედუარდს, რომელსაც არანაკლებ ამძიმებდა ეს სიჩუმე, არ სურდა იმ აზრს შეჰგუებოდა, რომ ასე უნდა დაშორებულიყვნენ ერთმანეთს. თანამგზავრს კაფეში შესვლა შესთავაზა. შეიძლება, პორტვეინი, რომელიც მაშინვე მოუტანეს, დახმარებოდა მათ და უხერხული გრძნობაც გადაელახათ.

ჭიქები მიუჭახუნეს.

„— შენი წარმატებისა იყოს, — თქვა ედუარდმა და ჭიქა ასწია, — გამოცდები როდის გეწყება?

— ათი დღის შემდეგ.

— მზად ხარ?"

ოლივიემ მხრები აიჩეჩა.

„— წინასწარ არავინ იცის რა მოხდება. სრულიად საკმარისია გამოცდების დღეს ცუდი განწყობილება, და მორჩა".

---

1. ლიცეუმი.

ვერ გაბედა ეთქვა: „დიახ“—ო; შეეშინდა მეტისმეტად თავდაჯერებული არ გამოვჩნდეო. კიდევ იყო რაღაცა, რაც აღელვებდა — ძალიან უნდოდა ედუარდისთვის „შენობით“ მიემართა, მაგრამ ეშინოდა და ვერ გაბედა; ამიტომ ცდილობდა წინადადებები ისე აეწყო, იშვიათად გამოეყენებინა სიტყვა „თქვენ“, ამით ედუარდსაც აღარ დაუტოვა შესაძლებლობა ეთქვა „შენობით“ ლაპარაკზე გადავიდეთო; ისიც კარგად ახსოვდა, მაშინ, გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე, ეს პრივილეგია უკვე მოიპოვა და „შენობით“ ელაპარაკა.

„— კარგად იმეცადინე?

— არა უშავს. მაგრამ უკეთესადაც შემეძლო.

— ვინც კარგად იმუშავა, მუდამ ისეთი შეგრძნება აქვს, რომ უკეთესად შეეძლო მუშაობა“, — დამრიგებლურად თქვა ედუარდმა.

უნებურად წარმოთქვა ეს ფრაზა და მაშინვე სასაცილოდ ეჩვენა.

„— ლექსებს კიდევ წერ?

— დროდადრო... რჩევები ძალიან მჭირდება. — და ედუარდს თვალი გაუსწორა; ძალიან უნდოდა ეთქვა: „თქვენი რჩევები“, „შენი რჩევები“. არ თქვა, მაგრამ მისმა გამოხედვამ ეს ისე ნათლად გამოხატა, ედუარდმა იფიქრა ან თავაზიანობის მოვალეობას იხდის ან მოკრძალებაა. მაგრამ თვითონ ასე რატომ იჩქარა პასუხის გაცემა:

„— ოო! რაც შეეხება რჩევებს, საკუთარ თავს უნდა ჰკითხო ან მეგობრებს! უფროსების რჩევები არ გამოდგება“.

ოლივიემ იფიქრა: „ჯერ ხომ რჩევა არ მიკითხავს, რატომ თქვა ასე უცებ უარი?“

ორივე საკუთარ უუნარობაზე ბრაზობდა, მშრალი და უსიცოცხლო წინადადებების გარდა ვერაფერი რომ ვერ მოიფიქრეს. თითოეული გრძნობდა მოსაუბრის შეცბუნებასა და გაღიზიანებას, და ორივე საკუთარ თავს ადანაშაულებდა. ასეთ საუბრებს, ჩვეულებრივ, არანაირ სიკეთემდე არ მივყევართ, თუ გარედან არ მოვიდა შველა. გარედან კი დახმარება არ მოვიდა.

ოლივიე დილიდანვე ცუდ განწყობილებაზე ადგა. როგორც კი გაიღვიძა და ბერნარი, რომელიც გამოუმშვიდობებლად წასულიყო, თავის გვერდით ველარ ნახა, ნაღველი მოერია; ედუარდთან შეხვედრით გამოწვეულმა სიხარულმა ეს ნაღველი ერთი წამით გაუნელა, მერე ისევ შეუჩნდა, შეუჩერებლად გაიზარდა, შავ ტალღასავით აუბობოქრდა და მთელი მისი ფიქრები გადაფარა. უნდოდა ბერნარზე ელაპარაკა,

ედუარდისთვის მოეთხრო ყველაფერი და კიდევ რაღაც, რა ვიცი რა, ოღონდ კი დაეინტერესებინა თავისი მეგობრით.

მაგრამ ედუარდის პატარა ღიმილიც კი, მტკივნეული ნაჩხვლეტი იქნებოდა მისთვის, ნათქვამიც შეიძლება გაზვიადებული მოსჩვენებოდა, ხოლო წარმოთქმის ექსპრესია, ალბათ, მის აღგზნებულსა და ბუნდოვან გრძნობებს გასცემდა. დადუმდა; გრძნობდა როგორ უმკაცრდებოდა სახე; უნდოდა მკვლავებში ჩავარდნოდა ედუარდს და ეტირა. ედუარდი, ალბათ, ამ მდუმარებასაც მიხვდა, მისი სახის გაქვავებულ გამომეტყველებასაც. ეს ბიჭი მეტისმეტად მოსწონდა და ამან დააკარგვინა სითამამეც; რომ გაებედა და ოლივიესთვის შეეხედა, მკლავებში მისი მომწყვდევა მოუნდებოდა და ბავშვივით დაარწევდა, მაგრამ მის მოღუშულ გამოხედვას რომ უყურებდა, სულ სხვას ფიქრობდა:

„მაშ ასე. მოვწყინდი... დავღალე და მოსწყინდა. საცოდავი ბიჭი! ჩემს სიტყვასღა ელის რომ წავიდეს". შეებრალა ბიჭი, თავი ვეღარ შეიკავა და ეს სიტყვაც თქვა:

„— ახლა კი დროა, წახვიდე. დარწმუნებული ვარ, მშობლები სადილად უკვე გელიან".

ოლივიემ, რომელიც ამ დროს იმავეს ფიქრობდა, თავის მხრივაც სწორად ვერ გაუგო თანამოსაუბრეს: სწრაფად ადგა და ხელი გაუწოდა. ძალიან უნდოდა ედუარდისთვის ეკითხა: „როდის გნახავ? როდის გნახავთ? როდის შევხვდებით?..". ედუარდი ელოდა ამ წინადადებას. მსგავსი არაფერი თქმულა, მხოლოდ ბანალური „მშვიდობით" შემოესმა.

# X

მზემ გამოაღვიძა ბერნარი; მერხზე იწვა და წამოდგა; თავი სტკიოდა ძალიან. დილანდელი გულადობიდან აღარაფერი შემორჩა; საშინელ მარტოობას გრძნობდა და გული უცნაური, მომლაშო სუბსტანციით ჰქონდა სავსე, რომლისთვისაც არა და არ უნდოდა ნაღველი დაერქმია, თუმცა, ამის გამო იყო, თვალი რომ ცრემლით ევსებოდა. რა ქნას? სად წავიდეს?.. სენ-ლაზარის სადგურში, სადაც, როგორც მისთვის იყო ცნობილი, ამ დროისთვის ოლივიე უნდა მისულიყო, იგი სრულიად უნებლიედ, რაიმე განზრახვის გარეშე აღმოჩნდა; სხვა სურვილი არა ჰქონია, თავისი მეგობრის ნახვის გარდა. საკუთარ თავს საყვედურებით ავსებდა ამდილანდელი მოულოდნელი და სწრაფი წამოსვლისთვის: ოლივიე შეიძლება გულნატკენი ყოფილიყო. განა ბერნარისთვის იგი არ იყო ერთადერთი და ყველაზე ძვირფასი ადამიანი ამ ქვეყანაზე?.. როცა ედუარდთან ხელკავით მომავალი ოლივიე დაინახა, რაღაც უცნაურმა გრძნობამ აიძულა უკან მიჰყოლოდა მათ და თავი არ გაემჟღავნებინა; მწვავედ იგრძნო, ზედმეტი იყო და სურვილმა მოუარა მათ კომპანიაში გარეულიყო. ედუარდი მომხიბლავ ადამიანად ეჩვენა; ოლივიეზე ოდნავ მაღალი იყო და თითქმის მასავით ჭაბუკური სიარული ჰქონდა. მასთან მისვლა გადაწყვიტა კიდეც, და ახლა იმასღა ელოდა, ოლივიე როდის დაემშვიდობებოდა. მისვლით კი მივა, მაგრამ რა მიზეზით?

და აი, ამ დროს, ქალალდის პატარა, დაჭმუჭნილი ნაგლეჯიც შეამჩნია, დაბნეულობისგან რომ გადააგდო ედუარდმა. აიღო, დახედა, შემნახველი საკანის ქვითარი იყო... ღმერთო დიდებულო, აი, ესეც მშვენიერი მიზეზი!

ისიც დაინახა ორივე მეგობარი როგორ შევიდა კაფეში; ერთხანს საგონებელში ჩავარდა, შეყოყმანდა; მერე თავისი მონოლოგი გააგრძელა:

„ვინმე ნორმალური რეგვენი მაშინვე ეცემოდა და დაუბრუნებდა ამ ქაღალდს", — თქვა თავისთვის.

„How weary, stale, flat and unprofitable
Seem to me all the uses of this world!"[1]

---

1 „რა მოსაწყენად, მკრთალად, არადსაჭიროდ მეჩვენება ყოველივე, რაც კი რამ ხდე-

აკი, ასე თქვა ჰამლეტმა. ეჰ, ბერნარ, ბერნარ, ეს რა აზრები მოგდის თავში? გუშინ მაგიდის უჯრა გადაქექე. რა გზას ადგები? კარგად დაფიქრდი ამაზე, ჩემო ბიჭო... კარგად დაფიქრდი, შემნახველი საკანის თანამშრომელი, რომელსაც ედუარდმა ჩემოდანი ჩააბარა, შუადღისას სადილად წავა, მას მეორე შეცვლის... განა მეგობარს არ შეპირდი, ყველაფერს გავბედავ და ფარ-ხმალს არ დავყრიო?

მაგრამ მაინც იფიქრა, მეტისმეტმა სიჩქარემ შეიძლება ყველაფერი გააფუჭოსო. ასეთი აჩქარებით გაოცებულ შემნახველი საკანის თანამშრომელს შეიძლება ეჭვი გაუჩინოს; სარეგისტრაციო წიგნი შეამოწმოს, შეიძლება რამე შეუსაბამობაც აღმოაჩინოს იმაში, რომ ბარგი, რომელიც ჩააბარეს თორმეტს რომ რამდენიმე წუთი აკლდა, თითქმის მაშინვე გააქვთ. გარდა ამისა, თუ ვინმე გამვლელმა, ვინმე ვირგლამ დაინახა როგორ აიღე ქაღალდი... ბერნარმა გადაწყვიტა თანხმობის მოედნამდე აუჩქარებლად მისულიყო; დროის ასეთი მონაკვეთის განმავლობაში, ადამიანმა შეიძლება სადილობაც მოასწროს. ჩამოსულები ხომ ხშირად ტოვებენ ჩემოდანს შემნახველ საკანში, მიდიან, სადილობენ, მერე უკან გააქვთ თავიანთი ბარგი, ასე არ არის? თავის ტკივილს უკვე აღარ გრძნობდა. რომელიღაც რესტორნის ტერასას რომ ჩაუარა, უცერემონიოდ დაისაკუთრა კბილის საჩიჩქნის შეკვრა (რომლის პატარა კონებიც ყველა მაგიდაზე იდო), მერე შემნახველი საკანის ფანჯარასთან კარგად დანაყრებული კაცის იერით რომ ელრღნა. საბედნიეროდ, ყველაფერი მის სასარგებლოდ მეტყველებდა, ელეგანტური პიჯაკი, დახვეწილი მანერები, თავაზიანი ქცევები, გულწრფელი, განმაიარაღებელი ღიმილი და გამოხედვა, და კიდევ, რაღაც ისეთი, რითაც უცებ იცნობა შეძლებულ გარემოში აღზრდილი ადამიანი, რომელსაც არანაირი საზრუნავი არ აქვს. მაგრამ, როცა მერხზე იძინებ, ამ ყველაფერს თავისი სახე ეკარგება.

უეცარმა შიშმა კი დაუარა, როცა შემნახველი საკანის თანამშრომელმა ათი სანტიმი მოსთხოვა ბარგის შენახვის ქირად. ერთი სუც არა ჰქონდა. რა ექნა? ჩემოდანი უკვე დახლზე იდგა. დაურწმუნებლობის უმცირესი გამოვლინებაც კი, ისევე როგორც უფულობა, ეჭვს გამოიწვევდა. მაგრამ ეშმაკი არ ეშვება, არ უნდა რომ დაღუპოს იგი. მან თითებშუა, ნერვულად რომ იქექებოდნენ ჯიბეებში, ბერნარს, რომე-

---

ბა ამ ქვეყანაზე". ( შექსპირი — „ჰამლეტი").

ლსაც ისეთი სახე ჰქონდა, ვითომ ფულს სერიოზულად ვეძებო, პატარა ათსუიანი მონეტა შეუცურა, ოდესღაც რომ ჩარჩენოდა ჟილეტის ჯიბეში და დიდი ხნის დავიწყებულიც ჰქონდა. ბერნარმა ფული ამოიღო და მოსამსახურეს გაუწოდა; თავისი მღელვარება არაფრით გაუცია; ჩემოდანი აიღო და მსუბუქი, ზრდილი მოძრაობით ხურდა ჯიბეში ჩაიდო. უჰ! ცხელა. საით წავიდეს? ფეხები ეკეცება და ჩემოდანიც უჩვეულოდ მძიმე ეჩვენება. რა მოუხერხოს ჩემოდანს?.. უცბად გაახსენდა, რომ ჩემოდნის გასაღები არ აქვს. არა, არა და არა; საკეტს არ გატეხს; ქურდი ხომ არ არის, ბოლოს და ბოლოს!.. ის მაინც იცოდეს, შიგ რა არის. ჩემოდანმა მკლავი ჩამოსწყვიტა. ოფლში ცურავს; ერთი წუთით შეჩერდა; ტვირთი ტროტუარზე დადგა. ცხადია, პატრონს დაუბრუნებს, მაგრამ, ვიდრე დაუბრუნებდეს, ძალიან უნდა გაიგოს, შიგ რა დევს. საკეტს დაანვა, ყოველ შემთხვევისთვის. ო! სასწაული! გაიხსნა და ის საგანძურიც დაინახა: საფულე! საიდანაც საბანკო ბილეთები მოჩანდა. ბერნარი ამ საგანძურს დაეუფლა და ხამანწკაც მაშინვე დახურა.

ახლა უკვე რაღაც ჰქონდა. აბა, ჩქარა! სასტუმროში. ამსტერდამის ქუჩაზე, აქვე ახლოს, ერთი სასტუმრო იცოდა. შიმშილით კვდებოდა. მაგრამ, ვიდრე ისადილებდა, საიმედო ადგილზე უნდა შეენახა ჩემოდანი. და, აი, სასტუმროს მოსამსახურე ბიჭს ჩემოდანი უკვე კიბეზე ააქვს; სამი სართული; დერეფანი; როგორც კი მისი განძი ოთახში აღმოჩნდა, კარი გასაღებით ჩაკეტა და... დაბლა ჩავიდა.

მორთმეული ბიფშტექსის წინ მჯარი ბერნარი, ჯიბიდან საფულის ამოღებას ვერ ბედავს (კაცმა არ იცის, ვინ გითვალთვალებს?), მაგრამ მარცხენა ხელით სიყვარულით უთათუნებს შიგნითა ჯიბეს, სადაც ფული უდევს.

„ედუარდი უნდა მივახვედრო, რომ ქურდი არა ვარ, — ეუბნება საკუთარ თავს ბერნარი, — აი, სად მარხია ძაღლის თავი. რა კაცია, ეს ედუარდი? ჩემოდანი როგორც იუწყება, მიმზიდველია, ეს კარგად ჩანს. ისე ბევრი ტიპია მიმზიდველი, მაგრამ ხუმრობას ცუდად იგებს. თუ დაიჯერებს, რომ ჩემოდანი მოპარეს, მაშინ, ალბათ, კმაყოფილი იქნება, როცა იპოვის; მადლობელიც დამრჩება, თუ მივუტანე, თუ არადა, მაშინ ვირია. ჩემით რომ დავაინტერესო, ეს შემიძლია. აბა, სასწრაფოდ შევჭამოთ დესერტი და სიტუაციის გასარკვევად ზევით ავიდეთ. ანგარიში; და გარსონს ფეხის ქირაც ამაღელვებელი დავუტოვოთ“.

რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე ნომერში იყო.

„ახლა კი, ჩემო ჩემოდანო, ჩვენ ორნი დავრჩით! და გავარკვიოთ

ჩვენი ურთიერთობები!.. ეს გამოსაცვლელი ტანსაცმელი, ალბათ, ცოტა დიდი მექნება. ფერი მშვენიერია და კარგ გემოვნებას მოწმობს. თეთრეული, ტუალეტის მოწყობილობა. კარგად არა ვარ დარწმუნებული, ამ ყველაფერს როდესმე დავაბრუნებ თუ არა. მაგრამ ის, რაც ამტკიცებს ქურდი არა ვარ, მოწმობს, რომ ქალალდები უფრო მაინტერესებს, ვიდრე სხვა დანარჩენი. ჯერ ეს წავიკითხოთ".

ეს ის რვეული იყო, რომელშიც ედუარდმა ლორას ნაღველით სავსე წერილი ჩადო. ამ რვეულის პირველ გვერდებზე რაც წერია, ის უკვე ვიცით. აი, მისი გაგრძელებაც:

# XI

## ედუარდის დღიური

1 ნოემბერი

„ეს თხუთმეტი დღის წინ მოხდა... შევცდი, მაშინვე უნდა ჩამეწერა. ვერ ვიტყვი, დრო არ მქონდა, მაგრამ გული მხოლოდ ლორაზე ფიქრით მქონდა სავსე, — ანუ უფრო სწორად, სხვა რამეზე ყურადღების გადატანა აღარ მინდოდა; გარდა ამისა, არ მიყვარს რაღაც ეპიზოდურის, შემთხვევითის ჩანერა; იმ დროს არ მეგონა, რომ იმას, რაც ახლა მინდა გიამბოთ, რაიმე გაგრძელება ექნებოდა, ანუ, როგორც ახლა ამბობენ: რაიმე სერიოზული შედეგი მოჰყვებოდა; მოკლედ, ამაზე ფიქრიც არ მინდოდა და არც დღიურში ჩავიწერე, მხოლოდ იმიტომ, თავი დამერწმუნებინა გაგრძელება შეუძლებელია-მეთქი; მაგრამ, ახლა ვგრძნობ, მიუხედავად ჩემი წინააღმდეგობისა, ოლივიეს სახე ჩემს ფიქრებს თავისკენ იზიდავს, მიმართულებას აძლევს, ყურადღება რომ არ მივაქციო, ვერც საკუთარ შეგრძნებებს გამოვხატავ და ვერც საკუთარი თავის გაგებას შევძლებ.

„დილით პერენისგან ვბრუნდებოდი, რომელთანაც ერთი ჩემი ძველი წიგნის ხელახალი გამოცემის სარეკლამო საქმე მოვაგვარე. რადგან მშვენიერი ამინდი იდგა, სადილობამდე სენის სანაპიროზე გავისეირნე.

„ვიდრე ვანიემდე მივიდოდი, გარეთ გამოტანილი ნახმარი წიგნების დასათვალიერებლად შევჩერდი. ბუკინისტი თავისი დუქნის კართან ჩალის სკამზე იჯდა, წიგნებმა იმდენად არც დამაინტერესა, რამდენადაც ცამეტიოდე წლის ლიცეისტმა ბიჭმა, რომელიც ბუკინისტის ფხიზელი მეთვალყურეობით თაროებზე დაწყობილ წიგნებში იქექებოდა. თავი მოვიკატუნე, ვითომ გამოფენილ წიგნებს ვათვალიერებდი, სინამდვილეში, შეფარვით იმ პატარას ვუთვალთვალებდი. ძალიან გაცვეთილი მანტო ეცვა, იმდენად გაცვეთილი, ძაფები ეკიდა ზედ, მეტისმეტად დაპატარავებული სახელოებიდან ქურთუკის სახელოები მოუჩანდა. გვერდითა დიდ ჯიბეს, კარგა დიდად დაეღო პირი, თუმცა ჩანდა, ცარიელი არ იყო; ერთი კუთხე ჩამოხეულიც ჰქონდა. გავიფიქრე, ეს მანტო,

ალბათ, მის რამდენიმე ძმას უკვე ემსახურა, და რომ ძმებს, ისევე, როგორც ამას, ჩვეულებად ჰქონდათ, ჯიბეებში ჩაენყოთ ყოველგვარი ხარახურა. ისიც ვიფიქრე, ბიჭის დედამ დროზე ვერ გაუკერა ჯიბე, ალბათ, დაუდევარი ქალია ან ძალიან ბევრი საქმე აქვს-მეთქი. ამ დროს, პატარა ოდნავ შებრუნდა და დავინახე, მეორე ჯიბე გაკერილი ჰქონდა, უშნოდ, მსხვილი, მაგარი შავი ძაფით. თითქოს დედამისის დატუქსვის ხმაც შემომესმა: „რამდენჯერ უნდა გითხრა, ჯიბეში ერთდროულად ორ წიგნს ნუ იდებ; ბოლოს მოუღებ მაგ მანტოს. ჯიბე ისევ გახეული გაქვს. გაფრთხილებ, აღარ დაგიკერებ. შეხედე ერთი, რას გევხარ!..". ამას ჩემი საცოდავი დედაც მეუბნებოდა; მე კი მის სიტყვებს ყურადღებას არ ვაქცევდი. ბიჭს გახსნილი მანტოდან ქურთუკი უჩანდა; ჩემი ყურადღება საღილეში გარჭობილმა რაღაც ორდენის ლენტისა თუ ყვითელი ბაფთის მსგავსმა საგანმა მიიქცია. ამ ყველაფერს იმიტომ ვწერ დეტალებში სიზუსტე დავიცვა, ჩვეულებაც მაქვს ასეთი, თანაც, ალბათ, მოწყენილობასაც თავი მინდა ავარიდო.

„დროის რაღაც მონაკვეთში, გამყიდველს დუქნის შიგნიდან დაუძახეს; იქ მხოლოდ ერთი წამი შეჩერდა და ისევ თავის სკამს დაუბრუნდა; ბიჭისთვის ეს ერთი წამიც საკმარისი აღმოჩნდა, რომ წიგნი, რომელიც მანამდე ხელში ეჭირა, მანტოს ჯიბეში ჩაეცურებინა; მერე, თითქოს არაფერი მომხდარაო, თაროებზე წიგნების ქექვა გააგრძელა. ოდნავ შემცბარი კი იყო; თავი ასწია, ჩემი გამოხედვა შეამჩნია, მიხვდა, ყველაფერი დავინახე; თუმცა, ისიც ემჩნეოდა, მაინცადამაინც კარგად არ იყო დარწმუნებული, დავინახე თუ არა; ეჭვი გაუჩნდა, სიმტკიცე დაკარგა, გაწითლდა და ეშმაკური, პატარა მანევრი წამოიწყო; შეეცადა ძალდაუტანებელი გამოჩენილიყო, რამაც მისი შეკრთომა უფრო შესამჩნევი გახადა. თვალს არ ვაშორებდი: ჯიბიდან მოპარული წიგნი ამოიღო, ისევ უკან ჩაიდო; რამდენიმე ნაბიჯით განზე გაიწია; ქურთუკის შიდა ჯიბიდან, კარგა გაქუცული საფულე ამოაძვრინა; ისეთი სახე მიიღო თითქოს ფულს ეძებდა; თუმცა, მშვენივრად იცოდა, არ ჰქონდა; სახეზე თავის მოსაჩვენებელი, თეატრალური, უკმაყოფილო გრიმასი აიწყო, ცხადია, ჩემთვის განკუთვნილი, რომელზეც იკითხებოდა: „გაგონილა! ცარიელია!" მცირე დამატებითი ნიუანსით: „უცნაურია, მეგონა, მქონდა"; თანაც ეს ყველაფერი, ცოტა გადამეტებულად, ოდნავ უხეშად შეასრულა, როგორც იმ მსახიობმა, რომელსაც ეშინია, რომ ვერ გაუგებენ. შემდეგ, მე ვიტყოდი, ჩემი გამოხედვის ზემოქმედების წყალობით, ისევ იმ თაროსთან მივიდა, ჯიბიდან წიგნი ამოიღო და

სწრაფი მოძრაობით იქ დადო, საიდანაც აიღო. ისე ბუნებრივად გაითამაშა, გამყიდველმა ვერაფერი შეამჩნია. მერე თავი გაბედულად ასწია, იმ იმედით, ახლა ხომ ყველაფერი რიგზეაო. მაგრამ არა; ჩემი გამოხედვა, კაენის თვალივით, ძველებურად მისკენ იყო მიმართული, ოღონდ, ახლა, ჩემი თვალი იღიმებოდა. ძალიან მინდოდა დავლაპარაკებოდი. ველოდი, როდის დაამთავრებდა წიგნების თვალიერებას, მასთან რომ მივსულიყავი. ის ჯიუტად იმავე ადგილას იდგა, არ იძროდა; მივხვდი, ვიდრე ასე ვუყურებდი, არც გაინძრეოდა. ეშმაკობა ვიხმარე, ვითომ წიგნების თვალიერებით გული ვიჯერე და რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი წასასვლელად; ისიც ნავიდა; შორს ნასვლა ვერც მოასწრო,ადვილად დავეწიე.

„— რა წიგნი იყო?" — მაშინვე ვკითხე, თან ვეცადე, სახისა და ხმის გამომეტყველება რაც შეიძლება გულითადი მქონოდა.

„პირდაპირ სახეში შემომხედა და ვიგრძენი, უნდობლობა გაუქრა. ალბათ, ძნელი იქნებოდა გეთქვა, ლამაზი ბიჭიაო, მაგრამ ისეთი მშვენიერი გამოხედვა ჰქონდა! დავინახე, მის თვალში როგორ აღელდა, აბიბინდა, როგორც წყლის ფსკერზე წყალმცენარეები, უამრავი სხვადასხვა გრძნობა.

„— ალჟირის გზამკვლევი. ძალიან ძვირი ღირს. მე კი მდიდარი არა ვარ.

— რა ღირს?

— ორი ფრანკი და ორმოცდაათი.

— და მაინც, რომ არ დაგენახა გითვალთვალებდი, წიგნს ჯიბეში ჩაიდებდი და გაიპარებოდი".

ბიჭი შეშფოთდა, პროტესტის ნიშნად რაღაც მოძრაობაც გააკეთა და საკმაოდ ვულგარული ტონით წინააღმდეგობა სცადა:

„— არა, თქვენ რა... თქვენ რა, ქურდი გგონივართ?.. — ისე დამაჯერებლად ალაპარაკდა, ერთი ხანობა, ეჭვიც შემეპარა იმაში, რაც საკუთარი თვალით ვნახე. ვიგრძენი, ჩემსას თუ დავიჟინებდი, მაინც ვერაფერს მივაღწევდი. სამი მონეტა ამოვიღე ჯიბიდან.

— აიღე! წადი და იყიდე. მე აქ დაგელოდები".

ორი წუთის შემდეგ წიგნის ფარდულიდან გამოვიდა ნანატრი წიგნის ფურცვლა-ფურცვლით. წიგნი გამოვართვი. ჟოანის ძველი მეგზური იყო, 1871 წელს გამოცემული.

„— რად გინდა ეს წიგნი? — ვკითხე და წიგნი დავუბრუნე. — ძალიან ძველია. მაგისი გამოყენება უკვე აღარ შეიძლება".

„მარწმუნებდა, ამის გამოყენება კიდეე შეიძლებაო; რომ თანამედროვე მეგზურები ძალიან ძვირი ღირს; რომ, „რაც მას სჭირდება“ ეს მხოლოდ რუკებია, რომლებიც მეგზურს ახლავს და სრულიად გამოსადეგია. მისი სიტყვების ზუსტად გადმოცემას არ ვცდილობ, თავის კოლორიტს დაკარგავს, რადგან უჩვეულო ქუჩური ინტონაციით ლაპარაკობდა, რამაც ძალიან გამართო, თუმცა მისი წინადადებები მოკლებული არ იყო გარკვეულ დახვეწილობასაც.

.....

„ეს ეპიზოდი ძალიან უნდა შემოკლდეს. სიზუსტე უნდა მიიღწიოს არა დეტალების თხრობით, არამედ ორი თუ სამი მარჯვედ გაბნეული შტრიხის მეშვეობით, რომლის წყალობითაც მუშაობაში ჩაებმება მკითხველის წარმოსახვაც. მგონი, უფრო საინტერესო იქნება, თუ ამ ყველაფერს თვითონ ბიჭი გვიამბობს; მისი თვალსაზრისი უფრო მნიშვნელოვანი იქნება და გამომსახველიც, ვიდრე ჩემი. პატარა ერთდროულად დარცხვენილიც არის და მოხიბლულიც ჩემი ყურადღებით. ოღონდ, ჩემი შეხედულების ზეგავლენა ცოტა დაამახინჯებს მის თვალსაზრისს. მეტისმეტად გრძნობამორეულს, თავისი ინდივიდუალური სახე ჯერ არ აქვს შეგრძნებული, ამიტომ იძულებულია ითვალთმაქცოს, რაღაც ნიღაბს ამოეფაროს. იმაზე ძნელი არაფერია, ვიდრე იმ ადამიანებზე დაკვირვება, რომლებიც ჩამოყალიბების სტადიაში არიან. მათ უნდა დააკვირდე ფარულად, პროფილში.

„პატარამ მოულოდნელად განაცხადა, „ყველაზე მეტად მიყვარს გეოგრაფია“- ო. ვეჭვობ, ამ სიყვარულის უკან, ხეტიალის ინსტინქტი უფრო იფარება.

„— იქ გინდა წასვლა? — ვკითხე.

— რა საკითხავია!“ — თქვა და ოდნავ მხრები აიჩეჩა.

„უცბად თავში გამიელვა, მგონი, ეს ბიჭი ოჯახში თავს ბედნიერად არ გრძნობს. ვკითხე კიდეც, მშობლებთან ცხოვრობ-მეთქი? — დიახ. — მიპასუხა. ისიც ვკითხე, იქნებ არც მოგწონს-თქო ოჯახში ცხოვრება. უხალისო წინააღმდეგობით შეხვდა ჩემს კითხვას. ეტყობა, შეწუხდა კიდეც, მეტისმეტად ბევრი რომ ილაპარაკა საკუთარ თავზე. მერე დაუმატა:

„— რატომ მეკითხებით?

— ისე, უბრალოდ, — მაშინვე ვუპასუხე; მერე საღილეში გაკეთებულ ყვითელ ბაფთას თითი შევახე და ვკითხე:

— ეს რა არის?

— ბაფთაა. მშვენივრად ხედავთ“.

„ჩემი კითხვები აშკარად თავს აბეზრებდა. მოულოდნელად ჩემსკენ შემობრუნდა, თითქოს თავისი მტრული დამოკიდებულების ჩვენება უნდაო, დამცინავი, თავხედური ხმით მკითხა, — ვერასოდეს დავიჯერებდი თუ ასე შეეძლო ლაპარაკი, რამაც სრულიად ნამახდინა:

„— მითხარით ერთი... ლიცეისტებს ხშირად უთვალთვალებთ?“

„მერე, ვიდრე მე პასუხის მსგავს რაღაცას დაბნეული ვბუტბუტებდი, იღლიაში ამოჩრილი სასკოლო ჩანთა გახსნა, რათა თავისი ნავაჭრი ჩაედო; შიგ რამდენიმე სახელმძღვანელო და რვეული ედო, ყველა ცისფერი გადასაკრავით. ერთი ამოვიღე; ისტორიის კურსი აღმოჩნდა. პატარას მასზე მსხვილი ასოებით გვარი და სახელი დაეწერა. გული ამიჩქარდა, როცა ჩემი დისნულის გვარი და სახელი ამოვიკითხე:

„ჟორჟ მოლინიე“

(ბერნარსაც გული აუჩქროლდა, როცა ეს სიტყვები ამოიკითხა და ინტერესიც უჩვეულოდ გაუმძაფრდა.)

„ძნელი იქნება მკითხველი აიძულო, „ყალბი ფულის მჭრელებში“, დაიჯეროს ის, რომ პერსონაჟი, რომელიც ჩემი ორეულია, კარგ დამოკიდებულებაშია თავის დასთან, მის შვილებს კი არ იცნობს. მუდამ ძალიან მეძნელებოდა ჭეშმარიტების შენიღბვა. თმის ფერის შეცვლაც კი თაღლითობა მგონია, ჩემს თვალში რეალურს ნაკლებ დამაჯერებელს ხდის. ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული, ვგრძნობ, ყველა ფაქტს შორის, რომელსაც ცხოვრება მთავაზობს, ისეთი ფაქიზი კავშირებია, ერთი ფაქტის შეცვლაც აუცილებლად დანარჩენების შეცვლას გამოიწვევს. მე ხომ არ შემიძლია მოვყვე, რომ ამ ბიჭის დედა ჩემი ნახევარდაა მხოლოდ, მამაჩემის პირველი ქორწინებიდან დაბადებული; არც ის, რომ დიდი ხნის განმავლობაში ერთმანეთი არ გვინახავს, და რომ მხოლოდ მშობლების გარდაცვალების შემდეგ შევხვდით, ხოლო მემკვიდრეობის მიღების საქმემ ჩვენი ურთიერთობები განამტკიცა... ყოველივე ამისი ცოდნა აუცილებელია; ვერ ვხვდები, რა უნდა მოვიგონო ისეთი, რომ ოჯახური საიდუმლო არ გავცე. ვიცოდი, ჩემს ნახევარდას სამი ვაჟი ჰყავდა; მათგან მხოლოდ უფროსს ვიცნობდი, სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტს; ისიც იშვიათად მინახავს, ერთი თვალის მოკვრით, რადგან ტუბერკულოზით დაავადდა, იძულებული გახდა სწავლა შეეწყვიტა და სადღაც სამხრეთში ნასულიყო სამკუ-

რნალოდ. დანარჩენი ორი კი, როცა პოლინთან მივდიოდი, სახლში არასოდეს იყო; აი, ეს კი, ჩემს წინ რომ იდგა, ნამდვილად ნაბოლარა გახლდათ. განცვიფრება არაფრით გამომიხატავს, მაგრამ, გავიგე თუ არა პატარა ჟორჟი სადილად სახლში მიდიოდა, სასწრაფოდ დავეშვიდობე, ტაქსში ჩავჯექი და ნოტრ-დამ-დე-შანის ქუჩაზე მასზე ადრე მივედი. ვიფიქრე, სადილობის დროს რომ მივიდოდი, პოლინი აუცილებლად დამტოვებდა სასადილოდ, ასეც მოხდა; ხოლო ასეთი უდროო ვიზიტის მიზეზი შეიძლებოდა წიგნის ჩუქება ყოფილიყო, რომლის ეგზემპლარიც პერენისგან წამოვიღე.

„იმ დღეს პირველად ვსადილობდი პოლინთან. შევცდი, ჩემს სიძეს უნდობლად რომ ვუყურებდი. მეეჭვება, კარგი იურისტი იყოს, მაგრამ, როცა ვსაუბრობთ, იცის, თავის პროფესიაზე იმაზე მეტი არ უნდა თქვას, ვიდრე მე ჩემსაზე ვამბობ, ასე რომ, ერთმანეთს კარგად გავუგეთ.

„ბუნებრივია, როცა იმ დილით კარზე მივადექი, ერთი სიტყვაც არ მითქვამს, ცოტა ხნის წინ მომხდარ ამბავზე.

„—იმედი მაქვს, ეს ჩემი დისშვილების გაცნობის საშუალებას მომცემს, — ვთქვი, როცა პოლინმა სადილად დარჩენა მთხოვა. — ხომ იცით, ორ მათგანს ჯერ კიდევ არ ვიცნობ.

„— ოლივიე, — მითხრა პოლინმა, — ცოტა მოგვიანებით მოვა; დღეს რეპეტიცია აქვს; უიმისოდ ვისადილებთ. ჟორჟი კი, ხმა შემომესმა, უკვე მოვიდა. ახლავე დავუძახებ. — მეზობელი ოთახის კართან აჩქარებით მივიდა და გასძახა:

„— ჟორჟ! მოდი ბიძაშენს მიესალმე“.

„პატარა შემოვიდა და ხელი გამომიწოდა. ვაკოცე... არ შემიძლია ბავშვების თვალთმაქცობით არ აღვფრთოვანდე: უმცირესი გაოცებაც არ გამოუხატავს; შეიძლება ისიც მეფიქრა, რომ ვერ მიცნო. ოღონდ, ძალიან განითლდა; დედამისს შეეძლო ეფიქრა, სიმორცხვით განითლდაო. მე კი მგონია, რომ მაინც შერცხვა, რადგან შეხვდე იმ ადამიანს, რომელიც ცოტა ხნის წინ შენს საქმიანობას უთვალთვალებდა, ალბათ, მოსარიდებელია, და ეს აზრი განმიმტკიცდა კიდეც — მან მაშინვე დაგვტოვა და მეზობელ ოთახში გავიდა. ის ოთახი სასადილო ოთახი იყო, რომელიც, როგორც მივხვდი, ტრაპეზსა და ტრაპეზს შორის, სამეცადინო ოთახადაც იყენებდნენ. მაგრამ, როგორც კი მამამისი სასტუმრო ოთახში შემოვიდა, ისიც სწრაფად გამოჩნდა და იმ მომენტში, როცა ყველა სასადილო ოთახში გადიოდა, დრო იხელთა, მომიახლოვდა, მშობლე-

ბისგან მალულად ხელში ხელი მტაცა. ეს ჯერ მეგობრული განწყობილების ნიშანი მეგონა; ამან ცოტა გამამხიარულა: მაგრამ არა: თითები გამიხსნა და შიგ ქაღალდის პატარა ნაგლეჯი ჩამიდო, როგორც მგონია წუთის წინ დაწერილი; მერე ჩემი თითები ისევ მომუჭა და ხელი მთელი ძალით მომიჭირა. ბუნებრივია, ეს თამაში მივიღე, წერილი ჯიბეში ჩავიდე, და მხოლოდ სადილობის შემდეგ ამოვიღე. აი, რა ნავიკითხე:

„თუ ჩემს მშობლებს წიგნის შესახებ რამეს ეტყვით, მაშინ (სიტყვა „შეგიძულებთ" გადაეშალა) ვიტყვი, რომ რაღაც —რაღაცეები შემომთავაზეთ.

„უფრო ქვემოთ:

„ლიცეუმიდან მუდამ 10 საათზე გამოვდივარ".

„გუშინ წერა ბატონ X—ის... ვიზიტმა შემაწყვეტინა. მასთან საუბარმა უსიამოვნო გრძნობა დამიტოვა.

„ბევრი ვიფიქრე იმაზე, რაც X—მა... მითხრა; დიდხანს ვუხსნიდი „ყალბი ფულის მჭრელების" შესახებ ჩემს გეგმებს. მან ჩემი ცხოვრების შესახებ არაფერი იცის. მისი რჩევები ჩემთვის მუდამ სასარგებლოა, რადგან მისი თვალსაზრისი ყოველთვის განსხვავდება ჩემი თვალსაზრისისგან. ეშინია, გონებაჭვრეტითმა თხრობამ მეტისმეტად არ გამიტაცოს; ნამდვილი სიუჟეტი არ შევნირო იმ სიუჟეტის აჩრდილს, რომელიც ჩემს ტვინში ჩაისახა. არ შეიძლება არ მაწუხებდეს, რომ ცხოვრება (ჩემი საკუთარი ცხოვრება) შორდება ჩემსავე ქმნილებას, ხოლო ჩემი ქმნილება ჩემივე ცხოვრებიდან განზე დგება. ოღონდ, მისთვის ამისი თქმა ვერ შევძელი. ამ დრომდე ჩემი გემოვნება, გრძნობები, პირადი გამოცდილება, როგორც წესი, ჩემს ნაწარმოებებს ასაზრდოებდა; კარგად აგებულ წინადადებებშიც ჩემი გულის ძგერას ვგრძნობდი. და აი, ამიერიდან, მათ შორის, რასაც ვფიქრობ და რასაც ვგრძნობ, კავშირი გაწყვეტილია. ეჭვი მაქვს, ჩემს წიგნს ხელოვნურობა და აბსტრაქტულობა ზუსტად იმიტომ ემუქრება, რომ ჩემს გულს ლაპარაკის უფლებას არ ვაძლევ. ამაზე ვფიქრობდი და უცბად აპოლონისა და დაფნეს[1]. მითის აზრს ჩავხვდი: ბედნიერია ის, გავიფიქრე, ვინც შეძლო და ერთდროულად ჩაეხვია დაფნასაც და თავისი სიყვარულის საგანსაც.

---

1. აპოლონს შეუყვარდა ფერია დაფნე, რომელმაც ღმერთის სიყვარული არ გაიზიარა და ხედ იქცა. შემდეგში დაფნა აპოლონის წმინდა ხედ ითვლებოდა.

„ჟორჟთან ჩემი შეხვედრის ამბის გადმოცემას ბევრი დრო მოვანდომე, ოლივიეს სცენაზე შემოსვლისთანავე უნდა შევჩერდე. ეს მოთხრობა მხოლოდ იმიტომ დავიწყე, რომ ოლივიეზე მელაპარაკა, ჟორჟზე ლაპარაკი კი გამომივიდა. ახლა, როცა ოლივიეზე ლაპარაკის დრო მოვიდა, მივხვდი, რომ ჩემი ზოზინის მიზეზი, აი, ამ მომენტის იქით და იქით გადაწევის სურვილი იყო. იმ პირველ დღეს, დავინახე თუ არა, მაშინვე, როგორც კი ოჯახურ სუფრას მიუჯდა, და შევხედე, უფრო ზუსტად, როგორც კი შემომხედა, ვიგრძენი, ამ შემოხედვამ დამატყვევა და ჩემი სიცოცხლე მე აღარ მეკუთვნოდა.

„პოლინი მოითხოვს, ხშირად ვიარო მათთან. დაჟინებით მთხოვს, ცოტა მის შვილებსაც მივხედო. მაგრძნობინებს, რომ მამას მათი არ ესმის; რაც მეტს ვსაუბრობთ, მით მომხიბლავი მეჩვენება. ახლა ვეღარ ვხვდები, რატომ ხშირად არ დავდიოდი მათთან. ბავშვები კათოლიკური რწმენით არიან აღზრდილნი, თვითონ კი ჯერ არ დავიწყებოდა, რომ პროტესტანტული აღზრდა მიიღო; თუმცა დედაჩემის მოსვლისთანავე წავიდა მამაჩვენის სახლიდან, მაინც აღმოვაჩინე, მე და მას ბევრი საერთო თვისებები გვაქვს. თავისი შვილები ლორას მშობლების პანსიონში მიაბარა, სადაც დიდხანს ვცხოვრობდი მეც. სიტყვამ მოიტანა და, აზაისების პანსიონი იმით ამაყობს, რომ არც ერთ აღმსარებლობას განსაკუთრებულ უპირატესობას არ ანიჭებს (ჩემს დროს, იქ თურქებსაც კი ნახავდით), თუმცა მამაჩემის დიდი ხნის მეგობარი, მოხუცი აზაისი, რომელმაც პანსიონი დააარსა და აქამდე ხელმძღვანელობს, ოდესღაც პასტორი იყო.

„პოლინს სანატორიუმიდან, სადაც მკურნალობას ამთავრებს ვენსანი, ფრიად სანუგეშო ამბები მოსდის. მითხრა, შენს შესახებაც მივწერეო და ძალიან უნდოდა, რაც შეიძლება უკეთ გამეცნო იგი. ვენსანი მხოლოდ თვალმოკრულად მყავდა ნანახი. უფროს შვილზე დიდ იმედებს ამყარებს; ოჯახი ყველაფერს იკლებს, რათა მას დაეხმაროს და სწავლის დამთავრების შემდეგ უკეთ მოეწყოს — ასე ვთქვათ, უნდათ პაციენტების მისაღებად ცალკე ბინა დაუქირაონ. ჯერჯერობით კი, თავიანთი პატარა ბინის ნაწილი დაუთმეს, ოლივიე და ჟორჟი, მათი საცხოვრებელის ქვემოთ, ცალკე ოთახში შეასახლეს, რომელიც აქამდე ცარიელი იყო. ახლა, მთავარი პრობლემა ის იყო, ვენსანს ავადმყოფობის გამო საავადმყოფოში პრაქტიკის გავლაზე უარის თქმა ხომ არ მოუწევდა.

„სიმართლე რომ ითქვას, ვენსანი საერთოდ არ მაინტერესებდა,

თუ მასზე დედამისთან ბევრი ვილაპარაკე, მხოლოდ იმიტომ, რომ ვასიამოვნო, მერე უფრო საფუძვლიანად და დიდხანს ოლივიეზე გვემუსაიფა. რაც შეეხება ჟორჟს, ცივად მექცევა; როცა ველაპარაკები, გაჭირვებით მპასუხობს; როცა ერთმანეთს ვხვდებით, რაღაც უცნაურ, გაუგებარ გამოხედვას მახვედრებს. ეტყობა, ჩემზე გულმოსულია, ლიცეუმთან რომ არ შევხვდი, ან საკუთარ თავზე ბრაზობს, შეხვედრა რად დავუნიშნეო.

„ვერც ოლივიეს ვხედავ ხშირად. როცა დედამისის სანახავად მივდივარ, იმ ოთახში შესვლას ვერ ვბედავ, სადაც, როგორც ვიცი, მეცადინეობს. თუ შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს, ისე მოუხერხებლად ვიქცევი და ვიბნევი, სიტყვას ვერ ვპოულობ რა ვუთხრა, ეს იმდენად მიმძიმებს გულს, ვამჯობინებ დედამისი იმ საათებში ვნახო, როცა ვიცი, ოლივიე სახლში არ არის".

# XII

## ედუარდის დღიური
(გაგრძელება)

2 ნოემბერი

„ხანგრძლივი საუბარი დუვიესთან, რომელიც ლორას მშობლებისგან ჩემთან ერთად გამოვიდა და ლუქსემბურგის ბაღის გავლით ოდეონამდე მიმაცილა. ვორდსვორთზე წერს სადოქტორო დისერტაციას; მასზე რამდენიმე სიტყვა მითხრა და მივხვდი, ყველაზე ორიგინალური თავისებურება ვორდსვორთის პოეზიისა ხელიდან უსხლტება. უკეთესი იქნებოდა ტენისონი აერჩია. ვგრძნობ, ამ დუვიეს რაღაც არ ჰყოფნის, მარტივი კაცია და ყეყეჩი. აზრადაც არ მოსდის, რომ ადამიანებისა და საგნების გარეგნული მხარე ხშირად მატყუარაა; ამიტომ ადამიანებსა და საგნებს ისეთივეს ღებულობს, როგორებიც არიან; ეს, ალბათ, იმიტომ ემართება, თვითონ მუდამ ისეთია, როგორიც სინამდვილეშია და არ ცდილობს სხვანაირი გამოჩნდეს.

„— ვიცი, — მითხრა ერთხელ, — ლორას საუკეთესო მეგობარი ხართ. ალბათ, თქვენზე ცოტა უნდა მეეჭვიანა კიდეც. არ შემიძლია. პირიქით, რასაც თქვენზე მიამბობს, მეხმარება უკეთ გავუგო მას და სურვილი მიჩნდება თქვენი მეგობარი გავხდე. ერთ დღეს ვკითხე, ძალიან ხომ არ გეწყინებოდათ, თუ მასზე დავქორწინდებოდი? პირიქითო, მიპასუხა, და რომ თქვენც ურჩიეთ ცოლად გამომყოლოდა (მჯერა, დუვიე ქარაგმების გარეშე მელაპარაკებოდა). ამისთვის მადლობა მინდა გადაგიხადოთ. ჩემი სიტყვები სასაცილოდ არ მოგეჩვენოთ. ამას გულწრფელად გეუბნებით". — დაუმატა, თან გაღიმებას ეცადა, ხმა უკანკალებდა და თვალშიც ცრემლი ედგა.

„არ ვიცოდი, რა მეპასუხა, რადგან ამან იმაზე ნაკლებად ამაღელვა, ვიდრე ასეთ შემთხვევაში უნდა ვყოფილიყავი აღელვებული, არც თავი მქონდა ასეთივე გულგადაშლით დავღვრილიყავი. ეჭვიც არ მეპარება, ცოტა მშრალ კაცად ვეჩვენე; მაგრამ ის ძალიან მაღიზიანებდა. მიუხედავად ყველაფრისა, როგორც შემეძლო და გამომივიდა, მის გამოწვდილ ხელს ჩემი ხელი მხურვალედ შევაგებე. უფრო მეტი გულითა-

დობის გამომხატველი ასეთი სცენები, ვიდრე ჩვენ მოვითხოვთ, მძიმე ასატანია. ცხადია, ჩემი სიმპათიის დამსახურებას ცდილობდა. უფრო შორსმჭვრეტელი კაცი რომ ყოფილიყო, აუცილებლად მიხვდებოდა, რომ ვერაფერი მიიღო. თვითონ კი, ეს უცბად მეცა თვალში, საკუთარი თავისადმი მადლიერების გრძნობით იყო აღვსილი, ისეთი სიტყვები რომ წარმოთქვა, რომლის გამოძახილიც, როგორც თვითონ ფიქრობდა, ჩემი გულიდან იგრძნო. ვერაფერი ვუპასუხე, და, ალბათ, ჩემმა მდუმარებამ შეაცბუნა:

„— იმედი მაქვს, — მაშინვე დაუმატა, — ინგლისში გადასვლა და კემბრიჯში ცხოვრება მას საშუალებას აღარ მისცემს ერთმანეთს შეგვადაროს, რაც აქამდე სულაც არ ნყდებოდა ჩემს სასარგებლოდ“.

„რა ჰქონდა მხედველობაში? ვეცადე, ისეთი სახე მიმეღო, ვითომ ვერაფერს მივხვდი. შეიძლება, იმედიც ჰქონდა, შევეკამათებოდი; მაგრამ ეს ხომ ჩვენი მდგომარეობის სიყალბეს უფრო გააღრმავებდა. იგი იმ ადამიანთა მოდგმას ეკუთვნის, რომლებიც საკუთარი მოკრძალების გამო სრულიად ვერ იტანენ მდუმარებას და საკუთარ მოვალეობად მიაჩნიათ პაუზები გადაჭარბებული თავაზიანობით შეავსონ; იმ ადამიანთა მოდგმისაა, რომლებიც მერე გეუბნებიან: „თქვენთან მუდამ გულწრფელი ვიყავი“. ღმერთო, დიდებულო! მთავარია, არამარტო თავად იყო გულწრფელი, არამედ სხვასაც მისცე საშუალება გულწრფელი იყოს. ხომ უნდა მიხვედრილიყო, რომ ზუსტად მისი გულნრფელობა მიშლიდა ხელს, ასეთივე გულწრფელობით მეპასუხა.

„რაც არის არის, თუ მე არ შემიძლია მისი მეგობარი გავხდე, მინდა მჯეროდეს, ლორასთვის მშვენიერი ქმარი იქნება. მერე კემბრიჯზე ვილაპარაკეთ; დავპირდი, სანახავად ჩამოვალ-მეთქი.

„საიდან გაუჩნდა ლორას მასთან ჩემზე ლაპარაკის უაზრო იდეა?

„ქალებს ერთგულებისადმი დიდებული მიდრეკილება აქვთ. ხშირად მამაკაცი, რომელიც ქალს უყვარს, მისთვის ერთგვარი საკიდის როლს ასრულებს, რომელზეც თავის სიყვარულს ჰკიდებს. როგორ აპირებს ლორა ამ მონაცვლეობის განხორციელებას?! მესმის, რომ საცაა დუვიეს გაჰყვება ცოლად; ერთ-ერთმა პირველმა მე ვურჩიე ამისი გაკეთება. და მაინც, უფლება მაქვს ვიფიქრო, რომ მას რაღაც ნაღველის მსგავსი გრძნობა მაინც გაუჩნდება. ქორწილი სამი დღის შემდეგ გაიმართება.

„რამდენიმე სტატია ჩემს წიგნზე. ყველაზე მეტად იმ ღირსებებისთვის მაქებენ, რომლებიც ყველაზე მეტად მძულს... ღირდა კი ამ ძველმანების გამოცემა? ისინი ოდნავადაც აღარ ასახავენ იმას, რაც ახლა მომწონს. ეს ახლაღა შევამჩნიე, რაც სრულიადაც არ ნიშნავს, რომ შეეცვალე და სხვად ვიქეცი; უბრალოდ, საქმე იმაშია, რომ მხოლოდ ახლა შევიცანი საკუთარი თავი; აქამდე არ ვიცოდი, ვინ ვიყავი. ნუთუ გამუდმებით ვიღაცა მჭირდება, რომ საკუთარ თავს საკუთარი თავი აღმოვაჩენინო!? ამ წიგნების კრისტალიზაცია ლორას სახების ირგვლივ მოხდა; ამიტომაც აღარ მსურს მასში საკუთარი თავის შეცნობა.

„ნუთუ მართლა აკრძალული გვაქვს სიმპათიით წარმოქმნილი ის გამჭრიახობა, რომლის წყალობითაც დროის გასწრებას შევძლებთ? ხვალ რა პრობლემები ააღელვებთ იმათ, ჩვენს შემდეგ რომ მოვლენ? ზუსტად იმათთვის მინდა ვწერო. ჯერ ჩამოუყალიბებელ ცნობისმოყვარეობას საკვები მინდა მივცე, ვუპასუხო იმ მოთხოვნებს, რომელთა კონტურებიც ჯერ არ გამოკვეთილა; ისე მინდა გავაკეთო, დღევანდელი ბავშვი ხვალ გაოცდეს ცხოვრების გზაზე რომ შემხვდება.

„ მომწონს, ოლივიეში ცნობისმოყვარეობის უზარმაზარი მარაგი და წარსულით მოუთმენელი დაუკმაყოფილება რომ აღმოვაჩინე...

„ზოგჯერ მეჩვენება, პოეზია ერთადერთია, რაც მას აინტერესებს. მისი თვალით ვკითხულობ ჩვენს პოეტებს და ვგრძნობ, მათ შორის რა იშვიათად გვხვდება ისეთი, რომელიც გულისა და გონების ძახილს კი არ ემორჩილება, არამედ ხელოვნების ძახილს. უცნაურია, როცა ოსკარ მოლინიემ ოლივიეს ლექსები მაჩვენა, მაშინ ჭაბუკს ვურჩიე — ეცადე, სიტყვას კი არ დაემორჩილო, არამედ ფეხდაფეხ მიჰყვე-მეთქი. ახლა კი, ასე მგონია, პირიქით მოხდა, ეს თვითონ ვისწავლე მისი დახმარებით.

„ყველაფერი რაც აქამდე დამიწერია, დღეს ნაღვლიანი, მოსაწყენი და სასაცილო მგონია!

5 ნოემბერი

„ცერემონია მადამის ქუჩაზე მდებარე პატარა სამლოცველოში ჩატარდა, სადაც დიდი ხანია აღარ შევსულვარ. ვედელ-აზაისების ოჯა-

ხი სრული შემადგენლობით ესწრებოდა: ლორას პაპა, დედ-მამა, მისი ორი და, პატარა ძმა, რამდენიმე ბიძა, დეიდ-მამიდები და ბიძაშვილები. დუვიების ოჯახი კი შავებში ჩაცმული სამი დეიდით იყო წარმოდგენილი, რომელთა მონაზვნებად სწრაფად გადაქცევასაც კათოლიციზმი არ დააყოვნებდა; როგორც მითხრეს, ისინი ერთად ცხოვრობდნენ და მშობლების გარდაცვალების შემდეგ დუვიეც მათთან იყო. ქოროში პანსიონში მცხოვრები მონაფეები მოეთავსებინათ. ოჯახის მეგობრები—დარბაზის დარჩენილ ნაწილს ავსებდნენ, რომლის სიღრმეში მეც ვიდექი. ჩემგან ოდნავ მოშორებით ჩემი და და ოლივიე დავინახე; ჟორჟი ქოროში უნდა ყოფილიყო, თავის თანატოლებთან ერთად; ფის-ჰარმონიასთან[1] მოხუცი ლა პერუზია — ჩამობერებული სახე ასეთი მშვენიერი და ასეთი კეთილშობილური არასოდეს ჰქონია, მაგრამ აი, თვალებში ის წარმტაცი ცეცხლი აღარ უბრწყინავდა, რითაც მეც ვენთებოდი მისი მუსიკის გაკვეთილებზე. ჩვენი გამოხედვა ერთმანეთს შეხვდა, გამიღიმა და ამ ღიმილში იმდენი ნაღველი ამოვიკითხე, რომ საკუთარ თავს აღვუთქვი, ცერემონიის დამთავრებისთანავე ვნახავდი. მოწვეულთა შორის რაღაც მოძრაობა დაიწყო და პოლინის ახლოს ადგილი გათავისუფლდა. ოლივიემ მაშინვე მანიშნა, დედას ადგილის შეცვლა სთხოვა, რომ მის გვერდით დავმჯდარიყავი; მერე ჩემი ხელი აიღო და დიდხანს ეჭირა. პირველად მოიქცა ჩემთან ასე ძალდაუტანებლად, შინაურულად. პასტორის თითქმის დაუმთავრებელი ქადაგების დროს, თვალი დახუჭული ჰქონდა; ამან საშუალება მომცა, კარგად შემეთვალიერებინა იგი: მძინარე მწყემსს ჰგავდა ნეაპოლის მუზეუმის ერთ ბარელიეფზე გამოსახულს, რომლის ფოტოგრაფიაც ჩემს საწერ მაგიდაზე დგას. მისი მთრთოლვარე თითები რომ არა, ვიფიქრებდი ჩაეძინა-მეთქი; მისი ხელი ჩიტივით ფართხალებდა ჩემსაში.

„მოხუცმა პასტორმა თავის მოვალეობად ჩათვალა და დამსწრეთ ოჯახის მთელი ისტორია უამბო, პაპა აზაისიდან, თავისი სკოლის ამხანაგიდან დაიწყო, რომელთანაც, ომამდე, ჯერ სტრასბურგი სკოლაში სწავლობდა, მერე ღვთისმეტყველების ფაკულტეტზეც. მომეჩვენა, თავს ვერ გაართმევდა იმ რთულ წინადადებას, რომლითაც ცდილობდა აეხსნა, რომ, მართალია მისმა მეგობარმა პანსიონის ხელმძღვა-

1. კლავიშებიანი და საბერველიანი მომცრო საკრავი, რომელიც პიანინოს ჰგავს და ორღანის ხმებს გამოსცემს.

ნელობა იკისრა და ბავშვების აღზრდა-განათლებას უძღვნა თავი, პასტორობა არ მიუტოვებიაო. მერე მომდევნო თაობის რიგი დადგა. აღფრთოვანებით ილაპარაკა დუვიების ოჯახზეც, თუმცა, რაც მეტს ლაპარაკობდა, მით უფრო ნათელი ხდებოდა, რომ ამ ოჯახზე თითქმის არაფერი იცოდა. ეგ არის ოღონდ, ორატორული მარცხი გრძნობათა აღმატებულობით გამოისყიდება, ასე რომ, ბევრი იქ დამსწრე იძულებული გახდა ცხვირსახოცით მოეხოცა ცხვირი. ოლივიეს აზრი მაინტერესებდა, რას ფიქრობდა ყოველივე იმაზე, რაც აქ ხდებოდა; იგი კათოლიკური რწმენით აღზარდეს და პროტესტანტული კულტი ახალი უნდა ყოფილიყო მისთვის; ამ ეკლესიაში კი, ალბათ, საერთოდაც პირველად იყო. საკუთარი პიროვნების უკან დაყენების თავისებური უნარი, საშუალებას მაძლევს ისევე განვიცადო სხვათა გრძნობები, როგორც ჩემსას განვიცდი, და ეს მაიძულებდა თითქმის ისევე განმეცადა ოლივიეს შეგრძნებები, ის შეგრძნებები, ჩემი წარმოდგენით, მას რომ დაუფლებოდა. თვალი დახუჭული ჰქონდა, ასე მეგონა მეც პირველად დავინახე შიშველი კედლები, მქრქალი, არარეალური სინათლე, დამსწრე საზოგადოებას რომ ერტყა გარს, და ეს სინათლე თეთრი კედლების ფონზე მკვეთრად აჩენდა კათედრას; დავინახე, მკაცრი, სწორი ხაზები, კოლონათა სიუხეშე ქორო რომ ეყრდონობოდა; თვით სული დავინახე ამ კუთხოვანი და ფერგადასული არქიტექტურისა, აუტანელი სიტლანქე, შეუწყნარებლობა და მერკანტილიზმი უცბად მეცა თვალში. ეს ყველაფერი ადრე რატომ ვერ შევამჩნიე, ალბათ, იმიტომ, რომ მას ბავშვობიდანვე ვხედავდი... უცბად, ჩემი პირველი რელიგიური გამოღვიძება გამახსენდა, ჩემი პირველი გულმოდგინება და აღფრთოვანება ნეოფიტისა;[1] გამახსენდა ლორა და ის საკვირაო სკოლა, სადაც ერთმანეთს ევანგელისტური წრის მეცადინეობებზე ვხვდებოდით; ორივე გულმოდგინებით ვიყავით აღვსილი, ორივე ცეცხლით ვიწოდით, რაც ჩვენში ყოველგვარ უწმინდურობას სპობდა, ამიტომაც ცუდად ვერკვეოდით, რა ეკუთვნოდა ღმერთს და რა — სხვას. უმალ გული მეტკინა, რომ ოლივიეს, ჩვენსავით, ჭაბუკურ გრძნობებზე უარის თქმა არ განუცდია, რაიც სულს სახიფათოდ აღამაღლებს ხილულ სამყაროზე; ვინანე, ისეთი მოგონებები რომ არ ჰქონდა, როგორიც მე; გავიაზრე

1. რომელიმე რელიგიის, მოძღვრების, მოძრაობის ახალი მიმდევარი, ახალრჯულმიღებული.

თუ არა მისი უცოდინარობა, ადვილად გავთავისუფლდი ჩემი წარსულისგან. ხელზე, აქამდე ჩემს ხელში რომ ედო, მხურვალედ მოვუჭირე ხელი. მოულოდნელად ხელი გამომტაცა, თვალი გაახილა, შემომხედა, მერე ღიმილით ჩემსკენ გადმოიხარა; მის გამოხედვაში ნამდვილი ბავშვური სიანცე კიაფობდა, რაც მის უჩვეულოდ სერიოზულ შუბლთან მკვეთრ კონტრასტს ქმნიდა; გადმოიხარა და ზუსტად იმ დროს, როცა პასტორი დამსწრეთ ყოველი ქრისტიანის მოვალეობებს ახსენებდა, ახალდაქორწინებულთათვის რჩევა-დარიგებებსა და ღვთისმოსავ გაფრთხილებებს არ იშურებდა, ჩამჩურჩულა:

„— მიმიფურთხებია. მე ხომ კათოლიკე ვარ“.

„მისი ყველაფერი მიზიდავს და ყველაფერი მისი, ჩემთვის გამოცანად რჩება.

„მოხუცი ლა პერუზი საეკლესიო სამოსსაცავის კართან ვიპოვე. ოდნავ ნაღვლიანად, ოღონდ იმ ტონით, უმცირესი საყვედური არა სჭვიოდა, მითხრა:

„— მგონი, ცოტა მივიწყებთ“.

„უკვე აღარც მახსოვს, რა მიზეზი მოვიგონე, ბოდიშის მოსახდელად, ასე დიდხანს რომ არ მინახავს; დავპირდი, ხვალზევით ვენვეოდი სტუმრად. ვეცადე აზაისებთან წამეყვანა ჩაიზე, ცერემონიის დამთავრების შემდეგ რომ აწყობდნენ; უარი მითხრა, მეტისმეტად ნაღვლიან გუნებაზე ვარ, იქ კი ბევრ ხალხს შევხვდები, რომლებსაც უნდა დაველაპარაკო, ლაპარაკი კი არ შემიძლიაო.

„პოლინმა ჟორჟი წაიყვნა, ოლივიე კი ჩემთან დატოვა:

„— თქვენ გაბარებთ“, — მითხრა სიცილით; რაც, მგონი, ოლივიეს მაინცადამაინც არ მოეწონა. მან ქუჩაში გამიყვანა:

„— არ ვიცოდი, თუ ასე კარგად იცნობდით აზაისებს“.

„გაოცდა, როცა ვუთხარი, რომ ორი წელი ვცხოვრობდი მათ პანსიონში.

„— პანსიონში ცხოვრება როგორ ამჯობინეთ სხვა სახის დამოუკიდებელ ცხოვრებას?

„— მაშინ საკმაოდ მოხერხებულად მეჩვენებოდა, — ვუპასუხე გაურკვევლად; ვერ ვუთხარი, რომ იმ დროს ჩემი ფიქრები ლორათი იყო დაკავებული, ყველანაირი მკაცრი რეჟიმის ცხოვრებასაც დავთანხმდებოდი, ოღონდ მის გვერდით ყოფნის სიამოვნება მქონოდა.

„— ამ საპყრობილის ატმოსფეროში არ იხრჩობოდით?“

„რადგან არაფერი ვუპასუხე გააგრძელა:

„— თუმცა, არც მე მესმის კარგად, როგორ ვიტან და არც ის, აქ როგორ მოვხვდი... ნახევარპანსიონზე ვარ და ესეც მეტისმეტია ჩემთვის“.

„იძულებული გავხდი მისთვის მეამბნა იმ მეგობრობაზე, რომელიც ამ „საპყრობილის“ დირექტორსა და პაპამისს აკავშირებდა, რამაც არჩევანი უკარნახა დედამისსაც.

„— თუმცა, — დაუმატა მან, — შედარება, ცხადია, მეძნელება; ალბათ, ეს სათბურები ერთმანეთს ჰგავს. თუ რასაც მეუბნებიან იმას დავუჯერებთ, მზად ვარ მივიღო, რომ უმრავლესობა ამაზე უარესია. მაინც გამიხარდება აქედან თუ წავალ. არც მოვიდოდი, ჩემი ავადმყოფობა რომ არა, ბევრი დრო გამიცდა. დიდი ხანია მხოლოდ არმანთან მეგობრობის გამო დავდივარ იქ“.

„მაშინ გავიგე, რომ ლორას უმცროსი ძმა მისი თანაკლასელი იყო. ოლივიეს ვუთხარი, არმანს თითქმის არ ვიცნობ-მეთქი.

„— ის ხომ მთელ ოჯახში ყველაზე ჭკვიანი და საინტერესოა.

„— მაშასადამე, ყველაზე მეტად ის გაინტერესებს.

„— არა, არა, გარწმუნებთ, ის ნამდვილად ძალზე საინტერესოა. თუ გნებავთ წავიდეთ მის ოთახში და ცოტა წავისაუბროთ. იმედი მაქვს, თქვენთან არ დაიმორცხვებს“.

„პანსიონთან მივედით.

„ვედელ-აზაისებმა ტრადიციული საქორწინო სადილი უფრო ნაკლებძვირადღირებულ უბრალო ჩაით შეცვალეს. მისაღები ოთახი და პასტორ ვედელის კაბინეტი მოწვეულთა ძირითადი მასისთვის იყო ღია. პასტორის მეულლის პატარა პირადი სალონი, მხოლოდ მეგობართა მცირე ჯგუფის მისაღებად იყო განკუთვნილი. დანარჩენი სტუმრებისთვის გზა რომ გადაეღობათ, სასტუმრო ოთახისა და ამ სალონის კარი საიმედოდ ჩაკეტეს. ასე რომ, თუ ვინმე არმანს ჰკითხავდა, დედაშენთან როგორ შევიდეო, ის პასუხობდა:

„— ბუხრის გავლით“.

„ხალხი ბევრი იყო. სიცხისგან სული ეხუთებოდათ. თუ არ ჩავთვლით „მასწავლებელთა კორპუსის რამდენიმე წევრს“, დუვიეს კოლეგებს, შეკრებილი საზოგადოება უკლებლივ პროტესტანტული გახლდათ. ერთობ სპეციფიკური პურიტანული სუნი ტრიალებდა. კათოლიკურ ან ებრაულ თავყრილობებზე მოხვდებით თუ არა, ოდნავ შეეგუებით გარემოს და მაშინვე შეიგრძნობთ, რომ ატმოსფერო, ჩვეულებრივ,

ასევეა დამძიმებული, შეიძლება უფრო მეტადაც, სულის შემხუთველია და უმალ წამოსვლა მოგინდება; ოღონდ, კათოლიკებში ხშირად შეინიშნება საკუთარ თავზე მეტისმეტად დიდი წარმოდგენა, ხოლო ებრაელებში გადამეტებული თავის დამდაბლება; აი, პროტესტანტებს კი ეტყობა ეს თვისება ნაკლებად უჩნდებათ. ებრაელებს ცხვირები მეტისმეტად გრძელი აქვთ, პროტესტანტებისთვის დამახასიათებელი ცხვირი კი დახშულია და მოკლებულია ყნოსვის შესაძლებლობას; ეს უდავო ჭეშმარიტება გახლავთ. მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც იქ ვიყავი, თავადაც ვერ მივხვდი, ამ ატმოსფეროს განსაკუთრებულ თვისებებს. არ ვიცი რა იყო, რაღაც აღუწერელი ალპიური, სამოთხისებური და მიამიტური.

„დარბაზის სიღრმეში გაწყობილი მაგიდა იდგა. რაშელი, ლორას უფროსი და, და სარა, ლორას უმცროსი და, რამდენიმე მეგობარ, გასათხოვარ გოგონასთან ერთად, ჩაის არიგებდნენ...

„ლორამ შემამჩნია თუ არა, მაშინვე მამის კაბინეტში შემიყვანა; იქ უკვე მთელი სინოდი შეკრებილიყო. ფანჯრის ნიშას ამოფარებულებს შეგვეძლო გველაპარაკა და არ შეგვშინებოდა, რომ ვინმე მოგვისმენდა. აქ, ოდესღაც, ფანჯრის ჩარჩოზე ჩვენი სახელები დავაწერეთ.

„— მოდით ნახეთ. ისევ ნერია, — მითხრა მან, — მგონი, ჯერ არავის შეუმჩნევია. რამდენი წლისა იყავით მაშინ?"

„სახელებს ზემოთ, თარიღიც მიგვეწერა. გამოვთვალე:

„— ოცდარვა წლისა.

— მე კი თექვსმეტის. ათი წელი გავიდა".

„მოგონებების საქექად არცთუ მოხერხებული დრო იყო შერჩეული; ვეცადე საუბარი სხვა რამეზე გადამეტანა; ის კი მოუსვენარი ჟინიანობით, ისევ იმავეს უბრუნდებოდა, ისევ და ისევ; მერე, მოულოდნელად, თითქოს ეშინია, არ ეწყინოსო, მკითხა, სტრუვილუ კიდევ გახსოვსო?

„სტრუვილუ თავისუფალ პანსიონრად ითვლებოდა და ლორას მშობლებს ბევრ საზრუნავს უჩენდა. რაღაც გაკვეთილებს კი ესწრებოდა, მაგრამ, როცა ჰკითხავდნენ რომელსო ან რომელ გამოცდას ამზადებო, ის დაუდევრად პასუხობდა:

„— სხვადასხვას".

„პირველ ხანებში ყველა ცდილობდა ხუმრობად ჩაეთვალა მისი კადნიერი ქცევები; უთვლიდნენ კიდეც და თვითონაც ხმამაღლა იცინოდა თავის ხუმრობებზე, მაგრამ ეს სიცილი უფრო და უფრო სარკასტული ხდებოდა, მისი თავხედობა — აგრესიული. ვერაფრით გავიგე, რატომ

ითმენდა პასტორი ასეთ პანსიონერს; ვფიქრობდი, ალბათ, ფინანსური მოსაზრებების გამო ან სტრუვილუსადმი შემორჩენილი სიბრალულის გამოც, ანდა, იქნებ, ოდნავი იმედიც ჰქონდა, დაარწმუნებდა და თავის ჭკუაზე მოაქცევდა. ვერც ის გავიგე, სტრუვილუ, რომელსაც შეეძლო სადაც უნდოდა იქ ეცხოვრა, პანსიონიდან რატომ არ მიდიოდა; არც ის ეტყობოდა, რომ სატრფიალო მიდრეკილებები აჩერებდა აქ; იქნებ, მოხუც პასტორთან შეხლა-შემოხლა დიდ სიამოვნებას ანიჭებდა, რომელიც ცუდად იცავდა თავს და თავის მოწინააღმდეგეს მუდამ პირველობას უთმობდა.

„— გახსოვთ, ერთხელ მამაჩემს ჰკითხა, ქადაგების დროს ანაფორის ქვეშ პიჯაკი გაცვიათ თუ არაო?

„— როგორ არა! ისე ალერსიანად ჰკითხა, საცოდავმა მამათქვენმა მის სიტყვებში ვერაგული ჩანაფიქრი ვერ შეამჩნია. სადილად ვისხედით; ახლაც, თვალწინ მიდგას ის სცენა...

„— მამაჩემმაც გულუბრყვილოდ უპასუხა: ანაფორა თხელი ნაჭრისგან არის შეკერილი და პიჯაკი რომ გავიხადო, გაციებისა მეშინიაო.

„— რა მწუხარე სახე მიიღო მაშინ სტრუვილუმ! რამდენი გვახვეწნინა ბოლოს რომ ეთქვა: „ცხადია, ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს", მაგრამ, მაინც, როცა მამათქვენი ხელებს ფართოდ შლის, ანაფორიდან პიჯაკის სახელოები მოუჩანს და ზოგიერთ მორწმუნეზე უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენსო.

„— ამის შემდეგ, როცა მამაჩემმა ქადაგება წარმოთქვა, გულხელდაჭდობილი გაუნძრევდად იდგა და მთელი მისი მეჭვრმეტყველებაც ნყალში ჩაიყარა.

„— შემდეგ კვირას სახლში გაციებული დაბრუნდა, რადგან წირვაზე პიჯაკი გაეხადა. ან ის კამათი რაღა იყო, უნაყოფო ლეღვის ხეზე ბიბლიიდან და საერთოდ უნაყოფო ხეებზე... „მე არა ვარ ნაყოფის მომცემი ხე. ჩრდილს კი ვიძლევი, ბატონო პასტორო და თქვენ დაგჩრდილავთ".

„— ესეც სადილობისას თქვა.

„— ბუნებრივია. მხოლოდ სადილობისას თუ შეიძლებოდა მისი ნახვა.

„— თანაც ისეთი გაბოროტებით თქვა. ზუსტად მაშინ გააბრძანა პაპაჩემმა გარეთ. გახსოვთ, როგორ წამოდგა უცებ, ის ხომ, ჩვეულებრივ, თეფშში ცხვირჩარგული იჯდა ხოლმე. ადგა, ხელი გაიშვირა და თქვა: „გაეთრიეთ!"

„— უზარმაზარი და საშინელი ჩანდა; საშინლად იყო აღშფოთებული. დარწმუნებული ვარ სტრუვილუს შეეშინდა.

„— ხელსაწმენდი მაგიდაზე დააგდო და სასადილო ოთახიდან გავარდა. ისე წავიდა, ფული არ გადაუხდია და მას შემდეგ აღარც გვინახავს.

„— საინტერესოა, როგორ ააწყო ცხოვრება.

„— საცოდავი პაპა, — გააგრძელა ლორამ ნაღვლიანი ხმით, — იმ დღეს ისეთი ლამაზი მეჩვენა. იცით, ძალიან უყვარხართ. ერთი წუთით მაინც უნდა ახვიდეთ მის კაბინეტში. დარწმუნებული ვარ, დიდ სიამოვნებას მიანიჭებთ“.

„ყველაფერს მაშინვე ვიწერ, გამოცდილებით ვიცი, მერე რა ძნელია დიალოგების ზუსტი აღდგენა. ოღონდ, აი, ამ მომენტიდან, ლორას უფრო დაბნეულად ვუსმენდი. როცა ლორას მამამისის კაბინეტში შევყავდი, ჩემგან შორს ოლივიე დავლანდე, რომელიც მაშინვე თვალიდან დამეკარგა. ოლივიეს თვალები უბრწყინავდა, სახის ნაკვთები უჩვეულოდ გამოცოცხლებოდა. მოგვიანებით გავიგე, თურმე სარამ ხუმრობით ზედიზედ ექვსი ბოკალი შამპანურის დალევა აიძულა. ოლივიეს არმანი ახლდა, და ორივე შეჯგუფულ ხალხს შორის გზას მიიკვლევდა, სარასა და მის თანატოლ, ერთ ინგლისელ გოგონას მისდევდნენ, რომელიც წელზე მეტია აზიისების პანსიონში ცხოვრობდა. სარამ და მისმა მეგობარმა, როგორც იქნა ოთახს თავი დააღწიეს და ღია კარში დავინახე, როგორ ავარდნენ ჭაბუკები კიბეზე, რათა გოგოებს დასნეოდნენ. მეც გასვლას ვაპირებდი უკვე, ლორას დავალება რომ შემესრულებინა, მაგრამ მან ჩემსკენ ნაბიჯი გადმოდგა და მითხრა:

„— მისმინეთ, ედუარდ, რაღაც მინდოდა მეთქვა კიდევ... — ხმა ძალიან სერიოზული გაუხდა, — ალბათ, დიდხანს ვეღარ ვნახავთ ერთმანეთს... მინდა ვიცოდე, შეიძლება თქვენი იმედი კიდევ ვიქონიო... როგორც მეგობრისა“.

„მისი კოცნის ასეთი მძაფრი სურვილი არასოდეს გამჩენია, მაგრამ იმით დავკმაყოფილდი, რომ ხელზე ნაზად და მგზნებარედ ვაკოცე, თან ჩავიბუტბუტე:

„— რაც უნდა მოხდეს. — და მისგან ცრემლი რომ დამემალა, რომელიც ვიგრძენი თვალზე როგორ დამეკიდა, ოლივიეს საძებრად წასვლა ვიჩქარე.

„ის კიბის საფეხურზე იჯდა არმანთან ერთად და ჩემს გამოჩენას ელოდა. ეჭვი არ არის, ოდნავ მთვრალი იყო; ადგა და მკლავზე მომქაჩა.

„— წამოდით, — მითხრა, — სარას ოთახში თითო სიგარეტი გავაბოლოთ. სარა გველოდება.

„— მოგვიანებით. ჯერ აზაისი უნდა მოვინახულო. ოღონდ, მერე იმ ოთახს ვერაფრით მოვაგნებ ალბათ.

„— ღმერთო ჩემო, კარგად იცით, სადაც არის. ადრე ლორას ოთახი იყო. — წამოიყვირა არმანმა. — მთელ სახლში ყველაზე კარგი ოთახია და იმ ინგლისელ გოგონას მისცეს, მაგრამ, რადგან ის ცოტას იხდის, სარა შეუსახლეს. სხვათა დასანახად ორი საწოლიც დადგეს, მაგრამ სრულიად ზედმეტი კია...

„— მაგას ყურს ნუ დაუგდებთ, — მითხრა ოლივიემ და სიცილ-სიცილით უბიძგა არმანს. — მთვრალია.

„— ჩემთან ვილაპარაკოთ, — უპასუხა არმანმა. — მოხვალთ, ხომ? გელოდებით". — დაუმატა.

„დავპირდი, შემოგიერთდებით-მეთქი.

„მას შემდეგ, რაც მოხუცმა აზაისმა თმის მოკლედ შეჭრა დაიწყო, სულაც აღარა ჰგავდა უიტმენს. სიძესა და მის ოჯახს სახლის მეორე და მესამე სართულები დაუთმო. თავისი კაბინეტის (წითელი ხე, რეპსი და მოლესკინი) ფანჯრიდან მთელ ეზოს ხედავდა და მონაფეთა მოძრაობას თვალს ადევნებდა.

„— ხედავთ, როგორ მანებივრებენ", — მითხრა და მაგიდაზე მდგარი ქრიზანთემების უზარმაზარი თაიგული მაჩვენა, რომელიც ერთი მონაფის დედას, ოჯახის ძველ მეგობარს მოეტანა. ამ ოთახში თვით ჰაერიც კი ასკეტური იყო, და ასე მეგონა, ყვავილები საცაა დაჭკნებოდა: „ — მხოლოდ ერთი წუთით მივატოვე საზოგადოება. ვბერდები და ხმაური მღლის. ეს ყვავილები კომპანიონობას მიწევენ. ამათაც ხომ თავისებურად იციან ლაპარაკი; უფლის სადიდებელს უკეთესად ჰყვებიან, ვიდრე ადამიანები" (ანდა სხვა ამგვარ რამეს).

„ამ ღირსეულ ადამიანს წარმოდგენაც არ აქვს, ამგვარი ლაპარაკით როგორ აბეზრებს თავს მონაფეებს; ის კი ისეთი გულწრფელობით ლაპარაკობს, ირონიის სურვილიც კი უქრება კაცს. ყველაზე ძალიან ისეთი უბრალო სულის ადამიანების გაგება მიჭირს, როგორიც აზაისია. და თუ შენ მათზე ოდნავ ნაკლები მიამიტი ხარ, მათთან შეხვედრისას კომედიის თამაშის გარდა, სხვა გზა არ გრჩება; ცხადია, ეს არც მაინცადამაინც კეთილშობილური საქციელია, მაგრამ რა უნდა ქნა? მათთან კამათი, გამოსავლის ერთად ძიება, შეუძლებელია; მუდამ დათმობაზე

ნასვლა გინევს. აზაისი ყველას, ვინც მის მრწამსს არ იზიარებს, აიძულებს ითვალთმაქცოს. ადრე, მის ოჯახთან ურთიერთობის დასაწყისში, აღშფოთებული ვიყავი, როცა ვხედავდი შვილიშვილები როგორ ატყუებდნენ. მერე და მერე მეც მათ მივბაძე.

„პასტორი პროსპერ ვედელი მეტისმეტად დაკავებული კაცია, ქალბატონი ვედელი კი ცოტა მოსულელო ქალი, პოეტურ-რელიგიურ ხილვებშია ჩაფლული და ყოველგვარი რეალობის გრძნობასაა მოკლებული; ამიტომ, მოხუცმა ახალგაზრდების აღზრდა და განათლება თავის ხელში აიღო. იმ დროს, როცა მათთან პანსიონში ვცხოვრობდი, თვეში ერთხელ, რეგულარულად, ურთიერთობების გარკვევის მძაფრი სცენების მონმე ვიყავი, რომელიც პათეტიკური განცხადებებით მთავრდებოდა:

„— ამიერიდან, ჩვენ ერთმანეთს ყველაფერს ვეტყვით. გულახდილობისა და გულწრფელობის ახალ ერაში შევდივართ (ერთბაშად ერთი და იგივე მნიშვნელობის რამდენიმე სიტყვას ნარმოთქვამს, — ძველი ჩვეულება, რომელიც პასტორად ყოფნის დროიდან შემორჩა). უარს ვიტყვით ფარულ აზრებზე, სადღაც გონების გარეთ აღმოცენებულ საძაგელ აზრებზე და შევძლებთ ერთმანეთის პირდაპირ სახეში, თვალებში ყურება. ასეა, ხომ? შევთანხმდით“.

„ამის შემდეგ, იგი უფრო ღრმად ეფლობოდა თავის გულუბრყვილობაში, მისი შვილები კი სიცრუეში.

„ეს გამოსვლები, ძირითადად, ლორას ერთ-ერთ ძმას ეხებოდა, რომელიც ერთი წლით უმცროსი იყო დაზე, სასიცოცხლო ძალების სიჭარბით იტანჯებოდა და სიყვარულისთვის გემოც გაესინჯა (მერე, სადღაც კოლონიაში კომერციული საქმე წამოინყო და თვალიდან დავკარგე). ერთ საღამოს, როცა მოხუცმა თავისი ტირადა ისევ გაიმეორა, მასთან კაბინეტში შევედი და ვეცადე ამეხსნა, რომ ის გულნრფელობა, რომელსაც შვილიშვილისგან მოითხოვდა, მასში უკუქმედებას იწვევდა და გულწრფელობისგან უფრო აშორებდა. მაშინ, აზაისი, ცოტას დარჩა, არ აფეთქდა:

„— მისგან მხოლოდ ერთს ითხოვენ, არაფერი გააკეთოს ისეთი, რისი აღიარებაც შერცხვება“, — ისეთი ტონით დაიყვირა, შეკამათების უფლებას რომ არ იძლევა.

„ნამდვილად დიდებული ადამიანია; უფრო მეტიც, ზნეობის ნიმუში და როგორც იტყვიან, ოქროს გულია; მაგრამ, აი, მსჯელობები ბავშვური აქვს. მისი ჩემდამი დიდი პატივისცემა დაფუძნებულია იმაზე,

როგორც თვითონ ამბობდა, რომ საყვარლები არ მყავს. ჩემთან არ დაფარა, რომ ამჯობინებდა ლორაზე მე დავქორწინებულიყავი; ეჭვიც გამოთქვა, დუვიე იქნება კი ის ქმარი, რომელიც ლორას სჭირდებაო, და რამდენჯერმე გაიმეორა: „მაოცებს მისი არჩევანი", მერე დაუმატა: „დიახ, მჯერა, პატიოსანი ახალგაზრდაა... თქვენ რას ფიქრობთ?..". რაზეც ვუპასუხე:

„— ეჭვი არ მეპარება".

„იმისდა მიხედვით, სული როგორ ეფლობა ღვთისმოშიშობაში, იგი კარგავს რეალობის შეგრძნებას, მის მოთხოვნილებას, რეალობის სიყვარულს და მისკენ მიდრეკილებას. იგივე შევამჩნიე ვედელსაც ჩვენი ხანმოკლე, იშვიათი შეხვედრებისას. თავიანთი რწმენით დაბრმავებულნი უკვე ველარ ხედავენ გარემომცველ სამყაროს და ვერც საკუთარ თავს. და რადგან ჩემთვის იმ შესაძლებლობაზე ძვირფასი არაფერია, ნათლად დავინახო ერთიცა და მეორეც, ამიტომ თავზარდაცემული ვარ, როცა სიცრუის სქელ კედელს ვეჯახები, ასე რომ სიამოვნებთ ღვთისმოსავთ.

„მინდოდა აზაისთან ოლივიეზე მელაპარაკა, მაგრამ მას ჟორჟი უფრო აინტერესებდა:

„ — ისეთ სახეს ნუ მიიღებთ, თითქოს თქვენთვის უკვე ცნობილია ის, რასაც ახლა გეტყვით, — დაიწყო მან, — თუმცა, პატივისცემას კი იმსახურებს... წარმოიდგინეთ, თქვენმა ჭაბუკმა დისშვილმა და ზოგიერთმა მისმა მეგობარმა პატარა საზოგადოების მსგავსი რაღაც შექმნეს, ურთიერთშეჯიბრების ლიგა; მასში ნევრად მხოლოდ იმას იღებენ, ვინც, მათი აზრით, ღირსია და საქმით დაამტკიცა თავისი სათნოება; ბავშვთა საპატიო ლეგიონის მსგავსი რაღაცაა. ხომ კარგია; თქვენ როგორ გგონიათ? თითოეული საღილეში პატარა ბაფთას ატარებს; მართალია, თვალში მოსახვედრი არ არის, მაგრამ მე მაინც შევამჩნიე. როცა ბიჭი კაბინეტში მოვიწვიე და ვკითხე, ეგ რა ნიშანია, ჯერ დაიბნა, ალბათ, საყვედურებს ელოდა. მერე, ძალიან გაწითლებულმა და აღელვებულმა მიამბო, როგორ შექმნეს თავიანთი პატარა კლუბი. ხომ გესმით, ეს ისეთი საკითხი გახლავთ, რაზეც სიცილი უნდა შევიკავოთ, თორემ შეიძლება ძალიან დელიკატური გრძნობები შეურაცხყოთ... ვკითხე, შენ და შენი მეგობრები ამას ღიად, ყველას დასანახად რატომ არ აკეთებთ. ისიც ვუთხარი, რა საოცარი და ძლიერი მაგალითი შეიძლებოდა ყოფილიყვნენ სხვებისთვის, რამდენი ადამიანი შეიძლებოდა დამდგარიყო ჭეშმარიტების გზაზე, რა მშვენიერი როლის შესრულე-

ბა შეეძლოთ... მაგრამ ამ ასაკში ხომ საიდუმლოებები უყვართ... მისი ნდობა რომ მომეპოვებინა, ვუამბე, ჩემს დროს, მისივე ასაკისა, მეც მსგავს საზოგადოებაში ვიყავი, რომლის ყოველი წევრიც „მოვალეობის რაინდის" მშვენიერ სახელს ატარებდა; ყოველი ჩვენგანი ლიგის პრეზიდენტისგან რვეულს იღებდა, რომელშიც ვწერდით, აბსოლუტურად გულწრფელად, ჩვენს ნაკლოვანებებზე და დაუდევრობებზე. მან გაიღიმა, და მიეხვდი, რვეულების ამბავმა რაღაც იდეა მისცა; აღარ დავაძალე, მაგრამ არ გამიკვირდება, თუ ამ სისტემას თავის ლიგაშიც დანერგავს. იცით, ბავშვებთან ურთიერთობებისას მიდგომის საშუალება უნდა გამოინახოს, ამისთვის კი მნიშვნელოვანია აჩვენო, რომ მათი გესმით. აღვუთქვი, მშობლებთან სიტყვა არ დამცდება-მეთქი, მაგრამ იმავე დროს ვეცადე დამერწმუნებინა, დედისთვის თვითონვე ეთქვა და ამით ძალიან გაახარებდა. მაგრამ, ეტყობა, ერთმანეთს შეჰფიცეს ყველაფერი საიდუმლოდ შეენახათ. ასე რომ, დაძალება გონივრული აღარ იქნებოდა. ვიდრე ერთმანეთს დავშორდებოდით, ერთად ვილოცეთ, უფალს შევთხოვეთ დაელოცა მათი საზოგადოება.

„საცოდავი და საყვარელი მოხუცი აზაისი! დარწმუნებული ვარ, ამ პატარა ეშმაკმა გააცურა და მართალი ერთი სიტყვაც არ უთხრა. აბა, ჟორჟს, განა სხვანაირად მოქცევა შეეძლო?.. უნდა ვცადო და გავარკვიო, სინამდვილეში რა ხდება.

„ლორას ოთახი ჯერ ვერ ვიცანი; ახალი შპალერი გაეკრათ; ყველაფერი შეცვლილიყო. სარაც ძნელი საცნობი მეჩვენა. მეგონა, კარგად ვიცნობდი. ჩემთან მუდამ გულგახსნილი იყო. მისთვის ყოველთვის ის ადამიანი ვიყავი, ვისაც შეიძლება გაანდო ყველაფერი. მაგრამ ვედელებთან ჩემი ბოლო სტუმრობის შემდეგ ბევრი თვე გავიდა. კაბა კისერსა და მკლავებს უშიშვლებდა. გაზრდილი და საკუთარ თავში დარწმუნებული ჩანდა. ის ოლივიესთან იჯდა ერთ საწოლზე. ოლივიე დაუდევრად გადაწოლილიყო და მძინარეს ჰგავდა. ცხადია, მთვრალი იყო, და ცხადია, გულიც მეტკინა, ასეთ მდგომარეობაში რომ ვნახე, და მაინც, ამ წუთში უფრო ლამაზი მეჩვენა, ვიდრე სხვა დროს. მთვრალი კი, ცოტად თუ ბევრად, ოთხივე იყო. პატარა ინგლისელი თავშეუკავებლად იცინოდა არმანის აბდაუბდა ლაპარაკზე; ისეთი მკვეთრი ხმით იცინოდა, ყურები მეტკინა. არმანი კი იმას ამბობდა, რაც ენაზე მოადგებოდა, ამ სიცილით აღგზნებულსა და ნასიამოვნებს, ამ სიცილსვე ექიშპებოდა სისულელეებითა და უხეშობით; თავს აჩვენებდა, ვითომ,

სარასა და ოლივიეს წითლად აალებულ ლოყებზე სიგარეტის მოკიდება მინდაო, ანდა ისეთ სახეს იღებდა, ვითომ თითები დავიწვიო, როცა თავხედური ჟესტით ცდილობდა მათი შუბლები ერთმანეთთან მიეტანა. ოლივიე და სარა სიამოვნებით მონაწილეობდნენ ამ თამაშში; ჩემთვის ამის ყურება მეტისმეტად მძიმე იყო. მაგრამ, მგონი, წინ გავრბივარ...

„ოლივიე ისევ თვალთმაქცობდა მძინავსო, როცა არმანმა უცბად მკითხა, რას ფიქრობ დუვიეზეო. დაბალ სავარძელში ვიჯექი; მათი სიმთვრალეცა და მოურიდებლობაც ერთდროულად მართობდა, მაღიზიანებდა და მაღელვებდა; თუმცა, მხიბლავდა, თავიანთ კომპანიაში რომ მიმიწვიეს, მაშინ, როცა ჩემი მათთან ყოფნა სრულიად უადგილო შეიძლებოდა გამოჩენილიყო.

„— აი, ამ ქალბატონებს, აქ რომ ბრძანდებიან...". — გააგრძელა, როცა მიხვდა, სიტყვა ვერ ვიპოვე საპასუხო, და საერთო ტონალობიდან რომ არ ამოვვარდნილიყავი, გულკეთილად გავიღიმე. ამ დროს, ინგლისელმა ლაპარაკში ხელის შეშლა მოინდომა, არმანს მივარდა პირზე ხელის დასაფარებლად, მაგრამ ბიჭმა თავი აარიდა და დაიყვირა: „ — ამ ქალბატონებს იმის გაფიქრებაც კი აშფოთებთ, რომ ლორას მასთან დანოლა მოუწევს".

„ინგლისელმა გოგონამ თავი დაანება და მოჩვენებითი სიანჩხლით თქვა:

„— ოო, არ დაუჯეროთ. ცრუპენტელაა.

„— ვეცადე ამათთვის ამეხსნა, — განაგრძო არმანმა უფრო მშვიდი ხმით, — რომ მხოლოდ ოცი ათასი ფრანკი მზითვის ამარას, უკეთესის პოვნის იმედი არ უნდა ჰქონდეს კაცს, და რომ, როგორც ჭეშმარიტმა ქრისტიანმა, როგორც მამაჩვენი პასტორი იტყოდა, ძირითადად სულიერი თვისებები უნდა მიიღო მხედველობაში. დიახ, შვილნო ჩემნო. თანაც, აბა, რა დაემართებოდა ადამიანთა მოდგმის გაგრძელებას, თუ უქორწინობით დაისჯებოდა ყველა ის მამაკაცი, რომელსაც ადონისის[1] გარეგნობა არ აქვს... ანდა, უფრო გვიან ეპოქაში თუ გადმოვალთ, ოლივიესი.

„— რა იდიოტია! — ჩაიჩურჩულა სარამ. — ნუ უსმენთ. უკვე აღარ იცის, რას ამბობს.

---

1. უმშვენიერესი ყმაწვილი. მოკვდავი და კვლავ გაცოცხლებული ბუნების განსახიერება. (მით.)

„— სიმართლეს ვამბობ“.

„არასოდეს გამიგია, არმანს ასე ელაპარაკოს; მუდამ მიმაჩნდა და ახლაც გულისხმიერ და თავაზიან ახალგაზრდად მიმაჩნია; მისი ვულგარული ლაპარაკი ნაძალადევი მეჩვენა, ნანილობრივ სიმთვრალით გამოწვეულიც, უფრო კი ამ ინგლისელი გოგონას გამხიარულება უნდოდა. ეს ინგლისელი გოგო კი, ვერაფერს იტყვი, მშვენიერი გარეგნობისა იყო, ჭკუა—გონებით კი, ეტყობა, მაინცადამაინც არ ბრნყინავდა, თორემ, აბა, როგორ მოეწონებოდა ეს უადგილო უწმანურობა; მაგრამ, აი, ოლივიე რითი მიიზიდა ამ კომპანიამ?.. საკუთარ თავს მაშინვე ვუთხარი, როგორც კი მარტო დავრჩებოდით, არ დავუმალავდი ჩემს უკმაყოფილებას.

„ — აი, თქვენ, — განაგრძო არმანმა და უცბად ჩემსკენ შემობრუნდა, — თქვენ, რომელიც ფულს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებთ; იმდენი გაქვთ, ყველაფერზე გეყოფათ რომ გადაიხადოთ, თვით კეთილშობილური გრძნობების ჩათვლითაც. გვითხარით, რატომ არ შეირთეთ ლორა? თანაც თითქოს გიყვარდათ კიდეც; არც ის ფარავდა თქვენდამი თავის ნაზ გრძნობებს“.

„ოლივიემ, რომელიც ამ წუთამდე თავს იმძინარებდა, თვალი გაახილა; ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა; და მხოლოდ იმიტომ არ გავნითლდი, რომ არც ერთი აქ მყოფი იმ მდგომარეობაში არ იყო, ეს შეემჩნია.

„— არმან, აუტანელი ხარ“, — თქვა სარამ, თითქოს ამ მძიმე მდგომარეობიდან ჩემი გამოყვანა უნდაო; და მართლაც, საპასუხოდ ვერაფერი მოვიფიქრე. მერე იმავე სანოლზე, რომელზეც იჯდა, მიწვა, ოლივიეს გვერდით გაიშოტა ისე, მათი თავები ერთმანეთს შეეხო. არმანი წამოხტა, სანოლის ბოლოს, კედელთან მიხვეტილ დიდ შირმას ხელი სტაცა, ლაზღანდარობით იმგვარად გახსნა, რომ სანოლზე მიწოლილი წყვილი დაეფარა, მერე ჩემსკენ გადმოიხარა, კლოუნადა კვლავ გააგრძელა და ხმამაღლა მითხრა:

„— ალბათ, არც კი იცოდით, რომ ჩემი და ბოზი და ქუჩის ქალია“.

„ეს უკვე მეტისმეტი იყო. ავდექი, შირმას ხელი ვკარი, რომლის უკანაც ოლივიე და სარა მაშინვე წამოჯდნენ. სარას თმა ჩამოშლოდა. ოლივიე ადგა, პირსაბანთან მივიდა და სახე დაისველა.

„— აქეთ მობრძანდით, რაღაცა მინდა გაჩვენოთ“, — მითხრა სარამ და ხელი მომკიდა.

„კარი გამოაღო და კიბის ბაქანზე გამიყვანა.

„—ვიფიქრე, იქნებ მწერლისთვის საინტერესო იყოს-მეთქი. ეს უბის წიგნაკი შემთხვევით ჩამივარდა ხელში; მამაჩემის პირადი დღიურია. ვერ გამიგია, ასეთი რამე როგორ უნდა დატოვო სადაც მოგხვდება. ამისი წაკითხვა ყველას შეეძლო. ავიღე, არმანს რომ არ მოხვედროდა თვალში. არაფერი უთხრათ. ცოტა დროს წაგართმევთ; ათ ნუთში გადაიკითხავთ, წასვლისას კი დამიბრუნეთ.

„— მაგრამ სარა, ეს ხომ ფრიად არაეთიკურია“. — ვუთხარი და დაკვირვებით შევავლე თვალი.

„მან მხრები აიჩეჩა.

„— ოო! თუ ასე გგონიათ, იმედის გაცრუება მოგინევთ. აქ ერთი საინტერესო ადგილია... აი,ახლავე გაჩვენებთ“.

„კოფთის ქვეშიდან პაწანინა უბის წიგნაკი გამოიღო, ოთხი წლის წინანდელი, უცბად გადაფურცლა, გამომიწოდა და თითით ერთი ადგილი მანიშნა.

„— ჩქარა წაიკითხეთ“.

„ზევით ჯერ თარიღი დავინახე, მის ქვეშ ბრჭყალებში ციტატა ეწერა სახარებიდან:

„ერთგული მცირედში, დიდშიც ერთგული იქნება“. მერე: „განუწყვეტლივ მეორე დღისთვის რატომ გადამაქვს გადაწყვეტილება, რომ აღარ მოვწიო? თუნდაც, მელანის (პასტორის მეუღლე) გულისთვის უნდა გავაკეთო, რომ აღარ იდარდოს. უფალო, ძალა მომეცი ეს სამარცხვინო მონობის უღელი მოვიშორო“ (მგონი, ზუსტად გადმოვეცი ციტატა). — მერე მოსდევდა ჩანაწერები მეტოქეობაზე, ხვეწნა-მუდარაზე, შელოცვებზე, ძალისხმევაზე, — რასაკვირველია, ამაო, რადგან ეს ყველაფერი ყოველდღე მეორდებოდა. კიდევ ერთი გვერდი გადავშალე, და თემა უცბად შეიცვალა.

„— ძალიან გულშემძვრელია, არა?“ — თქვა სარამ ოდნავ შესამჩნევი უკმაყოფილო ირონიით, როცა კითხვა დავამთავრე.

„— უფრო საინტერესოა, ვიდრე თქვენ გგონიათ, — თავი ვერ შევიკავე და ვუთხარი, თუმცა მაშინვე ვინანე, ამ საკითხზე რომ წამოვიწყე მასთან საუბარი. — წარმოიდგინეთ, სულ რაღაც ათი დღის წინ, მამათქვენს ეკითხე, მოწევის მიტოვება როდესმე გიცდიათ? მაშინ აღმოვაჩინე, რომ თავადაც ბევრს ვეწეოდი. და აი,.. იცით, რა მიპასუხა? ჯერ ის მითხრა, რომ თამბაქოს მავნეობის ეფექტი, მისი აზრით, მეტისმეტად გადაჭარბებულია და ეს ვნება თავად არასოდეს უგრძვნია, მერე, როცა კითხვა გავუმეორე, მითხრა: „ — დიახ, ორჯერ თუ

სამჯერ გადავწყვიტე, ერთხანს აღარ მომეწია". „ — შეძელით?" „ — ბუნებრივია". — ისე მიპასუხა, თითქოს ეს ასეც უნდა ყოფილიყო: „ — მე ხომ ეს გადავწყვიტე".

„— გასაოცარია! შეიძლება დაავიწყდა კიდეც, — დავუმატე, არ მსურდა სარას მის თვალთმაქცობაზე ჩემი ეჭვი ეგრძნო.

„— შეიძლება ვივარაუდოთ, — თქვა სარამ, — რომ სიტყვა „მონევა" აქ სხვა რაღაცის მაგივრად იხმარა".

„მართლა სარამ თქვა ეს? განცვიფრებული ვიყავი. ვუყურებდი გოგონას და ვცდილობდი მისთვის გამეგო... ამ დროს, ოთახიდან ოლივიე გამოვიდა. დაეევარცხნა, ტანსაცმელი წესრიგში მოეყვანა და უფრო დამშვიდებული ჩანდა.

„— იქნებ, წავიდეთ? — თქვა უცერემონიოდ; სარასთან უზრდელად გამოჩენის, არც კი შეშინებია. — უკვე გვიანია".

„კიბეზე ჩავედით და, როცა ქუჩაში გავედით:

„— ვშიშობ, ვაითუ არასწორი წარმოდგენა შეგექმნათ, — მითხრა მან, — შეიძლება იფიქროთ, რომ სარა მიყვარს. არა. ოო! არა. არც მეზიზღება!.. მაგრამ არ მიყვარს".

„მკლავზე ხელი მოვკიდე და უსიტყვოდ მოვუჭირე.

„— არმანსაც იმის მიხედვით ნუ განსჯით, რაზეც დღეს ლაპარაკობდა, — გააგრძელა მან. — ეს მისთვის რაღაცა როლის მსგავსია... რომელსაც თავისუნებურად თამაშობს. სინამდვილეში, ასეთი არ არის... მეძნელება, აგიხსნათ. ასეთი მოთხოვნილება აქვს, დაამხოს ყველაფერი, რაც მისთვის ძვირფასია. ცოტა ხნის წინ იქცა ასეთად. ასე მგონია, ძალიან უბედურია, და ეს რომ დაფაროს, ლაზღანდარობს. ძალიან ამაყია. მშობლებს, საერთოდ, არ ესმით მისი. მათ უნდათ, რომ მისგან პასტორი გამოიყვანონ".

„ეპიგრაფი „ყალბი ფულის მჭრელების" ერთი თავისთვის:
„ოჯახი... სოციალური საკანია".
**პოლ ბურჟე** (სხვადასხვა ადგილას).
თავის სახელწოდება: **ტუსაღის რეჟიმი.**

„ცხადია, ისეთი სატუსაღო (ინტელექტუალური) არ არსებობს, საიდანაც ვერ შეძლოს და ვერ გამოაღწიოს მძლავრმა ინტელექტმა; და იმაში, რაც ამბოხს ინვევს, არაფერია უსათუო საფრთხე — თუმცა, ამბოხებამ შეიძლება ხასიათი დაამახინჯოს (იგი მას ძალას ართმევს,

ტანჯავს, აშფოთებს, ყალყზე აყენებს და საძრახი ხრიკებისკენ უბიძგებს), მით უმეტეს ბავშვის, ოჯახის გავლენის დამორჩილებაზე უარს რომ ამბობს, რომელიც ამ გავლენისგან გათავისუფლებისთვის თავისი ძალების ყველაზე ნორჩ გამოვლინებებს ფლანგავს; მაგრამ ასეთი აღზრდა, იმავდროულად ახალი ძალების მოკრებაში ეხმარება. განსაკუთრებით სავალალო შედეგი მოდის განებივრებულ ბავშვთა წილად. ხომ ძლიერი ხასიათია, რომ შეგეზიზღოს ის, ვინც გეფერება. რამდენი მშობელი მინახავს (განსაკუთრებით დედები) შვილებს რომ აგულიანებს, ყოვლად უაზრო, სულელურ შიშსა და ანტიპათიებს უვითარებს, საკუთარ გაუგებრობებს, თავგზააბნევასა და ცრურწმენებს გადასცემს... მაგალითად, მაგიდასთან: „ამას ნუ ჭამ, ხომ ხედავ, სულ ქონია. ტყავი გააძრე. კარგად შემწვარი არ არის...". ან საღამოთი, ქუჩაში: „ოო! ღამურა... ქუდი დაიხურე, ჩქარა! თორემ თმაში ჩაგაფრინდება". და სხვა. იმათ რომ დავუჯეროთ, მაისის ხოჭოები იკბინებიან, ჭრიჭინა ინესტრება, ხოლო ჭიაყელები მუწუკებს აჩენს. თანაც ერთი და იგივე სისულელეა ყველა სფეროში: ინტელექტუალურშიც და ზნეობრივშიც, ყველგან.

„გუშინწინ, მატარებელში, რომლითაც ოტეიდან მოვდიოდი, შემომესმა, ახალგაზრდა დედა ყურში რა ალერსიანად ეჩურჩულებოდა ათიოდე წლის გოგონას:

„— შენ და მე, მე და შენ, დანარჩენებისთვის კი მიგვიფურთხებია".

„(ოო, დიახ, მშვენივრად ვხვდები, რომ ისინი უბრალო ხალხის წრიდან იყვნენ, მაგრამ იმ ხალხსაც ხომ აქვს უფლება ჩვენი გულისნყრომა დაიმსახუროს. ქმარი, იქნებ, რქოსანი სულაც არ იყო, ვაგონის კუთხეში მიმჯდარი, აუღელვებლად, მშვიდად კითხულობდა გაზეთს.)

„განა ამაზე დიდი დაუნდობელი საწამლავის წარმოდგენა კიდევ შეიძლება?

„მომავალი „უკანონოდ დაბადებულთ" ეკუთვნის. რას ნიშნავს ეს სიტყვები, ალბათ, ჯობია „ბუნებრივად დაბადებული" შვილი ვიხმაროთ, რადგან მხოლოდ მას აქვს უფლება ბუნებრიობაზე.

„ოჯახური ეგოიზმი... ისეთივე საძაგლობაა, როგორც ინდივიდუალური ეგოიზმი".

6 ნოემბერი

„ვერასოდეს ვერაფრის გამოგონება ვერ მოვახერხე. სამაგიეროდ, სინამდვილეს ისე ვექცევი, როგორც მხატვარი თავის მოდელს, რომელსაც ეუბნება: „ასეთი მოძრაობა გააკეთე. ახლა, სახის, აი, ასეთი გამომხატველობა მჭირდება“. მოდელებით საზოგადოება მამარაგებს, მე კი მათი ფარული ზამბარები კარგად ვიცი, შემიძლია ისინი ვაიძულო ჩემი სურვილის მიხედვით იმოძრაონ, ანდა რაღაც მიზანი დავუსახო, რომელსაც, გაუბედავად, როგორღაც გადაჭრიან, მე კი მათი მოქმედების წყალობით რაღაც ახალს ვიგებ. ის მტანჯავი მოთხოვნილება, გავლენა მოვახდინო მათ ბედზე, ჩავერიო მომხდარ ამბებში, იმით აიხსნება, რომ მწერალი ვარ. მეტი წარმოსახვის უნარი რომ მქონოდა, ინტრიგები ჩემს ტვინში დაიბადებოდა, ასე კი, ჯერ მათი პროვიცირება, მერე აქტიორებზე დაკვირვება და მათი კარნახით წერა მიხდება.

7 ნოემბერი

„ყველაფერი, რაც გუშინ დავწერე, მართალი არ არის. ეჭვს მხოლოდ ის არ იწვევს, რომ სინამდვილე მაინტერესებს და ისე ვუდგები, როგორც პლასტიკურ მასალას; და მოვლენა, რომელიც შეიძლება მოხდეს, უფრო მეტად მაინტერესებს, ვიდრე, რომელიც უკვე მოხდა. თავბრუ მესხმის იმ შესაძლებლობების ჭვრეტით, თოთოეულ ადამიანში რომ იფარება და მნარედ განვიცდი, როცა ვგრძნობ, მათი ნაწილი, მორალური აკრძალვის საბურავქვეშ, განწირულია დასაღუპად“.

ბერნარმა ცოტა ხნით კითხვა შეწყვიტა. თვალი აუჭრელდა. ჰაერი აღარ ეყო, მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც კითხულობდა, თითქოს სუნთქვა დაავიწყდაო — იმდენად გაუცხოველდა ინტერესი. ფანჯარა გამოაღო და ვიდრე ისევ კითხვაში ჩაიძირებოდა, ფილტვები ჰაერით გაივსო.

ბუნებრივია, ოლივიესადმი მხურვალე მეგობრული გრძნობები ჰქონდა; მასზე უკეთესი მეგობარი არცა ჰყავდა და ამ ქვეყანაზეც მასზე ძლიერ არავინ უყვარდა, ალბათ, იმიტომ, რომ მშობლების სიყვარული არ შეეძლო; დროდადრო, ალბათ, ეს სიყვარული გადაჭარბებულიც იყო; ოღონდ, აი, მას და ოლივიეს მეგობრობა სხვადასხვანაირად ესმოდათ. რაც უფრო უღრმავდებოდა წაკითხულს და ნინ მიინევდა,

ბერნარი სულ უფრო და უფრო გაოცებული რჩებოდა, უფრო იხიბ-ლებოდა, თუმცა ამ ხიბლს ოდნავი ნაღველიც დაჰკრავდა, აღფრთო-ვანებული იყო თავისი მეგობრის მრავალფეროვნებით, რომელსაც, როგორც აქამდე ეგონა, კარგად იცნობდა. დღიურმა მას ის გაანდო, რაც ოლივიეს არასოდეს უთქვამს. არმანისა და სარას არსებობაც ბუნდოვნად იცოდა. რა სხვანაირად იქცეოდა ოლივიე მათთან და სულ სხვანაირად მასთან!.. ნეტავ, იქ, სარას ოთახში, იმ საწოლზე თავისი მეგობარი რომ ენახა, თუ იცნობდა? იმ გადაულახავ ცნობისმოყვარეო-ბას, როგორითაც დღიურს კითხულობდა, ზიზღისა თუ წყენის ბუნდო-ვანი მოუსვენრობაც შეერია. რაღაც წყენის მსგავსი მაშინაც გაუჩნდა, როცა ედუარდთან ხელიხელგაყრილი მომავლი ოლივიე დაინახა; წყენა იმისა, რომ მათთან არ იყო. ამგვარმა წყენამ, თუმცა, ყოველგვარმა წყე-ნამაც, შეიძლება ადამიანს შორსაც შეატოპინოს და ბევრი სისულელეც ჩაადენინოს.

კმარა. ყველაფერს, რაც უკვე ვთქვი, მხოლოდ ის მიზანი ჰქონდა, რომ ამ დღიურის გვერდების კითხვის შუალედში, ცოტა ტვინს დაეს-ვენა. ახლა კი, როცა ბერნარმა ჰაერის საკმაოდ გვარიანი ულუფა ჩაი-სუნთქა, ისევ ჩვენს საქმიანობას დავუბრუნდეთ. და აი, ბერნარი ისევ დღიურის კითხვაში ჩაიძირა.

# XIII

მოხუცებისგან ხეირი ცოტაა.

**ვოვენარგი**

## ედუარდის დღიური
(გაგრძელება)

8 ნოემბერი

„მოხუცმა ცოლ-ქმარმა ლა პერუზებმა ისევ გამოიცვალეს ბინა. მათი ახალი საცხოვრებელი, სადაც ჯერ არ ვყოფილვარ, ყრუ შესახვევის ერთ იმ სახლის ანტრესოლზე მდებარეობს, რომელსაც ფობურ--სენტ—ონორეს ქუჩისა და ოსმანის ბულვარის გადაკვეთა ქმნის. დავრეკე. კარი თვითონ ლა პერუზმა გამიღო. პიჯაკი არ ეცვა, სიყვითლე შეპარული თეთრი ჩაჩი ეხურა, კარგად რომ დავაკვირდი, ძველი წინდა შევიცანი (ალბათ, ქალბატონ ლა პერუზისა); გამონასკვული ბოლო, ფუნჯივით ქანაობდა მის ლოყასთან. ხელში ცეცხლსაჩხრეკი ეჭირა; აშკარად ღუმელის საქმეებით იყო დაკავებული და, რადგან ოდნავ შეწუხდა, შეეტყო კიდეც, ვუთხარი:

„— გნებავთ, მოგვიანებით შემოგიაროთ?

„— არა, არა... შემობრძანდით. აი, აქეთ... — და ვიწრო, მოგრძო ოთახისკენ მიბიძგა, რომლის ორი ფანჯარაც ქუჩას გადაჰყურებდა, ზუსტად ქუჩის ფანრის სიმაღლისა. — მოწაფეს ველოდებოდი (ექვსი საათი იყო უკვე), მაგრამ ტელეგრაფით მაცნობა, რომ არ მოვა. ძალიან მიხარია თქვენი ნახვა“.

„საჩხრეკი იქვე, მაგიდაზე დადო, და თითქოს ბოდიშს იხდის თავისი ტანსაცმელის გამოო, თქვა:

„— ქალბატონ დე ლა პერუზის მოახლემ ღუმელი ჩაფერფლილი დაგვიტოვა; ხვალ დილამდე არ მოვა, ამიტომ მისი გამოსუფთავება მე მომიწია...

„— გნებავთ, ანთებაში მოგეხმაროთ?

„— არა, არა... დაისვრებით... მაგრამ თუ ნებას მომცემით, წავალ და პიჯაკს ჩავიცვამ".

„მოკლე, აჩქარებული ნაბიჯებით გავიდა, თითქმის მაშინვე დაბრუნდა, თხელი ალპაგის პიჯაკი ჩაეცვა, ღილებაგლეჯილი, სახელოგახეხილი. ისეთი ნახმარი, მათხოვრისთვის რომ მიგეცათ, ისიც კი სამარცხვინო იყო. დავჯექით.

„— შევიცვალე, ხომ?"

„მინდოდა რაღაც საიმედო მეთქვა, მაგრამ სიტყვა ვერ ვიპოვე, იმდენად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა მისმა ტანჯულმა, დაქანცულმა გამომეტყველებამ, მის ოდესღაც მშვენიერ სახეზე რომ აღბეჭდილიყო. მან გააგრძელა:

„— დიახ, ბოლო დროს, ძალიან მოვბერდი. ზოგჯერ ოდნავ მეხსიერებაც მეკარგება. როცა ბახის რომელიმე ფუგის დაკვრას ვასწავლი, ხანდახან ნოტებში ჩახედვა მიწევს...

„— ბევრი ახალგაზრდა დაკმაყოფილდებოდა იმითაც, რაც კიდევ გახსოვთ".

„მან თავი გააქნია და თქვა:

„— ოო! ნეტავ მხოლოდ მახსოვრობა სუსტდებოდეს. ქუჩაში მივდივარ და მგონია, საკმაოდ სწრაფად დავდივარ, მაგრამ მაინც ყველა მასწრებს.

„— საქმე ისაა, რომ — ვუთხარი, — ახლა ადამიანები ძალიან სწრაფად დადიან.

„— აა! ასეა?.. იგივე ხდება გაკვეთილებზეც: ჩემს მოწაფეებს ჰგონიათ, რომ სწავლაშიც ძალიან ნელა მივიწევთ წინ; სწრაფად უნდათ ყველაფერი, და მტოვებენ... ახლა ყველა ჩქარობს".

„მერე ისეთი დაბალი ხმით დაუმატა, ძლივს გავარჩიე:

„— თითქმის აღარავინ შემომრჩა".

„მის ხმაში ისეთი სასონარკვეთა ვიგრძენი, გამოკითხვა ველარ გავუბედე. მან გააგრძელა:

„— ქალბატონ დე ლა პერუზს ამისი გაგება არ სურს. მეუბნება, ისე არ აკეთებ, როგორც საჭიროაო; რომ მათ დასაკავებლად არაფერს ვაკეთებ, ხოლო ახლების მოსაზიდად უფრო ნაკლებად ვირჯები.

„— აი, ის მოწაფე, რომელსაც ელოდით... — ვკითხე უშნოდ.

„— ოო! იმას კონსერვატორიისთვის ვამზადებ. ყოველდღე მოდის სავარჯიშოდ.

„— იმის თქმა გნებავთ, რომ უფასოდ ასწავლით? არაფერს გიხდით?

„— ქალბატონი დე ლა პერუზიც გამუდმებით ამას მსაყვედურობს. ვერ ხვდება, რომ მხოლოდ ასეთი გაკვეთილები მაინტერესებს; დიახ, ნამდვილ სიამოვნებას მხოლოდ იმ გაკვეთილებიდან ვიღებ, რომლებსაც... უფასოდ ვატარებ. ბოლო დროს ბევრს ვფიქრობ. დიახ... რაღაცა მინდა გკითხოთ: წიგნებში ასე იშვიათად რატომ წერენ მოხუცებზე?.. ალბათ, იმიტომ, რომ თვითონ მოხუცებს აღარ შეუძლიათ მოხუცებულობაზე წერონ, ხოლო, როცა ადამიანი ახალგაზრდაა ამისი დრო არ აქვს. მოხუცები უკვე აღარავის აინტერესებს... მათზე უამრავი საინტერესო ამბის მოყოლა შეიძლება. მაგალითად, თუნდაც ზოგიერთი რამ ჩემი წარსულიდან ავიღოთ, რომლის გაგებაც მხოლოდ ახლა დავიწყე. დიახ, მხოლოდ ახლა ვხვდები, რომ მათ სულ სხვა აზრი გააჩნდა, ვიდრე ის, რომელსაც მაშინ ვანიჭებდი, როცა ვაკეთებდი... მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ მთელი ცხოვრება ბრიყვი ვიყავი. ქალბატონმა დე ლა პერუზმა გამასულელა, ჩემმა ვაჟმა გამასულელა, ყველამ გამასულელა, და ღმერთმაც ასევე...".

„დაბინდდა. თითქმის ვეღარ ვარჩევდი ჩემი მოხუცი მასწავლებლის სახის ნაკვთებს; ქუჩის ფანარი უცბად აინთო და დავინახე, რომ ცრემლისგან ლოყა უბრწყინავდა. საფეთქელთან უცნაური ლაქა შევამჩნიე, ღრმულს ჰგავდა, უფრო ხვრელს, ჯერ შევწუხდი, მაგრამ, როცა მოხუცი ოდნავ შეირხა, ლაქა გადაადგილდა, მივხვდი, იგი მოაჯირის ერთი როზეტის ჩრდილი იყო. მის გამომშრალ მკლავს ხელი დავადე: კანკალებდა.

„— გაცივდებით, — ვუთხარი, — მართლა არ გინდათ ღუმელის ანთებაში დაგეხმაროთ?.. მოდით, ავანთოთ.

„— არა... კაცი უნდა გამოინრთოს.

„— როგორ! სტოიკოსი ხდებით?

„— რაღაც გაგებით, კი. კაშნე არასოდეს მიტარებია, იცით რატომ? იმიტომ, რომ სუსტი ყელი მქონდა. მუდამ საკუთარ თავს ვებრძოდი.

„— ცუდი არ არის, თუ ადამიანი გაიმარჯვებს; მაგრამ სხეულმა რომ ვეღარ გაუძლოს...".

„ხელი მომკიდა და ისეთი სერიოზული ტონით მითხრა, თითქოს რაღაც საიდუმლოს მანდობდა:

„— აი, ეს კი ნამდვილი გამარჯვება იქნებოდა".

„ხელი გამიშვა და განაგრძო:

„— მეშინოდა, ჩემს უნახავად წახვიდოდით.

„— სად წავიდოდი? — ვკითხე.

„— არ ვიცი. ბევრს მოგზაურობთ. რაღაც მინდა გითხრათ... მალე მეც ვაპირებ გამგზავრებას.

„— რაო?! მოგზაურობა გნებავთ? — ვთქვი უხერხულად, თავი მოვიკატუნე, ვითომ ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა, მიუხედავად მისი ხმის ამოუცნობი იდუმალი და მოზეიმე ტონისა. მან თავი გააქნია:

„— მშვენივრად ხვდებით, რისი თქმაც მინდა... დიახ, დიახ. ვიცი, მალე დამიდგება ეს დრო. ახლა იმაზე ნაკლებს ვშოულობ, ვიდრე საარსებოდ ვხარჯავ, და ეს ჩემთვის აუტანელია. არსებობს რაღაც გარკვეული წერტილი და საკუთარ თავს სიტყვა მივეცი, რომ მას არ გადავაბიჯებ“.

„ცოტა აღგზნებული ტონით ლაპარაკობდა და ძალიან შევწუხდი:

„— ნუთუ თქვენც მიგაჩნიათ, რომ ეს ცუდია? ვერასოდეს შევძელი იმის გაგება, თუ რატომ კრძალავს ამას რელიგია. ამ ბოლო ხანებში ძალიან ბევრს ვფიქრობ ამაზე. როცა ახალგაზრდა ვიყავი, მეტისმეტად მკაცრი ცხოვრებით ვცხოვრობდი, და, როცა მორიგ ცდუნებას თავიდან ვიცილებდი, ჩემი ხასიათის სიძლიერე მუდამ მიხაროდა. მაშინ ვერ ვხვდებოდი, რომ ამ თავისუფლებისკენ სწრაფვით, უფრო მეტად და მეტად ვხდებოდი საკუთარი სიამაყის მონა. ასე მგონია, თითოეული ის გამარჯვება, ჩემი დილეგის კლიტის გასაღების ახალ გადატრიალებას ნიშნავდა. ზუსტად ამას ვგულისხმობდი, როცა გითხარით ღმერთმა გამასულელა-მეთქი. ისე გააკეთა, ისე მომექცა, რომ საკუთარი სიამაყე სათნოებად მივიღე. ღმერთმა დამცინა. ჩემით გაერთო. ასე მგონია, ისე გვეთამაშება, როგორც კატა თაგვს. ცდუნებებს გვიგზავნის, ჩვენ წინააღმდეგობის გაწევის უნარი არა გვაქვს და ეს მშვენივრად იცის; და მაინც, როცა ვუძლებთ და ვეწინააღმდეგებით, ის შურს უფრო საშინლად იძიებს ხოლმე. ასე რატომ ვძულვართ? და რატომ... მაგრამ, მგონი, ჩემი ბებრული კითხვებით თავი მოგაბეზრეთ“.

„თავზე ხელები შემოიჭდო, როგორც ნაწყენმა ბავშვმა, და ისე დიდხანს დუმდა, ეჭვი შემეპარა, ხომ არ დავავიწყდი. უძრავად იჯდა ჩემს პირდაპირ, მეშინოდა მისი აზრების მსვლელობისთვის ხელი არ შემეშალა. მიუხედავად ქუჩიდან შემოვარდნილი ხმაურისა, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ამ პატარა ოთახში უჩვეულო სიჩუმე იდგა, და, მიუხედავად ამ უცნაური, თეატრალური განათებისა, ქუჩის ფანარი

ქვევიდან ზევით ანათებდა, მომეჩვენა, ჩრდილები ფანჯრის ორივე მხარეს უფრო ჩამუქდა, ხოლო ბინდი ჩვენს ირგვლივ შედედდა, როგორც დამდგარი წყალი ძლიერ ყინვაში, და ამ სიცივემ პირდაპირ ჩემს გულში შეაღწია. ბოლოს გავბედე და გულზე შემონოლილი ნაღველის გადაყრა მოვინდომე, ხმაურით ამოვისუნთქე, იმაზელა ვფიქრობდი როგორმე ნავსულიყავი, მზად ვიყავი გამოსამშვიდობებლად, მაგრამ თავაზიანობის გამო, უკეთური აზრებიც რომ გამეფანტა, ვკითხე:

„— ქალბატონი დე ლა პერუზი როგორ ბრძანდება?"

„ეტყობა მოხუციც გამოფხიზლდა. ჯერ კითხვითვე გაიმეორა: „ქალბატონი დე ლა პერუზი?.." — იმ მანერით, თითქოს ამ სიტყვებმა მისთვის ყოველგვარი აზრი დაკარგაო; მერე, უცბად ჩემსკენ გადმოიხარა და თქვა:

„— ქალბატონი დე ლა პერუზი საშინელ კრიზისშია... ძალიან განვიცდი და ვიტანჯები.

„— რისი კრიზისია?.. — ვკითხე.

„— ოო! არაფრის, — მითხრა და მხრები ისე აიჩეჩა თითქოს ის, რაც იყო, თავისთავად იგულისხმებოდა. — თითქმის სრულიად შეიშალა ჭკუიდან. აღარ იცის, რაღა მოიგონოს".

„კარგა ხანია ეჭვი მქონდა, რომ ამ მოხუც წყვილს შორის დიდი განხეთქილება იყო, მაგრამ რაიმეს დაწვრილებით გაგების იმედი არ მქონდა:

„— საცოდავო ჩემო მეგობარო, — თანაგრძნობით გამოვეხმაურე. — დიდი ხანია?"

„ერთ წამს ჩაფიქრდა, თითქოს ჩემს კითხვას ვერ მიხვდაო.

„— ოო! ძალიან დიდი ხანია... მას შემდეგ, რაც ვიცნობ. — მაგრამ მაშინვე უკან დაიხია და გაასწორა: — არა, სიმართლე რომ ითქვას, ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა ვაჟი შეგვეძინა და მისი აღზრდის საკითხი დადგა".

„გაოცება მოძრაობით გამოვხატე, რადგან აქამდე მეგონა, რომ ლა პერუზებს შვილი არ ჰყავდათ. მან თავი ასწია, რომელიც აქამდე ისევ ხელებში ჰქონდა ჩარგული და უფრო მშვიდი ხმით დაიწყო:

„— ჩემს ვაჟზე თქვენთვის არაფერი მითქვამს?.. აბა, მისმინეთ, ყველაფერს გიამბობთ. დადგა დრო, როცა ყველაფერი უნდა გაიგოთ. რასაც ახლა მოგიყვებით, შემიძლია მხოლოდ თქვენ გითხრათ, სხვას არავის... დიახ, ყველაფერი ჩემი შვილის აღზრდიდან დაიწყო; და ხომ ხედავთ, კარგა დიდხანსაც გაგრძელდა. დასაწყისში საუცხოო

ოჯახური ცხოვრება გვქონდა. ძალიან პატიოსანი კაცი ვიყავი, როცა ქალბატონ დე ლა პერუზზე ვიქორწინე. უმანკოდ მიყვარდა... დიახ, ეს ყველაზე შესაფერი სიტყვაა, და არც მსურდა მასში რაიმე ნაკლის დანახვა. მაგრამ ბავშვის აღზრდის საკითხში ჩვენი აზრები ერთმანეთს არ დაემთხვა. ყოველთვის, როცა შვილის დასჯა მინდოდა, ქალბატონი დე ლა პერუზი მის მხარეს იჭერდა და ჩემს წინააღმდეგ გამოდიოდა; მისი აზრით, ბავშვისთვის პატიება იყო საჭირო. ორივე მუდამ ჩემს წინააღმდეგ იყვნენ შეთქმულნი. სიცრუეს მიაჩვია... ოცი წლისა შესრულდა და საყვარელიც გაიჩინა — ჩემი მონაფე, რუსი გოგონა, ძალიან კარგი მუსიკოსი, რომელსაც მეც ძალზე მივეჩვიე. ქალბატონმა დე ლა პერუზმა ყველაფერი იცოდა, მე კი, როგორც სჩვეოდათ, ყველაფერს მიმალავდნენ. ბუნებრივია, ვერც კი შევამჩნიე, როცა გოგონა დაორსულდა. პატიოსნებას გეფიცებით, ვერ მივხვდი. ერთ დღეს გამომიცხადეს, შენი მონაფე ავად არის და ერთხანს ვეღარ ივლისო. ხოლო, როცა მისი ნახვა მოვინდომე, ხან მითხრეს სხვა ბინაში გადავიდაო, ხანაც სამოგზაუროდ წავიდაო... ძალიან გვიან გავიგე სამშობიაროდ პოლონეთში წასულიყო. ჩემი ვაჟიც იქით გამგზავრებულა... რამდენიმე წელი ერთად იცხოვრეს; მერე ჩემი ვაჟი მოკვდა და მისი ცოლად შერთვა ვერ მოასწრო.

„— მერე... მერე ნახეთ ის გოგონა?“

„ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს შუბლით რაღაც წინააღმდეგობას წააწყდაო:

„— სიცრუის პატიება ვერ შევძელი. ქალბატონი დე ლა პერუზი მასთან მიმოწერას აგრძელებს. როცა გავიგე ძალიან უჭირდა, ფულიც გავუგზავნე... ბავშვის გამო. მაგრამ ქალბატონმა დე ლა პერუზმა ამის შესახებ არაფერი იცის. იმანაც ვერ გაიგო, რომ ფული მე გავუგზავნე.

„— და თქვენი შვილიშვილი?..“

„უცნაურმა ღიმილმა გადაუარა. ადგა.

„— მოიცადეთ, მის სურათს გაჩვენებთ“. — ბებრულად, მოკლე ნაბიჯებით გავიდა, თავი წინ ჰქონდა წახრილი. დაბრუნდა, თითები უკანკალებდა, როცა დიდ საქაღალდეში სურათის ძებნა დაიწყო. ჩემსკენ გადმოიხარა, სურათი გამომიწოდა და ჩუმად, ძალიან ჩუმად მითხრა:

„— ქალბატონ დე ლა პერუზისგან ისე ავიღე, ვერ შეამჩნია. ჰგონია, რომ დაკარგა.

„— რამდენი წლისაა? — ვკითხე.

„— ცამეტის. უფრო დიდს ჰგავს, არა? ძალიან სუსტია“.

„თვალი ისევ ცრემლით აევსო. სურათისკენ ხელი გაიწოდა, თითქოს სასწრაფოდ უკან დაბრუნება უნდაო. ფანრის მქრქალი სინათლისკენ შეებრუნდი, სურათი უკეთ რომ დამენახა; მომეჩვენა, ბავშვი ჩემს თანამოსაუბრეს ჰგავდა; მოხუცი ლა პერუზის დიდი ამობურცული შუბლი და მეოცნებე თვალები შევიცანი. ვუთხარი კიდეც, მეგონა ვასიამოვნებდი; უარი მითხრა:

„— არა, არა, ჩემს ძმას ჰგავს, ჩემს განსვენებულ ძმას...“.

„ბავშვს საყელოამოქარგული უცნაური შესახედაობის რუსული ხალათი ეცვა.

„— ახლა სად ცხოვრობს?

„— საიდან უნდა ვიცოდე? — წამოიყვირა ლა პერუზმა სასოწარკვეთილი ხმით. — ხომ გითხარით, ყველაფერს მიმალავენ“.

„სურათი გამომართვა, ერთხანს უყურა, მერე საფულეში ჩადო; საფულე ჯიბეში ჩაიჩურთა.

„— როცა დედამისი პარიზში ჩამოდის, მხოლოდ ქალბატონ დე ლა პერუზს ხვდება, რომელსაც თუ რამეს შეეკითხები, ასე მპასუხობს: „შეგიძლია, მას ჰკითხოთ“. ასე ამბობს, თორემ, სინამდვილეში მას რომ შევხვდე ეწყინება კიდეც. მუდამ ეჭვიანი იყო. როგორც კი ვინმეს ან რამეს მივეჩვეოდი, მაშინვე მართმევდა... პატარა ბორისი პოლონეთში სწავლობს, თუ არ ვცდები, ვარშავის რომელიღაც გიმნაზიაში. დედასთან ერთად ხშირად მოგზაურობს. — მერე რაღაცნაირი დიდი აღტაცებით დაუმატა: — აბა, მითხარით, ოდესმე დაიჯერებდით, რომ ბავშვი, რომელიც არასოდეს გინახავს, შეიძლება გიყვარდეს?.. აი, ეს პატარა, დღეს, ჩემთვის ყველაზე ძვირფასია... მან კი არაფერი იცის!“

„სიტყვა ხმამაღლმა ქვითინმა შეაწყვეტინა. სკამიდან ადგა და ჩემს მკლავებში ჩაიკეცა. რას არ ვიზამდი, რომ მისთვის ტანჯვა შემემსუბუქებინა, მაგრამ რა მექნა? ავდექი, რადგან ვიგრძენი მისი გამხდარი სხეული ქვევით მისრიალებდა, შემეშინდა მუხლებზე არ დაცემულიყო. დავიჭირე, მივიხუტე და ბავშვივით რწევა დავუწყე. მერე გონზე მოვიდა. მეზობელი ოთახიდან ქალბატონი დე ლა პერუზის ხმა მომესმა.

„— ახლა შემოვა... თქვენ ხომ მისი ნახვა მაინცადამაინც არ გინდათ, ასე არ არის?.. თანაც სრულიად დაყრუვდა. წადით ჩქარა. — კიბის ბაქნამდე მიმაცილა და დაშორებისას მითხრა, — ხშირად მინახულეთ (ხმაში მუდარა იგრძნობოდა). ნახვამდის, ნახვამდის“.

9 ნოემბერი

„ტრაგედიის ერთი სახეობა, ასე მგონია, ლიტერატურას ყურადღებიდან დღემდე გამორჩა. რომანი დაკავებული იყო ბედის ცვალებადობის, ბედნიერი ან უბედური მოვლენების, სოციალური ურთიერთობების, ვნებათა ჭიდილის, ხასიათების აღწერით, ოღონდ ადამიანის რაობის აღწერით კი არა და არა.

„არადა ჯერ კიდევ ქრისტიანობა ცდილობდა დრამის გადატანას ზნეობის სფეროში. მაგრამ საკუთრივ ქრისტიანული რომანები არ არსებობს. მართალია არის ისეთი რომანებიც, რომლებიც მორალის გაკვეთილების გადმოსაცემად იწერება, მაგრამ მათ არაფერი აქვთ საერთო იმასთან, რაზეც ახლა ვლაპარაკობ. ზნეობრივი ტრაგიზმი კარგად არის გადმოცემული სახარების სიტყვებში: „თუ მარილი სიმლაშეს დაკარგავს, როგორ გავხადოთ მლაშე?“ აი, ეს ტრაგიკულობა მაინტერესებს მე“.

10 ნოემბერი

„ოლივიე გამოცდების მოლოდინშია. პოლინს უნდა რომ ეკოლ ნორმალში შევიდეს სასწავლებლად. მთელი მისი კარიერა წინასწარ არის შედგენილი...ობოლი რომ იყოს, არც ვინმე დამხმარე ჰყავდეს, მდივნად ავიყვანდი. მაგრამ ჩემთვის სად სცალია, იმასაც კი ვერ ამჩნევს რა ინტერესები მაქვს მისდამი; ეტყვი და, ალბათ, შეცბუნდება. ამიტომ და ზუსტად ამიტომ, მასთან ერთგვარი გულგრილობის, ირონიული ძალდაუტანებლობის ნიღაბს ვიფარებ. მხოლოდ მაშინ ვაკვირდები მშვიდად, როცა ვერ ვხედავ. ზოგჯერ, ქუჩაში, ჩუმად მივყვები. გუშინაც მივყვებოდი, ისე უცბად შემობრუნდა, დამალვა ვერ მოვასწარი:

„— ასე სწრაფად, სად მიიჩქარი? — ვკითხე.

„— არსად. რატომღაც ყველაზე საქმიანი იერი მაშინა მაქვს, როცა უაზროდ დავეხეტები“.

„ცოტა ხანს ერთად ვიარეთ, ერთმანეთისთვის არაფერი გვითქვამს. ეჭვი არ არის, ჩემთან შეხვედრა არ ესიამოვნა.

12 ნოემბერი

„მას მშობლები ჰყავს, უფროსი ძმა, ამხანაგები... მთელი დღე ამას ვიმეორებ; ვგრძნობ, ზედმეტი ვარ და აქ არაფერი მესაქმება. რამე რომ აკლდეს, ცხადია, დავეხმარებოდი, მაგრამ არაფერი აკლია. არაფერი სჭირდება; მისი თავაზიანობა როგორც უნდა მხიბლავდეს, შეცდომის უფლება არა მაქვს... აჰ! აბსურდული წინადადებაა, რომელსაც ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ ვწერ და რომელიც ჩემი გულის მზაკვრულ გრძნობებს ააშკარავებს... ხვალ ლონდონში წავალ. გამგზავრების გადაწყვეტილება უცბად მივიღე. დროა უკვე.

„წახვიდე მხოლოდ იმიტომ, რომ დარჩენის მეტისმეტად დიდი სურვილი გაქვს!.. გადამწყვეტი ზომებისადმი გარკვეული მიდრეკილება და შემწყნარებლობისადმი შიში (ცხადია, საკუთარი თავის მიმართ) — ეს, ალბათ, ყველაზე მყარი ადგილია ჩემს პურიტანულ აღზრდაში, რისგან გათავისუფლებაც ძალზე მეძნელება.

„გუშინ საღამოს, სმიტთან, ნამდვილი ინგლისური რვეული ვიყიდე, რომელიც ამ რვეულის გაგრძელება იქნება, მაგრამ უკვე აღარაფრის დაწერა არ მინდა. ახალი რვეული...

„ოჰ! ნეტავ შემეძლოს და არსად წამიყვანა!“

# XIV

> ზოგჯერ ცხოვრება ისეთ შემთხვევებს გვთავაზობს, ცოტა გიჟი უნდა იყო, თავი რომ დაიხსნა.
>
> **ლა როშფუკო**

ბერნარმა ედუარდის დღიურში ჩადებული ლორას წერილით დაამთავრა კითხვა. უცბად გონება გაუნათდა: ეჭვი აღარ იყო, რომ ქალი, რომელიც ამ წერილში თავის მწუხარებას ამჟღავნებდა, ზუსტად ის საცოდავი შეყვარებული იყო, რომელზეც წინა საღამოს ოლივიემ უამბო, — ვენსანის მიერ მიტოვებული საყვარელი. იმასაც მიხვდა, რომ ორმაგი ინფორმაციის წყალობით, რომელიც მეგობრისგანაც მოისმინა და ედუარდის დღიურშიც ამოიკითხა, ერთადერთი ადამიანი იყო, რომელმაც ინტრიგის ორივე მხარე იცოდა. ასეთი უპირატესობის შენარჩუნებას დიდხანს ვერ შეძლებდა, მაშასადამე, სწრაფი და ზუსტი მოქმედება იყო საჭირო. ბერნარმა გადაწყვეტილება მაშინვე მიიღო: მხედველობიდან არ გამორჩენოდა ის, რაც დასაწყისში ამოიკითხა და მთელი ყურადღება ლორაზე გადაიტანა.

„ჯერ კიდევ დღეს დილით, ფრიად ბუნდოვანი მეჩვენებოდა, რა უნდა გამეკეთებინა; ახლა კი, ყოველგვარი ეჭვი გაქრა, — გაიფიქრა ოთახიდან გამოვარდნისას. იმპერატივი[1], როგორც ერთმა ავტორმა განაცხადა, კატეგორიულია: ლორას გადარჩენა. ალბათ, ჩემს მოვალეობაში არ შედიოდა ჩემოდნის დაუფლება, მაგრამ, როცა ჩემოდანი ჩემს ხელშია, ეჭვი აღარ არის, მისი ძირიდან მოვალეობის მძაფრ გრძნობებს ამოვიღებ. ახლა მნიშვნელოვანია ლორა უფრო ადრე ვნახო, ვიდრე ედუარდს შეხვდება, თანაც საჭიროა ისე წარვუდგინო თავი, ვინმე არამზადა არ ვეგონო. დანარჩენი თავისთავად მოგვარდება. საფულეში საკმაო თანხაა იმისთვის, რომ ისეთივე ბრწყინვალებით

1. კატეგორიული იმპერატივი (ფილოს.) კანტის ეთიკაში: აუცილებელი ზებუნებრივი ბრძანება, რომელიც მუდამ ახლავს გონებას და საფუძველია მორალისა.

შეეამსუბუქო ბედისწერის დარტყმები, როგორც ამას გააკეთებდა ედუარდებიდან ყველაზე გულუხვი და ყველაზე მგრძნობიარე ედუარდი. ერთადერთი ახლა, რაც მაღელვებს ისაა, თუ რა გზით უნდა მოვახერხო ლორასთან მისვლა. რადგან, ვედელების ნაშიერი ლორა, მიუხედავად იმისა, რომ ორსულადაა, თუმცა არაკანონიერი გზით, ალბათ, ფრიად ნესიერი ქალი იქნება. ძნელი არც იმის ნარმოდგენაა, რომ იგი იმ კატეგორიის ქალებს მიეკუთვნება, რომლებიც ჯიუტად, ზიზღის დაუფარავად გამოხატავენ თავის სიძულვილს, და გულითადად შეთავაზებულ ბანკნოტებს ნაკუწ-ნაკუწად აქცევენ თუკი კონვერტი სათანადო არ მოეჩვენათ. როგორ შევთავაზო ფული? როგორ ნარვუდგინო თავი? აი, თავსატეხი. სწორ, გაკვალულ გზას ოდნავ გადაუხვევ თუ არა, მაშინვე გაუვალ ბუჩქებში აღმოჩნდები! ასეთ, მართლაცდა, პიკანტურ ინტრიგებში მონაწილეობისთვის, ნამდვილად ახალგაზრდა ვარ. მაგრამ, ეშმაკმა წაიღოს! მხოლოდ ეს თუ დამეხმარება. შევთხზათ ალალმართალი აღიარება, რამე ამბავი, რომ შევებრალო და დაინტერესდეს ჩემით. მთელი სიძნელე კი იმაში მდგომარეობს, ამ ამბავმა, მერე, ედუარდთან დასაახლოებლად თავისი საქმე უნდა გააკეთოს; მთავარია, რაიმე წინააღმდეგობაში არ ჩავვარდე. კეთილი! რაღაცას მოვიფიქრებ. შთაგონებას მივენდოთ, საჭირო წუთში გონებას რომ ანათებს...".

ლორას მიერ დასახელებული მისამართით ბონის ქუჩა მოძებნა. სასტუმრო ფრიად მოკრძალებული აღმოჩნდა, ოღონდ სუფთა და კარგი შესახედავიც. პორტიეს მინიშნებით სამი სართული აიარა, იმ კარის წინ შეჩერდა, რომელსაც 16 ეწერა, უნდოდა შესვლამდე შემზადებულიყო და სიტყვებს ეძებდა; ამაოდ, თავში არაფერი მოუვიდა სათქმელად; ძალ-ღონე დაძაბა, სითამამე მოიკრიბა და დააკაკუნა. ნაზმა, ოდნავ მორიდებულმა ხმამ, მონაზვნის ხმას რომ მიამსგავსა, თქვა:

„ — შემობრძანდით".

ლორას უბრალო, შავი სამოსი ეცვა; კაცს ეგონებოდა მგლოვიარეაო. იმ რამდენიმე დღის განმავლობაში, რაც პარიზში ჩამოვიდა, გამუდმებით რაღაცის თუ ვიღაცის ბუნდოვან მოლოდინში იყო, რომელიც მოვიდოდა და ამ გამოუვალი მდგომარეობიდან გამოიყვანდა. უკვე დარწმუნდა, რომ სწორი გზა ვერ აირჩია და ასცდა კიდეც გზას. ერთი სამწუხარო ჩვეულება ჰქონდა, უფრო შემთხვევითობის იმედად იყო, ვიდრე საკუთარი თავისა. ზნეობრიობა როდი აკლდა, მაგრამ ახლა ძალა აღარ ჰქონდა და მიტოვებული იყო. ბერნარის შესვლისთანავე

ქალმა ხელი სახესთან მიიტანა, თითქოს ყვირილის შეკავება ან მეტი-სმეტად კაშკაშა სინათლისგან თვალის დაცვა უნდაო. ფეხზე იდგა, დაინახა თუ არა ბერნარი, ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, ფანჯარასთან ახლოს აღმოჩნდა და მეორე ხელით ფარდას ჩააფრინდა.

ბერნარი ელოდა, რომ ლორა რამეს ჰკითხავდა. ქალი კი დუმდა, ელოდა, როდის დაიწყებდა ბიჭი ლაპარაკს, რომელსაც გული ამოვარ-დნაზე ჰქონდა. ის ლორას შეჰყურებდა და ამაოდ ცდილობდა გაღიმე-ბას.

„— მომიტევეთ, მადამ, — ამოღერღა ბოლოს, — თქვენი მყუდ-როება რომ დავარღვიე. დღეს დილას პარიზში ედუარდ X... ჩამოვიდა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თქვენ ერთმანეთს კარგად იცნობთ. სასწრაფოდ ერთი საჭირო ინფორმაცია უნდა გადავცე; ვიფიქრე, მის მისამართს თქვენ მომცემდით, და... მომიტევეთ, ასე მოურიდებლად რომ შემოგეჭერით მისი ადგილსამყოფელის გასაგებად".

ბერნარი ასე ახალგაზრდა რომ არ ყოფილიყო, ლორას, ალბათ, საშინლად შეეშინდებოდა. მაგრამ მის წინ ჯერ ისევ ბავშვი იდგა, თანაც ისეთი გულწრფელი თვალები ჰქონდა, ისეთი ნათელი შუბლი, ისეთი მორცხვი მანერები, ისეთი გაუბედავი ხმა, რომ შიშმა უმალ ადგი-ლი ცნობისმოყვარეობას, ინტერესსა და იმ დაუძლეველ სიმპათიას დაუთმო, გულუბრყვილო და ძალზე ლამაზი ადამიანები რომ გვანიჭე-ბენ. ვიდრე ბერნარი ლაპარაკობდა, ლორას სიმტკიცე დაუბრუნდა.

„— მისი მისამართი არ ვიცი, — უთხრა ლორამ, — თუ პარიზშია, მაშინ, იმედი მაქვს, არ დააყოვნებს და ჩემს სანახავად მოვა. მითხარით, ვინ ბრძანდებით და გადავცემ".

ის მომენტი დადგა, როცა რისკზე უნდა წახვიდე, გაიფიქრა ბერნა-რმა; თვალში რაღაც გიჟური ნაპერწკალი გაუკრთა და ლორას პირდა-პირ სახეში შეხედა:

„— ვინ ვარ?.. ოლივიე მოლინიეს მეგობარი ვარ... — ერთხანს შეყოყმანდა, ეჭვი ისევ შემორჩა, მაგრამ დაინახა თუ არა ამ გვა-რის წარმოთქმაზე ლორა როგორ გაფითრდა, გაბედა და გააგრძელა: — ოლივიეს, ვენსანის ძმის, თქვენი შეყვარებულის, რომელმაც ასე სულმდაბლად მიგატოვათ...".

იძულებული გახდა გაჩერებულიყო, რადგან ლორა შეტორტმანდა. უკან გაწვდილი ხელებით გამალებით ეძებდა საყრდენს. ყველაზე მეტად ბერნარს თავზარი დასცა კვნესამ, არაადამიანურმა კვნესამ, უფრო დაჭრილი ფრინველის ხმას რომ ჰგავდა (რომლის გაგონებაზეც

მონადირეს სირცხვილი იპყრობს, რადგან მოულოდნელად იგრძნობს რომ ჯალათია); ისეთი უცნაური კვნესა იყო, ისეთი განსხვავებული, ბიჭი შეკრთა. უცბად მიხვდა, რეალური ცხოვრების მოწმე აღმოჩნდა, ნამდვილი ტანჯვის მოწმე, და ყველაფერი, რაც მის თავს ხდებოდა, მხოლოდ პაროდიულობად და თამაშად ჩანდა. უჩვეულო გრძნობა აუბობოქრდა, მისთვის იმდენად უჩვეულო, იმდენად ახალი, წინააღმდეგობა ვეღარ შეძლო: ყელში მოაწვა... ეს რაღაა? ტირის? ნუთუ ეს შესაძლებელია? ის, ბერნარი?.. ქალის დასაჭერად წინ გაიჭრა, მუხლზე დაეცა, სლუკუნსა და სლუკუნს შორის ტირილით ამოთქვა:

„— ოო! მაპატიეთ... მაპატიეთ, გული გატკინეთ... ვიცი, უსახსროდ დარჩით, და... მინდოდა დაგხმარებოდით“.

ლორას სული ეხუთებოდა; გრძნობდა, სადაცაა გული ნაუვიდოდა; თვალით დასაჯდომს ეძებდა. ბერნარი თვალს არ აშორებდა; მიხვდა, რასაც ეძებდა. საწოლთან მდგარ პატარა სავარძელს ეცა და სწრაფი მოძრაობით ქალს მიუწია. ლორა მოწყვეტით ჩაეშვა სავარძელში.

აქ, ერთი სასაცილო შემთხვევა მოხდა; არც კი მოვყვებოდი, მოულოდნელად, ბერნარსა და ლორას შორის ურთიერთობის მოგვარებაში თავისი როლი რომ არ ეთამაშა და გაჭირვებული მდგომარეობიდან გამოსვლაში არ მიხმარებოდა მათ. ხელოვნურად არ შეეალამაზებ ამ სცენას:

იმ ფასად, ლორა სასტუმროს მეპატრონეს რომ უხდიდა (მინდა ვთქვა, იმ ფასად, სასტუმროს პატრონმა რომ მოსთხოვა ლორას), რა თქმა უნდა, ოთახში ელეგანტური ავეჯი არ დახვდებოდა, მაგრამ ავეჯის გამძლეობის იმედი ხომ უნდა ჰქონოდა. სამწუხაროდ, პატარა, დაბალი სავარძელი, ბერნარმა ლორას რომ მიუნია, ცოტა კოჭლობდა; ასე რომ, ერთი ფეხი შეიძლება ქვეშაც მოჰყოლოდა; აი, ისე, ფრინველი რომ შეიკეცავს ხოლმე ცალ ფეხს ფრთის ქვეშ; ოღონდ, ის, რაც ფრინველისთვის ბუნებრივია, შეიძლება არაბუნებრივი აღმოჩნდეს და დასანანიც, როცა საქმე სავარძელს ეხება, ამიტომ ეს უკანასკნელი თავის ნაკლს სქელი და ხშირი ფოჩების ქვეშ ფარავდა. ლორამ იცოდა თავისი სავარძლის ეს განსაკუთრებული თვისება, ისიც იცოდა, ძალიან ფრთხილად უნდა მოქცეოდა, მაგრამ მღელვარებამ ყველაფერი დაავიწყა და მხოლოდ მაშინღა გაახსენდა, როცა სავარძელი გადაუყირავდა. სუსტად წამოიკივლა. ეს კივილი სულაც არ ჰგავდა ამასწინანდელ გულის შემძვრელ კვნესას, სავარძლიდან ჩამოცურდა და ერთ წამში ხალიჩაზე აღმოჩნდა მის დასახმარებლად მივარდნილი ბერნარის მკლა-

ვებს შორის, რომელიც იძულებული გახდა ჩაეჩოქა. უხერხულობა შეიქმნა, სასაცილოც, ერთდროულად. ლორას სახე ბერნარის სახესთან სულ ახლოს აღმოჩნდა. ბიჭმა დაინახა, ლორას სიწითლე როგორ მოერია. ქალი ადგომას ეცადა. ბერნარი მიეხმარა.

„— რამე ხომ არ დაიშავეთ?

— არა, გმადლობთ, თქვენი წყალობით გადავრჩი. სასაცილო სავარძელია, ორჯერ უკვე შეაკეთეს... მგონი, ფეხი რომ გაუსწორდეს, ისევ დადგება.

— ახლავე გავასწორებ, — თქვა ბერნარმა. — მზად არის!.. გნებავთ, შეამოწმოთ? — მაშინვე შეასწორა: — თუ დამრთავთ ნებას... უფრო ჭკვიანური იქნება, ჯერ მე შევამოწმო. ხედავთ, ახლა კარგად დგას. ფეხებიც შემიძლია ვამოძრაო (ფეხები სიცილით მაშინვე აამოძრავა). — მერე ადგა და თქვა: — დაბრძანდით, და თუ ერთხანს დარჩენის ნებას მომცემთ, სკამზე დავჯდები. გვერდით მოგიჯდებით და დაცემის საშუალებას აღარ მოგცემთ. ნუ გეშინიათ. კიდევ რაღაც მინდა სხვაც გაგიკეთოთ“.

მის სიტყვებში ისეთი ცეცხლი გიზგიზებდა, მანერებში იმდენი თავშეკავება, მოძრაობაში ისეთი სინატიფე, რომ ლორამ თავი ვერ შეიკავა და გაიღიმა:

„— თქვენი სახელი არ გითქვამთ.

— ბერნარი.

— დიახ. გვარი?

— გვარი არა მაქვს.

— მაშინ, თქვენი მშობლების გვარი მითხარით.

—მშობლები არა მყავს. მოკლედ, ისეთივე ვარ, როგორიც ის ბავშვი იქნება, რომლის დაბადებასაც ელით. უკანონო შვილი ვარ“.

ლორას სახიდან ღიმილი მაშინვე გაუქრა; ეროთირა ის დაჟინება, რომლითაც ბიჭი მის პირად ცხოვრებაში შეჭრას ცდილობდა და მისი საიდუმლოს დაუფლებას.

„— ეს უკვე მეტისმეტია, საიდან იცით?.. ვინ გითხრათ?.. უფლება არა გაქვთ იცოდეთ...“.

მაგრამ ბერნარი უკვე აღარ ჩერდებოდა, ლაპარაკობდა ხმამაღლა და ძალდაუტანებლად:

„— ვიცი, რაც ჩემმა მეგობარმა ოლივიემ იცის და ისიც, რაც იცის თქვენმა მეგობარმა ედუარდმა. მაგრამ თითოეულმა თქვენი საიდუმლოს მხოლოდ ერთი ნახევარი იცის. მე კი, ალბათ, ერთადერთი ვარ,

თქვენს გარდა, ვინც იგი მთლიანად იცის... როგორც ხედავთ, თქვენი მეგობარი ვხდები, — დაუმატა უფრო ალერსიანი ხმით.

— მაინც რა გაუფრთხილებლები არიან მამაკაცები, ენას კბილს ვერ აჭერენ, — ნაღვლიანად ჩაიჩურჩულა ლორამ. — მაგრამ... თუ ედუარდი არ გინახავთ, ვერც თქვენთან ლაპარაკს შეძლებდა. წერილი მოგწერათ?.. თქვენ გამოგგზავნათ?.."

ბერნარი დაიბნა; ჩიხში მოექცა; ძალიან სწრაფად ლაპარაკობდა, ცდუნებას აყოლილმა ცოტა წაიტრაბახა კიდეც. უარის ნიშნად თავი გააქნია. ლორას უფრო და უფრო ნაღვლიანი სახე გაუხდა. ამ დროს, კარზე კაკუნიც გაისმა.

ადამიანებს, უნდათ თუ არ უნდათ, ორ პიროვნებას შორის ერთდროულად წარმოშობილი ემოცია, მათ შორის უხილავ კავშირს ქმნის. ბერნარი მახეში გაბმულივით გრძნობდა თავს; ლორას გულს შემოეყარა, სასტუმროს ნომერში უცხოსთან რომ მოუსწრეს. ერთმანეთს ისე შეხედეს, როგორც თანამზრახველები შეხედავენ ხოლმე. კარზე კაკუნი განმეორდა. ორივემ ერთად წამოიძახა:

„— შემობრძანდით".

ლორას ოთახიდან გამოსული ხმებით გაოცებული ედუარდი, ერთხანს კარის წინ იდგა და უსმენდა. ბერნარის ბოლო წინადადებამ ბევრ რამეზე აუხილა თვალი და აზრის მნიშვნელობაში ეჭვი არ შეპარვია. მისთვის ნათელი გახდა, რომ ამ სიტყვების მთქმელი ის ქურდი იყო, ჩემოდანი რომ მოპარა. ედუარდმა მაშინვე გადაწყვეტილება მიიღო. ის ხომ იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა უნარიც ყოველდღიური ცხოვრების მონოტონურობით ჩლუნგდება, მაგრამ რაღაც მოულოდნელობასთან შეჯახებისას იმ ნამსვე ფხიზლდებიან და ყურადღებას ამახვილებენ. ბოლოს კარი გააღო, ზღურბლზე შეყოვნდა, ღიმილით ხან ბერნარს შეხედა, ხანაც — ლორას; ორივე ადგა.

„ — ნება მომეცით, ჩემო მეგობარო, — უთხრა ლორას ისეთი მოძრაობით, რაც შეხვედრის სიხარულით გამოწვეული გულის ნადების გამჟღავნების მცირე ხნით გადადებას ნიშნავდა. — ჯერ ამ ბატონს ვუთხრა რამდენიმე სიტყვა, თუ ინებებს და ერთი წუთით დერეფანში გამომყვება".

ღიმილი უფრო ირონიული გაუხდა, როგორც კი ბერნარი მის სურვილს დაჰყვა.

„— ასეც ვფიქრობდი, რომ აქ გნახავდით“.

ბერნარი მიხვდა, რომ ამხილეს. იმედად საკუთარი გამბედაობის გარდა არც არაფერი დარჩენოდა; იგრძნო, უკვე რისკით მოუწევდა თამაში და თქვა:

„— მე კი იმედი მქონდა აქ შეგხვდებოდით.

— ჯერ, თუ, ცხადია, აქამდე არ გაგიკეთებიათ (და ძალიან მინდა მჯეროდეს, რომ ამიტომაც მოხვედით), დაბლა ჩაბრძანდით, ქალბატონ დუვიეს ყველა ვალი გადაიხადეთ იმ ფულიდან, ჩემს ჩემოდანში რომ აღმოაჩინეთ და თან უნდა გქონდეთ. და მხოლოდ ათი წუთის შემდეგ დაბრუნდით“.

ეს ყველაფერი საკმაოდ მკაცრად წარმოთქვა, ოლონდ ხმაში მუქარა არ ისმოდა. ამასობაში ბერნარმა წონასწორობა აღიდგინა და საკუთარი თავის რწმენა დაიბრუნა.

„— მართლა ამის გამო მოვედი. არ შემცდარხართ. და მჯერა, რომ არც მე შევცდი.

— რა გაქვთ მხედველობაში?

— თქვენ ზუსტად ისეთი ხართ, როგორიც წარმომედგინეთ“.

ედუარდი ამაოდ ცდილობდა მკაცრი სახის მიღებას. საშინლად მოუნდა სიცილი. ოდნავ დამცინავი მადლობით შეხვდა ამ სიტყვებს:

„— მადლობას მოგახსენებთ. ისლა დამრჩენია შევამოწმო, თქვენ როგორ შეეფერებით ჩემს წარმოდგენას თქვენზე. ვფიქრობ, რადგანაც აქ ბრძანდებით, ჩემი ქაღალდები წაკითხული გაქვთ“.

ბერნარმა ედუარდის გამოხედვას თვალის დაუხამხამებლად გაუძლო და გაბედული, მხიარული, თავხედურლიმილიანი თავის დაკვრით უპასუხა:

„— ეჭვიც არ შეგეპაროთ. აქ იმისთვის ვარ, რომ გემსახუროთ“.

მერე, ელფივით[1] გასრიალდა კიბისკენ.

როცა ედუარდი ოთახში შებრუნდა, ლორა ტიროდა. ის ქალს მიუახლოვდა. ლორა შუბლით მის მხარს მიეკრო. ედუარდს გრძნობათა გარეგნული გამოვლინება მუდამ უხერხულობაში აგდებდა და მისთვის თითქმის აუტანელი ხდებოდა. გაოცებულმა ისიც შეამჩნია, ქალს წელზე ალერსიანად უთათუნებდა ხელს, ისე, როგორც ბავშვს — ხვეულებისას:

---

1. გერმანულ მითოლოგიაში ადამიანებისადმი კეთილად განწყობილი სული.

„— ჩემო საცოდავო ლორა, — უთხრა. — გეყოფათ, გეყოფათ... დამშვიდდით.

— მაცადეთ, ცოტა ვიტირო. ცრემლი შვებას მგვრის.

— და მაინც საჭიროა გაირკვეს, რა უნდა გააკეთოთ.

— რა უნდა გავაკეთო? სად წავიდე? ვის მივმართო?

— თქვენი მშობლები...

— მათ ხომ კარგად იცნობთ... ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი სასოწარკვეთილებაში ჩავყარო; ისე უნდოდათ ბედნიერი ვყოფილიყავი.

— დუვიე?..

— მის ნახვას ვერასოდეს გავბედავ. ისეთი კეთილია. ნუ იფიქრებთ, რომ არ მიყვარს... რომ იცოდეთ... ოჰ! მითხარით, რომ ძალიან არ გეზიზღებით.

— პირიქით, ჩემო პატარა ლორა; პირიქით. როგორ შეგიძლიათ ასე იფიქროთ? — და ისევ ზურგზე მოუთათუნა ხელი.

— თქვენს გვერდით, მართლაც, აღარ მრცხვენია.

— რამდენი დღეა აქა ხართ?

— აღარც კი ვიცი. თქვენი ჩამოსვლის მოლოდინითღა ვცოცხლობდი. დროდადრო, გაძლების თავიც აღარ მქონდა. ახლა, ასე მგონია, აქ ერთი დღე დარჩენაც აღარ შემიძლია“.

ისევ ატირდა, მერე დათრგუნვილი კივილით აღმოხდა:

„— წამიყვანეთ. წამიყვანეთ“.

ედუარდი უფრო და უფრო უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა.

„— მისმინეთ, ლორა... დამშვიდდით. ის... ის თქვენი... არც კი ვიცი რა ჰქვია...

— ბერნარი, — ჩაიჩურჩულა ლორამ.

— ბერნარი ახლა აქ მოვა. აბა, გამხნევდით. საჭირო არ არის ასეთ მდგომარეობაში მოგისწროთ. გამაგრდით. რამეს მოვიფიქრებთ, გპირდებით. აბა! თვალი შეიმშრალეთ. ცრემლი საქმეს ვერ უშველის. სარკეში ჩაიხედეთ. ისეთი გაწითლებული ხართ. სახეზე წყალი შეისხით. როცა ტირით, ვერაფერზე ვფიქრობ... აგერ, ისიც მოდის; მისი ფეხის ხმა მესმის“.

კართან მივიდა, გააღო და ბერნარი შემოუშვა, და ვიდრე ზურგით მდგარ ლორას ტუალეტის მაგიდასთან თავი წესრიგში მოჰყავდა, ჰკითხა:

„— ახლა, ბატონო ჩემო, შეიძლება გკითხოთ, როდის მექნება შესაძლებლობა კვლავ დავეუფლო ჩემს ნივთებს?"

ამ სიტყვების წარმოთქმისას ბერნარს პირდაპირ სახეში უყურებდა და ტუჩზე იგივე ირონიული ღიმილი დასთამაშებდა.

„— როცა მოისურვებთ, ბატონო. ოღონდ, გამოგიტყდებით, ის ნივთები მე უფრო მეტად დამაკლდება, ვიდრე თქვენ. დარწმუნებული ვარ, ამას მაშინვე მიხვდებით, თუკი ჩემს თავგადასავალს მოისმენთ. დასაწყისისთვის კი მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ამ დილიდან აღარც ღამის გასათევი მაქვს, აღარც კერია, აღარც ოჯახი და თქვენ რომ არ შემხვედროდით, მზად ვიყავი წყალში გადასავარდნად. დღეს დილას კი, დიდხანს მოგდევდით უკან, როცა ოლივიესთან, ჩემს მეგობართან საუბრობდით. მას ჩემთვის იმდენი რამ უთქვამს თქვენზე! მინდოდა თქვენთან მოვსულიყავი. მხოლოდ მიზეზსღა ვეძებდი, შესაძლებლობას... როცა ბარგის შემნახველი საკანის ქვითარი დაგივარდათ, ჩემს ბედს მადლობა შევწირე. ოო! არა ქურდი არ გეგონოთ. ჩემოდანი, მხოლოდ იმიტომ ავიღე, თქვენი გაცნობის შესაძლებლობა რომ მომცემოდა".

ეს ყველაფერი ბერნარმა ერთი ამოსუნთქვით გადმოაფრქვია. და ეს სიტყვებიც, მისი სახის ნაკვთებიც რაღაც უცნაურმა შინაგანმა ცეცხლმა გაანათა; შეიძლება ამას სიკეთის ცეცხლიც დაარქვათ. ედუარდის ღიმილით თუ ვიმსჯელებთ, ბერნარი მოეწონა.

„— ახლა რაღა ვქნათ?.." — ჰკითხა.

ბერნარი მიხვდა, რომ მოიგო:

„— ახლა, ბატონო, მდივანი ხომ არ გჭირდებათ? დარწმუნებული ვარ ცუდად არ შევასრულებ მდივნის ფუნქციებს, რადგანაც იგი ჩემთვის უდიდესი სიამოვნება იქნება".

ვეღარ მოითმინა ედუარდმა და ახარხარდა. ლორა ორივეს გაოცებული ღიმილით შეჰყურებდა.

„— ოჰო!.. ამ წინადადებაზე დაფიქრებაა საჭირო. ხვალ, ამ დროს, აქ მობრძანდით, თუ, რა თქმა უნდა, ქალბატონი დუვიე ნებას დაგვრთავს... რადგან მასთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემაც უნდა მოვაგვარო. დარწმუნებული ვარ, სასტუმროში ცხოვრობთ. ოო! სულაც არ ვცდილობ გავიგო ზუსტად რომელში. ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს. ხვალამდე".

ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად.

„— ბატონო ჩემო, — უპასუხა ბერნარმა, — ვიდრე დაგტოვებდეთ, იქნებ, ნება დამრთოთ, გაგახსენოთ: ფობურ-სენტ-ონორეს ქუჩაზე

მუსიკის ერთი უბედური მოხუცი მასწავლებელი ცხოვრობს, სახელად, მგონი, ლა პერუზი, თუ ეწვევით, უდიდეს სიამოვნებას მიანიჭებთ.

— ეშმაკმა დალახვროს, დასაწყისი არც ისე ცუდია, თქვენი მომავალი მოვალეობა კარგად გესმით.

— მაშ... მართლა დათანხმდებით?

— ამაზე ლაპარაკს ხვალ დავუბრუნდეთ. ნახვამდის".

ლორასთან ცოტა ხანს კიდევ დარჩა, მერე მოლინიებთან წავიდა. იმედი ჰქონდა, ოლივიეს ნახავდა; ბერნარზე უნდოდა მასთან ლაპარაკი. თუმცა ვიზიტი დასაშვებზე მეტხანს გაჭიმა, პოლინის გარდა ვერავინ ნახა.

ოლივიე, იმავე საღამოს „ღერძის" ავტორ გრაფ დე პასავანთან წავიდა, რომლის დაჟინებული მიპატიჟებაც ძმამ გადასცა.

# XV

„— მეშინოდა, რომ თქვენი ძმა ჩემს დავალებას არ შეასრულებდა, — თქვა რობერ დე პასავანმა მასთან შესული ოლივიეს დანახვისთანავე.

— განა დავიგვიანე? — ჰკითხა ოლივიემ, რომელიც მორცხვად, თითქმის ფეხის თითის წვერებზე აწეული უახლოვდებოდა გრაფს. ქუდი ისევ ხელში ეჭირა; რობერმა გამოართვა.

— აქ დავდოთ. როგორც გენებოთ, ისე მოეწყვეთ. აი, ამ სავარძელში ჩაჯექით; მგონი, აქ უფრო მოხერხებულად იგრძნობთ თავს. არა, თუ საათის ისრების ჩვენებით ვიმსჯელებთ, არ დაგიგვიანიათ. მაგრამ თქვენი ნახვის ჩემმა სურვილმა საათის ისრების მსვლელობას გაასწრო. ენევით?

— გმადლობთ, — უთხრა ოლივიემ და გრაფ დე პასავანის გამოწვდილ პორტსიგარს თავი აარიდა. სიმორცხვის გამო უფრო თქვა უარი, თორემ ამ ნაზი და სურნელოვანი სიგარეტის გემოს გასინჯვა უნდოდა, ცხადია, ალბათ, რუსული იყო.

— მიხარია, რომ მოსვლა შეძელით. ალბათ, მეტისმეტად გადატვირთული ხართ საგამოცდო სამზადისით და მეშინოდა, ვაითუ ვერ მოვიდეს-მეთქი. როდის აბარებთ?

— წერას ათი დღის შემდეგ. ბევრს ვეღარ ვმუშაობ; ასე მგონია, ყველაფერი ვისწავლე და ახლა მეშინია ძალიან არ გადავიტვირთო.

— ამასობაში სხვა რამისთვისაც რომ მოგეკიდათ ხელი, უარს ხომ არ იტყოდით?

— არა... თუ, რა თქმა უნდა, მეტისმეტად ხელის შემშლელი არ იქნება.

— ახლავე აგიხსნით, მოსვლა რატომაც გთხოვეთ. უპირველეს ყოვლისა, თქვენი ხელახლა ნახვა, ჩემთვის დიდი სიამოვნება იქნებოდა. იმ საღამოს, ანტრაქტის დროს თეატრის ფოიეში რომ ერთმანეთს შევხვდით და საუბარიც გამოგვივიდა... რაც მაშინ მითხარით, ძალიან დამაინტერესა. თქვენ, ალბათ, აღარც კი გახსოვთ.

— როგორ არა, მახსოვს, — უთხრა ოლივიემ, რომელსაც ეგონა, რომ იმ საღამოს, მხოლოდ სისულელეები თქვა.

— აი, დღეს კი, რაღაც უფრო კონკრეტული უნდა გაცნობოთ... მგონი, თქვენ იცნობთ ერთ ებრაელს, გვარად დიურმერს. შემთხვევით, თქვენი ამხანაგი ხომ არ არის?

— ახლახანს დავშორდი.

— აჰ! მაშასადამე, ერთმანეთს ხვდებით?

— დიახ, ლუვრში უნდა შევხვედროდით ერთმანეთს და ჟურნალზე გველაპარაკა, რომლის მთავარი რედაქტორიც, ალბათ, მალე გახდება".

რობერმა ნაძალადევად გადაიხარხარა.

„— ჰა! ჰა! ჰა! რედაქტორი... ო, რა მაგარია! ო, რა მოხერხებულია. მართლა ასე გითხრათ?

— უკვე დიდი ხანია ამაზე მელაპარაკება.

— დიახ, დიახ, დიდი ხანია ამ პროექტზე ვფიქრობ. ერთხელ, სხვათა შორის ვკითხე, ხელნაწერებს ხომ არ წამიკითხავ-მეთქი, მან კი ამას მაშინვე მთავარი რედაქტორობა დაარქვა. ეს შეცდომა მაშინ არ გავასწორე, ამის შემდეგ ასე წავიდა და წავიდა... მის ქცევას ძალიან ჰგავს, თქვენ რას იტყვით? რა ტიპია! ქედმაღლობა ცოტა უნდა მოვაშლევინოთ... მართლა არ ეწევით?

— მოვწევ, — ამჯერად დაეთანხმა და სიგარეტი აიღო. — გმადლობთ.

— ნება მომეცით გითხრათ, ოლივიე... წინააღმდეგი ხომ არ იქნებით ოლივიე დაგიძახოთ? არ შემიძლია „ბატონო" გიწოდოთ, რადგან ძალიან ახალგაზრდა ხართ, ვერც „მოლინიეთი" მოგმართავთ, რადგან თქვენი ძმის, ვენსანის, ახლო მეგობარი ვარ. მაშ ასე, ოლივიე, ნება მომეცით გითხრათ, თქვენს გემოვნებას უფრო ვენდობი, ვიდრე სიდი დიურმერის გემოვნებას. ხომ არ დათანხმდებით და თქვენს თავზე არ აიღებთ მთავარი რედაქტორის მოვალეობებს? ბუნებრივია, ჩემი მცირედი მეთვალყურეობით. ყოველ შემთხვევაში, პირველ ხანებში მაინც. ოღონდ, ვამჯობინებ, ჩემი სახელი ყდაზე არ უნდა ფიგურირებდეს. ცოტა მოგვიანებით აგიხსნით, რატომაც... იქნებ, ჩემთან ერთად ერთი ჭიქა პორტვეინი მიირთვათ, ჰა? დიდებული ღვინო მაქვს".

ხელის განვდენაზე მდგარი პატარა ბუფეტიდან ბოთლი და ორი ჭიქა გადმოიღო, ჭიქები გაავსო.

„— აბა, რას იტყვით?

— მართლაც, დიდებულია.

— პორტვეინზე არ გეკითხებით, — სიცილით თქვა რობერმა. — არამედ იმაზე, რაზეც სულ ახლახანს გელაპარაკეთ".

ოლივიემ თავი მოიკატუნა, ვითომ ვერ ვხვდებიო. ეშინოდა, მეტისმეტად ჩქარა არ მიეცა თანხმობა; ეშინოდა, მეტისმეტად აშკარად არ გამოჩენილიყო მისი სიხარული. ოდნავ განითლდა და დაბნეულმა ჩაიბუტბუტა:

„— გამოცდები თუ არ...

— ახლა არ მითხარით, რომ მათი მომზადება დიდ დროს გართმევთ, — შეაწყვეტინა რობერმა. — გარდა ამისა, ჟურნალი ხომ ხვალ არ გამოდის. იმასაც ვფიქრობ, შემოდგომამდე ხომ არ გადავდოთ პირველი ნომრის გამოშვება. თქვენი აზრი ჩემთვის მნიშვნელოვანია. ოქტომბრამდე რამდენიმე ნომერი მზად უნდა იყოს; ასე რომ, ზაფხულში ხშირად მოგვიწევს შეხვედრა, ყველაფერზე რომ მოვილაპარაკოთ და ყველაფერი რომ მოვაგვაროთ. არდადეგებზე რას აპირებთ?

— კარგად არც ვიცი. მშობლები, ალბათ, როგორც ყოველთვის ნორმანდიაში წავლენ.

— მათთან ერთად წახვალთ?.. არ გინდათ, ამჯერად, ცოტა ჩამოშორდეთ მათ?..

— დედაჩემი არ დათანხმდება.

— დღეს თქვენს ძმასთან ვვახშმობ; ნებას მომცემთ, ამ საკითხზე ველაპარაკო?

— ოო! ვენსანი ჩვენთან ერთად არ დადის. — მერე იგრძნო ეს კითხვაზე პასუხი არ იყო და დაუმატა. — აზრი არა აქვს, შედეგი არ ექნება.

— დამაჯერებელი მიზეზი რომ ვიპოვოთ, რაც დედათქვენს დაითანხმებდა?"

ოლივიემ არ უპასუხა. ძალიან უყვარდა დედა და რობერის დამცინავი ტონი არ მოეწონა. რობერი მიხვდა, რომ იჩქარა.

„— ჩემი პორტვეინი მოგეწონათ, ხომ? — თქვა და ლაპარაკის თემა შეცვალა. — ერთ ჭიქას კიდევ ინებებთ?

— არა, გმადლობთ... დიდებულია.

— იმ საღამოს თქვენი მსჯელობის სიმწიფემ და სერიოზულობამ გამაოცა. არ გინდათ, ლიტერატურულ კრიტიკას მოჰკიდოთ ხელი?

— არა.

— პოეზიას?.. ვიცი, ლექსებს წერთ".

ოლივიე ისევ განითლდა.

— დიახ, ძმამ გაგცათ. ალბათ, სხვა ახალგაზრდებსაც იცნობთ, ვინც ჩვენთან თანამშრომლობას ისურვებენ... ეს ჟურანალი ახალგაზრდების გამაერთიანებელი პლატფორმა უნდა გახდეს. ამაშია მისი დანიშნულება. სასურველი იქნება რაღაც პროსპექტ-მანიფესტის მსგავსის შექმნაში დამხმარებოდით, სადაც გადამეტებული დაკონკრეტების გარეშე ახალი ტენდენციები მოიხაზებოდა. ამაზე კიდევ ვილაპარაკებთ. ორი-სამი ეპითეტის არჩევაც იქნება საჭირო; ოღონდ ნეოლოგიზმებისა არა; ავიღოთ ძველი სიტყვები, ძალზე გაცვეთილი, ახალი აზრი მივცეთ და ხმარებაში შევიყვანოთ. ფლობერმა დაგვიტოვა: „კეთილხმოვანი და რიტმული"; ლეკონტ დე ლილმა: „იერატიკული[1] და განსაზღვრული..."- „ცხოველმყოფელობაზე" რას იტყვით?.. „ცნობადაკარგული და ცხოველმყოფელი", ჰა?.. „ელემენტარული, მძლავრი და ცხოველმყოფელი"?

— უფრო საინტერესოს მოძებნაც შეიძლება, — გაბედა ოლივიემ. ის იღიმებოდა, მაგრამ მოწონებას არ ჩქარობდა.

— ერთი ჭიქა პორტვეინი კიდევ...

— ოღონდ, გთხოვთ, არ გაავსოთ.

— იცით, სიმბოლიზმის სკოლის მთავარი სისუსტე იმაში მდგომარეობდა, რომ მხოლოდ ესთეტიკა შექმნა. ყველა დიდი სკოლა ხომ ახალ სტილთან ერთად ახალ ეთიკასაც ქმნიდა, ახალი ამოცანებით, ახალი მცნებებით, ახალი ხედვებით, სიყვარულის ახალი გაგებით და იმითაც, ცხოვრებაში როგორ მოიქცე. სიმბოლისტი მეტისმეტად მარტივი იყო: ცხოვრებაში მონაწილეობას არ ცდილობდა, არც მის გაგებას ცდილობდა, უარყოფდა მას და ზურგს აქცევდა. ეს ხომ აბსურდია, უაზრობა, განა ასე არ არის? მადას მოკლებული ადამიანები ბრძანდებოდნენ, გურმანებიც კი არ იყვნენ. ჩვენ კი არ გვგავდნენ... არა?"

ოლივიემ მეორე ჭიქა პორტვეინი ჩამოათავა და მეორე სიგარეტიც გააბოლა. მოხერხებულ სავარძელში სანახევროდ მიწოლილმა, ოდნავ თვალმილულულმა თანხმობის ნიშნად, მსუბუქი მოძრაობით, უსიტყვოდ დაუქნია თავი. ამ დროს, ზარის ხმა გაისმა, თითქმის მაშინვე მსახურიც შემოვიდა და რობერს სავიზიტო ბარათი გადასცა; რობერმა ბარათს დახედა და გვერდით მდგარ საწერ მაგიდაზე დადო.

---

1. დამწერლობა გაკრული ხელით, რომელიც ძველმა ეგვიპტელებმა შექმნეს იეროგლიფებისგან.

„ — კეთილი. სთხოვეთ, ერთი წუთი მოიცადოს. — მსახური გავიდა. — ძვირფასო ოლივიე, ძალიან მომწონხართ. ვფიქრობ, მოვილაპარაკებთ და შევთანხმდებით. ოლონდ, ახლა ერთი ადამიანი მოვიდა, აუცილებლად უნდა მივიღო, ჩემთან პირისპირ საუბარი სურს“.

ოლივიე ადგა.

„— თუ ნებას მომცემთ, ბაღიდან გაგაცილებენ... აჰ, ვიდრე არ დამვიწყებია. ალბათ, სიამოვნებას მოგგვრით, ჩემი ახალი წიგნი რომ გქონდეთ, არა? ერთი ცალი შემომრჩა ჰოლანდიურ ქაღალდზე...

— ჩუქებას აღარ დაველოდე და წავიკითხე“. — უთხრა ოლივიემ, რომელიც არცთუ აღფრთოვანებული დარჩა პასავანის წიგნით, და ახლა იმასღა ცდილობდა მდგომარეობიდან ისე გამოსულიყო წიგნის ქება არ დასჭირებოდა, თან თავაზიანიც გამოჩენილიყო. იქნებ, პასავანი მიხვდა კიდეც ამ სიტყვების წარმოთქმის ტონით აგდებული დამოკიდებულების მსუბუქ ნიუანსს. ამიტომ, სწრაფად უპასუხა:

„— ოო! წიგნზე არაფერი მითხრათ. თუ მეტყვით, მომეწონაო, მაშინ ან თქვენს გემოვნებას დავაყენებ ეჭვქვეშ ან თქვენს გულწრფელობას. არა, არა, ჩემზე უკეთ ვინ იცის, ამ წიგნს რა აკლია. ძალიან სწრაფად დავწერე. სიმართლე გითხრათ, ამ წიგნის წერისას, მხოლოდ ჩემს მომავალ წიგნზე ვფიქრობდი. ის წიგნი კი ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის. ნახავთ, ნახავთ... ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ახლა დროა დამტოვოთ... თუმცა... მაგრამ არა, ჩვენ ხომ კარგად ჯერ არ ვიცნობთ ერთმანეთს, მშობლებიც, ალბათ, ვახშმად გელოდებიან. მაშ, ნახვამდის. მალე შევხვდებით... ახლა მხოლოდ თქვენს სახელს ნავაწერ წიგნზე, ნება მომეცით“.

ადგა, საწერ მაგიდასთან მივიდა, წიგნზე წასაწერად დაიხარა და ამ დროს, ოლივიემ ნაბიჯი გადადგა წინ, ცალი თვალით მსახურის მოტანილ სავიზიტო ბარათს დახედა:

## ვიქტორ სტრუვილუ

ეს გვარი არაფერს ეუბნებოდა.

პასავანმა ოლივიეს „ღერძი“ გაუნოდა და იმ წუთშივე, როცა ბიჭი წარწერის ამოკითხვას ლამობდა, უთხრა:

„— მოგვიანებით ნახეთ“, — და წიგნი იღლიის ქვეშ შეუცურა.

ასე რომ, ოლივიემ მხოლოდ ქუჩაში წაიკითხა წიგნიდანვე ამოღებუ-

ლი გრაფ დე პასავანის ხელით მიწერილი მიძღვნა, რომელიც აი ასეთი ხატოვანებით შეემკო:

„გევედრებით, ორლანდო, კიდევ რამდენიმე ნაბიჯი. ჯერ მთლად არა ვარ დარწმუნებული, შევძლებ კი სრულყოფილად მე თქვენს გაგებას“.

რომლის ქვევითაც ავტორს დაემატებინა:

„ოლივიე მოლინიეს მისი მომავალი მოსალოდნელი მეგობრის გრაფ დე პასავანისგან“.

ოლივიე ჩაფიქრდა, ცდილობდა ამ ორაზროვანი ეპიგრაფის ახსნას, თუმცა თავისუფალი იყო, როგორც უნდოდა ისე ახსნიდა.

ოლივიე სახლში  იმ დროს დაბრუნდა, როცა ლოდინით გადაღლილი ედუარდი ის-ის იყო წავიდა.

# XVI

ვენსანს პოზიტიური ერუდიცია უფლებას არ აძლევდა ზებუნებრიობისა დაეჯერებინა; და ეს, ის გახლდათ, რაც ეშმაკს დიდ უპირატესობას აძლევდა. ეშმაკს ვენსანთან პირდაპირი შეტაკება არცა ჰქონია; მარჯვედ და ფარულად ესხმოდა თავს. ერთი მისი ვერაგობა იმაშიც მდგომარეობს, რომ ჩვენი დამარცხება გამარჯვებად მოგვაჩვენოს. ასე დაემართა ვენსანსაც, ლორას მიმართ თავისი ქცევა ამაღლებულ ინსტინქტებზე თავისი ნების გამარჯვებად მიიღო. ბუნებით კეთილი იყო ვენსანი, ქალთან რომ მკაცრი გამოჩენილიყო, იძულებული გახდა მთელი ძალ-ღონე დაეძაბა.

ამ ინტრიგაში, ვენსანის ხასიათის ევოლუციის კარგად შესწავლისას, რამდენიმე სტადია აღმოვაჩინე, რომელთა აღნიშვნაც მინდა მკითხველის დასარიგებლად:

1. კეთილგანზრახვათა პერიოდი. პატიოსნება. კეთილშობილური მოთხოვნილება, რათა ჩადენილი შეცდომა გამოესწორებინა. მოცემულ შემთხვევაში: მორალური ვალდებულება — ლორას მისცეს მშობლების მიერ გაჭირვებით ნაგროვები ფული, რომელიც მისი მომავალი კარიერის პირველი ხარჯების დასაფარავად იყო განკუთვინილი. აბა, რითი არ არის ეს თვითშენირვა? განა ეს მოტივი არ არის დიდსულოვნების, ლმობიერების, გულმოწყალების გამოხატვისა?

2. მოუსვენრობის პერიოდი. სინდისის ქენჯნა. განა დაურწმუნებლობა, რომ შემოწირული თანხა საკმარისი არ იქნება, ეშმაკისთვის დათმობის დასაწყისი არ არის, როცა ეს უკანასკნელი ვენსანის ცდუნებას დაიწყებს და ამ თანხის გაზრდის შესაძლებლობას მოუვლენს?

3. გამძლეობა და სულიერი სიმტკიცე. მოთხოვნილება ამ თანხის დაკარგვის შემდეგ თავი „უბედურებაზე მაღლა" დააყენოს. ზუსტად ეს „სულიერი სიმტკიცე" აძლევს საშუალებას, ლორას გამოუტყდეს, რომ ფული წააგო; იგივე მიზეზი, ნებას აძლევს, ქალთან განწყვიტოს კავშირი.

4. კეთილ განზრახვაზე უარის თქმა, რომელიც ახალი ეთიკის ფონზე ცდომილებად მიიჩნია, რაც იძულებულმა ვენსანმა გამოიგონა, რათა თავისი ქცევა გაემართლებინა. იგი ხომ ისევ ძველი მორალის ერთგული რჩებოდა, აი, ეშმაკი კი მხოლოდ იმიტომ იმარჯვებდა მასზე,

რომ თავის გასამართლებლად ათასგვარი მიზეზით ამარაგებდა. იმანენტურობის[1],ტოტალურობის თეორია ერთ გაელვებაშია მოქცეული; უმიზნო, დაუყოვნებელი და არამოტივირებული სიხარული.

5. მოგებით თრობა. სიფრთხილისადმი ზიზღი. თავისი ძალების შეგრძნება.

ამ მომენტიდან დაწყებული შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ეშმაკმა პარტია მოიგო.

ამ წუთიდან დაწყებული, ადამიანი, რომელსაც თავისუფალზე თავისუფალ ადამიანად მიაჩნდა თავი, მხოლოდ იარაღი აღმოჩნდა ეშმაკის ხელში. ეშმაკი კი ახალ და ახალ მსხვერპლს მოითხოვს; აი, რატომ მიჰყავს ვენსანს თავისი ძმა ეშმაკის შეჩვენებულ თანაშემწესთან, პასავანთან.

ოღონდ, ვენსანი ცუდი ადამიანი არ არის. ამიტომ, საკუთარი თავი როგორც უნდა გაიმართლოს, შიგნით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, შინაგანი მოუსვენრობა მაინც აქვს. ნათქვამს კიდევ რამდენიმე სიტყვა დავუმატოთ:

მგონი „ეგზოტიზმს" ეძახიან, მაიას ტომის ყოველგვარ ჭრელა—ჭრელა ნაკეცებს, რომელთა ნახვისასაც ჩვენი სულები უცხოდ გრძნობენ თავს და საყრდენ წერტილს კარგავენ. ზოგჯერ ესა თუ ის სათნოება წინააღმდეგობას ეწევა, მაგრამ ეშმაკს, ვიდრე შეტევას დაიწყებდეს, რომელიღაც უცხო ქვეყანაში გაჰყავს იგი. შეიძლება ისეც მომხდარიყო, რომ, თუ ისინი უცხო ქვეყნის ცისქვეშ არ აღმოჩნდებოდნენ, მშობლებისგან შორს, წარსულის მოგონებებიდან შორს, შორს იმისგან, რაც მათი სულიერი სიმშვიდის სადარაჯოზე დგას, არც ლორას დაეთმო ვენსანისთვის და არც ვენსანს ეცადა მისი ცდუნება. შეიძლება ეგონათ კიდეც, რომ მათ სატრფიალო თავგადასავალს, იქ, შორს, არანაირი კავშირი არ ჰქონდა სხვა დანარჩენთან... ბევრის თქმა შეიძლება კიდევ, მაგრამ, რაც ითქვა ისიც საკმარისია, უკეთ რომ გავუგოთ ვენსანს.

ლილიანის გვერდით თითქოს უცხო ქვეყანაში გრძნობდა თავს.

„— არ დამცინო, ლილიან, — ეუბნებოდა იმ საღამოს ქალს. — ვიცი, ვერ გამიგებ და მაინც მინდა ისე გელაპარაკო, თითქოს ჩემი გესმის, რადგან უკვე შეუძლებელია ჩემი ფიქრებიდან შენი განდევნა".

---

1 საგნის, მოვლენის შინაგანად დამახასიათებელი, მისი ბუნებიდან გამომდინარე, ნიშანდობლივი.

დაბალ დივანზე გაწოლილი ლილიანის ფეხებთან ნახევრად წამოწოლილი ვენსანის თავი სატრფოს მუხლს ნაზად ეხებოდა. ხოლო ქალი მის თმას სიყვარულით ეფერებოდა.

„— ამ დილას, ყველაზე ძალიან, იცი, რა მაშფოთებდა?.. დიახ, შეიძლება ეს შიშიც იყოს. შეგიძლია, ერთი წუთით სერიოზულად მოიქცე? იმისთვის, რომ გამიგო, შეგიძლია ერთი წუთით დაივიწყო არა ის, რისიც გწამს, რადგან არაფერი გწამს, არამედ დაივიწყო ზუსტად ის, რომ არაფერი გწამს? მეც არაფერი მწამდა, ეს იცი. მეგონა მართლა არაფერი მწამდა, გარდა ჩვენი თავისა: შენი, ჩემი და იმისა, რომ შენთან შემიძლია ვიყო; გარდა იმისა, რაც შენი წყალობით უნდა გავხდე...

— შვიდ საათზე რობერი მოვა, — გააწყვეტინა ლილიანმა. — ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ აგაჩქარო, მაგრამ, მაინც გაითვალისწინე: თუ ასე ნელა ილაპარაკებ, მაშინ ის ზუსტად იმ მომენტში შეგაწყვეტინებს, როცა ყველაზე საინტერესო ადგილზე მიხვალ. მისი თანდასწრებით კი ჯობს არ გააგრძელო ლაპარაკი. გასაოცარია, დღეს რამდენი სიფრთხილის ზომის დაცვა გინევს. ბრმას გავხარ, რომელიც, ვიდრე ნაბიჯს გადადგამს, ადგილს ჯოხით სინჯავს. მშვენივრად ხედავ, დაცინვა არც მიფიქრია. საკუთარი თავისა რატომ არ გჯერა?

— შენი გაცნობის შემდეგ, საკუთარი თავის უჩვეულო რწმენა დამეუფლა, — გააგრძელა ვენსანმა. — ვგრძნობ, ბევრის გაკეთება შემიძლია; თვითონაც ხედავ, ყველაფერი გამომდის. ზუსტად ეს მაშინებს. არა, გაჩუმდი, არაფერი თქვა... მთელი დღე იმაზე ვფიქრობ, რაც ამ დილით მიამბე „ბურგუნდიის“ დაღუპვის შესახებ და იმათ მოჭრილ ხელებზე, ნავზე აძრომას რომ ცდილობდნენ. მეჩვენება, ჩემს ნავზეც ვიღაცას სურს ამოძრომა — კარგად რომ გამიგო, შენს მიერ შექმნილ სახეს ვიყენებ — ვიღაცას მინდა ამოძრომაში ხელი შევუშალო...

— ბებერო მშიშარავ, გინდა რომ დაგეხმარო მაგ ვიღაცის დახრჩობაში!?.“

ვენსანმა ისე გააგრძელა, ქალისთვის არ შეუხედავს:

„— ვიღაცას, ვისაც ხელს ვკრავ, მაგრამ მისი ხმა არ მესმის... ხმა, რომელიც შენ არასოდეს მოგისმენია; რომელიც მე მომისმენია, ბავშვობაში...

— და რას გეუბნება, ეგ ხმა? გამეორებას ვერ ბედავ? არ მაოცებს. სანაძლეოს ვდებ, კატეხიზისის გარეშე ამ საქმეს არ ეშველება. ჰა?

— ლილიან, გამიგე, ჩემთვის ამ ფიქრებისგან გათავისუფლების

ერთადერთი საშუალებაა, ყველაფერი გიამბო. და თუ მათზე იცინე, მაშინ ჩემთან დარჩებიან და სიცოცხლეს მომინამლავენ.

— მაშინ მოყევი, — თქვა და მორჩილება გამოხატა. მერე, რადგან ვენსანი დუმდა და ბავშვივით მის კალთაში ჩაერგო თავი, დაუმატა: — აბა, რას ელოდები?"

თმაში ჩააფრინდა და ძალით აანევინა თავი.

„— პატიოსნებას ვფიცავ, მგონი, ეს ყველაფერს სერიოზულად ღებულობს! სულ გაფითრდა. მისმინე, ძვირფასო, თუ ბავშვობა გინდა ითამაშო, საქმე წინ არ წავა. უნდა გინდოდეს ის, რაც გსურს. და თანაც იცი, რომ არ მიყვარს თამაშში ვინც თაღლითობს. როცა თვალთმაქცურად ცდილობ დაეხმარო შენს ნავში ამოძვრეს ის, ვისაც სრულიად თავისუფლად შეუძლია ამოვიდეს, აი,მაშინ თაღლითობ უკვე. თანახმა ვარ შენთან ვითამაშო, ოღონდ თამაში პატიოსანი უნდა იყოს, თანაც უკვე აგიხსენი, რა ფსონი იქნება ამ თამაშში: შენი წარმატებები. მიმაჩნია, რომ შეგიძლია მიაღწიო მაღალ, ბრწყინვალე მდგომარეობას; შენში დიდ გონებასა და დიდ ძალას ვგრძნობ; და მინდა დაგეხმარო. არსებობენ ქალები, რომლებიც იმათ კარიერას ღუპავენ, ვისაც შეიყვარებენ; მე კი მსურს, ყველაფერი პირიქით მოხდეს. უკვე მითხარი, რომ მედიცინა გინდა მიატოვო და მეცნიერებას მოკიდო ხელი; მაშინ სინანული გამოთქვი, რომ ამის გასაკეთებლად მეტისმეტად ცოტა ფული გქონდა... ახლა კი, დასაწყისისთვის, თამაშში მოგებული ორმოცდათი ათასი უკვე რაღაცა არის. მაგრამ დამპირდი, არასოდეს აღარ ითამაშებ. იმდენ ფულს მოგცემ, რამდენიც საჭირო იქნება, ოღონდ იმ პირობით, რომ, თუ ლაპარაკს დაიწყებენ სხვის კმაყოფაზეაო, ძალა გეყოფა და მხრებს აიჩეჩავ".

ვენსანი ადგა, ფანჯარასთან მივიდა. ლილიანმა გააგრძელა:

„— ჯერ ერთი, ერთხელ და სამუდამოდ, ლორასთან უნდა მოაგვარო საქმე. მიმაჩნია, რომ შეიძლება იმ ხუთი ათასი ფრანკის გაგზავნა, რომელიც დაპირდი. რატომ არ ასრულებ მიცემულ პირობას ახლა, როცა ფული უკვე გაქვს? მოთხოვნილებას ხომ არ გრძნობ, დამნაშავედ იმაზე მეტად მიიჩნიო თავი, ვიდრე ხარ? ეს სულაც არ მომწონს. თავხედობას ვერ ვიტან. ღირსეულად ხელების წაჭრის უნარი არა გაქვს. ასე რომ, მოაწესრიგე ეს საქმე და ზაფხულის გასატარებლად იქით წავალთ, საითაც ყველაზე კარგი პირობები იქნება შენი მუშაობისთვის. როსკოფზე მელაპარაკებოდი, მე კი მონაკოს ვირჩევდი, რადგან

მონაკოს მთავარს ვიცნობ, რომელსაც შეუძლია სადმე კრუიზში წაგვიყვანოს და თავის ინსტიტუტშიც მოგცეს სამუშაო".

ვენსანი დუმდა. ახლა ამაზე ლაპარაკი ლილიანთან არ სიამოვნებდა, მაგრამ მოგვიანებით ეტყვის, რომ მასთან მოსვლამდე, სასტუმროში შეიარა, სადაც სასოწარკვეთილი ლორა ელოდა. უნდოდა, ბოლოს და ბოლოს, ვალისგან გათავისუფლებულიყო; კონვერტში რამდენიმე ბანკნოტი ჩადო, ასე რომ ელოდა ქალი. კონვერტი სასტუმროს მოსამსახურე ბიჭს მისცა და ვესტიბიულში მოიცადა იმის გასაგებად, ფული პირადად გადაეცა თუ არა იმას, ვისთვისაც იყო განკუთვნილი. რამდენიმე წუთის შემდეგ ბიჭი დაბრუნდა, კონვერტი დაუბრუნა, რომელზეც ლორას გარდიგარდმო მიეწერა: „ძალიან გვიანია".

ლილიანმა დარეკა, პალტო მოითხოვა. როცა მსახური ქალი გავიდა თქვა:

„— ჰო, მართლა, ვიდრე ის არ მოსულა, მინდა გითხრა, რომ, თუ რობერმა შენი ორმოცდაათი ათასის საქმეში ჩადება შემოგთავაზა, უკეთესია თავი შეიკავო. ის ძალიან მდიდარია, მაგრამ ფული მუდამ სჭირდება. ნახე ერთი: მგონი, მისი მანქანის საყვირის ხმა მომესმა. ნახევარი საათით ადრე მოვიდა, ვიდრე დავთქვით, მით უკეთესი... იმაზე რაზეც ვილაპარაკეთ...".

„— ადრე მოვედი, — თქვა რობერმა შემოსვლისას, — რადგან ვიფიქრე, ცუდი არ იქნებოდა სავახშმოდ ვერსალში წავსულიყავით. თანახმა ხართ?

— არა, — თქვა ლედი გრიფიტმა, — იმ აუზების დანახვა უკვე აღარ შემიძლია. უკეთესია რამბუიეში წავიდეთ. დრო კიდევ არის. მართალია, გემრიელად ვერ ვივახშმებთ, სამაგიეროდ, საუბარია იქ სასიამოვნო. მინდა, ვენსანმა თევზების ამბები გიამბოს. განსაცვიფრებლად კარგად იცნობს თევზებს. არ ვიცი, სინამდვილეს რამდენად შეეფერება ის, რასაც გვიყვება, მაგრამ ამ ქვეყანაზე ყველა რომანზე საინტერესო კია.

— რომანისტი, ალბათ, სხვა აზრისა იქნება". — თქვა ვენსანმა.

რობერ დე პასავანს ხელში საღამოს გაზეთი ეჭირა:

„— იცით, სულ ახლახანს ბრიუნიარმა იუსტიციის მინისტრის მდივნის თანამდებობა მიიღო. ახლა მამათქვენის ორდენით დაჯილდოებისთვის შესაფერი მომენტია, — თქვა ვენსანისკენ შემობრუნებულმა. ამ უკანასკნელმა მხრები აიჩეჩა.

— ძვირფასო ვენსან, — გააგრძელა პასავანმა, — ნება მომეცით გითხრათ, თუ ამ პატარა სამსახურის განევას არ თხოვთ, რომელზეც უარის თქმით იმდენად ბედნიერი იქნება, რომ ძალზე გაანაწყენებთ.

— საკუთარი თავისთვის რატომ არ თხოვთ ორდენს?" — მოიგეერია ვენსანმა.

რობერმა მოჩვენებით შეიჭმუხნა სახე:

„— არა, არა, ჩემი თავმომწონეობა იმაში გამოიხატება, რომ არც სახეზე გავწითლდე და არც საღილეზე. — მერე ლილიანს მიუბრუნდა და დაუმატა: — იცით, ჩვენს დროში იშვიათად აღნევს ვინმე ორმოცი წლის ასაკამდე ისე, რომ არც სიფილისი შეხვედრია და არც ორდენი!"

ლილიანმა გაიღიმა და მხრები აიჩეჩა:

„— ოღონდ იხუმროს და, მზად არის თავიც დაიბეროს!.. მითხარით ერთი, ეს ციტატა თქვენი მომავალი წიგნიდანაა? ახალსა ჰგავს... თქვენ ჩადით, პალტოს ჩავიცვამ და დაგეწევით".

„— მე კი მეგონა მასთან შეხვედრა აღარ გინდოდათ. — უთხრა ვენსანმა რობერს კიბეზე ჩასვლისას.

— ვისთან? ბრიუნიართან?

— მუდამ სულელად მიიჩნევდით...

— ძვირფასო მეგობარო, — აუჩქარებლად უპასუხა პასავანმა, საფეხურზე შეჩერდა და მოლინიეც შეაჩერა, რომელსაც ფეხი უკვე გადადგმული ჰქონდა ჩასასვლელად, რადგან ამ დროს ლედი გრიფიტიც გამოჩნდა და უნდოდა მასაც გაეგონა ნათქვამი, — გაიგეთ, ჯერ ისეთი მეგობარი არა მყოლია, რომელსაც, ადრე თუ გვიან, თავისი კრეტინიზმის დემონსტრირება არ მოეწყო. გარწმუნებთ, ბრიუნიარი ამ ცდუნებას უფრო დიდხანს ეწინააღმდეგებოდა, ვიდრე სხვა.

— ვიდრე მე, ალბათ? — ჰკითხა ვენსანმა.

— რაც, როგორც ხედავთ, ხელს არ მიშლის თქვენს საუკეთესო მეგობრად დავრჩე.

— და ამას პარიზში ენამახვილობას ეძახიან, — თქვა ლილიანმა მათთან მიახლოვებისას. — გაითვალისწინეთ, რობერ: ისე სწრაფად არაფერი უფერულდება, როგორც ენამახვილობა!

— დამშვიდდით, ძვირფასო: სიტყვა  როგორც კი დაიბეჭდება, მხოლოდ მაშინ კვდება!"

ავტომანქანაში ჩასხდნენ, რომელიც მაშინვე დაიძრა. რადგან მათი საუბარი ასეთივე ენამახვილობით გაგრძელდა, ამიტომ მათ აქ გად-

მოცემასაც არანაირი აზრი არა აქვს. ისინი რომელილაც სასტუმროს ტერასაზე მიუსხდნენ მაგიდას, ბაღის პირდაპირ, რომელიც დაძრული ღამის სიბნელით ივსებოდა. სიბნელის ჩამოწოლასთან ერთად საუბარმაც დაკარგა სიმსუბუქე. თანაც ყველაზე მეტს ვენსანი ლაპარაკობდა, ლილიანი და რობერი ზოგჯერ თუ ჩაურთავდნენ სიტყვას.

# XVII

„— ადამიანები ცოტა ნაკლებად რომ მაინტერესებდეს, აუცილებლად ცოტა მეტად ცხოველებით დავინტერესდებოდი“, — თქვა რობერმა. ვენსანმა უპასუხა:

„— ალბათ, გგონიათ, რომ ადამიანები ცხოველებისგან ძალიან განსხვავდებიან. ჯერ არ ყოფილა ზოოტექნიკაში ისეთი აღმოჩენა, ამა თუ იმ ფორმით ხელი არ შეეწყო ადამიანის ცოდნისთვის. აქ ყველაფერი ერთმანეთს ეხება, ერთმანეთთან კავშირშია, და ასე მგონია, რომანისტი, რომელსაც ფსიქოლოგად მოაქვს თავი, თან თვალს არიდებს იმ სანახაობას ბუნება რომ სთავაზობს, არ სურს მისი კანონები იცოდეს, დაუსჯელი არ დარჩება. გონკურების „დღიურში“, ნასაკითხად რომ მომეცით, ერთ ადგილს წავაწყდი, ბოტანიკური ბაღის საბუნებისმეტყველო გალერეის დათვალიერებას რომ ეხება, სადაც თქვენი მომხიბლავი ავტორები ჩივიან ბუნების ან თვით ღმერთის წარმოსახვის არასაკმარისობაზე. ამ უბადრუკი მკრეხელობით მათ გამოააშკარავეს საკუთარი პატარა გონების შეზღუდულობა და სიღარიბე. პირიქით კია, ისეთი მრავალფეროვნებაა! იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბუნებამ რიგრიგობით მოსინჯა სიცოცხლისა და მოქმედების თითქმის ყველა შესაძლებლობა, გამოიყენა ვარიანტების ყველა სიმდიდრე, რომელიც მატერიასა და მის კანონებშია ჩადებული. რა გაკვეთილი შეიძლება მივიღოთ თუნდაც მხოლოდ ზოგიერთი პალეონტოლოგიური, არარაციონალური და დახვეწილობას მოკლებული ნამოწყებების თანდათანობითი უარყოფის გზით! რა ეკონომიაა გაწეული ზოგიერთი ფორმების გადარჩენაში! მათზე დაკვირვება გვიხსნის, რატომ გადაშენდნენ სხვები. თვით ბოტანიკაც კი რაღაცას გვასწავლის; როცა ხის შტოს ვაკვირდებით, ყოველი ფოთლის ძირში კვირტს ვამჩნევთ, რომელსაც მომავალი წლისთვის შეუძლია ამონაზარდი მოგვცეს. როცა ვხედავ, რამდენიმე კვირტიდან დიდი-დიდი ორი კვირტი განვითარდა და გაიშალა, დანარჩენი კი თავისი განვითარებით ატროფიამდე მიიყვანა, თანდათან ვრწმუნდები, რომ ადამიანებთანაც ზუსტად ასევე ხდება. ბუნებრივია, ტოტის ბოლოში განლაგებული კვირტები ვითარდება, ე. ი. ისინი, რომლებიც უფრო დაშორებულია ხის ტანს. თუ შტოს გადავჭრით ან რამეს მოვუჭერთ, მაშინ წვენი წინ აღარ წავა და შეიძლება, ხის ტანთან ახლოს

განლაგებული კვირტები განვითარდეს, რომლებიც წინააღმდეგ შემთხვევაში ისევ განუვითარებლები დარჩებოდნენ. ზუსტად ამავე საშუალებით შეიძლება ვაიძულოთ მსხმოიარობა უფრო თავნება ჯიშებსაც, რომლებიც საკუთარ ნებაზე რომ მივუშვათ, მხოლოდ ფოთლის წარმოებაზე გადავლენ. აჰ! რა მშვენიერი სკოლაა ხილის ბაღი ან ბაღჩა! და რა კარგი მასწავლებელი იქნებოდა ზოგიერთი მებაღე! თუ რიგიანად დავაკვირდებით საფრინველეს, საძაღლეს, აკვარიუმს, საკურდღლეს, ბოსელს უფრო დიდ ცოდნას მივიღებთ, დამიჯერეთ, ვიდრე წიგნებიდან, და ვიდრე ადამიანთა საზოგადოებაზე დაკვირვებიდან, სადაც ყველა, ცოტად თუ ბევრად, ყალბის მქმნელია".

მერე ვენსანმა სელექციაზე დაიწყო ლაპარაკი. მოყვა ჩვეულებრივ მეთოდზე, რომელსაც პრაქტიკაში იყენებენ უკეთესი თესლის გამოსაყვანად; ისაუბრა ყველაზე ძლიერი ეგზემპლარების შერჩევაზე და იმ გამბედავი მებაღის ექსპერიმენტულ ფანტაზიაზე, რომელმაც თავისი შიშნარევი რუტინით, შეიძლება, პროტესტის გამოც, გადანყვიტა პირიქით მოქცეულიყო, და უფრო სუსტი ნიმუშები აირჩია, შედეგად კი შეუდარებელი ყვავილობა მიიღო.

რობერი, დასაწყისში რომ ცალი ყურით უსმენდა, რადგან იმედი არ ჰქონდა რაიმე ახალს გაიგებდა, ახლა სიტყვას აღარ აწყვეტინებდა. ლილიანი ზეიმობდა, ვინაიდან რობერის ყურადღება, რაღაცნაირად მისი სატრფოსადმი პატივისცემის გამოხატულება იყო.

„— თევზებზეც უნდა მოგვიყვე, ზღვის წყლის სხვადასხვა დოზის მარილიანობასთან მათ შემგუებლობაზე, ერთხელ რომ მიამბე... სწორად ვთქვი? — უთხრა ლილიანმა.

— ზოგიერთი რეგიონის გამოკლებით, — დაიწყო ვენსანმა, — ზღვის წყლის მარილიანობა თითქმის ყველგან ერთნაირია და ზღვის ფაუნა სიმკვრივის უმნიშვნელო ცვლილებას ჩვეულებრივ იტანს. თუმცა, მკვრივი რეგიონებიც დაუსახლებელი არ არის; ასეთი რეგიონები ის რეგიონებია, სადაც აორთქლების ზეგავლენით წყლის რაოდენობა მცირდება და მასში მარილის რაოდენობა მატულობს, ანდა ის რეგიონები, სადაც პირიქით ხდება, მტკნარი წყლის მუდმივი დინება მარილს აჯერებს, თითქოს ზღვას მარილს აცლის, ჩვეულებრივ ეს ხდება დიდი მდინარეების შესართავებთან ან ზღვის მძლავრი დინებების ადგილას, როგორც გოლფსტრიმთან. ასეთ რეგიონებში ე. წ. სტენოგალინები ნელ-ნელა უძლურდებიან და იხოცებიან, რადგან საკუთარი თავის დაცვა აღარ შეუძლიათ იმ ცხოველებისგან, რომლებსაც ევრიგალინე-

ბი ეწოდება, მათი მსხვერპლნი ხდებიან. ამიტომ, როგორც წესი, ევრი-გალინები ცხოვრობენ, მძლავრი მდინარების პერიფერიებში, სადაც წყლის სიმკვრივე ჩვეულებრივ იცვლება და აგონიაში ვარდებიან სტენოგალინები. მიხვდით, ალბათ, სტენო ისინი არიან, ვინც მუდმივად საჭიროებენ მარილიანობის ერთი და იგივე დონეს, ევრი კი...

— ნაკლებ მარილიან წყალში თევზის ჭერის მოყვარულები არიან, — გააწყვეტინა რობერმა, რომელიც ყველა აზრს თავისად მიითვლიდა და ყველა თეორიიდან იმას იღებდა, რისი გამოყენებაც შეეძლო.

— მათი უმრავლესობა ძალიან მძვინვარეა, — დაუმატა ვენსანმა სერიოზულად.

— განა არ გითხარი, ყველა რომანზე საინტერესოა-მეთქი", — აღტაცებით წამოიძახა ლილიანმა. ვენსანი თითქოს გამოცვალესო, თავის წარმატებას ყურადღებაც არ მიაქცია; უჩვეულოდ სერიოზული იყო და უფრო დაბალი ხმით გააგრძელა, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებაო:

— ბოლო დროის ყველაზე განსაცვიფრებელი აღმოჩენა, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ყველაზე საყურადღებო, ღრმა წყლის ბინადართა ფოტოგენური აპარატების აღმოჩენაა.

— ესეც გვიამბე, — უთხრა ლილიანმა, რომელსაც სიგარეტი ჩაუქრა და სულ ახლახანს მოტანილი ნაყინიც უდნებოდა.

— თქვენთვის, ალბათ, ცნობილია, რომ დღის სინათლე ზღვის წყლების შრეებში არცთუ შორს იჭრება. სიღრმეში სიბნელეა... დიდი ხნის განმავლობაში უზარმაზარი უფსკრულები დაუსახლებლად მიაჩნდათ, მაგრამ, როცა ეცადნენ და მათში შეაღწიეს, იმ ჯურღმულებიდან უამრავი უცნაური ცხოველები ამოიყვანეს. ჯერ ფიქრობდნენ, რომ ეს ცხოველები ბრმები იყვნენ. მხედველობა, აბა, რა საჭიროა ასეთ უკუნ სიბნელეში? ამიტომ, ცხადია, არც თვალები აღმოაჩნდათ; არც უნდა ჰქონოდათ და არც შეეძლოთ ჰქონოდათ. მაგრამ, როცა უფრო ყურადღებით შეისწავლეს, გაოცებულებმა ნახეს, რომ ზოგიერთ მათგანს თვალები მაინც ჰქონდა; მერე თვალები ყველას უპოვეს, უფრო მეტიც, გასაოცარი მგრძნობელობის ულვაშებიც ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, ეჭვი მაინც დარჩა; ვერაფრით მიხვდნენ: რა საჭირო იყო თვალები, თუ ვერაფერს დაინახავდნენ? თვალი მგრძნობიარე ორგანოა, მაგრამ რა უნდა შეიგრძნონ?.. ბოლოს გაირკვა, რომ თითოეული ეს ცხოველი, რომელიც უმხედველოთა რიგში ჩანერეს, საკუთარ სინათლეს ასხივებს და თავის წინ და უკან პროეცირებას ახდენს.

ყოველი მათგანი ანათებს, სინათლეს ავრცელებს. როცა ეს ცხოველი ოკეანის სიღრმიდან ღამით ამოიღეს და გემბანზე დააგდეს, სიბნელე განათდა: მოძრავი, მოციმციმე, მრავალფერა ცეცხლი, მბრუნავი შუქურები, ვარსკვლავები და ძვირფას ქვათა ციალი; ისინი, ვინც ეს ნახა, ამტკიცებენ, არაფერია ამაზე დიდებული საყურებელიო".

ვენსანი დადუმდა. დიდხანს ისხდნენ უსიტყვოდ.

„— სახლში წავიდეთ, მცივა", — თქვა უცებ ლილიანმა.

ლედი ლილიანი მძღოლის გვერდით მოთავსდა, მანქანის ნინა მინით ქარისგან ოდნავ დაცულ ადგილზე. მამაკაცებმა, ქარისგან დაუცველი, ღია ადგილი დაიკავეს მანქანის უკანა სავარძელზე, კვლავ გააგრძელეს საუბარი. მთელი ტრაპეზის განმავლობაში რობერი დუმდა, ვენსანის მსჯელობებს უგდებდა ყურს, ახლა მისი რიგი დადგა.

„— ისეთი თევზები, ჩვენ რომ ვართ, ძვირფასო ვენსან, დამდგარ წყალშიც იხოცებიან, — თქვა და მეგობარს მხარზე ხელი დაჰკრა. საკუთარ თავს ვენსანთან ურთიერთობაში რაღაც ფამილარობის უფლებას აძლევდა, მაგრამ ვერ ითმენდა ამგვარი რამ სხვას ჩაედინა; თუმცა, ვენსანი ამისთვის არც იყო განწყობილი. — იცით, შეუდარებელი ადამიანი ხართ! რა კარგი მომხსენებელი იქნებოდით! პატიოსნებას გეფიცებით, მედიცინა უნდა მიატოვოთ. თქვენი თავი ვერ წარმომიდგენია, როცა საფაღარათო საშუალებებს ნიშნავთ ან ავადმყოფის საზოგადოებაში ატარებთ მთელ დროს. შედარებითი ბიოლოგიის კათედრა ან რაღაც ამისი მსგავსი, აი, უფრო მეტად რა შეგეფერებათ...

— უკვე ვიფიქრე ამაზე, — უპასუხა ვენსანმა.

— ლილიანი თქვენს დახმარებას შეძლებს თუ თავის მეგობარ მონაკოს მთავარს თქვენი გამოკვლევებით დააინტერესებს, რომელიც, როგორც მე ვიცი, ამგვარ საქმეებში ერკვევა... ლილიანს მოველაპარაკები.

— უკვე მელაპარაკა ამაზე.

— მაშინ გამოდის, რომ თქვენი დახმარების არანაირი შესაძლებლობა აღარ დამრჩა, — მოჩვენებითი გაგულისებით თქვა რობერმა, — თანაც მაშინ, როცა მეც მქონდა თქვენთან სათხოვარი.

— ახლა ჩემი რიგია სამსახური გაგიწიოთ. არ გეგონოთ, მახსოვრობა მღალატობდეს.

— როგორ! ის რაღაც ხუთი ათასი ფრანკი კიდევ გახსოვთ? ძვირფასო, ის ფული ხომ უკვე დამიბრუნეთ! აღარაფერი გმართებთ...

გარდა, ალბათ, ცოტაოდენი მეგობრობისა. — დაუმატა მინაზებული ხმით და ვენსანის ხელს შეეხო. — და ახლა მხოლოდ მას მოვუხმობ.

— გისმენთ". — უპასუხა ვენსანმა.

ამ დროს პასავანმა წამოიყვირა და საკუთარი მოუთმენლობა ვენსანს მიაწერა.

„— რას ჩქარობთ! ვიდრე პარიზში ჩავალთ, დრო საკმაოდ გვაქვს".

პასავანს განსაკუთრებული უნარი ჰქონდა სხვებისთვის დაეკისრებინა საკუთარ კაპრიზებზე პასუხისმგებლობა და ყველაფერზეც, რისგანაც გათავისუფლება უნდოდა. მერე, ვითომ სხვა თემაზე გადავიდა, ოღონდ იმ მეთევზეს დაემსგავსა, იმის შიშით კალმახი არ დავაფრთხოო, სატყუარას შორს ისვრის და მერე შეუმჩნევლად მიაცურებს მსხვერპლისკენ; პასავანმა თქვა:

„— მართლა. მადლობელი ვარ ძმა რომ გამომიგზავნეთ. მეშინოდა, დაგავიწყდებოდათ".

ვენსანმა ხელი ჩაიქნია. რობერმა გააგრძელა:

„— მერე ხომ არ გინახავთ!.. დრო არ გამოიძებნა, არა?.. მაშინ, ცოტა უცნაური კია, აქამდე რომ არ დაინტერესდით რაზე ვისაუბრეთ. არსებითად, ეს თქვენთვის სულერთი კია. საერთოდ არ გაინტერესებთ თქვენი ძმის საქმეები. არანაირ ყურადღებას არ იჩენთ ოლივიეს აზრებისადმი, მისი გრძნობებისადმი, არც იმისადმი, ახლა რას ნარმოადგენს და რა სურს გამოვიდეს...

— საყვედურებია?

— თუ გნებავთ, დიახ. არ მესმის თქვენი გულგრილობა და არ ვღებულობ. როცა პოში იყავით და მკურნალობდით, ეს გასაგებია, საკუთარ თავზე უნდა გეფიქრათ: ეგოიზმი მკურნალობის ერთ—ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია. მაგრამ ახლა... როგორ? თქვენს გვერდით არის ეს მოფანცქალე არსება, გამოღვიძების პროცესში მყოფი ეს გონება, ასეთი მრავლის აღმთქმელი, რომელიც საჭიროებს რჩევებსა და მხარდაჭერასაც...".

ამ წუთში პასავანს აღარ ახსოვდა, თვითონაც რომ ჰყავდა ძმა.

მაგრამ ვენსანის გაცურება ადვილი არ იყო; გადაჭარბებული საყვედურები აგრძნობინებდა, რომ მანცადამაინც დიდი გულწრფელობა არ იდო შიგ, და, რომ ამ აღშფოთების უკან, რაღაც სხვა იფარებოდა. ის დუმდა და ელოდა, კიდევ რას იტყოდა პასავანი. მაგრამ რობერი უცბად გაჩერდა. ვენსანმა სიგარეტი მოქაჩა და მის სინათლეზე რობერის

ტუჩების უცნაური ნაკეცები შეამჩნია, რომელიც ირონიული მოეჩვენა. ამ ქვეყანაზე ყველაზე მეტად კი დაცინვისა ეშინოდა. ნეტავ თუ ამაში იმალებოდა მიზეზი, რამაც ტონის შეცვლა აიძულა? ან იქნებ, იმ ინტუიტიურ შეგრძნებაში, რომ მასსა და ვენსანს შორის რაღაც საიდუმლო გარიგების მსგავსი რამ ხდებოდა... ყოველ შემთხვევაში, მან სრულიად ბუნებრივი ტონით გააგრძელა, რომელშიც იგრძნობოდა „თქვენთან თავის მოკატუნება საჭირო არ არის".

„— მაშ ასე! ჭაბუკ ოლივიესთან ძალიან საინტერესო საუბარი მქონდა. ბიჭი ძალიან მომეწონა".

პასავანი ეცადა ვენსანის გამოხედვა დაეჭირა (ღამე ძალიან ბნელი არ იყო), მაგრამ ეს უკანასკნელი წინ იყურებოდა.

„— ახლა, ჩემო ძვირფასო მოლინიე, აი, რა სათხოვარი მქონდა თქვენთან...".

მაგრამ, აქ პაუზის გაკეთების მოთხოვნილება ისევ გაჩნდა, და თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთი წამით დაშორდა თავის როლს, იმ აქტიორის მსგავსად, რომელიც აბსოლუტურად დარწმუნებულია, რომ მაყურებელზე მბრძანებლობს და ახლა მოისურვა ეჩვენებინა საკუთარი თავისთვის, მაყურებლისთვისაც, რომ იგი მბრძანებელია. იგი ლილიანისკენ გადაიხარა და ძალიან ხმამაღლა, თითქოს, რაც უკვე თქვეს და რასაც იტყოდა იმის კონფიდენციალურ ხასიათს ხაზს უსვამსო, ჰკითხა:

„— დარწმუნებული ხართ, ძვირფასო, რომ არ გაცივდებით? აქ პლედი გვიდევს, რომელიც არ გვჭირდება...".

მერე პასუხს არ დაელოდა, სავარძელზე ვენსანისკენ გადაწვა და ისევ ჩუმი ხმით თქვა:

„— მისმინეთ, ამ ზაფხულს თქვენი ძმის ნაყვანა მინდა დასასვენებლად. დიახ, ყოველგვარი ქარაგმების გარეშე გეუბნებით; მიდებ-მოდება რაში გვჭირდება?.. არა მაქვს პატივი ვიცნობდე თქვენს მშობლებს, და ბუნებრივია, ოლივიეს ჩემთან ერთად წამოსვლის ნებას არ მისცემენ, თუ თქვენ აქტიურად არ დამიჭერთ მხარს. ცხადია, საშუალებას მონახავთ ჩემს სასარგებლოდ განაწყოთ ისინი. ვფიქრობ, მშობლები კარგად გყავთ შესნავლილი და მათთან მიდგომის ხერხიც გაგაჩნიათ. გააკეთებთ ამას ჩემი გულისთვის?"

ოდნავ შეიცადა, მერე, რადგან ვენსანი დუმდა, გააგრძელა:

„— ყური დამიგდეთ, ვენსან... მალე პარიზიდან მივემგზავრები... ჯერ არ ვიცი, სად ნავალ. და ჩემთვის აუცილებელია მდივნის ნაყვანა...

თქვენ იცით, რომ ჟურნალი უნდა დავაარსო. ამაზე ოლივიეს ველაპარაკე. მჯერა, მას აუცილებელი მონაცემები აქვს... მაგრამ არ მინდა ყველაფერს ჩემი ეგოისტური მოსაზრებებით შევხედო: მიმაჩნია, რომ ყველა მისი დადებითი თვისება თავის ღირსეულ გამოყენებას ჰპოვებს. მას მთავარი რედაქტორის ადგილი შევთავაზე... მის ასაკში ჟურნალის მთავარი რედაქტორი გახდე!.. დამეთანხმეთ, ეს შესაძლებლობა ჩვეულებრივი ამბავი არ არის.

— იმდენად არ არის ჩვეულებრივი, რომ მეშინია ჩემი მშობლები ზუსტად ამან არ შეაშფოთოს, — თქვა ვენსანმა, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, რობერისკენ შებრუნდა და პირდაპირ თვალებში შეხედა.

— ცხადია, მართალი ბრძანდებით. იქნებ სჯობდეს კიდეც ამაზე აღარ ვილაპარაკოთ. პირველ რიგში შეგიძლიათ უბრალოდ თქვათ ამ მოგზაურობის სარგებლიანობის შესახებ. თქვენი მშობლები ხომ უნდა მიხვდნენ, რომ ამ ასაკში ქვეყნიერების ნახვის რა დიდი სურვილი აქვთ. მოკლედ, მათთან საქმეს თქვენ მოაგვარებთ, არა?"

სული მოითქვა, ახალ სიგარეტს მოუკიდა და ტონის შეუცვლელად გააგრძელა:

„— რადგან თავაზიანობა გამოიჩინეთ და დახმარებაზე დამეთანხმეთ, ვეცდები, მეც რაღაც გავაკეთო თქვენთვის. ვფიქრობ, შემიძლია ერთი ფრიად სარფიანი საქმის მოგვარებაში მოგეხმაროთ... ერთი ჩემი მეგობარი მსხვილ ბანკში მუშაობს და ბანკის კარს მხოლოდ რჩეულებს უღებს... ოღონდ, გთხოვთ, ეს ჩვენს შორის დარჩეს. ლილიანს სიტყვა არ უთხრათ. აქციების რაოდენობა შეზღუდული მაქვს და საქმეში მონაწილეობა არ შემიძლია ერთდროულად შემოგთავაზოთ თქვენც და ლილიანსაც... აი, ის, გუშინ მოგებული ორმოცდაათი ათასი ფრანკი...

— იმ ფულს უკვე გზა მოვუძებნე, — ოდნავ მშრალად უპასუხა ვენსანმა, რომელსაც ლილიანის გაფრთხილება არ დავიწყებოდა.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი... — მაშინვე გამოეხმაურა ვითომ ნაწყენი რობერი. — არ გაიძულებთ, ცხადია. — მერე ისეთი ტონით გააგრძელა, რომელშიც იგრძნობოდა „განა შემიძლია თქვენზე გულის მოსვლა?" — თუ გადაიფიქრებთ, დაუყოვნებლივ შემატყობინეთ... რადგან, ხვალ, საღამოს ხუთი საათის შემდეგ, უკვე გვიანი იქნება".

ვენსანმა სერიოზულად უკვე ველარ აღიქვა გრაფ დე პასავანის პიროვნება, როგორც კი ეს იგრძნო, უფრო მეტად მოიხიბლა მისით.

# XVIII

## ედუარდის დღიური

2 საათი

„ჩემოდანი დავკარგე. ასეც მომიხდება. ყველაზე მეტად დღიურის დაკარგვა მენანება. ძალიან მენანება. ძირითადად კი, ამ შემთხვევამ კარგად გამართო. მაგრამ ჩემი ქაღალდების უკან დაბრუნება ძალიან მინდა. ვინ ნაიკითხავს?.. გამორიცხული არ არის, დღიურის დაკარგვის შემდეგ, მის მნიშვნელობას მეტისმეტად ვაზვიადებდე კიდეც. დღიური ჩემი ინგლისში გამგზავრების ეპიზოდზე წყდებოდა. როცა იქ ვცხოვრობდი, ყველაფერს სხვა რვეულში ვიწერდი; საფრანგეში დაბრუნებისას კი ისიც მივატოვე. ახალ რვეულს, რომელშიც ახლა ვაკეთებ ჩანაწერებს, ვფიქრობ, მალე არ დავშორდები. სარკეა, რომელიც მუდამ თან დამაქვს. ჩემი ცხოვრების არც ერთი მოვლენა რეალურად არ მეჩვენება, ვიდრე ამ სარკეში არ დავინახავ მის ანარეკლს. მაგრამ საფრანგეთში დაბრუნების პირველივე წუთებიდან მეჩვენება, რომ სიზმარში ვარ. რა მძიმე აღმოჩნდა ოლივიესთან საუბარი! მე კი ველოდი, მისგან დიდ სიხარულს მივიღებდი... იმედიღა რჩება, რომ ისიც ისევე უკმაყოფილოა საუბრითაც, საკუთარი თავითაც და ჩემითაც, როგორც მე. სამწუხაროდ, არც მე გამომივიდა ლაპარაკი და ვერც ის ვაიძულე რამე ეთქვა. აჰ! რა ძნელია ყველაზე უმნიშვნელო სიტყვის მოძებნაც კი, მაშინ, როცა ამ სიტყვის მთელი არსით ჩართვაა საჭირო! როგორც კი გული საქმეში ერევა, ტვინი ითიშება და პარალიზებული ხდება.

7 საათი

„ჩემი ჩემოდანი ნაპოვნია, ყოველ შემთხვევაში, ნაპოვნია ის, ვინც იგი აიღო. ის, რომ ჩემოდანი ოლივიეს უახლოეს მეგობართან აღმოჩნდა, ურთიერთკავშირის დიდ ქსელს ქმნის, რომლის გამაგრებაც ჩემზეა დამოკიდებული. ოღონდ, სამწუხარო ის არის, რომ ყოველი

მოულოდნელი მოვლენა ჩემში იმდენად მძაფრ ინტერესს იწვევს, მხედველობიდან ვკარგავ წინადღით დასახულ მიზანს.

„ვნახე ლორა. როგორც კი გზაზე რაიმე სიძნელეს გადაეყრება, იძულებული ხდება რაღაც ბანალურსა და ჩვეულებრივ პირობითობებს ებრძოლოს, ამიტომ მისი დახმარების სურვილი მიმძაფრდება.

„ვიზიტი მოხუც ლა პერუზთან. კარი ქალბატონმა ლა პერუზმა გამიღო. ორი წელია არ მინახავს, მაგრამ მაინც მაშინვე მიცნო (არა მგონია, სტუმრები ხშირად დადიოდნენ მათთან). სიტყვამ მოიტანა და თვითონ ისიც თითქმის არ შეცვლილა; მაგრამ (იმიტომ ხომ არა, რომ საკუთარი თავი მის წინააღმდეგ განვაწყე) მისი ნაკვთები უფრო უხეში მომეჩვენა, გამოხედვა უფრო მძაფრი, ხოლო ღიმილი ადრინდელზე უფრო ყალბი.

„— ვშიშობ, ბატონ დე ლა პერუზს თქვენი მიღების თავი არ აქვს, — მაშინვე მომახალა აშკარად იმ განზრახვით, რომ საქმე ისე მოეგვარებინა მასთან მესაუბრა და არა მის ქმართან; მერე თავისი სიყრუით ისარგებლა და მიპასუხა, თუმცა მე არაფერი მიკითხავს: — არა, არა, სულ არ მაწუხებთ. შემობრძანდით".

„ოთახში შემიყვანა, რომლის ორი ფანჯარაც ეზოს გადაჰყურებდა, სადაც ლა პერუზი, ჩვეულებრივ, გაკვეთილებს ატარებდა ხოლმე; ახლა უკვე მის განკარგულებაში ვიყავი და დაიწყო კიდეც:

„— ძალიან მიხარია, რომ შესაძლებლობა მომეცა პირისპირ გელაპარაკოთ. ბატონ დე ლა პერუზის მდგომარეობა ძალიან მაწუხებს. მასთან, როგორც ვიცი, ხანგრძლივი და ერთგული მეგობრობა გაკავშირებთ. თქვენ დაგიჯერებთ. იქნებ დაარწმუნოთ, რომ იმკურნალოს? თორემ, ჩემი ნათქვამი მასზე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს მალბრუკზე ვუმღეროდე".

„და მოჰყვა დაუსრულებელ საყვედურებს: მოხუცი მხოლოდ ერთი მიზნით ამბობს უარს მკურნალობაზე, რათა მე გამტანჯოსო. აკეთებს ყველაფერს, რაც არ უნდა აკეთოს; არაფერს აკეთებს, რაც საჭიროა გააკეთოსო. ყოველგვარ ამინდში გადის ქუჩაში, ყელზე შარფის შემოხვევაზე უარს ამბობს; უარს ამბობს ჭამაზე: „ბატონს არ შია"; თვითონ იგი რას არ აკეთებს, რომ მადა გაუღვიძოს; ის კი, ღამე დგება, სამზარეულოს აქოთებს და რაც მოხვდება იმას ჭამსო.

„აშკარად ეტყობოდა, მოხუცი არაფერს იგონებდა; ვუსმენდი მის ლაპარაკს და ვხვდებოდი, რომ ყველაზე უწყინარი, წვრილმანი ფაქტების ინტერპრეტაციას შეურაცხმყოფელ აზრს ანიჭებდა, რაც სინამდ-

ვილეს საზარელ ჩრდილს აყენებდა ამ საცოდავი ადამიანის ტვინში. მაგრამ ქმარი, თავის მხრივ, ცოლის ზრუნვისა და ყურადღების ყოველ გამოვლინებას მცდარ განმარტებას ხომ არ აძლევდა, რის გამოც დედაბერს წამებულად მიაჩნდა თავი და მოხუცი კაცი ჯალათად გამოიყურებოდა? მათ განსჯაზე უარს ვამბობ; არც მათი გაგება მინდა; უფრო ზუსტად, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, რაც უფრო კარგად მესმოდა მათი, მით უფრო რბილდებოდა ჩემი განაჩენი. ასეა თუ ისე, ისინი მთელი ცხოვრებით არიან ერთმანეთზე გადაჯაჭვულნი და ერთმანეთს უდიდეს ტანჯვას აყენებენ. ცოლ—ქმრისთვის ხშირად შემიმჩნევია, რა მწარე გაღიზიანებას იწვევს ერთში მეორის ხასიათის უმცირესი ცვლილებაც კი, რადგან ეს ცვლილება „ერთობლივი ცხოვრების" განმავლობაში განუწყვეტლივ ერთი და იმავე ადგილს ეხახუნება; მაგრამ თუ ეს ხახუნი ერთობლივია, ცოლქმრული ცხოვრება ჯოჯოხეთს ემსგავსება.

„შავი ლენტებით გაწყობილი პარიკის გამო მისი ფერმიხდილი სახე უფრო მკაცრი ჩანდა; გრძელი შავი უთითო ხელთათმანებიდან კლანჭებივით მოუჩანდა თითები და ქალბატონ დე ლა პერუზს ჰარპიას[1] ამსგავსებდა.

„ — მსაყვედურობს, ჯაშუშივით დამდევო, — გააგრძელა დედაბერმა. — მუდამ დიდხანს ეძინა; ახლა ღამღამობით ჯერ თავს იკატუნებს, ვითომ დასაძინებლად წვება, მერე, როცა ჰგონია რომ დავიძინე, დგება, ძველ ქაღალდებში იქექება; ზოგჯერ დილამდე ტირილით კითხულობს დიდი ხნის წინ გამოგზავნილი თავისი გარდაცვლილი ძმის წერილებს. და თანაც უნდა, ეს ყველაფერი უსიტყვოდ ავიტანო!"

„მერე წუწუნი დაიწყო; ხანდაზმულთა სახლში უნდა ჩემი გაგზავნაო; თან დაუმატა, ამას ვერ გადავიტან, რადგან ბერიკაცი მარტო ცხოვრებას არ არის მიჩვეული და ჩემი მზრუნველობის გარეშე არ შეუძლია ყოფნაო. ისეთი შესაბრალისი ტონით თქვა, აშკარად ემჩნეოდა თვალთმაქცობა.

„ვიდრე წუწუნებდა, მის უკან სასტუმრო ოთახის კარი ისე ჩუმად გაიღო, ვერ გაიგო ლა პერუზის გამოჩენა. როცა დედაბერმა ბოლო წინადადება წარმოთქვა, მოხუცმა გაიღიმა ირონიულად და თითი

---

1. თოვლის, ქარ-ბუქის ღვთაება. ფრთოსანი მტაცებელი ქალღმერთი. გადატანითი მნიშვნელობით ავი დედაკაცი.

შუბლთან მიიტანა, მანიშნა გიუიაო. მერე მოუთმენლად და უხეშადაც კი, რასაც მისგან არ ველოდი, და თითქოს დედაბრის ბრალდებებს ადასტურებსო (ნაწილობრივ მისი მანერის სიმკვახე ცოლის სიყრუის ბარიერის გადალახვის აუცილებლობითაც აიხსნება), თქვა:

„— გეყოფათ, ქალბატონო! გაიგეთ, რომ თქვენი ლაპარაკით სტუმარი დაღალეთ. ჩემი მეგობარი თქვენთან არ მოსულა. დაგვტოვეთ".

„დედაბერმა პროტესტი გამოთქვა, სავარძელი, რომელზეც ვზივარ ჩემია და არ ავდგებიო.

„— მაშინ, — თქვა ლა პერუზმა დაცინვით, — თუ ნებას მოგვცემთ, ჩვენ წავალთ. — მომიბრუნდა და სულ სხვა ტონით, ლმობიერად მითხრა:

„— წამობრძანდით! ეს აქ დარჩეს".

„ქალს რაღაც ულაზათოდ დავემშვიდობე და ლა პერუზს მეზობელ ოთახში გავყევი, სადაც ამას წინათ მიმიღო.

„— მიხარია, რომ მაგისი ლაპარაკის მოწმე გახდით, — მითხრა. — აი, ასე იქცევა მთელი დღე".

„ფანჯრები დახურა.

„— ქუჩის ამ ხმაურში არაფერი მესმის. მთელ ჩემს დროს ფანჯრების დახურვაში ვხარჯავ; ქალბატონი დე ლა პერუზი კი იმაში ხარჯავს დროს, რომ ისევ გააღოს. ამტკიცებს, ვიხრჩობიო. მუდამ ყველაფერს აზვიადებს. არ უნდა იმის გაგება, რომ გარეთ უფრო ცივა, ვიდრე შიგნით. გარეთ პატარა თერმომეტრიც კი მაქვს, როცა ვაჩვენებ, მპასუხობს, ციფრები არაფერს ნიშნავსო. უნდა რომ მართალი იყოს მაშინაც, როცა ნამდვილად იცის, რომ არ არის მართალი. მისთვის მთავარი ჩემთვის წინააღმდეგობის გაწევაა".

„ვუსმენდი მის ლაპარაკს და მომეჩვენა, რომ თვითონაც არ იყო განონასწორებული; და უფრო აღგზნებულმა განაგრძო:

„— ყველაფერს, რასაც ცხოვრებაში ნაღმა-უკუღმა აკეთებს, მე მაბრალებს. ყველა მისი მოსაზრება ყალბია. აი, მომისმინეთ და მიხვდებით. ცნობილია, რომ გარე სამყაროს სახეები ჩვენს ტვინში გადაბრუნებული სახით ხვდება და იქ სპეციალური ნერვული აპარატი ყველაფერს აწესრიგებს. ქალბატონ დე ლა პერუზს ასეთი აპარატი არ აქვს და მის ტვინში ყველაფერი გადაბრუნებული რჩება. ვერ წარმოიდგენთ, რა მძიმეა ეს".

„როცა ამას ამბობდა, აშკარად გრძნობდა შვებას და სიტყვა არ შემინყვეტინებია. მან გააგრძელა:

„— ქალბატონი დე ლა პერუზი მუდამ მეტისმეტად ბევრს ჭამდა. ახლა ამტკიცებს, თითქოს მე ვჭამ ბევრს. თუ ხელში შოკოლადის ფილა დამინახა (ეს ჩემი ძირითადი საკვებია), მაშინვე აჩიფჩიფდება: — სულ ღრღნის და ღრღნის!.. — განუწყვეტლივ მითვალთვალებს. მაბრალებს, რომ ღამით ვდგები და ჩუმად ვჭამ; აიჩემა, რადგან ერთხელ მართლაც შემომასწრო, როცა სამზარეულოში ფინჯან შოკოლადს ვიმზადებდი. აბა, რა ვქნა? როცა დავინახავ ჩემს პირდაპირ მჯდარი როგორ მივარდება ხოლმე საჭმელს, მადა მეკარგება. ის კი ამტკიცებს, თითქოს განგებ ვუინიანობ მის გასაწამებლად“.

„ერთხანს შეიცადა, მერე ამაღლებული ლირიული ტონით გააგრძელა:

„— მისი საყვედურები აღტაცებას მგვრის!.. მაგალითად, როცა წელკავით იტანჯება, მეცოდება. ის კი მხრებს იჩეჩს და მეუბნება: „თავს ნუ იკატუნებთ, თითქოს გული გაქვთ“. მისი აზრით, ყველაფერი, რაც უნდა გავაკეთო, ვთქვა, ყველაფერს მის სატანჯველად ვაკეთებ“.

„ორივე ვისხედით, მაგრამ ის, რაღაც უცნაური ავადმყოფური მოუსვენრობით, ხან წამოხტებოდა, ხანაც ისევ ჯდებოდა:

„— წარმოგიდგენიათ, რომ ყოველ ოთახში არის ავეჯი, რომელიც მას ეკუთვნის და არის, რომელიც მე მეკუთვნის. სულ ახლახან თვითონვე ნახეთ, რაც თქვა იმ სავარძელზე. ბინის დასალაგებლად მოსულ ქალს, როცა საქმიანობს, ეუბნება: „არა, ხელი არ ახლოთ, ეს ბატონ დე ლა პერუზის საკუთრებაა“. ერთხელ, როცა ნოტების რვეული შემთხვევით მის მაგიდაზე დავდე, აიღო და გადააგდო... ოო! ასე დიდხანს გაგრძელება აღარ შეიძლება... მისმინეთ...“.

„ხელი მტაცა და ხმას დაუწია:

„— რაღაც ზომები უკვე მივიღე. განუწყვეტლივ მემუქრება, თუ „ასე გავაგრძელებ“ ხანდაზმულთა სახლში გადავა საცხოვრებლად. გარკვეული თანხა გადავინახე, რომელიც სენტ-პერინში მის შენახვას უნდა ეყოს; ამბობენ, ყველაზე კარგი დაწესებულებაა. ის რამდენიმე გაკვეთილი, ჯერ კიდევ რომ მაქვს, თითქმის არავითარ შემოსავალს არ მაძლევს. ცოტა ხნის შემდეგ, ჩემი რესურსები ამოიწურება და ამ თანხის გახარჯვა მომიწევს, მე კი არ მინდა მისი დახარჯვა. ამიტომ ერთი გადაწყვეტილება მივიღე... ეს მოხდება სამი თვის მერე, ცოტა გვიანაც. დიახ, თარიღიც მოვნიშნე. ვერ წარმოიდგენთ, ჩემთვის როგორი ნუგეშია, ყოველი საათის გასვლის შემდეგ, ეს თარიღი რომ უფრო მიახლოვდება“.

„ჩემსკენ გადმოხრილი იჯდა აქამდე, ახლა უფრო მეტად გადმოიხარა:

„— რენტის მისაღებად ერთი საბუთი გადავდე. რენტა დიდი არ არის, მაგრამ მეტი ვერ შევძელი. ქალბატონმა დე ლა პერუზმა ამის შესახებ არაფერი იცის. იგი ჩემი საწერი მაგიდის უჯრაშია შენახული, კონვერტი თქვენს სახელზეა, ყველა აუცილებელი განკარგულებებით. შეიძლება, თქვენი დახმარების იმედი მქონდეს? ფულის საქმეებში არაფერი გამეგება, მაგრამ ნოტარიუსმა, რომელსაც ველაპარაკე, ამიხსნა, რომ ნლიური შემოსავალი შეიძლება გადაეცეს ჩემს შვილიშვილს სრულწლოვანების მიღწევამდე, მანამდე, ვიდრე ამ რენტის მფლობელი გახდება. ვიფიქრე, მეტისმეტად არ გადაგტვირთავთ, თუ გთხოვთ, როგორც ძველ მეგობარს, თვალ-ყური ადევნოთ, რომ ჩემი სურვილი შესრულდეს. ნოტარიუსებს მაინცა და მაინც არ ვენდობი!.. ჩემი სიმშვიდის გულისთვის, ახლავე ხომ არ აიღებთ კონვერტს?.. აიღებთ, ხომ? ნავალ, მოვიტანე“.

„მისთვის ჩვეული ცუხცუხით გავიდა და კონვერტი მოიტანა.

„— მომიტევეთ, რომ დავლუქე. უბრალოდ, ფორმის გამო გავაკეთე. გამომართვით“.

„დავხედე, ჩემი სახელის ქვევით კალიგრაფიული ხელით მინერილი ამოვიკითხე: „გაიხსნას ჩემი სიკვდილის შემდეგ“.

„— ჩქარა ჯიბეში ჩაიდეთ, რომ დავრწმუნდე ხიფათი აღარ ემუქრება. გმადლობთ... ძალიან გელოდებოდით!..“.

„ხშირად ისეთი გრძნობა მეუფლება, რომ აი, ასეთ საზეიმო წუთებში, მთელ ჩემს ადამიანურ გრძნობებს შეუძლია ადგილი ერთგვარ, თითქმის მისტიკურ ტრანსს დაუთმოს, რაღაცნაირ აღფრთოვანებას, რისი წყალობითაც მთელი ჩემი არსებით ვმაღლდები, ანუ უფრო სწორად, საკუთარი ეგოისტური სურვილებისგან ვთავისუფლდები, ვთავისუფლდები საკუთარი თავისგან, საკუთარი ინდივიდუალობისგან. ის, ვისაც მსგავსი მდგომარეობა არ განუცდია, ბუნებრივია, ვერ გამიგებს. მაგრამ ვგრძნობდი, ლა პერუზს ჩემი ესმოდა. ყოველგვარი წინაალმდეგობა ჩემი მხრიდან უადგილო იქნებოდა, შეუფერებელი და მხოლოდ ხელის მტკიცე ჩამორთმევით დავკმაყოფილდი; ჩემი ხელი დიდხანს გააჩერა თავის ხელში. თვალი უცნაური ბრწყინვალებით უელავდა. მეორე ხელში, აქამდე კონვერტი რომ ეჭირა, მეორე ქაღალდიც დავუნახე:

„— მისი მისამართი დავწერე. ახლა უკვე ვიცი სადაც არის. საას-

ფეში—ა. იცით, სად არის საას-ფე? შვეიცარიაშია. რუკაზე ვეძებე, მაგრამ ვერ ვიპოვე.

„— დიახ, ვიცი. — ვუთხარი. — პატარა სოფელია. სერვენის ახლოს.

„— აქედან ძალიან შორს არის?

„— ალბათ. მაგრამ, არც ისე შორს, იქ ჩასვლა რომ ვერ მოვახერხო.

„— მართლა! შეგიძლიათ ეს გააკეთოთ?.. ოო! რა კეთილი ხართ, — მითხრა. — ჩემთვის კი... მე ხომ ძალიან ბებერი ვარ. თანაც დედამისის გამო, არ შემიძლია... და მაინც მგონია, რომ მე... — შეყოყმანდა, შესაფერ სიტყვას ეძებდა, მერე გააგრძელა: — დარწმუნებული რომ ვიყო ვნახავდი, სიხარულით წავიდოდი.

„— ჩემო საცოდავო მეგობარო... მთელს ჩემს შესაძლებლობებს გამოვიყენებ და ვეცდები, ჩამოგიყვანო. თქვენ ნახავთ პატარა ბორისს, გპირდებით.

„— გმადლობთ... გმადლობთ...".

„აკანკალებულმა ჩამიკრა გულში.

„— ოღონდ, დამპირდით, რომ აღარ იფიქრებთ იმ...

„— ოო! ეს სულ სხვა რამეა, — თქვა და სიტყვა შემაწყვეტინა. მერე მაშინვე, თითქოს ჩემი ყურადღების გადატანა სხვა რამეზე უნდაო, გააგრძელა:

„— წარმოგიდგენიათ, ერთ დღეს, ჩემი ყოფილი მოწაფის დედამ ჩემი თეატრში წაყვანა მოინდომა! დაახლოებით, ერთი თვის წინ მოხდა ეს. დილის სპექტაკლი იყო „კომედი-ფრანსეზში". ოც წელზე მეტია თეატრში არ ვყოფილვარ. ვიქტორ ჰიუგოს „ერნანს" თამაშობდნენ. იცით, ხომ? ეტყობა, კარგად თამაშობდნენ. ყველა აღფრთოვანებული იყო. მე კი უჩვეულოდ ვიტანჯებოდი. ზრდილობა მაკავებდა, თორემ წამოვიდოდი... ლოჟაში ვიჯექით. მეგობრები ჩემს დამშვიდებას ცდილობდნენ. ცოტაც და მაყურებელს დავუყვირებდი. ოო! ეს როგორ შეიძლება? როგორ შეიძლება?..".

„ჯერ ვერ გავიგე, რას გულისხმობდა და ვკითხე:

„— მსახიობები არ მოგეწონათ?

„— ცხადია. როგორ ბედავენ ასეთი საზიზღრობის სცენაზე გამოტანას?.. მაყურებელი კი ტაშს უკრავდა! დარბაზში ხომ ბავშვები იყვნენ; ბავშვები, მშობლებმა რომ მოიყვანეს და პიესის შინაარსიც

იცოდნენ... პირდაპირ საშინელებაა. თანაც ეს ყველაფერი თეატრში ხდება, რომელიც დაფინანსებას სახელმწიფოსგან იღებს!"

„ამ უკეთილესი ადამიანის აღშფოთება კომიკური ჩანდა. სიცილი ძლივს შევიკავე. შევესიტყვე, დრამატული ხელოვნება გრძნობათა გამოხატვის გარეშე არ არსებობს-მეთქი. იმანაც მიპასუხა — ვნებათა გამოხატვა, ასეა თუ ისე, ცუდი მაგალითიაო. ერთხანს გაგრძელდა ჩვენი კამათი და ეს პათეტიკური ელემენტი რომელიღაც საორკესტრო პიესის სპილენძის ინსტრუმენტების გაშმაგებას შევადარე:

„— მაგალითად, ავიღოთ, ტრომბონების შემოსვლა ბეთჰოვენის სიმფონიაში, რომლითაც ასე ხართ აღფრთოვანებული...

„— ამ ტრომბონების შემოსვლით სულაც არა ვარ აღფრთოვანებული! — დაიყვირა მოულოდნელი სიფიცხით. — რატომ უნდა ვიყო იმით აღფრთოვანებული, რაც მაშფოთებს?"

„მთელი სხეულით აკანკალდა. მის ხმაში სიმკაცრის ნოტა გაისმა, მტრულიც და ამან არა მარტო მე გამაოცა, მგონი, თავადაც გაოცდა, რადგან მაშინვე მშვიდი ხმით გააგრძელა:

„— შეამჩნიეთ, ალბათ, რომ თანამედროვე მუსიკამ მთელი თავისი ძალა იქით მიმართა, რათა ზოგიერთი აკორდი, ადრე რომ დისონანსურად მიიჩნეოდა, ჩვენი სმენისთვის ასატანი და სასიამოვნო გაეხადა.

„— რასაკვირველია, — ვუპასუხე, — ყველაფერი, ბოლოს და ბოლოს, ჰარმონიას ემორჩილება და ჰარმონიის ნაწილი ხდება.

„— ჰარმონია! — გაიმეორა მხრების აჩეჩვით. — მასში მხოლოდ ბოროტებასთან, ცოდვასთან მიჩვევას ვხედავ. მგრძნობელობა ჩლუნგდება, სიწმინდე უფერულდება, რეაქცია ნელდება. ყველაფერს შემწყნარებლურად ვუყურებთ და ყველაფერს ვღებულობთ...

„— თქვენ რომ გისმინონ, ბავშვის ძუძუდან მოშორებაც ვერ უნდა გაბედონ".

„ჩემთვის არც მოუსმენია, ისევ თავისი გააგრძელა:

„— ჭაბუკური შემართების კვლავ შეძენის შესაძლებლობა რომ იყოს, მაშინ ყველაზე დიდ აღშფოთებას ჩვენში ის გამოიწვევდა, რადაც ვიქეცით".

„თეოლოგიური კამათის წამოსაწყებად ძალიან გვიანი იყო, ამიტომ ვცადე მისთვის ჩვეული თემისთვის დამებრუნებინა:

„— მუსიკის მხოლოდ უშფოთველობის გამომსახველობამდე დაყვანისკენ ხომ არ ისწრაფვით? ასეთ შემთხვევაში ერთი აკორდიც საკმარისი იქნება. ერთადერთი მშვენიერი, დაუსრულებელი აკორდი".

„ჩემი ორივე ხელი აიღო, თითქოს ექსტაზშიაო, მავედრებელი თვალებით შემომხედა და რამდენჯერმე გაიმეორა:

„— მშვენიერი, დაუსრულებელი აკორდი; დიახ, ზუსტად ასეა, მშვენიერი, დაუსრულებელი აკორდი... ოღონდ, მთელი ჩვენი სამყარო დისონანსის მსხვერპლი აღმოჩნდა“. — დაუმატა ნაღვლიანად.

„გამოვემშვიდობე. კარამდე მიმაცილა, გადამეხვია და ჩამჩურჩულა:

„— აჰ! რა დიდი ხნის ცდაა კიდევ საჭირო აკორდის საქმის გადასაწყვეტად!“

# ნაწილი მეორე

## საას-ფე

### I

ბერნარი ოლივიეს

ორშაბათი

„ძვირფასო მეგობარო,

„ჯერ იმას გაუწყებ, რომ გამოცდები არ ჩავაბარე. ცხადია, თვითონაც მიხვდი, როცა არ მოვედი. ოქტომბერში ჩავაბარებ. სამოგზაუროდ წასვლის სრულიად იშვიათი შესაძლებლობა მომეცა. ამ შესაძლებლობით ვისარგებლე და არც ვნანობ. სასწრაფოდ უნდა გადამეწყვიტა წასვლის ამბავი; არც მოსაფიქრებელი დრო მქონდა და არც შენთან დასამშვიდობებელი. ამასთან დაკავშირებით, ჩემმა თანამგზავრმა დამავალა გადმოგცე მისი დიდი სინანული, რომ ისე გაემგზავრა, ვერ შეძლო შენთან დამშვიდობება. იცი, ვისთან ერთად გავემგზავრე? უკვე ხვდები... ედუარდთან ერთად, შენს სახელოვან ბიძასთან, რომელსაც მისი პარიზში ჩამოსვლის დღესვე საღამოს შევხვდი ფრიად უჩვეულო და სენსაციურ ვითარებაში, რაზეც მოგვიანებით გიამბობ. მოკლედ, ამ თავგადასავალში უჩვეულო აღმოჩნდა ყველაფერი; როცა ვიხსენებ, თავბრუ მეხვევა. ახლაც კი დაჯერებას ვერ ვბედავ, რომ ეს ყველაფერი მართალია და ამ სტრიქონებს შვეიცარიიდან გწერ, სადაც ედუარდთან ერთად და... ბევრი რამ უნდა გიამბო, ოღონდ, მერე წერილი დახიე და ყველაფერი საიდუმლოდ შეინახე.

„წარმოგიდგენია, შენი ძმისგან მიტოვებული, საცოდავი ქალი, რომლის ტირილიც, ღამით, შენი ოთახის კართან გესმოდა (ნება მომეცი, გითხრა, კარი რომ არ გაუღე, იდიოტივით მოიქეცი), ედუარდის დიდი მეგობარი აღმოჩნდა და, იმავე დროს, ვედელის ღვიძლი შვილი, შენი მეგობარი არმანის და. ეს ყველაფერი არ უნდა მოგიყვე, რადგან

საქმე ქალის ღირსებას ეხება, მაგრამ ვინმეს თუ არ ვუამბე, ველარ ავიტანდ და მოვკვდები... კიდევ ერთხელ გთხოვ: სიტყვა არავისთან დაგცდეს. იცი, რომ ის ქალი ამ ცოტა ხნის წინ გათხოვდა; შეიძლება, ისიც იცი, რომ ქორწინების შემდეგ მალე ავად გახდა და სამხრეთში წავიდა სამკურნალოდ. ზუსტად იქ, პოში, გაიცნო ვენსანი. შეიძლება ესეც იცი. მაგრამ ის, რაც არ იცი ისაა, რომ ამ შეხვედრას თავისი შედეგი მოჰყვა. დიახ, მეგობარო! შენმა შეჩვენებულმა და მოუქნელმა ძმამ დააორსულა. პარიზში ფეხმძიმედ ჩამოვიდა და მშობლებთან გამოჩენა, ოჯახურ კერაზე დაბრუნება ვერ გაბედა. ამასობაში შენმა ძმამაც მიატოვა; უკვე იცი, როგორც მოხდა. კომენტარებისგან დაგზოგავ და თავს აღარ შეგაწყენ, მაგრამ შემიძლია გაუწყო, რომ ლორა დუვიე შენს ძმას არაფერში ადანაშაულებს და არც მასზე რამე ხინჯი უდევს გულში. პირიქით, რას არ იგონებს, რომ მისი საქციელი გაამართლოს. ერთი სიტყვით, ძალიან კარგი ადამიანი და ძალიან სასიამოვნო ქალია. და კიდევ, ნამდვილად ძალიან კარგი ადამიანია ედუარდი. რადგან ლორამ არ იცოდა რა ექნა, სად წასულიყო, ედუარდმა შვეიცარიაში წასვლა შესთავაზა, მეც მთხოვა გაყოლა, რადგან მარტო მოგზაურობა ქალთან, რომელსაც მისდამი მხოლოდ მეგობრული გრძნობები გააჩნია, ბიძაშენს უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებდა. აი, ასე გავემგზავრეთ სამივე. ეს ყველაფერი, რაღაც ხუთ წუთში გადაწყდა: ზუსტად იმდენ დროში, რაც მათი ჩემოდნების ჩალაგებასა და ცოტა ჩემს შემოსვას უნდოდა (იცი, რომ სახლიდან სრულიად ხელცარიელი წამოვედი). ვერ წარმოიდგენ, ამ სიტუაციაში ედუარდი რა თავაზიანი იყო; უფრო მეტიც, გამუდმებით მიმეორებდა, მე კი არა, შენ მიწევ სამსახურსო. დიახ, მეგობარო, ტყუილი არ გითქვამს: ბიძაშენი საუცხოო ტიპია.

„მოგზაურობა საკმაოდ მძიმე გამოდგა, რადგან ლორა ძალიან იღლებოდა და მისი მდგომარეობა (ფეხმძიმობის მესამე თვეშია) სიფრთხილის ყოველგვარი ზომის დაცვას მოითხოვდა. და კიდევ იმიტომ, იმ ადგილამდე მიღწევა, საითაც გადავწყვიტეთ წასვლა (მრავალი მიზეზის გამო, რომლის მოყოლასაც დიდი დრო დასჭირდება), ფრიად ძნელი გამოდგა. ხშირად ლორაც ართულებდა საქმეს, უარს ამბობდა სიფრთხილის დაცვაზე და ვაიძულებდით გაფრთხილებულიყო. განუწყვეტლივ რაღაც უბედურ შემთხვევაზე ლაპარაკობდა, რომელიც ყველაზე უკეთესი გამოსავალი იქნებოდა მისთვის. ასე რომ, წარმოიდგინე რა ფრთხილად უნდა მოვქცეოდით მას. აჰ! ჩემო მეგობარო, რა განსაცვიფრებელი ქალია! სრულიად სხვა ადამიანად ვგრძნობ თავს, ვიდრე

მასთან შეხვედრამდე ვიყავი; ისეთი აზრებიც მაქვს, რომელთა ჩამოყალიბებასაც ვერ ვბედავ; გული ისე მიცემს, ძლივს ვაკავებ, რადგან მრცხვენია მისი ულირსი არ გამოვჩნდე. პატიოსნებას გეფიცები, ასე მგონია, როცა მის გვერდით ვარ, თავში მხოლოდ კეთილშობილი ფიქრები მომდის. ჩვენი, სამივეს, საუბარი თავისუფალი ხასიათისაა, რადგან ლორა პრანჭიკელა სულაც არ არის, და აბსოლუტურად ყველაფერზე ვლაპარაკობთ. მაგრამ გარწმუნებთ, არსებობს უამრავი რამ, რაზეც უკვე მისი თანდასწრებით აღარ გავიცინებ, და ახლა ისინი ძალიან სერიოზული მგონია.

„ალბათ, ფიქრობ, რომ მასზე შეყვარებული ვარ. რა ვქნა, არ ცდები. სიგიჟეა, არა? შეგიძლია წარმომიდგინო ორსულ ქალზე შეყვარებულად, რომელსაც, ცხადია, პატივს ვცემ და თითის დაკარებასაც ვერ გავუბედავ? ხომ ხედავ, გარყვნილ კაცად გადაქცევა არ მემუქრება... საას-ფეში უამრავი სიძნელის გადალახვის შემდეგ ჩავაღწიეთ (ლორასთვის პორტშეტი[1] ვიქირავეთ, რადგან ეტლი ამ ადგილებში ვერ დადის); სასტუმროში მხოლოდ ორი ოთახი მოიძებნა, ერთი დიდი — ორსანოლიანი, მეორე — პატარა, რომელზეც სასტუმროს პატრონის დასწრებით ითქვა, რომ მე ვიცხოვრებდი, რადგან ლორას ნამდვილი სახელის დასაფარად, ედუარდის ცოლად ვასახელებდით; მაგრამ ყოველღამე ის პატარა ოთახში გადადის, მე კი ედუარდთან დიდ ოთახში ვიძინებ. მსახური რომ არ მიხვდეს, ყოველდილა, ასეთ გადაბარგებას ვაწყობთ. საბედნიეროდ, ორივე ოთახი ერთმანეთს უკავშირდება, რაც საქმეს ამარტივებს.

„ექვსი დღეა აქა ვართ; უფრო ადრე წერილი ვერ მოგწერე, რადგან ამ ყველაფერმა თავგზა ამირია და აზრებისა და გრძნობების ნესრიგში მოყვანა დამჭირდა. მხოლოდ ახლაღა მოვდივარ გონს.

„ედუარდმა და მე რამდენიმე თავშესაქცევი გასეირნება მოვაწყვეთ მთებში, თუმცა, სიმართლე რომ გითხრა, ეს ქვეყანა მაინცადამაინც არ მომწონს; ედუარდს კი საერთოდ არ მოსწონს. აქაურ პეიზაჟს „მაღალ-ფარდოვნად" მიიჩნევს. ზუსტად ასეა.

„ყველაზე კარგი, რაც აქ არის, ჰაერია, ხელუხლებელი, ანკარა ჰაერი, რომელიც ჩვენს ფილტვებს ასუფთავებს. საერთოდ კი, ვცდილობთ,

---

1.მსუბუქი, ხელით სატარებელი სავარძელი, რომელშიც ადამიანს გადანოლაც შეუძლია.

ლორა დიდხანს მარტო არ დავტოვოთ; ჩვენთან ერთად სიარული კი, ცხადია, არ შეუძლია. სასტუმროში ფრიად თავშესაქცევი საზოგადოებაა შეყრილი. აქ, თითქმის, ყველა ეროვნების ადამიანი ცხოვრობს. უფრო ხშირად ერთ პოლონელ ექიმ ქალს ვხვდებით, რომელიც აქ ატარებს შვებულებას, თავის ქალიშვილთან და ერთ ყმაწვილთან ერთად, რომელზე მზრუნველობაც მისთვის მიუნდვიათ. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ზუსტად ამ ბავშვის გამო ჩამოვედით აქ. მას რაღაც ნერვული დაავადება აქვს და ეს ექიმი ახალი მეთოდით მკურნალობს. მაგრამ ყველაზე კარგ გავლენას ამ, ჩემი აზრით, ძალიან სიმპათიურ ბიჭზე, ექიმის გოგოზე მისი გიჟური სიყვარული ახდენს; გოგონა ბიჭზე რამდენიმე წლით უფროსია და ძალზე მომხიბლავი ქმნილებაა, მსგავსი ცხოვრებაში არ მინახავს. დილიდან საღამომდე ერთმანეთს არ შორდებიან. ისეთი კარგია ორივე, რომ მათი დაცინვა აზრადაც არავის მოსდის.

„ბევრს არ ვმუშაობ; დღიდან წამოსვლისა ნიგნი არ გადამიშლია; სამაგიეროდ, ბევრს ვფიქრობ. ედუარდთან საუბრები საოცრად საინტერესოა. უშუალოდ ჩემთან არც ისე ბევრს ლაპარაკობს, თუმცა თავის მდივანს კი მიწოდებს; სხვებთან რომ საუბრობს, ვუსმენ; უპირველეს ყოვლისა, ლორასთან ბაასობს; უყვარს, როცა თავის გეგმებს უზიარებს. ვერც კი წარმოიდგენ ეს ყველაფერი ჩემთვის რა სასარგებლოა. ზოგჯერ საკუთარ თავს ვეუბნები, უმჯობესია ჩანაწერები გააკეთო— მეთქი. მაგრამ, მგონი, ისედაც ყველაფერს ვიმახსოვრებ. რამდენიმე დღეა შენი ნახვა ძალიან მინდა; ჩემს თავს ვეუბნები, რომ აქ შენ უნდა იყო და არა მე; ამავე დროს, არ ვნანობ იმას, რაც ჩემს თავს ხდება და რაიმეს შეცვლა არცა მსურს. ყოველ შემთხვევაში ის მაინც იცოდე, რომ არ მავიწყდება, შენი წყალობით გავიცანი ედუარდი და ჩემს ბედნიერებას შენ უნდა გიმადლოდე. ვფიქრობ, როცა შევხვდებით, ძალზე შეცვლილს მნახავ, მაგრამ, მაინც შენი ერთგული მეგობარი ვარ.

ოთხშაბათი

„P. S. — სულ ახლახან დიდი გასეირნებიდან დავბრუნდით. ალალენზე ავედით, გამყოლები ჩვენთან ერთად იყვნენ თოკზე ჩაბმულნი; მყინვარები, უფსკრულები, ზვავები და სხვა. დანარჩენ ტურისტებთან ერთად, ერთ თავშესაფარში გვეძინა; საშინელი სივიწროვე იყო, და ჩვენ, როგორც ხვდები, მთელი ღამე თვალი არ მოგვიხუჭავს. მეორე

დღეს, მზის ამოსვლამდე, გავემგზავრეთ... კარგი მეგობარო, შვეიცარიაზე ცუდს აღარაფერს გეტყვი: როცა იქა ხარ, მაღლა, და კულტურის, მცენარეულის ვერანაირ კვალს ვერ ხედავ; ვერ ხედავ ყველაფერ იმას, რაც ადამიანის სიხარბესა და სისულელეს გვახსენებს, სურვილი გიჩნდება იმღერო, იცინო, იტირო, იფრინო, ცაში აიჭრა ან მუხლზე დაეცე. გეხვევი.

„ბერნარი“.

მეტისმეტად უშუალო კაცი ბრძანდებოდა ბერნარი, მეტისმეტად ბუნებრივი, მეტისმეტად სუფთა და მეტისმეტად ცუდად იცნობდა ოლივიეს, რომ გაეგო, რა საშინელი გრძნობების ტალღას დაატრიალებდა ეს წერილი მისი მეგობრის სულში; ზღვის უეცარი, მძლავრი მოქცევის მსგავსს, რომელშიც შეერთებული იყო წყენა, სასოწარკვეთა და მრისხანება. ოლივიემ თავი გაძევებულად იგრძნო ბერნარის გულიდანაც და ედუარდის გულიდანაც. მისი ორივე მეგობრის ურთიერთობა წინ უსწრებდა მისსავე მეგობრობას მათთან. განსაკუთრებით, ერთი წინადადება აწამებდა წერილიდან, რომელსაც ბერნარი არასოდეს დაწერდა, წინასწარ რომ ეგრძნო, როგორ აირეკლებოდა იგი ოლივიეს გონებაში. „ერთ ოთახში“, — იმეორებდა ოლივიე და გულში ეჭვის საშინელი გველი ეკლაკნებოდა, ეკრუნჩხებოდა. „მათ ერთ ოთახში სძინავთ!..“. რაღა არ წარმოიდგინა მისმა გონებამ. ტვინი აევსო ბინძური ხილვებით, რომელთა გაძევებას არც კი ცდილობდა; ეჭვიანობდა არა მარტო ედუარდზე ან ბერნარზე, ცალ—ცალკე, არამედ ორივეზე ერთად. რიგრიგობით წარმოიდგენდა თითოეულს ან ორივეს ერთად და ორივესი შურდა. წერილი დღის თორმეტ საათზე მიიღო. „აჰ! მაშ ასე...“. — იმეორებდა განუწყვეტლივ დაღამებამდე. იმ ღამეს ეშმაკები ანამებდნენ. დილით რობერთან გავარდა. გრაფი დე პასავანი მას უკვე ელოდა.

## II

### ედუარდის დღიური

„პატარა ბორისის პოვნა ძალიან არ გამჭირვებია. ჩასვლის მეორე დღესვე სასტუმროს ტერასაზე თვითონვე გამოვიდა და მოძრავ ღერძზე დამაგრებული ჭოგირიტიდან, მოგზაურებისთვის რომ იყო განკუთვნილი, მთებს დაუწყო ყურება. მაშინვე ვიცანი. მალე ბორისს მასზე უფროსი გოგონაც შეუერთდა. მეც იქვე ვიყავი, სასტუმრო დარბაზში, რომლის მინის კარიც მუდამ ღია იყო, ასე რომ, მათი საუბრიდან ერთი სიტყვაც არ გამომპარვია. დიდი სურვილი მქონდა მათთან დალაპარაკებისა, მაგრამ უფრო ჭკვიანურად მივიჩნიე ჯერ გოგონას დედას გავცნობოდი, პოლონელ ექიმს, რომლის მზრუნველობასაც იყო მინდობილი ბორისი და, რომელიც დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს ყმაწვილს. პატარა ბრონია მომხიბლავი გოგონა იყო; თოთხმეტიოდე წლისა იქნებოდა; საქამრემდე ჩამოშვებული, ხშირი, ქერა თმის ნაწნავს ატარებდა, ხოლო გამოხედვა, ხმა უფრო ანგელოზისა ჰქონდა, ვიდრე ადამიანის. ამ ორი ბავშვის საუბარი ქაღალდზე აღებეჭდე:

„— ბორის, დედა ამბობს, ჭოგრიტს ხელი არ ახლოო. გასეირნება არ გინდა?

„— დიახ, ძალიან მინდა. არა, არ მინდა".

„ორი ურთიერთგამომრიცხავი წინადადება ერთი ამოსუნთქვით თქვა. ბრონიამ მხოლოდ მეორე დაიჭირა და ჰკითხა:

„— რატომ?

„— ახლა ძალიან ცხელა. ახლა ძალიან ცივა. (ჭოგრიტი მიატოვა).

„— ბორის, აბა, თავაზიანად მოიქეცი. ხომ იცი, დედას ესიამოვნება ერთად რომ წავალთ. ქუდი სად დატოვე?

„— ვიბროსკომენოპატოფ. ბლაფ ბლაფ.

„— რას ნიშნავს?

„— არაფერს.

„— მაშ, რატომ თქვი?

„— იმიტომ, რომ ვერ მიხვდე.

„— თუ არაფერს ნიშნავს, მაშინ სულაც არ მინდა მივხვდე.

„— რამეს რომ ნიშნავდეს, მაინც ვერაფერს მიხვდებოდი.

„— ადამიანები იმისთვის ლაპარაკობენ, რომ ერთმანეთს გააგებინონ.

„— მოდი ისეთი სიტყვებით ვითამაშოთ, რომლებსაც თვითონ მოვიგონებთ და მხოლოდ ჩვენ გავიგებთ.

„— ჯერ ფრანგულად ისწავლე კარგად ლაპარაკი.

„— დედაჩემი ლაპარაკობს ფრანგულად, ინგლისურად, რომანულად, რუსულად, თურქულად, პოლონურად, იტალოსკოპსკურად, ესპანურად, პერიუკსკისულად და ქსიქსიტურად“.

„ეს ყველაფერი ძალიან სწრაფად თქვა, ერთგვარი ლირიული გაშმაგებით.

„ბრონიამ გაიცინა.

„— ბორის, მუდამ რატომ ამბობ ისეთ რამეებს, რაც საერთოდ არ არის მართალი?

„— რატომ არასოდეს გჯერა რასაც ვამბობ?

„— მჯერა, როცა იმას ამბობ, რაც მართალია.

„— როგორ გაიგებ, რა არის მართალი და რა — არა? მე ხომ დაგიჯერე, როცა ანგელოზებზე მიამბე? მითხარი, ბრონია, თუ ძალიან ვილოცებ, მეც ვნახავ ანგელოზებს?

„— შეიძლება ნახო, თუ აღარ იცრუებ და ღმერთიც მათ ჩვენებას მოისურვებს. თუ მარტო იმიტომ ილოცებ ისინი ნახო, ღმერთი არ გაჩვენებს. ძალიან ბევრი რამეა ლამაზი, რის ნახვასაც შევძლებდით, ასეთი ბოროტები რომ არ ვიყოთ.

„— ბრონია, შენ ხომ ბოროტი არა ხარ, ამიტომ შეგიძლია ანგელოზები ნახო. მე კი მუდამ ბოროტი ვიქნები.

„— რატომ არ ცდილობ, ბოროტი არ იყო? გინდა, ერთად წავიდეთ... (აქ ჩემთვის უცნობი დასახელება წარმოთქვა) და იქ ორივემ ვილოცოთ უფალზე და ღვთისმშობელზე, რათა დაგეხმაროს, რომ აღარ იყო ბოროტი.

„— მინდა. არა, მომისმინე, მოდი ჯოხი ავიღოთ; შენ ერთი ბოლო დაიჭირე, მე კი მეორე ბოლოს მოვკიდებ ხელს. თვალს დავხუჭავ და გპირდები, ვიდრე იქამდე არ მივალთ, არ გავახელ“.

„ოდნავ დამშორდნენ, ტერასიდან ჩადიოდნენ, ბორისის ხმა ისევ შემომესმა:

„— არა, ეგ ბოლო არა. მოიცა, გავასუფთავებ.

„— რატომ?

„— მე შევახე ხელი“.

„ქალბატონი სოფრონიცკა მომიახლოვდა; მარტო ვიჯექი მაგიდასთან, საუზმეს ვათავებდი და მასთან ნაცნობობის გაბმის მიზეზს ვეძებდი. გაოცებულმა შევამჩნიე, ხელში ჩემი ბოლო წიგნი ეჭირა; ძალიან თავაზიანი ღიმილით მკითხა: ამ წიგნის ავტორთან ხომ არა მაქვს საუბრის სიამოვნებაო; მერე, მაშინვე დაიწყო ჩემი წიგნის დაწვრილებითი განხილვა. მისი მსჯელობა, ქება და კრიტიკული შენიშვნები უფრო ჭკვიანური მეჩვენა, ვიდრე იმათი, ვის მოსმენასაც მივეჩვიე, თუმცა, მიდგომა, უნდა იქვას, სრულიადაც არ ჰქონდა ლიტერატურული. მითხრა, რომ მხოლოდ ფსიქოლოგიური საკითხები აინტერესებდა და ისიც, რამაც შეიძლება, ერთ დღეს, გაანათოს ადამიანის სულიო. ოღონდ, დაუმატა მან, ძალზე იშვიათად ვხვდებით ისეთ პოეტებს, დრამატურგებს ან პროზაიკოსებს, რომლებიც მარტო მზა ფსიქოლოგიით არ კმაყოფილდებიანო (ეს ერთადერთია, ვუთხარი მე, რამაც შეიძლება მკითხველი დააკმაყოფილოს-მეთქი).

„პატარა ბორისზე ზრუნვა არდადეგების დროს დედამისს უთხოვია. აღარ გავუმხილე ბიჭისადმი ჩემი ინტერესის მიზეზები.

„— ძალიან მგრძნობიარეა, — მითხრა ქალბატონმა სოფრონიცკამ. — დედამისის საზოგადოება მასზე უარყოფითად მოქმედებს. ისიც ჩვენთან ერთად ემზადებოდა საას-ფეში წამოსასვლელად, მაგრამ ბავშვზე მზრუნველობას მხოლოდ იმ პირობით დავთანხმდი, თუ მარტო მე მომანდობდა მის აღზრდას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მკურნალობის წარმატებაზე პასუხს ვერ ვაგებდი. წარმოიდგინეთ, ბატონო ჩემო, რომ ეს ბავშვი გამუდმებით ეგზალტაციის მდგომარეობაში ჰყავს, რაც მძიმე ნერვული აშლილობის განვითარებას უწყობს ხელს. მამის სიკვდილის შემდეგ, ამ ქალს თვითონ უნევს საარსებო საშუალების მოპოვება. ის პიანისტი იყო, და უნდა ვთქვა, შეუდარებელი შემსრულებელიც, მაგრამ მისი მეტისმეტად დახვენილი დაკვრა ფართო მსმენელს არა მგონია მოსწონებოდა. ამიტომ გადაწყვიტა კონცერტებზე, კაზინოებში, თეატრებში ემღერა. ბორისიც თან დაჰყავდა საგრიმიოროებში; ვფიქრობ, თეატრის უჩვეულო ატმოსფერომ ბავშვის ფსიქოლოგიური წონასწორობის დარღვევაში დიდი გავლენა მოახდინა. დედას ბავშვი ძალიან უყვარს, მაგრამ, სიმართლე რომ ვთქვა, უკეთესი იქნება, თუ ბავშვი მასთან არ იცხოვრებს.

„— უფრო ზუსტად მითხარით რა სჭირს?

„სიცილი დაიწყო:

„— ავადმყოფობის სახელი გნებავთ გაიგოთ? რას მოგცემთ, თუ მეცნიერულ ლამაზ სახელწოდებას გეტყვით?

„— მარტივად მითხარით, რაში გამოიხატება მისი სნეულება.

„— მთელ რიგ პატარ-პატარა აშლილობებში, ტიკებში, მანიაში, რაც მიგვანიშნებს, რომ იგი ნერვული ბავშვია. მათი მკურნალობისას, ჩვეულებრივ, სიმშვიდეა საჭირო, სუფთა ჰაერი, ცხოვრების ჯანსაღი პირობები. ბუნებრივია, მაგარი ორგანიზმი მსგავსი აშლილობების წარმოშობას ხელს შეუშლიდა; ფიზიკური სისუსტე კი ხელს უწყობს მათ განვითარებას, მაგრამ ეს მაინც არ არის პირველმიზეზი. ასე მგონია, მათი სათავე უნდა ვეძებოთ ბავშვის მიერ გადატანილ რაღაც მოვლენებთან დაკავშირებულ თავდაპირველ ნერვულ შერყევებში, რომელთა აღმოჩენაც აუცილებელია. როგორც კი ავადმყოფი ამ მიზეზს შეიგნებს, იგი შეიძლება სანახევროდ გაჯანსაღებულად მივიჩნიოთ. მაგრამ, ხშირად ავადმყოფი ასეთ მოვლენებს ვერ იხსენებს; იგი თითქოს სენის ჩრდილში იმალება; მე კი მის აღმოჩენას ვცდილობ ამ სამალავის მიღმა, რათა სინათლეზე გამოვიტანო, ე.ი. მხედველობის არეში მოვაქციო. მიმაჩნია, რომ კარგი მხედველობა ცნობიერებას ასუფთავებს, მსგავსად სინათლის სხივისა, რომელიც დასნებოვანებულ წყალს წმენდს“.

„სოფრონიცკას ვუამბე წინადღით მოსმენილი საუბარი, რომლის მიხედვითაც თუ ვიმსჯელებთ, ეტყობოდა, ბორისის გამოჯანმრთელებამდე ჯერ კიდევ შორს იყო.

„— საქმეს ისიც ართულებს, რომ ჯერ კიდევ დიდი მუშაობა მიწევს, რათა ბორისის წარსული გავიგო, რისი ცოდნაც აუცილებელია ჩემთვის. მკურნალობა კი დიდი ხანი არ არის, რაც დავიწყე.

„— რაში მდგომარეობს იგი?

„— ძალიან უბრალო რამეში. ვაიძულო ილაპარაკოს. ყოველდღე ერთ ან ორ საათს ველაპარაკები. შეკითხვებს ვაძლევ, თუმცა ბევრს არა. მთავარია მისი ნდობა მოვიპოვო. ბევრი რამ უკვე გავიგე, ბევრის გაგება კიდევ მომიწევს. პატარა ჯერ კიდევ ჯიუტობს, რცხვენია; რომ დავაჩქარო, დავაძალო, ვცადო, რაც შეიძლება სწრაფად გადამიშალოს გული, შეიძლება სრული ნდობის მაგივრად, სრულიად საწინააღმდეგო მივიღო. მაშინ უფრო გაკერპდება. ჯერჯერობით მისი თავშეკავებულობისა და სიმორცხვის დაძლევაც არ გამომდის...“.

„მოკვლევის ის მეთოდები, რომლებზეც მელაპარაკა იმდენად საძრახისად მეჩვენა, ძლივს შევიკავე თავი, პროტესტი რომ არ გამომეცხადებინა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ გაიმარჯვა ჩემში.

„— გინდათ თქვათ, რომ ამ პატარა ბიჭისგან რაიმე უსირცხვილო მხარის გამხელას ელით?“

„ახლა პროტესტის თქმის მისი ჯერი დადგა.

„— უსირცხვილო? ამაში უსირცხვილობა იმაზე მეტი არ არის, ვიდრე გულმკერდის სამედიცინო შემოწმებისას არის ხოლმე. ჩემთვის ყველაფრის ცოდნაა აუცილებელი; უპირველესად კი, ის მაინტერესებს, რასაც ჩვეულებრივ დიდი მონდომებით ფარავენ. ბორისი იქამდე უნდა მივიყვანო, რომ ყველაფერი აღიაროს; უამისოდ მისი განკურნება არ შემიძლია.

„— მაშასადამე, რაღაცაში უნდა გამოგიტყდეთ? მომიტევეთ, მაგრამ დარწმუნებული ხართ, რომ ის აღიარება, რომლის მიღებაც თქვენ გსურთ, თქვენგანვე არ იქნება შთაგონებული?

„— ეს საფრთხე არ უნდა გამომეპაროს; ზუსტად ამით აიხსნება ჩემი აუჩქარებლობა. მინახავს, სასამართლოს მოუხერხებელ გამომძიებლებს, თავად რომ არ სურდათ ისე, ბავშვებისთვის შთაუგონებიათ სრულიად ფანტასტიკური ჩვენებები და ძალდატანების მეშვეობით პატიოსანი გულით სიცრუე უთქვამთ, რადგან წარმოსახვითი დანაშაულის სინამდვილისა სჯეროდათ. ჩემი როლი იმაში მდგომარეობს, რომ ველოდო და მთავარია, არაფერი შთავაგონო. აუცილებელი უჩვეულო მოთმინებით აღვიჭურვო.

„— ვფიქრობ, მეთოდი აქ პირდაპირ კავშირშია მისი აღმსრულებელის ნიჭთან.

„— ვერ გავბედავ ამის თქმას. გარწმუნებთ, ცოტა წამუშავების შემდეგ, გასაოცარი გაწაფულობა მოდის, თავისებური წინასწარჭვრეტა, თუ სხვა სიტყვას ამჯობინებთ, ინტუიცია. მართალია, ზოგჯერ ცრუ კვალზე სიარულიც ხდება ხოლმე, მაშინ ძალზე მნიშვნელოვანია არ გაჯიუტდე. იცით, რითი იწყება ყველა ჩვენი საუბარი? ბორისი მიამბობს რა დაესიზმრა ღამით.

„— ვინ გვეტყვით, რომ არ თხზავს?

„— მერე რა, თუ თხზავს?.. ავადმყოფური წარმოსახვის ყოველი გამონაგონი უკვე გამომჟღავნებულია“.

„ცოტა ხნით შეყოვნდა, მერე გააგრძელა:

„— ავადმყოფური წარმოსახვის გამონაგონი... არა! ეს სხვა რამეა. სიტყვა ამახინჯებს აზრს. ბორისი, ჩემი თანდასწრებით, ხმამაღლა ოცნებობს. ის თანახმაა დილდილობით ერთი საათის განმავლობაში ნახევრად მძინარე მდგომარეობაში დარჩეს; ჩვენს შიგნით წარმო-

ქმნილი სახეები, ჩვენი გონების კონტროლს აღარ ექვემდებარება. ისინი ჯგუფდებიან, ერთმანეთს უკავშირდებიან არა ჩვეულებრივი ლოგიკის თანახმად, არამედ რომელიღაც მოულოდნელი საშუალებების მეშვეობით, და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ისინი რაღაც იდუმალ შინაგან მოთხოვნილებებს ექვემდებარებიან; იმ მოთხოვნილებებს, რომლებიც მე უნდა აღმოვაჩინო. ასე რომ, მთელი ეს ბავშვური ფანტაზიები უფრო მეტს მაძლევს, ვიდრე შეუძლია მომცეს ყველაზე ღრმა ანალიზმა. მრავალი რამ გონებრივი კონტროლიდანაც იკარგება. და ის, ვისაც სურს ცხოვრებას გაუგოს, და მხოლოდ გონებით სარგებლობს, იმ ადამიანს ჰგავს, რომელსაც საცეცხლურით სურს ცეცხლის დაჭერა, მაგრამ ხელთ შეშის მბოლავი ნაჭერიღა შერჩება, ალი კი მაშინვე ქრება". ისევ გაჩუმდა და ჩემი ნიგნის ფურცელა დაიწყო.

„— და მაინც ღრმად ვერ აღწევთ ადამიანის სულში! — წამოიძახა და მაშინვე სიცილით სნრაფად დაუმატა: — ოო! კონკრეტულად თქვენზე არ ვამბობ, როცა ვთქვი „თქვენ", ვიგულისხმე საერთოდ რომანისტები. თითქმის ყველა თქვენი პერსონაჟი ხიმინჯებზე დგას; არც საძირკველი აქვთ და არც სარდაფი. ასე მგონია, რომ პოეტებში უფრო ხშირად გვხვდება ჭეშმარიტება; ყველაფერი, რაც მხოლოდ გონებით არის შექმნილი, ყალბის ნიშანს ატარებს. თუმცა, ახლა ისეთ რამეზე ვლაპარაკობ, რაც ჩემგან შორს დგას... იცით, ბორისთან გზას რა მირევს? ის ძალზე სუფთა მგონია.

„— ეს რატომ გირევთ გზას?

„— იმიტომ, რომ ამ სიტუაციაში აღარ ვიცი სად ვეძებო ბოროტების სათავე. ათიდან ცხრა შემთხვევაში ასეთი აშლილობის პირველმიზეზი რაღაც დიდი სამარცხვინო საიდუმლოა ხოლმე.

„— ყოველ ჩვენგანშია, ალბათ, რაღაც საიდუმლო, — ვთქვი მე. — მაგრამ მადლობა უფალს, ყველა როდი ვავადმყოფობთ".

„ამ დროს ქალბატონი სოფრონიცკა ადგა, ფანჯრიდან ბრონია დაინახა მომავალი.

„— აგერ, შეხედეთ, — მითხრა და ბრონია დამანახა. — ბორისის ნამდვილი ექიმია. ის მე მეძებს; თქვენი მიტოვება მომიწევს, მაგრამ კიდევ შევხვდებით, ასე არ არის?"

„სოფრონიცკას საყვედურები რომანის თაობაზე, მოლოდინი რომ გაუცრუა, კარგად მესმის, მაგრამ მას ზოგიერთი მხატვრული მოსა-

ზრება, ზოგიერთი უმაღლესი მოსაზრება მხედველობიდან ეპარება, რაც ნებას მაძლევს გავაკეთო დასკვნა, რომ კარგ ნატურალისტს კარგ რომანისტად ქცევა არ უწერია.

„ქალბატონ სოფრონიცკას ლორა გავაცანი. როგორც ეტყობა, საერთო ენაც გამონახეს, რაც ძალიან მიხარია. როცა ვიცი ერთად ყბედობენ, მიადვილებს მარტოობას და სინდისი აღარ მქენჯნის. ცხადია, ვნუხვარ, რომ ბერნარმა აქ ვერ იპოვა მისი ასაკის კომპანიონი, მაგრამ გამოცდებისთვის უნდა მოემზადოს, რისთვისაც დღეში რამდენიმე საათის მეცადინეობა დასჭირდება. ახლა კი შემიძლია დავუბრუნდე ჩემს რომანს“.

## III

მიუხედავად პირველი კარგი შთაბეჭდილებისა და მიუხედავად იმისა, რომ ორივემ, როგორც იტყვიან, „თავისი წვლილი შეიტანა“, ძია ედუარდსა და ბერნარს შორის სრული ურთიერთგაგება მაინც არ დამყარდა. არც ლორა იყო კმაყოფილი. აბა, როგორ უნდა ყოფილიყო კმაყოფილი? მდგომარეობამ აიძულა საკუთარ თავზე აეღო მისთვის სრულიად უცხო როლის თამაში, რომლისთვისაც დაბადებული არ იყო. მისი სინდისი სირცხვილის გრძნობას განიცდიდა. ის ხომ ბევრი შეყვარებული და მორჩილი ქმნილების მსგავსად, მერე რომ უერთგულესი ცოლები ხდებიან, პირობითობებს საჭიროებდა, რომელთა დანგრევამაც სრულიად გამოაცალა ძალა. ედუარდთან თავისი მდგომარეობა დღითიდღე არაბუნებრივი ეჩვენებოდა. ყველაზე მეტად და განსაკუთრებული სიმწვავით მაშინ იტანჯებოდა, როცა ფიქრობდა, რომ თავისი მფარველის ხარჯზე ცხოვრობდა, უფრო ზუსტად კი, იმიტომ, რომ სამაგიერო არაფერი შეეძლო მიეცა, ან კიდევ უფრო ზუსტად იმიტომ, რომ თვითონ ედუარდი არაფერს სთხოვდა სამაგიეროს; თუმცა ლორა გრძნობდა, რომ იგი მზად იყო ედუარდისთვის ყველაფერი მიეცა. „მადლიერება, — როგორც მონტენი ამბობდა ტაციტის ციტირებისას, — მხოლოდ მაშინ არის საამო, როცა სამაგიეროს გადახდაა შესაძლებელი". ცხადია, ეს მართალია მხოლოდ კეთილშობილ სულთა მიმართებაში, და ლორა უეჭველია მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა; მას სურდა გაეცა, მაგრამ იძულებული  გახდა მიეღო მხოლოდ, ამიტომაც მოსდიოდა გული ედუარდზე. გარდა ამისა, როცა წარსულს იხსენებდა, ეჩვენებოდა, რომ ედუარდმა მოატყუა, დღემდე ბოლომდე ჩაუმქრალი სიყვარული ჯერ გაუღვიძა, მერე ამ სიყვარულს ზურგი აქცია და გაიქცა. ამაში ხომ არ მდგომარეობდა ლორას შეცდომის იდუმალი მიზეზი? უპირველეს ყოვლისა კი, მისი ქორწინება დუვიესთან, რასაც ქალი შეურიგდა და ამ შერიგებამდე ეუდუარდმა მიიყვანა; მერე უნარი არ აღმოაჩნდა და გაზაფხულის ცდუნებას ვერ გაუწია წინააღმდეგობა. შემდეგ ვენსანის მკლავებში მოქცეულს ხომ შეეძლო საკუთარ თავს გამოტყდომოდა, რომ მაინც ედუარდის ძებნას განაგრძობდა? სატრფოს სიცივის მიზეზს ვერ ხვდებოდა და საკუთარ თავს საყვედურობდა, უფრო ლამაზი ან გაბედული რომ ვყოფილიყავი, ხომ შევძლებდი მის დამორჩილე-

ბასო; მისი შეძულება ვერ შეძლო, ისევ საკუთარი თავი დაიდანაშაულა, ნაკლი ეძება საკუთარი, უარი თქვა საკუთარ თავში რაიმე ადამიანური ღირსების დანახვაზე, თავისი არსებობის აზრი დაამსხვრია და საკუთარი სათნოებისა აღარ სჯეროდა.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ ოთახების განლაგებასთან დაკავშირებული მომთაბარე ცხოვრება, რაც მისი კომპანიონებისთვის შეიძლება სასაცილო ყოფილიყო, მის სიმორცხვეს მეტისმეტად მტკივნეულად აწვა. ამ სიტუაციის ატანა უფრო და უფრო ეძნელებოდა, გამოსავალს კი ვერ ხედავდა.

მცირეოდენ ნუგეშსა და სიხარულს ბერნართან ურთიერთობაში ნახულობდა; საკუთარ თავს ახალი მოვალეობები გამოუგონა ბერნარის ნათლიისა თუ უფროსი დისა; ამ ნატიფი ჭაბუკის მისდამი გამოხატული თაყვანისცემისადმი გულგრილი ვერ დარჩა. ამ თაყვანისცემამ, რომლის საგანიც თვითონ იყო, უფლება არ მისცა საკუთარი თავისადმი ზიზღისა და სიძულვილის დამრეცზე დაშვებულიყო, ზოგჯერ გაუბედავ ადამიანებსაც კი რომ უბიძგებს უკიდურესი გადაწყვეტილების მიღებას. ყოველ დილაუთენია, თავისუფალ დროს, მთებში ექსკურსიის დაწყებამდე (ძალზე ადრე ადგომა უყვარდა), ბერნარი ორიოდე საათს მასთან ატარებდა და ინგლისურ ტექსტებს უკითხავდა. გამოცდა ოქტომბერში უნდა ჩაებარებინა და ეს მოხერხებული მიზეზი გახლდათ.

ვერ იტყოდა, მდივნის მოვალეობა დიდ დროს აკარგვინებდა; ეს მოვალეობა ფრიად გაუგებარიც კი იყო მისთვის. მიიღო თუ არა მდივნის უფლებამოსილება, საკუთარი თავი სამუშაო მაგიდასთან წარმოიდგინა და ისიც, ედუარდის კარნახით როგორ წერდა ან როგორ ათეთრებდა ხელნაწერებს. ედუარდი კი არაფერს კარნახობდა; ხელნაწერები, თუკი საერთოდ არსებობდა, ჩემოდანში იყო ჩაკეტილი; და მთელი დღე ბერნარი საკუთარ თავისუფლებას იყო მინებებული; ედუარდის უმცირეს სურვილზე იყო დამოკიდებული მისი სიბეჯითის გამოყენება, ამას ელოდა კიდეც. ამიტომ ბერნარს მაინცადამაინც არ ანუხებდა თავისი უსაქმურობა და არც ის, ასეთ ლაღ ცხოვრებას რომ ეწეოდა მხოლოდ და მხოლოდ დიდსულოვანი ედუარდის წყალობით. მან მტკიცედ გადაწყვიტა სინდისის ქენჯნით თავი არ გაეწვალებინა. სწამდა, ვერ ვბედავ ვთქვა ბედისწერისა, მაგრამ სულ ცოტა თავისი ვარსკვლავისა მაინც სჯეროდა, და იმისაც სჯეროდა, ბედნიერება ამა თუ იმ ფორმით აუვსებდა ცხოვრებას, როგორც სუნთქვისას ჰაერი ავსებს ფილტვებს. ედუარდი კი ბედნიერების მიმნიჭებლის როლში გამოდიოდა და არა-

ნაკლებ ბუნებრივი ჩანდა, ვიდრე ბოსიუესთან ღვთიური სიბრძნის მღაღადებელი საეკლესიო მქადაგებლები გამოიყურებოდნენ. გარდა ამისა, ბერნარი თავისი ცხოვრების ამჟამინდელ რეჟიმს დროებითად მიიჩნევდა და იმედი ჰქონდა, ერთ მშვენიერ დღეს, როცა მისი გულის სავარაუდო განძი წკრიალა მონეტად იქცეოდა, ყველაფერსა და ყველაფრის დანახარჯს აანაზღაურებდა. ოდნავ ნაწყენი კი იყო, ედუარდი რომ არ ცდილობდა მისი ზოგიერთი ტალანტის გამოყენებას, რომელსაც საკუთარ თავში გრძნობდა და ედუარდში ვერ დაინახა. „არ იცის როგორ გამომიყენოს", — ფიქრობდა ბერნარი, მერე პატივმოყვარეობას გადაყლაპავდა და ბრძნულად უმატებდა: „მით უკეთესი".

მაგრამ ედუარდსა და ბერნარს შორის დაძაბულობა საიდანღა წარმოიშვა? ბერნარი, როგორც მგონია, ადამიანთა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომლებიც თავიანთ რწმენას პროტესტით განამტკიცებენ. მან ვერ აიტანა ედუარდის უპირატესობა, არ მოისურვა მისი გავლენის მორჩილება და ტლინკები შეყარა. ედუარდს, რომელსაც საერთოდ არ უფიქრია მისი მორჯულება, ბერნარის გამუდმებული მზად ყოფნა დარტყმების ასაცილებლად, ხან აღიზიანებდა, ხანაც გულს ნყვეტდა. ამიტომ, ზოგჯერ ეჭვი იპყრობდა, შეცდომა ხომ არ დავუშვი ეს ორი ადამიანი ერთად რომ ნამოვიყვანეო, რომლებიც მან თითქოსდა იმიტომ დააკავშირა, რომ მის წინააღმდეგ გაერთიანებულიყვნენ. უნარი არ აღმოაჩნდა ლორას იდუმალ გრძნობებში შეეღწია, ამიტომ ქალის თავშეკავებასა და სიჩუმეს მისსავე სიცივედ აღიქვამდა. უფრო მკაფიო წარმოდგენა რომ ჰქონოდა ლორას გრძნობებზე, არანაკლებ დაიბნეოდა, და რადგან ქალი ამას ხვდებოდა, უარყოფილი სიყვარულის მთელ ძალას იმაში ხარჯავდა, რომ დამალულიყო და თავი არ გაეცა.

ჩაის სმის დროს, ჩვეულებრივ, სამივე დიდ ოთახში იკრიბებოდა; არცთუ იშვიათად ქალბატონ სოფრონიცკასაც იწვევდნენ, განსაკუთრებით იმ დღეებში, როცა ბავშვები სასეირნოდ მიდიოდნენ; მიუხედავად ასაკისა, ქალბატონი სოფრონიცკა მათ დიდ თავისუფლებას აძლევდა; თავის ქალიშვილს ენდობოდა, კარგად იცოდა როგორი ფრთხილიც იყო, ხოლო ბორისთან განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდა, რომელიც ყველაფერში მისდამი მორჩილებას ამყღავნებდა. ადგილმდებარეობაც საფრთხის მიზეზს არ იძლეოდა, ხოლო მთებში წასვლა ან სასტუმროს მახლობლად აღმართულ კლდეებზე აცოცება განხილვის საგანი არა ყოფილა. ერთხელ, როცა ბავშვებმა მყინვართან მისვლის

უფლება მიიღეს, ოღონდ იმ პირობით, გზიდან არ გადაუხვევდნენ, ჩაიზე მოწვეულმა ბერნარისა და ლორასგან წაქეზებულმა ქალბატონმა სოფრონიცკამ ძალა მოიკრიბა და ედუარდს სთხოვა, თქვენს მომავალ რომანზე გვიამბეთ რამე, თუ თქვენთვის უსიამოვნო არ იქნებაო.

„— უსიამოვნო არ იქნება, მაგრამ მისი მოყოლა არ შემიძლია".

მაგრამ, როცა ლორამ ჰკითხა (კითხვა, ცხადია, საჩოთირო იყო), „რომელ ნანარმოებს ემგვანება თქვენი წიგნი"-ო, სიბრაზე ძლივს შეიკავა.

„— არც ერთს! — წამოიძახა და მაშინვე, თითქოს ელოდა ამ პროვოკაციულ კითხვასო, დაუმატა: — რატომ უნდა გაკეთდეს ისევ და ისევ ის, რაც ჩემამდე სხვებმა გააკეთეს ან ოდესღაც მე თვითონ გავაკეთე, ანდა, ბოლოს და ბოლოს, ჩემს გარდა, სხვამაც შეიძლება გააკეთოს?"

ვერც კი მოასწრო ედუარდმა ამის თქმა, რომ მაშინვე იგრძნო ამ სიტყვების უადგილობა, მეტისმეტობა და აბსურდულობა; უფრო სწორად, ან უადგილო და აბსურდული ეგონა, ან შეეშინდა ბერნარს არ მოსჩვენებოდა ასეთად.

ედუარდი ავადმყოფურად მგრძნობიარე იყო. როგორც კი მის სამუშაოზე ალაპარაკდებოდნენ და სთხოვდნენ რამე მოეყოლა მასზე, გონება ებინდებოდა.

სხვა მწერალთა საკუთარ თავზე დიდ წარმოდგენას ზიზღით უყურებდა; როგორც კი საკუთარ თავს ასეთ გამოვლენას შეამჩნევდა, დაუნდობლად ებრძოდა; მაგრამ თავისი მოკრძალების შესანარჩუნებლად, პატივისცემით მოპყრობის საჭიროებას გრძნობდა; პატივისცემის ნაკლებობას შეამჩნევდა თუ არა, მაშინვე ის მოკრძალებაც სადღაც უქრებოდა. მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო დაემსახურებინა ბერნარის პატივისცემა. ეს ხომ არ იყო მიზეზი, ედუარდს ბერნარი რომ დაემორჩილებინა, მისი თანდასწრებით, მაშინვე თავის პეგასს მიუშვებდა ხოლმე? ედუარდი მშვენივრად გრძნობდა, ასეთი საშუალებით მხოლოდ დაკარგავდა პატივისცემას, მიღებით კი ვერაფერს მიიღებდა; ამას საკუთარ თავს ეუბნებოდა და არაერთხელ უმეორებდა კიდეც. და მაინც, მიუხედავად მიღებული გადაწყვეტილებისა, ბერნართან მოხვდებოდა თუ არა, წამსვე თავისი გადაწყვეტილების საწინააღმდეგო მოქმედებას იწყებდა და ისეთი ტონით ლაპარაკობდა, თავადაც რომ უაზროდ მიაჩნდა (სინამდვილეში, მართლაც ასე იყო). აქ იქნებ სავარაუდებელია, რომ მას ბერნარისადმი რაღაც განსაკუთრებული გრძნობა

ჰქონდა?.. ოო, არა; არა მგონია. დიდი სიყვარულიც, გრიმასიც კი ჩვენს სახეზე შეიძლება ერთი და იგივე მიზეზითაც წარმოიშვას, მაგალითად, მსუბუქი პატივმოყვარეობის დროს.

„— ალბათ, ამიტომაა, რომ ყველა ლიტერატურული ჟანრიდან, — მსჯელობდა ედუარდი, — რომანი ყველაზე თავისუფალი ჟანრია, ყველაზე lawless[1] ... ამიტომ ხომ არ არის, რომ ამ თავისუფლების შიშით (რადგან ის ხელოვანნი, რომლებიც ხშირად ხმამაღლა მოთქვამენ თავისუფლებაზე, როგორც კი მიიღებენ ამ თავისუფლებას, დიდ დაბნეულობაში აღმოჩნდებიან ხოლმე) რომანი მუდამ შიშნარევად ეჭიდებოდა სინამდვილეს? მხოლოდ ფრანგულ რომანზე როდი ვლაპარაკობ; ასევეა ინგლისური რომანიც, რუსულიც, თუმცა, გამოთავისუფლებული, ხშირად დამაჯერებლობის მონობაში აღმოჩნდება ხოლმე. ერთადერთი პროგრესი იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება მეტად მიუახლოვდეს რეალურს. რომანი არასოდეს სცნობდა იმ „კონტურების დიდებულ ეროზიას", რომელზეც ნიცშე ლაპარაკობს, ისევე როგორც ცხოვრებიდან განზრახ გადახვევას, რამაც შესაძლებელი გახადა სტილის წარმოშობა, მაგალითად, ბერძენი დრამატურგების შედევრებში ანდა მეჩვიდმეტე საუკუნის ფრანგულ ტრაგედიებში. უფრო სრულქმნილი სხვა რამ შეგხვედრიათ, ამავე დროს უფრო ადამიანური, ვიდრე ეს ნაწარმოებებია? ადამიანურია ზუსტად იმიტომ, რომ ღრმაა; ისინი არ ისწრაფვიან, რომ ასეთად გამოიყურებოდნენ, უკიდურეს შემთხვევაში, არ ისწრაფვიან რეალური ნაწარმოებები იყვნენ. ისინი ხელოვნების ნაწარმოებებად რჩებიან".

ედუარდი ადგა, დიდი შიში ჰქონდა, აქ მყოფთ ისეთი შთაბეჭდილება არ შეჰქმნოდათ, თითქოს ლექციას კითხულობდა, ლაპარაკ—ლაპარაკით ჩაი დაისხა, ოთახში გაიარა, ჭიქაში ლიმონი ჩაიწურა:

„— იმიტომ, რომ ბალზაკი გენიოსი იყო და იმიტომ, რომ მუდამ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ყველა გენიოსი, თავის ხელოვნებაში, საბოლოო და ხელშეუხებელ ფორმულას ქმნის, დაადგინეს, რომანის ამოცანაა „სამოქალაქო მდგომარეობას გაუწიოს წინაამდეგობა"- ო. ბალზაკმა თავისი თხზულებებით არქიტექტურული ანსამბლი აღმართა, მაგრამ რომანის ჟანრის კოდიფიცირება არასოდეს აზრადაც არ მოსვლია, რაც მშვენივრად ჩანს სტენდალისადმი მიძღვნილ მის სტა-

1. აქ — კანონს დაუმორჩილებელი (ინგლ.)

ტიაში. წინააღმდეგობა გაუწიო სამოქალაქო მდგომარეობას! თითქოს უამისოდაც დედამიწაზე საკმარისი არ იყოს ყველანაირი უტიფარი და მაიმახი! რა მესაქმება სამოქალაქო მდგომარეობასთან! მდგომარეობა ეს მე ვარ — ხელოვანი! და ჩემი შემოქმედება, სამოქალაქოა იგი თუ არა, არაფერთან მეტოქეობას არ აპირებს".

ედუარდი ცოტა გაცხარდა, შეიძლება ეს გაცხარება ოდნავ გათამაშებულიც იყო. ის დაჯდა. ცდილობდა ბერნარისკენ არ გაეხედა, მაგრამ მისთვის კი ლაპარაკობდა. მასთან მარტო რომ დარჩენილიყო, ვერაფერს ეტყოდა, ამიტომ ამ ორი ქალის მადლიერი იყო, რომლებმაც აქეთკენ უბიძგეს.

„— ზოგჯერ მგონია, ლიტერატურაში ისე არაფერი მხიბლავს, როგორც მითრიდატესა და მისი ვაჟების კამათი რასინის ტრაგედიაში. თუმცა მშვენივრად ვიცი, რომ ასეთი კამათი მამასა და შვილებს შორის არასოდეს ყოფილა. მიუხედავად ამისა (უფრო ვიტყოდი — ამის წყალობით), ყველა მამა და ყველა შვილი მათში საკუთარ თავს ადვილად იცნობს. ლოკალიზირებითა და კონკრეტიზაციით, მხედველობის არეს ვიზღუდავთ. ფსიქოლოგიურ ჭეშმარიტებას მუდამ კერძო ხასიათი აქვს; ეს სინამდვილეა, სამაგიეროდ, მხოლოდ ხელოვნებაა საყოველთაო. პრობლემა იმაშია, საყოველთაო გამოიხატოს კერძოს მეშვეობით; ისე გაკეთდეს, კერძოს მეშვეობით საყოველთაო გამოიხატოს. ნებას დამრთავთ ჩიბუხი გავაბოლო?

— გთხოვთ, გთხოვთ, — უთხრა სოფრონიცკამ.

— მაშასე! მინდა ისეთი რომანი დავწერო, რომელიც ერთდროულად დამაჯერებელიც იქნება და სინამდვილესთან დაშორებულიც, კერძოც და საყოველთაოც, ადამიანის სულში ჩაღრმავებულიც და ასევე განყენებულიც, როგორიც „ატილაა", როგორიც „ტარტიუფია" ან „ცინა"...

— როგორია რომანის სიუჟეტი?

— სიუჟეტი არ აქვს, — სწრაფად უპასუხა ედუარდმა, — იქნებ ამაშიც არის მისი თავისებურება. ჩემს რომანს სიუჟეტი არ აქვს. დიახ, მშვენივრად მესმის, სულელურად ჟღერს, რასაც ახლა ვამბობ; სხვანაირადაც შემიძლია ვთქვა, მას ერთი სიუჟეტი არ ექნება... „ცხოვრების ანათალი" ნატურალისტური სკოლის ლოზუნგი იყო. ამ სკოლის დიდი შეცდომა ის გახლდათ, რომ ათლას ჩვეულებრივ ერთი მიმართულებით ახდენდნენ: დროის მიმართულებით, სიგრძეში. სიგანის მიმართულებით რატომ არ ახდენდნენ? ან სიღრმის? რაც შემეხება მე, არაფრის ათლა არ მინდა. გამიგეთ, მსურს ამ რომანში ყველაფერი შევიდეს;

ათლა არ იქნება, რომელიც ზღვარს ადგენს ერთ ან მეორე ადგილას. უკვე ნელინადზე მეტია ვმუშაობ, და ყველაფერი, რაც ჩემს თავს ხდება, საბოლოოდ მასში აისახება; თანაც ისეთი არაფერია, მასში ჩართვას რომ არ მოვისურვებ: ყველაფერს შევიტან, იმისაც, რასაც ვხედავ, რაც ვიცი, რასაც სხვა ადამიანებისგან ცხოვრებაზე ვიგებ და ჩემიც, საკუთარი...

— და ეს ყველაფერი სტილიზირებულია? — ჰკითხა სოფრონიცკამ, რომელმაც ცხოველი ინტერესი გამოიჩინა, თუმცა მისი კითხვა ირონიულ ქვეტექსტს არ იყო მოკლებული. ლორამ ღიმილი ვერ შეიკავა. ედუარდმა მხრები აიჩეჩა და გააგრძელა:

— ასეთი მიზანი არცა მაქვს. რაც მსურს, ერთი მხრივ ისაა, რომ სინამდვილე დავხატო; მეორე მხრივ, გამოვხატო ძალის სტილიზაციისკენ მიმართულება, რომელზეც უკვე გელაპარაკეთ.

— ჩემო საბრალო მეგობარო, თქვენი მკითხველები მოწყენილობისგან დაიხოცებიან, — თქვა ლორამ, მიხვდა ღიმილს ვეღარ შეიკავებდა და ამჯობინა, ლაღად გაეცინა.

— არა, ასე არ იქნება. ჩემთვის აუცილებელ შედეგს რომ მივაღწიო, კარგად მისმინეთ, გმირი—რომანისტი გამოვიგონე, რომელიც ცენტრალურ ფიგურად ვაქციე; ხოლო წიგნის სიუჟეტი, თუ გნებავთ, ბრძოლაა იმის შორის, რასაც სინამდვილე სთავაზობს და იმისა, როგორც აპირებს მის გამოხატვას.

— დიახ, დიახ; ახლა ვხვდები, — თავაზიანად თქვა სოფრონიცკამ, რომელიც მზად იყო ლორას კვალდაკვალ თვითონაც გაეცინა. — ფრიად საყურადღებო შეიძლება გამოვიდეს. მაგრამ, იცით, რომანში ინტელექტუალების გამოყვანა მუდამ ძალიან სახიფათოა. მკითხველზე გულის გამაწყალებლად მოქმედებენ: ყოველგვარ სიბრიყვეზე ლაპარაკობენ და რასაც შეეხებიან, ყველაფერს აბსტრაქტულ სახეს აძლევენ.

— გარდა ამისა, მშვენივრად ვხედავ რაც უნდა მოხდეს. — წამოიძახა ლორამ. — ეს პერსონაჟი რომ შეიქმნას, საკუთარი თავი უნდა დახატოთ".

ეს რამდენიმე ხანია, ედუარდთან ლაპარაკისას დამცინავ ტონს მიეჩვია ლორა, თვითონაც გაოცებული იყო. ედუარდი დაიბნა, თანაც ამ დაცინვის ანარეკლი ბერნარის მზაკვრულ გამოხედვაშიც კრთოდა. ედუარდი შეედავა:

„— არა; ის ძალზე უსიამოვნო ტიპი უნდა იყოს".

ლორამ თავი ვერაფრით შეიკავა ისევ:

„— აი, ხომ ხედავთ. ყველა მაშინვე გიცნობთ, თქვენ რომ ხართ, — თქვა და ისე გულწრფელად გაიცინა, რომ სამივე აჰყვა სიცილში.

— წიგნის გეგმა უკვე შეადგინეთ? — ჰკითხა სოფრონიცკამ, რომელიც ცდილობდა ისევ სერიოზულობა დაებრუნებინა.

— ცხადია, არა.

— როგორ! ცხადია, არა?

— ხომ უნდა მიხვდეთ, რომ ასეთი წიგნის გეგმაზე ლაპარაკიც ზედმეტია. წინასწარ რამეს გადაწყვეტ და მაშინვე სიყალბის ნიშანი დააჩნდება ყველაფერს. ველი როდის მიკარნახებს მას სინამდვილე.

— მაგრამ, მეგონა, სინამდვილისგან რაც შეიძლება შორს გინდოდათ წასვლა.

— ჩემი რომანისტი ეცდება მისგან შორს წასვლას, მე კი მას განუწყვეტლივ სინამდვილესთან დავაბრუნებ. სიმართლე რომ ვთქვა, სიუჟეტი იქნება ბრძოლა სინამდვილის მიერ შემოთავაზებულ ფაქტებსა და იდეალურ სინამდვილეს შორის".

მის სიტყვებში ლოგიკა აშკარად არ ჩანდა და აღმაშფოთებლად გამოიყურებოდა. ნათელი იყო, ედუარდის გონებაში ორი შეუთავსებელი მოთხოვნილება არსებობდა, რომელთა გამოყენებასაც ამაოდ ცდილობდა.

„— ბევრი გააკეთეთ უკვე? — თავაზიანად ჰკითხა სოფრონიცკამ.

— იმაზეა დამოკიდებული თქვენ რას გულისხმობთ. პატიოსნად რომ გითხრათ, თუ წიგნს გულისხმობთ, ერთი სტრიქონიც არ დამინერია, მაგრამ ბევრი კი ვიმუშავე. მასზე ყოველდღე და განუწყვეტლივ ვფიქრობ. დიდი ცნობისმოყვარეობით ვმუშაობ და შემიძლია ამაზეც გიამბოთ რამე: უბის წიგნაკში, დღითიდღე ვინიშნავ ამ რომანის მდგომარეობას ჩემს გონებაში; დიახ, რაღაც დღიურის მსგავსს ვაწარმოებ; იმის მსგავსს, ბავშვის სიმაღლეში ზრდის დაკვირვებებს რომ იწერენ... რათა იმის მიხედვით გადავლახო სიძნელეები, როგორადაც მხვდება (ხელოვნების ყველა ნაწარმოები ხომ მხოლოდ ჯამი და შედეგია განსაზღვრული რაოდენობის წვრილ-წვრილი, ერთმანეთის მიყოლებით აღმოცენებული სიძნელეების გადალახვისა), მე მათ დასანახად ვაფენ და ვსწავლობ. შეიძლება ითქვას, რომ ეს უბის წიგნაკი შეიცავს ჩემი რომანის განუწყვეტელ კრიტიკულ კვლევას, და საერთოდ რომანის კვლევასაც. აბა, წარმოიდგინეთ, რა საინტერესო იქნებოდა დიკენსის ან ბალზაკის ასეთი უბის წიგნაკები; წარმოიდგინეთ, რომ გვაქვს „სან-

ტიმენტალური აღზრდის" ან „ძმები კარამაზოვების" ჩანაწერები, დღიურების სახით, მაშინ გავიგებდით როგორ შეიქმნა ეს ნანარმოებები! ეს ხომ ძალიან საინტერესო საკითხავი იქნებოდა... თვით ნანარმოებზე საინტერესო...".

ედუარდს ბუნდოვანი იმედი ჰქონდა, ჩანაწერების ნაკითხვას მთხოვენო, მაგრამ ამ სამთაგანს არც ერთს უმცირესი ინტერესიც არ გამოუხატავს. ამის მაგივრად:

„— ჩემო საბრალო მეგობარო, — მიმართა ლორამ ნაღვლიანი ხმით. — ჩემთვის სრულიად ნათელია, რომ ამ რომანს ვერასოდეს დაწერთ.

— მერე რა! — მოუთმენლად წამოიძახა ედუარდმა. — ჩემთვის სულერთია, ეს წიგნი დაიწერება თუ არა. თუ ეს წიგნი ვერ დავწერე, მაშინ გამოდის, რომ მისი შექმნის ისტორია უფრო მაინტერესებდა, ვიდრე თვით წიგნი, და ამ ინტერესმა წიგნის ადგილი დაიკავა. მით უკეთესი იქნება.

— არ გეშინიათ, რომ რეალურის მიტოვებით, გზა აბსტრაქციის დამღუპველ სფეროებში აგებნევათ და ისეთ რომანს დაწერთ, სადაც პერსონაჟები ადამიანები კი არა, იდეები იქნება? — ფრთხილად ჰკითხა სოფრონიცკამ.

— თუნდაც ასე იყოს! — უფრო ენერგიულად განაგრძო ედუარდმა. — ნუთუ იდეების რომანი მხოლოდ იმიტომ უნდა დავსაჯოთ, რომ იმ დოყლაპიებს, ვინც მისი შექმნა გადაწყვიტა, არაფერი გამოუვიდათ? იდეების რომანების მაგივრად, აქამდე საძაგელ დოქტრინიორულ რომანებს გვთავაზობდნენ. ჩემთან კი, როგორც ხვდებით, სულ სხვანაირადაა. იდეები... უნდა გამოგიტყდეთ, იდეები უფრო მაინტერესებს, ვიდრე ადამიანები. ისინი ცოცხლობენ, იბრძვიან და ადამიანებივით იღუპებიან. ცხადია, შეიძლება ვთქვათ, რომ მათ მხოლოოდ ადამიანების წყალობით ვიცნობთ, ზუსტად ისევე, როგორც ქარის ქროლვას მინაზე დახრილი ლერწმების მეშვეობით ვიგებთ; მაგრამ ქარი მაინც მნიშვნელოვანია ლერწამზე.

— ქარი ლერწმისგან დამოუკიდებლად არსებობს, — გაბედა ლაპარაკში ჩარევა ბერნარმაც".

მისმა რეპლიკამ ედუარდი გამოაცოცხლა, რადგან დიდი ხანია ელოდა როდის იტყოდა რამეს ბერნარი.

„— დიახ, ვიცი. იდეები მხოლოდ ადამიანების წყალობით არსებო-

ბენ, მაგრამ ერთი ამაღელვებელი მომენტიც არის: ისინი არსებობენ ადამიანთა ხარჯზე".

ბერნარი დიდი ყურადღებით უსმენდა; სკეპტიციზმით იყო სავსე და დასაწყისში, ცოტას დარჩა, ედუარდის მსჯელობა ფუჭ ოცნებად არ მიიღო, მაგრამ, მერე მისი მჭევრმეტყველებით მოიხიბლა; გრძნობდა, ამ მჭევრმეტყველების დაქროლვაზე მისი აზრები როგორ ქანაობდა და დაბლა და დაბლა იხრებოდა; იმავ დროს საკუთარ თავს ეუბნებოდა: აზრები, ლერწმის მსგავსად წელში გაიმართება, როცა ქარი გადაივლისო. გაახსენდა, სკოლაში როგორ ასწავლიდნენ, ადამიანის ქცევები განისაზღვრება არა იდეებით, არამედ ვნებებითო. ამასობაში ედუარდი ლაპარაკს აგრძელებს:

„— გამიგეთ, ის, რაც მინდა შევქმნა, „ფუგის ხელოვნების" მსგავსი რაღაც იქნება. ვერ გამიგია, რატომაა, რომ ის, რაც მუსიკაში შესაძლებელია, შეუძლებელია ლიტერატურაში...".

რაზეც სოფრონიცკა შეეკამათა, მუსიკა მათემატიკური ხელოვნებაა; რომ, მხოლოდ ციფრებით გატაცებამლი, პათოსს და ადამიანურ საწყისის არად მიჩნევამ, ბახსს მოსაწყენი აბსტრაქტული შედევრი შექმნევინა, რაღაც ასტრონომიული ტაძრის მსგავსი, რომელშიც მხოლოდ მცირე განდობილთ შეუძლიათ შეღწევაო. ედუარდმა მაშინვე უპასუხა, რომ ეს ტაძარი საუცხოოდ მიაჩნია და მასში ხედავს ბახის მთელი შემოქმედების შედეგსა და სიმაღლეს.

„— შექმნის შემდეგ, — დაუმატა ლორამ, — დიდხანს, დიდხანს ფუგა აღარც გახსენებიათ. ადამიანურმა გრძნობებმა მასში მოუხერხებლად იგრძნეს თავი და სხვა ნავსაყუდელს დაუწყეს ძებნა".

კამათი აზრს კარგავდა უკვე. ბერნარმა, აქამდე რომ დუმდა, სკამზე მოუთმენელი ცმუკვა დაიწყო, ბოლოს ვეღარ მოითმინა, უკიდურესი გადაჭარბებული პატივისცემით, როგორც ყოველთვის მიმართავდა ხოლმე ედუარდს, ერთგვარი სიმხიარულითაც კი, თითქოს ამ პატივისცემის თამაშად ქცევა უნდაო, თქვა:

„— მომიტევეთ, ბატონო ჩემო, იმისთვის, რომ ჩემთვის ცნობილია თქვენი წიგნის სათაური; დამნაშავეა ჩემი მოურიდებლობა, თუმც ამ მოურიდებლობის ეპიზოდის დავიწყებაზე თანახმა იყავით; და ეს სათაური რაღაც სიუჟეტს მაინც გვპირდება...

— ოო! მაშინ გვითხარით ეგ სათაური, — სთხოვა ლორამ.

— ძალიან თუ გინდათ, ძვირფასო ჩემო... ოღონდ, გაფრთხილებთ,

სათაური შეიძლება შეიცვალოს. მეშინია, ოდნავ მცდარი არ აღმოჩნდეს... მაინც უთხარით, ბერნარ.

— ნებას მრთავთ?.. „ყალბი ფულის მჭრელები", — თქვა ბერნარმა. — კიდევ ერთი კითხვა მაქვს თქვენთან: ეს ყალბი ფულის მჭრელები ვინ არიან?

— ვინ? თვითონაც არ ვიცი". — თქვა ედუარდმა.

ბერნარმა და ლორამ ერთმანეთს გადახედეს, მერე სოფრონიცკას შეხედეს; ვიღაცამ ღრმად ამოიოხრა; მგონი, ლორა იყო.

გულწრფელად რომ ვთქვათ, ყალბი ფულის მჭრელებზე აზრი მაშინ მოუვიდა, როცა ზოგიერთ თანამოკალმეზე ფიქრობდა, განსაკუთრებით ვიკონტ დე პასავანზე. მალე ამ სიტყვებმა მისთვის უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა: იმისდა მიხედვით, აზრთა ქარი რომიდან ქროდა თუ სხვა მხრიდან, მისი გმირები ხან კათოლიკე ღვთისმსახურებად იქცეოდნენ, ხანაც ფრანკმასონებად. როგორც კი თავისუფლებას მისცემდა აზრებს, ისინი მაშინვე აბსტრაქციისკენ მიემართებოდნენ და თავის ნებაზე დანავარდობდნენ. მისი წიგნი ნელ-ნელა ივსებოდა ისეთი მცნებებით როგორიცაა გაცვლა, დევალვაცია, ინფლაცია, კარლეილის წიგნის „სარტორ რეზარტუსის" მსგავსად, სადაც ტანსაცმლის თეორიებმა პერსონაჟები შეავიწროვეს და მათი ადგილი დაიკავეს. ამის მოყოლის შესაძლებლობა ედუარდს არ ჰქონდა და თითქოს აზრთა უქონლობით დამარცხებული, ერთხანს გაჩუმდა; გაგრძელებულმა სიჩუმემ მისი სამივე თანამოსაუბრე შეაწუხა:

„— როდესმე ხელში გჭერიათ ყალბი ფული? — იკითხა ბოლოს.

— დიახ, — უპასუხა ბერნარმა, მაგრამ ორივე ქალის „არამ" მისი ხმა დაფარა.

— მაშ ასე! წარმოიდგინეთ ათი ფრანკის ღირებულების ოქროს ყალბი მონეტა. სინამდვილეში იგი ორ სუზე მეტი არ ღირს. ათი ფრანკი მანამდე ეღირება, ვიდრე არ გაიგებენ, რომ იგი ყალბია. აქედან, თუ ამ იდეიდან ამოვალ, მაშინ...

— იდეიდან ამოსვლა რა საჭიროა? — შეაწყვეტინა მოუთმენელმა ბერნარმა. — თუ კარგად ჩამოყალიბებული ფაქტიდან გამოხვალთ, იდეა მასში თავად ჩასახლდება. მე რომ „ყალბი ფულის მჭრელებს" ვწერდე, ყალბი მონეტით დავინყებდი; იმ პატარა მონეტით, ამ წუთში რომ გველაპარაკეთ... აი, აქედან".

ამ სიტყვებს რომ ამბობდა, ჟილეტის ჯიბიდან ათფრანკიანი პატარა მონეტა ამოიღო და მაგიდაზე დააგდო.

„— უსმინეთ, რა მშვენივრად ნკრიალებს. შეიძლება ადამიანმა დაიფიცოს კიდეც, რომ ოქროსია. ამ დილას შემომაჩეჩეს, როცა სანელებლებით მოვაჭრემ ხურდა დამიბრუნა, ისევე, როგორც მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მას შეაჩეჩეს. მგონი, ცოტა მსუბუქია ნამდვილზე, მაგრამ ნამდვილივით ბრწყინავს და ნკრიალებს. ოქროთია დაფერილი, ასე რომ, ორ სუზე ცოტა მეტი ღირს, შიგნით კი კრისტალია რაღაცა. რამდენიმე ხნის მერე გამჭვირვალე გახდება. არა, ნუ გახეხავთ, გამიფუჭდება, ისედაც გადაუვა ფერი".

ედუარდმა მონეტა ხელში აიღო და ყურადღებით დაუწყო თვალიერება.

„— სანელებლების გამყიდველთან როგორ მოხვდა?

— არ იცის. რამდენიმე დღეა ყუთში უდევს. ძალიან აინტერესებდა მოვტყუვდებოდი თუ არა. მე მზად ვიყავი ამეღო, პატიოსნებას გეფიცებით! მაგრამ ის წესიერი კაცია და შეცდომა არ ჩამადენინა, მერე ხუთ ფრანკად დამითმო. არ უნდოდა მოეცა, როგორც თვითონ თქვა, „მოყვარულებისთვის" უნდოდა ეჩვენებინა. მე კი ვიფიქრე, რომ „ყალბი ფულის" ავტორზე დიდ მოყვარულს ვის იპოვიდა და ვიყიდე თქვენთვის რომ მეჩვენებინა. ახლა კი, როცა უკვე დაათვალიერეთ, უკეთესია დამიბრუნოთ! რადგან ვხედავ სინამდვილე არ გაინტერესებთ.

— მაინტერესებს, — უპასუხა ედუარდმა, — მაგრამ ამავე დროს მაშფოთებს კიდეც.

— „სამწუხარია", — თქვა ბერნარმა.

## ედუარდის დღიური

### იმავე დღის საღამო

„სოფრონიცკა, ბერნარი და ლორა ჩემს რომანზე მეკითხებოდნენ. რატომ ვილაპარაკე?! მხოლოდ სისულელე ვთქვი. საბედნიეროდ, ეს საუბარი ბავშვების დაბრუნებამ შეგვაწყვეტინა. ორივე აწითლებული, გულამოვარდნილი მოვიდა, თითქოს დიდხანს ირბინესო. ბრონია შემოვიდა თუ არა დედას მიაშურა; მომეჩვენა, რომ სატირლად ემზადებოდა.

„— დედა, — დაიძახა, — ბორისს ცოტა გაუბრაზდი, შიშველი მოინდომა თოვლზე დაწოლა“.

„სოფრონიცკამ ბორისს შეხედა, კარის ზღურბლთან რომ იდგა თავჩაქინდრული, ქვეშქვეშ ოდნავი სიძულვილითაც მომზირალი. სოფრონიცკამ, თითქოს ვერ ამჩნევს ბორისის უცნაურ გამომეტყველებასო, მშვიდად ჰკითხა:

„— მისმინე, ბორის, საღამოობით ამისი გაკეთება საჭირო არ არის. თუ გინდა ხვალ დილით წავიდეთ და დასაწყისისთვის ჯერ ფეხშიშველი სცადე გავლა...“.

„ის ნაზად ეფერებოდა შვილის შუბლს. ბრონია უცებ იატაკზე დაეცა და კრუნჩხვები დაეწყო. ყველა ძალიან შეგვაწუხა ამ ამბავმა. სოფრონიცკამ ბავშვი აიყვანა და სოფაზე დაანვინა. ბორისი არ განძრეულა, ფართოდ გახელილი გაუგებარი თვალებით უყურებდა ამ სცენას.

„მგონი, სოფრონიცკას აღზრდის მეთოდები თეორიაში კი დიდებულია, მაგრამ ამ ბავშვების მხრიდან წინააღმდეგობას ჯეროვნად ვერ აფასებს.

„— ისე იქცევით, თითქოს სიკეთემ აუცილებლად ყოველთვის უნდა გაიმარჯვოს ბოროტებაზე, — ვუთხარი ცოტა მოგვიანებით, როცა მასთან მარტო დავრჩი (ვახშმობის შემდეგ, ბრონიას მდგომარეობის გასაგებად წავედი, რომელიც საღამოთი სასადილოში არ მოვიდა).

„— მართალია, — მითხრა მან. — მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ სიკეთე გაიმარჯვებს. მჯერა, ასე იქნება.

„— ოღონდ, მეტისმეტი რწმენის გამო შეიძლება შეცდეთ კიდეც...

„— თუკი როდესმე შევცდი, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი რწმენა საკმაოდ ძლიერი არ იყო. დღეს, როცა ბავშვები სასეირნოდ გავუშვი, ვერ შევძელი მათთვის დამეფარა, რომ ოდნავ შეშფოთებული ვიყავი. მათ ეს იგრძნეს და აი, შედეგიც“.

„ხელი მომკიდა:

„— თქვენ ეტყობა, დარწმუნების ღირებულებისა მაინცადამაინც არა გჯერათ... მინდოდა მეთქვა, მისი მოქმედების სიძლიერისა.

„— მართალია, — ვუპასუხე სიცილით. — მისტიკოსი არა ვარ.

„— აი, ხომ ხედავთ! მე კი, — რაღაც უჩვეულო აღმაფრენით ნამოიძახა, — მე კი, მთელი სულითა და გულით მჯერა, რომ მისტიციზმის გარეშე არც ერთი დიდი საქმე, არანაირი მშვენიერება არ აღსრულდება“.

„ტურისტების სიაში ვიქტორ სტრუვილუს გვარი მომხვდა თვალში. სასტუმროს პატრონის ცნობით, ის საას—ფეში ჩვენი ჩამოსვლის წინა დღეს გაემგზავრა; აქ ერთი თვე დარჩენილა. საინტერესო კი იყო მასთან კიდევ შეხვედრა. სოფრონიცკა, ცხადია, შეხვდებოდა. უნდა გამოვკითხო“.

## IV

„— ლორა, — უთხრა ბერნარმა, — როგორ ფიქრობთ, ამ ქვეყანაზე რამე ისეთი არსებობს, რაშიც ეჭვის შეტანა არ შეიძლება?.. ეჭვი ისე ძლიერად მიპყრობს, რომ სურვილი მიჩნდება საყრდენ წერტილად ვაქციო, ყველა ყველაა და, ამისი უკმარისობა, მგონი, არასოდეს მოგვაკლდება. შემიძლია ეჭვი შევიტანო ყველაფრის რეალობაში, ოღონდ საკუთარი ეჭვის რეალობაში კი არა და არა. მინდოდა... მომიტევეთ, თუ ისე ვლაპარაკობ, როგორც პედანტი ადამიანი; ბუნებით პედანტი არა ვარ, მაგრამ, სულ ახალახან დავამთავრე ლიცეუმის უკანასკნელი კლასი და ვერ წარმოიდგენთ, როგორ კვალს ტოვებს გონებაზე ფილოსოფიურ თემებზე გამუდმებული წერა; გეფიცებით, გამოვსწორდები.

— რას ნიშნავს ასეთი უკან დახევა? თქვენ გინდოდათ...

— ვინმეს თავგადასავალის აღწერა მინდა, რომელიც, ვიდრე რამეს გადაწყვეტს, ჯერ ყველას მოუსმენს, პანურგივით ყველას რჩევას ჰკითხავს; როცა დარწმუნდება, რომ ყველას აზრი, ყველა საკითხში, ერთმანეთს ეწინააღმდეგება, გადაწყვეტილებას მიიღებს, — საკუთარი თავის გარდა აღარავის მოუსმინოს და მაშინვე ძლიერი ხდება.

— ჩანაფიქრი ღირსეულია მოხუცისთვის, — უთხრა ლორამ.

— ცხოვრების გამოცდილება უფრო დიდი მაქვს, ვიდრე თქვენ გგონიათ. რამდენიმე დღეა, ედუარდივით დღიურს ვწერ! მარჯვენა მხარეს რაღაც აზრს ვიწერ, მარცხნივ კი მის საწინააღმდეგოს. მაგალითად, ერთ საღამოს სოფრონიცკამ გვითხრა, როცა ბორისსა და ბრონიას სძინავთ, ის მათი ოთახის ფანჯრებს ფართოდ აღებს. და, რასაც ასეთი რეჟიმის დასაცავად ამბობდა, ყველაფერი სრულიად დამაჯერებლად და ჭკვიანურად გვეჩვენებოდა. გუშინ კი, სასტუმროს მოსაწევ ოთახში მოვისმინე, ახლახან ჩამოსული გერმანელი პროფესორი როგორ ამტკიცებდა სრულიად საწინააღმდეგო თეორიას, რომელიც, არ ვმალავ და უფრო გონივრული, უფრო დასაბუთებული მეჩვენა. ძილის დროს მნიშვნელოვანია, ამბობდა ის, რამდენადაც შესაძლებელია შემცირდეს ენერგიის ხარჯვა და ყოველგვარი ცვლა, რაც სიცოცხლის გამომსახველობას ნიშანს წარმოადგენსო. ამას იგი

წვას უწოდებდა. ძილი მხოლოდ ამ შემთხვევაში აღადგენს ძალებსო. ჩიტების მაგალითი მოჰყავდა, რომლებიც ძილის დროს თავებს ფრთებქვეშ მალავენ; ცხოველების მაგალითი, რომლებიც ისე იკუნტებიან, ძილის დროს ოდნავ რომ ისუნთქონო; ზუსტად ამიტომაც, ამბობდა ის, ბუნებასთან ახლოს მდგომი ტომები ან ნაკლებ ცივილური გლეხები სადღაც ნიშებში იმალებიან, ხოლო არაბები, იძულებულნი არიან ღია ცის ქვეშ დაიძინონ და თავიანთი ბურნუსების კაპიშონებში დამალონ სახე. როცა სოფრონიცკასა და მის ბავშვებს ვუბრუნდები, ვფიქრობ, მთლად მართალი არ არის, და ის, რაც სხვებისთვის სიკეთეა, ამ პატარებისთვის შეიძლება საზიანოდ იქცეს, რადგან, როგორც მე მივხვდი, ამ ორივეს ტუბერკულოზის ბაცილები აქვს. მოკლედ, საკუთარ თავს ვუთხარი... მგონი, თავი შეგაწყინეთ.

— არა, ეს ნუ შეგაწუხებთ. რა უთხარით საკუთარ თავს?..

— არ ვიცი. დამავიწყდა.

— უკვე გაიბუტეთ. თქვენი აზრების არ უნდა გრცხვენოდეთ.

— საკუთარ თავს ვუთხარი, რომ არაფერი არსებობს ისეთი, რაც ერთნაირად კარგია ყველასთვის, და, რომ საჭიროა ყველაფერი განიხილოს კონკრეტულ ურთიერთკავშირში; რომ ჭეშმარიტება ყველასთვის ჭეშმარიტება რომ იყოს, ისეთი არაფერია; არსებობს ჭეშმარიტება მხოლოდ იმათთვის, ვინც თანახმაა იგი ასეთად მიიჩნიოს; რომ არ არსებობს ისეთი თეორია ან მეთოდი, რომელიც ნებისმიერ ადამიანს მიუდგება; რომ იმოქმედო, საჭიროა აირჩიო და ეს არჩევანი თავისუფალი უნდა იყოს; რომ, როცა თავისუფალ არჩევანს მოკლებული ვართ, ყველაფერი ძალიან ადვილდება და, როცა ჭეშმარიტებები (ცხადია, არა აბსოლუტური ჭეშმარიტებები, არამედ მხოლოდ ჩემი) იქცევიან იმად, რაც უზრუნველყოფს ჩემი ძალების საუკეთესო გამოყენებას, საქმეში ყველა ჩემი ღირსების ჩართვით. ყველაფრის ერთდროულად არჩევა არ შემიძლია, ხოლო ყოყმანი მძულს. მონტენის „რბილი და ნაზი ბალიში“ ჩემი თავისთვის არ არის შექმნილი, რადგან ძილიც არ მინდა, დასვენების მოთხოვნილება ჯერ არა მაქვს. გზა გრძელია და იქიდან მოდის, რადაც თავი მეგონა რომ ვარ, იქით მიდის, რაც შეიძლება ვიყო. ზოგჯერ შიში მიპყრობს, რომ ძალიან ადრე ავდექი.

— შიში გიპყრობთ უკვე?

— არა, არაფრის მეშინია. ოღონდ, იცით, ძალიან შევიცვალე; ყოველ შემთხვევაში, ჩემი შინაგანი ბუნება ის აღარ არის, როგორიც ჩემი სახლიდან წამოსვლამდე იყო; ამ დროს თქვენ შეგხვდით და მაში-

ნვე შეეწყვიტე საკუთარი თავისუფლების ყველაზე მაღლა დაყენება. შეიძლება ვერც კი მიხვდით, რომ თქვენს მსახურად ვიქეცი.

— ეს როგორ უნდა გავიგო?

— ოო! მშვენივრად იცით. რატომ გინდათ მაიძულოთ და მათქმევინოთ? გინდათ გამოგიტყდეთ, არა?.. არა, არა, ნუ მალავთ ღიმილს, გთხოვთ, თორემ დარდი მომერევა.

— როგორ, ჩემო პატარა ბერნარ, იმის მტკიცებას ხომ არ აპირებთ, რომ ჩემს შეყვარებას იწყებთ?

— ოო! არა, არ ვიწყებ, — უპასუხა ბერნარმა, — შეიძლება ეს თქვენ იწყებთ ამის შეგრძნებას, მაგრამ თქვენ ხელს ვერ შემიშლით.

— ისე მშვენივრად ვგრძნობდი თავს და ვერც კი ვიფიქრებდი, რომ თქვენთან ფრთხილად უნდა ვყოფილიყავი. ახლა უკვე სიფრთხილე მმართებს თქვენთან ურთიერთობაში, გამუდმებით უნდა მოგერიდოთ, როგორც ადვილად აალებად ნივთიერებას... წარმოიდგინეთ, მალე გაბერილ, უფორმო არსებად ვიქცევი. მარტო ჩემი გარეგნობა გამოგაჯანმრთელებთ.

— დიახ, თუ თქვენში მხოლოდ გარეგნული მხარე მეყვარებოდა. თანაც ავადმყოფი სულაც არა ვარ; თუ თქვენი სიყვარული ავადმყოფობას ნიშნავს, მაშინ ვამჯობინებ არ გამოვჯანმრთელდე".

სერიოზულად ლაპარაკობდა, ნაღვლიანადაც; და ისე ნაზად შეჰყურებდა ლორას, როგორც არასოდეს შეუხედავს მისთვის ედუარდსა და დუვიეს, იმავ დროს ისეთი პატივისცემითაც, გასაბრაზებლად არანაირი საფუძველი არ ჰქონდა. ქალს მუხლებზე ინგლისური წიგნი ედო, ახლახან რომ კითხულობდა ორივე, და იმისი ფურცვლა დაიწყო დაბნეულად. შეიძლება ისიც კი გეფიქრათ, არც კი უსმენსო, ამიტომაც ბერნარმა ისე გააგრძელა ლაპარაკი მაინცადამაინც არ მორიდებია:

„— სიყვარული ვულკანური ვნებების სახით წარმომედგინა; ყოველ შემთხვევაში ის სიყვარული, რომელიც ჩემთვის არის შექმნილი. დიახ, მართლაც მეგონა, რომ სიყვარული შემეძლო განმეცადა ხარბად, მტანჯავად, ბაირონისებურად. რა ცუდად ვიცნობდი საკუთარ თავს! თქვენ შემაცნობინეთ ჩემი თავი, ლორა, სრულიად სხვანაირი, ვიდრე წარმომესახა! რაღაც დემონურ პერსონაჟს ვანსახიერებდი და ვცდილობდი მას დავმსგავსებოდი. და ახლა, როცა იმ წერილს ვიხსენებ, რომელიც ჩემს მამინაცვალს მივწერე სახლიდან წამოსვლის წინ, გარწმუნებთ, საშინლად მრცხვენია. მეამბოხე მეგონა საკუთარი თავი, გაძევებული, ყველაფერი რომ გადაელახე, რაც ჩემი სურვილების

აღსრულებას უშლიდა ხელს, და აი, თქვენს გვერდით აღმოვჩნდი თუ არა, არანაირი სურვილი აღარ მაქვს. თავისუფლებას ვესწრაფვოდი, როგორც უმაღლეს სიკეთეს, აღმოვჩნდი თუ არა თავისუფალი, დავემორჩილე თქვენს... აჰ, ნეტავ იცოდეთ, როგორ მაცოფებს, თავში დაგროვილი ამ დიდი მწერლების გამონათქვამები თქვენი ბაგიდან რომ იფრქვევიან, მაშინ, როცა ძალიან მინდა ჭეშმარიტი გრძნობა გამოვხატო. ეს გრძნობა ჩემთვის იმდენად ახალია, რომ ჯერ ვერ მომიგონია მისი ენა. დავუშვათ, ეს სიყვარული არ არის, თუ ეს სიტყვა ასე არ მოგეწონათ; დავუშვათ, ეს მონიწებაა. იმასაც ვიტყოდი, რომ თქვენმა კანონებმა ზღვარი დაუდო თავისუფლებას, აქამდე რომ უსაზღვრო მეგონა. ვიტყოდი, რომ ყველაფერი, რაც ჩემში ადრე დაუდეგრად, თავაწყვეტილად ბობოქრობდა, ახლა ჰარმონიული ფერხულით თქვენს ირგვლივ ტრიალებს. და თუ რომელიღაც ჩემი ფიქრი თქვენ არ გეხებათ, მაშინვე თავიდან ვიცილებ... ლორა, სიყვარულს არა გთხოვთ, მე ხომ ჯერ კიდევ ერთი უბრალო მონაფე ვარ და თქვენი ყურადღებაც არაფრით დამიმსახურებია; ახლა რისი გაკეთებაც მსურს, მხოლოდ ის არის, ოდნავ მაინც დავიმსახურო თქვენი... (აჰ! რა საძაგელი სიტყვაა) თქვენი პატივისცემა".

ლორას წინ მუხლზე დაეცა, ქალმა სკამიანად უკან დაინია, ბერნარმა ხელები თაყვანისცემის ნიშნად უკან გასწია და შუბლით მის კაბას შეეხო; როგორც კი ლორას ხელი შუბლზე იგრძნო, მაშინვე ხელი სტაცა და ტუჩებით დააცხრა.

„— ბერნარ, ბავშვი ხარ ისევ! მე ხომ თავისუფალი არა ვარ, — უთხრა ქალმა და ხელი გამოაცალა. — აჰა, წაიკითხე".

კორსაჟიდან დაჭმუჭნილი ქაღალდი ამოიღო და ბერნარს მიაწოდა.

ბერნარმა ჯერ ხელმოწერას დახედა. როგორც შიშობდა, ეს ხელმოწერა ფელიქს დუვიესი იყო. წერილი ერთხანს ხელში ეჭირა, არ წაუკითხავს; თვალი ლორას მიაპყრო. ქალი ტიროდა. ბერნარმა მაშინვე იგრძნო გულში როგორ გაუსკდა ერთი ნაწიბური, ერთი ის იდუმალი ძაფი, ყოველ ჩვენგანს საკუთარ თავთან, ჩვენს წარსულ ეგოიზმთან რომ აერთებს. მერე წაიკითხა:

„ჩემო საყვარელო ლორა,

„იმ პატარა ბავშვის სახელით, რომელსაც მალე გააჩენ და, რომელიც, გპირდები, ისე მეყვარება, თითქოს მე ვიყო მისი მამა, გევედრები

დაბრუნებას. დარწმუნებული იყავი, ერთ საყვედურსაც ვერ მოისმენ ჩემგან. ძალიან ნუ დაიდანაშაულებ თავს; ყველაზე მეტად ამას განვიცდი და ვიტანჯები. ნუღა იგვიანებ. სულითა და გულით გელის, შენი მაღმერთებელი და შენს წინაშე მუხლმოდრეკილი ჩემი სული".

ბერნარი ლორას წინ იატაკზე იჯდა და არც შეუხედას, ისე ჰკითხა:

„— როდის მიიღეთ ეს წერილი?

— დღეს დილით.

— მეგონა, არაფერი იცოდა. თქვენ მისწერეთ?

— დიახ. ყველაფერში გამოვუტყდი.

— ედუარდმა იცის?

— ჯერ არა".

ბერნარი ერთხანს გაჩუმდა, თავჩაქინდრული იჯდა, მერე მისკენ შებრუნდა და ჰკითხა:

„— და... რას აპირებთ?

— სერიოზულად მეკითხებით?.. მასთან დაბრუნებას. ჩემი ადგილი მის გვერდითაა. მასთან უნდა ვიცხოვრო. და თქვენ ეს კარგად იცით.

— დიახ, — თქვა ბერნარმა".

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოწვა. მერე ბერნარმა ჰკითხა:

„— ნუთუ მართლა გჯერათ, რომ შეიძლება იმ ბავშვის საკუთარი შვილივით შეყვარება, რომელიც სხვისგან დაიბადა?

— არ ვიცი, მჯერა თუ არა, მაგრამ იმედი კი მაქვს.

— მე კი მჯერა. და პირიქით, არ მჯერა იმისა, რასაც სულელურად „სისხლის ყივილს" ეძახიან. დიახ, დარწმუნებული ვარ, ეს ყბადაღებული ყივილი მხოლოდ მითია. ერთგან წავიკითხე, რომ ოკეანეთის კუნძულების ზოგიერთ ხალხს წესად აქვთ სხვისი ბავშვების შვილად აყვანა და ხშირად ეს ნაშვილები უფრო ძლიერ უყვართ, ვიდრე საკუთარი. წიგნში ეწერა, კარგად მახსოვს, მათ „უფრო მეტად ეფერებიანო". იცით, ახლა რა გამახსენდა?.. იმას, ვინც მამაჩემის ადგილი დაიკავა, ისეთი რამე არასოდეს უთქვამს, არც გაუკეთებია, რაც ჩემში ეჭვს გამოიწვევდა, რომ მისი ნამდვილი შვილი არ ვიყავი. ის, რაც მივწერე, განსხვავებას მუდამ ვგრძნობდი-მეთქი, მოვიტყუე; პირიქით, რაღაც უპირატესობას მე მანიჭებდა, რაც მსიამოვნებდა და ეს ყველაფერი ჩემს უმადურობას უფრო საძაგელს ხდის. ძალიან ცუდად მოვექეცი.

ლორა, ძვირფასო, მირჩიეთ... როგორ გგონიათ, პატიება უნდა ვთხოვო და დავბრუნდე?

— არა, — უპასუხა ლორამ.

— რატომ? თქვენ ხომ უბრუნდებით დუვიეს...

— ახლახან მითხარით, რომ ის, რაც ჭეშმარიტებაა ერთისთვის, შეიძლება მეორისთვის ჭეშმარიტება არ აღმოჩნდესო. მე სუსტი ვარ, თქვენ ძლიერი. ალბათ, ბატონ პროფიტანდიეს მართლაც უყვარხართ, მაგრამ, იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც მასზე მიამბეთ, თქვენ არა ხართ იმისთვის შექმნილნი, რომ ერთმანეთთან ურთიერთობა მოანესრიგოთ... ყოველ შემთხვევაში, მოცდა სჯობს. დაბნეული არ დაუბრუნდეთ მას. გნებავთ, ბოლომდე ვთქვა ჩემი აზრი? ახლა რომ დაუბრუნდეთ, ამას ჩემ გამო გააკეთებთ და არა მისი გულისთვის, რათა მიაღწიოთ იმას, რასაც თქვენ ჩემს პატივისცემას ეძახით. თქვენ მას მიიღებთ, ბერნარ, ოლონდ მაშინ, როცა დავინახავ, რომ არ ეძებთ მის მიღებას. მე მხოლოდ ბუნებრივად შემიძლია მიყვარდეთ. სინანული უმჯობესია მე დამიტოვოთ, იგი თქვენი საქმე არ არის, ბერნარ.

— მგონი, ჩემი სახელის შეყვარებას ვიწყებ, როცა თქვენი ბაგიდან წარმოთქმული მესმის. იცით, იქ, ყველაზე მეტად რა მეზიზღებოდა? ფუფუნება. იმდენი კომფორტი, ისეთი კეთილმოწყობილი... ვგრძნობდი, როგორ ვხდებოდი ანარქისტი. ახლა, პირიქით, მგონი, კონსერვატორად ვიქცევი. ეს რამდენიმე დღის წინ შევიგნე, სრულიად მოულოდნელად, როცა შემომესმა, ერთი ტურისტი როგორ ყვებოდა თუ რა სიამოვნებით მოატყუა მებაჟეები; მაშინ მრისხანებამ შემიპყრო. „გაქურდო სახელმწიფო, ნიშნავს არავინ გაქურდო", — ამბობდა ის. პროტესტის გრძნობა დამეხმარა გამეგო, რას ნიშნავდა სახელმწიფო. და იგი შევიყვარე, რადგან უსამართლობის მსხვერპლი აღმოჩნდა. აქამდე არასოდეს მიფიქრია ამაზე. „სახელმწიფო მხოლოდ ურთიერთშეთანხმებაა", — დაუმატა მან. რა კარგი იქნებოდა, თუ ეს შეთანხმება თითოეულის კეთილ სურვილზე იქნებოდა დამყარებული... და კიდევ, თუ ყველა ადამიანი პატიოსანი იქნებოდა. აბა, დღეს მკითხეთ, რომელი სათნოება მგონია ყველაზე მშვენიერი, უყოყმანოდ გიპასუხებდით: პატიოსნება. ო, ლორა! მსურს, მთელი სიცოცხლის მანძილზე, უმცირეს დარტყმასაც კი სუფთა, პატიოსანი ხმით ვუპასუხო, რომელშიც უმცირესი სიყალბეც არ იქნება. თითქმის ყველა ადამიანი, მე რომ ვიცნობ, ყალბ ხმებს გამოსცემს. დაე, ჩემი გარეგანი ღირსება მუდამ შინაგან ღირსებებს ესადაგებოდეს; იმაზე მეტი არასოდეს გამოვჩნდე,

რაც სინამდვილეში ვარ... ჩვეულებრივ, ადამიანი ცდილობს ყველა დააბნიოს, ისე ზრუნავს თავის გარეგნულ მხარეზე, რომ ავიწყდება ვინ არის სინამდვილეში... მაპატიეთ, ასე რომ გელაპარაკებით. თქვენ გიზიარებთ ჩემს ღამეულ განსჯებს.

— ის პატარა მონეტა გაიხსენეთ, გუშინ რომ გვაჩვენეთ. როცა ნავალ...".

ნინადადება აღარ დაამთავრა; თვალი ცრემლით აევსო და ბერნარმა დაინახა თავს ძალას როგორ ატანდა ლორა, რომ არ ატირებულიყო, და ამ ძალდატანებისგან ტუჩები აუკანკალდა.

„— მაშ, ნახვალთ, ლორა?... — თქვა ბერნარმა ნაღვლიანად. — მეშინია, როცა ჩემს გვერდით აღარ იქნებით, ყოველგვარ ღირსებას დავკარგავ ან ძალიან ცოტა შემრჩება... მაინც მითხარით, მინდა ვიცოდე, ნახვიდოდით, თუ ქმარს მისწერდით და გამოუტყდებოდით, რომ ედუარდი... არ ვიცი, როგორ ვთქვა...(და რადგან ლორა განითლდა), თუკი ედუარდი უფრო მეტი ეღირებოდა? ოო! ნუ უარობთ. მე ხომ კარგად ვიცი, რასაც მასზე ფიქრობთ.

— ამას იმიტომ ამბობთ, რომ გუშინ, როცა თავის რომანზე ლაპარაკობდა ღიმილი შემამჩნიეთ, და მაშინვე გადანყვიტეთ, რომ ჩვენი აზრები ერთმანეთს ემთხვევა. არა, ცდებით. სიმართლე რომ ვთქვა, არ ვიცი, რას ვფიქრობთ მასზე. ის ერთი და იგივე პიროვნებად დიდხანს არ რჩება. დიდხანს ვერაფერს ეთვისება; მაგრამ არაფერია იმაზე მიმზიდველი, ვიდრე მისი გაქცევა. აი თქვენ კი ძალიან ცოტა ხანია, რაც მას იცნობთ იმისთვის, რომ მასზე იმსჯელოთ. მისი პიროვნება ჰაერში განუწყვეტლივ იფანტება და კვლავ ხელახლა იქმნება. ზოგჯერ გჯერა, რომ ბოლოს და ბოლოს უკვე იწყებ მის გაგებას... პროტეესია[1]. იმ ფორმას ღებულობს, რომელიც უყვარს. და მას რომ გაუგო, უნდა გიყვარდეს კიდეც.

— თქვენ ის გიყვართ, ლორა. ო! ლორა დუვიეზე კი არ უნდა ვეჭვიანობდე, არც ვენსანზე, არამედ ედუარდზე.

— რატომ უნდა იეჭვიანოთ? მიყვარს დუვიე, მიყვარს ედუარდი, მაგრამ სხვადასხვანაირად. თუ თქვენც შეგიყვარეთ, ეს კიდევ ერთი, სულ სხვა გრძნობა იქნება.

— ლორა, ლორა, დუვიე არ გიყვართ. თქვენ მისდამი მხოლოდ

1. ზღვის ღვთაება, შეეძლო მიეღო სასურველი სახე (მით.).

თანაგრძნობის, სიბრალულის, პატივისცემის გრძნობა გაქვთ; ამას არ შეიძლება ეწოდოს სიყვარული. მგონი, თქვენი ნაღველის საიდუმლო (თქვენ ხომ ნაღვლიანი ხართ, ლორა) იმაში მდგომარეობს, რომ ცხოვრებამ როგორღაც თქვენ და თქვენი სიყვარული ცალკეულ ნაწილებად დაგშალათ. ის, რაც ერთ ადამიანს უნდა უძღვნათ, რამდენიმეს უნაწილებთ. მაგალითად, მე ვგრძნობ დაუნაწილებელი ვარ და შემიძლია საკუთარი თავი მთლიანად გავცე.

— მეტისმეტად ახალგაზრდა ხართ იმისთვის, რომ ასე ილაპარაკოთ; წინასწარ არ შეიძლება იცოდეთ, ცხოვრება ცალკეულ ნაწილებად თქვენც „დაგანაწილებთ" თუ არა. თქვენგან შემიძლია მივიღო მხოლოდ... ის მოწინება, რომელიც შემომთავაზეთ. დანარჩენი კი, როცა თავის მოთხოვნებს წამოგიყენებთ, მოგიწევთ სხვაგან დაიკმაყოფილოთ.

— ნუთუ ასე მოხდება? წინასწარ მაიძულებთ საკუთარი თავიც შევიძულო და ცხოვრებაც.

— ცხოვრებისა არაფერი გაგეგებათ. მისგან ყველაფერს უნდა ელოდეთ. იცით, ჩემი შეცდომა რაში იყო? იმაში, რომ ცხოვრებიდან მეტს აღარაფერს მოველოდი. სამწუხაროდ, იმ მომენტში დავთმე, როცა მომეჩვენა, რომ მისგან არაფერს ველოდი. ეს გაზაფხული პოში ისე ვიცხოვრე, თითქოს უკანასკნელი იყო, რომ მნიშვნელობა უკვე აღარაფერს ჰქონდა. ბერნარ, ახლა, როცა უკვე დასჯილი ვარ, შემიძლია გითხრათ, ცხოვრებაში რწმენა არასოდეს დაკარგოთ".

მგზნებარებით სავსე ჭაბუკთან ასე ლაპარაკს რა აზრი ჰქონდა? ამიტომ ლორას სიტყვები ბერნარისადმი არც იყო მიმართული. მის თანაგრძნობას აყოლილი, სურვილის გარეშე, ხმამაღლა ფიქრობდა. მას არც თავის მოკატუნება შეეძლო და არც გრძნობების მართვა. ჯერ იმ აღტკინებას მიენდო ედუარდზე ფიქრმა რომ გაიტაცა და ნება არ მისცა თავისი სიყვარული დაეფარა, მერე ქადაგების წარმოთქმის მოთხოვნილებამდე მივიდა, რაც, ალბათ, მამისგან მიიღო მემკვიდრეობად. ოღონდ, ბერნარი ვერ იტანდა რეკომენდაციებსა და რჩევებს, მაშინაც კი, როცა ისინი ლორასგან მოდიოდა. მისმა ღიმილმა ლორაზე გამაფრთხილებლად იმოქმედა და უფრო მშვიდად ჰკითხა:

„— პარიზში დაბრუნებისას ედუარდის მდივნად დარჩენას აპირებთ?

— დიახ, თუ რამე სამუშაოს მომცემს, თორემ აქამდე არაფერი მოუცია გასაკეთებლად. იცით, რა უფრო მაინტერესებს? მასთან

ერთად დავწერო ის წიგნი, რომელსაც მარტო ვერასოდეს დანერს. გუშინ თქვენ თვითონ უთხარით ეს. ის მეთოდი, რომელზეც გვესაუბრებოდა, აბსურდი მგონია. კარგი რომანი უფრო გულწრფელ მიდგომას საჭიროებს. და, უპირველეს ყოვლისა, უნდა გჯეროდეს იმისა, რასაც ყვები; ასე არ არის, და უნდა მოყვე უბრალოდ. ჯერ მომეჩვენა, რომ მის დახმარებას შევძლებდი. მას რომ მაძებარი სჭირდებოდეს, ალბათ, ამ საქმეს თავს გავართმევდი. ის ფაქტებზე იმუშავებდა, რომელსაც ჩემი პოლიცია მისცემდა... იდეოლოგთან კი — არაფერია გასაკეთებელი. მის გვერდით როცა ვარ, ვგრძნობ, როგორ იღვიძებს ჩემში რეპორტიორი. თუ დაბნეულობას ისევ გააგრძელებს, მაშინ თვითონ დავიწყებ დამოუკიდებლად მუშაობას. ცხოვრების სახსარი უნდა ვიშოვო. რომელიმე გაზეთს შევთავაზებ ჩემს სამსახურს. ხოლო შუალედში ლექსებს დავწერ.

— რადგან რეპორტიორების გვერდით იგრძნობთ, როგორ იღვიძებს თქვენში პოეტი?

— ოო! ოღონდ ნუ დამცინით. ისედაც ვიცი სასაცილოდ გამოვიყურები და საჭირო არ არის კიდევ ერთხელ შემახსენოთ.

— ედუარდთან დარჩით. თქვენი დახმარება მისთვის სასარგებლო იქნება; თვითონაც დაგეხმარებათ. კეთილია".

სადილობის დაწყების მაუწყებელი ზარის ხმა გაისმა. ლორამ მკლავში ხელი გაუყარა:

„— და კიდევ ერთი: იმ პატარა მონეტას, გუშინ რომ გვაჩვენეთ... როცა წავალ, — თავს ძალა დაატანა და წინადადება დაამთავრა, — თქვენგან სახსოვრად არ მომცემთ?

— აი, აიღეთ, — უპასუხა ბერნარმა".

# V

## ედუარდის დღიური

> როგორც ექიმები ამბობენ, ადამიანის სულის თითქმის ყველა სენს, რომელთა გამოჯანმრთელების იმედიც გვაქვს, თურმე, მხოლოდ ჩვენს შიგნით ვამწყვდევთ და სხვებით ვცვლით.
>
> **სენტ-ბევი („ორშაბათის საუბრები")**

„თანდათან უკვე ვხვდები იმას, რაც ჩემი წიგნის „თემის სიღრმე", როგორც მე ვუწოდებ, უნდა გახდეს. ეს იქნება, და უეჭველად იქნება, რეალურ სამყაროსა და მის შესახებ ჩვენს წარმოდგენას შორის მეტოქეობის თემა. საშუალება, რომლის მეშვეობითაც ხილული სამყარო ჩვენს ცნობიერებაში შემოდის და მისი სუბიექტური ინტერპრეტაციის შემდეგ, ვცდილობთ შევთავაზოთ გარე სამყაროს შექმნას ჩვენი ცხოვრების დრამა. ფაქტების წინააღმდეგობის გამო, იძულებული ვართ ჩვენი იდეალური კონსტრუქცია გადავიტანოთ ოცნებაში, იმედში, მომავალ ცხოვრებაში, რადგან ამ ცხოვრებაში ჩვენი რწმენა იმედგაცრუებებით საზრდოობს, იმ იმედგაცრუებებით, ცხოვრებაში რომ შეგვხვდა. რეალისტები ფაქტებით ხელმძღვანელობენ და თავიანთ იდეებს ფაქტებს უსადაგებენ. ბერნარი რეალისტია. და ვშიშობ, მასთან საერთო ენას ვერ გამოვნახავ.

„როგორ დავეთანხმე სოფრონიცკას, როცა მითხრა, რომ ჩემში მისტიკოსისა არაფერია? მზად ვიყავი მასთან ერთად მეღიარებინა, რომ მისტიციზმის გარეშე ადამიანი დიდს ვერაფერს შექმნის. მაგრამ, განა ლორა მისტიციზმს არ მსაყვედურობს, როცა ჩემს წიგნზე ვლაპარაკობთ?.. მათ თავი დავანებოთ და თვითონ იკამათონ ამ თემაზე.

„სოფრონიცკამ ისევ ბორისზე დამიწყო ლაპარაკი; ჰგონია, რომ მისგან სრული აღსარება მიიღო; თვითონ ფიქრობს ასე. საბრალო ბავშვს, გონებაში პატარა ტყე ან ბუჩქნარიც აღარ დარჩა, სადაც თავის შეფარებას შეძლებდა ექიმი-ქალის თვალისგან დასამალად. სააშკარაოზე იყო ყველას დასანახად. ოსტატის მსგავსად, განმენდისას ნაწი-

ლებად რომ შლის საათს, სოფრონიცკაც ერთმანეთს აშორებს, დღის სინათლეზე გამოაქვს ყველაზე იდუმალი ნაწილები ბორისის სულიერი ორგანიზმისა. მაგრამ, როცა ბიჭი ისე არ იქცევა, როგორც საჭიროა, ექიმი გამოსავალს ვეღარ პოულობს და საგონებელში ვარდება. აი, რა მიამბო მან:

„ცხრა წლის ასაკში, ბორისი ვარშავის ერთ კოლეჯში მიაბარეს, სადაც თანაკლასელს ბაპტისტინ კრაფტს დაუმეგობრდა, რომელიც ერთი თუ ორი წლით უფროსი იყო და რომელმაც იმ იდუმალ საქმიანობას აზიარა, ბავშვები გულუბრყვილოდ რომ არიან აღფრთოვანებულნი და როგორც „მაგიას“ ისე ღებულობენ. ისინი თავიანთ ნაკლს ასე უწოდებენ; სადღაც გაიგეს ან ამოიკითხეს, რომ მაგიის იდუმალი საშუალებებით შეიძლება მიიღონ ის, რასაც მოისურვებენ, რომ იგი უსაზღვროდ ზრდის ძალასა და სხვა. მათ გულწრფელად სჯეროდათ, რომ საიდუმლო აღმოაჩინეს, რომლის მეშვეობითაც რეალურად არ არსებულის კომპენსირებას მოჩვენებითი ფაქტორით ცდილობდნენ და ნებით ეძლეოდნენ ჰალუცინაციებს, ექსტაზში ვარდებოდნენ; მათი აღგზნებული წარმოსახვა სასწაულებით ივსებოდა და ავხორცული წარმოდგენები მნიშვნელოვნად უძლიერდებოდათ. ცხადია, სოფრონიცკამ სხვა სიტყვები იხმარა; მე კი მინდოდა, ზუსტად გაემეორებინა ბორისის ნათქვამი, მაგრამ მიმტკიცებდა, რომ ბიჭის ნათქვამიდან მხოლოდ ის გაიგო, რაც მე ჩავწერე; თანაც თავისი დასკვნების სიზუსტეში მარწმუნებს, მიუხედავად ამ თვალთმაქცური ქაოსისა, გაურკვევლობისა და ბოლომდე გაუმჟღავნებელი სიმართლისა.

„— დიდი ხნის ძებნის შემდეგ აღმოვაჩინე იმ პერგამენტის ნაჭერის ამოცანის გასაღები, — დაუმატა მან, — რომელიც დედამისმა ყელზე დაჰკიდა წმნიდანთა მედალიონებთან ერთად. პერგამენტზე ბავშვური დიდი ასოებით გულმოდგინედ ხუთი სიტყვა აწერია: „გაზი, ტელეფონი, ასი ათასი მანეთი“.

„— მაგრამ ეს ხომ არაფერს ნიშნავს. მაგიაა“. ასე მპასუხობდა მუდამ, როცა ამ სიტყვების აზრის გაგებას ვცდილობდი. ამის გარდა ვერაფერს მივაღწიე. ახლა ვიცი, რომ ეს საიდუმლო სიტყვები მაგიის გროსმაისტერისა და პროფესორის, ჭაბუკი ბაპტისტინის მიერ არის დაწერილი, და ეს ხუთი სიტყვა ბავშვებისთვის ერთგვარი თილისმა იყო, როგორც, მაგალითად, „სეზამ გააღე“, და რომელიც მათ სამარცხვინო სამოთხისა და ავხორცობის კარს უღებდა. ბორისი პერგამენტის ამ ნაჭერს თავის თილისმას ეძახდა. ცოტა შრომა როდი დამჭირდა,

რომ იგი ჩემთვის ეჩვენებინა, უფრო მეტიც, აღარ ეტარებინა (აქ ჩამოსვლის დღიდან); მინდოდა ამ თილისმისგან გამეთავისუფლებინა, ისევე, როგორც ადრე ცუდი ჩვევებისგან გავათავისუფლე. იმედი მქონდა, თილისმასთან ერთად მისი მტანჯავი ტიკი და მანიაც გაქრებოდა. მაგრამ ამაოდ, როგორც უკანასკნელ თავშესაფარს ისე ჩააფრინდა ამ პერგამენტს.

„— ხომ თქვით, ცუდი ჩვევებისგან უკვე გავათავისუფლეო...

„— ნერვული ავადმყოფობა მხოლოდ ამის შემდეგ დაეწყო. უეჭველია, ყველაფერი იმ ძალდატანების შედეგია, როცა იძულებული იყო ასე მოქცეულიყო, და ამ ჩვევებს ებრძოდა. მისგან ისიც გავიგე, დედამისმა ერთხელ მაშინ მიუსწრო, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „მაგიით იყო დაკავებული". რატომ არ მიამბო დედამისმა? შერცხვა?

„— ან კიდევ იმიტომ, რომ იცოდა შვილი გამოუსწორდა.

„— ეს ხომ აბსურდია... ეს ხომ ის მიზეზი იყო, ამდენ ხანს რომ ვეძებდი ხელის ცეცებით. ამას წინათ გითხარით, ბორისი აბსოლუტურად სუფთაა—მეთქი.

„— ისიც მითხარით, რომ ზუსტად ეს გაშფოთებდათ.

„— ხომ ხედავთ რა მართალი აღმოვჩნდი!.. დედამისს მაინც უნდა გავეფრთხილებინე. მაშინვე რომ მცოდნოდა ყველაფერი, ბორისი ახლა ჯანმრთელი იქნებოდა.

„— ხომ თქვით, ავადმყოფობა მერე დაეწყოო...

„— ვთქვი, რომ იგი პროტესტის შედეგად წარმოიშვა. დარწმუნებულდი ვარ, დედამისი ეჩხუბებოდა, ევედრებოდა, არიგებდა. მოულოდნელად მამაც დაეღუპა. ბორისმა თავი დაირწმუნა, რომ იმ საიდუმლო საქმიანობისთვის, რისთვისაც დედამისმა მკაცრად განსაჯა, შურისგების დღე დაუდგა; მან მამის სიკვდილის გამო პასუხისმგებლობა იგრძნო და ცოდვილად მიიჩნია თავი; ზუსტად ამ დროს, მისმა სუსტმა ორგანიზმმა, როგორც პატარა დევნილმა ცხოველმა, უამრავი წვრილმანი ხრიკების გამოგონება დაიწყო, რაშიც თავისი შინაგანი შფოთის ნუგეშს პოულობდა, და, რაც, არსებითად, ალიარებას წარმოადგენს.

„— თუ სწორად გაგიგეთ, მიგაჩნიათ, რომ ბორისისთვის ნაკლებ საზიანო იქნებოდა თუ მშვიდად გააგრძელებდა თავის „მაგიურ" საქმიანობას?

„— მხოლოდ ვფიქრობ, რომ მის გამოსაჯანმრთელებლად შეშინება აუცილებელი არ იყო. მამის სიკვდილთან დაკავშირებული ცხოვრების სახის შეცვლა, უეჭველად, მავნე ჩვევებისგან გამოათავისუფლე-

ბდა; ვარშავიდან გამგზავრება კი მეგობრის გავლენისგან დაიხსნიდა. შიშის მეშვეობით არაფერი კარგი არ მიიღწევა. როცა მივხვდი საქმე რაშიც იყო, ყველაფერი ერთად განვიხილეთ, შევარცხვინე, რომ უპირატესობა წარმოსახვით სიამოვნებებს მიანიჭა და არა ჭეშმარიტ სიკეთეს, რომელსაც ადამიანი დიდი ძალ-ღონის დაძაბვის შედეგად ჯილდოდ ღებულობს. მისი ნაკლის შესახებ არაფერი გამიმუქებია, მხოლოდ ავუხსენი, რომ იგი სიზარმაცის ერთ-ერთი ფორმა იყო; სინამდვილეში, მართლაც ასე მიმაჩნია; ყველაზე დახვეწილ, ყველაზე ვერაგ ფორმად...".

„ამ სიტყვებმა ლა როშფუკოს ნათქვამი გამახსენა და მომინდა მისთვის მეჩვენებინა, თუმცა შემეძლო ზეპირადაც მეთქვა ციტატა, მაინც წავედი და „მაქსიმების" პატარა წიგნი გამოვიტანე, რომელიც მოგზაურობაში მუდამ თან დამაქვს და წავუკითხე:

„ყველა ვნებას შორის, ჩვენთვის ყველაზე შეუცნობელი სიზარმაცეა; იგი ყველაზე მწველი და მავნებელია, თუმცა მისი მძვინვარება შეუმჩნეველია, ხოლო მიღებული ზიანი — ღრმად დაფარული... სიზარმაცით მიღებული მოსვენება სულისთვის იდუმალად მომხიბლავია, უეცრად რომ აჩერებს გაცოფებულ რბოლას და გადაუდებელი გადაწყვეტილების აღსრულებას გადაადებინებს ადამიანს. ამ ვნებაზე ჭეშმარიტი წარმოდგენა რომ გვქონდეს, უნდა ვთქვათ, რომ იგი რაღაცნაირ ნეტარებას წარმოადგენს სულისას, რომელიც ყოველგვარი დანაკარგისას ნუგეშს იძლევა და ყველანაირ სიკეთეს ცვლის".

„— ამით იმის თქმა ხომ არ გინდათ, — მითხრა სოფრონიცკამ, — რომ ლა როშფუკოს, როცა ამას წერდა, უნდოდა შეპარვით იგივე ეთქვა, რაზეც ახლა ჩვენ ვლაპარაკობთ?

„— სრულიად შესაძლებელია, მაგრამ მე მაინც არა მგონია. ჩვენი კლასიკოსები დიდ შესაძლებლობას იძლევიან მათი ტექსტების განმარტებისთვის. მათი გამონათქვამების სიზუსტე მით მეტ აღფრთოვანებას იწვევს, რადგან ცალმხრივობის პრეტენზია არ აქვთ".

„ვთხოვე ის სახელგავარდნილი თილისმა ეჩვენებინა. მიპასუხა, აღარა მაქვსო; ერთი კაცისთვის მიეცა, რომელიც ბორისით დაინტერესებულა და ის პერგამენტიც სამახსოვროდ უთხოვია: „ვინმე ბატონი სტრუვილუ, რომელსაც თქვენს ჩამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე შევხვდი". სოფრონიცკას ვუთხარი, რომ მისი გვარი ვნახე სასტუმროს სტუმართა სიაში-მეთქი. ისიც ვუთხარი, რომ თავის დროზე ვიცნობდი ერთ სტრუვილუს და, რომ მაინტერესებდა, ეს ის სტრუვილუ იყო თუ

არა. როცა ის პიროვნება აღმიწერა, ეჭვი საბოლოოდ გამიქრა, მაგრამ ჩემთვის საინტერესო დეტალებზე არაფერი იცოდა და ჩემი ცნობისმოყვარეობაც ვერ დაკმაყოფილდა. მხოლოდ ის გავიგე, ფრიად თავაზიანი ყოფილა, ფრიად დაუზარებელი, ოღონდ, ეჭვიან ადამიანად ეჩვენა, ოდნავ ზარმაცადაც, „კიდევ ერთხელ გავბედავ და ამ სიტყვას ვიხმარ", დაუმატა სიცილით. მეც ყველაფერი ვუამბე, რაც სტრუვილუზე ვიცოდი, ამიტომ მომიწია პანსიონზეც მელაპარაკა, სადაც ჩვენ შევხვდით ერთმანეთს, ლორას მშობლებზეც, ბოლოს ლა პერუზზეც და მის ნათესაურ კავშირზე პატარა ბორისთან, და მოხუცთან განშორებისას ჩემს მიერ მიცემულ პირობაზე ბორისის ჩაყვანის თაობაზე. რადგან ადრე სოფრონიცკამ მითხრა, სასურველია ბორისმა დედამისთან არ იცხოვროსო, ამიტომ ვუთხარი: „რატომ არ უნდა მიაბაროთ აზაისების პანსიონში?" იდეა ვუკარნახე და უპირველეს ყოვლისა ბიჭის პაპის უდიდეს სიხარულზე ვიფიქრე, რომელიც მასთან სულ ახლოს იქნებოდა, მის მეგობრებთან და როცა მოისურვებდა მაშინ ნახავდა; ისიც ვიფიქრე, რომ ბორისი იქ კარგად იგრძნობდა თავს. სოფრონიცკა ძალიან დაინტერესდა ამ იდეით და დამპირდა ამ წინადადებაზე ვიფიქრებო.

„სოფრონიცკა ირწმუნება, რომ ბორისი გამოჯანმრთელდა. მისი მკურნალობის კურსმა მისი მეთოდის სისწორე უნდა დაამტკიცოს; ოღონდ, ჩემი აზრით, იგი მოვლენებს ოდნავ წინ უსწრებს. ბუნებრივია, წინააღმდეგობას არ ვაპირებ და ვაღიარებ, რომ ტიკები, მონანიების გამომხატველი ჟესტები და ლაპარაკისას სიტყვების ავადმყოფური შეწყვეტა, თითქმის გაუქრა, მაგრამ ასე მგონია, ავადმყოფობამ უბრალოდ თავი შეაფარა მისი არსების უფრო ღრმა ფენებს, თითქოს იმიტომ, ექიმის ინკვიზიტორულ გამომცდელ მზერას გაქცეოდა, და რომ ახლა სნეულებამ ბავშვის სულში შეაღწია; ისევე როგორც ადრე ონანიზმს ნერვული მოძრაობები მოჰყვა, ახლა მათ ადგილი რაღაც გაუგებარ შიშს დაუთმო. მართალია, სოფრონიცკა არ მალავს თავის მოუსვენრობას, როცა ხედავს ბორისი ბრონიასთან ერთად როგორ ისწრაფვის რაღაც ბავშვური მისტიციზმისკენ; მეტად ჭკვიანია და ხვდება, რომ ეს ახალი „სულის ნეტარება", რომლის მიღწევასაც ბორისი ცდილობს, არსებითად, ძალიან არ განსხვავდება იმ ნეტარებისგან ოდესღაც ილუზიის მეშვეობით რომ აღწევდა და არანაკლებ დამანგრეველია ორგანიზმისა, თუმცა ნაკლები ძალის ხარჯვას მოითხოვს, და მაინც მიზანმიმართული, ნაყოფიერი ძალისხმევისგან მისი ყურადღება სხვა-

გან გადააქვს. როცა ვცდილობ სოფრონიცკას ეს ვუთხრა, ის მპასუ-ხობს, რომ ისეთი ბავშვების სულები, როგორიც ბორისი და ბრონიაა, იმ მდგომარეობაში არ არის, ქიმერული საკვების გარეშე დარჩნენ და თუ ამას მათ წაართმევ, ისინი ვერ აიტანენო: ბრონიას სასოწარკვეთაში ჩავარდნა ემუქრება. ბორისს კი უმარტივეს მატერიალიზმში გადავარდ-ნაო.გარდა ამისა, მას მიაჩნია, რომ უფლება არა აქვს ბავშვების ნდობა მოატყუოს, თუმცა მათ რწმენას განიხილავს, როგორც ილუზიას, მასში მაღალი ინსტინქტების სუბლიმაციას ხედავს, სულიერების ჭვრეტას, დამცავ ბარიერს და კიდევ რას არა... საეკლესიო დოგმებისა არა სჯე-რა, მაგრამ რელიგიის ეფექტურობისა სჯერა. მღელვარებით ლაპარა-კობს ამ ორი ბავშვის ღვთისმოსავობაზე, რომლებიც ერთად კითხულო-ბენ აპოკალიპსის, შთაგონებით ესაუბრებიან ანგელოზებს და თავი-ანთ სულებს თეთრი სამოსელით მოსავენ. როგორც ყველა ქალი, ესეც წინაამდეგობებით არის სავსე. ოღონდ, ის მართალი იყო. მე მართლა არა ვარ მისტიკოსი... და არც ზარმაცი. დიდი იმედი მაქვს, აზაისების პანსიონი და პარიზის კლიმატი ბორისს დაეხმარება იქცეს მშრომელ ადამიანად; ბოლოს და ბოლოს, იგი დაეხმარება და განკურნავს „წარმო-სახვითი კეთილდღეობის“ ძიებისგან. ამაშია მისი ხსნა. სოფრონიცკა, ეტყობა ფიქრობს, რომ ბავშვზე მზრუნველობა მე მომანდოს, მაგრამ პარიზში, ალბათ, თვითონ ჩაიყვანს; თავისი თვალით უნდა ნახოს როგორ მოეწყობა იგი აზაისების პანსიონში და ამ ჟესტით დედამისსაც დაამშვიდებს, რომლის თანხმობაც უნდა მიიღოს“.

# VI

## ოლივიე ბერნარს

ისეთი ნაკლიც არსებობს, რომელთა მართებული ხმარებისას იმაზე ძლიერ ბრნყინავს, ვიდრე უმანკოება.

**ლა როშფუკო**

„ძვირფასო მეგობარო,

უპირველეს ყოვლისა გაცნობებ, რომ გამოცდები კარგად ჩავაბარე. მაგრამ ეს არც ისე მნიშვნელოვანია. სამოგზაუროდ წასვლის იშვიათი შესაძლებლობა მომეცა. ერთხანს ვყოყმანობდი, მაგრამ, როგორც კი შენი წერილი წავიკითხე, უცბად გადავწყვიტე წასვლა. დედაჩემმა ცოტა წინააღმდეგობა გამიწია, მაგრამ ვენსანის მეოხებით, რომელიც ისე კარგად მოიქცა, მისგან არც ველოდი, მალე დამთანხმდა. ვერ დავიჯერებ, იმ გარემოებაში, შენს წერილში სიტყვა რომაა გადაკრული, ასე არამზადასავით მოიქცა. ჩვენს ასაკში საძაგელი ჩვეულება გვაქვს, ადამიანები მეტისმეტად მკაცრად განვსაჯოთ და ნაჩქარევად გამოვუტანოთ განაჩენი. ბევრი ქცევა საძრახისად გვეჩვენება, საზიზღრადაც კი, მხოლოდ იმიტომ, რომ საკმაოდ კარგად არ ვიცით რა მოტივებით არის განპირობებული იგი. ვენსანი არ... თუმცა, ამან შეიძლება შორს წამიყვანოს, მე კი სხვა იმდენი რამ მაქვს შენთვის სათქმელი.

„იცოდე, ამ წერილს ახალი ჟურნალის „ავანგარდის" მთავარი რედაქტორი გწერს. ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ, ამ თანამდებობის დაკავებას დავთანხმდი, რომელიც გრაფმა რობერ დე პასავანმა შემომთავაზა. ის ჟურნალის გამომცემელია, მაგრამ მაინცადამაინც არ ისწრაფვის, ამის შესახებ ყველამ იცოდეს, ასე რომ, ყდაზე მხოლოდ ჩემი გვარი ეწერება. ოქტომბერში გამოსვლას დავიწყებთ, ეცადე პირველი ნომრისთვის რამე გამომიგზავნო; მეწყინება, თუ შენი გვარი ჩემი გვარის გვერდით არ იქნება და სარჩევს არ დაამშვენებს. პასავანს უნდა პირველივე ნომერში გამოჩნდეს რაღაც ახალი, თავისუფალი და ცხარე სანელებლით

შეკაზმული, რადგან მიაჩნია, ყველაზე მკაცრი საყვედურები ახალი ჟურნალის მიმართ იქნება საყვედურები მორიდებულობაზე; სრულიად ვეთანხმები. ჩვენ ამაზე ბევრს ვლაპარაკობთ. მთხოვა პოზიცია გამომეხატა და ერთი პატარა ნოველის ფრიად საჩოთირო სიუჟეტი მომცა; დედაჩემთან ცოტა უხერხულად გამოვჩნდები, მაგრამ რას იზამ. როგორც პასავანი ამბობს: რაც უფრო ახალგაზრდა ხარ, უსიამოვნებები მით ნაკლებად გაგიტეხს სახელს.

„ვიცავონიდან გწერ წერილს; ვიცავონი პატარა სოფელია, რომელიც კორსიკის ყველაზე მაღალი მთის ფერდობზე შეფენილ ხშირ ტყეშია შეფარებული. სასტუმრო, რომელშიც ვცხოვრობთ, საკმაოდ შორს არის სოფლიდან და ტურისტებს ექსკურსიებზე გამსვლელ პუნქტად ემსახურება. რამდენიმე დღეა აქა ვართ. ჯერ სხვა სასტუმროში გავჩერდით, უმშვენიერეს და სრულიად უკაცრიელ ყურე პორტოში, სადაც დილდილობით საბანაოდ ჩავდიოდით და შეგვეძლო მთელ დღეს შიშველი გვევლო. საუცხოო იყო, მაგრამ დიდი სიცხეები დაიჭირა და მთებში ასვლა მოგვიწია.

„პასავანი მშვენიერი კომპანიონია; თავისი ტიტულისადმი სრულიად გულგრილი; უნდა, უბრალოდ, რობერი დავუძახო, მე კი შემოკლებული სახელი ოლივი მომიგონა. თქვი, განა სასიამოვნო არ არის? ყველაფერს აკეთებს, რომ მისი ასაკი დამავიწყდეს და გარწმუნებ, გამოსდის კიდეც. მასთან ერთად ჩემი მოგზაურობით დედაჩემი ცოტა შეშინებული იყო, რადგან პასავანს საერთოდ არ იცნობს. მეც იმიტომ ვყოყმანობდი, დედაჩემს არ სწყენოდა. შენი წერილის მიღებამდე თითქმის უარი ვთქვი კიდეც. ვენსანმა დედა დაარწმუნა, მე კი შენმა წერილმა შემმატა გამბედაობა. ბოლო დღეები მაღაზიებში სირბილს მოვანდომეთ. პასავანი ისეთი ხელგაშლილია: სულ რაღაც უნდოდა ჩემთვის ეჩუქებინა, მე კი ერთავად უარს ვეუბნებოდი; ჩემი საცოდავი ძველმანები საშინლად მიაჩნდა; პერანგები, ჰალსტუხები, წინდები, რაც გამაჩნდა, არაფერი მოეწონა და გამუდმებით მეუბნებოდა: ერთხანს ერთად უნდა ვიცხოვროთ, ამიტომ ძალიან დავიტანჯები იმის ყურებით, რომ ისე არა ხარ ჩაცმული, როგორც საჭიროაო, ე. ი. ისე არა, როგორც მე მომწონსო. ბუნებრივია, დედაჩემი რომ არ შეშფოთებულიყო, მთელი ნავაჭრი მასთან იგზავნებოდა. თვითონ დახვენილი, დიდებული გემოვნებით გამოირჩევა; ბევრი ნივთი ადრე ასატანი რომ მეგონა, ახლა საძაგლობად მეჩვენება. ვერც კი წარმოიდგენ, რა მხიარულად შეუძლია მაღაზიაში ხუმრობა. ძალიან გონებამახვილია! ერთ მაგალითს გეტყვი: ბრენტა-

ნოსთან ვიყავით, ავტოკალამი მიიტანა შესაკეთებლად. მის უკან ერთი ზორბა ინგლისელი იდგა, რომელსაც ურიგოდ უნდოდა წასვლა, მაგრამ რობერმა ცოტა უკმეხად ჩამოიშორა; მან რაღაცის ბურდღუნი დაიწყო; რობერი მიუბრუნდა და მშვიდად უთხრა:

„— ამაოდ ირჯებით. ინგლისური არ მესმის“.

„გადარეული ინგლისელი სუფთა ფრანგულით ეუბნება:

„— უნდა გესმოდეთ, ბატონო ჩემო“.

„რაზეც რობერმა თავაზიანი ღიმილით უპასუხა:

„— აი, ხომ ხედავთ, ამაოდ აღარ ირჯებით“.

„ინგლისელი ბრაზისაგან ადუღდა, მაგრამ რა ეთქვა არ იცოდა. ძალიან სასაცილო იყო.

„ერთ დღეს „ოლიმპიაში“ ვიყავით. ანტრაქტის დროს ჰოლში ვსეირნობდით, სადაც კახპებიც დაწრიალებდნენ. ორი, ფრიად შეუხედავი, აღარ მოეშვა პასავანს:

„— კათხა ლუდზე დაგვპატიჟებ, ძვირფასო?“

„მათთან ერთად მაგიდას მივუჯექით.

„— ოფიციანტო, კათხა ლუდი ამ ქალბატონებს მოართვით.

„— და ამ ბატონებსაც.

„— ჩვენ?.. არა, ჩვენ შამპანურს მივირთმევთ“, — უპასუხა დაუდევრად და ბოთლი „მოეტი“ შეუკვეთა, რომელიც ორივემ გამოვცალეთ. გენახა ერთი, რა თვალებით გვიყურებდნენ ის საცოდავი ქალები!.. მგონი, კახპებს ვერ იტანს... გამანდო, ბორდელშიც არასოდეს ვყოფილვარო, და მიმახვედრა, ძალიან გაბრაზდებოდა, თუ მე ვივლიდი. ხომ ხედავ, ეს ადამიანი ფრიად ფაქიზი კაცია, მიუხედავად მისი გამომწვევი იერისა და ცინიკური ლაპარაკისა, — მაგალითად, ის ამბობს, მოგზაურობისას, ჩვეულებრივ „ნაღვლიან დღეს“ ისეთ დღეს უწოდებს, როცა მის before lunch—ში ვერ მოხვდება სულ ცოტა ხუთი პიროვნება მაინც, ვისთან დაწოლასაც ისურვებს. მართლა, უნდა გაუწყო, რომ მას შემდეგ აღარ განმიახლებია... ხვდები, ალბათ.

„თავისი მორალური პრინციპების გადმოსაცემად თავისებური და დამცინავი მანერა აქვს. ერთხელ მითხრა:

„— იცი, ჩემო ბიჭო, ცხოვრებაში მთავარია საკუთარ თავს გატაცების უფლება არ მისცე. ერთს მოჰყვება მეორე და მერე უკვე აღარ იცი საით მიქრიხარ. ოდესღაც ერთ ახალგაზრდა კაცს ვიცნობდი, ძალიან კარგი ოჯახის შვილი იყო. მას ჩემი მზარეულის ქალიშვილის ცოლად შერთვა მოუწია. ერთხელ ღამით, შემთხვევით, ოქრომჭედელთან შეეი-

და; მოკლა იგი; მერე გაქურდა; ნაქურდალი გადამალა და ყველაფერი დაფარა. ხედავ, სადამდე მივიდა საქმე? როცა ბოლოს შევხვდი, ცრუპენტელა კაცად ქცეულიყო. ეს მხედველობიდან არ გამოგრჩეს".

„მუდამ ასეთია. ასე რომ, როგორც ხვდები, მოწყენილი არა ვარ. აქ იმ განზრახვით ჩამოვედით, რომ გვემუშავა, მაგრამ აქამდე არაფერი გაგვიკეთებია, მხოლოდ ვბანაობთ, მზეზე ვირუჯებით და ვყბედობთ; ძალიან ორიგინალური აზრები და იდეები აქვს ცხოვრებაზე. ყველანაირად ვცდილობ დავარწმუნო, ჩაინეროს ის სრულიად ახალი თეორიები ზღვის სიღრმის ცხოველებზე, რაზეც ამას წინათ მელაპარაკა, იმაზე, რასაც იგი „პიროვნულ სინათლეს" უწოდებს, რაც ცხოველებს შესაძლებლობას აძლევს მზის სინათლის გარეშე იცხოვრონ, რომელსაც იგი წყალობის სინათლესა და „ზეშთაგონებას" ეძახის. რამდენიმე სიტყვით ამისი გადმოცემა, ახლა როგორც მე გიამბე, ისეთ შთაბეჭდილებას არ ქმნის. გარწმუნებ, როცა ის ამაზე ლაპარაკობს, რომანივით ძალიან საინტერესოა. რომ იცოდე, რა მშვენივრად ერკვევა საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში; საკუთარი ცოდნის დაფარვა მისი მხრიდან ერთგვარ კეკლუცობას ჰგავს. ის ამას თავის საიდუმლო განძეულს უწოდებს. ამბობს, რომ მხოლოდ მეტიჩრებს უყვართ ყველას დასანახად თავიანთი მორთულობის გამოფენა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი ყალბიაო.

„გასაოცრად ფლობს იდეების, სახეების, ადამიანების, საგნების გამოყენების ხელოვნებას, ე.ი. ყველაფრიდან სარგებელს ნახულობს. ამბობს, ცხოვრების უდიდესი ხელოვნება მარტო იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ისიამოვნო, არამედ იმაშიც, ისწავლო სარგებლის ნახვაო.

„რამდენიმე ლექსი დავწერე, მაგრამ კმაყოფილი მაინცადამაინც არა ვარ, ამიტომ არ გიგზავნი.

„ნახვამდის, მეგობარო, ოქტომბრამდე. მნახავ და დარწმუნდები, რომ შევიცვალე. საკუთარი თავის რწმენა ყოველდღიურად მემატება. მიხარია, შვეიცარიაში რომ ხარ, მაგრამ, როგორც ხედავ, შურის არანაირი საფუძველი არა მაქვს.

„ოლივიე".

ბერნარმა წერილი ედუარდს გაუწოდა. მან წაიკითხა და თავისი გრძნობები არაფრით გაუცია. ოლივიე რასაც რობერზე ჰყვებოდა ასე აღტაცებით, აღაშფოთებდა და სიძულვილის ახალ საფუძველს აძლე-

ვდა. განსაკუთრებით ეწყინა ის, რომ ოლივიე ერთი სიტყვითაც არ ახსენებდა მას, თითქოს მისი არსებობა საერთოდ დაავიწყდაო. ამაოდ ცდილობდა პოსტსკრიპტუმში გულმოდგინედ გადაშლილი სამი ხაზის გაშიფრვას, და აი, ესეც:

„უთხარით ბიძია ე—ს... რომ გამუდმებით მასზე ვფიქრობ; არ შემიძლია ვაპატიო, რომ მიმატოვა და გულში ღრმა ჭრილობა დამიტოვა".

მხოლოდ ეს სიტყვები იყო გულწრფელად დანერილი მთელ ამ ზარზეიმურად შეთხზულ, ჯავრისგან ნაკარნახებ წერილში. მაგრამ ოლივიეს ისინი გადაეხაზა.

ედუარდმა უსიტყვოდ დაუბრუნა ბერნარს ეს საშინელი წერილი; ბერნარმაც უსიტყვოდ გამოართვა. უკვე ვთქვი, რომ ისინი ერთმანეთთან ბევრს არ ლაპარაკობდნენ; მუდამ, როცა მარტო რჩებოდნენ, რაღაც უცნაური, აუხსნელი შებოჭილობა ეუფლებოდათ (არ მიყვარს ეს სიტყვა „აუხსნელი", აქ მხოლოდ იმიტომ ვიხმარე, უკეთესი ვერაფერი მოვძებნე). იმ საღამოს კი, როცა თავიანთ ოთახში დაბრუნდნენ და ძილისთვის ემზადებოდნენ, ბერნარმა ძალა მოიკრიბა და ოდნავ დახშული ხმით ჰკითხა:

„— ლორამ წერილი გაჩვენათ, რომელიც დუვიესგან მიიღო?

— ეჭვი არ მეპარებოდა, რომ დუვიე ზუსტად ასე მოიქცეოდა, — უპასუხა ედუარდმა და საწოლში ჩაწვა. — ის ძალიან კარგი ადამიანია. შეიძლება ცოტა სუსტია, მაგრამ მაინც ძალიან კარგი ადამიანია. დარწმუნებული ვარ ბავშვი ეყვარება. და ეს ბავშვი უფრო მაგარი დადგება, ვიდრე მისგან რომ გაჩენილიყო, რადგან დუვიეს ბუმბერაზის შეხედულება ნამდვილად არ აქვს".

ბერნარს ლორა ძალიან უყვარდა და არ შეიძლებოდა არ გაეოგნებინა ედუარდის ასეთ უცერემონიო განცხადებას; მაგრამ თავისი უკმაყოფილება არაფრით გაუმჟღავნებია.

„— ძალიან კარგი! — დაუმატა ედუარდმა და სანთელი ჩააქრო. — მოხარული ვარ, რომ ეს ამბავი, რომელიც ასე გამოუვალი ჩანდა, კარგად მთავრდება. ყველას ასე დაემართება, ვინც წინდაუხედავად მოიქცევა. შეჩერება დროულად არის საჭირო...

— ცხადია, — თქვა ბერნარმა, რომელმაც კამათში ჩაბმა არ ისურვა.

— უნდა გამოგიტყდეთ, ბერნარ, რომ ვშიშობ, მეც ხომ არ ჩავიდინე რაიმე მსგავსი ქმედება თქვენს მიმართ.

— წინდაუხედავი საქციელი?

— დიახ, დიახ. მიუხედავად თქვენდამი მთელი ჩემი კეთილგანწყობისა, უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ ჩვენ სხვადასხვა ადამიანები ვართ და საეჭვოა საერთო ენა გამოვნახოთ, რომ... (შეყოყმანდა, სიტყვებს ეძებდა) და რომ ჩემს საზოგადოებაში ყოფნა ზიანს გაყენებთ".

უკვე კარგა ხანია ბერნარიც ამას ფიქრობდა, მაგრამ ედუარდმა ამაზე ლაპარაკი დაიწყო თუ არა, აზრი მაშინვე შეიცვალა. ნინააღმდეგობის გაწევის ინსტინქტი აუმოქმედდა და მაშინვე შეედავა:

„— ჯერ კარგად არ მიცნობთ, თავადაც ცუდად ვიცნობ საკუთარ თავს. საქმეშიც კი არ გამომცადეთ. თუ სხვა რამე სამდურავი არა გაქვთ, შეიძლება გთხოვოთ, ცოტა კიდევ მოიცადოთ? გეთანხმებით, ერთმანეთს სულაც არ ვგავართ; ზუსტად ახლა გავიფიქრე, ეს კარგიც არის თითოეული ჩვენგანისთვის, რომ სხვადასხვა ადამიანები ვართ. ვფიქრობ, თუ რამეში შემიძლია თქვენი დახმარება, უპირველეს ყოვლისა იმის წყალობით, რითაც თქვენგან განვსხვავდები; ამის გამო შემიძლია რალაც ახალი შეგძინოთ. თუ შეეცდები, დროზე გამაფრთხილებთ. იმათ არ ვგავარ, გამუდმებით რომ ჩივიან და ყველაფერს სხვას აბრალებენ... აი, რა მინდა შემოგთავაზოთ; შეიძლება სულელურიც არის, მაგრამ... პატარა ბორისს, როგორც ვხედები, ვედელ-აზაისების პანსიონში მიიყვანენ. სოფრონიცკამ თავისი შიში არ გაგიზიარათ, რომ იქ ბავშვმა შეიძლება თავი მიტოვებულად იგრძნოსო? იქ თუ ლორას რეკომენდაციით მივალ, ხომ შეიძლება რამე სამუშაო მომცენ, ვთქვათ, რეპეტიტორის, აღმზრდელის ან სხვა რამე? ცხოვრებისთვის საჭირო სახსარი უნდა ვიშოვო. ბევრის მოთხოვნას არ ვაპირებ, თავშესაფარი და კვება სრულიად დამაკმაყოფილებდა... სოფრონიცკა მენდობა; ბორისთან კარგი ურთიერთობა მაქვს; დავიცავ, დავეხმარები, მისი დამრიგებელი გავხდები, მეგობარი. თანაც თქვენს განკარგულებაშიც დავრჩები, შუალედში თქვენთვის ვიმუშავებ და პირველივე დაძახებისთანავე მოვალ. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?"

და თითქოს სიტყვა „ამაზე"-ს დიდი მნიშვნელობა უნდა მიანიჭოსო, დაუმატა:

„— ორი დღეა ამ საკითხზე ვფიქრობ".

ეს მართალი არ იყო. ამ მშვენიერ პროექტზე, ახლა რომ შექმნა, უფრო ადრე რომ ეფიქრა, აუცილებლად ლორას გაუზიარებდა. სიმართლე სხვა იყო, რაზეც არაფერი თქვა და გაჩუმდა, — მას შემდეგ, რაც ედუარდის დღიური ასე მოურიდებლად წაიკითხა, და რაც ლორას

შეხვდა, არცთუ იშვიათად ფიქრობდა ვედელების პანსიონზე; უნდოდა ოლივიეს მეგობარი არმანი გაეცნო; არმანი, ვისზეც ოლივიეს მისთვის არაფერი უთქვამს; უფრო მეტად მისი უმცროსი დის სარას გაცნობა სურდა; ოლონდ, თავის ცნობისმოყვარეობას საიდუმლოდ ინახავდა და ლორას პატივისცემის გამო საკუთარ თავსაც არ უმხელდა.

ედუარდს არაფერი უთქვამს. ოლონდ, ბერნარის შემოთავაზებული პროექტი საცხოვრებელის პრობლემას გადაუწყვეტდა, მაშინ ბერნარის დატოვებაც ხელს აძლევდა. ძალიან არ უნდოდა მისთვის თავშესაფარი თავის სახლში მიეცა. ბერნარმა თავის სანთელს შეუბერა და თქვა:

„— ნუ იფიქრებთ, ვერაფერს მივხვდი, რაც თქვენს წიგნზე გვიამბეთ და თქვენს მიერ წარმოსახულ კონფლიქტზე უხეშ სინამდვილესა და...

— არავითარი წარმოსახვა, — გააწყვეტინა ედუარდმა, — იგი არსებობს.

— ამაში შეიძლება ჩემი დახმარება დაგჭირდეთ; მე ფაქტებს მოვიპოვებ, თქვენ კი გააშალაშინებთ. თქვენს მაგივრად მე დავაკვირდები".

ედუარდს ეჭვი შეეპარა, ბერნარი ოდნავ ხომ არ დამცინისო. ასე იყო თუ ისე, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ბიჭმა რაღაცით დაამცირა. მაგრამ მან მეტისმეტად კარგად გამოხატა თავისი აზრი...

„— კიდევ ვიფიქროთ", — თქვა ედუარდმა.

დიდხანს დუმდნენ. ამაოდ ცდილობდა ბერნარი დაძინებას; ოლივიეს წერილი თავგზას უბნევდა. მიხვდა თუ არა ედუარდიც წრიალებდა ლოგინში, თავი ველარ შეიკავა და ჩურჩულით ჰკითხა:

„— რადგან არ გძინავთ, კიდევ რაღაცა მინდა გკითხოთ... გრაფ დე პასავანზე რას ფიქრობთ?

— ეშმაკმა წაიღოს, მშვენივრად იცით, — უთხრა ედუარდმა და უმალ ჰკითხა,

— თქვენ?

— მე, — უპასუხა ბერნარმა მრისხანედ, — მოვკლავდი".

## VII

მოგზაური მთის მწვერვალს მიაღწევს თუ არა, ვიდრე დაშვებას დაიწყებდეს, ჩამოჯდება, გარემოს თვალს მოავლებს; ეცდება დაინახოს სად ჩაიყვანს ის დაკლაკნილი ბილიკი, რომელსაც დაადგება და, რომელიც ბურუსში იკარგება, უფრო სწორად, რადგან საღამოვდება, ღამეში. აი ასე, წინდაუხედავი ავტორიც ერთ ნამს ჩერდება, სულს მოითქვამს და შეწუხებული ჩაფიქრდება, საკუთარ თავს ჰკითხავს, სადამდე მიიყვანს მის მიერ დაწყებული თხრობა.

ვშიშობ, პატარა ბორისის მზრუნველობას აზაისებს რომ ანდობს, ედუარდი გაუფრთხილებლობას იჩენს. როგორ შევუშალო ხელი, რომ ეს არ გააკეთოს? ყოველი ადამიანი საკუთარი კანონების მიხედვით იქცევა, ხოლო ედუარდის კანონები დაუსრულებელი ექსპერიმენტებია. ცხადია, კეთილი გული აქვს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, ასე მგონია, ირგვლივ მყოფნი უფრო მოიგებდნენ, თუ ინტერესებით იმოქმედებდა; რადგან, არცთუ იშვიათად, მისი დიდსულოვნება მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამოვლენაა, და შეიძლება ცუდად დამთავრდეს. აზაისების პანსიონს კარგად იცნობს; იცის, მორალისა და რელიგიის სულისშემხუთველი საფარველის ქვეშ, რა არაჯანსაღი ჰაერით სუნთქავენ იქ. ბორისსაც იცნობს; იცის, რა ნაზი და სუსტია. მან უნდა გაითვალისწინოს რა სახის ზემოქმედების ქვეშ აყენებს ბიჭს. მაგრამ ის მხოლოდ მის დაცვაზე, დახმარებაზე და მხარდაჭერაზეღა ფიქრობს, რომელიც ბორისის არამდგრად სიწმინდეს შეუძლია იპოვოს მოხუცი აზაისის სიმკაცრეში. რომელ სოფიზმს მიუგდებს ყურს? ამას, ცხადია, ეშმაკი ჩასჩურჩულებს ყურში, რადგან სხვა მხრიდან რომ შემოესმას, არ მოუსმენს.

ედუარდმა არაერთხელ გამაღიზიანა (თუნდაც დუვიეზე ლაპარაკისას), აღმაშფოთა კიდეც; იმედი მაქვს, ეს მაინცადამაინც შესამჩნევი არა ყოფილა, ახლა შემიძლია ამაში გამოვტყდე. ლორასთან მისი ურთიერთობა, ზოგჯერ ისეთი კეთილშობილური, ხშირად აღმაშფოთებლად მეჩვენებოდა.

ედუარდისა რაც არ მომწონს, ესაა მისი მოსაზრებები, რომლებითაც თავის ქცევებს ამართლებს. მაგალითად, ახლა რატომ ირწმუნებს თავს, რომ ბორისის სიკეთისთვის ზრუნავს? სხვები მოატყუო, გასაგე-

ბია, მაგრამ საკუთარი თავის მოტყუება! ნუთუ მართლა სჯერა, რომ ნიაღვარი, რომელიც ბავშვს დასახრჩობად ემუქრება, მის წყურვილს დააკმაყოფილებს?.. არ უარვყოფ, რომ სამყაროში არსებობს კეთილშობილი, ამაღლებული ქმედებები, თვით უანგარო ქმედებაც; მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ყველაზე მშვენიერი მიზეზის უკანაც, რომელიღაც მოხერხებული ეშმა იმალება, რომელმაც იცის როგორ მიიღოს სარგებელი იქიდან, საიდანაც, როგორც ჩვენ გვგონია, სახეიროს ვერაფერს ნახავს.

ვისარგებლოთ ზაფხულის სეზონით, რომელმაც სხვადასხვა მხარეს გაფანტა ჩვენი პერსონაჟები და ყურადღებით დავაკვირდეთ მათ მოცალეობის ჟამს. თანაც, ჩვენ, თხრობის სადღაც შუა ადგილზე აღმოვჩნდით, სადაც მისი მდინარება ოდნავ შენელდა, თითქოს ძალას იკრებსო, რომ უფრო სწრაფად და მიზანსწრაფულად გასწიოს წინ. ბერნარი ჯერ აშკარად მეტისმეტად ახალგაზრდაა, რომ ინტრიგის შემდგომი განვითარება საკუთარ თავზე აიღოს. ბორისის დაცვას კი კისრულობს, მაგრამ დიდი-დიდი რაც შეუძლია გააკეთოს ისაა, რომ თვალყური ადევნოს. უკვე შევამჩნიეთ, ბერნარი როგორ იცვლება, ხოლო ვნებების გავლენით, შეიძლება უფრო მეტადაც შეიცვალოს. უბის ერთ წიგნაკში რამდენიმე ფრაზა აღმოვაჩინე, სადაც ლაპარაკია ადრე მასზე რას ვფიქრობდი:

„უმჯობესი იქნებოდა, ბერნარის ქცევებიდან გამომდინარე, ქმედებებს, რომლებიც თავისი ამბის დასაწყისში ჩაიდინა, დიდი სიფრთხილით მოვქცეოდი. ასე მგონია, თუ მისი შემდგომი მოქმედებების მიხედვით ვიმსჯელებთ, მან თავისი ანარქიზმის მარაგი თითქმის მთლიანად გახარჯა, რაც, როგორც წესი და რიგია, ალბათ, დიდხანს ეყოფოდა, ოჯახის უღელქვეშ რომ დარჩენილიყო. მაგრამ გადადგა თუ არა ასეთი ნაბიჯი, საკუთარ თავში გამუდმებით გრძნობდა ამ ნაბიჯისადმი საპირისპირო რეაქციას, რაღაც პროტესტის მსგავსს. საკუთარ თავში გამომუშავებული ჯანყისა და დაპირისპირების ჩვევა ახლა აიძულებდა საკუთარივე ჯანყის წინააღმდეგ წასვლას. იგი, ცხადია, ჩემს იმ პერსონაჟთა რიცხვს არ მიეკუთვნება, რომლებმაც ძალიან გამიცრუეს იმედი, რადგან არც იმათ რიცხვს ეკუთვნოდა, ვისგანაც ბევრს ველოდი. იქნებ იმიტომაც, რომ მეტისმეტად ადრე მოინდომა დამოუკიდებელი მოქმედება“.

ოღონდ, ახლა უკვე მგონია, სწორი არა ვარ. ვფიქრობ, მოქმედების საშუალება კიდევ უნდა მივცე. დიდსულოვნება დიდი აქვს. ვგრძნობ,

მასში არის რაღაც ვაჟკაცური და ძლიერიც; აღშფოთების უნარიც აქვს. საკუთარ სიტყვებს ოდნავ მეტი პატივმოყვარეობით უსმენს, მაგრამ ლაპარაკით, მართლაც კარგად ლაპარაკობს. იმ გრძნობებს, რომლებიც მაშინვე ფრაზებად იქცევა, არც ისე ვენდობი. კარგი მონაფეა, მაგრამ ახალი გრძნობები ძნელად ეწერება მის დასწავლილ ფორმულირებებში. ახალი აზრი გაუჩნდება თუ არა, მაშინვე იბნევა. ბევრის ნაკითხვა მოასწრო; წიგნებიდან უფრო ბევრი დაიმახსოვრა და შეისწავლა, ვიდრე ცხოვრებიდან.

ვერაფრით ვმშვიდდები, როცა მახსენდება ბედის ახირებამ როგორ დააკავებინა ედუარდის გვერდით ოლივიეს ადგილი. მოვლენები ისე არ დალაგდა, როგორც საჭირო იყო. ედუარდს ხომ ოლივიე უყვარდა და არა ის. ოო, რა ყურადღებით გაადევნებდა თვალს მის განვითარებას! რა სიყვარულითა და პატივისცემით დაუჭერდა მხარს, გაიყოლებდა და აამაღლებდა თავის სიმაღლემდე! პასავანი გააფუჭებს მას, ეჭვი არ არსებობს. მისთვის იმაზე დამლუპველი არაფერია, ვიდრე აი, ასეთი უსინდისო მიდგომა. იმედი მქონდა, ოლივიე უკეთ შეძლებდა მისგან თავის დაცვას, მაგრამ ძალიან სათუთია, მეტისმეტად მგრძნობიარეა პირფერობისადმი. თავბრუ ეხვევა. გარდა ამისა, ბერნარისადმი მიწერილი წერილის ზოგიერთი ინტონაციით, როგორც მგონია, საკმაოდ სწორი დასკვნა გავაკეთე, რომ იგი ოდნავ პატივმოყვარეა. მგრძნობიარობა, წყენა, პატივმოყვარეობა — წინააღმდეგობის განევაში ხელს შეუშლის. მეშინია, რომ, როცა ედუარდს შეხვდება, უკვე გვიანი იქნება, მეტისმეტად გვიანი; თუმცა, ის ახალგაზრდაა და იმედის დაკარგვა ჯერ არ ღირს.

პასავანი... უმჯობესია მასზე არაფერი ვთქვათ, ასე არ არის? იმაზე უფრო მეტად ავბედითი და დიდებით მოსილი (ერთდროულად) არაფერია, ვიდრე ასეთი ბუნების მამაკაცი, მხოლოდ ლედი გრიფიტის მსგავსი ქალები შეგვიძლია შევადაროთ მას. უნდა გამოვტყდე, დასაწყისში ეს ქალბატონი ჩემში მეტ ნდობას იწვევდა; მაგრამ მალე გული გამიტეხა და მიეხვდი ჩემს შეცდომას. ასეთი სახის პერსონაჟები ფაშარი მასალისგანაა შექმნილი. მათ მსგავსს ამერიკა საექსპორტოდ ბევრს აწარმოებს, თუმცა მარტო მათ არა; თითქოს ყველაფერი აქვთ: სიმდიდრე, ჭკუა, სილამაზე, მხოლოდ სული არ აქვთ. ვენსანი, ცხადია, მალე დარწმუნდება ამაში. ისინი ვერ გრძნობენ წარსულის მოგონებების სიმძიმეს, მოვალეობებს, სინდისის ქენჯნას, არავის ემორჩილებიან, არანაირ კანონს არ აღიარებენ, თავისუფალი არიან და თავიანთი

მოულოდნელობებით რომანისტს სასოწარკვეთაში აგდებენ, რადგან მათი ქცევები ღირებულებას არიან მოკლებულნი. იმედი მაქვს, ლედი გრიფიტს მალე აღარ შევხვდები. ვნანობ, რომ ვენსანი წაგვართვა; ის უფრო მეტად მაინტერესებდა, მაგრამ იმ ქალს დაუკავშირდა და ახლა მისი სახე, მისი გამომსახველობითი სახე ფერმკრთალდება. სამწუხაროა, საკმაოდ მომხიბლავი კი იყო.

თუ ოდესმე კიდევ მომიწევს რაიმე ამბის შეთხზვა, მხოლოდ გამობრძმედილი ხასიათებით დავასახლებ, რომლებიც ცხოვრებისგან არ ჩლუნგდებიან, პირიქით, უფრო ალესილი ხდებიან. ლორა, დუვიე, ლა პერუზი, აზაისი... რა ვუყო ამ ხალხს? ისინი არ მიძებნია; ისინი გზაზე შემომეფეთნენ, როცა ბერნარისა და ოლივიეს კვალს მივდევდი. მით უარესი ჩემთვის; ამიერიდან მათთვის ანგარიშის გაწევა მომიწევს.

# ნაწილი მესამე

## პარიზი

როგორც კი ახალი, ცალკეული დარგების რამდენიმე კარგი მონოგრაფია კიდევ გაჩნდება — მაშინ, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, შევძლებთ მათი მონაცემების გულდაგულ შედარება-შეჯერებას, დავუბრუნდებით ერთობლიობის პრობლემას და ახალ, გადამწყვეტ ნაბიჯს გადავდგამთ წინ. სხვანაირად მოქცევა ნიშნავს ორი თუ სამი გამარტივებული და გაუხეშებული იდეით ხელმძღვანელობას, ასე ვთქვათ, გადარბენით მოგზაურობას. ეს ნიშნავს, რომ ხშირ შემთხვევაში გვერდი ავუაროთ პირადულს, ინდივიდუალურს, განუმეორებელს, — საბოლოო ჯამში კი, გვერდს ავუვლით ყველაზე საინტერესოს.

ლუსიენ ფევრი:
„დედამიწა და კაცობრიობის ევოლუცია".

### I

პარიზში დაბრუნებამ არანაირი სიამოვნება არ მიანიჭა.

ფლობერი, „გრძნობათა აღზრდა".

### ედუარდის დღიური

22 სექტემბერი

„სიცხე; მოწყენილობა. პარიზში ერთი კვირით ადრე დაბრუნება, ვიდრე განზრახული გვქონდა.

მუდამ ვიღაცის დაძახილზე ვიჩქარებ, სულ ასე ვიქნები, — ვიდრე

ძახილის ხმას გავიგებ, დავასწრებ და მანამდე გავვარდები. ეს ცნობისმოყვარეობა უფროა, ვიდრე გულმოდგინება; მოვლენის განჭვრეტის წინასწარი სურვილია. ჩემი სურვილების ალაგმვა კი ვერასოდეს შევძელი.

„ბორისის მიყვანა პაპამისთან. სოფრონიცკა წინადღეს იყო მათთან და შემატყობინა, ქალბატონი დე ლა პერუზი უკვე მოხუცთა თავშესაფარშიაო. უჰ!

„ბიჭი კიბის ბაქანზე დავტოვე და კარზე ზარი დავრეკე; ვიფიქრე, დელიკატურობის გამოჩენაა საჭირო და მათ პირველ შეხვედრას არ დავესწრები-მეთქი: მოხუცის მადლიერების გამოხატვის შემეშინდა. შეხვედრის ამბები ბიჭს მერე გამოვკითხე, მაგრამ ვერაფერს მივაღწიე. შეხვედრისას სოფრონიცკამ მითხრა, რომ ბორისს მისთვისაც ბევრი არაფერი უთქვამს. როცა ერთი საათის შემდეგ, როგორც შეთანხმდნენ, სოფრონიცკამ მათთან შეიარა, კარი მსახურმა გაუღო; ქალმა დაინახა, რომ მოხუცი ნარდის დაფას უჯდა; ბავშვი კი, ოთახის მეორე კუთხეში გაბუტული იდგა.

„— უცნაურია, — უთქვამს შემკრთალ ლა პერუზს. — ჯერ თითქოს მხიარულად იყო, მერე უცბად მოიწყინა. მგონი, ცოტა მოთმინება არ ჰყოფნის...“.

„მათი დიდხანს მარტო დატოვება შეცდომა იყო.

27 სექტემბერი

„ამ დილას „ოდეონთან“ მოლინიეს შევხვდი. პოლინი და ჟორჟი ზეგ ჩამოდიან თურმე. თვითონ პარიზში გუშინ, მარტო ჩამოსულა, და თუ ისიც ისევე მოწყენილია, როგორც მე, მაშინ სიამოვნებით დავიჯერებ, რომ სიხარული, რომელიც ჩემთან შეხვედრისას გამოხატა, გულწრფელი იყო. მოვილაპარაკეთ ერთად გვესადილა; სადილობამდე დარჩენილი დრო რომ გაგვეყვანა ლუქსემბურგის ბაღისკენ გავისეირნეთ.

„მოლინიე ჩემთან, ჩვეულებრივ, ხუმრობანარევი ტონით ლაპარაკობს, ზოგჯერ მითამამდება კიდეც, ეტყობა ჰგონია, რომ ასე ლაპარაკი იმ ადამიანს უნდა მოეწონოს, ვინც ხელოვნებაში მოღვაწეობს. ალბათ, ერთგვარი სურვილიც არის, თავი ჯერ კიდევ ახალგაზრდად გამოაჩინოს.

„— არსებითად, ვნებიანი ადამიანი ვარო, გამომიცხადა“. მივხვდი, „ავხორცი“ უნდოდა ეთქვა. გავიღიმე, როგორც იმ ქალის სიტყვაზე

ილიმებიან, რომელიც ამტკიცებს ლამაზი ფეხები მაქვსო. ეს ღიმილი ნიშნავს: „დამიჯერეთ, ეჭვიც არ შემპარვია არასოდეს“. აქამდე მასში მხოლოდ სასამართლოს ჩინოვნიკს ვხედავდი, ახლა კი, როგორც იქნა, ტოგის ქვეშიდან ადამიანი გამოჩნდა.

„დაველოდე, ვიდრე ფუაიოსთან მაგიდას არ მივუსხედით, ოლივიეზე არაფერი მითქვამს; მერე კი ვუამბე, რომ ამას ნინათ მისი შვილის ამბები მისი ერთი მეგობრისგან გავიგე, რომელსაც აუწყებდა, კორსიკაში გრაფ დე პასავანთან ერთად სამოგზაუროდ მივდივარო.

„— დიახ, ვენსანის მეგობარია, რომელმაც ოლივიეს ერთად მოგზაურობა შესთავაზა. რადგან ოლივიემ გამოცდები ბრწყინვალედ ჩააბარა, დედამისმა შვილს ასეთ სიამოვნებაზე უარი ველარ უთხრა... მწერალია ეს გრაფი დე პასავანი. უნდა იცნობდეთ“.

„არ დამიმალავს, რომ მისით და მისი წიგნებით აღფრთოვანებული არ ვიყავი.

„— კოლეგები ზოგჯერ მკაცრად მსჯელობენ ერთმანეთზე, — სიტყვა შემომიბრუნა. — მისი ბოლო რომანის წაკითხვა ვცადე; ზოგიერთი კრიტიკოსი აღფრთოვანებული ნერს მასზე; მე კი განსაკუთრებული ვერაფერი აღმოვაჩინე, მაგრამ, ხომ გესმით, მე ხომ სპეციალისტი არა ვარ...“.

„როცა შიში გამოვთქვი, პასავანმა ოლივიეზე შეიძლება ცუდი გავლენა იქონიოს-მეთქი, უხალისოდ დაუმატა:

„— სიმართლე გითხრათ, პირადად მე ამ მოგზაურობას არ ვიწონებდი. მაგრამ საჭიროა ისიც გავითვალისწინოთ, რომ განსაზღვრული ასაკის შემდეგ, ბავშვები ხელიდან გვისხლტებიან. საერთო წესია და ვერაფერს გაანყობ. პოლინს სურს მთელი ცხოვრება მათზე იყოს გადაფარებული. ყველა დედასავით იქცევა. ხანდახან ვეუბნები ხოლმე: „შენს შვილებს მხოლოდ აღიზიანებ. თავი დაანებე; ამ შენი გამოკითხვებით თავადვე კარნახობ ცუდ აზრებს...“. მიმაჩნია, მათზე მეტისმეტად ხანგრძლივი დროით მეურვეობა, უბრალოდ, უშედეგოა. მნიშვნელოვანია, აღზრდის პირველ ეტაპზე მათში ზოგიერთი სწორი პრინციპი ჩაიდოს. ისიც მნიშვნელოვანია ამას ვისგან მიიღებს მემკვიდრეობად. იცით, ჩემო ძვირფასო, რომ მემკვიდრეობა ყველაფერზე იმარჯვებს. ისეთი ცულლუტებიც არსებობენ, რომელთაც ვერაფერი გამოასწორებს; რასაც ჩვენ განგების დამღით აღბეჭდილს ვეძახით. აი, ესენი კი საჭიროა დიდ სიმკაცრეში იყოლიო; მაგრამ, როცა საქმე თვინიერ ბუნებასთან გვაქვს, მაშინ ლაგამის ოდნავ მიშვება შეიძლება.

„— განა არ მითხარით, რომ ოლივიეს მოტაცება თქვენი თანხმობის გარეშე მოხდა?..

„— ოო! ჩემი თანხმობა... ჩემი თანხმობა, — თქვა თეფშში ცხვირ-ჩარგულმა, — ზოგჯერ ჩემი თანხმობის გარეშეც იოლას გადიან. მხედველობაში მიიღეთ, რომ ოჯახურ ცხოვრებაში, მაშინაც კი, როცა ოჯახი მეგობრულია, ბოლო სიტყვა ყოველთვის ქმარს როდი ეკუთვნის. თქვენ ცოლი არა გყავთ და ეს არც გაინტერესებთ...

„— მომიტევეთ, მაგრამ მე მწერალი ვარ, — ვუთხარი სიცილით.

„— მაშინ, ალბათ, შეამჩნევდით, რომ ხასიათის სისუსტეს ყოველთვის როდი ნიშნავს, თუკი ქმარი ცოლს შესაძლებლობას აძლევს ყველაფერს უხელმძღვანელოს.

„— მართალია, — დავეთანხმე, მისთვის რომ მესიამოვნებინა, — მტკიცე და მბრძანებლური ხასიათის მამაკაცებიც არსებობენ, ოჯახში კი მორჩილი კრავებივით იქცევიან.

„— იცით ასე რატომ ხდება? — გააგრძელა ლაპარაკი, — ათი შემთხვევიდან ცხრა ქმარი ცოლს მხოლოდ იმიტომ უთმობს, რომ ამგვარად მოინანიოს ზოგიერთი ცოდვა. სათნო ქალი, ჩემო ძვირფასო, ყველაფერში უპირატესობას ღებულობს. როგორც კი ქმარი ოდნავ წაიკუზება, ცოლი მაშინვე მხრებზე შეაჯდება. აჰ, ჩემო მეგობარო, უბედური ქმრები, ზოგჯერ მართლა სიბრალულს იმსახურებენ. ახალგაზრდობაში გვინდა, რომ უბიწო ცოლები გვყავდეს და ეჭვიც არ გვიჩნდება, მერე რა ძვირი ჯდება მათი უბიწობა“.

„მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი, ხელებზე ნიკაპჩამოდებული ვიჯექი და მოლინიეს შევცქეროდი. ეს საცოდავი კაცი არც კი ეჭვობდა როგორ უხდებოდა ნაკუზულის პოზა, რაზეც ასე მწარედ წუწუნებდა; შუბლს ხშირად იწმენდდა; ბევრს ჭამდა, თანაც გურმანივით კი არა, ღორმუცელასავით; ზედვე ეტყობოდა, ჩვენს მიერ შეკვეთილი ბურგუნდიული ძველი ღვინო მოეწონა და სათანადოდაც შეაფასა. კმაყოფილი იყო, რომ ვილაცა უსმენდა, მისი ესმოდა და როგორც ეგონა, მისი გულღია ლაპარაკი მოსწონდა.

„— მოსამართლის მოვალეობის შესრულებისას, — გააგრძელა მან, — ცოტა როდი შემხვედრია ისეთი ქალი, რომელმაც საკუთარი სურვილის გარეშე დაუთმო ქმარს, თანაც გულგრილად, უაზროდ... მაგრამ, როგორც კი უბედური ქმარი გვერდზე გაიხედავს, მაშინვე აღშფოთების ნიაღვარი ატყდება თავს“.

„მოსამართლემ წინადადება წარსულ დროში დაიწყო, ქმარმა კი

ახლანდელში დაამთავრა; ეჭვიც არ დატოვა, რომ საკუთრივ მას ეხებოდა ნათქვამი. მორიგი ლუკმა დაღეჭა, გადაყლაპა და შთაგონებით დაუმატა:

„— მეორის სურვილები, როცა მათ არ იზიარებენ, მეტისმეტად გადაჭარბებული ჩანს. — ღვინის დიდი ყლუპი მოსვა და დაუმატა: — აი, ძვირფასო მეგობარო, იმის ახსნაც, თუ ქმარი როგორ კარგავს ოჯახში ხელმძღვანელის როლს“.

„იმისდა მიხედვით, თუ როგორ ლაპარაკობდა, მისი სიტყვების აშკარა დაუკავშირებლობის იქით აღმოვაჩინე სურვილი, რათა საკუთარ სისუსტეზე პასუხისმგებლობა ცოლისთვის დაეკისრებინა. ვუსმენდი და ჩემს თავს ვეუბნებოდი, ამის მსგავს მოშლილ ჯამბაზებს ეგოიზმიც კი არ ჰყოფნით, რათა არსებობის დაცალკევებული ელემენტების ერთობლიობა შეინარჩუნონ. ფიქრებში ნავლენ თუ არა, ისეთი გრძნობა გეუფლება, აგერ-აგერ ნაწილებად დაიშლებიანო. გაჩუმდა. მაშინვე რამდენიმე სიტყვის თქმის აუცილებლობა ვიგრძენი, როგორც გაჩერებულ მანქანაში ზეთს ასხამენ ხოლმე ახალი სამუშაო ციკლის მოსამზადებლად, და ვთქვი:

„— საბედნიეროდ, პოლინი ჭკვიანი ქალია“.

„მიპასუხა: „დიახ...“ და სიტყვა ისე გააჭიანურა, რომ იგი ეჭვის გამომხატველად უფრო იქცა, მერე დაუმატა:

„— მაგრამ არის რაღაცები, რისიც არაფერი გაეგება. იცით, როგორი ჭკვიანიც უნდა იყოს... აქვე უნდა ვაღიარო, რომ მოცემულ შემთხვევაში, არც მე მოვიქეცი მთლად სწორად. ერთი პატარა თავგადასავალი ვუამბე, მეგონა და დარწმუნებულიც ვიყავი, ეს ამბავი იქვე დამთავრდებოდა. მაგრამ განვითარდა... პოლინის ეჭვიც გაძლიერდა. ამაოდ გავისარჯე, ვერ დავარწმუნე. მერე დაფარვა მომიწია, სიცრუე... აი, რას ნიშნავს მეტისმეტად გრძელი ენის ქონა. რას იზამ? მე ხომ ბუნებით მიმნდობი კაცი ვარ... პოლინი საშინლად ეჭვიანია, ვერ წარმოიდგენთ, რამდენი ეშმაკობა დამჭირდა.

„— დიდი ხანია ასე გრძელდება? — ვკითხე.

„— ოო, ხუთი წელი მაინც. იმედი მქონდა, რომ საბოლოოდ დავამშვიდე, მაგრამ მგონი, ხელახლა იწყება. წარმოიდგინეთ, გუშინწინ სახლში დავბრუნდი... მეორე ბოთლი „პომარი“ ხომ არ ავიღოთ კიდევ?

„— მე მეტი არ მინდა, თქვენ თუ გნებავთ, შეუკვეთეთ.

„— იქნებ პატარა ბოთლიც აქვთ. მერე სახლში წავალ და დავი-

ძინებ. სიცხეს ცუდად ვიტან... იმას გეუბნებოდით, გუშინწინ სახლში დავბრუნდი, სანერი მაგიდის კარი გამოვაღე ქაღალდები რომ ჩამეწყო; უჯრა გამოვწიე, სადაც წერილებს ვმალავ... იმ პიროვნებისა, რომელზეც უკვე გიამბეთ. წარმოიდგინეთ, ჩემო კარგო, რა შიშმა შემიპყრო: უჯრა ცარიელი დამხვდა. ოო! ჯანდაბა, სურათი ნათელზე ნათელი იყო. ორი კვირის წინ პოლინი პარიზში ჟორჟთან ერთად ჩამოვიდა, ერთი ჩემი კოლეგის ქალიშვილის ქორწილზე დასასწრებად; თვითონ ქორწილზე დასწრება ვერ შევძელი; როგორც იცით, ჰოლანდიაში ვიყავი... თანაც ეს ცერემონიები უფრო ქალების საქმეა. ალბათ, ცარიელ ბინაში უსაქმოდ რომ იყო, დალაგება მოიმიზეზა და, ხომ იცით, ქალები ცნობისმოყვარეობაში მუდამ სცოდავენ.... ეტყობა, ქაღალდების ქექვა დაიწყო... ო, არა, ცუდი განზრახვით არა. არ ვადანაშაულებ. პოლინს წესრიგისადმი წმიდათა წმიდა მოთხოვნილება ყოველთვის ჰქონდა... და აი, ახლა რაღა უნდა ვუთხრა, როცა დამამტკიცებელი საბუთები ხელთა აქვს? ნეტავ იმ პატარას ჩემი სახელი მაინც არ დაეწერა! მერე რა მეგობრული ოჯახი გვაქვს! როგორც კი გავიფიქრებ, რისი გადატანაც მომიწევს...".

„საცოდავს აღსარების თქმისას თავგზა ერეოდა. გამუდმებით შუბლს იწმენდდა, ინიავებდა. მე უფრო ცოტა დავლიე, ვიდრე მან. შეკვეთით გულს თანაგრძნობას ვერ აიძულებ: მისდამი ზიზღის გარდა ვერაფერს ვგრძნობდი. ჯერ ისევ ოჯახის მამად (თუმცა, მიმძიმდა აღიარება, რომ იგი ოლივიეს მამა იყო), მოწესრიგებულ, პატიოსან, პენსიონერ ბურჟუად მიმაჩნდა, მაგრამ, აი, შეყვარებულის როლში კი სასაცილო მეჩვენა. განსაკუთრებით უსიამოვნო შთაბეჭდილება მისმა ულაზათო, ბანალურმა სიტყვებმა, მიმიკამ დამიტოვა; მომეჩვენა, რომ მისი სახე და ხმა ამ გრძნობათა გამოხატვისთვის არ იყო შექმნილი; ისეთი შეგრძნება დამრჩა, თითქოს ვიღაცა ცდილობდა კონტრაბასს ისეთი ხმა გამოეცა, რომელიც ალტისთვის იყო შესაფერი, შედეგად კი მხოლოდ ხრინწიანი ხმები გაისმა.

„— ასე მითხარით, მასთან ერთად ჟორჟიც ჩამოვიდაო...

„— დიახ. მისი მარტო დატოვება არ მოინდომა. თუმცა, ბუნებრივია, პარიზში ბიჭი გამუდმებით დედამისის გვერდით არ არის... დამიჯერეთ, მეგობარო, ოცდაექვსი წლის ოჯახური ცხოვრების მანძილზე, უმცირესი სცენა, პატარა კამათიც არა გვქონია... როგორც კი გავიფიქრებ, რაც მზადდება...პოლინი ხომ ორი დღის შემდეგ ბრუნდება... ეჰ! რაც იქნება, იქნება, მოდით, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. ვენსანზე

რას იტყვით? მონაკოს მთავარი, იახტით მოგზაურობა... კარგია, არა?.. როგორ, არ იცოდით?.. დიახ, ზღვის სიღრმეების გაზომვისა და თევზჭერაზე დასაკვირვებლად გაემგზავრა სადღაც აზორის კუნძულების მახლობლად. აჰ! მასზე საუბარი არაფერი მაქვს, მერწმუნეთ! თვითონ გაიკვლია გზა.

„— ჯანმრთელობა?

„— სრულიად აღუდგა. ხოლო მისი ჭკუა-გონების პატრონს, ვფიქრობ, სახელი და დიდება არ დაუგვიანდება. გრაფმა დე პასავანმა არ დამიმალა და მითხრა, რომ იგი შესანიშნავ ადამიანად მიაჩნია მათ შორის, ვისაც შეხვედრია. ისიც კი თქვა: ყველაზე შესანიშნავიო... მაგრამ ეს გადაჭარბებად მივიღოთ...".

„სადილი დასასრულს უახლოვდებოდა; მან სიგარას მოუკიდა.

„— შეიძლება გკითხოთ, — გააგრძელა მან, — ვინ არის ოლივიეს ეგ მეგობარი, ვისგანაც მისი ამბები გაიგეთ? უნდა გითხრათ, ჩემი შვილების ნაცნობობას განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. მიმაჩნია, რომ ამ საკითხში სიფრთხილის დაცვა არასოდეს არ არის ხელის შემშლელი. საბედნიეროდ, ჩემს შვილებს მხოლოდ საუკეთესო ადამიანებთან კავშირების დამყარების ბუნებრივი მიდრეკილებები აღმოაჩნდათ. აბა, ნახეთ, ვენსანი მთავართან, ოლივიე გრაფ დე პასავანთან... ჟორჟმა კი ულგატში თავისი თანაკლასელი, ადამანტი, აღმოაჩინა; ისინი ერთად მიდიან ვედელ - აზაისების პანსიონში; მშვენიერი ყმანვილია; მამამისი სენატორია კორსიკიდან. მაგრამ, აბა, ყურადღება მიაქციეთ, რა დიდი სიფრთხილეა საჭირო: ოლივიეს ერთი მეგობარი ჰყავდა, ვინმე ბერნარ პროფიტანდიე; წესიერი ოჯახის შვილი ჩანდა. უნდა გითხრათ, მამამისი, პროფიტანდიე უფროსი, ჩემი კოლეგა, შესანიშნავი პიროვნებაა და დიდ პატივს ვცემ. ოღონდ... (ჩვენს შორის დარჩეს)... ამას წინათ გავიგე, რომ იმ ბავშვის მამა არა ყოფილა, რომლის გვარსაც ეს ბიჭი ატარებს! აბა, რას იტყვით?

„— ზუსტად მაგ ჭაბუკმა, ბერნარ პროფიტანდიემ, მაუწყა ოლივიეს ამბები". — ვუპასუხე.

„მოლინიემ სიგარა რამდენჯერმე მაგრად მოქაჩა, წარბები ძალიან მაღლა აჭიმა, რის გამოც შუბლი ნაოჭებით დაეფარა:

„— მირჩევნია ოლივიეს ხშირი ურთიერთობა არ ჰქონდეს იმ ბიჭთან. მასზე ცუდი ინფორმაცია მივიღე, რაც ძალიან არ გამკვირვებია. დამეთანხმებით: ასეთ საეჭვო გარემოებაში დაბადებული ბავშვისგან კარგს არაფერს უნდა ველოდეთ. უკანონოდ დაბადებული

ბავშვები არამცთუ ღირსებას, სათნოებასაც მოკლებულნი არიან; აღვირახსნილობისა და ურჩობის ნაყოფი აუცილებლად ანარქიის ჩანასახსაც ატარებს... დიახ, რაც ეწერა, რომ უნდა მომხდარიყო, მოხდა კიდეც. ჭაბუკმა ბერნარმა მოულოდნელად მიატოვა მშობლიური კერა, სადაც არც არასოდეს უნდა შესულიყო. ის გაემგზავრა, როგორც ემილი ოჟიე იტყოდა „თავისი ცხოვრებით საცხოვრებლად", კაცმა არ იცის როგორ და სად იცხოვრებს. საცოდავმა პროფიტანდიემ თავად მიამბო მისი უსაქციელობის ამბავი და ძალზე თავზარდაცემული ჩანდა. ვცადე მიმეხვედრებინა, რომ საჭირო არ იყო მომხდარის გულთან ასე ახლოს მიტანა. ამ ჭაბუკის წასვლა ხომ, საბოლოო ანგარიშით, ყველაფერს თავის ადგილზე აყენებს".

„შევეკამათე. ვუთხარი, რომ ბერნარს იმდენად კარგად ვიცნობ, შემიძლია მის პატიოსნებასა და ადამიანობას თავდებად დავუდგე-მეთქი (ცხადია, ჩემოდნის ისტორია მისთვის არ მიამბნია). მაგრამ მოლინიემ მაშინვე გამომიცხადა:

„— კარგით! ვამჩნევ, ზოგი რამ კიდევ უნდა გიამბოთ".

„მერე წინ გადმოიხარა და დაბალი ხმით დაიწყო:

„— ჩემს კოლეგა პროფიტანდიეს ერთი ფრიად უხამსი და საჩოთირო საქმის გამოძიება მიანდეს, რომლის მსვლელობასაც შეიძლება ბევრი რამ მოჰყვეს. სრულიად უჩვეულო ამბავია და ვისურვებდი, მართალი არ გამოდგეს... საქმე ეხება, ჩემო კარგო, გარყვნილების ნამდვილ დაწესებულებას... ოო, არ მსურს ცუდი სიტყვა ვიხმარო, ვთქვათ, ჩაის სახლის მსგავს რაღაც დაწესებულებას. მთავარი სკანდალი კი იმაში მდგომარეობს, რომ მისი სალონების სტუმრების უმრავლესობა პატარა ლიცეისტები არიან. გარწმუნებთ, დაუჯერებელი ამბავია. ეტყობა, ეს ბავშვები თავიანთ ქმედებებს ანგარიშს არ უწევენ, რადგან არაფერს მალავენ. ყველაფერი გაკვეთილების შემდეგ ხდება. ჯერ ჭამენ, საუბრობენ, ქალებთან ერთობიან, მერე თამაში სასტუმროს ოთახებში ინაცვლებს. ბუნებრივია, იქ ყველას არ უშვებენ. მიმსვლელი სანდო უნდა იყოს. ვინ აფინანსებს ამ ორგიებს? ვინ იხდის ბინის ქირას? დასაწყისში ამისი გაგება ძნელი არ ჩანდა. მერე გაირკვა, გამოძიება დიდი სიფრთხილით უნდა ჩატარებულიყო, რათა ბევრი რამ არ გაგვეგო, მეტისმეტად არ ჩაგვეხედა საქმეში, რომ ზოგიერთ პატივცემულ ოჯახს სახელი არ გატეხოდა, რომელთა შვილებიც, როგორც ივარაუდება, ამ სახლის თითქმის ძირითადი კლიენტები არიან. ვცადე ყველაფერი გამეკეთებინა, რაც შემეძლო, რათა დამეოკებინა პროფი-

ტანდიეს გულმოდგინება, რომელიც ისე ბეჯითად შეუდგა მუშაობას იმ ხარის მსგავსად, რომელსაც ეჭვი არ ეპარება, რომ რქის პირველივე დარტყმით... (აჰ, მომიტევეთ! განზრახ არ მითქვამს, უნებურად მომივიდა; ჰა, ჰა, ჰა, ჰა! რა სასაცილოა; უნებურად წამომცდა)... მაგრამ საკუთარ შვილს საფრთხეში აგდებდა და რქაზე წამოიგებდა. საბედნიეროდ, არდადეგებიც დაიწყო, ყველა აქეთ-იქით გაემგზავრა; მოწაფეები გაიფანტნენ და იმედი მაქვს, ცოტა გაფრთხილებით, ცოტა დაშინებით, ცოტა დასჯით, საქმე სამარცხვინო აყალმაყალის გარეშე დამთავრდება.

„— დარწმუნებული ხართ, რომ ბერნარ პროფიტანდიე ამ საქმეშია გარეული?

„— მთლად არა, მაგრამ...

„— მაგრამ, მაგ აზრამდე რამ მიგიყვანათ?

„— უპირველეს ყოვლისა იმან, რომ იგი უკანონო ბავშვია. ხომ გესმით, ჭაბუკი, რომელიც, აი, ასე ადგება და სახლიდან წავა, ყოველგვარ სირცხვილდაკარგულია... გარდა ამისა, ვფიქრობ, პროფიტანდიეც რაღაც ეჭვმა შეიპყრო, რადგან მისი თავგამოდება უცბად შენელდა; თითქოს უკანაც დაიხია; ბოლოს, როცა საქმის მდგომარეობა გამოვკითხე, დაბნეულიც ჩანდა. „მგონი, გამოძიება არაფერს მოგვცემს“, — მითხრა მან და ლაპარაკი სწრაფად გადაიტანა სხვა თემაზე. საცოდავი პროფიტანდიე! არ იმსახურებს, რაც თავს გადახდა. იშვიათად გვხვდებიან ასეთი პატიოსანი ადამიანები. მართლა, მისი ქალიშვილი ახლახან მშვენივრად დაქორწინდა. ქორწილს ვერ დავესწარი, ჰოლანდიაში ვიყავი. პოლინი და ჟორჟი საგანგებოდ ამის გამო ჩამოვიდნენ. ეს უკვე გითხარით? ახლა დროა დასაძინებლად წავიდე... როგორ? თქვენ გინდათ დანახარჯი გადაიხადოთ? არა, საჭირო არ არის! მოდით, დანახარჯი ამხანაგურად გავიყოთ... არა? კარგით, მაშინ ნახვამდის. არ დაგავიწყდეთ, პოლინი ორი დღის შემდეგ ჩამოვა. შემოიარეთ. მოლინიეს ნუღარ მეძახით, ოსკარი დამიძახეთ!.. ეს კარგა ხანია მინდოდა მეთხოვა თქვენთვის“.

„დღეს საღამოს, რაშელის, ლორას დის წერილი მივიღე:

„ზოგიერთ სერიოზულ საკითხზე მინდა მოგელაპარაკოთ. თუ თქვენს საქმიანობას დიდად არ შეუშლის ხელს, იქნებ, ხვალ საღამოს შემოიაროთ. დიდ სამსახურს გამიწევთ“.

„თუ ლორაზე უნდა ლაპარაკი, მაშინ ასე დიდხანს ლოდინს არ დაიწყებდა. წერილი პირველად მომწერა“.

II

## ედუარდის დღიური
(გაგრძელება)

28 სექტემბერი

„რაშელი პანსიონის პირველ სართულზე, დიდი საკლასო ოთახის კარის ზღურბლზე დამხვდა. ორი მსახური იატაკს წმენდდა, მასაც წინსაფარი ეკეთა და ხელში ჩვარი ეჭირა.

„— ვიცოდი, თქვენი იმედი უნდა მქონოდა, — მითხრა და ნაზი, ნაღვლიანი, მორჩილი გამომეტყველებით ხელი გამომიწოდა; ბაგეზე ღიმილი დასთამაშებდა, ისეთი, როგორიც გულს უფრო მეტად ხვდება, ვიდრე სილამაზე. — თუ ძალიან არ ჩქარობთ, კარგი იქნებოდა, ცოტა ხნით ჯერ პაპა გენახათ, მერე დედაჩემი. როცა გაიგებენ, აქ იყავით და არ ინახულეთ, ძალიან დასწყდებათ გული. ოღონდ, მცირე დრო მეც დამიტოვეთ: თქვენთან ლაპარაკი აუცილებლად მჭირდება. აქვე მიპოვით, როგორც ხედავთ, მუშაობას ვადევნებ თვალყურს“.

„რაღაც თავისებური სიმორცხვის გამო, არასოდეს ამბობს მეც ვმუშაობო. რაშელი მთელი ცხოვრება იმას ცდილობს, უჩინრად იყოს; არაფერია უფრო მოკრძალებული, უფრო სანიმუშო, ვიდრე მისი სათნოება. მისი თავგანწირვა ისეთი ბუნებრივია, რომ ასეთი გამუდმებული თავშეწირვისთვის არც ერთ ახლობელს თავშიც არ მოსდის მისი მადლიერი იყოს. უმშვენიერესი ქალური სულია და მსგავსი არავინ მინახავს.

„მესამე სართულზე აზაისთან ავედი. მოხუცი თავისი სავარძლიდან უკვე აღარ დგებოდა. მთხოვა, გვერდით დამიჯექიო და თითქმის მაშინვე ლა პერუზზე დაიწყო ლაპარაკი:

„— ძალიან მაწუხებს, რომ სულ მარტო ცხოვრობს. მინდოდა დამერწმუნებინა, ჩვენთან, პანსიონში გადმოსულიყო საცხოვრებლად. ხომ იცით, ძველი მეგობრები ვართ. ამას წინათ მის სანახავადაც ვიყავი. ვფიქრობ, მისი ძვირფასი მეუღლის სენტ-პერინში გადასვლამ მასზე ძალიან იმოქმედა. მოსამსახურემ მითხრა, თითქმის აღარ ჭამსო. მიაჩნია, რომ ჩვეულებრივ ბევრს ვჭამთ, ყველა საქმეში ზომიერება უნდა დავი-

ცვათ და უკიდურესობა საჭირო არ არის. უაზრობად ეჩვენება, მარტო მისთვის მოამზადონ საჭმელი. ჩვენთან რომ სადილობდეს, დაინახავდა როგორ ჭამენ სხვები და მათ მაგალითს მიბაძავდა. აქ თავისი მშვენიერი შვილიშვილის გვერდით იქნებოდა, სხვანაირად მისი ნახვის შესაძლებლობა არ ექნება, რადგან ვავენის ქუჩიდან ფობურ-სენტ-ონორეს ქუჩამდე მოსვლა, მთელი მოგზაურობაა. გარდა ამისა, ბიჭის მარტო გაშვება პარიზში არც მინდა. დიდი ხანია ვიცნობ ანატოლ დე ლა პერუზს. მუდამ დიდი ორიგინალური ადამიანი იყო. ეს საყვედური არ არის; საქმე იმაშია, რომ ბუნებით ცოტა ამაყია და, ალბათ, ამ სტუმარ-თმოყვარეობით სარგებლობაზე არ დათანხმდება, თუ სამაგიეროს არაფერს გააკეთებს. ამიტომ ვიფიქრე და შემიძლია შევთავაზო, ბავშვების მეცადინეობას ადევნოს თვალყური; მისთვის ეს ძალზე დამღლელი არ იქნება, გარდა ამისა, გაერთობა კიდეც, საკუთარ თავთან მარტო დარჩენის საშუალება აღარ ექნება; კარგი მათემატიკოსია, როცა საჭირო იქნება, გეომეტრიაში ან ალგებრაში რეპეტიტორადაც გამოდგება. ახლა მონაფეებიც აღარ ჰყავს, აღარც როიალი სჭირდება, აღარც სხვა ავეჯი და შეუძლია შეელიოს; აქ გადმოსვლით ბინის ქირის ეკონომიაც ექნება; თავისუფლად რომ იგრძნოს თავი და არ ეგონოს, მეტისმეტად დავალებულია ჩვენგან, ისიც ვიფიქრე, შეგვეძლო მოგველაპარაკა და პანსიონში ცხოვრებისთვის რაღაც პატარა თანხაც გადაეხადა. თქვენ უნდა ეცადოთ და ამაში დაარწმუნოთ; მაგრამ ეს საქმე მეტისმეტად არ უნდა გაჭიანურდეს, რადგან ჩემი აზრით, არანორმალური ცხოვრება ძალიან მალე დაასუსტებს. მეცადინეობა ორი დღის შემდეგ განახლდება და კარგი იქნებოდა მცოდნოდა, მისი იმედი მქონდეს თუ არა... ისევე, როგორც მას შეუძლია ჩვენი იმედი იქონიოს“.

„დავპირდი, ლა პერუზს ხვალვე მოველაპარაკები-მეთქი. თითქოს ტვირთი მოეხსნაო და მაშინვე გააგრძელა:

„— რა საუცხოო ბიჭია, ეგ თქვენი პროტეჟე ბერნარი. პატარ-პატარა საქმეებში დახმარება ძალიან თავაზიანად შემომთავაზა; გაკვეთილების ჩატარებაზეც მელაპარაკა, მაინც მეშინია, ძალიან ახალგაზრდაა და ბავშვების პატივისცემის ბოლომდე შენარჩუნებას ვერ შეძლებს. დიდხანს ვესაუბრე, ფრიად სიმპათიურია... აი, როგორი ხასიათების გამობრძმედაა საჭირო, რომ მათგან კარგი ქრისტიანები გამოიჭედონ. ძალზე დასანანია, რომ თავიდანვე არასწორი აღზრდა მიიღო. გამომიტყდა, ღმერთი არ მწამსო, მაგრამ ხმის ტონმა იმედი მაინც ჩამისახა. ვუთხარი, მჯერა, საკუთარ თავში იპოვი ყველა იმ

თვისებას, რომელიც აუცილებელია, რათა ქრისტეს მამაცი მეომარი გამოხვიდე და მოიფიქრებ, უკეთ როგორ გამოიყენო უფლის მიერ ბოძებული ნიჭიერება-თქო. ლოცვა ერთად წავიკითხეთ, და მწამს, კეთილი მარცვალი ცუდ ნიადაგში არ ჩავარდნილა. ჩემმა სიტყვებმა ააღელვა და აღმითქვა, დავფიქრდებიო".

„ბერნარმა უკვე მოასწრო და მოხუცთან საუბრის შესახებ მელაპარაკა; ისიც ვიცოდი, რასაც ამაზე ფიქრობდა, ამიტომ ეს საუბარი ძალიან მძიმე იყო ჩემთვის. გამოსამშვიდობებლად ავდექი; მოხუცმა ჩემი განვდილი ხელი თავისაში გაიჩერა და მითხრა:

„— ჰო, მართლა; ჩვენი ლორა ვნახე! ვიცოდი, რომ ამ ძვირფასმა ბავშვმა ერთი თვე თქვენთან ერთად მთებში გაატარა; ეტყობა, ძალიან მოუხდა. მიხარია, რომ ისევ სახლშია, ქმართან, რომელიც, ალბათ, ლორასთან ამდენი ხნის განშორების გამო წუხდა. დასანანია, რომ მას სამსახურმა თქვენთან ჩამოსვლის საშუალება არ მისცა".

„უხერხულობის გრძნობა მომეძალა და წასასვლელად მოვემზადე; ვიცოდი, ლორამ რა უთხრა და რა — არა; მოხუცმა თავისკენ მიმიზიდა, ჩემსკენ გადმოიხარა და ყურში ჩუმად მითხრა:

„— ლორამ თავისი საიდუმლო გამანდო; ოღონდ, ამაზე ხმა არ!.. ურჩევნია, ჯერ არავინ იცოდეს. თქვენ იმიტომ გეუბნებით, ვიცი, რომ იცით; თანაც იმიტომ, რომ ჩვენ საიდუმლოს შენახვა შეგვიძლია. საცოდავი ბავშვი, როცა მიყვებოდა ისე შემკრთალი იყო, ისე წითლდებოდა; ის ხომ ძალზე მოკრძალებულია. მერე ჩემს წინ ჩაიჩოქა და უფალს მადლობა ერთად შევნირეთ, რომელმაც ეს კავშირი დალოცა".

„მგონი, უკეთესი იქნებოდა ლორას თავისი საიდუმლო არ გაემხილა; მის მდგომარეობაში მყოფი ადამიანი არ უნდა ჩქარობდეს. ჩემთვის რომ ეკითხა, მოცდას ვურჩევდი; მანამდე არ გაემხილა, ვიდრე დუვიეს არ შეხვდებოდა. აზაისს არაფერი გაეგება, მაგრამ ოჯახის დანარჩენი წევრები ყეყეჩები ხომ არ არიან".

„მოხუცმა თავისი პასტორალური თემის რამდენიმე ვარიაცია კიდევ შეასრულა, მერე მითხრა, რომ მისი ქალიშვილი ჩემი ნახვის მოხარული იქნებოდა, და ვედელების სართულზე ჩავედი.

„რაც ახლახან დავწერე, ისევ გადავიკითხე. აზაისზე ასეთი ტონით ლაპარაკი ღირსებას არ მმატებს. ამას კარგად ვგრძნობ და საგანგებოდ ბერნარის გასაგონად რამდენიმე წინადადებას ვუმატებ, თუ იგი თავისი მომხიბლავი მოურიდებლობით გაბედავს და ისევ ჩაყოფს ცხვირს

ამ რვეულში. თუ მოხუცთან ურთიერთობას შეინარჩუნებს, მიხვდება, რისი თქმაც მინდოდა. ძალიან მიყვარს ეს მოხუცი, და როგორც თვითონ ამბობს, „გარდა ამისა“, პატივსაც ვცემ; ოღონდ, როგორც კი მის გვერდით აღმოვჩნდები, მაშინვე საკუთარი თავის სიძულვილს ვინყებ! ამიტომ მის საზოგადოებაში ყოფნა ჩემთვის ძალიან მძიმეა.

„ასევე ძალიან მიყვარს ფოფოდიაც, მისი ქალიშვილი. ქალბატონი ვედელი ლამარტინის ელვირას ჰგავს, დაბერებულ ელვირას. მისი საუბარი მომხიბვლელობას მოკლებული როდია. ძალიან ხშირად ფრაზას არ ამთავრებს, რაც მის აზრებს უცნაურ პოეტურ ბუნდოვანებას ანიჭებს. უზუსტობებისა და დაუმთავრებელისგან უსასრულობას ქსოვს. მომავალი ცხოვრებისგან ყველაფერს ელის, რაც აქ არ აქვს, და ეს საშუალებას აძლევს თავისი იმედების სფერო განუსაზღვრელად გააფართოვოს. მის ფეხქვეშ რაც ნაკლები ნიადაგი რჩება, მით უფრო ძლიერ ისწრაფვის ცისკენ. და რადგან ვედელს იშვიათად ხედავს, ამიტომ ხელს არაფერი უშლის წარმოიდგინოს, რომ იგი უყვარს. მისი ღირსპატივცემული ქმარი, გამუდმებით გასულია: ათასი საქმე აქვს, ათასი საზრუნავი, ქადაგებები, კონგრესები, ღარიბებისა და ავადმყოფების მონახულება. გამუდმებით ჩქარობს; სიჩქარეში ძლივს ასწრებს ხელის ჩამორთმევას; სამაგიეროდ, ხელის ჩამორთმევა გულითადად იცის:

„— ისე მეჩქარება, დღეს ლაპარაკის დრო არა მაქვს.

„— უჰ! ვილაპარაკოთ მაშინ, როცა ზეცაში შევხვდებით, — ვპასუხობ, მაგრამ იმისი დროც არ აქვს ჩემი ნათქვამი გაიგოს.

„— საკუთარი თავისთვის ერთი წუთიც არ რჩება, — ოხრავს ქალბატონი ვედელი, — ნეტავ იცოდეთ, სამუშაოთი როგორ იტვირთავს თავს, მას შემდეგ, რაც... იციან, რომ უარს არაფერზე ამბობს, ამიტომ ყველა... სახლში როცა ბრუნდება, ზოგჯერ ისეთი დაღლილია, ლაპარაკსაც ვერ ვბედავ იმის შიშით, რომ... საკუთარ თავს სხვებს უძღვნის, ახლობლებისთვის აღარაფერი რჩება“.

„გაუთავებლად ლაპარაკობდა, უცბად ის დრო გამახსენდა, როცა მათთან პანსიონში ვცხოვრობდი, გამახსენდა, ზოგჯერ როგორი ბრუნდებოდა ვედელი სახლში; მინახავს, თავზე ხელებს როგორ შემოიჭერდა და ვიდრე გონს მოვიდოდა, საცოდავად კვნესოდა. უკვე მაშინ ვფიქრობდი, რომ შეიძლება ამ ხანმოკლე სულისმოთქმისა უფრო ეშინოდა, შეიძლება არც უნდოდა ეს შესვენებები, და მის ცხოვრებაში იმაზე მძიმე არაფერი იყო, ვიდრე დაფიქრებისთვის გამოყოფილი ეს მცირეოდენი დრო.

„— ჩვენთან ერთ ფინჯან ჩაის დალევთ? — მკითხა ქალბატონმა ვედელმა, როცა პატარა მსახურმა გოგომ ლანგრით ჩაის ჭურჭელი შემოიტანა.

„— ქალბატონო, შაქარი აღარ არის.

„— ხომ გითხარით უკვე, რომ მადმუაზელ რაშელთან უნდა მიხვიდეთ და სთხოვოთ. წადით, ჩქარა... ის ახალგაზრდა ბატონები გააფრთხილეთ?

„— ბატონი ბერნარი და ბატონი ბორისი უკვე წავიდნენ.

„— კარგი! ბატონი არმანი?.. დაუჩქარეთ".

„და, ვიდრე მსახური გოგო გავიდოდა, მაშინვე თქვა:

„— ეს საცოდავი გოგო სტრასბურგიდან ჩამოვიდა. არ აქვს არავითარი... იძულებული ვარ, ყველაფერი ავუხსნა... რაღას ელით?"

„მსახური ისე შემობრუნდა, როგორც კუდზე ფეხდაბიჯებული ასპიტი:

„— ქვევით რეპეტიტორი გელოდებათ; ამოსვლა უნდა. ასე თქვა, ვიდრე ვალს არ გადამიხდიან, არ წავალო".

„ქალბატონი ვედელის სახემ მოწყენილი, ტრაგიკული გამომეტყველება მიიღო.

„ — რამდენჯერ გითხარით, ფულის საქმეებს მე არ ვაგვარებ. უთხარით, მადმუაზელს მიმართოს. იჩქარეთ!.. პირდაპირ, ერთი წუთი მოსვენება არა მაქვს! ვერ გამიგია, რაშელი რას ფიქრობს.

„— მას ჩაიზე არ დაველოდებით?

„ — ჩაის საერთოდ არ სვამს... ეს სასწავლო წლის დასაწყისი, ცოტა საზრუნავს როდი გვიჩენს. მასწავლებელ-რეპეტიტორები, თავის სამსახურს რომ გვთავაზობენ, წარმოუდგენელ თანხას ითხოვენ; როცა ფასი მისაღებია, მაშინ ხშირ შემთხვევაში, თვითონ აღმოჩნდებიან ხოლმე მიუღებელნი. ბოლოს რომ რეპეტიტორი მივიღეთ, მისით მამა უკმაყოფილოა. მისდამი თავიდანვე ვერ გამოვიჩინეთ სიმკაცრე, ახლა კი მამას ემუქრება კიდეც. ხომ გაიგეთ, რაც ამ პატარამ თქვა. ეს ხალხი მხოლოდ ფულზე ფიქრობს... თითქოსდა ამ ქვეყანაზე სხვა უფრო მნიშვნელოვანი არაფერი იყოს. ჯერ არ ვიცით, ვისით შევცვალოთ. პროსპერი ძველებურად დარწმუნებულია, რომ მხოლოდ უფალზე უნდა ვილოცოთ, დანარჩენი ყველაფერი მოგვარდება...".

„მსახური დაბრუნდა და შაქარი მოიტანა.

„— ბატონ არმანს დაუძახეთ?

„— დიახ, ქალბატონო, ახლავე მოვა.

„— სარას? — დავინტერესდი.

„— ორი დღის შემდეგ დაბრუნდება. მეგობართან არის ინგლისში სტუმრად; იმ გოგონას მშობლებთან, ჩვენთან რომ ნახეთ. დიდი თავაზიანობა გამოიჩინეს, და მიხარია, რომ სარა შეძლებს ცოტა... ისევე, როგორც ლორა. მომეჩვენა, რომ ლორა უკეთ გამოიყურება. სამხრეთის შემდეგ შვეიცარიაში მოგზაურობა ძალიან მოუხდა. თქვენ დიდი გულისხმიერება გამოიჩინეთ, რომ დაიყოლიეთ და წაიყვანეთ. მხოლოდ არმანმა გაატარა მთელი არდადეგები პარიზში.

„— რაშელი?

„— დიახ, მართალია, იმანაც. ბევრი ეპატიჟებოდა, მაგრამ პარიზში დარჩენა ამჯობინა. გარდა ამისა, აუცილებლად უნდა დახმარებოდა პაპას. ხომ იცით, ცხოვრება როგორია, რაც გვსურს ყველაფერი ისე არ გამოდის. დროდადრო შვილებისთვის ამ მარტივი ჭეშმარიტების შეხსენება გვინევს. სხვებზეც საჭიროა ფიქრი. როგორ გგონიათ, საასფეში გასეირნება მე არ მინდა? როცა პროსპერი სადმე მიემგზავრება, როგორ გგონიათ, საკუთარი სიამოვნებისთვის მიდის? არმან, ხომ იცი არ მიყვარს, როცა ასე უსაყელოდ შემოდიხარ? — დაუმატა, როცა ოთახში შემოსული შვილი დაინახა.

„— ძვირფასო დედიკო, თქვენ ხომ დაჟინებით მინერგავთ, როგორც ჭეშმარიტებას ჭეშმარიტებათა, რომ ჩაცმას დიდი მნიშვნელობა არ მივანიჭო; ასე რომ, თქვენმა დარიგებამ დროზე მიწია, რადგან მრეცხავი სამშაბათს ჩამოდის, ხოლო საყელოები რაც დამრჩა, დახეულია".

„გამახსენდა, რასაც ოლივიე თავის ამხანაგზე მეუბნებოდა და მომეჩვენა, რომ მისი ბოროტი ირონიის ქვეშ ღრმა საფიქრალი იმალებოდა. სახე ჩამოხდომოდა არმანს, ცხვირი ჩამოწვრილებოდა და თხელ, გაფითრებულ ბაგეზე ჩამოსწოლოდა. მან განაგრძო:

„— ჩვენს კეთილშობილ სტუმარს უკვე აუწყეთ, — განაგრძო მან, — რომ ზამთრის სეზონისთვის მუდმივ დასში ჩავრიცხეთ რამდენიმე ახალი მბრწყინავი ვარსკვლავი: ერთი კეთილმოაზროვნე სენატორის ვაჟი და ჭაბუკი ვიკონტი დე პასავანი, სახელოვანი მწერლის ძმა. რომ აღარა ვთქვათ რა ორ ახალმოსულზე, რომელთაც უკვე იცნობს, რის გამოც ისინი უფრო პატივცემულნი არიან: თავადი ბორისი და მარკიზ დე პროფიტანდიე, და კიდევ ვიღაცები, რომელთა ტიტულებისა და ღირსებების აღმოჩენაც მოგვიწევს.

„— ხომ ხედავთ, ეს საერთოდ არ იცვლება“, — თქვა საბრალო დედამ, რომელმაც ღიმილით მოისმინა შვილის ხუმრობა.

„შემეშინდა, ლორაზე არ ჩამოეგდოთ საუბარი, ამიტომ სტუმრობა აღარ გავაგრძელე და სასწრაფოდ ჩავედი რაშელთან.

„მას მკლავები დაეკაპიწებინა და მსახურს სასწავლო ოთახის მოწესრიგებაში ეხმარებოდა; დამინახა თუ არა სახელოები მაშინვე ჩამოიწია.

„— ძალიან მიმძიმს თქვენი შეწუხება, — დაიწყო მან და თან პატარა ოთახში გამიყვანა, რომელიც მოწაფეთა ინდივიდუალური მეცადინეობებისთვის იყო განკუთვნილი. — დუვიესთვის მინდოდა მეთხოვა; ადრე თვითონ შემომთავაზა დახმარება, მაგრამ ლორა რომ ვნახე, მივხვდი, ახლა ამისი გაკეთება არ შემეძლო...“.

„ძალიან გაფითრებული იყო, და როცა ეს ბოლო სიტყვები თქვა ტუჩები და ნიკაპი აუთრთოლდა, თანაც ისე, რამდენიმე წუთს ლაპარაკი ვერ შეძლო. უფრო რომ არ შეშფოთებულიყო, განზე გავიხედე. ის კარს მიეყრდნო, რომელიც შესვლისას მაგრად მოკეტა. მინდოდა ხელი მომეკიდა, მაგრამ ამიშორა. მერე ძლივს მოიკრიბა ძალა და დახშული ხმით გააგრძელა:

„— შეგიძლიათ ათი ათასი ფრანკი მასესხოთ? ეს წელი კარგი ჩანს და იმედი მაქვს მალე დაგიბრუნებთ.

„— როდის გჭირდებათ?

„არ მიპასუხა.

„— ამ წუთში, ათას ფრანკზე ცოტა მეტი მაქვს, — გავაგრძელე მე. — ხვალ დილით სრულ თანხას მოგიგროვებთ... თუ აუცილებელია, ამ საღამოსაც.

„— არა, ხვალამდე მოვიცდი. ოღონდ, თუ თქვენ არ დაგაკლდებათ, იქნებ ათასი ფრანკი ახლა მომცეთ?“

„საფულედან ფული ამოვიღე და მივეცი.

„— აი, გნებავთ, ათას ოთხასი ფრანკი?“

„თავი ჩაკიდა და ისეთი სუსტი ხმით წარმოთქვა „დიახ“, ძლივს გავიგე; მერე მერხთან მივიდა, მძიმედ დაჯდა, ორივე ხელი დააყრდნო, ხელისგულებით სახე დაიფარა და გაშეშდა. ჯერ ვიფიქრე, ტირის— მეთქი, მაგრამ, როცა მხარზე ხელი დავადე, თავი ასწია და დავინახე, თვალები მშრალი ჰქონდა.

„— რაშელ, — ვუთხარი, — ფული რომ მთხოვეთ, ნუ გრცხვენიათ. მიხარია, რაღაცით დაგეხმარეთ“.

„მან მშვიდად შემომხედა.

„— მიმძიმს რომ ფულს ისე გთხოვთ არც პაპისთვის მითქვამს რამე და არც დედაჩემისთვის. მას შემდეგ, რაც პანსიონის ბუღალტერია მე მომანდეს, ვცდილობ მათ არ გავაგებინო... მოკლედ, არაფერი იციან. გთხოვთ, თქვენც არაფერი უთხრათ. პაპა უკვე ძალიან მოხუცია, დედაჩემს კი ქანცი უწყდება.

„— რაშელ, მას კი არ უწყდება ქანცი... თქვენ აკლავთ თავს.

„— რაც შეეძლო ცდილობდა. ძალ-ღონეს არ იშურებდა. დაიღალა. ახლა ჩემი ჯერია. სხვა საქმე მაინც არა მაქვს“.

„ეს მარტივი სიტყვები ძალიან უბრალოდ თქვა. ვერ ვიგრძენი, პირად სიკეთეზე უარის თქმით გამოწვეული რამე სიმწარე, პირიქით, სულიერი სიმშვიდე უფრო სჭვიოდა.

„— ოღონდ, არ იფიქროთ, საქმეები ცუდად გვაქვს, — გააგრძელა მან. — უცბად რაღაც სიძნელე გამოგვიჩნდა, ზოგიერთი მოუთმენელი კრედიტორის გამო.

„— ახლახან მსახური გოგოსგან გავიგე, ვიღაც რეპეტიტორზე ლაპარაკობდა, რომელიც ფულს ითხოვს.

„— დიახ. მოვიდა და პაპაჩემს არასასიამოვნო სცენა გაუმართა; სამწუხაროდ, ვერ შევძელი ამისი თავიდან აცილება. უხეში და ვულგარული ადამიანია. ანგარიში მინდა გავუსწორო.

„— გინდათ, თქვენს მაგივრად მე შეეხვდე?"

„ოდნავ შეყოყმანდა; ამაოდ ეცადა გაღიმებას.

„— გმადლობთ, საჭირო არ არის, უმჯობესია მე თვითონ... ოღონდ ჩემთან ერთად წამოდით, კარგით? ცოტა მეშინია მისი. თქვენ რომ დაგინახავთ, ლაპარაკს, ალბათ, ვერ გაბედავს“.

„რეპეტიტორი მოაჯირს იდაყვებით დაყრდნობოდა; მოაჯირი პანსიონის ეზოს, რამდენიმე საფეხურით დაბლა მდებარე ბაღისგან ყოფდა. რეპეტიტორს თავზე ფართოფარფლებიანი შლაპა ეხურა და ჩიბუხს აბოლებდა. ვიდრე რაშელი მას ელაპარაკებოდა, არმანი მომიახლოვდა.

„— რა, რაშელი ფულს გესესხათ? — თქვა ცინიკურად. — დროზე მოუსწარით, უსიამოვნო ამბებს ააცილეთ. ყველაფერი კი იმ ჩემი მურდალი ძმის ალექსანდრეს გამო ხდება, რომელმაც კოლონიებში ვალი დაიდო. რაშელმა გადაწყვიტა მშობლებისთვის არაფერი ეთქვა. ისედაც თავისი მზითვის ნახევარი დათმო, ლორას მზითვი ოდნავ რომ გაზრდილიყო; ახლა მეორე ნახევარსაც ასე დაემართება. მზად ვარ

სანაძლეო დავდო, რომ არაფერი გითხრათ. მისი მოკრძალება თავგზას მიბნევს. ასეთია ჩვენი წარმავალი წუთისოფლის ერთ-ერთი ყველაზე ბოროტი ხუმრობა: როცა ვინმე საკუთარ თავს სხვას მსხვერპლად სნირავს, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ის სხვა ამ მსხვერპლად ღირს... რამდენი რამ გააკეთა ლორასთვის! და როგორ დაუფასა!კახპა!..

„— არმან, — აღშფოთებულმა წამოვიყვირე, — უფლება არა გაქვთ თქვენი და განსაჯოთ“.

„მაგრამ მან თავისი წყვეტილი, მსტვენავი ხმით მაინც განაგრძო:

„— პირიქით, მაქვს, რადგან მასზე უკეთესი არა ვარ. საკუთარ თავს ვიცნობ. აი, რაშელი კი არასოდეს არავის სდებს მსჯავრს, არც ჩვენ... დიახ, კახპაა, კახპა... თანაც, გეფიცებით, რასაც მასზე ვფიქრობ, პირში ვუთხარი... თქვენ კი ხელს აფარებთ, ყველაფერს მალავთ და მფარველობთ! ხომ იცოდით... პაპას ამისა საერთოდ არაფერი გაეგება. დედიკო ცდილობს ვერაფერს მიხვდეს. რაც შეეხება მამიკოს, ყველაფერში ღმერთის იმედად არის; ასე უფრო მოხერხებულია. რამე სიძნელე წარმოიშობა თუ არა, მაშინვე ლოცვებში ჩარგავს თავს და ყველაფერს რაშელს შეატოვებს ხოლმე; ესეც ერთგვარი გამოსავალია. ერთადერთი, რისკენაც ისწრაფვის, ის გახლავთ, რომ არ დაინახოს რაც ხდება. სადღაც გარბის, შფოთავს, ბორგავს, სახლში თითქმის არასოდეს არ არის. მესმის, აქ სული ეხუთება; მეც, მეც ვკვდები აქ. ცდილობს თავი გამოითაყვანოს და მეტი არაფერი! ამასობაში, დედიკო ლექსებს თხზავს. ოო! არა, არ ვაპირებ მის დაცინვას; მე რა მესაქმება. მაგრამ ის ხომ მაინც ვიცი, არამზადა ვარ, და არც არასოდეს მიცდია სხვანაირი ვყოფილიყავი. მითხარით, განა საზიზღრობა არ არის: პაპა „შემბრალებლის“ როლს თამაშობს ლა პერუზთან, რადგან რეპეტიტორი სჭირდება... — და უცბად მისი ყურადღება სხვაგან გადავიდა. — ნეტავ ის ღორი ჩემს დას რას ედავება? ნასვლისას ისე თუ არ დაემშვიდობა, როგორც მიღებულია, ცხვირ-პირს მუშტით დავუნაყავ...“.

„არმანი რეპეტიტორისკენ გავარდა, მეგონა, დაარტყამდა კიდეც; მაგრამ მისი მიახლოვებისას რეპეტიტორმა ქუდი მოუხადა, საგანგებო ირონიით დაემშვიდობა და კარს მიაშურა. ამ დროს ალაყაფის კარი გაიღო და პასტორი შემოვიდა; რედინგოტში იყო გამოწყობილი, ცილინდრი ეხურა და თეთრი ხელთათმანები ეცვა, თითქოს ნათლობიდან თუ დასაფლავებიდან ბრუნდებაო. ყოფილმა რეპეტიტორმა და მან ცერემონიული მისალმება გაცვალეს.

„რაშელი და არმანი ჩემთან მოვიდნენ. ვედელიც შემოგვიერთდა:

„— ყველაფერი რიგზეა". — უთხრა რაშელმა მამას.

„მამამ შუბლზე აკოცა:

„— ხომ გეუბნებოდი, შვილო ჩემო, რომ უფალი არასოდეს ტოვებს მას, ვინც მიენდობა".

„მერე, მე გამომიწოდა ხელი:

„— უკვე მიდიხართ?.. მალე შევხვდებით. ხომ ასეა?

## III

### ედუარდის დღიური
(გაგრძელება)

29 სექტემბერი

„ვიზიტი ლა პერუზთან. მსახური ქალი შეყოყმანდა, არ უნდოდა ჩემი შეშვება. „ბატონს არავისი ნახვა არ სურს". დავაძალე და უარი ველარ გაბედა, სასტუმრო ოთახში შემიშვა. დარაბები დახურული იყო, ნახევარსიბნელეში ძლივს გავარჩიე ჩემი მოხუცი მასწავლებელი, რომელიც სნორ მაღალზურგიან სავარძელში იჯდა. არ ამდგარა; არც შემოუხედავს; რაღაც გვერდულად გამომიწოდა ხელი; როგორც კი ჩამოვართვი, ხელი ძირს ჩამოუვარდა. გვერდით ისე მივუჯექი, მხოლოდ მის პროფილს ვხედავდი. სახის ნაკვთები მკაცრი და უმოძრაო ჰქონდა; დროდადრო ბაგე უთრთოდა, მაგრამ არაფერს ამბობდა. ეჭვი შემეპარა, მიცნო თუ არა. საათმა ოთხი დარეკა; აი, მაშინ, თითქოს საათის მექანიზმით ამოძრავდაო, ნელა მოაბრუნა თავი ჩემსკენ და საზეიმო, მაგრამ ყრუ, თითქმის სამარისეული ხმით წარმოთქვა:

„— რატომ შემოგიშვეს? მსახურს ხომ დავავალე, ვინც მიკითხავდა ყველასთვის ეთქვა, ბატონი დე ლა პერუზი მოკვდა-თქო".

„მძიმე განნყობილება დამეუფლა, თანაც არაიმდენად ამ უაზრო სიტყვების გამო, რამდენადაც იმ ტონისა, როგორითაც ეს სიტყვები იყო ნათქვამი: მაღალფარდოვნად, სრულიად არაბუნებრივად. მივეჩვიე, ჩემი მოხუცი მასწავლებელი ჩემთან ურთიერთობისას მუდამ ბუნებრივი და ძალდაუტანებელი იყო.

„— ამ გოგომ ტყუილის თქმა არ მოისურვა, — როგორც იყო მოვახერხე პასუხი. — ნუ წაეჩხუბებით იმის გამო, რომ კარი გამიღო. ძალიან მიხარია თქვენი ნახვა".

„მან უაზროდ გაიმეორა: „ბატონი დე ლა პერუზი მოკვდა". მერე ისევ დადუმდა. გული მომივიდა, ავდექი და წასვლა დავაპირე, რომ სხვა, უფრო მოხერხებულ დროს ვსტუმრებოდი, მინდოდა, ამ სამწუ-

ხარო კომედიის აზრს ჩავწვდომოდი. ამ დროს მსახური შემოვიდა და ორთქლადენილი ფინჯანი შოკოლადი შემოუტანა:

„— ბატონმა თავს ძალა უნდა დაატანოს. დღეს ჯერ კიდევ არაფერი უჭამია“.

„ლა პერუზი მოუთმენლად შეირხა, იმ აქტიორივით, რომელსაც რომელიღაც უგერგილო სტატისტმა ეფექტური სცენა გაუფუჭა:

„— მოგვიანებით. როცა ეს ბატონი ნაბრძანდება“.

„ოლონდ, მსახურმა კარის მოხურვა ვერ მოასწრო, რომ მთხოვა:

„— მეგობარო, კეთილი ინებეთ და ერთი ჭიქა წყალი მომიტანეთ. ერთი ჭიქა უბრალო წყალი. წყურვილით ვკვდები“.

„სასადილო ოთახში სურა და ჭიქა ვიპოვე; წყალი დაისხა, ერთი მოსმით დალია, ტუჩები თავისი ძველი ალპაგის პიჯაკის სახელოთი გაიწმინდა.

„— სიცხე გაქვთ?“ — შევეკითხე.

„ჩემმა სიტყვებმა მაშინვე თავისი როლი გაახსენა:

„— ბატონ დე ლა პერუზს სიცხე არ აქვს. უკვე აღარაფერი აქვს. ოთხშაბათის საღამოს შემდეგ, ბატონმა დე ლა პერუზმა სიცოცხლე შეწყვიტა“.

„შევყოყმანდი, ხომ არ აჯობებდა—მეთქი, ვიფიქრე, თამაშში ჩავბმულიყავი:

„— მგონი, ზუსტად ოთხშაბათს გენვიათ პატარა ბორისი; ასე არ არის?“

„თავი ჩემსკენ მოაბრუნა; ღიმილმა, რომელიც წინა ღიმილის აჩრდილსღა ჰგავდა, ბორისის სახელის გაგონებაზე, სახე გაუცისკროვნა და თითქოს თავისი როლის თამაშიც მიატოვებინა:

„— ჩემო მეგობარო, შემიძლია თქვენ გაგიმხილოთ, ის ოთხშაბათი ჩემს განკარგულებაში დარჩენილი ბოლო დღე იყო. — ცოტა ხანს გაჩერდა,მერე დაბალი ხმით გააგრძელა. — უკანასკნელი დღე, რომელიც ჩემს თავსმივუძღვენი, ვიდრე სამუდამოდ დავამთავრებდე...“.

„ საშინელი სევდა მომერია, როცა დავინახე ლა პერუზი როგორ დაუბრუნდა თავის ავბედითად აკვიატებულ იდეას. მივხვდი, ადრე, მოხუცი მსგავს აზრებს რომ გამოთქვამდა, სერიოზულად არ მივიჩნევდი; თავს ვუსაყვედურე, რატომ დავივიწყე, რასაც ადრე ამბობდა-მეთქი. ახლა ყველაფერი გამახსენდა, ერთმა დეტალმა გამაოცა. ადრე უფრო შორეულ ვადაზე მელაპარაკებოდა. როცა ეს შევახსენე, ძველებური, ოდნავ ირონიაგარეული ხმით მიპასუხა, სწორი თარიღი

არ დაგისახელეთ, ცოტა გადავწიე, შეგაცდინეთ, შემეშინდა, ხელი არ შეგეშალათ ჩემთვის ან არ შეგეფერხებინათ ჩამოსვლა; საღამოობით უფალს დაჩოქილი ვევედრებოდი, სიკვდილის წინ ბორისის ნახვის საშუალება მოეცა.

„— უფალსაც კი შევუთანხმდი, — დაუმატა მან. — აუცილებლობის შემთხვევაში წასვლას რამდენიმე დღით გადავდებდი... ხომ გახსოვთ, მაშინ, პირობა მომეცით, რომ მას ჩამომიყვანდით“.

„მისი ხელი ავიღე; გაყინული ჰქონდა; ვეცადე, ჩემი ხელებით გამეთბო. მან მონოტონური ხმით გააგრძელა:

„— მერე, როცა შევიტყვე არდადეგების დამთავრებას აღარ დაელოდებოდით და შევძლებდი პატარას ნახვას, წასვლის გადადება აღარ მომიწევდა და გადავწყვიტე... მომეჩვენა, რომ უფალმა შეისმინა ჩემი ვედრება. დავიჯერე, ჩემი მოქმედება მოიწონა. დიახ, დავიჯერე. მაგრამ უცბად ვერ მივხვდი, რომ, როგორც ყოველთვის, ახლაც დამცინა“.

„ხელი წამართვა და ენერგიულად გააგრძელა:

„— მაშინ, საკუთარ თავს აღვუთქვი, ჩანაფიქრს ოთხშაბათის საღამოს აღვასრულებდი, თუ ოთხშაბათ დღისით ბორისს მომიყვანდით. უნდა ვაღიარო, მისი ნახვით ვერ განვიცადე ის სიხარული, რომლითაც წინასწარ ვტკბებოდი. მერე ბევრი ვიფიქრე ამაზე. ცხადია, იმედი არც უნდა მქონოდა, რომ ჩემთან შეხვედრა ბიჭს დიდ სიხარულს მოჰგვრიდა. დედამისი არასოდეს ელაპარაკებოდა ჩემზე“.

„შეჩერდა, ტუჩები აუკანკალდა; მეგონა, ატირდებოდა.

„— ბორისი აუცილებლად შეგიყვარებთ; ოღონდ, დრო მიეცით ახლო გაგიცნოთ“, — გავუბედე თქმა.

„— მას შემდეგ, რაც პატარა წავიდა, — გააგრძელა ლა პერუზმა; ჩემი სიტყვები არც გაუგია. — როცა მარტო დავრჩი (იცით, ქალბატონი დე ლა პერუზი აქ უკვე აღარ ცხოვრობს), საკუთარ თავს ვუთხარი: „აბა! უკვე დროა“. ისიც უნდა იცოდეთ, რომ ჩემმა ძმამ, იმან, რომელიც დავკარგე, წყვილი რევოლვერი ანდერძად დამიტოვა და გვერდიდან არ ვიშორებ; წავედი და მოვიტანე, სავარძელში ჩავჯექი, ამ სავარძელში, სადაც ახლა ვზივარ. ერთი რევოლვერი გავტენე...“.

„ჩემსკენ შემობრუნდა და მოულოდნელად მკვახედ გამიმეორა, თითქოს მის ნათქვამში ეჭვი შემეტანოს:

„— დიახ, გავტენე. შეგიძლიათ, ნახოთ, ისევ გატენილია. მერე რა მოხდა, აქამდე ვერ გამიგია. შუბლთან მივიტანე... დიდხანს, დიდხანს

მეჭირა საფეთქელზე მიდებული, მაგრამ ვერ გავისროლე; ვერ შევძელი... ბოლო ნუთებში, თქმაც კი მრცხვენია... გასასროლად გამბედაობა არ მეყო".

„ლაპარაკისას მოხუცი უფრო აღეგზნო, თვალები გამოუცოცხლდა, ლოყები ოდნავ გაუვარდისფერდა; შემომხედა და თავი დაიქნია.

„— თქვენ როგორ ახსნით? ამის ჩასადენად მზად ვიყავი; რამდენიმე თვე გამუდმებით ამაზე ვფიქრობდი... იქნებ, ამიტომაც... იქნებ, წინასწარ, ფიქრებში ამოვწურე ჩემი გამბედაობის მარაგი...

„— ისევე, როგორც ბორისის მოსვლამდე წინასწარი ტკბობით ამოწურეთ მასთან შეხვედრის სიხარულის მთელი მარაგი", — ვუთხარი მე.

„— დიდხანს, დიდხანს ვიჯექი საფეთქელთან მიტანილი რევოლვერით; — გააგრძელა მან, — თითი სასხლეტს ეხებოდა; ოდნავ ვაწვებოდი კიდეც, მაგრამ, არც ისე ძლიერად. საკუთარ თავს ვეუბნებოდი: „აი, ახლა უფრო ძლიერად დავაწვები და გაისვრის". რკინის სიცივეს ვგრძნობდი და ვფიქრობდი: „წამის გაელვება და ვეღარაფერს ვიგრძნობ. მაგრამ ჯერ ხომ საზარელ ხმას გავიგებ...". აბა, წარმოიდგინეთ! ისიც, ასე ახლოს ყურთან!.. პირველ რიგში ზუსტად ამან შემაჩერა: ხმაურის შიშმა... რა აბსურდია; როცა კვდები ხომ... დიახ! მუდამ იმედი მქონდა, რომ სიკვდილი ძილივით მოვიდოდა; აფეთქება კი, არ აძინებს, არამედ აღვიძებს... დიახ, ცხადია, ამისა შემეშინდა. შემეშინდა, დაძინების მაგივრად, უცბად არ გამღვიძებოდა".

„ეტყობოდა, საკუთარი თავის ხელში აყვანას ცდილობდა, უფრო ზუსტად, გულისყურის მოკრებას, ამიტომ ერთხანს ტუჩები უხმოდ უმოძრავებდა.

„— ეს ყველაფერი, — ისევ დაიწყო, — მერე ვიგრძენი. სიმართლე კი ის არის, თავი ვერ მოვიკალი, რადგან თავისუფალი არ ვიყავი. ახლა ვამბობ, შემეშინდა; მაგრამ ეს მართალი არ არის: ეს შიში არ იყო. რაღაცამ, ჩემგან სრულიად დამოუკიდებელმა ძალამ, შემაკავა, ჩემს სურვილზე აღმატებულმა ძალამ... თითქოს თვით უფალს არ სურდა გავეშვი. წარმოიდგინეთ თოჯინა, რომელმაც სპექტაკლის დამთავრებამდე სცენის მიტოვება განიზრახა... აბა, ახლავე შეჩერდი, ფინალში ხარ საჭირო. გგონიათ, მაშინვე წახვალთ, როცა მოისურვებთ?!.. მივხვდი, რასაც სურვილს ვეძახით, სინამდვილეში ძაფის გორგალია მხოლოდ, რომლის დახმარებითაც თოჯინა მოძრაობს და, რომელსაც უფალი ამოძრავებს. ვერ მიგებთ? ახლავე აგიხსნით. აი, ნახეთ, ჩემს

თავს ვეუბნები: „ახლა მარჯვენა ხელს ასწევ“, და ვწევ. (მართლა ასწია ხელი). საქმე ისაა, რომ, ვიდრე ვფიქრობ და ვიტყვი: „ახლა მარჯვენა ხელს ავწევ“, ვიღაცა უკვე ძაფს ამოძრავებს... იმის დასამტკიცებლად რომ თავისუფალი არა ვარ, მაგალითს გეტყვით, თუ მეორე ხელი უნდა ავწიო, ვიტყოდი: „ახლა მარცხენა ხელს ავწევ“... არა, ვხედავ, ვერ გამიგეთ. არა გაქვთ ის აუცილებელი თავისუფლება, რომ გამიგოთ... ოჰ! ახლა უკვე მშვენივრად მესმის, რომ უფალი ჩვენით გამუდმებით ერთობა. რაღაცის გაკეთებას გვაიძულებს, მერე იცინის; ჩვენ კი გვგონია, საკუთარი სურვილით ვაკეთებთ. ამაში მდგომარეობს მისი თამაშის საზიზღრობა... გგონიათ, შევიშალე? სიტყვამ მოიტანა და, წარმოიდგინეთ, ქალბატონი დე ლა პერუზი... იცით ხომ, მოხუცთა თავშესაფარში გადავიდა... მაშ ასე, წარმოიდგნეთ, ის თავს ირწმუნებს, რომ სულით ავადმყოფთა სახლში იმყოფება და იქ მე გავაგზავნე, მისგან თავის დასახსნელად, გიჟად გავასაღე... დამეთანხმეთ, რომ უცნაურია: ქუჩაში გამვლელი უკეთესად გაიგებს, ვიდრე ის, ვისაც მთელი ცხოვრება ვუძღვენი... თავიდან ყოველდღე ვნახულობდი. კარებში გამოვჩნდებოდი თუ არა, მაშინვე იწყებდა: „აა! მობრძანდით. ისევ საჯაშუშოდ მოხვედით?..“ იძულებული გავხდი, უარი მეთქვა ამ ვიზიტებზე, რომელიც მას მხოლოდ და მხოლოდ აღიზიანებდა. როგორ უნდა ჩაებღაუჭო სიცოცხლეს, როცა იმის შესაძლებლობას მოკლებული ხარ ვიღაცას სიკეთე გაუკეთო?“

„სიტყვა ქვითინმა შეაწყვეტინა. მოხუცმა თავი ჩაკიდა და მომეჩვენა, ისევ თავის დარდში იძირებოდა; მაგრამ უცბად გამოცოცხლდა და თქვა:

„— იცით, ვიდრე წავიდოდა, რა ჩაიდინა? ჩემი საწერი მაგიდა გატეხა და ჩემი განსვენებული ძმის წერილები დაწვა. ყოველთვის ეჭვით ექცეოდა ჩემს ძმას, განსაკუთრებით სიკვდილის შემდეგ. როცა ღამით მისი წერილების კითხვისას მომისწრებდა, მაშინვე სცენებს მიმართავდა; ყვიროდა: „ჩემს დაწოლას ელოდებით ხომ? მემალებით, არა?“ ან კიდევ: „ჯობს დაიძინოთ. თვალებს იღლით“. შეიძლება გეფიქრათ, ამას კეთილი განზრახვით აკეთებდა, მაგრამ მე ხომ კარგად ვიცნობ მას: ეს ეჭვი იყო და სხვა არაფერი. უბრალოდ, არ უნდოდა მასთან მარტო დავრჩენილიყავი.

„— იმიტომ, რომ უყვარდით. ეჭვიანობა უსიყვარულოდ არ არსებობს.

„— დიახ! დამეთანხმებით, რომ ძალიან სამწუხაროა, როცა სიყ-

ვარულს ბედნიერების ნაცვლად, ტანჯვა მოაქვს... ალბათ, ღმერთსაც ასევე ვუყვარვართ“.

„ლაპარაკისას ისევ აღეგზნო:

„— მომშივდა. როცა ჭამა მინდა, მსახურს მუდამ ცხელი შოკოლადი მოაქვს. იქნებ, ქალბატონმა დე ლა პერუზმა უთხრა, სხვას არაფერს ჭამსო. დიდ თავაზიანობას გამოიჩენთ თუ სამზარეულოში შეხვალთ და... მეორე კარი მარჯვნივ, დერეფანში... ნახეთ, კვერცხი ხომ არ არის. მგონი, მითხრა არისო.

„— ერბო-კვერცხი გნებავთ მოგიმზადონ?

„— მგონი, ორსაც შევჭამდი. სიკეთე გამოიჩინეთ და ნახეთ, თორემ ჩემს ხმას მსახური ვერ გაიგებს.

„— ძვირფასო მეგობარო, — ვუთხარი დაბრუნებისას, — თქვენი ერბო-კვერცხი ახლავე მზად იქნება. თუ ნებას მომცემთ, ცოტა ხანს კიდევ დავრჩები და ვნახავ როგორ შეჭამთ; დიახ, ეს სიამოვნებას მომანიჭებს. ჩემთვის ძალზე მძიმე იყო იმის მოსმენა, როცა თქვით, რომ აღარ შეგიძლიათ ადამიანებს სიკეთე გაუკეთოთ. ეტყობა, შვილიშვილი საერთოდ დაგავიწყდათ. თქვენი მეგობარი, ბატონი აზაისი, თავის პანსიონში ცხოვრებას გთავაზობთ; მთხოვა, ეს თქვენთვის გადმომეცა. ის მიიჩნევს, რომ ახლა, როცა ქალბატონი დე ლა პერუზი თქვენთან უკვე აღარ ცხოვრობს, აქ აღარაფერი გესაქმებათ“.

„ველოდი წინააღმდეგობას გამიწევდა, მაგრამ შემოთავაზებულ პირობებში გაერკვა თუ არა, თქვა:

„— თავი ვერ მოვიკალი, მაინც უკვე მკვდარი ვარ. აქ თუ იქ, მნიშვნელობა არ აქვს. შეგიძლიათ წამიყვანოთ“.

„შევთანხმდით, მის წასაყვანად ზეგ შევივლიდი; შუალედში კი ორ ჩემოდანს მივუტანდი საჭირო ტანსაცმლისა და რისი წაღებაც უნდოდა იმის ჩასალაგებლად.

„— გარდა ამისა, — დავუმატე. — რადგან ბინის ქირაობის ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ეს საცხოვრებელი თქვენს განკარგულებაშია, შეგიძლიათ, როცა გნებავთ მოხვიდეთ და აიღოთ ყველაფერი, რაც დაგჭირდებათ“.

„მსახურმა ერბო-კვერცხი შემოუტანა; წამში გააქრო. მისთვის ვახშამიც შევუკვეთე და მიხაროდა, რომ ბუნებამ, ბოლოს და ბოლოს, თავისი გაიტანა.

„— რამდენი საზრუნავი გაგიჩინეთ, — იმეორებდა განუწყვეტლივ, — კეთილი ადამიანი ბრძანდებით“.

„მინდოდა, რევოლვერები შესანახად ჩემთვის მოეცა, აღარ დაგჭირდებათ—მეთქი ვუთხარი, მაგრამ არ მომცა, დაიტოვა.

„— ამიერიდან ჩემზე არ შეშინდეთ. რაც იმ დღეს ვერ გავაკეთე, ვიცი, იმას ვერასოდეს გავაკეთებ. ახლა ეს იარაღი ერთადერთია, რაც ძმის გასახსენებლად შემრჩა და კიდევ იმიტომ მჭირდება, არ დამავიწყდეს, რომ უფლის ხელში მხოლოდ და მხოლოდ სათამაშო ვარ“.

# IV

ამ დღეს ძალიან ცხელოდა. ვედელის პანსიონის ღია ფანჯრებიდან ბაღში მდგარი ხეების წვერები ჩანდა, რომელთა თავზეც ჯერ კიდევ გამოუყენებელი ზაფხულის უზარმაზარი მარაგი დაცურავდა.

ამ დღემ, სასწავლო წლის დასაწყისის პირველმა დღემ, მოხუც აზაისს სიტყვის წარმოთქმის შესაძლებლობა მისცა. ის, როგორც წესი, კათედრის გვერდით იდგა, სახით მონაფეებისკენ. კათედრაზე კი მოხუცი ლა პერუზი გამოჭიმულიყო. მონაფეების შემოსვლისას ის ადგა, მაგრამ აზაისმა მეგობრული ჟესტით დაჯდომა სთხოვა. მისი შეწუხებული მზერა, ჯერ ბორისზე შეჩერდა და ოდნავ უხერხულობაში ჩააგდო ბიჭი, მით უფრო, რომ აზაისმა თავის სიტყვაში, როცა ბავშვებს ახალი მასწავლებელი წარუდგინა, საჭიროდ მიიჩნია და გადაკვრით თქვა მის ნათესაურ კავშირზე ერთ-ერთ მონაფესთან. ბორისის გამოხედვა რომ ვერ დაიჭირა, ლა პერუზი დანაღვლიანდა დასკვნაც უმალ გააკეთა: გულგრილობა, გულცივობა.

„— ოო! — ფიქრობდა ბორისი, — ოღონდ თავი დამანებოს! ოღონდ ჩემი „გამორჩევა“ არ დაიწყოს!“ პანსიონის ამხანაგები აშინებდა. ლიცეუმიდან რომ გამოვიდა, მათ შეუერთდა, და, ვიდრე „ფარდულამდე“ მივიდოდნენ, ამხანაგების ლაპარაკს უსმენდა; ძალიან უნდოდა მათი სიმპათია დაემსახურებინა, ცდილობდა მათნაირად ელაპარაკა, მაგრამ მეტისმეტად ფაქიზი ბუნება წინააღმდეგობას უწევდა; სიტყვა ყელში ეჩხირებოდა; გული მოსდიოდა თავის სიმორცხვეზე, ცდილობდა მის დაფარვას, დაცინვა რომ აეცილებინა თავიდან, მაგრამ ამაოდ: დანარჩენების გვერდით გოგოსავით გამოიყურებოდა; თვითონაც გრძნობდა ამას და გული სტკიოდა.

თითქმის მაშინვე ჩამოყალიბდა ჯგუფები. მიზიდულობის ცენტრი ვინმე ლეონ გერიდანისოლი გახდა, უცბად რომ მოიპოვა ავტორიტეტი; ასაკით დანარჩენებზე ოდნავ დიდი იყო; სწავლაშიც ყველას უსწრებდა; შავგვრემანი, შავთვალა, არც სიმაღლით გამოირჩეოდა, არც განსაკუთრებული ძალით, სამაგიეროდ, იმით იყო თვალში მოსახვედრი, რასაც „თავხედობას“ ეძახიან. ნამდვილი შეჩვენებული თავხედი იყო. პატარა ჟორჟ მოლინიეც კი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ გერი-

დანისოლმა თვით ისიც „გააშტერა"; „ხომ იცი, ჩემი გაშტერება კი რაღაცას ნიშნავს!" მან ხომ თავისი თვალით ნახა როგორ მიუახლოვდა ახალგაზრდა ქალს, რომელსაც ბავშვი ეჭირა და უთხრა:

„— თქვენი ბავშვია ქალბატონო? (თანაც თავაზიანი მისალმების შემდეგ უთხრა). რა მახინჯია, მაგრამ ნუ აღელდებით, დიდხანს ვერ იცოცხლებს".

ამის გახსენებაზე სიცილი ვერ შეიკავა ჟორჟმა.

„— არა! არ ტყუი?" — ჰკითხა ფილიპ ადამანტმა, მისმა მეგობარმა, რომელსაც ჟორჟმა ეს ამბავი უამბო.

ამ თავხედურმა ნათქვამმა ისინი ძალიან გაამხიარულა; ამაზე უფრო გონებამახვილური ვერაფერი წარმოედგინათ. ეს საკმაოდ გაცვეთილი ხუმრობა ლეონმა თავისი ბიძაშვილის, სტრუვილუსგან ისესხა, მაგრამ ჟორჟმა ეს ხომ არ იცოდა.

პანსიონში მოლინიე და ადამანტი იმავე მერხზე დასხდნენ, სადაც გერიდანისოლი იჯდა: მეხუთე მერხზე, სადაც აღმზრდელის თვალისგან დამალვა ადვილი იყო. მოლინიეს მარცხნივ ადამანტი იჯდა, მარჯვნივ გერიდანისოლი, მეტსახელად გერი; მერხის ბოლოში ბორისი იჯდა; მის უკან კი პასავანი აღმოჩნდა.

მამის სიკვდილის შემდეგ გონტრან დე პასავანს ცხოვრება უფრო ნაღვლიანი გაუხდა; თუმცა მხიარული არც ადრე ჰქონია. ის დიდი ხანია მიხვდა, ძმისგან არც სიმპათიის იმედი უნდა ჰქონოდა და არც მხარდაჭერისა. არდადეგები ბრეტანში გაატარა, თავისი ბებერი გამდლის, ერთგული სერაფინის ოჯახში. ბიჭი საკუთარ თავში ჩაიკეტა და მთელი ძალა სწავლისკენ მიმართა. იდუმალი სურვილი აქეზებდა, ძმისთვის დაემტკიცებინა, რომ მასზე ჭკვიანი და ნიჭიერი იყო; პანსიონშიც თვითონ მივიდა, თავისი არჩევანით; იმის სურვილიც ჰქონდა ძმასთან არ ეცხოვრა, არც იმ სახლში, ბაბილონის ქუჩაზე, რომელთანაც მხოლოდ ნაღვლიანი მოგონებები აკავშირებდა. სერაფინმა ბიჭის ბედის ანაბარა მიტოვება არ ისურვა, პარიზში ბინა იქირავა იმ პატარა რენტის წყალობით, რომელსაც გრაფის ანდერძის განსაკუთრებული პირობის თანახმად, მისი ორივე შვილისგან იღებდა. ბინის ერთი ოთახი გონტრანს მისცა. ბიჭი აქ დასვენების დღეებში ცხოვრობდა. ოთახი თავისი გემოვნებით მოაწყო. კვირაში ორჯერ სერაფინთან სადილობდა; სერაფინი უვლიდა და თვალს ადევნებდა არაფერი მოკლებოდა. გონტრანი მასთან სიამოვნებით ლაპარაკობდა, თუმცა რაც აინტერესებდა, მასზე ლაპარაკი არ შეეძლო. პანსიონში წყენის უფლებას არავის აძლევდა;

ამხანაგების ხუმრობებს დაბნეული უსმენდა და ხშირად უარს ამბობდა მათთან თამაშზე. შენობაში თამაშს, კითხვას ამჯობინებდა. უყვარდა სპორტი, სპორტის ყველა სახეობა, პირველ რიგში კი განმარტოებული სპორტი იტაცებდა. საქმე კიდევ ის არის, რომ ამაყია და ყველას თავს არ უტოლებს. კვირაობით, სეზონის მიხედვით, ციგურებით სრიალებს, ცურავს, ნიჩბოსნობს ან ქალაქგარეთ მიდის და დიდხანს სეირნობს. ანტიპათიებიც აქვს; მათ დაძლევას არც ცდილობს; არც შინაგანი სამყაროს გაფართოებაზე იკლავს თავს, მაგრამ გამოკვეთილი სახე რომ მისცეს მას, ეს კი უნდა. ეტყობა, არც ისეთი უბრალო კაცია, როგორც თვითონ ჰგონია და როგორადაც უნდა რომ იქცეს; ამაში უკვე დავრწმუნდით, როცა მამის სასიკვდილო სარეცელთან მყოფს ვაკვირდებოდით. ოღონდ, საიდუმლოებები არ უყვარს, როგორც კი საკუთარ თავს აღარ ჰგავს, აღარ მოსწონს. კლასის საუკეთესო მოწაფის რეპუტაციას, განსაკუთრებული შესაძლებლობების გამო კი არ ინარჩუნებს, არამედ ბეჯითობის წყალობით. ბორისი თუ სწორ არჩევანს გააკეთებს, მისი სახით დამცველს იპოვის, მაგრამ მას მეზობელი ჟორჟი უფრო იზიდავს; ჟორჟის ყურადღებას კი მხოლოდ გერი იპყრობს, რომელიც საერთოდ არავის აქცევს ყურადღებას.

ჟორჟს უნდა ფილიპ ადამანტს მნიშვნელოვანი ახალი ამბები შეატყობინოს, მაგრამ სიფრთხილის გამო წერილს არ მისწერს.

გაკვეთილების დაწყებამდე თხუთმეტი წუთით ადრე მივიდა ლიცეუმში; ამაოდ ელოდა; ლიცეუმის წინ ბოლთას სცემდა; ზუსტად ამ დროს შემოესმა გერიდანისოლის ლაპარაკი იმ ახალგაზრდა ქალთან; ამისი შედეგი იყო, ამ ორ ონავარს შორის საუბარი; და ჟორჟის გასახარად გაარკვიეს, რომ ერთ პანსიონში იცხოვრებდნენ.

ჟორჟისა და ფიფის შეხვედრა მხოლოდ ლიცეუმიდან გამოსვლის მერე მოხერხდა. ისინი სხვა მოწაფეებთან ერთად ნავიდნენ აზაისის პანსიონისკენ; დანარჩენებისგან ოდნავ მოშორებით იარეს, თავისუფლად ლაპარაკის საშუალება რომ ჰქონოდათ:

„— უკეთესია, ეგ დამალო, — დაიწყო ჟორჟმა და თითით ყვითელი როზეტი აჩვენა, რომელიც ფიფის საღილედან მოუჩანდა.

— რატომ? — ჰკითხა ფილიპმა და შეამჩნია, ჟორჟს როზეტი აღარ ეკეთა.

— ჩავარდნის საფრთხეში იგდებ თავს; ამისი თქმა, პატარავ, გაკვეთილების დაწყებამდე მინდოდა; ადრე უნდა მოსულიყავი. კართან გელოდი, რომ გამეფრთხილებინე.

— არაფერი ვიცოდი, — უპასუხა ფიფიმ.

„— არაფერი ვიცოდი. არაფერი ვიცოდი". — გამოაჯავრა ჟორჟმა, — რადგან ულგატში შეხვედრა ვერ შევძელით, უნდა მიმხვდარიყავი, რომ შენთვის რაღაცის თქმა მინდოდა".

ერთმანეთის გასწრებისკენ სწრაფვა, ამ ორი ბავშვის გამუდმებული საზრუნავი იყო. ფიფის ზოგიერთი უპირატესობა აქვს, მამამისის მდგომარეობისა და შეძლების გამო. სამაგიეროდ, ჟორჟი ძალიან აღემატება მას თავხედობითა და ციინიზმით. ამხანაგს რომ არ ჩამორჩეს, ფიფის ძალების დაძაბვა უწევს; ბოროტი ბიჭი არ არის, უბრალოდ, სუსტი ხასიათი აქვს.

„— მიდი! გადმოალაგე შენი ახალი ამბები", — უთხრა მან.

ამასობაში მათ ლეონ გერიდანისოლი მიუახლოვდა და ლაპარაკს ყური მიუგდო; ჟორჟს ეს არ ესიამოვნა; თუმცა თავისი უსაქციელობით ლეონმა ჟორჟი განაცვიფრა, მაგრამ ჟორჟსაც ჰქონდა მარაგში რაღაც ისეთი, რითაც შეეძლო მისი გაკვირვება, ამიტომ ფიფის სრულიად მშვიდი ხმით უთხრა:

„— პატარა პრაილინი ჩასვეს.

— პრაილინი?! — ნამოიძახა ფიფიმ, რომელიც ჟორჟის ცივსისხლიანმა განაცხადმა შეაშინა. და რადგანაც ლეონის სახეზე დაინტერესების კვალი აღმოაჩინა, ჟორჟს ჰკითხა:

„— შეიძლება ამასაც ვუთხრათ?

— მიდი! — თქვა ჟორჟმა და მხრები აიჩეჩა. ფილიპმა გერის გადაულაპარაკა და ჟორჟზე ანიშნა:

„— ამისი ჩრიხვია, — მერე ჟორჟს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— საიდან იცი?

— ჟერმენს შევხვდი და იმან მითხრა".

და ფიფის უამბო, თოთხმეტი დღის წინ, პარიზში რომ ჩამოვიდა, ერთ იმ ბინაში შეიარა, რომელსაც პროკურორმა მოლინიემ „ორგიების თეატრი" უწოდა, მაგრამ კარი დაკეტილი დახვდა; ცოტა ხნის შემდეგ, უბანში ხეტიალისას, ჟერმენს შეხვდა, რომელმაც ყველაფერი უამბო: არდადეგების დაწყებისას პოლიციამ სახლს ალყა შემოარტყაო. ცხადია, ქალებმა და ბავშვებმა არ იცოდნენ, რომ პროფიტანდიემ ოპერაციის ჩასატარებლად ისეთი დღე აირჩია, როცა არასრულწლოვანი დამნაშავენი აქეთ-იქით გაემგზავრნენ, რადგან არ სურდა ისინი პოლიციის ხაფანგში მოხვედრილიყვნენ და მათი მშობლების სახელის შერცხვენაც თავიდან აეცილებინა.

„— ეს რა მომხდარა!.. — იმეორებდა ფიფი უკომენტაროდ, — ეს რა მომხდარა!..“ — თან გრძნობდა, ის და ჟორჟი რა იოლად გადარჩნენ.

— რა იყო; რა ციცმა ოფლმა დაგასხა, ჰა?“ — ჰკითხა ჟორჟმა დამცინავად. თვითონაც რომ საშინლად ეშინოდა, ამისი აღიარება გერიდანისოლის თანდასწრებით ზედმეტად მიიჩნია.

ეს საუბარი რომ მოგესმინათ, ალბათ, იფიქრებდით, ეს ბავშვები იმაზე მეტად არიან გარყვნილები, ვიდრე სინამდვილეშიაო. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამგვარი ლაპარაკის იქით თვალში ნაცრის შეყრის სურვილი უფრო იფარებოდა. ბევრი რამ ტრაბახითაც შეიძლება აიხსნას. თუმცა, რა განსხვავებაა: გერიდანისოლი ხომ მათ უსმენს; უსმენს და საუბარშიც ებმება. ეს საუბარი ძალიან გაართობს მის ბიძაშვილ სტრუვილუს ამ საღამოს როცა მოუყვება.

ამავე საღამოს ბერნარმა ედუარდს შეუარა.

„— სწავლის დაწყების პირველმა დღემ კარგად ჩაიარა?

— არა უშავს. — და რადგან გაჩუმდა, ედუარდმა ჰკითხა:

— ბატონო ბერნარ, თუ გუნებაზე არა ხართ და ლაპარაკი არ გნებავთ, იმის იმედი არ გქონდეთ, რომ ძალით აგალაპარაკებთ. დაკითხვას ვერ ვიტანთ. ნება მომეცით შეგახსენოთ, რომ თქვენ სამსახური შემომთავაზეთ და უფლება მაქვს თქვენგან რაღაც გავიგო...

— რისი ცოდნა გნებავთ? — ჰკითხა ბერნარმა არცთუ თავაზიანად. — ის, რომ მამა აზაისმა საზეიმო სიტყვა წარმოთქვა და ბავშვებს შესთავაზა „საერთო აღტკინებითა და ახალგაზრდული სიფიცხით სწრაფვა?..“ ეს სიტყვები დამამახსოვრდა, რადგან სამჯერ გაიმეორა. არმანი მარწმუნებდა, მოხუცი ყველა თავის გამოსვლაში იმეორებსო ამ სიტყვებს. კლასის სიღრმეში, ბოლო სკამზე ერთად ვისხედით და ამ წელს მოსულ ბავშვებს ისე ვათვალიერებდით, როგორც ნოე ათვალიერებდა ცხოველებს თავის კიდობანში. ყველა სახეობა იყო წარმოდგენილი: მცოხნავები, სქელკანიანები, მოლუსკები და სხვა უხერხემლონი. მერე, როცა საზეიმო სიტყვა დამთავრდა, ბავშვებმა ერთმანეთში ლაპარაკი დაიწყეს და მე და არმანმა შევამჩნიეთ, რომ მათ მიერ თქმული ათი წინადადებიდან, ოთხი ასე იწყებოდა: „დაგენიძლავები, რომ შენ...“.

— დანარჩენი ექვსი?

„— აი, მე...“—თი.

— დაკვირვება საკმაოდ ზუსტია. სხვა?

— მომეჩვენა, რომ ზოგიერთი ტრაფარეტული პიროვნებაა.

— რას გულისხმობთ? — ჰკითხა ედუარდმა.

— განსაკუთრებით ერთი მათგანი დამამახსოვრდა; ის პატარა პასავანის გვერდით იჯდა, რომელიც, თუ არ ვცდებიი, მართლა ჭკვიანი ბიჭი უნდა იყოს. აი, მის მეზობელს კი დიდხანს ვაკვირდებოდი, მომეჩვენა, რომ ცხოვრების წესად ერთი ძველი გამონათქვამი „Ne quid nimis“[1] ჰქონდა არჩეული. როგორ ფიქრობთ, მის ასაკში ასეთი დევიზი აბსურდული ხომ არ არის? გამოყვანილი პიჯაკი ეცვა, მკაცრი ჰალსტუხი, ყველაფერი მოწესრიგებული ჰქონდა ფეხსაცმლის თასმებამდე. ცოტა ვისაუბრეთ კიდეც, მოასწრო და მითხრა, რომ ყველაფერში ძალების ამაო ხარჯვას ხედავს და რამდენჯერმე რეფრენივით გაიმეორა: „არავითარი ზედმეტი ძალისხმევა“.

— ჭირმა წაიღოს ეს ეკონომისტები. — თქვა ედუარდმა. — ხელოვნებაში ამას სიტყვამრავლობამდე მივყავართ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ეშინიათ, რამე არ დაკარგონ. სხვა კიდევ რა მოხდა? არმანზე არაფერი მითხრათ.

— საინტერესო ეგზემპლარია. სიმართლე თუ გნებავთ, არც ისე მომეწონა. არ მიყვარს ასეთი მოშლილი ხალხი. სულელი არ არის, მაგრამ მისი გონება მხოლოდ ნგრევისკენ არის მიმართული; განსაკუთრებული სიავით საკუთარ თავს აწამებს; ყველაფრის რცხვენია, რაც კი რამ არის მასში კარგი, დიდსულოვნება იქნება ეს თუ კეთილშობილება ან სინაზე. კარგი იქნება თუ სპორტით დაკავდება, გულს გაიქარვებს. მთელ დღეს ჩაკეტილში ატარებს და ანჩხლდება. თითქოს ჩემთან ყოფნის სურვილი აქვს, არ გავურბივარ, მაგრამ მის ხასიათთან შეჩვევა არ შემიძლია.

— ხომ არ გგონიათ, რომ მისი სარკაზმისა და ირონიის იქით, უსაზღვრო მგრძნობელობა, თუ გნებავთ, ღრმა ტანჯვაც იფარება? ოლივიეს მიაჩნია, რომ ასეა.

— შეიძლება. ამაზეც ვიფიქრე. ჯერჯერობით ცუდად ვიცნობ.

---

1. „არაფერი ზედმეტი“ (ლათ.)

საბოლოო აზრი არა მაქვს. კიდევ უნდა ვიფიქრო; ამაზე მერე ვილაპარაკოთ. მომიტევეთ, მაგრამ ამ საღამოს უნდა დაგტოვოთ. ორ დღეში გამოცდა მაქვს ჩასაბარებელი. თანაც, გამოგიტყდებით... ნაღვლიანადაც ვარ“.

# V

ყოველი საგნისგან, თუ არ ვცდები, მხოლოდ
მისი მშვენიერება უნდა ავიღოთ...

**ფენელონი**

წინადღით პარიზში დაბრუნებულმა ოლივიემ, კარგად დასვენებულმა გამოიღვიძა. ჰაერი თბილი იყო, ცა მოკრიალებული. როცა გაპარსული, აბაზანამიღებული, ელეგანტურად ჩაცმული და საკუთარ ძალაში, სილამაზეში, ახალგაზრდობაში დარწმუნებული სახლიდან გამოვიდა, პასავანს ისევ ეძინა.

ოლივიეს სორბონისკენ ეჩქარებოდა. ამ დილით ბერნარს წერითი გამოცდა უნდა ჩაებარებინა. საიდან გაიგო ოლივიემ, რომ ბერნარს გამოცდა ჰქონდა? იქნებ, არც გაუგია და ამბის გასაგებად მიდის. ჩქარობს. თავისი მეგობარი იმ დღის შემდეგ აღარ ენახა, მასთან ოთახში თავშესაფარის საძებრად რომ მივიდა. მას შემდეგ რამდენი რამ მოხდა! აბა, ვინ იტყვის, რომ ოლივიეს საკუთარი თავის გამოჩენის სურვილი უფრო მეტად ამოძრავებდა, ვიდრე მეგობრის ნახვა? სამნუხაროა, რომ ბერნარი ასე ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს ელეგანტურობას! თუმცა, ზოგჯერ ელეგანტურობისკენ სწრაფვა შესაძლებლობასთან ერთად მოდის. ოლივიემ გრაფ დე პასავანის წყალობით ეს უკვე საკუთარ თავზე გამოსცადა.

მაშ ასე, ამ დილით ბერნარი წერით გამოცდას აბარებს. გამოცდიდან მხოლოდ თორმეტ საათზე გამოვა. ოლივიე ეზოში ელის. ზოგიერთ ამხანაგს შეხვდა, ხელი ჩამოართვა, მერე განზე გადგა. თავისი სამოსის გამო ცოტა უხერხულად გრძნობს თავს. უხერხულობა იზრდება, როცა, ბოლოს და ბოლოს, გათავისუფლებული ბერნარი ეზოში გამოდის, ოლივიეს დაინახავს, შეჰყვირებს და ხელს გაუწვდის:

„— ვაჰ, რა მშვენიერი ხარ!"

ოლივიე, რომელსაც ეგონა აღარასოდეს განითლდებოდა, წითლდება. ამ სიტყვებში, მიუხედავად გულითადი ტონისა, როგორ არ უნდა იგრძნო მსუბუქი ირონია? ბერნარს იგივე კოსტიუმი ეცვა, გაქცევის

საღამოს რომ ჰქონდა. ის ახლა ოლივიესთან შეხვედრას არ ელოდა; კითხვა კითხვაზე დააყარა და გასასვლელისკენ გაიყოლა. ბერნარმა შეხვედრის სიხარული უეცრად იგრძნო. და თუ მეგობრის ჩაცმულობაზე ოდნავ გაიღიმა, ამ ღიმილში არავითარი დაცინვა არ იყო. მას ხომ კეთილი გული აქვს და მისთვის ღვარძლი უცხო ხილია.

„— ერთად ვისადილებთ, ხომ? საათნახევრის შემდეგ ისევ აქ უნდა მოვიდე ლათინურის ჩასაბარებლად. ახლა ფრანგული ჩავაბარე.

— კმაყოფილი ხარ?

— მე, კი. მაგრამ ჩემს გამომცდელებს მოეწონებათ თუ არა რაც დავწერე, არ ვიცი. ლა ფონტენის ოთხ სტრიქონზე საკუთარი აზრი უნდა გამოგვეთქვა:

პარნასის პეპელა ვარ, ფუტკართა მსგავსი,
კეთილმა პლატონმა ჩვენს ხვედრს რომ ადარა,
ვარ მსუბუქი და ვნავარდობ ყველგან,
ყვავილიდან ყვავილზე და საგნიდან საგანზე.

— ერთი მითხარი, ამისგან შენ რას გააკეთებდი?"

ოლივიემ გაბრწყინების სურვილისგან თავი ვერ შეიკავა:

„— ვიტყოდი, რომ საკუთარი თავის გამოსახვით, ხელოვანის პორტრეტი შექმნა; იმ ხელოვანისა, რომელიც თანახმაა სამყაროდან მხოლოდ მისი გარეგნული მხარე აიღოს, მხოლოდ ზედაპირული, მხოლოდ ყვავილი. მერე რომელიმე სწავლულის, მკვლევარის, რომელიც სიღრმეებში შეჭრისკენ ისწრაფვის, პორტრეტს შევუპირისპირებდი და ვაჩვენებდი, რომ, ვიდრე სწავლული ეძებს, ხელოვანი პოულობს; ის ვინც თხრის, ამონათხარში ვარდება და ვეღარ ხედავს, რომ ჭეშმარიტება გარეგანი მხარეა, რომ საიდუმლოება ფორმაა, და ადამიანში, რაც ყველაზე ღრმაა, მისი ტყავი გახლავთ".

ეს ბოლო წინადადება, ოლივიემ პასავანისგან ისესხა, პასავანმა კი პოლ-ამბრუაზის ბაგეს მოსტაცა, როცა ეს უკანასკნელი რომელიღაც სალონში ენამზეობდა. პასავანს საძრახისად არ მიაჩნდა იმის აღება, რაც დაბეჭდილი არ იყო და რასაც თვითონ „ჰაერში მოფრიალე იდეებს" უწოდებდა; ე.ი. სხვათა აზრები.

ოლივიეს ხმაში გამკრთალმა რაღაც ინტონაციამ, ბერნარს უკარნა-

ხა, რომ ეს ბოლო წინადადება მისი არ იყო; ოლივიეს ხმაში დაბნეულობაც იგრძნობოდა. ბერნარი უკვე მზად იყო ეკითხა: „ეს აზრი ვისია"-ო, მაგრამ, გარდა იმისა, რომ მეგობრის წყენა არ უნდოდა, ეშინოდა კიდეც პასავანის სახელი არ გაეგო, რომელიც ოლივიეს ჯერ არ უხსენებია. ბერნარი იმით დაკმაყოფილდა, რომ გამომცდელი ცნობისმოყვარეობით შეხედა მეგობარს და ოლივიე კიდევ ერთხელ გაწითლდა.

მგრძნობიარე ოლივიესგან იმ სიტყვების მოსმენამ რაც სრულიად განსხვავდებოდა იმისგან, რის მოსმენასაც მისგან იყო ჩვეული, ბერნარი ჯერ გააოცა, მერე, უცბად, გაოცებამ ადგილი მძაფრ აღშფოთებას დაუთმო, რაღაც უეცარს, მოულოდნელს, ციკლონივით დაუძლეველს. და ეს აღშფოთება მხოლოდ იდეებს როდი ეხებოდა, თუმცა ისინი სრულ აბსურდად ეჩვენა; შეიძლება არც იყო აბსურდული; და ურთიერთსაწინააღმდეგო აზრების რვეულშიც თავისი აზრების გვერდით ესეც შეეძლო ჩაეწერა. ეს აზრები ნამდვილად ოლივიესი რომ ყოფილიყო არ აღშფოთდებოდა, არც ამაზე და არც მის მთქმელზე; მაგრამ იგი გრძნობდა, რომ ამის უკან ვიღაც იდგა; ის პასავანზე იყო აღშფოთებული.

„— მსგავსი იდეებით სწამლავენ საფრანგეთს", — წამოიყვირა ყრუდ და მღელვარედ. ძალიან მაღლა აიჭრა, უნდოდა პასავანისთვის ეჯობნა. ნათქვამმა თვითონაც გააოცა, თითქოს ამ წინადადებამ წინ გაუსწრო მის აზრს; ამ დილით ხომ თავის თხზულებაში ზუსტად ეს აზრი განავითარა; მაგრამ რაღაც უცნაური სიმორცხვე უშლიდა ხელს, განსაკუთრებით ოლივიესთან ლაპარაკისას, გადმოეცა ის, რასაც იგი „მაღალ გრძნობას" უწოდებდა... რადგან ნათქვამი გულწრფელი უკვე აღარ ეჩვენებოდა... ოლივიეს არ ახსოვს, მის მეგობარს ოდესმე საფრანგეთის ინტერესებზე ელაპარაკა; ახლა მისი რიგი დადგა გაოცებისა: თვალები გაუფართოვდა, გაღიმება არც უცდია. ველარ სცნობდა თავის ბერნარს. და სულელურად იმეორებდა:

„— საფრანგეთი?.." — მერე პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას ეცადა, რადგან ბერნარი აშკარად არ ხუმრობდა: „ — მაგრამ, მეგობარო, ეს ხომ მე არა ვარ, ლა ფონტენია".

ბერნარი აგრესიულიც გახდა:

„— ეშმაკმა წაიღოს, — დაიყვირა მან, — მშვენივრად ვიცი, რომ ასე არ ფიქრობ! მაგრამ, ჩემო კარგო, არც ლა ფონტენი ფიქრობს ასე. მას რომ მხოლოდ ასეთი ქარაფშუტული აზრები ჰქონოდა, სიცოცხლის ბოლოს მოინანიებდა, ბოდიშს მოიხდიდა და ვერასოდეს გახდებოდა ის ხელოვანი, რომლითაც ახლა აღფრთოვანებულები ვართ. აი, რაზე დავ-

წერე დღეს დილას თხზულება, ციტატებითაც განვამტკიცე, ხომ იცი, მახსოვრობა კარგი მაქვს. მერე ლა ფონტენს თავი დავანებე და ამაოების ელემენტზე გადავიტანე ყურადღება, რომლის პოვნასაც ზოგიერთი ზერელე გონება მის ლექსებში ცდილობს; მაგარი ტირადა გამომივიდა უზრუნველობის, ბაქიაობისა და ირონიის თემაზე, იმის წინააღმდეგ, რასაც ჩვეულებრივ „ფრანგულ სულს" ეძახიან, რის გამოც, არცთუ იშვიათად, სხვა ქვეყნებში საძაგელი რეპუტაცია გვაქვს. დავწერე, რომ ამაში ღიმილი კი არ, მხოლოდ საფრანგეთის გრიმასი უნდა დავინახოთ, რომ საფრანგეთის ჭეშმარიტი სული მუდამ იყო სული ანალიზისა, ლოგიკისა, სიყვარულისა და ძიებისა; და თუ ლაფონტენი ამ სულით არ იყო შთაგონებული, მას შეეძლო დაეწერა თავისი ზღაპრები, მაგრამ ვერასოდეს დაწერდა თავის იგავ-არაკებს, ვერც იმ დიდებულ წერილს ლექსად (ვაჩვენე, რომ ესეც ცნობილი იყო ჩემთვის), საიდანაც ის რამდენიმე ხაზია ამოღებული, რომელთა კომენტირებაც შემოგვთავაზეს. დიახ, ჩემო მეგობარო, როგორც ხედავ, ღრმად შევიჭერი და შეიძლება ამის გამო ჩავიჭრა კიდეც. მაგრამ მიმიფურთხებია, მე აზრის გამოთქმა მინდოდა".

არც ოლივიე იზიარებდა ახლახან ნათქვამ თვალსაზრისს, მაგრამ გაბრწყინების ცდუნებამ სძლია და დაუდევრად წარმოთქვა ფრაზა, რომელიც, როგორც ეგონა, მის მეგობარზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა. ახლა კი, როცა ბერნარმა ნათქვამი ასე სერიოზულად მიიღო, ისღა რჩებოდა უკან დაეხია. მისი ყველაზე დიდი სისუსტე ის იყო, რომ ბერნართან მეგობრობა მას უფრო სჭირდებოდა, ვიდრე ბერნარს მასთან მეგობრობა. ბერნარის სიტყვებმა დაამცირა და გაანაწყენა. საკუთარ თავზე გაბრაზდა, რომ იჩქარა და თავისი თვალსაზრისი გამოხატა; ახლა უკვე გვიან იყო გამოსწორება ან დათანხმება, ეჭვი არ არის, დაეთანხმებოდა კიდეც, ჯერ ბერნარისთვის რომ მიეცა ლაპარაკის და აზრის გამოხატვის შესაძლებლობა. მაგრამ ნინასწარ, აბა, როგორ განჭვრეტდა, რომ ბერნარი, რომელიც მუდამ ფრონდერი[1] იყო, უცბად იდეებისა და გრძნობების დაცვას დაიწყებდა, რაც, როგორც პასავანი ასწავლიდა, მხოლოდ ღიმილით უნდა მოესმინა. ახლა ღიმილის თავი არა ჰქონდა; რცხვენოდა. და რადგან არ შეეძლო თავის სიტყვებზე უარი ეთქვა ან ეკამათა ბერნართან, რომლის ჭეშმარიტმა ემოცი-

1. ამ შემთხვევაში — მოუსვენარი, უკმაყოფილო.

ურობამ მისი გული მოინადირა, თავის დაცვას ეცადა და მდგომარეობიდან გამოსვლის ძებნას შეუდგა:

„— თუ თხზულებაში ეს ყველაფერი დაწერე, ვიმედოვნებ, მხედველობაში მე არ გყავდი... ვამჯობინებდი კი ასე ყოფილიყო".

შეურაცხყოფილი ტონით ლაპარაკობდა, ოღონდ, ასე ლაპარაკი არ უნდოდა.

„— სამაგიეროდ, ახლა გეუბნები ამას". — უთხრა ბერნარმა.

ამ წინადადებამ ოლივიე გააოცა და გული გაუგმირა. ცხადია, ამ სიტყვებში ბერნარს არანაირი მტრული აზრი არ ჩაუდვია; მაგრამ სხვანაირად როგორ გაეგო? ოლივიე დუმდა. ბერნარსა და მას შორის უფსკრული სწრაფად ღრმავდებოდა. იმ კითხვებს ეძებდა, უფსკრულის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადება რომ შეიძლებოდა, და ამგვარად კონტაქტის აღდგენა. ამაოდ: „ნუთუ ვერ ხვდება, როგორ ვიტანჯები?" — ფიქრობდა და ტანჯვა უფრო უძლიერდებოდა. ტირილს, ალბათ, არც აპირებდა, მაგრამ თავიდან არ შორდებოდა, რომ სატირალი ჰქონდა. მისი შეცდომაც იყო: შეხვედრა ასე სამწუხარო აღარ გამოჩნდებოდა, შეხვედრის სიხარული უფრო მოკრძალებულადრომ გაემჟღავნებინა. ორი თვის წინათაც ასე დაემართა, ედუარდთან შესახვედრად რომ მიიჩქაროდა. და მუდამ ასე იქნებაო, თავისთვის იმეორებდა. უცებ ბერნარის მიტოვება მოუნდა, გაქცევა მოუნდა, სად — მნიშვნელობა არ ჰქონდა, პასავანის, ედუარდის დავიწყება მოუნდა... და აი, მოულოდნელმა შეხვედრამ მის ნაღვლიან ფიქრებს მსვლელობა შეაწყვეტინა.

ცოტა მოშორებით, სენ-მიშელის ბულვარზე, ოლივიემ უეცრად თავისი უმცროსი ძმა ჟორჟი დაინახა. ბერნარს ხელი სტაცა, მკვეთრად შემოაბრუნა და სწრაფად გაიყოლა.

„— როგორ ფიქრობ, დაგვინახა?.. სახლში ჯერ არ იციან, რომ ჩამოვედი".

პატარა ჟორჟი მარტო არ იყო, ლეონ გერიდანისოლი და ფილიპ ადამანტი ახლდნენ. სამივე ბავშვი აღგზნებული საუბრობდა; ჟორჟი საუბარში აქტიურ მონაწილეობასაც იღებდა, და როგორც თვითონ იტყოდა, ასწრებდა კიდეც — "თვალიდან არაფერი გამოპარვოდა". რომ მოვუსმინოთ რაზე ლაპარაკობენ, წუთით დავტოვოთ ოლივიე და ბერნარი; თანაც, ეს ჩვენი ორი მეგობარი უკვე რესტორანში შევიდა, და როგორც ეტყობა, ცოტა ხანს ჭამით გაერთობიან, ვიდრე ლაპარაკით და ოლივიეც სულს მოითქვამს.

„— მაშინ, თვითონ შედი. — ეუბნება ფილიპი ჟორჟს.

— შენცა ხარ, რა! შეგეშინდა! შეგეშინდა! — უპასუხა ჟორჟმა, და ხმაში, ფილიპის წასაქეზებლად, რაც შეიძლება მეტი ირონიული ზიზღი გაურია. ამ დროს გერიდანისოლი მფარველურად იტყვის:

— ჩემო კარგებო, თუ არ გინდათ, თქვით. თქვენზე გაბედული სხვა ტიპების პოვნა არ გამიჭირდება. ის კი დამიბრუნეთ".

ჟორჟისკენ შებრუნდა, რომელსაც მუჭაში პატარა მონეტა ეჭირა.

„— კარგი, წავედი! — უცბად გადაწყვიტა ჟორჟმა. — გამომყევით. (ისინი თამბაქოს დუქნის წინ არიან).

— არა, — ამბობს ლეონი, — ჩვენ კუთხეში დაგელოდებით. წამოდი, ფიფი".

წუთის შემდეგ ჟორჟი დუქნიდან გამოდის; ხელში ძვირფასი სიგარეტის კოლოფი უჭირავს და თავის მეგობრებს სთავაზობს.

„— აბა, როგორ იყო? — მოუსვენრად კითხულობს ფიფი.

— რა „როგორ იყო"? — პასუხობს ჟორჟი მოჩვენებითი გულგრილობით, თითქოს ის, რაც ახლახან გააკეთა, მისთვის სრულიად ჩვეულებრივი საქმიანობა იყო და ზედმეტ ლაპარაკად არ ღირდა, მაგრამ ფილიპმა აიხირა:

— აიღო?

— აბა, რა!

— არაფერი გითხრა?"

ჟორჟმა მხრები აიჩეჩა:

„— რა უნდა ეთქვა?

— და ხურდაც მოგცა?"

ამჯერად, ჟორჟმა პასუხიც არ აღირსა. მაგრამ ფილიპი ბოლომდე ვერ გათავისუფლდა ეჭვისა და შიშისგან, ამიტომ აიხირა: „მაჩვენე"; ჟორჟმა ჯიბიდან ფული ამოიღო. ფილიპი ითვლის: შვიდი ფრანკი; ერთი სურვილი აქვს ჰკითხოს: „დარწმუნებული ხარ, რომ ესენი მაინც ნამდვილია?" მაგრამ თავს იკავებს.

ყალბ მონეტაში ჟორჟმა ერთი ფრანკი გადაიხადა; მოლაპარაკებით, ხურდა უნდა გაეყოთ; ამიტომ გერიდანისოლს სამ ფრანკს უწვდის; ფიფი ერთი სიგარეტის გარდა, ერთ სუსაც ვერ იღებს; ეს მისთვის გაკვეთილი იქნება.

ამ პირველი წარმატებით გულმოცემულ ფიფის თვითონაც უნდა ბედი სცადოს; ლეონს სთხოვს ერთი მონეტა მომყიდეო. ლეონს ფიფი მშიშარა ჰგონია, ჭკუა რომ ასწავლოს თავს ისე იჭერს, თითქოს ახლა-

ხან გამოვლენილი სულმოკლეობისთვის სძულს და ვითომ ნაწყენია მასზე. „სწრაფი მოქმედებაა საჭირო; უამისოდ ვითამაშოთ“. გარდა ამისა, ლეონს გაუფრთხილებლობად მიაჩნია მეორე ცდის იმ ადგილის ახლოს გამეორება, სადაც პირველი ჩატარდა. თანაც უკვე გვიანი იყო და მას ბიძაშვილი სტრუვილუ ელოდა სადილად.

გერიდანისოლი არც ისეთი უმწეო იყო, თვითონ ვერ გაესაღებინა მონეტები, მაგრამ თავისი უფროსი ბიძაშვილის ინსტრუქციებს იცავდა და ცდილობდა თანამზრახველები ეპოვა. ახლა ბიძაშვილს კარგად შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშს ჩააბარებს.

„— კარგი ოჯახის შვილები, ხომ გესმის რას ნიშნავს. ეს ზუსტად ის არის, რაც გვჭირდება, რადგან, თუ რამე უსიამოვნება წარმოიშვა, მაშინ მშობლები საქმის მიფუჩეჩებას ეცდებიან“ (სადილობისას ასე არიგებდა გერიდანისოლს ბიძაშვილი სტრუვილუ, რომელიც მისი დროებითი მეურვის მოვალეობას ასრულებდა). „მაგრამ სათითაოდ გაყიდვის ასეთი სისტემით, ძალიან ნელა გასაღდება. საჭიროა ორმოცდათორმეტი ყუთი გავრცელდეს, თითოეულში ოცი მონეტა იქნება. თითო ოც ფრანკად უნდა გაიყიდოს, როგორც ხვდები, შემთხვევით ხალხზე არა. კარგი იქნება ასოციაცია შეიქმნას, სადაც თითოეული წევრი გირაოს შეიტანს. საჭიროა პატარებმა სახელი გაიტეხონ და ისეთი რამ გათქვან, რაც მათ მშობლებს ხელში ჩაგვაგდებინებს. ვიდრე მონეტებს მივცემთ, ეცადე მათ ეს მიახვედრო, ოღონდ არ შეაშინო. ბავშვები არასოდეს არ უნდა შეაშინო. მგონი მითხარი, მოლინიეს მამა მოსამართლეაო, არა? ძალიან კარგი. ადამანტის მამა?

— სენატორია.

— ეს კიდევ უკეთესი. საკმაოდ მოზრდილი ხარ და გესმის, რომ ოჯახი საიდუმლოს გარეშე არ არსებობს. ადამიანები შიშისგან კანკალებენ, მათ საიდუმლო არავინ გაიგოს. ბიჭები სანადიროდ უნდა გავუშვათ; ეს მათ დააინტერესებს. ოჯახში ცხოვრება ხომ ჩვეულებრივ ძალზე მოსაწყენია! თანაც ეს ავითარებს დაკვირვების უნარს და ძიების სურვილს. პირობა კი ძალზე მარტივია: ვისაც არაფერი მოაქვს, ის არაფერს ღებულობს. და როცა მშობლები მიხვდებიან, რომ ჩავარდნენ, ზოგიერთი სიჩუმისთვის კარგად გადაიხდის. ეშმაკმა დალახვროს, მათ შანტაჟს არ ვაპირებთ; ჩვენ ხომ პატიოსანი ხალხი ვართ და მხოლოდ მათი ხელში ჩაგდება გვინდა; დაე, ჩუმად იყვნენ, სხვებიც გააჩუმონ,

მაშინ ჩვენც გავჩუმდებით — სიჩუმე სიჩუმის წილ. მოდი, ამის სადღეგრძელო შევსვათ“.

სტრუვილუმ ორი ჭიქა აავსო. ჭიქები ერთმანეთს მიუჭახუნეს.

„— ძალიან მნიშვნელოვანია, — განაგრძო მან, — აუცილებელიც, მოქალაქეთა შორის ურთიერთგაგების ატმოსფეროს შექმნა; მხოლოდ ასე შეიძლება ძლიერი საზოგადოების ჩამოყალიბება. ყველა ერთმანეთს უჭერს მხარს! ჩვენ მხარს პატარებს ვუჭერთ; პატარებს მშობლები უჭერენ მხარს; მშობლები კი ჩვენ გვიჭერენ. ყველაფერი დიდებულად ეწყობა. მიხვდი?“

ლეონი მშვენივრად მიხვდა და ჩაიცინა.

„— პატარა ჟორჟი... — დაიწყო მან.

— რა, პატარა ჟორჟი?..

— მოლინიე, ვფიქრობ, უკვე მომწიფდა. მამას, ვიღაცა ქალის, „ოლიმპიადან“, წერილები აწაპნა.

— წერილები ნახე?

— მაჩვენა. მესმოდა, როგორ უამბობდა ადამანტს. ეტყობოდათ, მოსწონდათ მე რომ დავინტერესდი; ყოველ შემთხვევაში ჩემთვის რამის დამალვა არ უცდიათ; ამისთვის კი შენი რეპერტუარიდან ერთი ნომერიც გამოვიყენე, მათი ნდობა რომ მომეპოვებინა. ჟორჟი ფილიპს ეუბნება (რომ გააკვირვოს): „მამაჩემს საყვარელი ჰყავს“. რაზეც ფიფი, ვალში რომ არ დარჩეს, პასუხობს: „მამაჩემს კი ორი ჰყავს“. მოკლედ, ჩვეულებრივ სისულელეებს ლაპარაკობდნენ, კაცი არც კი დაინტერესდება. ვუახლოვდები ჟორჟს და ვეკითხები: „საიდან იცი?“ — „წერილები ვნახე“, — მეუბნება. თავი ვაჩვენე თითქოს არა მჯერა და ვეუბნები: „ტყუი...“. მოკლედ, კედელთან მივაყენე; ბოლოს გამოტყდა, რომ წერილები თან ჰქონდა; სქელი საქაღალდედან ამოაძვრინა და მაჩვენა.

— წაიკითხე?

— დრო არ მქონდა, ვერ მოვასწარი. მხოლოდ ის შევამჩნიე, წერილები ერთი ხელით იყო ნაწერი; ერთზე კი წარნერა ამოვიკითხე: „ჩემს ძვირფას, ტროყია ფისუნიას“.

— ხელმოწერა?

„— შენი თეთრი თაგუნია“. ჟორჟს ვკითხე: „როგორ დაითრიე“— მეთქი. მან კი სიცილით შარვლის ჯიბიდან გასაღებების დიდი ასხმულა ამოაძვრინა და მითხრა: „აქ ყველა უჯრის გასაღებია“.

— ბატონმა ფიფიმ რა ბრძანა?

— არაფერი. მგონი, შეშურდა.

— ჟორჟი ამ წერილებს მოგცემს?

— თუ საჭიროა, მგონი, შემიძლია წავაქეზო. წართმევა არ მინდა. წერილებს მომცემს, თუ ფიფიც ამასვე გააკეთებს. ერთმანეთს ეძიძგილავებიან.

— ამას შეჯიბრი ჰქვია. სხვა ბავშვებს, რომლებიც პანსიონში ცხოვრობენ, არ ხვდები?

— შევხვდები.

— კიდევ მინდოდა მეთქვა... მათ შორის ერთი ბიჭი უნდა იყოს, სახელად ბორისი. იმას თავი დაანებე, — გაჩუმდა, მერე ჩუმად დაუმატა: — დროებით".

ახლა, ოლივიე და ბერნარი ბულვარის ერთ რესტორანში სხედან. მეგობრის თბილი ღიმილისგან ოლივიეს ნაღველი ისე დნება, როგორც ჭირხლი მზის სხივებზე. ბერნარი ცდილობს პასავანის სახელი არ ახსენოს; ოლივიე ამას გრძნობს; რაღაც იდუმალი ინსტინქტი აფრთხილებს, მაგრამ მისი სახელი ენის წვერზე უტრიალებს; რაც უნდა მოხდეს მაინც უნდა თქვას:

„— დიახ, ადრე დავბრუნდით; ოჯახმა არ იცის; მოგვიანებით მელიან. დღეს საღამოს „არგონავტები" ბანკეტს აწყობენ. პასავანი აუცილებლად უნდა დაესწროს. უნდა, რომ ჩვენი ახალი ჟურნალი კეთილი ურთიერთობით ცხოვრობდეს უფროს მეგობართან და რომ მათ შორის ქიშპი არ წარმოიშვას... შენც მოდი; და... ედუარდიც მოიყვანე... შეიძლება ბანკეტზე არა, რადგან მოსანევეია საჭირო, იქნებ, რაც მერე იქნება იმაზე მაინც... „პანთეონის ტავერნის" მეორე სართულის ერთ დარბაზში გაიმართება. იქ იქნებიან „არგონავტების" ყველა წამყვანი რედაქტორი და „ავანგარდის" ზოგიერთი მომავალი თანამშრომელი. პირველი ნომერი თითქმის მზად გვაქვს; მაგრამ, ერთი მითხარი... რატომ რამე არ გამომიგზავნე?

— იმიტომ, რომ არაფერი მქონდა მზად", — ოდნავ მშრალად უპასუხა ბერნარმა.

ოლივიეს ხმა თითქმის ვედრებით აუჟღერდა:

„— სარჩევში შენი გვარი ჩემი გვარის გვერდით დავწერე... თუ საჭიროა, მოცდაც შეიძლება... მნიშვნელობა არ აქვს, რაღაც მაინც იყოს... შენ ხომ დაგვპირდი კიდეც...".

ბერნარს ოლივიეს წყენინება არ სიამოვნებს, მაგრამ მაინც კერპობს:

„— უკეთესი იქნება ახლავე გითხრა, მეგობარო: მეშინია, რომ პასავანთან საერთო ენას ვერ გამოვნახავ.

— ყველაფერს ხომ მე ვაკეთებ! სრული თავისუფლება მომცა.

— თანაც არ მინდა „რაღაც" გამოგიგზავნო. არ მსურს დავწერო „რაღაც".

— „რაღაც" იმიტომ ვთქვი, რომ ვიცი, შენი დანერილი „რაღაც" ყოველთვის კარგი იქნება... და არასოდეს იქნება „რაღაც".

აღარ იცის, რა თქვას. სისულელეს ჩმახავს. მეგობრულ მხარდაჭერას ვერ გრძნობს და ჟურნალის ინტერესიც ეკარგება. არადა, რა მშვენიერი ოცნება ჰქონდა — ერთად გადაედგათ პირველი ნაბიჯები.

„— თანაც, მეგობარო, ახლა ვხვდები თუ იმას არ გავაკეთებ, რისი გაკეთებაც არ მსურს, მაშინ საერთოდ აღარ ვიცი, რა უნდა ვაკეთო. ისიც არ ვიცი, დავიწყებ წერას თუ არა".

ამ განცხადებამ ოლივიე დაამწუხრა. ბერნარმა გააგრძელა:

„— იმის წერა, რაც ადვილად გამომივა, არ მხიბლავს. რადგან გამართული წერა ჩემთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, ამიტომ კარგად გაკეთებული ფრაზები მეჯავრება. ეს არ ნიშნავს, რომ სიძნელეები მიყვარს. ასე მგონია, დღევანდელი მწერლები თავს სულაც არ ინუხებენ. რომანი რომ დავწერო, სხვათა ცხოვრებას კარგად არ ვიცნობ; ხოლო საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება ჯერ არა მაქვს. ლექსები მოწყენას მგვრის; ალექსანდრული ლექსი ბოლომდე გაცვეთილ-გამოყენებულია; თავისუფალი კი თავისი უფორმობით არ მიზიდავს. ერთადერთი პოეტი, რომელიც დღეს მაკმაყოფილებს რემბოა.

— ჩემს მანიფესტში ზუსტად ამაზე ვლაპარაკობ.

— მაშინ, მით უმეტეს, საჭირო აღარ არის გავიმეორო. არა, მეგობარო, არ ვიცი, დავწერ თუ არა. ხანდახან მგონია, ლიტერატურული მოღვაწეობა, წერა, ცხოვრებას ხელს უშლის; და უმჯობესია, საკუთარი თავი მოქმედებაში, ქცევაში გამოავლინო, ვიდრე სიტყვაში.

— ხელოვნების ნაწარმოები ქცევის აქტია, რომელიც მარადიულად გრძელდება, — მორცხვად გაბედა შენიშვნა ოლივიემ, მაგრამ ბერნარი არ უსმენდა.

— რემბოშიც ყველაზე მეტად ის მხიბლავს, რომ ცხოვრება აირჩია.

— დაუდევრად კი მოექცა თავის ცხოვრებას.

— საიდან იცი?

— ოო! ეს, ჩემო მეგობარო...

— არ შეიძლება სხვათა ცხოვრება მხოლოდ გარედან განსაჯო. დავუშვათ, არ გამოუვიდა; უიღბლობაც იყო, სიღარიბეც და ავადმყოფობაც... როგორი ცხოვრებაც უნდა ჰქონოდა, რა ცუდადაც უნდა დაემთავრებინა, მაინც მშურს მისი. დიახ, უფრო მეტად მშურს, ვიდრე, ვთქვათ...".

ბერნარმა წინადადება არ დაამთავრა; რომელიმე გამოჩენილი თანამედროვის დასახელებას აპირებდა, მაგრამ სახელების იმდენად ღიდი არჩევანი იყო, შეყოყმანდა, მხრები აიჩეჩა და გააგრძელა:

„— შეუცნობლად ვგრძნობ უჩვეულო სწრაფვას, მძლავრ აზვირთებას, გაუგებარ მოძრაობებსა და მღელვარებას, რომელთა გაგებასაც საერთოდ არ ვცდილობ, არ მსურს მათზე დაკვირვება, ასე მგონია, მათ ხელს შევუშლი. ამ ცოტა ხნის წინ კი, მხოლოდ იმას ვაკეთებდი, რომ შეუსვენებლივ საკუთარი თავის მოქმედებას ვაანალიზებდი. ჩვევად მქონდა საკუთარ თავთან დაუსრულებელი ლაპარაკი; ახლა ველარ შევძლებ, რომც მოვისურვო, ვერ შევძლებ. ვერც შევამჩნიე ეს მანია ისე გამიქრა. ვფიქრობ, ეს მონოლოგი, ეს „შინაგანი დიალოგი", როგორც ჩვენი მასწავლებელი ამბობდა, პიროვნების ერთგვარ გაორებას მოწმობს, რომელიც მაშინვე შეწყდა, როგორც კი მეორე ადამიანი შევიყვარე, შევიყვარე ძლიერად, ვიდრე საკუთარი თავი მიყვარს.

— ლორას გულისხმობ? — ჰკითხა ოლივიემ. — ისევ ძველებურად გიყვარს?

— არა, — უპასუხა ბერნარმა. — ახლა უფრო ძლიერ მიყვარს. ასე მგონია, სიყვარულის არსი იმაში მდგომარეობს, რომ არ შეიძლება ერთ დონეზე დარჩეს, განუწყვეტლივ უნდა იზრდებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილს დაიწყებს; აი, ამითი განსხვავდება მეგობრობისგან.

— შეიძლება მეგობრობაც მოკვდეს, — ნაღვლიანად თქვა ოლივიემ.

— მაგრამ მეგობრობას, ვფიქრობ, ასეთი დიდი ცვალებადობა არ ახასიათებს.

— მითხარი... ხომ არ გეწყინება რაღაც გკითხო?

— თვითონვე ნახავ.

— არ მინდა გაჯავრდე.

— რომ არ მკითხო, უფრო მეტად გამაჯავრებ.

— მინდოდა მცოდნოდა, ლორასადმი გააქვს... სურვილი."

ბერნარი უცბად დასერიოზულდა.

„— კარგი, რადგან შენ უკვე... — დაიწყო მან. — ყველაზე უცნაური ის არის, მეგობარო, რომ, რაც ლორა გავიცანი, ჩემში არავითარი სურვილი აღარ დარჩა. ხომ გახსოვს, წინათ, ერთდროულად, ქუჩაში შემხვედრი ოციოდე ქალის სურვილი მაინც მწვავდა (ამან შემაჩერა დროულად, რომ რომელიმე ერთი ამომერჩია); ახლა, ასე მგონია, მისი სილამაზის გარდა, სხვის სილამაზეს ვეღარ შევიგრძნობ; მისი შუბლის გარდა სხვის შუბლს ვერასოდეს შევიყვარებ; სხვის გამოხედვას ვერ შევამჩნევ მისი გამოხედვის გარდა. მაგრამ მისდამი ისეთ მოწინებას განვიცდი, რომ მის გვერდით ყოველგვარ ხორციელზე ფიქრი მკრეხელობა მგონია. ახლა ისიც მგონია, რომ საკუთარ ბუნებასთან დაკავშირებითაც ვცდებოდი, ბუნებით უფრო უბინო ვარ. ლორას წყალობით ჩემი ინსტინქტები ამაღლებული გახდა. ჩემში უზარმაზარ გამოუყენებელ ძალას ვგრძნობ; მინდა გამოვიყენო და გზა მოვუძებნო. მშურს კარტეზიანელის[1], რომელმაც სიამაყე დაითრგუნა და მონასტრის წესდებას დაემორჩილა; მშურს იმ კაცისა, რომელსაც შეუძლია თქვას: „შენი იმედი მაქვს". მშურს ჯარისკაცის... თუმცა, არა, არავისი მშურს; საკუთარი შინაგანი დაუცხრომლობა მანვება, მე კი მისი მორჯულება მინდა. თითქოს ჩემში რაღაც შინაგანი ორთქლია და შეიძლება სტვენით გამოვარდეს (ზუსტად ეს არის პოეზია), აამოძრაოს დგუში, ბორბლები, ანდა იქნებ, საერთოდ, ააფეთქოს კიდეც მანქანა. იცი, ყველაზე უკეთ რომელ ქცევაში შევძლებგამოვხატო საკუთარი თავი? ეს არის... ოო! ვიცი, ვერასოდეს მოვიკლავ თავს, ოღონდ დიმიტრი კარამაზოვის მშვენივრად მესმის იმ მომენტში, როცა ძმას ეკითხება, გესმის, რომ ადამიანმა შეიძლება თავი მოიკლას უბრალოდ აღტაცების, უბრალოდ ჭარბი სიცოცხლის... აფეთქებისგანო".

უჩვეულო სინათლით ანათებდა ბერნარი. რა კარგად ლაპარაკობდა! ოლივიე აღტაცებული შეჰყურებდა.

„— მეც, — მორცხვად ჩაიჩურჩულა ოლივიემ, — მეც მესმის, შეიძლება თავი მოიკლა, მაგრამ მოიკლა მაშინ, როცა ისეთ ძლიერ სიხარულს შეიგრძნობ, ცხოვრების სახე რომ ფერმკრთალდება; ისეთ სიხარულს, როცა შეიძლება თქვა: საკმარისია, კმაყოფილი ვარ, და უკვე არასოდეს მე...".

მაგრამ ბერნარი არ უსმენდა. ოლივიე გაჩუმდა. სიცარიელეს

1. მონაზენური ორდენის წევრი. ორდენი XI საუკუნეში დაარსდა საფრანგეთში.

რატომ ელაპარაკოს? და... ცა მათ თავზე ისევ მოიქუშა. ბერნარმა საათი ამოიღო.

„— ჩემი წასვლის დროა. მაშ, ამბობ ამ საღამოს... რომელ საათზე?

— ვფიქრობ, ათ საათზე ადრე არ იქნება. მოხვალ?

— დიახ. ვეცდები ედუარდიც მოვიყვანო. ოღონდ იცოდე, პასავანი მაინცადამაინც არ უყვარს, ხოლო ლიტერატურული თავყრილობები მოწყენას ჰგვრის. ჩვენ მხოლოდ შენს სანახავად მოვალთ. ერთი ეს მითხარი, ლათინურს რომ ჩავაბარებ, შეიძლება შევხვდეთ?"

ოლივიემ მაშინვე არ უპასუხა. მხოლოდ ისეღა გაიფიქა ნაღვლიანად, პასავანს რად დავპირდი ოთხ საათზე სტამბაში შევივლიო, სადაც „ავანგარდი" უნდა დაბეჭდილიყო. რას არ მისცემდა, თავისუფალი ყოფილიყო!

„— ძალიან მინდა, მაგრამ არ შემიძლია".

გარეგნულად გულისტკივილი არ გამოუხატავს; ბერნარმა უპასუხა:

„— სამწუხაროა".

ასე დაშორდა ერთმანეთს ორი მეგობარი.

ოლივიეს ბერნარისთვის არ უთქვამს, რის თქმასაც აპირებდა, ეშინოდა, ბერნარს ეს არ მოეწონებოდა. არც თვითონ მოსწონდა საკუთარი თავი. მისი ამდილანდელი სიცქვიტე სადღაც გაქრა, ახლა ქუჩაში თავჩაქინდრული მიდიოდა. პასავანთან მეგობრობა, რითაც ასე ამაყობდა, უკვე ამძიმებდა; გრძნობდა, ბერნარი ამ მეგობრობას არ იწონებდა. დღეს საღამოს, ბანკეტზე, თუ თავის მეგობარს შეხვდება, სხვათა გამომცდელი გამოხედვის ქვეშ, ლაპარაკს მაინც ვერ შეძლებენ. წინასწარ კარგად რომ ელაპარაკათ, შეიძლება ეს ბანკეტი საინტერესოც ყოფილიყო. ახლა კიდევ ეს პატივმოყვარეობის მიერ ჩაგონებული იდეა, ძია ედუარდიც რომ მიიწვია! იქ ხომ პასავანის, უფროსი კოლეგების, „ავანგარდის" მომავალი თანამშრომლების წინაშე თავის მოწონებაც მოუწევს; ედუარდს უფრო მეტად შეექმნება მასზე მცდარი წარმოდგენა, ოღონდ, ამჯერად, საბოლოო... ბანკეტამდე რომ ნახოს! სასწრაფოდ რომ ნახოს, მაშინვე კისერზე ჩამოეკიდება; შეიძლება ატირდეს კიდეც; ყველაფერს მოუყვება... ოთხ საათამდე დრო კიდევ არის. ჩქარა, მანქანა.

მძღოლს მისამართი უთხრა. კარს გულამოვარდნილი უახლოვდე-ბა: ზარს რეკავს... ედუარდი სახლში არ არის.

საცოდავი ოლივიე! მშობლებს ემალება, იმის მაგივრად რომ სახლში ნავიდეს. რატომ არ მიდის სახლში? იქ, დედასთან ხომ ძია ედუარდს შეხვდებოდა.

# VI

## ედუარდის დღიური

„რომანისტებს შეცდომაში შევყავართ, როცა ინდივიდის ევოლუციას გვაჩვენებენ და მხედველობაში არ იღებენ გარემოს ზეწოლას. ხეს ტყე აძლევს ფორმას. თითოეულ ხეს ხომ ასე ცოტა ადგილი აქვს დათმობილი! რამდენი ატროფირებული ნეკერია! თითოეული ხე რტოს იქით იზრდის, საითაც საშუალება აქვს. მისტიკური შტო თავის განვითარებას, უფრო ხშირად, სივიწროვეს უნდა უმადლოდეს. მას მხოლოდ ერთადერთი გზა რჩება — ზევით უნდა აიზარდოს. ვერ გამიგია, პოლინი როგორ ახერხებს, რომ ზევით არ უშვებს რომელიმე მისტიკურ შტოს, ვერც ის, კიდევ რომელ დამატებით ზეწოლას ელის. ამჯერად, უფრო ნდობით მელაპარაკა, ვიდრე სხვა დროს ულაპარაკია. ეჭვადაც არა მქონია, თუ ამდენი იმედგაცრუება იფარებოდა მისი გარეგნული კეთილდღეობის ნიღაბქვეშ. ისიც უნდა ვაღიარო, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებ არ განიხიბლო მოლინიეთი, თუ ვულგარული სული გაქვს. ჩვენი გუშინწინდელი საუბრისას, მასზე სრული წარმოდგენა შემექმნა. როგორ გაჰყვა პოლინი მას ცოლად?.. საუბედუროდ, ყველაზე სავალალო ნაკლი, ხასიათის ნაკლი, ყველაზე ძნელად შეიმჩნევა და მხოლოდ დროთა განმავლობაში ვლინდება.

„პოლინი ძალას არ იშურებს, რომ ოსკარის ნაკლი და სისუსტე შენიღბოს, სხვათა თვალს დაუფაროს, განსაკუთრებით კი ბავშვების თვალს. იმასაც კი ახერხებს, რომ შვილებს მამის პატივისცემა ჰქონდეთ. მართალია, ამოცანა ადვილი არ არის, მაგრამ ის იმდენად წარმატებით ართმევს თავს ყველაფერს, რომ ლამის მეც ანკესზე წამოვეგე: ქმარზე სიძულვილის გარეშე ლაპარაკობს, მაგრამ მისი შემწყნარებლობა ბევრის მთქმელია. ნანობს, რომ ოსკარმა შვილებში ავტორიტეტი დაკარგა; და როცა შეშფოთება გამოვთქვი ოლივიეს პასავანთან მეგობრობის თაობაზე, მივხვდი, მასზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, კორსიკაზე მოგზაურობა არასოდეს შედგებოდა.

„— ამ მოგზაურობას არ ვიწონებდი, — მითხრა მან, — სიმართლე

რომ ვთქვა, ეს ბატონი პასავანი საერთოდ არ მომწონს. მაგრამ რა მექნა? როცა ვხედავ ხელის შეშლა არ შემიძლია, ვამჯობინებ, საკუთარი ნებით დავთანხმდე. ოსკარი გამუდმებით თმობს. მეც მითმობს. როცა ბავშვების რომელიმე გეგმა არ მომწონს და ვხედავ წინააღმდეგი უნდა ვიყო, წინ უნდა აღვუდგე, უნდა ვიბრძოლო, მისგან არანაირი მხარდაჭერა არა მაქვს. ამ ამბავში კიდევ ვენსანიც ჩაერია. ასეთ სიტუაციაში, აბა, რა წინააღმდეგობა უნდა გამეწია ოლივიესთვის ისე, რომ მისი ნდობა არ დამეკარგა? მის ნდობას კი ყველაზე მეტად ვუფრთხილდები".

„ძველ წინდებს კემსავდა; იმ წინდებს, რომლებიც, როგორც მითხრა, ოლივიეს აღარ მოსწონდა. გაჩუმდა, ნემსზე ძაფი ააგო და ძალიან დაბალი ხმით გააგრძელა, უფრო მიმნდობი, უფრო ნაღვლიანი ტონით:

„— მისი ნდობა... ნეტავ დარწმუნებული ვიყო, რომ მისი ნდობა თუ კიდევ მაქვს! არა, უკვე დავკარგე...".

„ჩემმა არცთუ დამარწმუნებელმა პროტესტმა ღიმილი მოჰგვარა; საქმიანობას თავი მიანება და განაგრძო:

„— აი, მაგალითი: ვიცი, რომ პარიზში დაბრუნდა. ჟორჟი შეხვდა ამ დილას; შემთხვევით წამოსცდა; თავი მოვიკატუნე, ვითომ ვერაფერი გავიგე, რადგან არ მინდოდა ძმა დაებეზღებინა. ახლა, როცა შემხვდება, ტყუილის თქმა მოუწევს, მე კი ისეთი სახე უნდა მივიღო, თითქოს მჯერა მისი, ისევე როგორც მამამისთან ვაკეთებ, როცა რაღაცას მიმალავს.

„— ალბათ, ეშინია, გული არ დაგწყდეს.

„— ასე უფრო მტკივა გული. მე ხომ მკაცრი არა ვარ; უამრავ ნვრილმან შეცდომას შემწყნარებლურად ვითმენ და თვალს ვხუჭავ.

„— ახლა ვისზე ლაპარაკობთ?

„— ოო! მამაზეც და შვილებზეც.

„— მაგრამ თავის მოკატუნებით, თითქოს მათ ქცევას ვერ ამჩნევთ, თქვენც ხომ ასევე ტყუიხართ.

„— რა ვქნა? დიდ შრომად მიჯდება, რომ არ ვიწუწუნო. არც მოწონება შემიძლია. იცით, საკუთარ თავს ვეუბნები, ადრე თუ გვიან ყოველგვარი შეთანხმება მოქმედებას წყვეტს და ამაში ყველაზე ნაზი სიყვარულიც კი ვერაფერს გიშველის. აბა, სხვა რა ვთქვა. სიყვარული ხელის შემშლელიც არის, თავის მომაბეზრებელიც. ზოგჯერ ამ სიყვარულის დაფარვაც კი მიწევს.

„— ახლა შვილებზე ლაპარაკობთ.

„— ასე რატომ ფიქრობთ? გგონიათ, ოსკარის სიყვარული აღარ შემიძლია? ზოგჯერ მეც ასე ვფიქრობ; საკუთარ თავს ვეუბნები, აღარ მსურს მისი სიყვარული, რომ ნაკლებად ვიტანჯო-მეთქი. ოჰ... დიახ, მგონი, მაინც მართალი ხართ: როცა საქმე ოლივიეს ეხება ტანჯვას ვამჯობინებ.

„— ვენსანი?

„— რამდენიმე წლის წინ იმასვე ვიტყოდი, რასაც ახლა ოლივიეზე ვამბობ.

„— ჩემო საბრალო მეგობარო... მალე, ალბათ, იგივეს ჟორჟზე იტყვით.

„— ნელ-ნელა ყველაფერს ეჩვევი. ცხოვრებისგან ხომ ბევრს არაფერს ვითხოვ. წლების გასვლასთან ერთად კი, უფრო ნაკლებს ითხოვ... სულ უფრო და უფრო ნაკლებს. — მერე ჩუმად დაუმატა. — საკუთარი თავისგან კი უფრო და უფრო მეტს.

„— ასეთი აზრებით მალე ნამდვილი ქრისტიანი გახდებით, — ვუთხარი ღიმილით.

„— ზოგჯერ ამასვე ვეუბნები საკუთარ თავსაც. ოღონდ, ნამდვილი ქრისტიანი რომ გახდე ასეთი აზრები საკმარისი არ არის.

„— იმავე დროს, ასეთი აზრები რომ გქონდეს, ქრისტიანად ყოფნაც ცოტაა.

„— ახლა ერთ რამეს გთხოვთ: ხშირად იმასაც ვფიქრობ, რომ, თუ მამას უნარი არ აქვს, იქნებ თქვენ შეძლოთ და ჩემს ბავშვებს ელაპარაკოთ?

„— ვენსანი უკვე შორსაა.

„— მისთვის უკვე გვიანია. დრო ხელიდან გავუშვი. ოლივიეს ვგულისხმობ. როგორ მინდოდა თქვენთან ერთად წამოსულიყო სამოგზაუროდ“.

„ამ სიტყვებმა, საშუალება მომცა ცხადად წარმომედგინა როგორ განვითარდებოდა მოვლენები, თუ არ მივიღებდი დაუფიქრებლად თავსმოხვეულ დავალებას. ძალიან ამაღელვა, ჯერ სათქმელი სიტყვა ვერ ვიპოვე, მერე, რადგან თვალზე ცრემლი მომადგა, ვცადე ჩემი განცდებისთვის რაღაც ახსნა მომეძებნა:

„— ვშიშობ, აქაც დაგვიანებული არ იყოს“, — ამოვიოხრე.

„პოლინმა ხელი მტაცა:

„— რა კეთილი ხართ!“ — წამოიძახა.

„უხერხულად ვიგრძენი თავი, როცა მისი შეცდომა დავინახე, საშუ-

ალებაც ვერ მოვნახე მისთვის ამეხსნა ეს და, ამიტომ, ვეცადე საუბარი ჩემთვის ნაკლებ მტკივნეულ საკითხზე გადამეტანა.

„— ჟორჟი? — ვკითხე.

„— ის უფრო მეტ საზრუნავს მიჩენს, ვიდრე დანარჩენი ორი, — მითხრა მან. — მასზე იმასაც ვერ ვიტყვი, რომ გავლენას ვკარგავ, რადგან არასოდეს ყოფილა მიმნდობი და მორჩილი".

„ერთხანს შეყოყმანდა. ცხადია, რაც მერე მოვისმინე, მისი თქმა ადვილი არ იყო.

„— ამ ზაფხულს ერთი ძალიან უსიამოვნო ამბავი მოხდა, — გააგრძელა მან. — შემთხვევა, რომლის გამხელაც ძალიან მიმძიმს და უნდა გამოგიტყდეთ, დღემდე რაღაც ეჭვები კიდევ დამიტოვა... კარადიდან, სადაც ჩვეულებრივ ფულს ვინახავ, ასფრანკიანი ბილეთი გაქრა. შემეშინდა, შეცდომით ვინმე არ დამედანაშაულებინა და იძულებული გავხდი კონკრეტული ბრალდებისგან თავი შემეკავებინა: მოსამსახურე გოგო სრულიად ახალგაზრდაა და წესიერი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. ჟორჟის დასწრებით ვთქვი, რომ ფული დავკარგე, რადგან, როგორც ხვდებით, ჩემი ეჭვი მასზე შეჩერდა. ის არ დაბნეულა და არც გაწითლებულა... ჩემი ეჭვის შემრცხვა; საკუთარი თავი დავირწმუნე, რომ შევცდი და ფული ისევ გადავთვალე. ვაი, რომ ეჭვი ეჭვად დარჩა: ასი ფრანკი აკლდა. შევყოყმანდი, არ ვიცოდი ჟორჟისთვის გამომეკითხა თუ არა, ბოლოს თავი შევიკავე და არაფერი ვკითხე. შიშმა შემაკავა, რომ ქურდობას სიცრუეც დაემატებოდა. შევცდი?.. დიახ, საკუთარ თავს ვსაყვედურობ, რატომ უფრო მტკიცედ არ მოვიქეცი. იქნებ, იმანაც შემაშინა, რომ დიდი სიმკაცრის გამოჩენა დამჭირდებოდა, ანდა, იქნებ იმანაც, საკმაოდ მკაცრი ვერ ვიქნებოდი. ასე რომ, ამჯერადაც თავი მოვიკატუნე, ვითომ არაფერი ვიცოდი, თუმცა ეს ძალიან გულდამძიმებულმა გავაკეთე, გარწმუნებთ. დრო ხელიდან გავუშვი; საკუთარ თავს განვუცხადე, რომ უკვე გვიანია, რომ დანაშაული და სასჯელი ერთმანეთისგან დროის დიდი მონაკვეთით არიან დაშორებული. და თანაც, აბა, როგორ დამესაჯა? არაფერი გამიკეთებია; ახლა თავს ვსაყვედურობ, იმისთვის, რომ... მაგრამ რა მექნა?

„— ვიფიქრე ინგლისში გავაგზავნი-მეთქი; თქვენთვის რჩევის კითხვაც მინდოდა, მაგრამ არ ვიცოდი, სად იყავით... ყოველ შემთხვევისთვის ჩემი განცდები და სანუხარი მისთვის არ დამიმალავს; ასე მგონია, უნდა ეგრძნო ეს; მას ხომ კეთილი გული აქვს, თვითონაც იცით. მისი სინდისის ქენჯნის იმედი უფრო მაქვს, რომელიც უეჭველად გაუჩ-

ნდება, თუ მართლა ეს მან ჩაიდინა, ვიდრე ჩემი საყვედურებისა. იმედი მაქვს, აღარ გააკეთებს. იქ ერთი ძალიან მდიდარი ამხანაგის საზოგადოებაში იყო და დარწმუნებული ვარ, ფულის ხარჯვაში აიყოლია... და მაინც, ბოლომდე ვერ დამიჯერებია, რომ მან გააკეთა. სასტუმრო ოთახში უამრავი შემთხვევითი ადამიანი დადის...".

„აღფრთოვანებული დავრჩი, მისი გონება რაღას არ იგონებდა, რომ რაღაცით შვილის დანაშაული შეემცირებინა.

„— ვამჯობინებდი, ფული იქვე დაედო, საიდანაც აიღო, — ვთქვი მე.

„— მეც. მაგრამ, რადგან ეს არ გააკეთა, მინდა ამაში მისი უდანაშაულობის კიდევ ერთი საბუთი დავინახო. ისიც ვიფიქრე, გამბედაობა არ ეყო-მეთქი.

„— მამამისს ელაპარაკეთ?

„ერთხანს შეყოყმანდა:

„— არა, — თქვა ბოლოს. — მირჩევნია არაფერი იცოდეს".

„ეტყობა, მეზობელი ოთახიდან ხმაური შემოესმა და შესამოწმებლად გავიდა; მერე დაბრუნდა, ისევ ჩემს გვერდით დაჯდა და გააგრძელა:

„— ოსკარმა მითხრა, ერთად გისადილიათ. ისე გაქებთ, ვიფიქრე, ალბათ, ძირითადად უსმენდით (ამ სიტყვებზე ნაღვლიანად გაიღიმა). თუ თავისი საიდუმლოებები გაგანდოთ, არ ვაპირებ მათ გამოკითხვას... თუმცა მისი პირადი ცხოვრების შესახებ, უფრო მეტი ვიცი, ვიდრე მას ჰგონია... აი, ჩემი ჩამოსვლის შემდეგ კი ვეღარ ვცნობ; ისეთი ალერსიანი გახდა ჩემთან, ვიტყოდი, მორჩილიც... მაკვირვებს კიდეც. შეიძლება ვიფიქრო, რომ ჩემი ეშინია. ამაოდ. ცდება. დიდი ხანია ვიცი მისი გატაცების ამბები... ისიც ვიცი, ის ქალი ვინ არის. ჰგონია, არაფერი ვიცი, და უჩვეულო სიფრთხილის ზომებს იღებს რომ დამიმალოს, მაგრამ ეს სიფრთხილე იმდენად თვალში საცემია, რაც უფრო მეტად მალავს, მით უფრო ცხადი ხდება. როცა წასვლას აპირებს, მუდამ ისეთი მოწყენილი, საქმიანი, დაფიქრებული სახე აქვს, რომ უკვე ვიცი, სიამოვნებისთვის მიდის. ერთი სული მაქვს, ვუთხრა: „მაგრამ, მეგობარო, მე ხომ არ გაკავებ. გგონია, ეჭვიანი ვარ?" გავიცინებდი კიდეც, განწყობილება რომ მქონდეს. ერთადერთი რისიც მეშინია, არ მინდა შვილებმა შეამჩნიონ. ის ხომ ისეთი დაბნეულია, ისეთი მოუხერხებელი! ზოგჯერ თამაშშიც ვებმები და ვეხმარები კიდეც. გარწმუნებთ, სიამოვნებას ვიღებ: მის

გასამართლებლად ათას რამეს ვიგონებ; ჯიბეში წერილებს ვუდებ, რომლებიც ხან სად ავინყდება და ხან სად.

„— მას კი შიში აქვს, მისი წერილები ხომ არ აღმოაჩინეთ.

„— ასე გითხრათ?

„— ზუსტად ამან გახადა ასე მშიშარა.

„— გგონიათ, მაინტერესებს ამ წერილების შინაარსი?"

„დაკოდილმა თავმოყვარეობამ წელში გამართვა აიძულა. იძულებული გავხდი დამემატებინა:

„— საქმე იმ წერილებს კი არ ეხება, რომლებიც დაბნეულობისგან სადღაც ავიწყდება, არამედ იმ წერილებს, სანერი მაგიდის უჯრაში რომ დამალა, მერე კი იქ აღარ დახვდა. ასე ჰგონია, თქვენ აიღეთ".

„ ამ სიტყვების გაგონებაზე, დავინახე პოლინი როგორ გაფითრდა; საზარელი ეჭვი, თავში რომ გაუელვა, ჩემს გონებაშიც აისახა. ვინანე ეს რომ ვუთხარი, მაგრამ უკვე გვიანი იყო. თვალი მომარიდა და ჩაიჩურჩულა:

„— ოო, როგორ მინდა, ეს ასე არ იყოს!"

„სრულიად დათრგუნვილი გამოიყურებოდა.

„— რა ვქნა? — იმეორებდა. — რა ვქნა? — მერე ისევ მე მომაპყრო მზერა და მთხოვა: — არ შეგიძლიათ მოელაპარაკოთ?"

„ჟორჟის სახელი არ ახსენა, მაგრამ, სრულიად ნათელი იყო, ის ჰყავდა მხედველობაში.

„— ვეცდები. ვიფიქრებ". — ვუთხარი და ავდექი. გასასვლელამდე მიმაცილა და შითხრა:

„— გთხოვთ, ოსკარს არაფერი უთხრათ; დაე, ჩემზე იეჭვიანოს; დაე, იფიქროს ის, რასაც ფიქრობს. ასე უკეთესი იქნება. მალე გვეწვიეთ. გელით".

# VII

ზუსტად ამ დროს, დანაღვლიანებულმა ოლივიემ, ძია ედუარდს რომ ვერ შეხვდა, მარტოობა ვეღარ აიტანა, გადაწყვიტა, მეგობრობას მოწყურებული გული ისევ არმანისკენ მიემართა და ვედელის პანსიონისკენ აეღო გეზი.

არმანმა თავის ოთახში მიიღო. სამოსამსახურო კიბე მის ოთახამდე ადიოდა. პატარა, ვიწრო ოთახი იყო, რომლის ფანჯარაც შიდა ეზოს გადაჰყურებდა. ეზოსკენ მეზობელ სახლს, სამეურნეო ნაგებობები და სამზარეულოები ჰქონდა. თუთიის დაბრეცილი რეფლექტორი ზევიდან მომავალ სინათლეს კრებდა და მკრთალ ანასხლეტად ოთახში აგზავნიდა. ოთახი ცუდად ნიავდებოდა და მძიმე სუნი იდგა.

„— არაფერია. მიჩვევა შეიძლება, — თქვა არმანმა. — ხომ გესმის, მშობლები საუკეთესო ოთახებს იმ მოწაფეებს აძლევენ, რომლებიც იხდიან. ბუნებრივია. გასულ წელს რომ ოთახი მქონდა, ის ერთ ვიკონტს დაუთმეს; შენი სახელგანთქმული მეგობრის პასავანის ძმას. ოთახი თავადურია, მაგრამ მასზე' რაშელის ოთახიდან თვალთვალი ადვილია. აქ უამრავი ოთახია კიდევ და ყველა ერთმანეთში გადის. ასე რომ, საცოდავი სარა, რომელიც დღეს დილას ინგლისიდან დაბრუნდა, თავის ახალ ხუხულაში მოსახვედრად, იძულებული გახდა მშობლების საძინებელი გაევლო (რაც არ უნდოდა) ან ჩემი ოთახი, რომელიც ადრე, ალბათ, ან ტუალეტი იყო ან საწყობი. აქ ერთი უპირატესობა მაინც მაქვს: როცა მომესურუვება მაშინ შემიძლია შემოვიდე ან გავიდე ისე, არ შემეშინდეს ვიღაც მითვალთვალებს. მანსარდას, სადაც მსახურები ცხოვრობენ, ამას ვამჯობინებ. სიმართლე რომ ვთქვა, მიყვარს კიდეც ცუდ პირობებში ცხოვრება. მამაჩემი ამაზე იტყოდა: ხორცის მოკვდინება წინასწარი განზრახვითო; და ახსნიდა, ყველაფერი, რაც სხეულისთვის საზიანოა, სულის გადარჩენას მოასწავებსო. თუმცა, აქ არასოდეს შემოსულა. გესმის, ალბათ, რომ მას სხვა საზრუნავი აქვს, ვიდრე თავისი ვაჟის საცხოვრებელი პირობებით თავის შენუხებაა. მამაჩემი განსაცვიფრებელი კაცია. ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან მოვლენაზე უამრავი მანუგეშებელი სიტყვა იცის. მისი მოსმენა ძალიან სასიამოვნოა. ოღონდ, სამწუხაროა, რომ საუბრის დრო არასოდეს აქვს... ჩემი სურათების გალერეას ათვალიერებ? დილით უკეთესად გამოიყურება.

აი, ეს ფერადი გრავიურა პაოლო უჩელოს[1] ერთი მონაფისაა; საგანგებოდ ვეტერინარებისთვის არის შექმნილი. შემოქმედების დიდებული აღტკინების ჟამს, მხატვარმა ერთ ცხენში თავი მოუყარა ყველა ავადმყოფობას, რომელთა დახმარებითაც განგება ცხენურ სულს ასუფთავებს; ყურადღება მიაქციე, რა ზეშთაგონებული გამოხედვაა... ეს კი, ადამიანური ცხოვრების ყველა საფეხურის სიმბოლური სურათია, აკვნიდან დაწყებული სასაფლაოთი დამთავრებული. სურათი არც ისე დახვეწილია. მისი მთავარი ღირსება ჩანაფიქრშია. ცოტა იქით, შესაძლებლობა გეძლევა ტიციანის ერთ-ერთი კურტიზანი ქალის ფოტოგრაფიით მოიხიბლო; სანოლის თავზე დავკიდე, რომ ავხორცული აზრები შთამაგონოს. აი,კარი. აი, ეს კარი კი, სარას ოთახში გადის".

ოთახის უბადრუკობამ, რომ არა ვთქვათ საძაგლობამ, ოლივიეზე ცუდი შთაბეჭდილება დატოვა: სანოლი აულაგებელი იყო, ტუალეტის მაგიდაზე კი გასარეცხი ჭურჭელი ეყარა.

„— დიახ, თვითონ ვალაგებ ჩემს ოთახს, — თქვა არმანმა; ამით უპასუხა ოლივიეს შეწუხებულ გამოხედვას. — აქ, ჩემს სამუშაო ოთახს ხედავ. ვერ წარმოიდგენ, რა შთამაგონებლად მოქმედებს ჩემზე ამ ოთახის ატმოსფერო:

„ო, ატმოსფეროვ, ჩემი ძვირფასი თავშესაფრისავ...".

ზუსტად მას უნდა ვუმადლოდე ჩემს ბოლო ლექსს: „ღამის ჭურჭელის" შთაგონებას".

ოლივიე არმანთან იმ განზრახვით მივიდა, რომ თავის ჟურნალზე ელაპარაკა და თანამშრომლობაზე დაეთანხმებინა; უკვე ვეღარ გაბედა საუბრის წამოწყება; მაგრამ არმანმა თავად დაიწყო ამაზე ლაპარაკი:

„— ღამის ჭურჭელი", ხომ მართლა ლამაზი სათაურია!.. ეპიგრაფად კი ბოდლერი ავიღე:

„შენა ხარ ურნა, სამგლოვიარო,
ვიღაცის ცრემლებს რომ ელოდები?!"

ანტიკურ სახეს ვიყენებ (დღემდე უბერებელს). ოსტატ-მეთუნის

1. პაოლო უჩელო (1397-1475) — იტალიელი ფერმწერი.

სახეს, რომელიც ყოველ ადამიანურ არსებას ისე ძერწავს, როგორც ჭურჭელს, რომელშიც, ღმერთმა იცოდეს რას ჩაასხამენ. ლირიული აღტკინებისას საკუთარ თავს იმ ჭურჭელს ვადარებ; იდეა კი, როგორც უკვე გითხარი, მაშინ მომივიდა, როცა ამ ოთახის სუნი აღვიქვი. განსაკუთრებით ლექსის დასაწყისით ვარ კმაყოფილი:

„ვინც ორმოცი წლის ასაკში ბუასილით არ იტანჯება...".

მკითხველი რომ არ გამენაწყენებინა, ჯერ „ვინც ორმოცდაათი..." ჩავსვი, მაგრამ არც ისე მოხერხებულ ალიტერაციად მეჩვენა. რაც შეეხება „ბუასილს", ფრანგულ ენაში, უეჭველად, ერთ-ერთი დახვეწილი სიტყვაა...თუნდაც, მისი მნიშვნელობა არად ჩავაგდოთ". — დაუმატა ჩაცინებით.

ოლივიე გულშეკუმშული დუმდა. ა'რმანმა განაგრძო:

„— ღირს კი გითხრა, რომ, როცა ღამის ჭურჭელს სტუმრად სურნელოვანი ქოთანი ეწვევა, აი, ისეთი, თქვენ რომ ბრძანდებით, იგი ფრიად ნასიამოვნები რჩება.

— ამის გარდა, კიდევ რა დაწერე? — ჰკითხა ბოლოს სასონარკვეთილმა ოლივიემ.

— შენი დიდებული ჟურნალისთვის ჩემი „ღამის ჭურჭელის" შემოთავაზება მინდოდა, მაგრამ იმ ტონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, როგორ წარმოთქვით „ამის გარდა", მას მოწონების არანაირი იმედი არ უნდა ჰქონდეს. ამ შემთხვევაში, დარწმუნებულმა, რომ შედევრი შექმნა, პოეტს შეუძლია განაცხადოს: „იმისთვის არ ვწერ, რომ მოიწონოთ". ვერ დაგიმალავ, ჩემი ლექსი საზიზღრობად მიმაჩნია. თანაც მხოლოდ პირველი ხაზი მაქვს დაწერილი. „დავწერე"- მეთქი რომ გითხარი, უნდა დავაზუსტო, შენს პატივსაცემად ახლახან შევთხზე... შენ რა, მართლა აპირებ რომელიმე ჩემი ნაწარმოების გამოქვეყნებას? ჩემთან თანამშრომლობა გინდა? და გგონია, რომ მართლა შემიძლია რამე ნორმალური დავწერო? ჩემს გაფითრებულ შუბლზე გენიოსის რამე ნიშანს ხომ არ ხედავ? ცხადია, მესმის, ამ სარკეში რომც ჩავიხედო, მაინც ვერაფერს დავინახავ, მაგრამ ნარცისის მსგავსად მაინც ვიყურები და მხოლოდ ხელმოცარულის სიფათსა ვხედავ. თუმცა, გამორიცხული არ არის, ცუდი განათების გამო ჩანდეს ასე... არა, ჩემო ძვირფასო ოლივიე, არა, ამ ზაფხულს არაფერი დამიწერია; და თუ იმედი გქონდა შენი ჟურნალისთვის რაღაცას გავაკეთებდი, იძულებული ვარ იმედი გაგიც-

რუო. მოკლედ, ჩემზე ლაპარაკი გვეყოფა. ახლა მითხარი, კორსიკაზე რა ხდება. კარგი იყო? მოგზაურობით ისიამოვნე? დრო კარგად გამოიყენე? შრომისგან დაღლილმა კარგად დაისვენე? შენ საკმაოდ...".

ოლივიემ ველარ მოითმინა:

„— ბოლოს და ბოლოს, გაჩუმდები თუ არა. შენყვიტე მასხარაობა. შენ რა, გგონია სასაცილოდ და გონებამახვილობად მეჩვენება შენი...

— ჩემი!? — დაიყვირა არმანმა, — არა, სასაცილოდ არც მე მეჩვენება, ჩემო ძვირფასო. არც ისე სულელი ვარ! ჭკუა მყოფნის მივხვდე, რომ რასაც ვამბობ მეტისმეტად დიდი სისულელეა.

— შენ რა, საერთოდ აღარ შეგიძლია სერიოზულად ლაპარაკი?

— რადგან სერიოზული ჟანრი უფრო მოგწონს, სერიოზულად ვილაპარაკოთ. რაშელი, ჩემი უფროსი და, ბრმავდება. ბოლო ხანს მხედველობა ძალიან გაუუარესდა. უკვე ორი წელია უსათვალოდ კითხვა არ შეუძლია. ჯერ ვიფიქრე, სათვალის მინის შეცვლა იყო საჭირო. აღმოჩნდა, რომ არა. ჩემი თხოვნით სპეციალისტთანაც წავიდა. ეტყობა, თვალის ბადურის მგრძნობიარობა უსუსტდება. იცით, არსებობს ორი სრულიად განსხვავებული რამ: ერთია ბროლის ცუდი შემგუებლობა, ამ შემთხვევაში სათვალე შველის. მაგრამ, მას შემდეგ, რაც სათვალე მოაახლოებს ან დააშორებს დასანახ საგანს, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ იგი საკმარისად არ აღიზიანებს ბადურას და ამიტომ ტვინამდე ბუნდოვნად აღწევს. გასაგებად აგიხსენი? შენ რაშელს თითქმის არ იცნობ. არ იფიქრო, მისი ხვედრით გულს გიჩუყებდე. ამ ყველაფერს, მაშ, რად გიყვები?... იმად, რომ ამაზე დაფიქრებისას იმ დასკვნამდე მივედი, რომ აზრები, ისევე როგორც სახეები, შეიძლება ტვინში დაიბადოს მკაფიოდ ან ბუნდოვნად. ჩლუნგი გონება ყველაფერს ამღვრეულად ღებულობს, ზუსტად ამიტომ ანგარიშს არ უწევს თავის სიჩლუნგეს. საკუთარი სისულელის გამო მხოლოდ მაშინ დაიწყებდა ტანჯვას, თუ ნათლად შეიგრძნობდა, რამდენად სულელია, მაგრამ ამის მისახვედრად, ის ჭკვიანი უნდა გახდეს. აბა, ახლა ნარმოიდგინე, ისეთი ურჩხული, ისეთი იდიოტი, რომელსაც საკმაო ჭკუა ექნებოდა, რათა ნათლად იგრძნოს რომ სულელია.

— ეშმაკმა წაიღოს! ის ხომ სულელი აღარ იქნება.

— იქნება, ძვირფასო, დამიჯერე, იქნება. კარგად ვიცი, რადგან ეს სულელი მე ვარ".

ოლივიემ მხრები აიჩეჩა. არმანმა განაგრძო:

„— ნამდვილ სულელს იმ აზრის გაგება არ შეუძლია, რომელიც

მისი საკუთარი აზროვნების მიღმა გადის. მე შემიძლია „აზროვნების მიღმაც“ აღვიქვა და მაინც სულელი ვარ, რადგან ვიცი, ვერასოდეს შევძლებ იმას, რომ ის, რაც „აზროვნების მიღმა“ არსებობს ჩემად იქცეს.

— საცოდავო ჩემო მეგობარო, — უთხრა ოლივიემ სიმპათიის გაღვიძების ჟამს, — ჩვენ ხომ ისე ვართ მოწყობილნი, რომ თანდათან გავუმჯობესდეთ; და ასე მგონია, ყველაზე დიდი გონება ისეთი გონებაა, რომელიც თავისი შეზღუდული შესაძლებლობებით ყველაზე მეტად იტანჯება“.

არმანმა ხელი აიშორა, რომელიც ოლივიემ მეგობრულად მხარზე დაადო.

„— სხვა ადამიანებს, — თქვა მან. — იმის გრძნობა აქვთ, რომ რაღაც გააჩნიათ; მე კი ვგრძნობ, რაც მაკლია. ვგრძნობ, ფულის ნაკლებობას; ძალის ნაკლებობას; გონების ნაკლებობას; სიყვარულის ნაკლებობას. განუწყვეტელი დეფიციტია, და სამუდამოდ „მიღმაში“ ვრჩები“.

ტუალეტის მაგიდას მიუახლოვდა; პირის დაბანის შემდეგ დარჩენილ ჭუჭყიან წყალში სავარცხელი დაასველა და შუბლზე თმა სულელურად დაილაგა.

„— უკვე გითხარი, არაფერი დამიწერია; მაგრამ ბოლო დღეებში ერთი ტრაქტატის იდეა მომივიდა, რომელსაც შეიძლება უკმარისობის ტრაქტატიც ვუწოდო. მაგრამ, ბუნებრივია, მის დასაწერად არ მეყოფა... მასში ვიტყოდი... მაგრამ, მგონი, უკვე გული გაგინყალე.

— განაგრძე. შენი ხუმრობებით კი გამიწყალე გული, მაგრამ, რასაც ახლა ამბობ, ძალიან საინტერესოა.

— მასში ვეცდებოდი მეპოვა ყველა მოვლენის ბუნების უკიდურესი ზღვარი, რომლის იქითაც არაფერი აღარ არის. მაგალითს მოვიყვან და ყველაფერს მიხვდები. ცოტა ხნის წინ გაზეთები ერთი მუშის ამბავს იუწყებოდნენ, რომელიც დენმა მოკლა. მაშინ მოკლა, როცა ელექტროხაზებს გაუფრთხილებლად მოექცა: ძაბვა დიდი არ იყო, ეტყობა, სხეული ძალიან გაოფლილი ჰქონდა. მის სიკვდილს სინესტის თხელ ფენას უკავშირებენ, რამაც ელექტროდენს შესაძლებლობა მისცა მთელი სხეული მოეცვა. სხეული ოდნავ მშრალი რომ ჰქონოდა, უბედურებაც არ მოხდებოდა. მიდი, ოფლს წვეთწვეთობით ოფლი დავუმატოთ... კიდევ ერთი წვეთი და ყველაფერი მზად არის.

— რაღაც ვერ გავიგე. — თქვა ოლივიემ.

— ცუდი მაგალითი შევარჩიე. მუდამ ცუდად ვირჩევ მაგალითებს. მაშინ მეორე მაგალითი ავიღოთ: აღმოაჩინეს ნავი, რომელშიც ზღვაში ჩაძირული გემის ექვსი მგზავრი იჯდა. ქარიშხალი ათი დღე აქეთ-იქით ატარებდა ნავს; სამი დაიღუპა, ორი გადარჩა, მეექვსე უგონოდ იყო; იმედი ჰქონდათ ესეც გადარჩებოდა, მაგრამ მისმა ორგანიზმმა ზღვრულ ნერტილს მიაღწია.

— ახლა მესმის, — თქვა ოლივიემ. — ერთი საათით ადრე შეიძლებოდა გადაერჩინათ.

— ერთი საათით ადრე, როგორც შენ იტყვი! უკიდურეს ნამს, გამოვთვალე...კიდევ შეიძლება... კიდევ შეიძლება... უკვე აღარ შეიძლება! ჩემი აზრი უკიდურეს, უწვრილეს ზღვარზე გადის. და აი, ვცდილობ, სადემარკაციო ხაზი გავავლო ყოფნასა და არყოფნას შორის. ნინააღმდეგობის ზღვარია... აი, ნინააღმდეგობის მაგალითი, რასაც მამაჩემი ცდუნებას უნოდებს. ვთქვათ, ადამიანი უძლებს, უძლებს; თოკი, რომელსაც ეშმაკი ეწევა, დაიჭიმა, სადაცაა განყდება... კიდევ ცოტაც და, თოკი წყდება: ადამიანი მარადიული ნამებისთვისაა განწირული. ახლა გესმის? სულ მცირე უკმარისობა და უკვე არყოფნაა. არც ღმერთი შექმნიდა სამყაროს და არც არაფერი იქნებოდა... „სამყაროს სახე შეიცვლებოდა", — თქვა პასკალმა. მაგრამ ჩემთვის საკმარისი არ არის გავაცნობიერო: „კლეოპატრას ცხვირი ცოტა მოკლე რომ ყოფილიყო". დაჟინებით ვკითხულობ: ცოტა მოკლე... რამდენად ცოტა? ხომ შეიძლება ოდნავ პატარა აღმოჩნდეს, ასე არ არის?.. თანდათანობით,თანდათანობით და უცებ უეცარი ნახტომი... Natura non fecit saltus[1] — რა უაზრობაა! მე რაც შემეხება, ამ შემთხვევაში, იმ არაბივით ვარ, რომელიც უდაბნოში დაეხეტება და სადაცაა წყურვილით მოკვდება. იმ კონკრეტულ ნერტილამდე მივედი, როცა ერთმა წვეთმა წყალმა კიდევ შეიძლება გადამარჩინოს... ანდა ერთმა ცრემლმა...".

ხმა ჩაეხლიჩა, პათეტიკური გაუხდა, რამაც ოლივიე გააოცა და ააღელვა. არმანმა მშვიდი, თითქმის ნაზი ხმით გააგრძელა:

„— ხომ გახსოვს: „მე ის ცრემლი შენთვის დამიღვრია...".

ცხადია, ოლივიეს ახსოვდა პასკალის ეს წინადადება; უხერხულობაც კი იგრძნო, როცა მისმა მეგობარმა ციტატა ზუსტად ვერ მოიყვანა. თავი ვერ შეიკავა და გაუსწორა: „მე ის სისხლი შენთვის დამიღვრია...".

---

1. ბუნება ნახტომს არ აკეთებს (ლათ.).

არმანის აღგზნებულება იმ წამსვე დაეცა. მან მხრები აიჩეჩა:

„— რა უნდა ქნა? არიან ისეთებიც, ვისაც ხელგაშლით მიიღებენ... ახლა, ალბათ, ხვდები, რასაც ნიშნავს, როცა გამუდმებით „ზღვარზე" გრძნობ თავს? მუდამ მეკლდება ერთი ქულა".

გაიცინა. ოლივიეს მოეჩვენა, იმიტომ გაიცინა, ტირილი არ დაეწყო. მოუნდა თვითონაც ეთქვა, თუ როგორ ააღელვა იმ ყველაფერმა, რაც მოისმინა: სიტყვებმაცა და ნერვული ირონიის ქვეშ შეფარულმა სევდამაც. მაგრამ პასავანთან შეხვედრის დრო მოახლოვდა; საათი ამოიღო:

„— უნდა დაგტოვო, — უთხრა. — საღამოს თავისუფალი ხარ?

— მერე რა?

„— პანთეონის ტავერნაში" მოდი ჩემს სანახავად. „არგონავტები" ბანკეტს აწყობენ. დასასრულისკენ მოდი. იქ უამრავი მეტნაკლებად გამორჩეული და ცოტა შეზარხოშებული ტიპი იქნება. ბერნარ პროფიტანდიეც დამპირდა მოსვლას. იქნებ, საინტერესოც იყოს.

— გაუპარსავი ვარ, — პირქუშად თქვა არმანმა. — თანაც გამოჩენილ ადამიანებთან რა მესაქმება? თუმცა, იცი რა? სარა მიიპატიჟე, დღეს დილას ინგლისიდან დაბრუნდა. აღტაცებული დარჩება, დარწმუნებული ვარ. გინდა, შენი სახელით მე დავპატიჟო? ბერნარი კი წამოიყვანს.

— კარგი, დაპატიჟე", — უთხრა ოლივიემ.

# VIII

•

შეთანხმდნენ, ბერნარი და ედუარდი ერთად ისადილებდნენ, მერე ათი საათისთვის სარას შეუვლიდნენ. არმანისგან გაფრთხილებულმა სარამ დაპატიჟება სიხარულით მიიღო. დაახლოებით ათის ნახევარზე, სარა დედის თანხლებით თავის ოთახში ადის; იქ შესასვლელად კი, მშობლების საძინებლის გავლაა საჭირო; მაგრამ მეორე კარიც ხომ არსებობს; ამ მეორე კარით, რომელიც ვითომ აჭედილია, სარას ოთახი არმანისას უკავშირდება. არმანის ოთახიდან გამოსასვლელი, როგორც უკვე ვთქვით, სამოსამსახურო კიბეზე გადის.

სარამ დედის დასწრებით ისეთი სახე მიიღო თითქოს ეძინებოდა და დანოლას აპირებდა, თან ითხოვა არ შემანუხოთო; როგორც კი მარტო დარჩა, მაშინვე ტუალეტის მაგიდასთან მივიდა, ტუჩ-ლოყა შეიღება; ტუალეტის მაგიდა ვითომ აჭედილი კარის წინ იდგა; მაგიდა მძიმე არ იყო და სარასთვის მისი უხმაუროდ გადაადგილება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა; მერე ის მოფარებული კარიც გამოაღო.

სარას ძმასთან შეხვედრა არ უყვარდა, რადგან მისი დაცინვისა ეშინოდა. თუმცა, არმანი სარას ყოველ გაბედულ ნამოწყებას ხელს უწყობდა; შეიძლება ითქვას, რომ ამ ხელშეწყობით სიამოვნებასაც იღებდა; მაგრამ, მისი შემწყნარებლობა დროებით ხასიათს ატარებდა, მერე თვითონვე გმობდა და თანაც საკმაოდ მკაცრადაც; ასე რომ, სარამ აღარ იცოდა არმანის მფარველობა როგორ გაეგო; იქნებ, მფარველობა ცენზორის ერთგვარი თამაშიც გახლდათ.

არმანის ოთახი ცარიელი იყო. სარა დაბალ სკამზე ჩამოჯდა და ჩაფიქრებულმა ცდა დაიწყო. შინაურთა ყოველი სათნოებისადმი წინააღმდეგობის რაღაც უცნაური გრძნობა ჰქონდა და მსუბუქ ზიზღს ჰგვრიდა. ოჯახის მხრიდან ზეწოლა ენერგიას მატებდა და მეამბოხურ ინსტინქტებს უმწვავებდა. ინგლისში ყოფნისას, გამბედაობა საბოლოოდ გამოაწრთო, მის აბერდინის, იმ ინგლისელი გოგონას მსგავსად, მათთან პანსიონში რომ ცხოვრობდა, და გადაწყვიტა თავისუფლება თვითონვე მოეპოვებინა, ყოველგვარი აკრძალვისთვის გადაებიჯებინა და საკუთარი  თავისთვის ყველაფრის უფლება მიეცა. გრძნობდა, მზად იყო ყველა წინააღმდეგობა გადაელახა, გაკიცხვას წინ აღდგო-

მოდა; გრძნობდა, შეეძლო ყოველგვარი გამოწვევის მიღება. ოლივიეს თავს რომ აწონებდა, მაშინ მოიპოვა გამარჯვება საკუთარ ბუნებრივ მოკრძალებაზე და თანდაყოლილ მორცხვობაზეც. მაგალითად ორი და ჰყავდა: რაშელის ღვთისნიერი მორჩილება სიბრიყვედ მიაჩნდა; ხოლო ლორას ქორწინებაში უბადრუკ გარიგებას ხედავდა, რომელიც მონობამდე მიდის. ის განათლება, რომელიც მიიღო, რომელიც საკუთარ თავს მისცა, რომელსაც მიაღწია, მისი აზრით, ცოლქმრული მოწიწებისკენ მაინცადამაინც არ განაწყობდა. ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ კაცი, რომელსაც შეიძლება ცოლად გაჰყოლოდა, რაღაცით უკეთესი იქნებოდა მასზე. განა რომელიმე მამაკაცზე ნაკლებად ჩააბარა გამოცდები? განა ყველა საკითხზე საკუთარი აზრი, საკუთარი შეხედულება არ აქვს? სახელდობრ, სქესთა თანასწორობაზე. ხშირად ეჩვენებოდა, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში, სხვა საქმეებში, თვით პოლიტიკაშიც კი, ქალი უფრო ჯანსაღად აზროვნებდა, ვიდრე ბევრი მამაკაცი...

ფეხის ხმა კიბეზე. ყური მიუგდო, მერე კარი ფრთხილად გამოაღო.

ბერნარი და სარა ჯერ კიდევ ერთმანეთს არ იცნობდნენ. დერეფანი არ ნათდებოდა; სიბნელეში ძლივს გაარჩიეს ერთურთი.

„— მადმუაზელ სარა ვედელი ბრძანდებით?“ — ჩურჩულით ჰკითხა ბერნარმა.

სარას ბევრი არც უფიქრია, უცერემონიოდ მაშინვე მკლავზე მოჰკიდა ხელი ბერნარს.

„— ქუჩის კუთხეში ედუარდი ავტომობილში გველის. მანქანაში დარჩენა ამჯობინა, შემთხვევით თქვენს მშობლებს რომ არ გადაყროდა. ჩემთვის კი მნიშვნელობა არ აქვს; ხომ იცით, აქ ვცხოვრობ“.

ბერნარმა ალაყაფის კარი წინდახედულად დატოვა ღიად, რათა მეკარის ყურადღება არ მიექციათ; რამდენიმე წუთის შემდეგ ისინი „ტავერნა პანთეონის“ წინ მანქანიდან გადმოვიდნენ. იმავე წუთში, როცა ედუარდმა მძღოლს ფული გადაუხადა, საათმა ათი დარეკა.

ბანკეტი დამთავრებულიყო; სუფრა აელაგებინათ, მაგიდაზე ყავის უამრავი ფინჯანი, ბოთლი და ჭიქები დარჩენილიყო. ყველა აბოლებდა და სუნთქვა თითქმის შეუძლებელი იყო. ქალბატონი დე ბრუსი, „არგონავტების“ დირექტორის ცოლი, ჰაერს ითხოვდა; მისი გამკივანი ხმა კერძო საუბრებს შორის იკვლევდა გზას. ფანჯარა გააღეს. მაგრამ ჟიუსტინიენმა, სიტყვის თქმა რომ უნდოდა, მაშინვე ბრძანა მისი დაკეტვა, „აკუსტიკისთვისო“; მერე ადგა, თავის ჭიქაზე კოვზი აანკა-

რუნა, ამაოდ ცდილობდა ყურადღების მიქცევას. ბოლოს და ბოლოს, „არგონავტების“ დირექტორს, ჩვეულებრივ, თავმჯდომარე დე ბრუსს რომ ეძახდნენ, მოუწია საქმეში ჩარევა, და, როცა, როგორც იქნა, ოდნავი სიჩუმე ჩამოვარდა, ჟიუსტინიენმა დამსწრეთა თავებზე მომაკვდინებელი მონყენილობის სუფრის გაშლა დაიწყო. თავისი აზრების ბანალურობას, სახეთა ნიაღვრით ფარავდა; აზრის უკმარისობა მაღალფარდოვნებით აანაზღაურა, თანაც საშუალებაც მონახა თითოეულისთვის უაზრო კომპლიმენტიც მიეძღვნა. ზუსტად იმ მომენტში, როცა ედუარდი, ბერნარი და სარა დარბაზში შედიოდნენ, ორატორმა პირველი შესვენება გააკეთა და თავაზიანი აპლოდისმენტებიც გაისმა; ზოგიერთმა ირონიულად გააგრძელა ტაშის დაკვრა, იქნებ როგორმე დასრულდეს ეს გამოსვლაო. საუბედუროდ, სიტყვათა ნაკადის შეჩერება შეუძლებელი აღმოჩნდა: ჟიუსტინიენმა ისევ დაიწყო. ამჯერად, თავისი რიტორიკული ყვავილები გრაფ დე პასავანს დააყარა. „ღერძზე“ ისე ლაპარაკობდა, როგორც ახალ „ილიადაზე“. პასავანის სადღეგრძელო დალიეს. ედუარდს, ბერნარსა და სარას ჭიქები არ ჰქონდათ; რამაც სადღეგრძელოს შესმას გადაარჩინა ისინი.

ჟიუსტინიენის სიტყვა ახალი ჟურნალის მიმართ უამრავი კეთილი სურვილითა და მისი მომავალი რედაქტორისადმი რამდენიმე ქათინაურით დამთავრდა: „ჭაბუკ და ნიჭიერ მოლინიეს, მუზების რჩეულს, რომლის კეთილშობილურ შუბლსაც დიდხანს არ მოუწევს ლოდინი და დაფნის გვირგვინს...“.

ოლივიე შემოსასვლელი კარის ახლოს იდგა, რათა უმალ შეხვედროდა თავის მეგობრებს. ჟიუსტინიენის ქათინაურები აშკარად არ ესიამოვნა, მაგრამ პატარა ოვაციის აცდენა, ამ სიტყვებს რომ მოჰყვა, ვერ შეძლო.

სამივე ახალმოსული ზომიერად იყო ნავახშმი, ამიტომაც შეკრებილთა დიაპაზონზე გადასვლა ვერ შეძლეს. ასეთ თავყრილობებზე გვიან მისულნი ჩვეულებრივ ან საერთოდ ვერ იგებენ საყოველთაო აღგზნების მიზეზს ან მეტისმეტად კარგად იგებენ. ისინი ჯერ მსჯელობას იწყებენ, სამსჯელო და საკამათო კი არაფერია, ამიტომ ნებით თუ უნებლიეთ, მერე უმოწყალო კრიტიკაზე გადადიან. ყოველ შემთხვევაში, ედუარდსა და ბერნარს ასე დაემართათ. რაც შეეხება სარას, მისთვის ეს საზოგადოება სრულიად ახალი იყო და იმაზეღა ფიქრობდა, რაც შეიძლება მეტი ენახა და თეთრ ყვავად არ გამოჩენილიყო.

ბერნარი არავის იცნობდა. ოლივიემ ხელი გამოსდო, უნდოდა

მისთვის პასავანი და დე ბრუსი გაეცნო. მან უარი უთხრა. ამ დროს თვითონ პასავანი მიუახლოვდათ, ხელი გაუწოდა, ბერნარმა თავაზიანობის გამო ხელის ჩამოურთმევლობა, უბრალოდ, ვერ შეძლო.

„— თქვენზე ბევრი მესმენია; ასე მგონია, უკვე გიცნობთ.

-— „მეც ასევე". — უთხრა ბერნარმა ისეთი ტონით, რომ პასავანის გულითადობიდან კვალიც აღარ დარჩა და ისიც მაშინვე ედუარდთან მივიდა.

მიუხედავად იმისა, რომ ედუარდი უმეტეს დროს მოგზაურობაში ატარებდა, პარიზში კი იშვიათად იყო, მაინც ბევრ სტუმარს იცნობდა და უხერხულობას არ გრძნობდა; თანამოკალმეებს მაინცადამაინც არ უყვარდათ, სამაგიეროდ, პატივს სცემდნენ; უკარება კაცი იყო და ამპარტავანი ადამიანის სახელით სარგებლობდა. მას ლაპარაკზე მეტად, მოსმენა უყვარდა.

„— თქვენმა დისწულმა იმედი მომცა, რომ მობრძანდებოდით, — დაიწყო პასავანმა მშვიდი და დათაფლული ხმით. — გახარებული დავრჩი, რადგან ზუსტად...".

ედუარდის ირონიულმა გამოხედვამ წინადადების დამთავრების საშუალება არ მისცა. მოხიბვლის ხელოვნების მფლობელი პასავანი ჩვეული იყო რომ უნდა მოსწონებოდათ, გაბრწყინებისთვის აუცილებლად კეთილგანწყობის სარკე სჭირდებოდა. თუმცაღა მაშინვე დაეუფლა თავს, რადგან იმ ადამიანთა რიცხვს როდი ეკუთვნოდა მაშინვე რომ კარგავენ ფეხქვეშ ნიადაგს და მარცხს ურიგდებიან. მან თავი ასწია და თვალში თავხედურმა ნაპერწკალმა გაუელვა. თუ ედუარდს არ სურს თავისი ნებით ჩაებას თამაშში, მაშინ იპოვის საშუალებას მის ასალაგმად.

„— მინდოდა მეკითხა, — ისე დაიწყო თითქოს თავის აზრს აგრძელებსო, — ახალი რამე ხომ არ იცით, თქვენს მეორე დისწულზე და ჩემს მეგობარ ვენსანზე? მე ხომ პირველ რიგში მასთან ვიყავი დაკავშირებული.

„— არა", — მშრალად უპასუხა ედუარდმა.

ამ „არა"- მ ხელახლა განაიარაღა პასავანი, რადგან აღარ იცოდა როგორ მიეღო ეს სიტყვა, როგორც პროვოკაციული უარყოფა, თუ უბრალოდ პასუხი კითხვაზე. მხოლოდ ერთ წამს გაგრძელდა მისი დაბნეულობა; უნებლიეთ ისევ ედუარდმა გამოიყვანა მდგომარეობიდან, რადგან დაუმატა:

„— მამამისისგან მხოლოდ ის გავიგე, რომ მონაკოს მთავართან ერთად მოგზაურობს.

— დიახ, ერთ ჩემს მეგობარ ქალს ვთხოვე იგი მთავრისთვის წარედგინა. მიხარია, რომ ეს გასეირნება მოვიგონე მისთვის, იქნებ ქალბატონ დუვიესთან, რომელსაც, როგორც ოლივიემ მითხრა, თქვენც იცნობთ, იმ უიღბლო თავგადასავლის მერე ცოტა ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანა... თორემ, შეიძლებ ცხოვრება არეოდა“.

პასავანი დაუდევრობის, ზიზღის, შემნყნარებლობის ხელოვნებას დიდებულად ფლობდა; ახლა მას ამ პარტიის მოგება სჭირდებოდა, რათა ედუარდი გარკვეულ მანძილზე შეეკავებინა. ეს უკანასკნელი კი ცდილობდა, რალაც მკვახე პასუხისთვის მიეგნო. ალბათ, ამიტომაც არ უყვარდა საზოგადოებაში ყოფნა: ის თვისებები არ გაჩნდა იქ რომ ებრწყინა. ამასობაში, წარბებიც მოეღუშა. პასავანს კი ალღო გამახვილებული ჰქონდა: როგორც კი ვინმე მისთვის რამე უსიამოვნოს თქმას დააპირებდა, ის უცბად გრძნობდა და საუბრის გეზს მაშინვე ცვლიდა. ახლაც სული არ მოუთქვამს, უცბად შეცვალა თემა:

„— ვინ არის ეს მომხიბლავი გოგონა, თქვენთან ერთად რომ მოვიდა? — იკითხა ღიმილით.

— მადმუაზელ სარა ვედელია, — უთხრა ედუარდმა, ზუსტად იმ ქალბატონ დუვიეს, ჩემი მეგობრის და“.

უკეთესი რადგან ვერ მოიფიქრა „ჩემი მეგობარი“ ინტონაციით ისე გაამახვილა, ისარს დაამსგავსა; ოღონდ მიზანს ვერ მიაღწია; პასავანი მის აცდენას ეცადა:

„— დიდ თავაზიანობას გამოიჩენთ, თუ მასთან წარმადგენთ“.

ეს ბოლო სიტყვებიცა და მომდევნო წინადადებაც ისე ხმამაღლა თქვა, რომ სარას გაეგო, და რადგან გოგონა მათკენ შემობრუნდა, ედუარდმა ამისი არიდება ვეღარ შეძლო:

„— სარა, გრაფი დე პასავანი თქვენი გაცნობის პატივზე ოცნებობს“, — უთხრა ძალდატანებული ღიმილით.

პასავანმა სამი ახალი ჭიქა მოატანინა და კიუმელით[1] აავსო. ოთხივემ ოლივიეს სადღეგრძელო შესვა. ბოთლი თითქმის ცარიელი იყო და რადგან სარა ძირში ჩარჩენილი კრისტალებით დაინტერესდა, პასავანმა მათი ამოღება ჩალის ღეროთი სცადა. ამ დროს მათ პუდრით

1. ქლიავის არაყი.

სახეგადათეთრებული, შავთვალა და შუბლზე მოლუსკისებურად არახ-ჩინივით თმადახვეული ვინმე მასხარა მიუახლოვდათ, რომელიც შესამ-ჩნევი ძალდატანებით წარმოთქვამდა თითოეულ მარცვალს:

„— არ გამოგივათ. მომეცით ბოთლი, ახლავე გავტეხავ“.

ბოთლს ხელი სტაცა, ფანჯრის რაფის კიდეს ჩამოჰკრა, გატეხა, ძირი სარას მიართვა და უთხრა:

„— ამ პატარა ბასრი მრავალნახნაგებით, ძვირფასო მადმუაზელ, ძალიან ადვილად მიიღწევა ფაშვის გახვრეტა.

— ვინ არის ეს პიერო? — ჰკითხა სარამ პასავანს, რომელმაც გოგონა დასაჯდომად მიიწვია და თვითონაც მის გვერდით მოკალა-თდა.

— ალფრედ ჟარია[1], „მეფე იუბიუს“ ავტორი. „არგონავტები“ გენიოსად მიიჩნევენ, რადგან პუბლიკამ ამ ცოტა ხნის წინ მის პიესას დაუსტვინა. თუმცა, მრავალი წლის შემდეგ ეს ყველაზე საყურადღებო მოვლენა იყო თეატრში.

— ძალიან მომწონს „მეფე იუბიუ“, — თქვა სარამ, — კმაყოფილი ვარ ჟარი რომ ვნახე. მეუბნებოდნენ მუდამ მთვრალიაო.

— დღეს სიმართლეს ჰგავს. დავინახე, ვახშმობისას აბსენტით სავსე ორი დიდი ჭიქა როგორ დალია. ეტყობა, ამისა საერთოდ არ რცხ-ვენია. სიგარეტი გნებავთ? როცა ირგვლივ ყველა ეწევა, სული რომ არ შეგეხუთოთ, თვითონაც უნდა მოსწიოთ“.

მისკენ გადაიხარა და სიგარეტთან ანთებული ასანთი მიუტანა. გოგონამ რამდენიმე კრისტალი გააკნატუნა.

„— შაქარყინული ყოფილა, — თქვა სარამ ოდნავ იმედგაცრუებუ-ლი ხმით. — მე კი რაღაც უჩვეულო მეგონა“.

ის პასავანს ესაუბრებოდა და ბერნარს ულიმოდა, რომელიც მის გვერდით იდგა. გოგონას გამხიარულებული თვალები უჩვეულოდ ბრწყინავდა. აქამდე, სიბნელეში, ბერნარმა მისი შეთვალიერება ვერ შეძლო, ახლა განცვიფრებული იყო — როგორ ჰგავდა სარა ლორას: იგივე შუბლი, იგივე ბაგე... ოღონდ, მისი ნაკვთები ანგელოზური დახვე-წილობით არ სუნთქავდა, ხოლო გამოხედვას რაღაც გაუგებარი ბუნდო-ვანება შეჰქონდა მის გულში; ოდნავ დარცხვენილი ბერნარი ოლივიეს მიუბრუნდა:

---

1. ფრანგი მწერალი (1873 - 1907).

„— შენი მეგობარი ბერკელი გამაცანი".

ბერკელს უკვე შეხვედროდა ლუქსემბურგის ბაღში, მაგრამ მასთან არასოდეს უსაუბრია. ამ ახალ გარემოში, სადაც ოლივიეს წყალობით მოხვდა, ბერკელიც უცხოდ გრძნობდა თავს, მორცხვობის დაძლევა ვერ შეძლო და გამუდმებით წითლდებოდა, როცა მისი მეგობარი ვინმეს წარუდგენდა, როგორც „ავანგარდის" ერთ-ერთ ნამყვან თანამშრომლად. საქმე ისაა, რომ ახალი ჟურნალის პირველივე ნომერში, მანიფესტის შემდეგ, ის ალეგორიული ლექსი უნდა დაბეჭდილიყო, რომელზეც ოლივიეს ელაპარაკა ჩვენი თხრობის დასაწყისში.

„— იმ ადგილზე, შენთვის რომ შევინახე. — უთხრა ოლივიემ ბერნარს. — აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ მოგეწონება! ყველას სჯობია, რაც ნომერშია. თანაც ორიგინალურად არის დანერილი!"

ოლივიეს მეგობრების ქება უფრო უყვარდა, ვიდრე მას რომ აქებდნენ. ბერნარის მიახლოებისთანავე ლუსიენ ბერკელი წამოდგა; ხელში ყავის ფინჯანი შერჩა, თანაც ისე მოუხერხებლად ეჭირა, ნახევარი ჟილეტზე გადაესხა. ამ დროს, იქვე ახლოს, ჟარის მექანიკური ხმაც გაისმა:

„— პატარა ბერკელი ახლა მოიწამლება, რადგან ფინჯანში სანამლავი ჩავუყარე".

ჟარის ბერკელის მორცხვობა ართობდა და სიამოვნებას ჰგვრიდა მისი შეცბუნება. ოლონდ, ბერკელს ჟარისა არ ეშინოდა. მან მხრები აიჩეჩა და მშვიდად გაათავა ყავა.

„— ვინ არის! — იკითხა ბერნარმა.

— როგორ! არ იცნობ „მეფე იუბიუს" ავტორს?

— შეუძლებელია! ჟარია? მე კი მსახური მეგონა.

— ოო! ეს უკვე მეტისმეტია, — თქვა ოდნავ გაღიზიანებული ხმით ოლივიემ, რომელიც თავისი სახელგანთქმული ადამიანებით ამაყობდა. — აბა, კარგად შეხედე, ვერ ხედავ რა ორიგინალურია?

— ყველაფერს აკეთებს, რომ ასეთად გამოჩნდეს", — თქვა ბერნარმა, რომელიც მხოლოდ ბუნებრივს ამჯობინებდა, თუმცა „იუბიუ" პატივისცემით აღავსებდა.

ჟარიში, ყველაფერი, ჟოკეის ტრადიციული ქურთუკიდან დაწყებული, ყველაფერი ღვარძლით სუნთქავდა: პირველ რიგში კი ლაპარაკის მანერა. ბევრი „არგონავტი" ერთმანეთს ასწრებდა და ბაძავდა მას, მკაფიოდ გამოთქვამდნენ მარცვლებს, სიტყვებს რომ ამახინჯებდა, იგო-

ნებდნენ უცნაურ სიტყვებს და ამაოდ ცდილობდნენ ტემბრის, ემოციის, ინტონაციის, გამომხატველობას მოკლებული მისი ხმის მიბაძვას.

„— გარწმუნებ, ახლო ურთიერთობაში მომხიბვლელია, — განაგრძო ოლივიემ.

— ისეთი მძვინვარე სახე აქვს, ვამჯობინებ, არ გავიცნო.

— ეს მხოლოდ თამაშია. პასავანს ისიც ჰგონია, რომ შინაგანად ძალიან მგრძნობიარეა. დღეს ბევრი დალია, თანაც, შეგიძლია დამიჯერო, წყალი წვეთი არ მიუყოლებია; არც ღვინო დაულევია, მხოლოდ აბსენტი და მაგარი ლიქიორები სვა. პასავანი შიშობს, რამე ექსცენტრული არ ჩაიდინოსო".

არ უნდოდა, მაგრამ პასავანის სახელი მაინც მოსწყდა მის ბაგეს, თანაც, რაც ხშირად ახსენებდა, მით მეტად უნდოდა თავის არიდება.

გულდაწყვეტილმა, რომ ვერ შეძლო საკუთარი სიტყვის მართვა, თითქოს საკუთარ თავს გაურბისო, ლაპარაკის თემა შეცვალა:

„— დიურმერს ცოტა გაესაუბრე; ასე მგონია, რომ ჩემზე ძალიან ნაწყენია, რადგან „ავანგარდის" ხელმძღვანელობა ავართვი; მაგრამ ჩემი ბრალი არ არის; არჩევანის საშუალება არ მქონდა. ეცადე, აუხსნა და დაამშვიდო... პას... მითხრეს, რომ ჩემზე საშინლად აღრენილია".

ნაიბორძიკა, მაგრამ, ამჯერად, არ დაცემულა.

„— იმედი მაქვს. თავისი ხელნაწერი წაილო. არ მომენონა. — თქვა ბერკელმა; მერე პროფიტანდიეს მიუბრუნდა და ჰკითხა: — თქვენ, ბატონო, ვფიქრობ, რომ...

— ოო, ბატონს ნუ დამიძახებთ... კარგად ვიცი, ვეებერთელა და სასაცილო გვარს ვატარებ... ფსევდონიმს ავიღებ, თუ წერა დავიწყე.

— რატომ რამე არ მოგვეცით?

— იმიტომ, რომ მზად არაფერი მაქვს".

ოლივიემ თავისი ორივე მეგობარი საუბარში მიატოვა და ედუარდთან მივიდა.

„— რა თავაზიანი ხართ, რომ მობრძანდით! ძალიან მინდოდა თქვენი ნახვა. მაგრამ, მერჩივნა, სხვაგან სადმე შევხვედროდით, ოღონდ აქ არა... დღეს, სადილის შემდეგ თქვენთან ვიყავი. გითხრეს? ძალიან დავღონდი, სახლში რომ ვერ გნახეთ; რომ მცოდნოდა, თქვენი პოვნა სად შეიძლებოდა...".

გაუხარდა ასე ადვილად რომ გამოხატა სათქმელი; ის დრო გაახსენდა ედუარდთან ენა რომ ებმებოდა მღელვარებისგან. ამ სიმსუბუქეს,

სამწუხაროდ, თავისი სიტყვების ბანალობას უნდა უმადლოდეს და კიდევ დალეულ ღვინოს. ამას ედუარდიც გრძნობდა ნაღვლიანად.

„— დედათქვენთან ვიყავი.

— როგორც კი სახლში დავბრუნდი, გავიგე.., — უთხრა ოლივიემ; გული დაუმძიმდა, ედუარდი რომ თქვენობით მიმართავდა; ერთი პირობა უნდოდა კიდეც ეს ედუარდისთვის ეთქვა, მაგრამ შეყოყმანდა.

— ამიერიდან, ამ საზოგადოებაში აპირებთ ცხოვრებას? — ჰკითხა ედუარდმა და თვალებში შეხედა.

— ო! არა, არ ავყვები.

— დარწმუნებული ხართ?"

ეს სიტყვები ისეთი სინაზით, ისეთი სერიოზულობით, ისეთი მშობლიური ტონით იყო ნათქვამი... ოლივიემ იგრძნო მისმა თავდაჯერებულობამ იკლო.

„— გგონიათ, რომ ამ ხალხთან ურთიერთობა არ უნდა მქონდეს?

— იქნებ ყველასთან არა, მაგრამ ზოგიერთებთან აუცილებლად".

ოლივიემ მრავლობითი მხოლობითში გადაიტანა. გადაწყვიტა, ედუარდს, პირველ რიგში, მხედველობაში პასავანი ჰყავსო, და მისი შინაგანი ცა, დილიდანვე შავი ღრუბელით რომ იფარებოდა, უეცრად, თითქმის დამაბრმავებელმა ელვამ გაანათა და მტკივნეულად აისახა მის გულზე. მეტისმეტად ძლიერ უყვარდა ბერნარი და ედუარდი, ვერ აიტანდა მათ უკმაყოფილებას. ედუარდის გვერდით, რაც რამ კარგი ჰქონდა, ყველაფერი გამოაჩინა. პასავანის გვერდით კი, რაც რამ ცუდი ჰქონდა. ახლაღა გამოუტყდა საკუთარ თავს. მაგრამ, განა თავიდანვე ამას არ გრძნობდა? მაგრამ იყო კი პასავანით მისი დაბრმავება ნებაყოფლობითი? მისი მადლიერება ყველაფრისთვის, რაც გრაფმა მისთვის გააკეთა, სწრაფად გადაიზარდა ღვარძლში. ახლა უკვე უარყოფდა მას; მომდევნო სცენამ კი პასავანის სიძულვილი აიძულა:

სარასკენ გადახრილმა პასავანმა, გოგონას წელზე ხელი შემოხვია და დაჟინებული ისწრაფოდა მისკენ. ოლივიესთან მის ურთიერთობებზე არასასიამოვნო ამბავი უკვე გაგებული ჰქონდა, და ახლა უნდოდა ყველა დაერწმუნებინა ამ მითქმა-მოთქმის უსაფუძვლობაში; უკეთ რომ მიექცია ყურადღება, ცდილობდა როგორმე სარა თავის მუხლებზე დაესვა. სარა ჯერ არც მაინცადამაინც გაძალიანებია, ბერნარის თვალი კი მოძებნა, როცა მათი გამოხედვა ერთმანეთს შეხვდა, გოგონამ გაუღიმა, თითქოს ეუბნებოდა: „შეხედე, რა შეიძლება გამიბედონ"- ო.

პასავანს სწრაფი მოქმედებისა ეშინოდა, ვერ ბედავდა: გამოცდილება აკლდა.

„თუ ცოტა დალევა კიდევ ვაიძულე, მაშინ გავბედავ“, — ეუბნებოდა საკუთარ თავს და თავისუფალი ხელით კურასოს ბოთლს გადასწვდა.

ოლივიე მის მოძრაობას უთვალთვალებდა და დაასწრო; ბოთლს დაეუფლა, და მხოლოდ იმიტომ, რომ პასავანისთვის წაერთმია. მაშინვე მიხვდა, ლიქიორი მეც გამბედაობას მომცემსო; გამბედაობა უფრო და უფრო აკლდებოდა; გამბედაობა კი სჭირდებოდა, ედუარდთან რომ მიეტანა ბაგეზე მომდგარი ჩივილი:

„— მხოლოდ ერთი თქვენი...“.

ოლივიემ ჭიქა შეივსო და უცბად გადაჰკრა. ამ დროს შემოესმა ჟარიმ, ჯგუფიდან ჯგუფში რომ დაძვრებოდა, ბერკელის უკან ჩავლისას, როგორ თქვა:

„— ახლა პატარა ბერკელს მოვკლავთ“.

ბერკელი სწრაფად შებრუნდა და უთხრა:

„— აბა, ხმამაღდა გაიმეორეთ“.

მაგრამ ჟარი მას უკვე გაშორდა, მაგიდას შემოუარა და გამყინავი ხმით დაიძახა:

„— ახლა პატარა ბერკელს მოვკლავთ“, — მერე ჯიბიდან დიდი პისტოლეტი ამოიღო, რომლითაც „არგონავტების“ თვალწინ ხშირად თამაშობდა და დაუმიზნა.

ჟარი კარგი მსროლელის სახელით სარგებლობდა. მაგრამ, ახლა ძნელი იყო თქმა, შეძლებდა კი ასეთი მთვრალი, მხოლოდ უბრალო თამაშით დაკმაყოფილებულიყო. მაგრამ ჭაბუკმა ბერკელმა გადაწყვიტა მისთვის ეჩვენებინა, რომ მისი ასე ადვილად შეშინება გამორიცხული იყო; სკამზე ავიდა, ხელები ზურგს უკან შემოიწყო და ნაპოლეონის პოზა მიიღო. ცოტა სასაცილოდ გამოიყურებოდა, და ვიღაცებმა გაიცინეს კიდეც, მაგრამ სიცილი მაშინვე ტაშმა დაფარა.

პასავანმა ძალიან სწრაფად უთხრა სარას:

„— ეს შეიძლება ცუდად დამთავრდეს. ძალიან მთვრალია. მაგიდის ქვეშ დაიმალეთ“.

დე ბრუსი ჟარის დაჭერას ეცადა, მაგრამ იგი ხელიდან გაუსხლტა; ისიც სკამზე აძვრა (ბერნარმა შეამჩნია, ძალიან პატარა სამეჯლისო ფეხსაცმელი ეცვა), ბერკელის პირისპირ მდგარმა, ხელი გაშალა და დამიზნება დაიწყო.

„— სინათლე ჩააქრეთ! ჩქარა!“ — დაიყვირა დე ბრუსმა.

კართან ახლოს მდგარმა ედუარდმა, ჩამრთველი გადაატრიალა.

სარამ პასავანის რჩევას დაუჯერა, როგორც კი სინათლე ჩაქრა, ადგა, ბერნარს მიეკრო და მაგიდის ქვეშ შეიყოლა.

გაისმა სროლა. მერე როგორც აღმოჩნდა, პისტოლეტი ფუჭი ვაზნებით ყოფილა დატენილი; მიუხედავად ამისა, ვიღაცამ სიმწრით მაინც დაიყვირა; ჟიუსტინიენი აღმოჩნდა, რომელსაც თვალში მოხვდა სატენი.

როცა სინათლე აანთეს, ყველა აღფრთოვანებული იყო ბერკელით, რომელიც სკამზე იგივე პოზაში იდგა, ოდნავ შესამჩნევად გაფითრებული.

მაგრამ დე ბრუსის ცოლს ისტერიკა დაეწყო; მის გრძნობაზე მოყვანას შეუდგნენ.

„— უაზრობაა ასე ითამაშო ადამიანის ნერვებზე".

რადგან მაგიდაზე გრაფინით წყალი არ იდგა, თავისი კვარცხლბეკიდან ჩამოსულმა ჟარიმ ღვინოში დაასველა ცხვირსახოცი და, თითქოს ბოდიშს იხდისო, საფეთქლების ზელა დაუწყო ქალს.

ერთ წამს დარჩა ბერნარი მაგიდის ქვეშ და ესეც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა ეგრძნო, მის ბაგეს რა ვნებიანად შეეწება სარას მხურვალე ტუჩები. ოლივიეც მაგიდის ქვეშ შემძვრალიყო. მეგობრობის გამო ალბათ, იქნებ შურითაც... სიმთვრალემ უფრო გაულრმავა მისთვის ასე ნაცნობი მიტოვებულობის საშინელი გრძნობა. როცა მაგიდის ქვეშიდან გამოძვრა, თავი ოდნავ უბრუოდა. ამ დროს დიურმერის ყვირილიც შემოესმა:

„— მოლინიეს შეხედეთ ერთი! ქალივით შეეშინდა".

ეს უკვე მეტისმეტი იყო. ოლივიე, ისე, რომ არც იცოდა რას აკეთებდა, ხელანეული დიურმერისკენ გაეარდა; სიზმარში ეგონა თავი, ისე მოძრაობდა; დიურმერმა დარტყმა აირიდა; და ისევე, როგორც სიზმარში, ოლივიეს ხელს სიცარიელე დახვდა.

საერთო არეულობა დაიწყო: ზოგი დე ბრუსის ცოლის ირგვლივ ქოთქოთებდა, ზოგი დიურმერის გარშემო შექუჩდა, რომელიც გაჰყვიროდა: „ვერ მომარტყა, ვერ მომარტყა!..", სხვები ოლივიეს შემოეხვივნენ, რომელსაც სახეაწითლებოდა და ახალი შეტევისთვის ემზადებოდა; ცოტა ძალ-ღონე როდი დასჭირდა მის დაწყნარებას.

მოგხვდა თუ არ მოგხვდა, მნიშვნელობა არ აქვს, მაინც სილაგანნულად უნდა იგრძნო თავიო — ცდილობდა ჩაეგონებინა დიურმერისთვის ჟიუსტინიენს, თან თვალს იწმენდდა; ღირსების შეურაცხყოფის

საკითხიაო. ოლონდ, დიურმერს ნაკლებად აშფოთებდა ღირსების შეურაცხყოფის ჟიუსტინიენისეული გაკვეთილები და ისევ ჯიუტად გაიძახოდა: „ვერ მომარტყა... ვერ მომარტყა"- ო.

„— თავი დაანებეთ, — თქვა დე ბრუსმა. — არ შეიძლება ადამიანი აიძულო იბრძოლოს, თუ არ სურს".

მაგრამ ოლივიემ ყველას გასაგონად განაცხადა, თუ დიურმერისთვის ეს ცოტაა, მაშინ მზად ვარ ერთი სილა კიდევ გავაწნაო, და მისი დუელში გამოწვევის განზრახვით, ბერნარსა და ბერკელს სთხოვა სეკუნდანტობა. არც ერთსა და არც მეორეს ეგრეთ წოდებულ „ღირსების" საქმეზე წარმოდგენა არჰქონდა; ხოლო ედუარდისთვის რომ მიემართა დახმარებისთვის ოლივიემ ვერ გაბედა. ოლივიეს ჰალსტუხი შეხსნოდა; თმა ოფლიან შუბლზე ჩამოშლოდა; ხელები კი უთრთოდა.

ედუარდმა მკლავში ხელი გამოსდო.

„— წამოდი, სახეზე ცოტა წყალი შეისხი; შეშლილს გევხარ".

და პირსაბანთან მიიყვანა.

დარბაზიდან გამოვიდა თუ არა, მაშინვე მიხვდა, როგორი მთვრალიც იყო. როცა თავის მკლავზე ედუარდის ხელი იგრძნო, მოეჩვენა, ახლავე გული წამივაო, წინააღმდეგობა აღარ გაუწევია, გაჰყვა. რასაც ედუარდი ელაპარაკებოდა, იქიდან მხოლოდ ის გაიგო, რომ შენობით მიმართავდა. მოეჩვენა გული ცრემლით ისე ეშრიტებოდა, როგორც ქუფრი ღრუბელი იცლება წვიმისგან. სველმა ხელსაბანმენდმა, ედუარდმა რომ შუბლზე დაადო, საბოლოოდ გამოაფხიზლა. რა მოხდა? ბუნდოვნად შემორჩა მის მეხსიერებას, რომ ბავშვივით მოიქცა, უტიფარივით. სასაცილო და საზიზღარი გამოჩნდა... მწუხარებისა და სინაზისგან აკანკალებული, ედუარდს მიეხუტა და ატირდა:

„— წამიყვანე".

ედუარდიც მეტისმეტად იყო აღელვებული.

„— მშობლებთან? — ჰკითხა.

— ჯერ არ იციან რომ დავბრუნდი".

როცა დარბაზი გადაჭრეს და გასასვლელისკენ გაემართნენ, ოლივიემ თანამგზავრს უთხრა, წერილი უნდა დავწეროო:

„— ახლა რომ ჩავაგდო საფოსტო ყუთში, ხვალ დილით მიიღებენ".

მაგიდას მიუჯდა და დაწერა:

„ჩემო ძვირფასო ჟორჟ,

დიახ, მე გნერ ნერილს; გთხოვ, ერთი პატარა სამსახური გამინიო. ბუნებრივია, შენთვის ახალი ამბავი არ იქნება ის, რომ პარიზში ვარ, რადგან, ასე მგონია, ამ დილას სორბონთან დამინახე. გრაფ დე პასავანთან გავჩერდი (მისამართი დანერა), ჩემი ნივთები ჯერ კიდევ მასთან არის. ზოგიერთი მიზეზის გამო, რომლის ახსნასაც დიდი დრო დასჭირდება და არც ისე საინტერესოდ მოგეჩვენება, ვამჯობინებ, მასთან აღარ დავბრუნდე. შენს გარდა, ნივთების მოსატანად ნასვლას ვერავის ვთხოვ. იმედი მაქვს, უარს არ მეტყვი. ვალში არ დაგრჩები თუ ამ სამსახურს გამინევ. ერთი ჩემოდანი გასაღებით არის დაკეტილი. ის ნივთები კი, რომლებიც ოთახშია, მეორე ჩემოდანში ჩაანყვე და ყველაფერი ძია ედუარდთან მოიტანე. ტაქსის ფულს მე ვიხდი. საბედნიეროდ, ხვალ კვირაა და შეგიძლია ეს მაშინვე გააკეთო, როგორც კი ჩემს ნერილს მიიღებ. შენი იმედი მაქვს.

შენი უფროსი ძმა

„ოლივიე“

P. S. — ვიცი, საქმიანი ბიჭი ხარ; ეჭვი არ მეპარება ყველაფერს კარგად გააკეთებ; ოღონდ გაითვალისწინე: თუ უშუალოდ პასავანთან მოგიწევს ლაპარაკი, ეცადე, ცივად მოექცე. ხვალ დილამდე“.

იმ სტუმრებისთვის, დიურმერის შეურაცხმყოფელი სიტყვები ვინც ვერ მოისმინა, ოლივიეს მოულოდნელი აგრესიულობის მიხვედრა ძნელი იყო. ფიქრობდნენ, უბრალოდ თავი დაკარგაო. ბერნარს მომხდარი ამბავი მშვიდად რომ შეეფასებინა, მოიწონებდა კიდეც. მას დიურმერი არ უყვარდა. ახლა იძულებული იყო ეთქვა, რომ ოლივიე სულელივით მოიქცა და ყველაფერში დამნაშავედ გამოიყურებოდა. ბერნარი იტანჯებოდა, როცა ყურს მოჰკრავდა რა მკაცრად მსჯელობდნენ მის მეგობარზე. ის ბერკელთან მივიდა და შეხვედრაზე შეთანხმდნენ. თუმცა სიტუაცია აბსურდული იყო, ეტიკეტი მაინც უნდა დაეცვათ. დათქვეს, თავიანთ კლიენტთან მეორე დღის დილის ცხრა საათზე შეივლიდნენ.

ორივე მეგობრის ნასვლის მერე, ბერნარს აქ დარჩენის არც მიზეზი ჰქონდა და აღარც სურვილი. თვალით სარა მოძებნა და მრისხანებისგან გული გაებერა, როცა იგი პასავანის მუხლებზე მჯდარი დაინახა;

ორივე მთვრალი ჩანდა, მაგრამ სარამ მოახლოებული ბერნარი რომ დაინახა, მაშინვე წამოხტა.

„— წავიდეთ“, — უთხრა სარამ და ხელი გაუყარა.

სარას უნდოდა სახლში ფეხით დაბრუნებულიყვნენ; გრძელი გზა არ იყო; უსიტყვოდ გაიარეს. პანსიონში სინათლე არსად ენთო. ყურადღება რომ არ მიეპყროთ, კიბეს ხელისცეცებით მიაგნეს და იქღა აანთეს ასანთი. არმანს არ ეძინა; მათი ფეხის ხმა გაიგო თუ არა, კიბის ბაქანზე გამოვიდა ლამპით ხელში.

„— გამომართვი ლამპა, — უთხრა ბერნარს (გუშინდელი საღამოს შემდეგ შენობით მიმართავდნენ ერთმანეთს), — სარას გაუნათე: მის ოთახში  სანთელი არ არის... ასანთი მე მომეცი, ჩემს ლამპას ავანთებ“.

ბერნარმა სარა ოთახში შეაცილა; შესულები არც იყვნენ, რომ არმანმა შეიხედა, ერთი შებერვით ლამპა ჩააქრო და დამცინავად თქვა:

„— ღამე მშვიდობისა! ძალიან არ იხმაუროთ. გვერდით ოთახში მშობლებს სძინავთ“.

მერე სწრაფად შევარდა თავის ოთახში და კარი ურდულით ჩაკეტა.

# IX

არმანი გაუხდელად დაწვა. იცის, დაძინებას ვერ შეძლებს. ელის, როდის დამთავრდება ღამე. ფიქრობს. უსმენს. სახლს სძინავს, ქალაქსაც, ბუნებასაც; ჩქამიც არ ისმის,.

და როგორც კი ზეციდან ვიწრო სასულით წამოსული და რეფლექტორის მიერ არეკლილი სუსტი სინათლე საშუალებას მისცემს კვლავ იგრძნოს თავისი ოთახის მთელი უბადრუკობა, დგება. იმ კართან მიდის, წინა საღამოს რომ ჩაკეტა და ჩუმად აღებს...

სარას ოთახის ფანჯრების ფარდები დახურული არ იყო. განთიადი ფანჯრის მინებს ნელა ათეთრებს. არმანი საწოლს უახლოვდება, სადაც მის დასა და ბერნარს სძინავთ. ზეწარი ოდნავ ფარავს ერთმანეთში ჩახლართულ მათ სხეულებს. რა მშვენიერები არიან! არმანი ამ სურათს დიდხანს უყურებს. უნდოდა მათ ძილად ქცეულიყო, მათ კოცნად. ჯერ გაიღიმა, მერე უცბად საწოლის წინ მუხლზე დაეცა მიყრილ-მოყრილ გადასაფარებლებს შორის. ნეტავ რომელ ღმერთზე უნდოდა ელოცა, სალოცავად ხელებაპყრობილს? გაუგებარი გრძნობა სულს უხუთავდა... ბალიშის ქვეშ სისხლით დასვრილ ცხვირსახოცს ამჩნევს, დგება, ცხვირსახოცს იღებს, ყელში მოწოლილ ქვითინს იკავებს და პატარა ქარვისფერ ლაქას ტუჩებით ეხება.

კარის ზღურბლთან ჩერდება, შემობრუნდება. სურს ბერნარი გააღვიძოს. ის მანამდე უნდა დაბრუნდეს თავის ოთახში, ვიდრე პანსიონის ბინადარნი ადგებიან. არმანის მიერ გამოწვეულ მსუბუქ ხმაურზე, ბერნარი თვალს ახელს. არმანი გარბის, კარს ღიად ტოვებს; ოთახიდანაც გადის და კიბეზე ჩადის; ნეტავ სადმე დაიმალოს; ბერნართან შეხვედრა არ უნდა, რომ მან თავი უხერხულად არ იგრძნოს.

რამდენიმე წუთის შემდეგ, სასწავლო ოთახის ფანჯრიდან დაინახავს, ბერნარი როგორ გაივლის კედელ-კედელ პარვა-პარვით, ქურდივით...

ბერნარს ცოტა ეძინა. ამ ღამეს ისეთი თავდავიწყება იგრძნო, უფრო მარგებელი და საამური, ვიდრე ძილია; ერთდროულად შეიგრძნო სიცოცხლით აღტკინებაცა და თავისი არსების უსასრულობაში გადავარდნაც. ახალ დღეს, ახალ ადამიანად ეგებება; საკუთარ თავს აღარ ჰგავს; ახლა თავისუფალია, მსუბუქი, მშვიდი და მთრთოლვარე,

როგორც ღმერთი. სარა მძინარე დატოვა; მისი მკლავებიდან ფრთხილად გაითავისუფლა თავი. როგორ? ერთი კოცნის გარეშე წავა, ბოლო შეხედვის გარეშე, დამაგვირგვინებელი სატრფიალო ალერსის გარეშე? რატომ ტოვებს ასე, გულცივობის გამო ხომ არა? არ ვიცი. თვითონაც არ იცის. ცდილობს არაფერზე იფიქროს; რცხვენია, რომ ეს არაჩვეულებრივი ღამე, ყოველდღიურ ჩვეულ საქმიანობის რიგს უნდა მიაკუთვნოს. არა, ეს რაღაც დამატებაა, მინიშნებაა, რომლის ადგილი წიგნშიც არ მოიძებნება. ხოლო თვით წიგნი, სადაც მისი ცხოვრების ამბავი იქნება მოთხრობილი, გაგრძელდება, განვითარდება, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ასე არ არის?

ბერნარი თავის ოთახში ავიდა, რომელიც პატარა ბორისთან ერთად უკავია. ამას მაგრად სძინავს. ისევ ბავშვია! ბერნარი საწოლს ურევს, ზეწრებს თელავს, ბიჭმა რომ არ იეჭვიანოს. მერე დიდხანს იბანს. მაგრამ ბორისის დანახვა საას-ფეში აბრუნებს. ლორას სიტყვები ახსენდება: „მხოლოდ ის მოწიწება შემიძლია მივილო, რომელსაც მთავაზობთ. დანარჩენი კი, როცა თავის მოთხოვნებს წამოაყენებს, სადმე სხვაგან მოგიხდებათ მისი დაკმაყოფილება“. ამ წინადადებამ აღაშფოთა. ეგონა, ეს სიტყვები ისევ შემოესმა. ამაზე მერე აღარც უფიქრია, მაგრამ დღეს დილას მეხსიერება რაღაც უჩვეულოდ ცინცხალი და აქტიური ჰქონდა. ტვინი გასაოცარი სისწრაფით უმუშავებდა. ბერნარი ლორას სახების გაძევებას ცდილობს; სურს ჩამოიშოროს მოგონებები; ფიქრს რომ ხელი შეუშალოს, სახელმძღვანელოს იღებს და თავს მეცადინეობას აიძულებს. მაგრამ ოთახში სული ეხუთება; სამეცადინოდ ბაღში გადის; ქუჩაში გასვლაც უნდა, გასეირნება, სირბილი, სივრცეში განავარდება, განიავება. ჭიშკარს უთვალთვალებს; როგორც კი მეკარე კარს გააღებს, ბერნარი ქუჩაში გავარდება.

წიგნით ხელში ლუქსემბურგის ბაღში მიდის და სკამზე ჯდება. აზრი ძაფივით ადვილად ეხვევა; მაგრამ ძაფი მაგარი არ არის; გამოსწევ და ადვილად წყდება; როგორც კი მეცადინეობის დაწყებას ეცდება, წიგნსა და მას შორის მოურიდებელი მოგონებები იწყებენ ნავარდს; თანაც იმ ნეტარყუჩობის განცდის მომენტების მოგონებები კი არა, არამედ რაღაც წვრილმანი, უაზრო დეტალები, რომლებიც მტკივნეულად აწყდება, კოდავს, აწამებს მის პატივმოყვარეობას. ამიერიდან უკვე ახალბედა აღარ არის.

ცხრა საათზე დგება და ლუსიენ ბერკელთან შესახვედრად მიდის. მერე ერთად ედუარდთან მიდიან.

ედუარდი პასიში ცხოვრობს, ერთი სახლის ბოლო სართულზე. სანოლი ოთახი, ფართო სამუშაო ოთახს უკავშირდება. როცა ოლივიე დილით ადრე წამოდგა, ედუარდს მაშინ არანაირი მოუსვენრობა არ გამოუხატავს.

„— წავალ დივანზე დავისვენებ ცოტას“, — თქვა ოლივიემ. ედუარდს შეეშინდა არ გაცივდესო და ოლივიეს უთხრა, საბანი წაიღე და დაიხურეო. ოდნავ მოგვიანებით ედუარდიც ადგა. ეტყობა, ვერც შეამჩნია როგორ ჩაეძინა ისევ, და ახლა გაოცებულია, როცა დაინახა, რომ კარგა ჩამოდღეებულიყო. ოლივიეს დახედვა მოუნდა, უნდოდა ენახა როგორ მოეწყო; იქნებ, რაღაც ბუნდოვანი წინათგრძნობაც უბიძგებდა...

სამუშაო ოთახი ცარიელი დახვდა. დივანის ბოლოში გაუშლელად იდო საბანი. გაზის საშინელი სუნი იგრძნო. სამუშაო ოთახს პატარა ოთახი ეკვროდა, სააბაზანო. სუნი აშკარად იქიდან მოდიოდა. იქით გაიქცა, მაგრამ კარი ვერ გამოაღო; გზაზე რაღაც ეღობებოდა: ოლივიეს სხეული აღმოჩნდა, რომელიც აბაზანასთან ეგდო, გახდილი, გაყინული, გალურჯებული, გულარეულში საშინლად ამოსვრილი.

ედუარდმა გაზის გამაცხელებელი მოწყობილობის ონკანი სასწრაფოდ დაკეტა. რა მოხდა? უბედური შემთხვევა? გაიგუდა?.. ვერ იჯერებდა. აბაზანა ცარიელი იყო. მომაკვდავი ხელში აიყვანა და სამუშაო ოთახში შეიყვანა; ხალიჩაზე დააწვინა ფართოდ გაღებული ფანჯრის წინ; მის გვერდით ჩაიჩოქა და ფრთხილად მოუსმინა. ოლივიე ჯერ ისევ სუნთქავდა, მაგრამ სუსტად. სასოწარკვეთილმა ედუარდმა ჩასაქრობად გამზადებული სიცოცხლის გამოცოცხლება გადაწყვიტა; რიტმულად დაუწყო მოდუნებულ მკლავებს აწევ-დაწევა, გვერდებზე დააწვა, გულმკერდი დაუზილა, ყველაფერი მოსინჯა, რაც გაახსენდა სულის ხუთვის დროს რომ უნდა გაკეთებულიყო; წუხდა, რომ ყველაფერს ერთად ვერ აკეთებდა. ოლივიეს თვალი ისევ დახუჭული ჰქონდა; თითით უწევდა ქუთუთოებს, მაგრამ ისინი მაშინვე ვარდებოდა და უსიცოცხლო თვალებს უფარავდა. მარტო გული უცემდა. ამაოდ ეძება კონიაკი და მარილი. წყალი გააცხელა, სხეულის ზედა ნაწილი და სახე მობანა. მერე უგრძნობი სხეული დივანზე დაასვენა და საბნები დააფარა; ექმის დაძახება უნდოდა, მაგრამ ავადმყოფის მარტო დატოვება ვერ გაბედა. ყოველდილა ბინის დასალაგებლად მსახური ქალი მოდიოდა, მაგრამ მოდიოდა მხოლოდ ცხრაზე; და როგორც კი მოვიდა, ედუა-

რდმა მაშინვე ადგილობრივ ექიმთან გაგზავნა, მაგრამ მსახური უკანვე დააბრუნა სასამართლო გამოძიების შიშით.

ამასობაში ოლივიე სიცოცხლეს უბრუნდებოდა. ედუარდი თავთან მიუჯდა და ოლივიეს ნიღაბის მსგავს სახეს დაჰყურებდა. ამაოდ ცდილობდა ამ ამოცანის ამოხსნას. რატომ? რატომ? უგუნური მოქმედება შეიძლება საღამოს ჩაიდინო, სიმთვრალეში, მაგრამ დილით მიღებული გადაწყვეტილება, ჩვეულებრივ, წინასწარ არის მოფიქრებული. ვერაფერს მიხვდა და იმ დროს დაელოდა, როცა ოლივიე რაიმეს ახსნას შეძლებდა. მანამდე კი მისი მარტო დატოვება არ შეიძლებოდა. ხელზე ხელი მოჰკიდა და ყველა თავის კითხვას, აზრს, მთელ ცხოვრებას ამ შეხებაში მოუყარა თავი. ბოლოს, მოეჩვენა, რომ ოლივიეს ხელმა ხელის მოჭერაზე სუსტად უპასუხა... მაშინვე დაიხარა და შუბლზე ტუჩები შეახო, რომელზეც უსაზღვრო და იდუმალი ტანჯვის ნიშანი აღბეჭდვოდა.

კარზე ზარი დარეკეს. ედუარდი ადგა და გასაღებად წავიდა. ბერნარი და ლუსიენ ბერკელი იყვნენ. ედუარდმა ისინი შემოსასვლელში შეაყოვნა და ყველაფერი უამბო, რაც მოხდა; მერე ბერნარი განზე გაიხმო და ჰკითხა, ოლივიეს თავბრუსხვევები ან შეტევები ხომ არ ჰქონიაო... ბერნარს მაშინვე ის საუბარი გაახსენდა, წინადღით რომ ჰქონდათ, განსაკუთრებით ოლივიეს ზოგიერთი გამონათქვამი მოაგონდა, მაშინ ყურადღება არ მიუქცევია, არც გაუგია და გაუაზრებია, სამაგიეროდ, ახლა ესმოდა ნათლად.

„— თვითმკვლელობაზე მე დავიწყე ლაპარაკი, — უთხრა ედუარდს. — ვკითხე, ხომ გესმის-მეთქი, რომ კაცმა შეიძლება თავი მოიკლას, უბრალოდ, სიცოცხლის სიჭარბის გამოც, „აღფრთოვანების ჟამს", როგორც ამბობდა დიმიტრი კარამაზოვი. ჩემს აზრებში ვიყავი ჩაფლული და მხოლოდ საკუთარ სიტყვებს ვაძლევდი მნიშვნელობას, სხვა არაფერზე ვფიქრობდი; ახლა მახსენდება, რაც მიპასუხა.

— რა გიპასუხათ? — დააძალა ედუარდმა, რადგან ბერნარი გაჩუმდა და ეტყობოდა, არც აპირებდა გაგრძელებას.

— მითხრა, რომ კარგად ესმის, როგორ შეიძლება თვითმკვლელობით დაამთავრო სიცოცხლე, ოღონდ მას შემდეგ, როცა ბედნიერების ისეთ მწვერვალს მიაღწევ, მერე რომ სულერთი ხდება ყველაფერი".

ედუარდმა და ბერნარმა ერთმანეთს უსიტყვოდ შეხედეს. უცბად ორივე მიხვდა. ბოლოს ედუარდმა თვალი მოარიდა და ბერნარმა ინანა, რატომ ვთქვიო. ისევე ბერკელთან დაბრუნდნენ.

„— დასანანია, — თქვა მან. — შეიძლება იფიქრონ, თვითმკვლელობა იმიტომ მოინდომა, დუელში არ ებრძოლაო“.

ედუარდს აღარც ახსოვდა დუელი.

„— ისე მოიქეცით, — თქვა მან. — თითქოს არაფერი მომხდარა. დიურმერთან მიდით, სთხოვეთ თავის სეკუნდანტებს დაგაკავშიროთ. მოელაპარაკეთ მათ, იქნებ ეს სულელური ამბავი როგორღაც თავისთავად მოწესრიგდეს. დიურმერს ბრძოლის დიდი სურვილი მაინცადამაინც არ გამოუჩენია.

— არაფერს ვეტყვით, — თქვა ლუსიენმა, — დუელზე უარის თქმის მთელი სირცხვილი მის კისერზე რომ იყოს. დარწმუნებული ვარ, თავს დაიძვრენს“.

ბერნარმა ითხოვა, თუ შეიძლება ოლივიე ვნახოო. ედუარდმა ამჯობინა, რომ მისთვის სიმშვიდე უფრო იყო საჭირო.

ბერნარი და ლუსიენი წასასვლელად გაემზადნენ თუ არა, პატარა ჟორჟი გამოჩნდა. პასავანთან ყოფილიყო, მაგრამ ძმის ნივთების მოტანა ვერ შეძლო.

„— ბატონი გრაფი წავიდა, — უპასუხეს. — და არავითარი განკარგულება არ დაუტოვებია“. და ლაქიამ ცხვირწინ მოუკეტა თურმე კარი.

ედუარდის სერიოზულმა ტონმა და იმ ორის არანაკლებ სერიოზულმა გამომეტყველებამ, ჟორჟი შეაკრთო. ალღოთი იგრძნო, აქ რაღაც სხვა ამბავი ტრიალებდა და გამოკითხვა დაიწყო. ედუარდი იძულებული გახდა მისთვის ყველაფერი ეთქვა.

„— ოღონდ, მშობლებს არაფერი უთხრა“.

ჟორჟი აღფრთოვანებული დარჩა საიდუმლო რომ გაუმხილეს.

„— გაჩუმება შემიძლია“. — თქვა მან. რადგან იმ დღეს საქმე სხვა არაფერი ჰქონდა, ბერნარსა და ლუსიენს შესთავაზა, დიურმერთან მეც გამოგყვებითო.

სამივე სტუმრის წასვლის შემდეგ, ედუარდმა მსახურს დაუძახა. მისი საწოლი ოთახის გვერდით სასტუმრო ოთახი იყო და მსახურ ქალს სთხოვა ის ოთახი მოემზადებინა ოლივიესთვის. მერე უხმაუროდ სამუშაო ოთახს დაუბრუნდა. ოლივიეს ეძინა. ედუარდი მის გვერდით ჩამოჯდა. წიგნი აიღო, არც გადაუშლია, ისევ უკან დადო და თავის მძინარე მეგობარს დახედა.

# X

სულს მარტივი არაფერი ეძლევა; და სულიც
არავის ეძლევა მარტივი.

**პასკალი**

„— ვფიქრობ, თქვენი ნახვა გაუხარდება, — უთხრა მეორე დღეს ედუარდმა ბერნარს. — დღეს დილას მკითხა, გუშინ საღამოს ხომ არ მოსულაო. ეტყობა, თქვენი ხმა შემოესმა; მე კი მეგონა უგონოდ იყო... თვალდახუჭული წევს, მაგრამ არ სძინავს. არც არაფერს ამბობს. შუბლზე ხშირად იდებს ხელს; ეს მოწმობს, რომ სტკივა; როგორც კი დაველაპარაკები, შუბლი ეჭმუხნება; გავშორდები თუ არა, მეძახის და მთხოვს გვერდით მივუჯდე... არა, სამუშაო ოთახში აღარ არის; ჩემი ოთახის გვერდით ჩავასახლე, რომ სტუმრები ისე მივიღო, ის არ შევაწუხო".

ოლივიესთან შევიდნენ.

„— შენი ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაგებად მოვედი", — მშვიდად უთხრა ბერნარმა.

როცა ოლივიეს მეგობრის ხმა შემოესმა, სახე გამოუცოცხლდა; ეს უკვე თითქმის ღიმილი იყო.

„— გელოდი.

— თუ იღლები, წავალ.

— დარჩი".

ოღონდ, როცა ეს სიტყვა თქვა ოლივიემ, თითი ტუჩთან მიიტანა. ანიშნა, მასთან ნუ ვილაპარაკებთო. ბერნარს სამი დღის შემდეგ ზეპირი გამოცდა უნდა ჩაებარებინა და ყველგან თან დაჰქონდა ერთი იმ სახელმძღვანელოთაგან, სადაც სქელი ელექსირის სახით მოცემული იყო მისი გამოცდის მთელი მწარე სიბრძნე. ის მეგობრის საწოლის გვერდით მოეწყო და კითხვა დაიწყო. ოლივიე კედლისკენ გადაბრუნდა და თითქოს ჩაიძინა. ედუარდი თავის ოთახში გავიდა და დროდადრო გამოჩნდებოდა ხოლმე ღია კარში. ყოველ ორ-სამ საათში ოლივიესთან ფინჯანი რძე მოჰქონდა, რომლის დალევაც ამ დილასღა შეძლო. წინადღეს კი ავადმყოფის კუჭი არაფერს ღებულობდა.

დიდი დრო გავიდა. ბერნარი ადგა და წასასვლელად მოემზადა. ოლივიე გადმობრუნდა, ხელი გაუწოდა და გაღიმებას ეცადა:

„— ხვალ მოხვალ?“

ბოლო წამს ისევ დაუძახა, დაიხარეო ანიშნა და თითქოს ეშინოდა მისი ხმა არავის გაეგო, ჩუმად, ძალიან ჩუმად უთხრა:

„— რა სულელი ვარ! არა?“

მერე, თითქოს ბერნარის პროტესტს უნდა დაასწროსო, თითი ისევ ტუჩებთან მიიტანა:

„— არა, არა... მოგვიანებით აგიხსნით“.

მეორე დღეს, ედუარდმა ლორას ნერილი მიიღო; როცა ბერნარი მოვიდა, წასაკითხად მისცა:

„ჩემო ძვირფასო მეგობარო,

„წერილს საშინელი სისწრაფით გწერთ, რათა ვეცადო და უაზრო უბედურების აღსრულებას ხელი შევუშალო. თუ ეს წერილი თქვენამდე დროზე მოაღწევს, დარწმუნებული ვარ დამეხმარებით.

„ფელიქსი ახლახან პარიზში გამოემგზავრა; თქვენთან შეხვედრას აპირებს. განზრახული აქვს თქვენგან მიიღოს ის განმარტებები, რაც ჩემგან ვერ მიიღო; უნდა ერთი ადამიანის სახელი გაიგოს, რათა იგი დუელში გამოიწვიოს. რაც შემეძლო ყველაფერი გავაკეთე; ვცადე შემეჩერებინა, მაგრამ მისი გადაწყვეტილება ურყევია და ყველაფერი, რასაც ვეუბნები, მხოლოდ ამძაფრებს მის სიჯიუტეს. თქვენ, შეიძლება, ის ერთადერთი ადამიანი ხართ, რომელიც მის გადარწმუნებას მოახერხებს. თქვენი სჯერა და მოგისმენთ, ყოველ შემთხვევაში, მე ამისი იმედი მაქვს. გესმით, ალბათ, თავის დღეში ხელში არც პისტოლეტი და არც დაშნა არ აუღია. ჩემთვის იმის გაფიქრებაც კი აუტანელია, რომ ჩემი გულისთვის სიცოცხლე საფრთხეში უნდა ჩაიგდოს; განსაკუთრებით კი იმის აღიარებისა მეშინია და მრცხვენია კიდეც, რომ სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდება.

„ჩემი დაბრუნების შემდეგ, ფელიქსი მუდამ ნაზი და ალერსიანია, მაგრამ თავალთმაქცობა არ შემიძლია, თითქოს იმაზე მეტად მიყვარდეს, ვიდრე სინამდვილეში. ამის გამო იტანჯება, და ეჭვი მაქვს, ჩემში პატივისცემისა და აღფრთოვანების მიღწევის სურვილი უბიძგებს ეს ნაბიჯი გადადგას. ბუნებრივია, მის მოქმედებას წინდაუხედა-

ვად მიიჩნევთ, მაგრამ თვითონ ამაზე დღედაღამ ფიქრობს და ნამდვილ აკვიატებულ აზრად ექცა; მე, რა თქმა უნდა, მაპატია, მაგრამ ის, მეორე, საშინლად სძულს.

„გთხოვთ, ისევე გულითადად შეხვდეთ, როგორც მე შემხვდებოდით; ეს თქვენი ჩემდამი მეგობრობის ყველაზე დამამტკიცებელი საბუთი იქნება. მომიტევეთ, ადრე ვერ მოგწერეთ, არ ვიჩქარე გამომეხატა ჩემი უდიდესი მადლიერება თქვენი სიკეთისა და ზრუნვისთვის, რითაც გარშემორტყმული ვიყავი შვეიცარიაში. იმ დროზე მოგონებები მათბობს და ცხოვრებისეული სიძნელეების გადალახვაში მეხმარება.

„თქვენი მუდამ შეწუხებული და ერთგული მეგობარი

„ ლორა“.

„— რას აპირებთ? — ჰკითხა ბერნარმა და წერილი დაუბრუნა.

— თქვენი აზრით, რას უნდა ვაპირებდე? — უპასუხა გაღიზიანებულმა ედუარდმა; გაღიზიანებულმა არაიმდენად ბერნარის შეკითხვით, არამედ იმით, რომ ეს კითხვა საკუთარ თავსაც უკვე დაუსვა. — თუ გამოჩნდება, ცხადია, კარგად მივიღებ. თუ რჩევას მთხოვს, ყველაზე საუკეთესო რჩევას მივცემ, რაც შემიძლია. ვეცდები დავარწმუნო, მისთვის ყველაზე კარგი იქნება, ხმაური არ ატეხოს და მშვიდად მოიქცეს. დუვიესნაირი ხალხის შეცდომა ის არის, რომ გამუდმებით წინ გაძვრომას ცდილობენ. მას რომ იცნობდეთ, გარწმუნებთ, ჩემს აზრს გაიზიარებდით. ლორა პირველი როლებისთვის არის დაბადებული. ყოველ ჩვენგანს ჩვენი წილი დრამა გვაქვს განკუთვნილი, ჩვენი შესაფერი ტალანტი, ამა თუ იმ რაოდენობის ტრაგიკულობით. აბა, რა შეგვიძლია? ლორას დრამა იმაში მდგომარეობს, რომ ცოლად სტატისტს გაჰყვა. აქ უკვე ვეღარაფერს გააკეთებ.

— დუვიეს დრამა კი ის არის, რომ ცოლად მოიყვანა გოგონა, რომელიც მისი ფარდი არ არის, და დუვიემ რაც უნდა გააკეთოს, ვერაფერს შეცვლის. — მისი აზრი გააგრძელა ბერნარმა.

— დუვიემ რაც უნდა გააკეთოს... — ექოსავით გაიმეორა ედუარდმა, — და რაც უნდა გააკეთოს ლორამ. გასაოცარი კი ის არის, რომ ლორა თავის საქციელს ნანობს, წუხს, მის წინაშე თავის დამცირებასაც ეცადა; ეს კიდევ ლორაზე დაბლა დაეშვა; რას არ ეცადნენ, შედეგად ის მივიღეთ, რომ დუვიე უფრო დაკნინდა, ლორა კი ამაღლდა.

— დუვიე ძალიან მებრალება, — თქვა ბერნარმა, — მაგრამ ამ დამდაბლება-დაკნინებით, იქნებ ისიც ამაღლდა? რატომ არ გინდათ ესეც იფიქროთ?

— იმიტომ, რომ ლირიზმი არ ჰყოფნის, — გადაჭრით თქვა ედუარდმა.

— რა გაქვთ მხედველობაში?

— ის, რომ განსაცდელის დროს, თავდავიწყების უნარი არ აქვს, ამიტომ არასოდეს ამაღლებულის განცდა არ ექნება. მოდი ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ. რაღაცა მოსაზრებები კი მაქვს, მაგრამ მათი შეფასება ძნელია, თანაც არც მინდა. პოლ-ამბრუაზს ჩვეულად აქვს თქვას, რომ თანახმაა ანგარიში გაუწიოს მხოლოდ იმას, რაც შეიძლება ციფრებში გამოიხატოს; საიდანაც ვასკვნი, რომ იგი სიტყვა „ანგარიშით" არის მოხიბლული, რადგან მაშინ, ან როგორც ამბობენ, საბოლოო ანგარიშით, ღმერთი შეიძლება საერთოდ უგულვებელყო. ის აქეთკენ იხრება და სურს კიდეც ეს... ჰო, აი, კიდევ რა: ასე მგონია, რომ ლირიზმს ადამიანის მდგომარეობას ვუწოდებ, რომელიც თანახმაა ღმერთმა დაამარცხოს.

— ეს მდგომარეობა სიტყვა „ენთუზიაზმით" ხომ არ აღინიშნება?

— შეიძლება კიდევ სიტყვა „შთაგონებითაც". დიახ, ეს ზუსტად ის არის, რისი თქმაც მინდოდა. დუვიე ის ადამიანი გახლავთ, ვისაც შთაგონება არ შეუძლია. ვეთანხმები პოლ-ამბრუაზს, რომელიც ამტკიცებს, ამ ქვეყანაზე ცოტაა ისეთი სახიფათო რამ ხელოვნებისთვის, როგორიცაა შთაგონება. ვეთანხმები, რომ ხელოვანი შეიძლება გახდე, მხოლოდ საკუთარი ლირიული მღელვარების ჩაცხრობის შემდეგ, მაგრამ იგი რომ ჩააცხრო, ჯერ მისი განცდაა საჭირო.

— არ გგონიათ, რომ ასეთი ღვთაებრივი მადლის მდგომარეობა აიხსნება ფიზიოლოგიურად, როგორც...

— დიდებულია! — გააწყვეტინა ედუარდმა. — ასეთი მოსაზრებები, თუმცა ისინი სამართლიანია, მხოლოდ იმისთვის გამოდგება, ბრიყვები ჩააგდოს უხერხულობაში. მისტიკური იმპულსები, რომელთაც მატერიალური საფუძვლები არ აქვთ, ბუნებრივია, არ არსებობენ. მერე რა? სულს, რომელსაც გაცხადება სურს, უმატერიოდ არსებობა არ შეუძლია, აქედანაა ხორცშესხმის საიდუმლოც.

— აი, მატერია კი უსულოდ მშვენივრად არსებობს.

— ოო, ამაზე ჩვენ არაფერი ვიცით". — თქვა სიცილით ედუარდმა.

ბერნარი უსმენდა და უფრო და უფრო გაოცებული რჩებოდა. ჩვეულებრივ ედუარდი თავშეკავებული ადამიანი იყო, მაგრამ მისი დღევანდელი თვალში საცემი აღგზნებულობა, ოლივიეს იქ ყოფნით აიხსნებოდა. ბერნარი ამას მიხვდა.

„ჩემთან ახლა ისე ლაპარაკობს, როგორც მასთან სურს ლაპარაკი. — გაიფიქრა მან. — ოლივიე უნდა აეყვანა მდივნად. როგორც კი ოლივიე გამოჯანმრთელდება, წავალ. ჩემი ადგილი აქ არ არის".

გული არ დაწყვეტია. ახლა მისი გონება მხოლოდ სარათი იყო დაკავებული, რომელსაც წინაღამითაც შეხვდა და ამაღამაც აპირებდა მის ნახვას.

„— დუვიეს თემას ძალიან გადავუხვიეთ, — თქვა სიცილით ბერნარმა. — ვენსანზე ეტყვით რამეს?

— არა, ბუნებრივია, არა. რა საჭიროა?

— არა გგონიათ, დუვიეს ტანჯვა იმით არის გამოწვეული, რომ არ იცის ვისზე იეჭვიანოს?

— შეიძლება მართალი ხართ, მაგრამ ეს ლორამ უნდა უთხრას. მასზე ვერ შევძლებ ლაპარაკს, ლორას გავცემ... თანაც ისიც კი არ ვიცი, ახლა სადაა ვენსანი.

-- ვენსანი?.. პასავანმა უნდა იცოდეს".

ლაპარაკი კარზე ზარის ხმამ შეაწყვეტინათ. ქალბატონი მოლინიე მოვიდა შვილის ამბის გასაგებად. ედუარდმა იგი სამუშაო ოთახში მიიღო.

## ედუარდის დღიური

„პოლინის სტუმრობა. დიდ გაჭირვებაში ჩავვარდი, არ ვიცოდი როგორ მეთქვა ოლივიეს ამბავი: ხომ არ შემეძლო დამემალა მისი შვილის ავადმყოფობა.ზედმეტად ჩავთვალე აუხსნელი თვითმკვლელობის მცდელობის შესახებ რამე მეთქვა და მხოლოდ ღვიძლის ძლიერი შეტევა მოვიგონე, რისი ქმედების შედეგი მართლაც ნათლად ჩანდა.

„— როცა გავიგე, რომ ოლივიე თქვენთანაა, მაშინვე დავმშვიდდი. — მითხრა პოლინმა. — ეჭვი არ მეპარება, ჩემზე ნაკლებად არ იზრუნებთ მასზე, რადგან ვგრძნობ, ისევე ძლიერ გიყვართ, როგორც მე მიყვარს".

„ეს ბოლო სიტყვები თქვა და რაღაც უცნაური დაჟინებით შემომხედა. ამ შემოხედვაში რამე განსაკუთრებული აზრი მართლა ჩადო თუ მომეჩვენა? პოლინის წინაშე, როგორც იტყვიან, „სინდისი სუფთა" არ მქონდა, და მხოლოდ ბუნდოვანი პასუხი ჩავილუღლუღე, არც კი ვიცი რა ვუთხარი. ისიც უნდა ვთქვა, ბოლო ორი დღის განმავლობაში იმდენი რამ გადავიტანე, რომ საკუთარი თავის ხელში აყვანის ყოველგვარი შესაძლებლობა დავკარგე; დაბნევა, ალბათ, სახეზედაც აღმებეჭდა, რადგან მან დაუმატა:

„— თქვენი გაწითლება თავისთავად მეტყველებს... ჩემო საცოდავო მეგობარო, ჩემგან საყვედურს ნუ ელით. რომ არ გიყვარდეთ, აი, მაშინ კი გისაყვედურებდით,.. შემიძლია ვნახო?"

„ოლივიეს ოთახში შევიყვანე; ბერნარს ჩვენი ხმა გაეგო და ოთახიდან გასულიყო.

„— რა მშვენიერია!" — ჩაიჩურჩულა საწოლზე დახრილმა პოლინმა, მერე ჩემსკენ შემობრუნდა და დაუმატა:

„— ჩემს მაგივრად აკოცეთ. ახლა მეშინია არ გავაღვიძო".

„პოლინი მართლაც არაჩვეულებრივი ქალია. თანაც ეს აზრი მხოლოდ დღეს არ მომსვლია თავში. მაგრამ ასეთი გასაოცარი გაგების იმედი მაინც არ მქონია. მართალია, მიუხედავად მისი გულითადი სიტყვებისა და მის ხმაში გამკრთალი ხუმრობისა, მომეჩვენა, რომ რაღაც შებოჭილობა მაინც შევამჩნიე (იქნებ ეს ჩემს მიერ მიღებულ ზომებთანაც იყო დაკავშირებული, რათა უხერხულობა დამეფარა); და უცბად გამახსენდა ჩვენი ამასწინანდელი საუბრიდან მისი ერთი წინადადება, რომელიც ძალიან ჭკვიანური მეჩვენა, თანაც მაშინ არანაირი მიზეზი არ მქონდა ამითი დავინტერესებულიყავი: "ვამჯობინებ, ნებაყოფლობით დავთანხმდე იმას, რისი ხელისშეშლაც არ შემიძლია". აშკარა იყო, ნებაყოფლობით თანხმობას ამჯობინებდა, და, როცა სამუშაო ოთახში დავბრუნდით, თითქოს ჩემს უთქმელ აზრს პასუხობსო, თქვა:

„— ვწუხვარ, ასე რომ გამოვიდა, თავად პრობლემებს თავი ავარიდე და მთელი პასუხისმგებლობა თქვენ დაგაკისრეთ. არსებობს ზოგიერთი თავისუფალი აზროვნების სფერო, სადაც მამაკაცებს სურთ მონოპოლია შეინარჩუნონ. თანაც არ შემიძლია თავი მოგაჩვენოთ, თითქოს იმაზე მკაცრად გკიცხავთ, ვიდრე სინამდვილეშია. ცხოვრებამ ბევრი მასწავლა. მივხვდი, ბიჭების სიწმინდე რამდენად არამტკიცეა, მაშინაც კი, როცა გვგონია, აბსოლუტურად არაფერი ემუქრებათ. გარდა ამისა, სულაც არ ვფიქრობ, რომ ყველაზე კარგი ანდა ყველაზე ერთგული

ქმრები, უბინო ჭაბუკებისგან გამოდიან, — დაუმატა ნაღვლიანი ღიმილით. — დაბოლოს, მათი მამის მაგალითი მაიძულებს ვისურვო, რომ ჩემს შვილებს სხვა ზნეობა ჰქონდეთ. მაგრამ გარყვნილების ან სხვა დამლუპველი კავშირებისა მეშინია. ოლივიე ადვილად ემორჩილება სხვათა გავლენას. თქვენ კი, თქვენს მოვალეობად ჩათვლით მის შეკავებას. დარწმუნებული ვარ, თქვენი გავლენა მასზე კარგად იმოქმედებს. თქვენზეა მხოლოდ დამოკიდებული...".

„ამ სიტყვებმა შემაშფოთა.

„— არც ისე კარგი ვარ, როგორც თქვენ გამომიყვანეთ".

„ამის თქმაღა მოვახერხე; ძალიან ბანალური, ძალიან ნაძალადევი გამოვიდა. მან კი იშვიათი მომხიბვლელობით განაგრძო:

„— ოლივიეს მეშვეობით თქვენც უკეთესი გახდებით. სიყვარულის წყალობით რაღას არ მიაღწევს კაცი!

„— ოსკარმა იცის რომ ჩემთან არის? — ვკითხე, ვეცადე მეტი ნათელი შემეტანა ჩვენს შორის.

„— მან ისიც კი არ იცის, რომ პარიზშია. ხომ გითხარით, თავისი შვილების საქმეებში თითქმის არ ერევა. ამიტომაც იმედი მაქვს, ჟორჟს დაელაპარაკებით. იქნებ, უკვე ელაპარაკეთ კიდეც?

„— არა, ჯერ არა".

„უცბად პოლინს სახეზე ჩრდილმა გადაუარა.

„— უფრო და უფრო მეტად ვშფოთავ. ძალზე დამოუკიდებლად უჭირავს თავი, მაგრამ ამ დამოუკიდებლობის მიღმა უზრუნველობას, ცინიზმსა და ქედმაღლობას ვხედავ. კარგად სწავლობს, მასწავლებლები კმაყოფილნი არიან. გამოდის რომ, ჩემი შეშფოთება სრულიად უსაფუძვლოა...".

„უეცრად სიმშვიდე გაუქრა; და ისე ცხარედ ალაპარაკდა, ძლივსღა ვიცანი:

„— აბა, წარმოიდგინეთ, რა დიქცა ჩემი ცხოვრება? ყოველწლიურად უფრო და უფრო ვკარგავდი იმის იმედს, რომ ოდესმე ბედნიერი ვიქნებოდი; ერთიმეორის მიყოლებით ვწურავდი, ვჭრიდი, ვეგუებოდი, დათმობებზე მივდიოდი, ვითმენდი, თავს ვიკატუნებდი, ვითომ არაფერი მესმოდა, ვერაფერს ვხედავდი... მაგრამ რაღაცას ხომ მაინც ვეჭიდებოდი... ახლა რა უნდა ქნა, როცა ის მცირეოდენიც გიქრება!.. საღამოობით ჩემს გვერდით მეცადინეობს, ლამპის შუქზე; როცა დროდადრო თავს ასწევს, მის თვალებში სიყვარულის ნაცვლად გამოწვევას ვხედავ, რაც საერთოდ არ დამიმსახურებია... ზოგჯერ მგონია, მთელი ჩემი

მისდამი სიყვარული სიძულვილად იქცევა; ასეთ წუთებში ნანობ, რომ შვილები გყავს".

„ხმა უკანკალებდა. ხელი მოკიდე.

„— ოლივიე გაგიმართლებს. თავმდები მე ვარ".

„თავს ძალა დაატანა და დამშვიდებას ეცადა.

„— დიახ, ვეღარ ვაზროვნებ; ასე კი ვლაპარაკობ, მაგრამ დამავიწყდა, რომ სამი ვაჟი მყავს. როცა ერთ მათგანზე ვფიქრობ, სხვებს ვეღარ ვხედავ... ცხადია, იტყვით, რომ სულელი ვარ... ოღონდ, ზოგჯერ აღმოჩნდება ხოლმე, რომ ჭკუა ყველაფერი არ არის!

„— მე კი ზუსტად თქვენი ჭკუა მომწონს. — უბრალოდ შევნიშნე, იმ იმედით, რომ დამშვიდდებოდა. მან არაფერი მიპასუხა, დუმდა, მაშინ დავუმატე:

„— იმ დღეს რომ ვსაუბრობდით, ძალიან ჭკვიანურად ილაპარაკეთ ოსკარზე".

„პოლინი უცბად გასნორდა, შემომხედა და მხრები აიჩეჩა.

„— ასეა მიღებული, რაც უფრო ბედის მორჩილია ქალი, მით უფრო ჭკვიანად გამოიყურება!" — ნამოიძახა გაანჩხლებით.

„ამ შენიშვნამ თავისი სიმართლით დამაბნია; რომ არ შემმჩნეოდა, მაშინვე ეკითხე:

„— ახალი რამე ხომ არ არის წერილებთან დაკავშირებით?

„— ახალი? ახალი!.. რა შეიძლება იყოს ახალი ოსკარსა და ჩემს შორის?

„ის ახსნას ელოდა.

„მეც ახსნას ველოდი. მთელი ჩვენი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ ახსნას ველით.

„— მაგრამ ოსკარი ასე იმიტომ იქცევა, რომ უხერხულ მდგომარეობაშია,— ვთქვი ოდნავ გაღიზიანებულმა.

„— ჩემო მეგობარო, მშვენივრად იცით, ისე არაფერი ჭიანურდება, როგორც უხერხული მდგომარეობა. თქვენ, მწერლები ამის გადაწყვეტას ცდილობთ. ცხოვრებაში კი არაფერი წყდება, ყველაფერი ისევე რჩება და გრძელდება. ეჭვით ვცხოვრობთ და ასე ბოლომდე; თან არ ვიცით, როგორ აღვიქვათ ეს ყველაფერი; ლოდინში გადის ცხოვრება, თითქოს არაფერი მომხდარაო. ამასაც ურიგდები, როგორც სხვა დანარჩენს... როგორც ყველაფერს. კარგით. ნახვამდის".

„მის ხმაში გაჟღერებული ზოგიერთი მიუჩვეველი ინტონაციის გამო მძიმე შეგრძნება დამრჩა; მისმა აგრესიულობამ მაიძულა მეფი-

ქრა (თუმცა მაშინვე არა, მერე, როცა ჩვენი საუბარი გავიხსენე), რომ ოლივიესთან ჩემს ურთიერთობას პოლინი არც ისე ადვილად შეურიგდა, როგორც თვითონ თქვა; არც ისე ადვილად, როგორც ყველა დანარჩენს. მინდა მჯეროდეს, რომ მათ არ ჰკიცხავს, რომ რაღაც მიმართებაში, როგორც თვითონ მიმახვედრა, მიესალმება კიდეც, ამავე დროს, შეიძლება სრულიად გაუთვითცნობიერებლადაც, ეჭვის გრძნობა აქვს.

„ყოველ შემთხვევაში იმ უეცარი აღშფოთების სხვა ახსნა მიძნელდება, რომელიც მაშინვე გაუჩნდა, როგორც კი იმ თემაზე გადავედით მას რომ აღელვებდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ დამითმო თუ არა ის, რასაც ყველაზე ძალიან უფრთხილდებოდა, უცბად ამოწურა თავისი შემწყნარებლობაც და უცებ, უარაფროდ დარჩა. აქედან მისი თავშეუკავებელი ეჭვიც, უცნაური ლაპარაკიც, რომელიც, როგორც კი გაახსენდება, თვითონაც გაუკვირდება.

„მაშინ ისიც ვიფიქრე, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდება ქალი, რომელიც ბედის მორჩილებაზე უარს ამბობს. ცხადია, იგულისხმება „პატიოსანი" ქალი... თითქოს ის, რასაც ქალში „პატიოსნებას" ეძახიან, არ გულისხმობდეს ბედის მორჩილებასაც!

„საღამოს ოლივიემ უფრო უკეთ იგრძნო თავი. ეგ არის, რომ სიცოცხლეს, რომელიც ბრუნდება, თან მოაქვს შფოთიც. როგორც შემიძლია ვცდილობ მის დამშვიდებას.

„დუელი? — დიურმერი ქალაქიდან გაქცეულა. უკან ხომ არ გაჰყვებიან მოსაძებნად.

„ჟურნალი? — ჟურნალს ბერკელი აკეთებს.

„პასავანთან დატოვებული ნივთები? — ეს ყველაზე საჩოთირო საკითხია. გამოვუტყდი, რომ ჟორჟმა მათი წამოღება ვერ შეძლო, მაგრამ დავპირდი, ხვალ თვითონ წავიდოდი მათ წამოსაღებად. როგორც მომეჩვენა, ოლივიე შიშობდა, პასავანს მისი ნივთები საწინდრის სახით არ დაეტოვებინა; ამისი დაშვება კი მე არავითარ შემთხვევაში არ შემეძლო.

გუშინ, ამ სტრიქონების წერისას, ცოტა შევყოვნდი სამუშაო ოთახში, უცბად ოლივიეს ხმა შემომესმა, მეძახდა: მაშინვე მივედი.

„— ასე სუსტად რომ არ ვიყო, თვითონ მოვიდოდი, — მითხრა მან. — ადგომა მინდოდა, მაგრამ როგორც კი ფეხზე ვდგები, თავი მიბრუის და მეშინია არ დავეცე. არა, ცუდად არ ვგრძნობ თავს, პირიქით...

შენთან ლაპარაკი მინდა. ერთ რამეს უნდა დამპირდე... არასოდეს ეცადო გაიგო, გუშინწინ რატომ მინდოდა თავის მოკვლა. მგონი, არც მე ვიცი. მინდოდა მეთქვა, პატიოსნებას გეფიცები-მეთქი, მაგრამ ვერ გავბედე... ოლონდ, არ იფიქრო, რომ ეს რაღაც საიდუმლოსთან, ჩემს ცხოვრებაში მომხდარ, შენთვის უცნობ შემთხვევასთან არის დაკავშირებული. — მერე უფრო დაბალი ხმით დაუმატა: — და არც ის იფიქრო, რომ სირცხვილის გამო...".

„მიუხედავად იმისა, რომ უკვე ბნელოდა, სახე მაინც ჩემს მხარში ჩამალა.

„— თუ რამის მრცხვენია ისაა, რაც ბანკეტზე მოხდა: ჩემი სიმთვრალე, სიფიცხე, ცრემლები და ის ზაფხულის თვეები... და ისიც, ასე რომ გელოდი. და ისიც, ასე ცუდად რომ გელოდი".

„მერე მარწმუნებდა, ამ ყველაფერში საკუთარ თავს ვერ ვცნობო; რომ ამის მოკვლა უნდოდა, და, მოკლა კიდეც, ამოაგდო თავისი ცხოვრებიდან.

„ვგრძნობდი, თვით გაღიზიანება ლაპარაკობდა თავისთავად რა სუსტადაც იყო იგი, და უსიტყვოდ, ბავშვივით ვარწევდი. ეტყობოდა, დასვენება სჭირდებოდა; დუმდა, მეგონა საცაა ჩაეძინებოდა კიდეც, მაგრამ ისევ ჩურჩული შემომესმა:

„— შენს გვერდით რომ ვარ, იმდენად ბედნიერად ვგრძნობ თავს, ძილი არ მინდა".

„მხოლოდ დილითღა მომცა წასვლის ნება".

# XI

ამ დილით ბერნარი ძალიან ადრე მოვიდა. ოლივიეს ჯერ ისევ ეძინა. ისევე როგორც წინა დღეებში, მეგობარს სასთუმალთან მიუჯდა და წიგნის კითხვა დაიწყო, რამაც ედუარდს საშუალება მისცა ცოტა ხნით ავადმყოფს მოშორებოდა და გრაფ დე პასავანთან წასულიყო, როგორც ოლივიეს დაჰპირდა; დარწმუნებული იყო ამ დილაადრიან სახლში მიუსწრებდა.

მზე ანათებდა; ძლიერი ქარი ხეებს უკანასკნელი ფოთლებისგან ასუფთავებდა, ირგვლივ ყველაფერი გამჭვირვალე და ლაჟვარდოვანი იყო. სამი დღე ედუარდი სახლიდან არ გასულა. გული უზარმაზარი სიხარულით აღევსო; ისიც კი მოეჩვენა, თითქოს მთელი მისი არსება ცარიელი გარსი იყო და ყოვლისმომცველი ზღვის, სიკეთის ღვთაებრივი ოკეანის თავზე მიცურავდა. სიყვარულისა და მშვენიერი ამინდის წყალობით, ჩვენი კონტურები ხომ საოცარად შეუზღუდავი ხდება.

ედუარდმა იცოდა, ოლივიეს ნივთები რომ წამოელო ავტომობილი დასჭირდებოდა, მაგრამ მის დაქირავებას არ ჩქარობდა; ჯერ სიარულით უნდოდა დამტკბარიყო. ბუნებასთან შეხვედრით გამოწვეული სიხარული მაინცადამაინც არ განაწყობდა პასავანთან პირისპირ შესახვედრად; საკუთარ თავს ეუბნებოდა, უნდა მძულდესო იგი; რაც რამ წყენა ჰქონდა მასზე დაგროვილი, იმას იხსენებდა, მაგრამ მათგან ჩხვლეტებს აღარ გრძნობდა. ამ საძულველ მტერზე, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ ეზიზღებოდა, გაიმარჯვა; თანაც ისე სრულყოფილად, რომ მისი სიძულვილი აღარ შეეძლო. ყოველ შემთხვევაში, ამ დილას მაინც აღარ შეეძლო სიძულვილი. მაგრამ, რადგან მეორე მხრივ, ინტუიცია კარნახობდა, რომ ამ ცვლილების ერთი წვრილმანიც კი თვალში საცემი არ უნდა ყოფილიყო, თორემ მის ბედნიერებას ზიანი მიადგებოდა, ამიტომ მასთან შეხვედრისთვის თავის არიდება მოუნდა. მართლაც, რატომ მიდის მასთან? აი, ედუარდი ბაბილონის ქუჩაზე გამოცხადდება და ოლივიეს ნივთებს მოითხოვს, მაგრამ, რის საფუძველზე? ედუარდი მიდიოდა, თან ფიქრობდა, რომ ამ მისიის შესრულებას სრულიად დაუფიქრებლად დათანხმდა, ის ხომ ცდილობდა დაეფარა ოლივიე რომ მასთან გადავიდა, ეს ნაბიჯი კი, პირიქით, ყველაფერს ნათელს ჰფენდა... ოღონდ, უკან დახევა უკვე გვიანი იყო: ოლივიეს პირობა

მისცა. ახლა საჭიროა პასავანთან თავი ძალიან ცივად და ძალიან მტკიცედ დაიჭიროს. ტაქსი გამოჩნდა; გააჩერა.

ედუარდი ცუდად იცნობდა პასავანს; წარმოდგენაც არ ჰქონდა მისი ხასიათის ერთ მეტად მნიშვნელოვან თვისებაზე; აქამდე ვერავინ შეძლო მისი უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება; ვერ იტანდა თუ ვინმე აჯობებდა; დამარცხება რომ არ ეღიარებინა, თავის მოკატუნება იცოდა; ყოველგვარ ვითარებაში ჩემი ბედის გამგებელი მე ვარო, იტყოდა ხოლმე, და როგორი სიტუაციაც უნდა შექმნილიყო, ისეთ სახეს იღებდა, თითქოს მომხდარი ამბავი მის სურვილებს პასუხობდა. მიხვდა თუ არა, ოლივიე ხელიდან დაუძვრა, ყველა ღონე იხმარა მისი გაცოფება არავის შეემჩნია. შეეშინდა, სასაცილო მდგომარეობაში არ აღმოჩენილიყო და უკან არ გასდევნებია, პირიქით, თავს ძალა დაატანა, ნელში უფრო გაიმართა და მხრები აიჩეჩა. არასოდეს ისეთი ძლიერი გრძნობა არა ჰქონია, ვერ მოეთოკა. ზოგიერთს უხარია, რომ საკუთარი თავის ხელში აყვანა შეუძლია და არ აღიარებენ, რომ ხშირად იგი მათი ხასიათის სიძლიერით კი არ აიხსნება, არამედ მათი ტემპერამენტის უბადრუკობით. განზოგადებას არ ვაპირებ; მივიჩნიოთ, რომ, რაც ითქვა მხოლოდ პასავანს ეხება; ამგვარად, პასავანს არ გასჭირვებია საკუთარი თავი დაერწმუნებინა, რომ ოლივიე უკვე მოსწყინდა; რომ ზაფხულის ორი თვის მანძილზე, თავგადასავლების ყველა დადებითი მომნენტი ამოწურა, რასაც შეიძლება დიდი გართულებები მოჰყოლოდა, და, რომ არსებითად, გადაჭარბებით შეაფასა ამ ბავშვის სილამაზე, თავაზიანობა და ინტელექტუალური შესაძლებლობები; და ისიც, რომ უკვე დრო იყო, ფხიზლად შეეფასებინა ყველა უხერხული მდგომარეობა, რომელიც აუცილებლად წარმოიშვებოდა, თუკი ჟურნალს ასეთი ახალგაზრდა და გამოუცდელი ადამიანი უხელმძღვანელებდა; საბოლოოდ, ყველაფრის კარგად აწონ-დაწონის შემდეგ, ამ დასკვნამდე მივიდა: სტრუვილუ უკეთ გაართმევდა ამ საქმეს თავს; ცხადია, ჟურნალის მთავარი რედაქტორის რანგში; ახლახან წერილიც მისწერა და ამ დილით სახლშიც მიიწვია.

ისიც დაუმატოთ, რომ პასავანი ცდებოდა ოლივიეს გაქცევის ნამდვილ მიზეზში. ის ფიქრობდა, რომ მასში ეჭვი გააღვიძა, როცა მეტისმეტად აქტიურად ეარშიყებოდა სარას; ამ აზრზე შეჩერდა და რადგან ბუნებით პატივმოყვარე კაცი ბრძანდებოდა, ეს აზრი მის პატივმოყვარეობას აამებდა; დააამა კიდეც და მისი გაღიზიანებაც გაქრა.

მაშ ასე, ის სტრუვილუს ელის; ნაბრძანებიც ჰქონდა, მოსვლისთანავე შემოეყვანათ, ამიტომ ედუარდი მოუხსენებლად შეუშვეს.

პასავანს განცვიფრება არაფრით გამოუხატავს. მისდა საბედნიეროდ, ის როლი, რომელიც უნდა ეთამაშა, მისივე ბუნებას ეხმაურებოდა და მისი აზრების მსვლელობას არ არღვევდა. ამიტომ, როგორც კი ედუარდმა ვიზიტის მიზანი აუწყა, მაშინვე უპასუხა:

„— როგორ მიხარია, რაც მითხარით. მართლა ასეა?.. თანახმა ხართ, ეს გააკეთოთ? ძალიან ხომ არ შეწუხდებით?.. ოლივიე მშვენიერი ჭაბუკია, მაგრამ მისი აქ ყოფნა, ჩემთვის ცოტა მძიმე იყო. ვერ გავბედე მისთვის ეს მეგრძნობინებინა; ის ისეთი თავაზიანია... ვიცოდი, ერჩივნა მშობლებთან არ დაბრუნებულიყო... მშობლებს, მოგეხსენებათ, ერთ მშვენიერ დღეს ვშორდებით... თუმცა, თუ არ ვცდები, დედამისი თქვენი ნახევარი დაა, არა?.. თუ რაღაც ამისი მსგავსი, ხომ?.. მახსოვს, ოლივიე რაღაცას მიხსნიდა... და ყველაფერი ბენებრივად გამოვა, თქვენთან რომ იცხოვრებს. კაციშვილი არ ჩაიცინებს (თქვა ეს სიტყვები და ჩაცინებაც არ დააყოვნა). გესმით ალბათ, ჩემთან ცხოვრობდა და ყველაფერი სათაკილოდ გამოიყურებოდა. ესეც ჩემი სურვილის ერთ-ერთი მიზეზი იყო — სადმე სხვაგან გადასულიყო... თუმცა, ჩვეულებად არა მაქვს საზოგადოებრივ აზრს რაიმე მნიშვნელობა მივანიჭო. არა, ეს უფრო მის ინტერესებში შედიოდა...".

საუბარი ცუდად არ დაინყო, მაგრამ ვერაგმა პასავანმა ცდუნებას ვერ გაუძლო და ბედნიერებაში რამდენიმე წვეთი სამსალაც გაურია: მას მუდამ ჰქონდა საწამლავი მომარაგებული: კაცმა არასოდეს იცის, როდის რა მოხდება...

ედუარდმა იგრძნო, მოთმინებას კარგავდა. უცბად, ვენსანი გაახსენდა, რომლის შესახებაც პასავანს რაღაც უნდა სცოდნოდა. ცხადია, ისიც მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, თუ დუვიე მოვიდოდა და ვენსანის ამბის გაგებას მოისურვებდა, არაფერი ეთქვა; მაგრამ ფიქრობდა, რაც უკეთ ეცოდინებოდა ყველაფერი, მით უფრო ადვილად აარიდებდა თავს დუვიეს კითხვებს; ცოდნა პოზიციებს ამტკიცებს. ამ მიზეზით ისარგებლა და საუბრის თემა შეცვალა.

„— თვითონ ვენსანს არაფერი მოუწერია. — უთხრა პასავანმა, — სამაგიეროდ, ლედი გრიფიტისგან მივიღე წერილი; ხომ იცით, ის, ქალბატონ დუვიეს შემცვლელია, წერილში ვენსანზე ბევრს ლაპარაკობს. აი, წერილიც... ბოლოს და ბოლოს, რატომაც არ უნდა გაეცნოთ".

წერილი გაუწოდა. ედუარდმა წაიკითხა:

„My dear,

დაკარიდან მთავრის იახტა უჩვენოდ წამოვიდა. ვინ იცის, როცა მათ მიერ წამოღებულ ამ წერილს მიიღებთ, ჩვენ სად ვიქნებით. შეიძლება კაზამანსის ნაპირებთან ვიყოთ; ვენსანს იქ უნდა შეავსოს თავისი ჰერბარიუმი, მე კი ვინადირებ. ისიც არ ვიცი, მე დამყავს ვენსანი თუ მას დავყავარ; მგონი, უფრო თავგადასავალთა დემონი არ გვაძლევს მოსვენებას ორივეს. მასთან მოწყენილობის დემონმა წარგვადგინა, რომელიც გემბანზე გავიცანით... ოჰ, dear, იახტაზე უნდა იცხოვრო, რომ ნამდვილად შეიცნო, რა არის მოწყენილობა. ქარი როცაა, ცხოვრება ცოტად თუ ბევრად ასატანი გეჩვენება: ყოველ შემთხვევაში, გემთან ერთად მაინც ირწევი. მაგრამ ტენერიფიდან მოყოლებული, პატარა ნიავიც არ ამოვარდნილა, ერთი ნაოჭიც არ გაჩენილა ზღვაზე.

...დიდ სარკეში ჩანს ნაღველი ჩემი.

იცით, რითი ვარ აქამდე დაკავებული? ვენსანისადმი სიძულვილით. დიახ, ჩემო ძვირფასო, სიყვარული მეტისმეტად უგემოვნოდ გვეჩვენა და გადავწყვიტეთ ერთმანეთი გვძულებოდა. პატიოსნად რომ ვთქვა, ეს უფრო ადრე დაიწყო; დიახ, მაშინვე, როგორც კი გემზე აღმოვჩნდით; ეს ჯერ მხოლოდ გაღიზიანება იყო, ჩუმი მტრობა, რომელიც ხელჩართულ ბრძოლას ხელს არ უშლიდა. კარგი ამინდი დადგა თუ არა გავმძვინვარდით. ოჰ! ახლა მივხვდი, ეს რაც არის; ვინმესადმი ნამდვილი ვნება რომ განიცადო...“.

წერილი გრძელი იყო.

„— საკმარისია, მეტს აღარ წავიკითხავ; ყველაფერი ნათელია. — თქვა ედუარდმა და პასავანს წერილი დაუბრუნა. — როდის ბრუნდება?

— დაბრუნებაზე ლედი გრიფიტი არაფერს იწერება“.

პასავანმა დამცირებულად იგრძნო თავი, რადგან ედუარდს წერილისადმი დიდი ინტერესი არ გამოუჩენია; თანაც წერილის წაკითხვის იდეა მისგან, პასავანისგან მოდიოდა, ამიტომ ასეთი დაუინტერესებლობა უნდა განეხილა, როგორც გამოწვევა. რასაც მას სთავაზობდნენ იმაზე უარის თქმა საძრახისად არ მიაჩნდა, მაგრამ, რასაც თავად იძლეოდა და უარს ეუბნებოდნენ, სწყინდა. ამ წერილმა გაახარა; ლილიანისა და ვენსანის მიმართ რაღაც განსაზღვრული თანაგრძნობა ჰქონდა, როგორც გაირკვა, დახმარების აღმოჩენაც შეეძლო. ოღონდ იმისდამი,

ვინც მის დაუხმარებლად იოლას გადიოდა, თანაგრძნობა მაშინვე უსუსტდებოდა. და ახლა, როცა გაიგო, მისი ორივე მეგობარი ბედნიერების აფრებით სულაც არ დაცურავდა, მაშინვე გაიფიქრა: ძალიან კარგიო.

რაც შეეხება ედუარდს, მისი ამდილანდელი განწყობილება იმდენად გულწრფელი იყო, რომ ასეთი ემოციური სურათის წინაშე არანაირი უხერხულობა არ უგრძნია. ასე რომ, წერილის დაბრუნებაში არავითარი განსაკუთრებული აზრი არ ჩაუდევს.

პასავანისთვის კი მნიშვნელოვანი იყო, ისევ აეღო ხელში ინიციატივა.

„— ჰო! კიდევ რა მინდოდა მეთქვა. როგორც იცით, ვფიქრობდი ოლივიესთვის მიმენდო ჟურნალის ხელმძღვანელობა. ბუნებრივია, ახლა ამაზე ლაპარაკიც აღარ შეიძლება.

— თავისთავად იგულისხმება, — მაშინვე შეაწყვეტინა ედუარდმა, რომელსაც პასავანმა თავისდაუნებურად მძიმე ტვირთი ჩამოხსნა; ედუარდის ტონით ისიც მიხვდა, რომ მდგომარეობა შეუმსუბუქა, საკუთარ თავს ტუჩების კვნეტის საშუალება აღარ მისცა და მაშინვე დაუმატა:

— ოლივიეს დატოვებული ნივთები იმ ოთახშია, რომელშიც აქამდე ცხოვრობდა. ტაქსით ხართ მოსული? ახლავე ჩაიტანენ. ჰო, მართლა, ოლივიე როგორ არის?

— ძალიან კარგად“.

პასავანი ადგა. ედუარდიც. ერთმანეთს ცივად დაემშვიდობნენ და დაშორდნენ.

ედუარდის სტუმრობამ გრაფ დე პასავანს მეტისმეტად უსიამოვნო გრძნობა დაუტოვა.

„— უჰ!“ — წამოიძახა, როცა შემოსული სტრუვილუ დაინახა.

თუმცა სტრუვილუს საკუთარი თავის დაცვა შეეძლო, პასავანი მასთან საუბარისას მაინც თავისუფლად გრძნობდა თავს, ანუ უფრო ზუსტად, რაც სურდა, იმას აკეთებდა. სტრუვილუ, ცხადია, ღირსეული მოწინააღმდეგე იყო, პასავანმა ეს კარგად იცოდა, მაგრამ თვითონ ძალას გრძნობდა და შემოსული გაბედულად გამოიწვია:

„— ჩემო ძვირფასო სტრუვილუ, დაბრძანდით, — უთხრა და სავარძელი მიუწია. — ნამდვილად მიხარია თქვენი ნახვა.

— რადგან ბატონმა გრაფმა ინება და თავისთან მიმიწვია, მის განკარგულებში ვარ“.

სტრუვილუს მასთან თავხედი ლაქიის ტონით ლაპარაკის მანერა ჰქონდა. პასავანი სიამოვნებით ღებულობდა ასეთი ტონით ლაპარაკს.

„— პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ; როგორც ერთმა კაცმა თქვა: მოდით, გამოვძვრეთ სანოლის ქვეშიდან. თქვენ უკვე უამრავი პროფესია გამოიცვალეთ... დღეს მინდა შემოგთავაზოთ ნამდვილი დიქტატორული ადგილი; ცხადია, ლაპარაკი მხოლოდ ლიტერატურაზეა.

— რა გაეწყობა. — და როცა პასავანმა პორტსიგარი გაუნოდა, თქვა: — თუ ნებას მომცემთ, მირჩევნია...

— არავითარ შემთხვევაში არ გაძლევთ ნებას. თქვენი საზიზღარი კონტრაბანდული სიგარით მთელ ოთახს მომინამლავთ. ვერასოდეს მივხვდები, ამ საზიზღრობის მონევით რა სიამოვნება შეიძლება ნახოს კაცმა.

— ოო, ვთქვა, აღფრთოვანებული ვარ-მეთქი, ვერ ვიტყვი. სამაგიეროდ, მეზობლები ნუხდებიან.

— ისევ ფრონდერი ხართ?

— სულელად არ უნდა ჩამთვალონ“.

პასავანის წინადადებას პირდაპირ არ უპასუხა; აუცილებლად მიიჩნია თავისი თვალსაზრისი ჩამოეყალიბებინა და თავისი პოზიცია განესაზღვრა. მან გააგრძელა:

„— ფილანთროპი არასოდეს ვყოფილვარ.

— ვიცი, ვიცი, — უთხრა პასავანმა.

— არც ეგოისტი ვყოფილვარ. აი, ეს კი არ იცოდით... ვიღაცებს უნდოდა დაგვეჯერებინა, რომ ადამიანისთვის ეგოიზმისგან თავის დაღწევის საუკეთესო საშუალება ალტრუიზმი ყოფილიყო; უფრო დიდი საძაგლობა! მე კი მიმაჩნია, რომ ამ ქვეყანაზე მხოლოდ ერთი რამ არსებობს უფრო დიდი საზიზღრობა და უფრო დიდი საძაგლობა, ვიდრე ადამიანია, ეს გახლავთ ბევრი ადამიანი. ვერავითარი სისტემა ვერ დამარწმუნებს, რომ საძაგელი კომპონენტების შერწყმით ერთ ჩინებულ მთელს მივიღებთ. როგორც კი ტრამვაიში ან მატარებელში ვჯდები, მაშინვე ერთ კარგ ავარიაზე ვინყებ ოცნებას, რომელიც მთელ ამ მოფუთფუთე ნაგავს საფლავად აქცევს, ჩემი ჩათვლით, ცხადია. შევალ თუ არა რომელიმე დარბაზში, სადაც სპექტაკლი იმართება, მაშინვე სურვილი მიჩნდება ჭაღი ჩამოვარდეს ან ბომბი აფეთქდეს. საკუთარ თავს სხვა რაღაც უკეთესისთვის რომ არ ვამზადებდე, თვითონ შევიტანდი პიჯაკში დამალულ ბომბს და დაუფიქრებლად სხვებთან ერთად ავფეთქდებოდი. რამე ბრძანეთ?..

— არა, არაფერი. გააგრძელეთ. იმ ორატორებს როდი ეკუთვნით, ადგილიდან დასაძვრელად წინააღმდეგობათა წკეპლა რომ სჭირდებათ.

— მე კი შემომესმა, რომ ერთი ჭიქა თქვენი შეუდარებელი პორტო შემომთავაზეთ".

პასავანს გაეღიმა.

„— ბოთლი გვერდით მოიდგით, — უთხრა სტრუვილუს და ბოთლი მიუწია. — შეგიძლიათ გამოცალოთ კიდეც, ოღონდ ილაპარაკეთ".

სტრუვილუმ პორტვეინი დაისხა, სავარძელში მოხერხებულად მოიკალათა და გააგრძელა:

„— არ ვიცი, იქნებ, მართლაც მაქვს ის, რასაც გულქვაობას ეძახიან; მეტისმეტად დიდია ჩემში გულისწყრომა და ზიზღი, რომ ეს თვალსაზრისი გავიზიარო, თუმცა, ჩემთვის სულერთია. მართალია, დიდი ხანია ვცდილობ გავაძევო ყველაფერი, რასაც შეუძლია მისი შერბილება. ამასთან ჩემთვის უცხო არ არის აღფრთოვანება, არც ის თავისებური აბსურდული თავდავიწყება; როგორც ადამიანს, ამაოდ ხომ არ შემეზიზღება და მეძულება საკუთრი თავი სხვებზე ნაკლებად. განუწყვეტლივ ყოველი მხრიდან მესმის, რომ ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება კაცობრიობის აყვავებას ემსახურებაო; ჩემთვის ესეც საკმარისია, რომ მძულდეს ის. ხელს არაფერი მიშლის სხვა მხარეს შევაბრუნო ეს წინადადება. აი, მაშინ მთელი მკერდით თავისუფლად ვსუნთქავ. დიახ, მსიამოვნებს წარმოვიდგინო დამონებული კაცობრიობა, რომელიც რომელიღაც სისხლიან მონუმენტს აგებს; საკუთარი თავი წარმოვიდგინო, ვთქვათ, ბერნარ პალისად (მასზე ლაპარაკით ხომ გამოგვიჭედეს ყურები), რომელმაც ცოლი და შვილები დაწვა, საკუთარი თავიც, ლაქი რომ მიეღო, რათა რაღაც მშვენიერი ჭურჭელი მოეხატა. მიყვარს პრობლემების სხვა მხარეზე შებრუნება; ვერაფერს გააწყობთ, ასე მაქვს გონება მოწყობილი; მათი თავდაყირა დაყენებით, საუკეთესო ნონასნორობას ვაღწევ. მეძულს ის აზრი, რომ ქრისტემ საკუთარი თავი გაწირა ამ საძაგელი ადამიანუკების უაზრო გადარჩენისთვის, რომელთა შორის მეც ვცხოვრობ, წარმოვიდგენ თუ არა აზრობრივად, რომ ეს აქოთებული ბრბო ქრისტეს წარმოშობს, მაინც რაღაც კმაყოფილებას ვგრძნობ და ერთგვარ გამონათებასაც... თუმცა, რაღაც სხვას ვამჯობინებდი, რადგან ქრისტეს ყველა სწავლება, მხოლოდ იმისთვის აღმოჩნდა გამოსადეგი, რომ ადამიანები უფრო ღრმად ჩაეფლონ ჭაობში. უბედურება, მკაცრი ადამიანების ეგოიზმიდან მოდის.

მაშინ, როცა თავგანწირული სიმკაცრით უდიდესი შედეგების მიღწევა შეიძლება. როცა უბედურებს, სუსტებს, რაქიტიანებს, დაჭრილებს ვუფრთხილდებით, სწორად არ ვიქცევით; ამიტომაც მძულს რელიგია, რომელიც ამის გაკეთებას გვიწესებს. უდიდესი სიმშვიდე, რომელსაც თვით ფილანთროპებიც კი აღიარებენ, მხოლოდ ბუნების ჭვრეტით, ფლორის და ფაუნის ჭვრეტით, მიიღწევა, და ეს შესაძლებელი იმიტომ ხდება, რომ ველურ მდგომარეობაში, მხოლოდ ძლიერნი ვითარდებიან; დანარჩენი კი ნარჩენია და სასუქად იქცევა. აი, ამას კი რატომღაც ვერ ხედავენ; არ უნდათ ამისი აღიარება.

— როგორ არა, როგორ არა, მე სიამოვნებით ვაღიარებ. გააგრძელეთ.

— აბა, თქვით ერთი, განა სირცხვილი არ არის, განა უბედურება არ არის... ის, რომ ადამიანმა ამდენი გააკეთა დიდებული ჯიშის ცხენების, შინაური ცხოველების, ფრინველების, ხორბლეულის, ყვავილების გამოსაყვანად, თვითონ კი მედიცინაში ეძებს თავისი ტანჯვის შემსუბუქებას, ქველმოქმედებაში სიმშვიდეს, რელიგიაში ნუგეშს, სიმთვრალეში თავდავიწყებას. არადა, ჯიშის გაუმჯობესებაზე საჭიროა მუშაობა. მაგრამ ყოველგვარი სელექცია მდარე მასალის განადგურებას გულისხმობს, ამაზე კი ჩვენი ქრისტიანული საზოგადოება არასოდეს დათანხმდება. დეგენერატების კასტრაციასაც კი არ აიღებს საკუთარ თავზე, არადა, ისინი, სხვათა შორის, დიდი ნაყოფიერებით გამოირჩევიან. საავადმყოფოები კი არ გვჭირდება, არამედ სანაშენე ფერმები.

— ეშმაკმა დალახვროს, სტრუვილუ, თქვენი აზრები მომწონს.

— ვშიშობ, ბატონო გრაფო, რომ აქამდე ჩემში ცდებოდით. სკეპტიკოსი გეგონეთ, მე კი იდეალისტი ვარ, მისტიკოსი. სკეპტიციზმს დღემდე კარგი არაფერი შეუქმნია. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ მას მივყევართ... შემწყნარებლობამდე! სკეპტიკოსები უიდეალო, უწარმოსახვო, სულელ ხალხად მიმაჩნია... მშვენივრად გამეგება, ძლიერი ადამიანური ჯიშის შექმნა დაკავშირებულია ყოველგვარი დახვეწილი, დელიკატური გრძნობების გადაშენებასთან; მაგრამ ამ დელიკატური გრძნობების გადაშენება არავის დაენანება, რადგან მასთან ერთად ამ გრძნობების მატარებელნიც განადგურდებიან. სწორად გამიგეთ, მე მაქვს ის, რასაც კულტურას უწოდებენ, და კარგად ვიცი, რომ ჩემი იდეალი ზოგიერთ ძველ ბერძენს უკვე შემჩნეული აქვს; ყოველ შემთხვევაში, სიამოვნებით წარმოვიდგენ და ვიხსენებ, რომ აჩრდილების სიბრალულით აღვსილი, ცერერას ქალიშვილი კორა, ჯოჯოხეთში ჩავიდა,

ხოლო როცა დედოფალი გახდა, პლუტონის მეუღლე, „ულმობელ პროზერპინად" იქცა, როგორც ჰომეროსი მოწმობს. ჩაიხედეთ „ოდისეაში", სიმღერა მეექვსე. „ულმობელი" — ასეთი უნდა იყოს ადამიანი, ვისაც სათნოებაზე აქვს პრეტენზია.

— მიხარია, რომ ლიტერატურას დაუბრუნდით... თუმცა, შეიძლება მასზე ლაპარაკი არც მიგვიტოვებია. მაშ ასე, ჩემო სათნოებით აღვსილო სტრუვილუ, ხომ არ დათანხმდებით და არ გახდებით ერთი ჟურნალის ულმობელი რედაქტორი?

— სიმართლე რომ გითხრათ, ბატონო გრაფო, გამოგიტყდებით და ადამიანთა ყველაზე გულის ამრევი ანაორთქლიდან, ლიტერატურა ჩემში ყველაზე დიდ ზიზღს იწვევს. მასში მხოლოდ მლიქვნელობისა და მაამებლობის ინსტრუმენტს ვხედავ. და უფრო და უფრო ეჭვი მიპყრობს, საერთოდ უნარი აქვს კი იგი იქცეს სხვა რამედ, თუ ნარსულისგან არ გათავისუფლდა. ცხოვრებაში უამრავი პირობითი გრძნობებით ვსარგებლობთ, რომელიც მკითხველმა უნდა განიცადოს, რომელსაც ყოველი ნაბეჭდი სიტყვისა სჯერა; მწერალი ხომ ამ პირობითი გრძნობებით სპეკულაციას ეწევა, ხელოვნების საფუძვლად რომ ღებულობს. ეს გრძნობები ყალბად ჟღერს, როგორც რაღაც ჟეტონები, მაგრამ გასავალი აქვს. ცნობილია, რომ „ყალბი ფული ნამდვილს აძევებს", მაგრამ ის, ვინც პუბლიკას ნამდვილ მონეტას შესთავაზებს, მატყუარად გამოჩნდება. სამყაროში, სადაც ყველა ფლიდობს, პატიოსანი კაცი ადვილია შარლატანად მიიღო. უნდა გაგაფრთხილოთ: თუ ჟურნალის ხელმძღვანელობას ვიკისრებ, მხოლოდ იმიტომ, რომ რუმბი გავხვრიტო, გავაუფასურო სიტყვებით თქმული ყველა ნატიფი გრძნობა და მისი ვექსილები.

— ეშმაკმა დალახვროს, საინტერესოა როგორ აპირებთ ამის გაკეთებს.

— თავისუფალი მოქმედების უფლება მომეცით და ნახავთ. ამაზე უკვე დიდი ხანია ვფიქრობ.

— ვერავინ გაგიგებთ და არავინ გამოგყვებათ.

— გამომყვებიან! და მერე როგორ! ის ახალგაზრდები, რომლებიც უფრო მოურიდებელნი არიან, ისედაც ხომ უარყოფენ პოეტურ ინფლაციას. ისინი მიხვდნენ, რომ დაღვლარჭნილი რითმებისა და მოწკარუნე ლირიკული კუპლეტების უკან, ხშირად არაფერია, გარდა სიცარიელისა. ნგრევისკენ მოწოდება თუ იქნება, ხელებიც გამოჩნდება. გნებავთ,

სკოლა შევქმნათ, რომელსაც ყველაფრის დამხობის გარდა სხვა მიზანი არ ექნება?.. გეშინიათ?..

— არა... თუ ჩემს ბაღს ხელს არ ახლებენ.

— ჯერ სხვაც ბევრია საქმე... მერე გამოჩნდება. ახლა დრო ხელსაყრელია. ბევრის დასახელება შემიძლია, რომელთაც მხოლოდ ნიშანი სჭირდებათ შეკრებისა, სრულიად ახალგაზრდები... დიახ, თქვენ ეს მოგწონთ, ვიცი; მაგრამ გაფრთხილებთ, მოტყუებას არავის აპატიებენ. ხშირად ვფიქრობ, როგორ მოხდა, რომ მხატვრობამ ასე გაუსწრო ლიტერატურას; ამისი ნება როგორ მისცა ლიტერატურამ? როგორ შეილანძღა ყველაფერი, რაც მხატვრობაში „თემასთან" არის დაკავშირებული! „მშვენიერი სიუჟეტი" — განა სასაცილოდ არ ჟღერს? დღეს თუ რომელიმე მხატვარი გაბედავს და პორტრეტს შექმნის, ისიც მხოლოდ ისეთს, რომელშიც მსგავსება არ იქნება. თუ როგორც საჭიროა, ისე ნავიყვანთ საქმეს, ამაში კი ჩემი იმედი გქონდეთ, ორი ნელიც არ გაივლის, რომ ხვალინდელი პოეტები შეურაცხყოფილად ჩათვლიან თავს, თუ ვიღაც მიხვდება, რისი თქმაც სურთ. დიახ, ბატონო გრაფო, სანაძლეო გნებავთ? ყოველ აზრს, ყოველ შინაარსს ანტიპოეტურად ჩათვლიან. გთავაზობთ ლოგიკის ნგრევაზე მუშაობას. ოო, ჟურნალისთვის რა მშვენიერი სათაურია „დამსუფთავებელნი".

პასავანმა ყველაფერი ნარბშეუხრელად მოისმინა. ერთხანს დუმდა, მერე ჰკითხა:

„— თქვენს თანამზრახველთა შორის, თქვენი ქაბუკი ძმისწულიც არის?

— პატარა ლეონი ყველაზე გამობრძმედილია; ყველაფერს ადვილად ითვისებს. მისი სწავლება ერთი სიამოვნებაა. გაზაფხულზე იმით გართობა გადაწყვიტა, რომ თავისი კლასის ყველა მოწაფისთვის ეჯობნა და ყველა ჯილდოც მიიღო. ამ სასწავლო წლის დასაწყისში კი არაფერს აკეთებს; არ ვიცი, რა ჩაიფიქრა, მაგრამ სრულიად ვენდობი. მთავარი კი ის არის, რომ არ მსურს თავი მოვაბეზრო.

— არ მომიყვანთ?

— ბატონი გრაფი ხუმრობს, მგონი... ჟურნალს რა ვუყოთ?

— ამაზე კიდევ ვილაპარაკებთ. თქვენ პროექტზე უნდა ვიფიქრო. მანამდე კი, მდივანი მომიძებნე. ვინც მყავდა, აღარ მაკმაყოფილებს.

— ხვალვე ქაბუკ კობ-ლაფლერს გამოგიგზავნით, რომელსაც აქედან წასვლის შემდეგ უნდა შევხვდე და ვფიქრობ, იგი თქვენს მოწონებას დაიმსახურებს.

„— დამსუფთავებელთაგანია"?

— ცოტა კი.

— Ex uno[1]....

— არა! ყველას ერთნაირად ნუ განსჯით. ის უფრო თვინიერია. ზუსტად ისეთი, როგორიც გჭირდებათ.

სტრუვილუ ადგა.

— მართლა, — თქვა პასავანმა. — მგონი, თქვენთვის წიგნი არ მიჩუქებია. სამწუხაროდ, პირველი გამოცემა აღარ დამრჩა.

— რადგან მაგის გაყიდვას არ ვაპირებ, ამიტომ მნიშვნელობაც აღარ აქვს რომელი იქნება.

— უბრალოდ, უკეთესი ნაბეჭდია.

— ოო! არც წაკითხვას ვაპირებ... ნახვამდის. თუ გული გიკარნახებთ, თქვენ განკარგულებაში მიგულეთ. პატივი მაქვს გამოგეთხოვოთ".

1. ერთ-ერთი... (ლათ.)

# XII

## ედუარდის დღიური

„ოლივიეს ნივთები მოვიტანე. პასავანისგან დავბრუნდი თუ არა, მაშინვე მუშაობა დავიწყე. მშვიდი და კარგი განწყობილება მაქვს. დღემდე უცნობ სიხარულს ვგრძნობ. შეუჩერებლად, ყოველგვარი ჩასწორების გარეშე, უცბად დავწერე „ყალბი ფულის მჭრელების" ოცდაათიოდე გვერდი. როგორც ღამის პეიზაჟს უცბად ანათებს ელვა, მთელი დრამა უეცრად გამოჩნდა სიბნელიდან, სრულიად განსხვავებული იმისგან, რის შეთხზვასაც ამაოდ ვცდილობდი. აქამდე დაწერილი ჩემი წიგნები, ახლა ქალაქის პარკების აუზებს მაგონებს, ზუსტად შემოსაზღვრული კონტურები რომ აქვთ, და შეიძლება ერთგვარად სრულყოფილნიც არიან, მაგრამ მათში წყალია დატყვევებული და სიცოცხლე აკლიათ. ახლა მსურს, მას შესაძლებლობა მივცე წავიდეს ხან სწრაფად, ხან ნელა, თავის ნებაზე იაროს დამრეცზე.

„X... ამტკიცებს, კარგმა რომანისტმა, ვიდრე წიგნს დაიწყებდეს დასასრული უნდა იცოდესო. მე კი ჩემს წიგნს საშუალებას მივცემ ალალბედზე იაროს; მიმაჩნია, რომ ცხოვრებისგან შემოთავაზებული ყოველი მოვლენა შეიძლება განვიხილოთ, როგორც რაღაცის დასასრული, ასევე რაღაც ახალის დასაწყისიც. „გაგრძელება შეიძლება ...". ამ სიტყვებით მინდა დავამთავრო ჩემი „ყალბი ფულის მჭრელები".

„დუვიეს ვიზიტი. მართლაც ძალიან ყოჩაღი ბიჭია.

„რადგან სიმპათიის გამომჟღავნებით მეტისმეტად გადავაჭარბე, მისი გულისნადების გადმოშლის მოსმენა მომიწია, ამიტომ უხერხულადაც კი ვიგრძენი თავი. ველაპარაკებოდი და უნებურად ლაროშფუკოს სიტყვებს ვიმეორებდი ჩემთვის: „ჩემში თანაგრძნობის გრძნობა სუსტად არის განვითარებული; ვამჯობინებ, მისგან საერთოდ გავთავისუფლდე... ვფიქრობ, იგი მხოლოდ უნდა გამოიხატოს და უკეთესია თუ მის შეძენას თავს აარიდებს კაცი". მიუხედავად ამისა, ჩემი სიმპათიები სრულიად რეალური იყო, უტყუარი და ისე ვღელავდი, ტირილი მომერია. სიმართლე ითქვას, მომეჩვენა, რომ ჩემმა ცრემლებმა უფრო

საიმედოდ დაამშვიდა, ვიდრე სიტყვებმა. ისიც მგონია, მწუხარებამაც გაუარა, როცა ატირებული მნახა.

„მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, მისთვის შემცდენელის სახელი არ გამემხილა, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, არც უკითხვს. ასე მგონია, მისი ეჭვიანობა ქრება, როცა ლორას გამოხედვას ვერ გრძნობს. ყოველ შემთხვევაში, ჩემთან ვიზიტის შედეგად ამ გამოხედვის ძალა საგრძნობლად დაეცა.

„მის მოსაზრებებში რაღაც ულოგიკობა იგრძნობა; აღშფოთებულია, რომ ლორა სატრფომ მიატოვა. შევედავე, ლორა მაინც არ დაბრუნდებოდა მასთან-მეთქი. ის განწყობილია ბავშვი ისევე უყვარდეს, როგორც საკუთარი ეყვარებოდა. ვინ იცის, გამორიცხული არც არის, რომ არ ყოფილიყო ეს შემცდენელი, იქნებ მამობის სიხარული ვერასოდეს ეგრძნო. ცხადია, ეს მოსაზრება ხმამაღლა არ მითქვამს, რადგან თავისი უუნარობის შეხსენებით შეიძლება ეჭვიანობის ახალი შეტევა მოსვლოდა. თუ ასე მოხდებოდა, იგი თავმოყვარეობის შელახვით აიხსნებოდა, მე კი ეს არ მაინტერესებს.

„რომელიმე ოტელოს ეჭვიანობა ადვილი გასაგებია: ცოლის სახეთან დაჰყვება, რომელიც სხვასთან ნეტარყუჩობს. ხოლო რომელიმე დუვიე, ეჭვიანი რომ გახდეს, ჯერ უნდა წარმოიდგინოს, რომ უნდა იეჭვიანოს.

„ალბათ, იდუმალი მოთხოვნილებების დახმარებით საკუთარ თავში ეს ვნება უნდა გაამწვავოს, რათა საკუთარი საკმაოდ უძლური პიროვნება ოდნავ მაინც შეალამაზოს. ბედნიერება მისთვის ბუნებრივი იქნებოდა, მაგრამ საკუთარი თავის მოხიბვლის მოთხოვნილება აქვს, და აქედან გამომდინარე, ყველაფერს, რასაც დიდი წვალებით აღწევს, ბუნებრივზე მეტად აფასებს. ამიტომ ცოტა ძალა როდი დავხარჯე, დამერწმუნებინა, რომ პატარა ბედნიერების მოპოვება არც ისე ადვილია, ხოლო მისგან მიღებული სიხარული უფრო დიდია, ვიდრე ტანჯვისგან. წასვლის ნება მხოლოდ მაშინ მივეცი, როცა დამშვიდდა.

„ხასიათების არათანამიმდევრობა. პერსონაჟები, რომლებიც რომანის ან დრამის დასაწყისიდან ბოლომდე ზუსტად ისე მოქმედებენ, როგორც განსაზღვრული იყო... ამ ერთგულების გამო, ჩვენგან მოითხოვენ აღფრთოვანებული ვიყოთ, რისი წინააღმდეგიც ვარ, რადგან ეს ყველაფერი ხელოვნურია და თეთრი ძაფით არის ნაკერი.

„სულაც არ ვამტკიცებ, რომ არათანამიმდევრულობა ბუნებრივის

ჭეშმარიტ ნიშანს წარმოადგენს, რადგან, არცთუ იშვიათად გვხვდება, განსაკუთრებით ქალებში, განზრახი არათანამიმდევრულობის გამოვლინება; მეორე მხრივ, ზოგჯერ მოხიბლულიც ვარ, როგორც ამბობენ, „არაწინააღმდეგობრიობით"; ოღონდ, ქცევათა თანამიმდევრულობას ადამიანი ხშირად აღწევს ამაო სიჯიუტისა და ბუნებრივის ნგრევის ფასად. რაც მეტი აქვს ადამიანს ნიჭი და მათი ახსნის შესაძლებლობა, მით მეტად არის განწყობილი ცვლილებებისთვის, თავის წარსულს მით უფრო ნაკლები სიამოვნებით აძლევს ნებას მართოს მომავალი. „Justum et tenacem propositi virum"[1], რომელსაც მისაბაძ მაგალითად გვთავაზობენ, ხშირად ქვიანი, დასამუშავებლად უვარგისი ნიადაგია.

„შევხვედრივარ ამ ჯიშის კიდევ ერთ სახესხვაობას, ადამიანებს, რომლებიც გულმოდგინედ იმკვიდრებენ ორიგინალურის სახეს; მთავარი მათი საზრუნავი ის არის, რომ ერთხელ და სამუდამოდ რაღაც აირჩიონ, მერე მკაცრად მიჰყვნენ თავის არჩევანს, მუდამ ფხიზლად იყვნენ და საკუთარ თავს მოდუნების უფლება არ მისცენ (ბატონი X... მახსენდება, რომელმაც 1904 წლის „მონტრაშეს" გასინჯვაზე უარი მითხრა. „მხოლოდ „ბორდო" მიყვარს", — მითხრა მან. მაგრამ, როცა „მონტრაშე" „ბორდოდ" გავასაღე და დალია, ძალიან მოეწონა.).

„უფრო ახალგაზრდა როცა ვიყავი, ისეთ გადაწყვეტილებებს ვღებულობდი, რომლებიც სათნოებით სავსე მეგონა. მაშინ იმდენად არ მაღელვებდა, მე ვინ ვიყავი, რამდენადაც ის, როგორ გავმხდარიყავი, რადაც მინდოდა ყოფნა. ახლა ვხედავ, მგონი, გაუბედაობაშია დაბერების საწინააღმდეგო საშუალება.

„ოლივიემ მკითხა, რაზე მუშაობო. ცდუნებას ვერ გავუძელი და ჩემს წიგნზე დავუწყე ლაპარაკი; დააინტერესა, ახლახან დაწერილი გვერდებიც წავუკითხე. შიშით ველოდი, რას იტყოდა, რადგან ვიცი ახალგაზრდული შეურიგებლობა და ისიც, თუ მათთვის რა ძნელია სხვის თვალსაზრისს დაეთანხმო. მაგრამ რამდენიმე შენიშვნა, რომელიც გაბედა და თქვა, იმდენად მართებული მეჩვენა, აღარ დავაყოვნე და მაშინვე გამოვიყენე.

„ჩემთვის მისი დახმარება აუცილებელია იმისთვის, რომ გარე სამყარო აღვიქვა და იმისთვისაც, რომ ვისუნთქო.

---

1. „ქმარს სამართლიანს და მიზნისაკენ ურყევად მავალს". (ლათ.)

„გამუდმებით ჟურნალზე წუხს, რომელიც მისი ხელმძღვანელობით უნდა გამოსულიყო; განსაკუთრებით კი პასავანის თხოვნით დაწერილ ზღაპარზე; არ უნდა მისი გამოქვეყნება. აზრი გამოვთქვი, პასავანის ახალ გეგმებთან დაკავშირებით, ალბათ, ჟურნალის შინაარსიც შეიცვლება და მაშინ ხელნაწერის წამოღებაც შესაძლებელი იქნება—მეთქი.

„ძალიან მოულოდნელი იყო ჩემთვის სასამართლოს გამომძიებლის ბატონ პროფიტანდიეს ვიზიტი. ის წამდაუწუმ ცხვირსახოცით იწმენდდა შუბლს და მძიმედ სუნთქავდა, თანაც, როგორც მომეჩვენა, მეშვიდე სართულზე ამოსვლის გამო კი არ ქოშინებდა არამედ, არამედ უხერხულობისა. ხელში შლაპა ეჭირა და მხოლოდ მაშინ დაჯდა, როცა სკამი შევთავაზე. გარეგნულად ლამაზი, კარგი აგებულების და უდავოდ წარმოსადეგი კაცია.

„— თუ არ ვცდები, მოსამართლე მოლინიეს ცოლისძმად ერგებით. — თქვა მან. — თავს ნება მივეცი და თქვენთან მის ვაჟზე, ჟორჟზე სალაპარაკოდ მოვედი. გთხოვთ, მომიტევოთ, თქვენ რომ მოგმართეთ იმ საქმის გამო, რომელიც ერთი შეხედვით შეიძლება სხვის ცხოვრებაში ჩარევად მოგეჩვენოთ, მაგრამ ჩემი ქცევა, იმედი მაქვს მიმიხვდებით, მართლაც იმ მეგობრული განწყობისა და პატივისცემის გრძნობით აიხსნება, რომელიც ჩემი კოლეგისადმი მაქვს“.

„ერთხანს შეჩერდა. ავდექი და ფარდა ჩამოვუშვი; შემეშინდა, ჩვენი საუბრისთვის მსახურ ქალს ყური არ მოეკრა, რომელიც დიდი ჭრიკანა ვინმე ბრძანდებოდა და ვიცოდი, მეზობელ ოთახში საქმიანობდა. პროფიტანდიემ მონონებით გაიღიმა.

„— როგორც სასამართლოს გამომძიებელი, — გააგრძელა მან. — ახლა ერთი ფრიად დამაფიქრებელი საქმით ვარ დაკავებული, რამაც დიდ საგონებელში ჩამაგდო. თქვენმა ჭაბუკმა დისშვილმა, კიდევ ერთხელ, მოასწრო და თავი შეირცხვინა ერთ ისტორიაში... ოღონდ, ეს ყველაფერი ჩვენს შორის უნდა დარჩეს... ერთ ფრიად სკანდალურ ისტორიაში მონაწილეობით; რაშიც, როგორც მე მინდა დავიჯერო, იგი თავისი ბავშვობის, მიამიტობისა და მიმნდობლობის გამო აღმოჩნდა ჩათრეული; თუმცა, უნდა გამოგიტყდეთ, ცოტა ძალ-ღონე როდი დამჭირდა, რომ ამ ამბის ლოკალიზება... და არაფრად ჩავაგდე მართლმსაჯულების ინტერესი. ახლა კი, როცა ჩვენს წინ რეციდივია... ვაზუსტებ, სხვა სახის რეციდივი... თავდებად ვეღარ დავდგები რომ ჭაბუკი ჟორჟი

იოლოდ გამოძვრება. გარდა ამისა, მიუხედავად ჩემი მეგობრული სურვილისა თქვენი სიძისთვის ამეცდინა ეს სკანდალი, მაინც მეეჭვება, ბიჭის ინტერესებში თუა... მისი გადარჩენა. ცხადია, ვეცდები დავიხსნა, მაგრამ ხომ გესმით, აგენტები მყავს, ძალიან ბეჯითობენ, მათი შეკავებაც ყოველთვის არ გამოდის. ან ასე ვთქვათ: ჯერჯერობით გამომდის, ხვალ კი აღარ გამოვა. ამიტომაც ვიფიქრე, ხომ არ აჯობებდა თქვენს დისშვილს მოლაპარაკებოდით; აგეხსნათ, რომ ხიფათში იგდებს თავს...".

„პროფიტანდიეს ვიზიტმა, რატომაც არ უნდა გამოვტყდე, პირველად საშინლად შემაშფოთა, მაგრამ, როცა მივხვდი მტრული განზრახვით არ იყო მოსული და არც როგორც გამომძიებელი, თითქმის გამართო კიდეც. უფრო კარგ ხასიათზე დავდექი, როცა თხრობა გააგრძელა:

„— ეს ერთი ხანია მიმოქცევაში გამოჩნდა ყალბი მონეტები. ამის შესახებ გამაფრთხილეს. ჯერჯერობით, საიდან მოდის ვერ მივაკვლიე. ვიცი მხოლოდ, რომ ჭაბუკი ჟორჟი — გულუბრყვილოდ, როგორც მე მინდა დავიჯერო, — მათ შორის აღმოჩნდა, ვინც ამას იყენებს და მიმოქცევაში უშვებს. რამდენიმე კაცი ეწევა ამ სამარცხვინო საქმეს: თქვენი დისშვილის თანატოლები არიან. ეჭვიც არ მეპარება, ეს უგნური ბავშვები, მხოლოდ სათამაშონი არიან რამდენიმე უფროსი დამნაშავის ხელში, რომლებიც მათ ნდობას ბოროტად იყენებენ. ცხადია, არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების დაკავება შეიძლება და დიდი შრომაც არ დასჭირდება ვათქმევინოთ, ვინ მისცათ ეს ფული; მაგრამ, კარგად ვიცი, რაღაც სტადიაზე ეს საქმე უმართავი გახდება, თუ შეიძლება ასე ვთქვათ... ე.ი. გამოძიება უკან ვერ დაბრუნდება და იძულებული გავხდებით გავიგოთ ის, რის ცოდნასაც ვამჯობინებთ არ ვიცოდეთ. მოცემულ შემთხვევაში შემიძლია დაგპირდეთ, რომ მთავარ დამნაშავეებს ვიპოვი და არასრულწლოვან მოწმეთა ჩვენებებს არ გამოვიყენებ. ამიტომ განკარგულება გავეცი, მათთვის ხელი არ ეხლოთ. მაგრამ ეს დროებითი განკარგულებაა. ვისურვებდი, თქვენმა დისშვილმა მისი გაუქმება არ მაიძულოს. ცუდი არ იქნება, თუ გაიგებს, რომ უთვალთვალებენ. უფრო უკეთესი იქნება, ცოტასაც თუ შეაშინებთ; მეტისმეტად ციცაბო ფერდობზე მიგორავს...".

„დავარწმუნე, ყველაფერს გავაკეთებ, რაც ჩემზეა დამოკიდებული, რათა ჟორჟს საშიშროება ავაცილო-მეთქი, მაგრამ ჩემი თანამოსაუბრე, ეტყობა, არ მისმენდა; თვალი სადღაც სივრცისთვის მიეშტე-

რებინა. ორჯერ გაიმეორა: „როგორც იტყვიან, ციცაბო ფერდობზე მიგორავს", მერე გაჩუმდა.

„არ ვიცი რამდენ ხანს გაგრძელდა მისი სიჩუმე. ასე მეგონა, აზრს, რომელიც მის გონებაში ყალიბდებოდა, ვითარდებოდა ვხედავდი, და იმაზე ადრე შემომესმა მისი სიტყვები, ვიდრე წარმოთქვამდა:

„— ბატონო ჩემო, მეც ხომ მამა ვარ...".

„და, რაც ამ სიტყვებამდე თქვა, უცბად გაქრა; ჩვენს შორის მხოლოდ ბერნარი დარჩა; სხვა დანარჩენი მხოლოდ მიზეზი იყო: ის ჩემთან მოვიდა, რომ მხოლოდ მასზე ელაპარაკა.

„გულის გადაშლა უხერხულობაში მაგდებს, ხოლო გადაჭარბებული გრძნობა მაღიზიანებს, ამ მისმა თავშეკავებულმა მღელვარებამ, პირიქით, სულის სიღრმემდე შემძრა. ყოველმხრივ ცდილობდა მღელვარება დაეფარა; ეს ისე ძვირად უჯდებოდა, რომ ბაგე-ხელებზე კანკალი გადაუვლიდა ხოლმე. ვეღარ შეძლო სიტყვის გაგრძელება; სახე ხელებით დაიფარა და ქვითინისგან მთელი სხეული აუცახცახდა.

„— ხედავთ, — ალუღლუღდა იგი, — ხომ ხედავთ, ბატონო ჩემო, რამდენი ტანჯვა შეიძლება მოგვაყენოს ერთმა ბავშვმა".

„აქ თვალთმაქცობა რაღა საჭირო იყო? თავადაც მეტისმეტად ვღელავდი.

„— ახლა ბერნარი რომ გხედავდეთ, — წამოვიძახე, — გული მოულბებოდა. თავდები ვარ!"

„ძალზე უხერხულ მდგომარეობაში ვიყავი. მამაზე ბერნარს თითქმის არაფერი უთქვამს ჩემთან. ის, რომ ოჯახი მიატოვა, ვიჩქარე და სრულიად ბუნებრივად მივიჩნიე, რადგან ადრევე იმ დასკვნამდე მივედი, რომ მსგავს ქცევას ბავშვებისთვის სიკეთის გარდა, სხვა არაფერი მოაქვს. თანაც ბერნარი უკანონო შვილი იყო... და უცბად აღმოვაჩინე, მამინაცვალს ბერნარი ძალიან უყვარს და ეს სიყვარული მით ძლიერია, რომ ეს გრძნობა სრულიად ბუნებრივია და რაღაც მოვალეობებით არ არის განპირობებული. ასე რომ, მოწმე გავხდი ამ სიყვარულისა, ამ მწუხარებისა, და არ შემეძლო კითხვა არ დამესვა: სწორად მოიქცა ბერნარი, როცა სახლიდან წამოვიდა? ახლა უკვე ვეღარ გავბედე მისი ქცევის უსიტყვო მოწონება.

„— თუ რამეში გამოგადგებით, გამომიყენეთ. — ვუთხარი მე. — თუ გნებავთ, მოველაპარაკები. მას კეთილი გული აქვს.

„— ვიცი, ვიცი... დიახ, თქვენ ბევრი რამ შეგიძლიათ. ვიცი, რომ ეს ზაფხული თქვენთან ერთად გაატარა. ჩემი აგენტურა კარგად მუშა-

ობს... ასევე ვიცი, რომ დღეს ზეპირ გამოცდას აბარებს. თქვენთან მოსასვლელად, საგანგებოდ ისეთი დრო შევარჩიე, როცა ის სორბონში უნდა ყოფილიყო. მეშინოდა, უცებ არ გადავყროდი".

„ნელ-ნელა მღელვარება დამიცხრა, რადგან ყურადღება ზმნა „ცოდნას" მივაქციე, რადგან ხშირად იმეორებდა. ამის შემდეგ, უცბად, გაცილებით ნაკლები ყურადღება დავუთმე იმას, რასაც მეუბნებოდა და მთელი გულისყური მის ამ მანერაზე გადავიტანე, რაც, ალბათ, მისი პროფესიით იყო განპირობებული.

„მითხრა, „იცის", ბერნარმა რომ ბრწყინვალედ ჩააბარა წერითი გამოცდა. ერთი გამომცდელის თავაზიანობის წყალობით, რომელიც მისი მეგობარია, პროფიტანდიემ შეძლო თავისი შვილის თხზულების გაცნობა და როგორც ეტყობა, ეს ნამუშევარი ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ბერნარზე რაღაც ისეთი შეკავებული აღფრთოვანებით ლაპარაკობდა, რამაც მაიძულა და კითხვა გამიჩნდა, მიუხედავად ყველაფრისა, საკუთარ თავს მის ნამდვილ მამად ხომ არ მიიჩნევს—მეთქი.

„— ოღონდ, ღვთის გულისათვის, — დაუმატა მან. — მას არაფერი უთხრათ! ბუნებით ისეთი ამაყია, ისეთი წყენია!.. თუ მიხვდება, რომ, რაც სახლიდან წავიდა, განუწყვეტლივ მასზე ვფიქრობ, ვუთვალთვალებ... მაგრამ, რომ მნახეთ, შეგიძლიათ უთხრათ (ყოველი წინადადების შემდეგ მძიმედ ოხრავდა). თქვენ ერთადერთი ადამიანი ხართ, რომელსაც შეუძლია უთხრას, რომ მასზე გაბრაზებული არა ვარ... — მერე უფრო მშვიდი ხმით დაუმატა: — რომ ისევე მიყვარს... როგორც შვილი. დიახ, ვიცი, თქვენც იცით... კიდევ შეგიძლიათ უთხრათ, რომ... (ისე დაუმატა, რომ აღარ მიყურებდა. ძალიან ღელავდა) რომ დედამისმა მიმატოვა... დიახ, საბოლოოდ, ამ ზაფხულს; და თუ ბერნარი დაბრუნებას მოისურვებს, მე...".

„წინადადების დამთავრება ვეღარ შეძლო.

„როცა ასეთი ახოვანი, ძლიერი, ცხოვრებამოწყობილი ადამიანი, სოლიდური კარიერის პატრონი უცებ ყოველგვარ პირობითობაზე უარს ამბობს და სრულიად უცხო კაცს გულს გადაუშლის, ფრიად შთამბეჭდავი სურათი იქმნება. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ იმათი გულის გადაშლა, ვისაც ცუდად ვიცნობ, უფრო ძლიერ მაღელვებს, ვიდრე იმათი, ვისაც კარგად ვიცნობ. საჭიროა ვიფიქრო, რატომ ხდება ასე.

„პროფიტანდიეს ჩემთვის არ დაუმალავს, რომ ჩემს მიმართ წინასწარვე ცუდი აზრი ჰქონდა შექმნილი, რადგან არ ესმოდა და ახლაც არ

ესმის, ბერნარმა უცბად რატომ მიატოვა ოჯახი და ჩემთან გამოიქცა. ზუსტად ამ გარემოებამ შეუშალა ხელი, რომ უფრო ადრე არ მოვიდა ჩემთან შესახვედრად. ვერ გავბედე და ვერ ვუამბე ჩემი ჩემოდნის ისტორია, მხოლოდ მისი შვილისა და ოლივიეს მეგობრობაზე ველაპარაკე, რისი წყალობითაც, როგორც მას ვუთხარი, სწრაფად შევეწყვეთ ერთმანეთს.

„— ახალგაზრდები, — გააგრძელა პროფიტანდიემ, — ცხოვრებისკენ ისე ისწრაფვიან, წარმოდგენა არ აქვთ, რა არის ეს ცხოვრება. ალბათ, საშიშროების უცოდინარობაც არის მათი ძალა. ჩვენ, მათი მამები, ცხოვრება რომ ვიცით, მათ მაგივრად ვნერვიულობთ და ვკანკალებთ. ჩვენი მზრუნველობა მათ აღიზიანებთ, და საჭიროა ეს რაც შეიძლება ნაკლებად მოხვდეთ თვალში. ვიცი, ზოგჯერ ეს მზრუნველობა მომაბეზრებელიც არის და მოუხერხებელიც. დაუსრულებელი შეგონების მაგივრად, რომ ცეცხლი ნვავს, იქნებ ჯობია, ბავშვს ნება მივცეთ, ცოტა დაინვას. ცდა უფრო საიმედოდ ასწავლის, ვიდრე რჩევა. ყოველთვის ვცდილობდი ბერნარისთვის რაც შეიძლება მეტი თავისუფლება მიმეცა. ეს იმდენად ბევრი გამოვიდა, რომ, სამწუხაროდ, იფიქრა, მასზე საკმარისად არ ვზრუნავდი. ვშიშობ, ეს შეცდომა გახდა მისი გაქცევის მიზეზი. ამის შემდეგაც ვიფიქრე, მისთვის თავი დამენებებინა და შორიდან მედევნებინა თვალი, ისე, ვერ მიმხვდარიყო. მადლობა უფალს, ამისი შესაძლებლობა მაქვს (პროფიტანდიე აშკარად ამაყობდა თავისი აგენტურის მუშაობით და გამუდმებით აღნიშნავდა, რომ იგი კარგად ჰქონდა ორგანიზებული. ყოველ შემთხვევაში, ჩემთან საუბრისას სამჯერ ახსენა.). თუმცა ისიც ვიფიქრე, ამ ბავშვის თვალში დამცირება არ ღირდა და მისი ქცევის საშიშროებაზე ლაპარაკი. მაგრამ გამოგიტყდებით, ამ ურჩობის აქტმა, რომელმაც დიდი ტანჯვა მომაყენა, უფრო ძლიერად მიმაჯაჭვა ბერნარზე; მაგრამ ღირს კი ამისი თქმა თქვენთვის? ამ ქცევაში შევძელი და დავინახე მისი სიმამაცის, ვაჟკაცობის საბუთი...“.

„ახლა, საკუთარ თავში დარწმუნებული ჩემი დიდებული თანამოსაუბრე, გაუჩერებლად ლაპარაკობდა. ვცადე საუბარი ჩემთვის საინტერესო თემაზე გადამეტანა. გავაწყვეტინე და ვკითხე, თავისი თვალით თუ ნახა ის მონეტები, რომლებზეც მელაპარაკა. მაინტერესებდა იმ მონეტას თუ ჰგავდა, რომელიც ერთხელ ბერნარმა გვაჩვენა. ვახსენე თუ არა მონეტები, პროფიტანდიეს სახე შეეცვალა: ყველა ნაკვთი გულისყურის მოსაკრებად მაღლა ნაუვიდა, წარბები ოდნავ ჩამოეშვა,

თვალში უცნაური ცეცხლი აუთამაშდა, საფეთქლებთან ნაოჭი მოუგროვდა, ტუჩები აუკანკალდა და ის, რაზეც მანამდე ვილაპარაკეთ, აღარ აინტერესებდა. გამომძიებელმა მასში მამა შეავიწროვა, და პროფესიის გარდა ყველაფერმა არსებობა შეწყვიტა. გამოკითხვა დამიწყო, შენიშვნებს აკეთებდა, გადაწყვიტა საას-ფეში სპეციალური აგენტის გაგზავნა, სასტუმროს სარეგისტრაციო წიგნიდან ტურისტების გვარების ამოსაწერად.

„— თუმცა, სრულიად შესაძლებელია, — დაუმატა მან. — ეს ყალბი მონეტა თქვენს მედუქნეს ვინმე ავანტურისტმა შეაჩეჩა, რომელიც სასტუმროში არ გაჩერებულა“.

„შევესიტყვე, საას-ფე ღრმა ჩიხში მდებარეობს და ერთ დღეს იქ ჩასვლა და წამოსვლა ადვილი არ არის-მეთქი. ეს ბოლო შენიშვნა განსაკუთრებული მადლიერებით მიიღო; მერე მხურვალე მადლობა გადამიხადა და შეფიქრიანებული, აღფრთოვანებული სახით წავიდა, აღარც ჟორჟი უხსენებია და აღარც ბერნარი“.

# XIII

ბერნარი ამ დილასვე დარწმუნდა, რომ ისეთი დიდსულოვანი ადამიანისთვის, როგორიც თვითონ იყო, იმაზე დიდი სიხარული არ არსებობდა, ვიდრე სხვების გახარებაა. მაგრამ ამ სიხარულს იგი მოკლებული იყო; რადგან, როცა გამოცდების შედეგები გამოაცხადეს, გამოცდა კი ბრწყინვალედ ჩააბარა, გვერდით არავინ ჰყავდა, ვისაც ამ სასიამოვნო ამბავს ეტყოდა, ამიტომ გული დაუმძიმდა. იცოდა, ყველაზე მეტად მამამისი გაიხარებდა. ცოტა შეყოყმანდა კიდეც, ახლავე ხომ არ წასულიყო, რომ ეს ამბავი ეხარებინა. სიამაყემ შეაჩერა მხოლოდ. ედუარდი? ოლივიე? მართლა ასეთი მნიშვნელობა მიანიჭოს ამ დიპლომს? ამიერიდან ბაკალავრია! მშვენიერი მოვლენა! ამწუთიდან სიძნელეებიც დაეწყო.

სორბონის ეზოში ერთი ამხანაგი დაინახა, იმასაც გამოცდა ჩაებარებინა, მარტო იდგა და ტიროდა. ამხანაგს შავები ეცვა. ბერნარმა იცოდა, რომ მას ახლახან დედა გარდაეცვალა. სიმპათიის ძლიერმა შეტევამ ობოლი ბიჭისკენ წასვლა აიძულა; მიუახლოვდა, მაგრამ რაღაც უაზრო მორცხვობის გამო გვერდით ჩაუარა მხოლოდ. ჭაბუკმა დაინახა მისკენ მიმავალმა ბერნარმა როგორ შეიცვალა მიმართულება, უცბად თავისი ცრემლის შერცხვა; ბერნარს პატივისცემით ექცეოდა, ეწყინა, ეგონა, აბუჩად ამიგდოო.

ბერნარი ლუქსემბურგის ბაღში შევიდა. სკამზე ჩამოჯდა ბაღის იმ ნაწილში, სადაც იმ საღამოს ოლივიეს შეხვდა, როცა თავშესაფარი სთხოვა. ჰაერი ჯერ კიდევ საკმაოდ თბილი იყო და დიდი ხეების ტოტებს შორის, გაშიშვლება რომ უკვე მოესწროთ, ბერნარს ლაჟვარდი უღიმოდა. ზამთრის დადგომა ჯერ არ იგრძნობოდა; ამინდს მოჟივჟივე ჩიტებიც შეცდომაში შეჰყავდა. მაგრამ ბერნარი ბაღს არ უყურებდა; იგი თავის წინ გადაშლილი ცხოვრების ოკეანეს ხედავდა. ამბობენ, ზღვის ზედაპირზეც არის გზები, ოღონდ შეუმჩნეველი და გაუკვალავიო; და ბერნარმა ჯერ არ იცოდა რომელს აირჩევდა.

ერთხანს ჩაფიქრებული იჯდა; უცბად დაინახა ანგელოზი როგორ მიუახლოვდა; ისეთი მსუბუქი ნაბიჯებით მიცურდა, რომ, ალბათ, ზღვის ზედაპირზე გავლაც შეეძლო, ეს იგრძნობოდა კიდეც. ბერნარს ანგელოზი არასოდეს ენახა, თუმცა ახლა ეჭვიც არ შეპარვია, რომ ანგე-

ლოზი იყო და როცა ანგელოზმა უთხრა: „წამოდი“, მორჩილად ადგა და გაჰყვა. არ გაოცებულა, როგორც არ გაოცდებოდა მაშინაც, ეს რომ სიზმარში მომხდარიყო. მოგვიანებით ეცდება გაიხსენოს, ანგელოზმა ხელი მოჰკიდა თუ არა; სინამდვილეში კი, ერთმანეთს არც შეხებიან, მათ შორის რაღაც მანძილი დარჩა კიდეც. ისინი იმავე ეზოში დაბრუნდნენ, სადაც ბერნარმა მტირალი ბიჭი მიატოვა; ახლა ბერნარს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ბიჭს გამოლაპარაკებოდა, მაგრამ იგი ეზოში აღარ იყო.

ბერნარი ანგელოზის თანხლებით სორბონის ეკლესიისკენ მიემართება, სადაც ანგელოზი პირველი შედის და სადაც ბერნარი აქამდე არასოდეს ყოფილა. ეკლესიაში სხვა ანგელოზებიც დადიან, მაგრამ ბერნარის თვალი მიუჩვეველი  იყო და ისინი ვერ დაინახა. ის უცხო სიმშვიდეში გაეხვია. ანგელოზი საკურთხეველს მიუახლოვდა, და ბერნარმა ნახა როგორ დაიჩოქა ანგელოზმა; თვითონაც მის გვრდით მუხლებზე დავარდა. ლოცვა ვერ შეძლო, არ სწამდა ღმერთი; მაგრამ გული მისი უსაზღვრო, უნაზესმა სიყვარულის მოთხოვნილებამ შეიპყრო, იგრძნო საბოძვარი უნდა გაეცა, მსხვერპლი შეეწირა და მსხვერპლად საკუთარი თავი მიეტანა; ისეთი ბუნდოვანი მღელვარება ჩაუსახლდა, სიტყვებით მისი გადმოცემა შეუძლებელი იყო; და, უცბად, ორღანის ხმა გაისმა.

„— ზუსტად ასევე საკუთარ თავს ლორასაც სთავაზობდი, — უთხრა ანგელოზმა; ბერნარმა იგრძნო ლოყებზე ცრემლი ჩამოსდიოდა. — წამოდი“.

ბერნარი ანგელოზს მიჰყვა, ცოტას დარჩა, ერთ ძველ ამხანაგს არ დაეჯახა, რომელსაც ასევე წარმატებით ჩაებარებინა ზეპირი გამოცდა. ბერნარს ის ზარმაც კაცად მიაჩნდა და გაოცდა მისი წარმატებით. მერე, დაინახა ეს ზარმაცი ბიჭი როგორ მივიდა ეკლესიის მცველთან და სანთელი იყიდა. ბერნარმა მხრები აიჩეჩა და გამოვიდა.

როცა ქუჩაში აღმოჩნდა, შეამჩნია, ანგელოზს იგი მიეტოვებინა. თამბაქოს დუქანში შევიდა, იმ დუქანში, სადაც ჟორჟმა ერთი კვირის წინ გაბედა და თავისი ყალბი მონეტა გაასაღა. მერე სხვაც ბევრი გაასაღა. ბერნარმა სიგარეტი იყიდა და გააბოლა. რატომ წავიდა ანგელოზი? ნუთუ არაფერი ჰქონდა სათქმელი?.. საათმა თორმეტი დარეკა. ბერნარს მოშივდა. იქნებ პანსიონში დაბრუნდეს? ან ოლივიესთან წავიდეს, მასთან და ედუარდთან ისადილოს?.. შეამოწმა ფული ეყოფოდა

თუ არა, და რესტორანში შევიდა. ბერნარმა ჭამა უკვე დაამთავრა, რომ ნაზმა ხმამ ჩასჩურჩულა:

„— დადგა დრო შეჯამებისა“.

ბერნარი შებრუნდა და ანგელოზი დაინახა, იქვე, მის გვერდით იდგა.

„— ახლა უნდა გადაწყვიტო, — გააგრძელა ანგელოზმა. — აქამდე ალალბედზე ცხოვრობდი. ნუთუ შემდეგშიც შემთხვევითობის ნების დამორჩილებას აპირებ? ხომ გინდა, რამე სასარგებლო საქმე აკეთო. მნიშვნელოვანია გადაწყვიტო რომელი საქმე.

— მასწავლე; გზაზე დამაყენე“, — უთხრა ბერნარმა.

ანგელოზმა ბერნარი ხალხით სავსე დარბაზში შეიყვანა. დარბაზის სიღრმეში სცენა იყო აღმართული; სცენაზე მაგიდა იდგა; მაგიდასთან ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი იდგა და ლაპარაკობდა:

„— უდიდესი სიგიჟეა, — ამბობდა ის, — იმისი იმედი, რომ კიდევ შეგვწევს უნარი, რამე აღმოვაჩინოთ. აღარაფერია ისეთი, რაც არ მიგვიღია. თითოეულმა ჩვენგანმა, ახალგაზრდობიდანვე უნდა შეიგნოს, რომ წარსულზე ვართ დამოკიდებულნი და ეს წარსული ბევრ რამეს გვავალებს. მასშია ასახული ჩვენი მომავალი“.

როცა გამომსვლელმა ამ თემის განვითარება დაამთავრა, მისი ადგილი სხვა ორატორმა დაიკავა. მან ნათქვამი მოინონა, მერე ამპარტავანთა მხილებას მოჰყვა, რომლებმაც ამ დოქტრინის მიღებაზე უარი თქვეს, რადგან მხოლოდ გონების ხმას აღიარებენო.

„— ეს დოქტრინა ანდერძად გვაქვს. — ამბობდა ის. — იგი უკვე მრავალი საუკუნის განმავლობაში არსებობს. და, რა თქმა უნდა, საუკეთესო დოქტრინაა და ერთადერთი; თითოეული ჩვენგანი მოვალეა ამაში დარწმუნებული იყოს. იგი ჩვენი მასწავლებლებისგან გადმოგვეცა. იგი ჩვენი მამულის დოქტრინაა, და ვინც უარს იტყვის მასზე, საკუთარი ცდომილება ძვირად დაუჯდება. თუ ეს დოქტრინა არ იცი, ვერ იქნები კარგი ფრანგი; არ მიიღებ მას, წარმატებას ვერ მიაღწევ“.

მეორე ორატორს მესამე მოჰყვა, რომელმაც ორივე ადრე გამოსულს მადლობა გადაუხადა, რადგან კარგად გამოკვეთეს ის, რასაც მან თავიანთი პროგრამის თეორია უწოდა; მერე გამოაცხადა, რომ ეს პროგრამა, არც მეტი და არც ნაკლები, საფრანგეთის აღორძინებას გულისხმობს, ოღონდ ჩვენი პარტიის ყოველი წევრის ძალისხმევის წყალობითო. საკუთარ თავს მოქმედებისკაცი უწოდა და ამტკიცებდა, ყოველგვარი თეორია თავის მიზანს და თავის საფუძველს პრაქტიკაში

პოულობს; და რომ ყოველი ჭეშმარიტი ფრანგი მებრძოლი უნდა იყოსო.

„— მაგრამ, სამწუხაროდ, — დაუმატა მან. — უამრავი დაქსაქსული და ამაოდ დახარჯული ძალაა! ჩვენი მამული რა დიდებას მიაღწევდა, როგორი შარავანდედით შეიმოსებოდა მისი ქმედებანი, რა გმირული სახელი ექნებოდა მის შვილებს, თუ ეს ძალები მონესრიგდებოდა, მკაცრ წესებს დაემორჩილებოდა და ყველა ჩვენი დროშის ქვეშ დადგებოდა!"

ორატორი ლაპარაკს აგრძელებდა, ვიღაც ახალგაზრდებმა დარბაზში პარტიაში შემსვლელთათვის განცხადებების დარიგება დაიწყეს. განცხადებაზე მხოლოდ ხელისმოწერაღა იყო საჭირო.

„— გინდა საკუთარი თავი შესთავაზო, — ჰკითხა ანგელოზმა ბერნარს. — რაღას ელი?"

ბერნარმა გამოწვდილი განცხადება გამოართვა რომელიც ასე იწყებოდა: „მე საზეიმო ვითარებაში შევდივარ...". მან განცხადება წაიკითხა, ანგელოზს შეხედა და დაინახა: ის იღიმებოდა; მერე ბერნარმა შეკრებილთ გადახედა, მათ შორის ის ახალგამომცხვარი ბაკალავრიც შეიცნო, რომელმაც ცოტა ხნის წინ სორბონის ეკლესიაში სანთელი დაანთო, გამოცდაზე მოპოვებული წარმატების სამადლობელი; უცბად, ოდნავ იქით, მოულოდნელად თავისი უფროსი ძმა შეამჩნია, რომელიც მას შემდეგ არ ენახა, რაც მშობლების სახლიდან წამოვიდა. ბერნარს ის არ უყვარდა, ცოტა შურდა კიდეც მისი, რადგან ეგონა, მამა სხვებზე წინ აყენებდა. ბერნარმა ნერვულად დაჭმუჭნა განცხადება.

„— ხელი უნდა მოვაწერო?

— დიახ, ცხადია, თუ საკუთარ თავში ეჭვი გეპარება, — თქვა ანგელოზმა.

— უკვე აღარ მეპარება". — უპასუხა ბერნარმა დ ქაღალდი მოისროლა.

ამასობაში ორატორი განაგრძობდა ლაპარაკს. იმ მომენტში, როცა ბერნარმა ისევ მიუგდო ყური, ორატორი ხსნიდა: ყოველგვარი ცდომილების წინააღმდეგ ყველაზე საიმედო საშუალება საკუთარი აზროვნების სრული უარყოფა და უხუცესთა აზრების აუცილებელი რწმენაა.

„— ეს უხუცესები ვინ არიან? — იკითხა უცბად აღშფოთებულმა ბერნარმა.

— რატომ არ ახვალ სცენაზე, — უთხრა ანგელოზს, — და ძალას მოსინჯავ, აუცილებლად გაიმარჯვებ...".

ანგელოზმა ღიმილით მიუგო:

„— არა, შენთან მირჩევნია ბრძოლა. დღეს საღამოს, გინდა?..

— დიახ“, — უპასუხა ბერნარმა.

გამოვიდნენ. დიდ ბულვარამდე ერთად მივიდნენ. ბულვარი ხალხით იყო სავსე, ყველა უკლებლივ მდიდრები ჩანდნენ, საკუთარ თავში დარწმუნებულნი, სხვებისადმი გულგრილნი, მაგრამ რაღაცით შენუხებულნი.

„— ნუთუ ეს არის ბედნიერების სურათი?“ — იკითხა ბერნარმა და იგრძნო როგორ ევსებოდა გული ცრემლებით.

მერე ანგელოზმა ღარიბთა კვარტალში ატარა, ასეთი სიღარიბე ბერნარს ადრე არასოდეს ენახა, არც გაეგონა. საღამო ჩამონვა. დიდხანს დაეხეტებოდნენ მაღალ სახლებს შორის, სადაც სახლობდა ავადმყოფობა, პროსტიტუცია, სირცხვილი, დანაშაული და შიმშილი. მხოლოდ მაშინღა მოჰკიდა ბერნარმა ანგელოზს ხელი, ანგელოზი კი შებრუნდა და ატირდა.

იმ საღამოს ბერნარს აღარ უვახშმია; პანსიონში დაბრუნებული არც სარასთან ასულა, როგორც წინა საღამოს, პირდაპირ იმ ოთახში ავიდა, ბორისთან ერთად რომ ეკავა.

ბორისი უკვე იწვა, მაგრამ ჯერ არ ეძინა; სანთლის შუქზე, ამ დილით მიღებულ ბრონიას წერილს კითხულობდა ხელახლა.

„ვშიშობ, — აუწყებდა მეგობარი, — ახლა უკვე ვეღარასოდეს გნახავ. პოლონეთში დაბრუნებისას გავციოდი. ვახველებ. ექიმი მიმალავს, მაგრამ ისეთი გრძნობა მაქვს, დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დამრჩენია“.

ბორისმა ბერნარის ფეხის ხმა გაიგონა თუ არა, წერილი ბალიშის ქვეშ დამალა და სწრაფად შეუბერა სანთელს.

ბერნარმა სიბნელეში გაიკვლია გზა. ანგელოზიც შეჰყვა ოთახში; თუმცა საკმაოდ ნათელი ღამე იყო, ბორისმა მხოლოდ ბერნარი დაინახა.

„— გძინავს?“ — ჩურჩულით ჰკითხა ბერნარმა. ბორისს ხმა არ ამოუღია; ბერნარს ეგონა, რომ ეძინა.

„— ახლა ორნი დავრჩით და ვიბრძოლოთ“, — უთხრა ბერნარმა ანგელოზს.

და მთელი ღამე იბრძოლეს, დილამდე.

ბორისმა სიბნელეში ბერნარის მოძრაობები შეამჩნია. იფიქრა,

ალბათ, ასე ლოცულობსო და ხელი აღარ შეუშლია. ბერნართან ლაპარაკი კი უნდოდა, რადგან სასონარკვეთილი იყო. ადგა და სანოლთან ჩაიჩოქა; ლოცვა უნდოდა, მაგრამ მხოლოდ ქვითინი შეძლო.

„— ოო, ბრონია, შენ, რომელმაც იხილე ანგელოზები; შენ, რომელსაც ჩემთვის თვალი უნდა აგეხილა, ახლა მტოვებ! როცა აღარ იქნები, უშენოდ რა მომივა, ბრონია? რა მეშველება?"

ბერნარი და ანგელოზი მეტისმეტად იყვნენ გართული თავიანთი საქმით; მისი არ ესმოდათ. და იბრძოლეს განთიადამდე. მერე ანგელოზი წავიდა; გამარჯვებული არ წასულა, მაგრამ არც დამარცხებული იყო.

როცა მოგვიანებით ბერნარიც გამოვიდა ოთახიდან, დერეფანში რაშელს გადააწყდა.

„— თქვენთან სალაპარაკო მაქვს", — უთხრა ბერნარს. ხმა ისეთი ნაღვლიანი ჰქონდა, ბერნარი უცებ მიხვდა, რაც უნდა ეთქვა რაშელს. არაფერი უპასუხა, თავი დახარა, რაშელისადმი უდიდესი სიბრალულით განიმსჭვალა და უცებ სარა შესძულდა, სარასთან მიღებული სიამოვნება კი საზიზღრობად ეჩვენა.

# XIV

დაახლოებით ექვს საათზე, ბერნარმა ედუარდთან ჩანთა მიიტანა, რომელშიც ის ცოტაოდენი ტანსაცმელი, თეთრეული და წიგნები ეტეოდა, რაც გააჩნდა. ის აზაისსა და ქალბატონ ვედელს დაემშვიდობა, სარას ნახვა კი არც უცდია.

ბერნარს სერიოზული სახე ჰქონდა. ანგელოზთან შერკინებამ დაავაჟკაცა. ახლა უკვე აღარ ჰგავდა ჩემოდნის იმ უზრუნველ ქურდს, რომელსაც სჯეროდა, რომ ამ ქვეყანაზე მხოლოდ უტიფრობა იყო საკმარისი. იგი უკვე ხვდებოდა, რომ ხშირად ერთის უტიფრობისთვის ვიღაც სხვას თავისი ბედნიერებით უწევს გადახდა.

„— მოვედი, რათა კვლავ თქვენს გვერდით ვპოვო თავშესაფარი, — უთხრა ედუარდს. — ისევ ღამის გასათევის გარეშე დავრჩი.

— ვედელები რატომ მიატოვეთ?

— რაღაც საიდუმლო მიზეზი არსებობს... ნება მომეცით არ გაგიმხილოთ“.

იმ საღამოს, როცა ბანკეტი მოეწყო, ედუარდს შესაძლებლობა ჰქონდა ბერნარსა და სარას დაკვირვებოდა, ამიტომ მისთვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა მიმხვდარიყო, რა იმალებოდა ამ მდუმარებას იქით.

„— კარგით, — უთხრა ღიმილით. — ამ ღამეს შემიძლია თქვენს განკარგულებაში კაბინეტის დივანი გადმოგცეთ. მანამდე კი მინდა გაუწყოთ, რომ გუშინ მამათქვენი მეწვია სალაპარაკოდ. — და საუბრის ის ნაწილი უამბო, რომელსაც, როგორც თვითონ ფიქრობდა, ბერნარისთვის გული უნდა აეჩუყებინა: — ასე რომ, იქნებ უკეთესია, ეს ღამე ჩემთან კი არა, მასთან გაატაროთ. ის გელოდებათ“.

მაგრამ ბერნარი დუმდა.

„— ვიფიქრებ, — თქვა ბოლოს. — მანამდე კი, ნება მომეცით, ჩემი ნივთები თქვენთან დავტოვო. შეიძლება ოლივიე ვნახო?

— ისეთი მშვენიერი ამინდია; გასეირნება ვურჩიე. მასთან ერთად მეც მინდოდა გასვლა, მაგრამ მარტო წასვლა ამჯობინა. ერთი საათის წინ გავიდა; მალე უნდა დაბრუნდეს. დაელოდეთ... ჰო, მართლა... როგორ ჩაიარა თქვენმა გამოცდამ?

— ჩავაბარე; მაგრამ ეს არც ისე მნიშვნელოვანია. უფრო მნიშვნელოვანია, ახლა რა უნდა ვაკეთო. პირველ ყოვლისა, იცით რატომ არ მინდა მამასთან დაბრუნება? იმიტომ, რომ არ მსურს მისგან ფული ავიღო. თქვენ, ალბათ, სულელურად მოგეჩვენებათ ამ შესაძლებლობა-

ზე უარის თქმა; მაგრამ საკუთარ თავს სიტყვა მივეცი, უმაგათოდაც თავს მოვუვლიდი. ჩემთვის მნიშვნელოვანია საკუთარ თავს დავუმტკიცო, რომ სიტყვის კაცი ვარ; ადამიანი, რომლის იმედიც შეიძლება მქონდეს.

— უპირველეს ყოვლისა, ამაში მე ქედმაღლობას ვხედავ.

— რაც გნებავთ ის უნოდეთ: ქედმაღლობა, სიამაყე, გულზვიადობა... სულერთია არ გამოგივათ ჩემს თვალში ის გრძნობა დასცეთ, რითაც ვმოძრაობ. ახლა გამაგებინეთ: ცხოვრებაში მიმართულება რომ მქონდეს, აუცილებელია მიზანი?

— ამიხსენით.

— მთელი ღამე იმაზე ვფიქრობდი, თუ რაში გამოვიყენო ის ძალა, რომელსაც ჩემში ვგრძნობ. როგორ წარმოვაჩინო ის, რაც ყველაზე უკეთესია ჩემში? განსაზღვრული მიზნისკენ როგორ მივმართო? თვით ეს მიზანი, როგორ ავირჩიო? როგორ შევიცნო იგი მანამდე, ვიდრე მივაღწევდე?

— უმიზნოდ ცხოვრება შემთხვევითობის მორჩილებას ნიშნავს.

— მგონი, კარგად ვერ გამიგეთ. როცა კოლუმბმა ამერიკა აღმოაჩინა, იცოდა კი საით მიცურავდა? მისი მიზანი წინ სვლა იყო; განუწყვეტელი წინ სიარული. მისი მიზანი თვითონვე იყო და იგი განუწყვეტლივ თვალწინ ედგა...

— ხშირად ვფიქრობ, — გააწყვეტინა ედუარდმა. — რომ ხელოვნებაში, განსაკუთრებით კი ლიტერატურაში, ჭეშმარიტი ხელოვანია ის, ვინც უცნობისკენ ისწრაფვის. ახალ მიწას ვერ აღმოაჩენ, თუ მას მხედველობიდან არ დაკარგავ, თანაც დიდი ხნით, მთელ სანაპიროს. ოღონდ, ჩვენს მწერლებს ღია ზღვისა ეშინიათ; მხოლოდ ნაპირის გასწვრივ დადიან.

— გუშინ, გამოცდის შემდეგ, ქუჩაში გამოვედი, — გააგრძელა ბერნარმა ისე, ედუარდის ნათქვამი არც გაუგია. — უკვე აღარ ვიცი რომელი დემონის წაქეზებით, ერთ დარბაზში შევედი; კრება იყო იქ გამართული. საკითხი ეროვნულ ღირსებას ეხებოდა, სამშობლოს სიყვარულს, სხვა საკითხებს, რამაც გულის ცემა გამიძლიერა. ცოტაც და ხელს მოვაწერდი რაღაც ქაღალდს, რომლის თანახმადაც ღირსებას დავიფიცებდი, საკუთარი თავი იმ საქმის მსახურებისთვის მიმეძღვნა, რომელიც, ბუნებრივია, წმინდად და კეთილშობილურად მეჩვენა.

— ძალიან მიხარია რომ არ მოანერე. მაინც რამ შეგაკავათ?

— ალბათ, რაღაც იდუმალმა ინსტინქტმა... — ბერნარი ერთხანს

ჩაფიქრდა და სიცილით დაუმატა: — პირველ რიგში, მგონი ამ პარტიის მომხრეთა სახეებმა; ჩემი უფროსი ძმის სახიდან დაწყებული, რომელიც დამსწრეთა შორის შევიცანი. მომეჩვენა, რომ ამ ახალგაზრდებს საუკეთესო გრძნობები ამოძრავებდათ, რომ საკუთარი თავის შენირვით ფრიად კეთილგონივრულად იქცევიან, რადგან საკუთარი ჯანსაღი აზრისგან, რაც აშკარად ნაკლებად აქვთ, დიდს არაფერს უნდა ელოდნენ, ხოლო მათი სულის დამოუკიდებლობა, სულერთია ძალიან სწრაფად ჩამოხმეება. ისიც ვიფიქრე, რომ ქვეყნისთვის კარგია, როცა მის მოქალაქეთა შორის მოიძებნება ადამიანთა საკმაო რაოდენობა, რომლებიც თავისი სურვილით ემსახურებიან მას. აი, ჩემი სურვილისთვის კი, მათ შორის ადგილი არ იყო. მაშინ დავფიქრდი, როგორ შემემუშავებინა ჩემი ცხოვრების წესი, რადგან წესის გარეშე ცხოვრება არ მინდა; სხვათა წესის მიღებას კი არ ვაპირებ.

— პასუხი, მგონი, მარტივია: საკუთარ თავში უნდა იპოვო ეს წესი; და მიზნად დაისახო საკუთარი პიროვნების განვითარება.

— დიახ... ზუსტად ეს ვუთხარი ჩემს თავს. მაგრამ ამან მაინცადამაინც წინ ვერ წამწია. დარწმუნებული რომ ვიყო, საუკეთესოს ავირჩევ, მაშინ მას სხვა დანარჩენის ხარჯზე განვავითარებდი. მაგრამ იმასაც ვერ ვხვდები, რა შეიძლება ჩემში ჩაითვალოს საუკეთესოდ... გეუბნებით, ამაზე მთელი ღამე ვფიქრობდი. დილით კი ისეთი დაღლილი ვიყავი, ვიფიქრე, წავალ და არმიაში ჩავეწერები-მეთქი, აღარ დავლოდებოდი გასანვევ ასაკს.

— კითხვაზე პასუხის გაუცემლობა, პასუხს არ ნიშნავს.

— ზუსტად ასე ვიფიქრე და გადავწყვიტე, თუ მას დროში გადავწევ, მაშინ სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგაც, ეს საკითხი უფრო მეტი სიმწვავით დადგებოდა. ამიტომაც თქვენთან მოვედი რჩევის საკითხავად.

— ამ რჩევას ვერ მოგცემთ; იგი თქვენშივე უნდა იპოვოთ; ხოლო რომ გაარკვიოთ როგორ იცხოვროთ, მაშინ შეგეძლებათ, როცა ცხოვრების გამოცდილებას შეიძენთ.

— და თუ მანამდე, ვიდრე პასუხს მივიღებდე როგორ ვიცხოვრო, ცუდად ვიცხოვრებ?

— ეს პასუხის პოვნაში დაგეხმარებათ. საჭიროა უბრალოდ, საკუთარი გზით იაროთ, საკუთარ მთაზე; ოღონდ ქვევითკენ კი არა, ზევით და ზევით.

— ხუმრობთ?... თუმცა არა, მგონი, მიგიხვდით; ვღებულობ ამ

ფორმულას. მაგრამ საკუთარი თავის განვითარებისას, როგორც თქვენ თქვით, ცხოვრების სახსარის პოვნა დამჭირდება. აბა, რას ფიქრობთ, აი, ასეთ კოლორიტულ საგაზეთო განცხადებაზე: „დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდა კაცი თანახმაა ყველაფერზე".

ედუარდმა გაიცინა.

„— იმაზე ძნელი არაფერია, ვიდრე „ყველაფრის" მიღწევა. უკეთესია, დაბაზუსტოთ.

— ვფიქრობდი, ერთი პატარა ჭანჭიკი გავმხდარიყავი, რომელიმე დიდი გაზეთის მექანიზმისა. ოო, თანახმა ვიქნებოდი, სულ პატარა ხელქვეით თანამდებობაზეც კი: კორექტორი, ლინოტიპისტი... ნებისმიერის. მე ისე ცოტა მჭირდება".

ბერნარი ყოყმანით ლაპარაკობდა. სინამდვილეში კი, მდივნის ადგილი უნდოდა მიეღო, მაგრამ ედუარდს ამის თქმას ვერ უბედავდა, მათი არშემდგარი ურთიერთობის გამო. თანაც რა ბერნარის ბრალი იყო, თუ მათი ერთად მუშაობის მცდელობა მარცხით დამთავრდა.

„— შეიძლება, გამომივიდეს და „გრან ჟურნალში" მოგაწყოთ; მთავარ რედაქტორს ვიცნობ".

იმ დროს, როცა ბერნარსა და ედუარდს შორის ეს საუბარი მიმდინარეობდა, სარასა და რაშელს შორის ძალზე უსიამოვნო შელაპარაკება მოხდა. სარა უცებ მიხვდა, რომ ბერნარის წასვლის მიზეზი რაშელის საყვედურები იყო და დაზე გაბრაზდა, რომელსაც განუცხადა: ჩემს ირგვლივ ყოველგვარ სიხარულს ანადგურებო. უფლება არა გაქვს შენი სათნოება სხვებსაც მოახვიო თავს, რადგან შენი მაგალითიც კმარა, რომ ყოველგვარი სათნოებისადმი სიძულვილი იგრძნოს კაცმაო.

რაშელი ამ შელაპარაკებამ ძალიან გაანაწყენა, რადგან საკუთარი თავი მუდამ მსხვერპლად მიჰქონდა, და ახლა ფერგამკრთალი, აკანკალებული ტუჩებით სარას შეედავა:

„— არ შემიძლია შენი დაღუპვა დავუშვა".

სარა ტიროდა და ყვიროდა:

„— მე კი არ შემიძლია, შენი ზეცისა მნამდეს. არანაირი გადარჩენა არ მსურს".

მაშინვე თავის მეგობართან, ინგლისში დაბრუნება გადაწყვიტა. ის ხომ,"ბოლოს და ბოლოს, თავისუფალი იყო და ისე უნდა ეცხოვრა, როგორც სურდა". ამ სამწუხარო ჩხუბის შემდეგ, რაშელი სრულიად განადგურებულად გრძნობდა თავს.

# XV

ედუარდი პანსიონში მოწაფეების დაბრუნებამდე მისვლას ეცადა. ლა პერუზი სასწავლო წლის დაწყების დღიდან არ ენახა და პირველ რიგში მასთან უნდოდა ლაპარაკი. მუსიკის მოხუცი მასწავლებელი აღმზრდელის ახალ სამუშაოს ისე ასრულებდა, როგორც ახერხებდა, ესე იგი, ძალიან ცუდად. თავიდან ახალგაზრდების სიყვარულის დამსახურებას ეცადა, მაგრამ ძალა არ ეყო და სიმკაცრე ვერ გამოიჩინა — ბავშვებმა ამით ისაგებლეს; მისი მოთმინება სისუსტედ მიიღეს და ცუდად იქცეოდნენ. მერე მათი დასჯა მოინდომა, მაგრამ უკვე გვიანი იყო: დარიგებები, მუქარა, საყვედურები, მოწაფეებს უფრო მეტად განაწყობდა მის წინააღმდეგ. თუ ხმას აიმაღლებდა, ისინი ხითხითებდნენ; მერხზე მუშტის დარტყმის პასუხად მოჩვენებითი შიშით ყვიროდნენ, დასცინოდნენ და „ლეპერ ლაპერს" ეძახდნენ; ხელიდან ხელში გადადიოდა კარიკატურები, რომლებზეც, ეს გულუბრყვილო ადამიანი, უზარმაზარი პისტოლეტით შეიარაღებულ მძვინვარე ადამიანად იყო გამოსახული (პისტოლეტი გერიდანისოლმა, ჟორჟმა და ფიფიმ მისი ოთახის თავხედური ჩხრეკისას აღმოაჩინეს), რომელიც მოწაფეებს ხოცავდა; ანდა მათ წინაშე გულხელდაკრეფილი იყო დაჩოქილი და ისევე, როგორც სწავლის დაწყების პირველ დღეს, იხვეწებოდა: „ღვთის გულისათვის, ნუ ხმაურობთ". იგი იმ საცოდავ, ბებერ ირემს ჰგავდა, რომელიც გაცოფებულ ძაღლებს შუაში მოუქცევიათ. ედუარდმა ამის შესახებ არაფერი იცოდა.

## ედუარდის დღიური

„ლა პერუზმა პანსიონის პირველი სართულის პატარა საკლასო ოთახში მიმიღო, როგორც მახსოვს, იგი პანსიონის ყველაზე მოუხერხებელი ოთახი იყო, სადაც შავი დაფის წინ ოთხი მერხი და ერთი დაწნული სკამი იდგა, რომელზეც ლა პერუზმა ძალით დამსვა. თვითონ მერხს მიუჯდა ოთხად მოკეცილი და ამაოდ ეცადა მის ქვეშ ფეხის გაშლას.

„— არა, არა. გარწმუნებთ მოხერხებულად ვზივარ".

„მისი ხმის ინტონაცია და გამომეტყველება ამბობდა:

„ძალზე მოუხერხებლად ვგრძნობ თავს, იმედი მაქვს, ეს თვალში

საცემიცაა, მაგრამ ასე მომწონს; და რაც უფრო ცუდად ვიქნები, მით ნაკლებად გაიგონებთ ჩემს წუწუნს".

„ხუმრობა ვცადე, მაგრამ ლა პერუზს ერთხელაც არ გაღიმებია. თავი განზრახ ცერემონიულად ეჭირა და ამაყად. ისე, რომ ჩვენს შორის ზღვარი არ დარღვეულიყო და მივმხვდარიყავი: „თქვენ უნდა გიმადლოდეთ, რომ აქა ვარ".

„ამბობდა, ყველაფრით კმაყოფილი ვარო. ჩემს კითხვებზე პასუხს თავს არიდებდა, თუ ჩავეძიებოდი, ღიზიანდებოდა. მაგრამ, როცა დავინტერესდი და ვკითხე, თქვენი ოთახი სად არის-მეთქი, მოულოდნელად თქვა:

„— სამზარეულოდან ცოტა შორსაა, — და როცა ჩემი გაოცება შეამჩნია, დაუმატა: — ხანდახან, ღამით ჭამა მინდახოლმე... როცა ძილი მიკრთება".

„მასთან ახლოს კი ვიჯექი, მაგრამ უფრო ახლო მივუჩოჩდი და მხარზე ხელი ნელა დავადე. უფრო ბუნებრივი ხმით განაგრძო:

„— უნდა გითხრათ, ძალიან ცუდად მძინავს, როცა ჩამეძინება, ძილის ისეთი შეგრძნება მაინც არა მაქვს, თითქოს მძინავს. ეს ხომ ნამდვილი ძილი არ არის, არა? ის, ვისაც ნამდვილად სძინავს, არ გრძნობს, რომ სძინავს; მხოლოდ გაღვიძებისას ამჩნევს, რომ ეძინა".

„მერე ჩემსკენ გადმოიხარა და ავადმყოფური სიჯიუტით ამიხსნა:

„— ზოგჯერ ვცდილობ დავიჯერო, რომ ეს ილუზია არ არის და ნამდვილად მძინავს, თუმცა მგონია, რომ არ მძინავს: როცა თვალის გახელა მომინდება, მაშინვე ვახელ. ჩვეულებრივ კი, თვალის გახელა არ მინდა. ხომ გესმით, არანაირი სურვილი არა მაქვს თვალი გავახილო. რატომ დავუმტკიცო საკუთარ თავს რომ არ მძინავს? მაგრამ დაძინების იმედი სულ მაქვს, საკუთარ თავს ვარწმუნებ, რომ უკვე მძინავს...".

„უფრო გადმოიხარა და ხმასაც უფრო დაუწია:

„— გარდა ამისა, კიდევ არის ერთი რამ, რაც საშინლად მაწუხებს; ოღონდ არავის უთხრათ... არავისთვის შემიჩივლია, სულერთია მაინც ვერ მომეხმარებიან, და როცა რამის შეცვლა არ შეიძლება, თქვენც ხომ მეთანხმებით, წუწუნსაც აზრი არ აქვს. წარმოიდგინეთ, რომ ჩემი საწოლთან, კედელში, ზუსტად ჩემი თავის გასნვრივ, რაღაცა არის, რაც ხმაურობს".

„ამას რომ ამბობდა, გამოცოცხლდა. შევთავაზე, წავიდეთ, ვნახოთ—მეთქი.

„— დიახ, დიახ! — თქვა და წამოდგა. — იქნებ, თქვენ შეძლოთ და ამიხსნათ რა არის... თორემ ვერაფრით მივხვდი. წამობრძანდით“.

„მესამე სართულზე ავედით; მერე საკმაოდ გრძელი დერეფანი გავიარეთ. სახლის ამ ნაწილში არასოდეს ვყოფილვარ.

„ლა პერუზის ოთახის ფანჯარა ქუჩას გადაჰყურებს. პატარა ოთახი იყო, მაგრამ ფაქიზად მოწყობილი. მაგიდაზე, ლოცვანის გვერდით, პისტოლეტების ყუთი შევამჩნიე, რომელიც მაინც თან წამოელო. ხელი მტაცა, სანოლი ოდნავ გასწია და მითხრა:

„— აი, აქ. მოუსმინეთ... ყური მიადეთ კედელს. გესმით?“

„სმენა დავძაბე და დიდხანს ვუგდებდი ყურს. როგორ არ ვეცადე, მაგრამ ვერაფერი გავიგე. ლა პერუზმა ნერვიულობა დაიწყო. სატვირთო მანქანამ ჩაიარა და მინები ააწკარუნა, მთელი სახლი შეზანზარდა.

„— ამ დროს, — ვკითხე, იმედი მქონდა დამშვიდდებოდა, — ის სუსტი ხმაური, რომელიც ასე გაღიზიანებთ, ქუჩის ხმაურით იფარება...

— თქვენთვის იფარება, რადგან მისი გარჩევა სხვა ხმაურისგან არ შეგიძლიათ! — წამოიყვირა გაცხარებულმა. — მე ხომ მესმის. მესმის, მიუხედავად ყველაფრისა. ზოგჯერ ისე მიწამებს სულს, რომ ჩემს თავს სიტყვას ვაძლევ, აზაისს ან პატრონს მოველაპარაკები-მეთქი... ოო, იმის მოთხოვნას სულაც არ ვაპირებ, რომ ეს ხმაური შეწყდეს... მაგრამ ის კი მინდა ვიცოდე, რა არის ეს“.

„ცოტა ხანს ჩაფიქრდა, მერე გააგრძელა:

„— თითქოს რაღაცა რაღაცას ხრავს. ყველაფერს ვეცადე, ხმაური რომ არ გამეგო: კედლიდან სანოლი გამოვწიე, ყურებში ბამბა გავიკეთე, საათიც სხვაგან ჩამოვკიდე (ხედავთ, აქ ლურსმანი ჩავაჭედე), ზუსტად იქ, სადაც მგონია, რომ მილი გადის, რათა საათის ტიკტიკმა მისი ხმა ჩაახშოს... ახლა ეს უფრო მეტად მღლის, რადგან ძალას ვძაბავ, ის ხმა გამოვარჩიო. სისულელეა, არა? მაინც მირჩევნია ეს ხმა გარკვევით მესმოდეს, რადგან ვიცი, მაინც აქ არის... ოო! არ უნდა მეთქვა თქვენთვის. ხედავთ, როგორ დავბერდი?“

„სანოლის კიდეზე ჩამოჯდა და გაშეშდა. ლა პერუზის სიბერის ნიშნები არაიმდენად გონებრივი შესაძლებლობების დასუსტებაში გამოიხატება, რამდენადაც ხასიათის თვისებების ღრმა ცვლილებებში. ჭია ნაყოფის გულში სახლდება, გავიფიქრე; როცა ცოტა ხნის წინ ვნახე, ძლიერი და ამაყი ადამიანი იყო, ახლა ბავშვურად მიამიტურ სასოწარ-

კვეთაში ჩავარდნილიყო. ვცადე ამ მდგომარეობიდან გამომეყვანა და ბორისზე ჩამოვუგდე სიტყვა.

„— დიახ, მისი ოთახი ჩემი ოთახის გვერდითაა, — მითხრა და თავი ასწია. — მოდით განახვებთ. წამობრძანდით“.

დერეფანში პირველი გავიდა და მეზობელი ოთახის კარი შეაღო.

„— მეორე საწოლზე ჭაბუკ ბერნარ პროფიტანდიეს სძინავს. (აღარ ვუთხარი, რომ დღეიდან ბერნარი ამ ოთახში აღარ იცხოვრებდა). ბორისი ასეთი ამხანაგით კმაყოფილია; — განაგრძო მან, — ეტყობა, ერთმანეთს შეეწყვნენ კიდეც. ოღონდ, იცით, ძალიან ცოტას მელაპარაკება. ძალიან გულჩათხრობილია... ვშიშობ, რომ ცოტა გულცივია“.

„მის ხმაში ისეთი ნაღველი ჟღერდა, აუცილებლად მივიჩნიე წინააღმდეგობა გამეწია და მისი შვილიშვილის გრძნობები დავიცავი.

„— მაშინ, — განაგრძო ლა პერუზმა. — ხომ შეიძლება ცოტა ალერსიანი იყოს. აი, ერთი მაგალითი: დილით, როცა დანარჩენ მოწაფეებთან ერთად ლიცეუმში მიდის, ფანჯრიდან ვუყურებ. მან ეს იცის... იცის! და არ შემობრუნდება ხოლმე!“

„მინდოდა მისთვის ამეხსნა, რომ ეტყობა ბორისს ეშინია მისმა ამხანაგებმა ამას ყურადღება არ მიაქციონ და არ დასცინონ—მეთქი, მაგრამ, ამ დროს, ზემოდან ხმაური გაისმა.

„ლა პერუზმა ხელი მტაცა და შეცვლილი ხმით თქვა:

„— გესმით? გესმით? ისინი ბრუნდებიან“.

„შევხედე, მთელი სხეული უკანკალებდა.

„— ამ გიჟუნიებისა ხომ არ გეშინიათ? — ვკითხე.

„— არა, არა. — მიპასუხა დარცხვენილმა. — ასე რატომ ფიქრობთ?.. — მერე სწრაფად დაუმატა: — ქვევით უნდა ჩავიდე. დასვენება რამდენიმე წუთს გრძელდება; ხომ იცით, მეცადინეობას ვადევნებ თვალს. მშვიდობით. მშვიდობით“.

„და დერეფანს ისეთი სისწრაფით მიაშურა, ხელის ჩამორთმევა დააგვიწყდა. თითქმის მაშინვე შემომესმა ბორძიკით როგორ ჩავიდა კიბეზე. ორიოდ წუთი შევიცადე: არ მინდოდა მოწაფეებს დავენახე. ქვევით მათი ყვირილი ისმოდა, სიცილი, სიმღერა; მერე ზარმა დარეკა და მოულოდნელად სიჩუმე ჩამოვარდა.

„აზაისთან წავედი; მისგან უფლება მივიღე, რომ ჟორჟი კლასიდან გამომეყვანა სალაპარაკოდ. მალე ერთმანეთს იმ ოთახში შევხვდით, სადაც აქამდე ლა პერუზს ველაპარაკებოდი.

„ჟორჟმა დამინახა და მაშინვე გამომწვევი სახე მიიღო. ასე უნდოდა დაეფარა თავისი გაკვირვება. მაგრამ ვერ ვიტყვი, ჩვენ ორ შორის რომელი უფრო მეტად იყო გაკვირვებული. მან დაცვითი პოზიცია დაიკავა, ცხადია, ჭკუის დარიგებას ელოდა. მომეჩვენა, რომ გონებაში საჩქაროდ წყვეტდა, რომელი იარაღი გამოეყენებინა ჩემს წინააღმდეგ, რადგან პირის გაღებაც ვერ მოვასწარი, რომ მკითხა ოლივიე როგორ არისო; თანაც ისეთი გამქირდავი ტონი ჰქონდა, მზად ვიყავი ალიყური მეჭმია. უპირატესობის მოპოვება უნდოდა. „თანაც, იცით, თქვენი საერთოდ არ მეშინია", — ამას ამბობდა მისი ირონიული გამოხედვაც, ტუჩების დამცინავი მანჭვაც და ხმის ინტონაციაც. თავდაჯერებულობა მაშინვე სადღაც გამიქრა; ახლა იმაზეღა ვზრუნავდი, მას ეს არ შეემჩნია. წინასწარ მომზადებული სიტყვა უადგილოდ მეჩვენა. აღმზრდელის როლში გამოსვლის მორალური უფლება დავკარგე. ისე კი, ძალიან მაინტერესებდა მასზე დაკვირვება.

„— შენს დასატუქსად არ მოვსულვარ, — ვუთხარი ბოლოს. — მხოლოდ შენი გაფრთხილება მინდა (მართალა არ მინდოდა, მაგრამ მთელი ჩემი სახე ილიმებოდა).

„— ჯერ ის მითხარით: დედაჩემმა გამოგგზავნათ?

„— დიახ და არაც: მე და დედაშენმა შენზე ვილაპარაკეთ, მაგრამ ეს რამდენიმე დღის ნინ იყო. გუშინ კი ძალიან სერიოზული საუბარი მქონდა ძალიან მნიშვნელოვან პიროვნებასთან. იმ კაცს შენ არ იცნობ, მაგრამ ის საგანგებოდ მოვიდა ჩემთან, შენზე რომ ელაპარაკა. გამომძიებელია. და მისი დავალებით მოვედი... იცი, რას ნიშნავს სასამართლოს გამომძიებელი?"

„ჟორჟი უცბად გაფითრდა, მგონი, წამის რაღაც გაელვებაში გულიც გაუჩერდა. მართალია აიჩეჩა, მაგრამ ხმა ოდნავ აუკანკალდა:

„— კეთილი, მიდით თქვით, რა გითხრათ მამილო პროფიტანდიემ".

„ამ ბიჭის თავდაჯერებულობა, უბრალოდ, მაოცებდა. ალბათ, უმჯობესია პირდაპირ საქმის არსზე ველაპარაკო, მაგრამ ჩემი გონება სიმარტივეს ვერ იტანს და განუწყვეტლივ ძნელად მისასვლელ გზას ადგება. ჩემი ქცევა რომ ამეხსნა, რომელიც მაშინვე აბსურდული მეჩვენა, უნდა მეთქვა, რომ ძალიან კარგად მახსოვდა და მაწვალებდა პოლინთან ჩემი ბოლო საუბარი. მოსაზრება, რომელიც მასთან ლაპარაკის შედეგად გაჩნდა, მაშინვე რომანს დიალოგის ფორმით დავურთე, რაც საუკეთესოდ მიესადაგა ზოგიერთ ჩემს პერსონაჟს. იშვიათად მიწევს

იმით სარგებლობა, რასაც ცხოვრება მთავაზობს, მაგრამ, ამჯერად, ჟორჟის თავგადასავალი გამომადგა; თითქოს ჩემი წიგნი მას ელოდაო, იმდენად თავის ადგილზე ჩაჯდა მისი ამბავი, მხოლოდ წვრილმანის შეცვლა მომინია. მაგრამ ამ თავგადასავალთან (მხედველობაში მაქვს წერილების მოპარვა) დამაკავშირებელი თხრობა კი აღარ ჩამისვამს. ამაზე და მის შედეგებზე მიხვედრა პერსონაჟების საუბრიდან შეიძლება. ეს საუბრები უბის წიგნაკში მაქვს ჩაწერილი, რომელსაც ჯიბით ვატარებ. რაც შეეხება ყალბი მონეტების ამბავს, იმ სახით, როგორითაც პროფიტანდიემ მომაწოდა, მომეჩვენა, რომ ვერავითარ სამსახურს გამინევდა, პირიქით. ცხადია ამიტომაც, იმის მაგივრად ჟორჟთან ეს კონკრეტული მომენტი გამერკვია, რომელიც ჩემი ვიზიტის მიზეზი იყო, მიხვეულ-მოხვეული გზით ნავედი.

„— ჯერ მინდა აი აქ, ეს რამდენიმე სტრიქონი ნაიკითხო, — ვუთხარი, — მიხვდები რატომაც". და უბის წიგნაკი გავუწოდე იმ გვერდზე გადაშლილი, რომელსაც მისი დაინტერესება შეეძლო.

„ვიმეორებ: ახლა ეს ჟესტი აბსურდულად მეჩვენება. ჩემს რომანშიც ზუსტად ასევე ვაპირებდი მსგავსი კითხვის მეშვეობით გამეფრთხილებინა ჩემი ყველაზე ახალგაზრდა გმირი. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო რა რეაქცია ექნებოდა ჟორჟს კითხვისას. იმედი მქონდა, ეს რაღაცას ნათელს მოჰფენდა... ჩემი დაწერილი გვერდების ვარგისიანობასაც გავიგებდი.

„მომყავს ის ნაწყვეტი, რაზეც ვილაპარაკე:

„იყო ამ ბავშვში რაღაც ფარულჩრდილოვანი მხარე, რაც ოდიბერში განსაკუთრებულ კეთილგანწყობილ ცნობისმოყვარეობას იწვევდა. ის, რომ ედოლფმა მოიპარა, მისთვის ამისი ცოდნა საკმარისი არ იყო; სურდა ედოლფს თვითონ ეთქვა აქამდე როგორ მივიდა და რა განიცადა პირველი ქურდობის ჩადენისას. ბავშვის გულახდილობა ეჭვქვეშ რომც არ დააყენო, ცხადია, მაინც ვერ შეძლებდა ამის თქმას. ასე რომ, ოდიბერმა გამოკითხვა ვერ გაბედა, იმის შიშით, ის წინააღმდეგობას გაუწევდა, უარზე დადგებოდა და ტყუილს ეტყოდა.

„ერთ საღამოს ოდიბერი ჰილდებრანტთან ვახშმობისას ედოლფის ამბავს მოყვა, თუმცა მისი სახელი არ უხსენებია და ფაქტებიც ისე აღწერა, მას ვერ ამოეცნო.

„— ვერ შეამჩნიეთ, — ჰკითხა ჰილდებრანტმა, — რომ ყველაზე გადამწყვეტი ქმედებები ჩვენს ცხოვრებაში, ვგულისხმობ იმ ქმედე-

ბებს, რომლებზეც ხშირად არის დამოკიდებული როგორ მოეწყობა ჩვენი მომავალი, ზოგჯერ გაუთვითცნობიერებელი ქმედებებია?

„— შევამჩნიე, როგორ არა. — უპასუხა ოდიბერმა. — ისინი იმ მატარებელს ჰგავს, რომელშიც დაუფიქრებლად ჯდები, არც კი კითხულობ საით მიდის. როცა დაიძვრება, მაშინღა ხვდები, რომ მატარებელს სადღაც მიყავხარ, მაგრამ ჩამოსვლა უკვე შეუძლებელია.

„— იქნებ, ბიჭს, რომელზეც ვლაპარაკობთ, საერთოდაც არ სურს ჩამოსვლა?

„— ჯერჯერობით ჩამოსვლას არ აპირებს, ეს ასეა. ნებას იძლევა მატარებელმა წაიყვანოს. პეიზაჟი მოსწონს, ხოლო საით მიჰყავს, ნაკლებად აინტერესებს.

„— ჭკუის სწავლებას დაუწყებთ?

„— ცხადია, არა! ყელში აქვს ამოსული დარიგებები.

„— რატომ ქურდობს?

„— ზუსტად არ ვიცი. აშკარაა, გაჭირვების გამო არა, უბრალოდ, უპირატესობა რომ მოიპოვოს, უფრო შეძლებულ ამხანაგებს არ ჩამორჩეს... განა ცოტაა მიზეზი? ვთქვათ, ბუნებრივი მიდრეკილებების გამო, იმიტომ, რომ ქურდობით სიამოვნებას იღებს.

„— ამაზე უარესს ვერაფერს მოიფიქრებს კაცი.

„— ზუსტად ასეა! იქურდებს და კიდევ იქურდებს.

„— გონება როგორი აქვს?

„— დიდხანს მეჩვენებოდა, რომ გონებრივად ძმებს ჩამორჩებოდა, მაგრამ ახლა ვფიქრობ, შეიძლება ვცდებოდი კიდეც და ჩემი უსიამოვნო შთაბეჭდილება იმით აიხსნება, რომ ის ჯერ ვერ მიმხვდარა, რისი მიღწევა შეუძლია. აქამდე მისი ცნობისმოყვარეობა ყალბი გზით მიდიოდა, ანდა, უფრო ზუსტად, ჩანასახის მდგომარეობაში იყო, ცელქობის სტადიაში.

„— მოელაპარაკებით?

„— ვეცდები გავაგებინო, რომ ქურდობიდან ძალიან მცირე სარგებელია, იმასთან შედარებით, რასაც საკუთარი უპატიოსნობით ვკარგავთ: ახლობლების ნდობას, მათ პატივისცემას, ჩემის ჩათვლით... კიდევ მრავალ რამეს, რაც ჩამოთვლას არ ექვემდებარება, რომელთა ღირებულებაც მხოლოდ შემდეგ შეიცნობა; დაველაპარაკები იმ უზარმაზარ ძალისხმევაზე, რომლის დახარჯვაც გვიხდება იმისთვის, რომ რაც დავკარგეთ კვლავ მოვიპოვოთ. რომ ზოგიერთმა ამას მთელი ცხოვრება შესწირა. ავუხსნი, ახალგაზრდობის გამო ახლა ანგარიშს

არაფერს უწევს, მაგრამ, ამიერიდან ყველაფერი რაც ახლომახლო საეჭვო მოხდება, ცუდი, ეჭვს ყოველთვის მასზე მიიტანენ. გამორიცხული არ არის, სერიოზული დანაშაული დააბრალონ, თანაც სრულიად უსაფუძვლოდ, თავის გამართლებას კი ვერ შეძლებს. ნარსულში მისი საქმიანობა ადამიანებს ამ ეჭვისკენ წინასწარ განაწყობს. იგი, როგორც იტყვიან, ნდობას აღარ იმსახურებს. კიდევ მინდა ვუთხრა... ოღონდ, მეშინია, უარზე დადგება.

„— რა გინდათ კიდევ უთხრათ?

„— ის რომ, რაც მან ჩაიდინა პრეცედენტს ქმნის და თუ პირველი ქურდობისთვის განსაზღვრული გამბედაობაა საჭირო, შემდგომისთვის საკმარისია მხოლოდ ინერცია. იმისთვის კი, რაც მერე ხდება, საკმარისია შემთხვევის ნებას მინებდე... მინდა კიდევ ვუთხრა, ხშირად გაუაზრებლად გადადგმული პირველი ნაბიჯი დამღას გვადებს; პირველ ნიშანს გვადებს, რომელსაც, რაც უნდა ვეცადოთ, ვერასოდეს მოვიშორებთ. კიდევ მინდა... მაგრამ ვერ შევძლებ მასთან საუბარს.

„— იქნებ ჩაინეროთ ის, რაზეც ახლა ვლაპარაკობთ? მერე წასაკითხად მიეცით.

„— კარგი აზრია, — თქვა ოდიბერმა. — რატომაც არა?"

„ ვიდრე ჟორჟი კითხულობდა, მისთვის თვალი არ მომიშორებია; მაგრამ მისი სახე შეუღწეველი იყო.

„— გავაგრძელო? — მკითხა და ფურცლის გადასაშლელად მოემზადა.

„— საჭირო არ არის. საუბარი ამით მთავრდება.

„— სამწუხაროა".

„უბის წიგნაკი დამიბრუნა და თითქმის მხიარულად მკითხა:

„— მინდა ვიცოდე, ედოლფმა რა უპასუხა, როცა უბის წიგნაკი წაიკითხა?

„— მეც მოთმინება არ მყოფნის, ვიდრე გავიგებდე.

„— სასაცილო სახელია: ედოლფი. სხვა სახელი ვერ მოუგონეთ?

„— ამას მნიშვნელობა არ აქვს.

„— როგორც იმას, რაც შეიძლება უპასუხოს. მერე რა ხდება?

„— ჯერ არ ვიცი. ყველაფერი შენზეა დამოკიდებული. ასე რომ, ვნახოთ რა მოხდება.

„— თუ სწორად გაგიგეთ, მე უნდა დაგეხმაროთ წიგნის დაწერაში. არა, მაგრამ გამოტყდით, რომ...".

„გაჩუმდა, აზრის გამოსათქმელად თითქოს რაღაც უშლისო ხელს.

„— რა რომ?.. — ვკითხე რომ შემეგულიანებინა.

„— გამოტყდით, რომ ძალიან შეცდებით, — გააგრძელა ბოლოს, — თუ ედოლფი...".

„ისევ გაჩერდა. მომეჩვენა, რომ მისი ფიქრი გამოვიცანი და მის მაგივრად დავასრულე:

„— თუ ედოლფი პატიოსანი ბიჭი გახდება?.. არა, პატარავ? — უცბად თვალზე მომდგარი ცრემლი ვიგრძენი. მხარზე ხელი დავადე. თავი გაითავისუფლა და თქვა:

„— ბოლოს და ბოლოს, რომ არ მოეპარა, ამ ყველაფერს ხომ ვერ დაწერდით".

„მხოლოდ ახლა მივხვდი ჩემს შეცდომას. ჟორჟს სიამოვნებდა, რომ ჩემი ფიქრები ასე დიდხანს იყო მისით დაკავებული. ის ცენტრალური ფიგურა იყო და საინტერესო. პროფიტანდიე დამავიწყდა კიდეც, თვითონ ჟორჟმა შემახსენა:

„ — რა გითხრათ თქვენმა გამომძიებელმა?

„— დამავალა გაგაფრთხილო, მან იცის ყალბ ფულს რომ ასაღებ...".

„ჟორჟს ისევ ეცვალა ფერი. მიხვდა უარის თქმას აზრი აღარ ჰქონდა და გაურკვევლად თქვა:

„— მარტო მე არა ვარ.

„— ... და თუ დაუყოვნებლივ არ შეწყვეტთ ამ საქმიანობას, — გავაგრძელე, — მაშინ შენი და შენი ძმაბიჭების დაპატიმრება მოუწევს".

„ჟორჟი ჯერ გაფითრდა; ახლა უკვე ლოყებიც შეუხურდა; წინ, ერთ წერტილში იყურებოდა, შეჭმუხნული წარბებისგან შუბლზე ორი ნაოჭი გაუჩნდა.

„— ნახვამდის, — ვუთხარი და ხელი გავუწოდე. — გირჩევ ამხანაგებიც გააფრთხილო. შენ კი, ეს კარგად დაიმახსოვრე".

„ჩუმად ჩამომართვა ხელი და უკან აღარ მოუხედავს ისე დაბრუნდა კლასში.

„ხელახლა გადავიკითხე „ყალბი ფულის მჭრელების" ის გვერდები ჟორჟს რომ ვაჩვენე და, აღმოვაჩინე, არაფრად ვარგოდა. აქაც იმგვარადვე მოვიყვანე, როგორიც ჟორჟს მივეცი წასაკითხად; მთელი თავის გადაწერაა საჭირო. ვფიქრობ, უკეთესი იქნებოდა, ბიჭთან უბრალოდ

მელაპარაკა. მასთან მიდგომის საშუალება უნდა ვიპოვო. თუმცა, ბუნებრივია, იმ მდგომარეობაში, რომელშიც ედოლფი აღმოჩნდა (სახელი უნდა შევუცვალო. ჟორჟი მართალია.) უკვე ძნელია დაუბრუნდე პატიოსან ცხოვრებას. ოღონდ, რაც უნდა იფიქროს ჟორჟმა ამაზე, მე ზუსტად ასეთი მიზანი დავისახე და ეს აქ ყველაზე საინტერესოა, რადგან ყველაზე ძნელია. (აი, მეც ისევე ვიწყებ ფიქრს, როგორც დუვიე ფიქრობს!). დაე, რეალისტმა მწერლებმა ის ადამიანები აღწერონ, რომლებიც უარს ამბობენ გარემოს გაუწიონ წინააღმდეგობა".

საკლასო ოთახში დაბრუნებულმა ჟორჟმა მაშინვე უამბო ორივე მეგობარს ედუარდის გაფრთხილების შესახებ. სხვა ყველაფერი, რაც მათი ქურდული წამონყების შესახებ ედუარდმა უთხრა, ერთ ყურში შეუშვა... აი, ყალბ მონეტებს რაც შეეხება, აქ კი შეიძლება დიდი უსიამოვნება შეხვედროდათ, ამიტომ, ჯობდა, რაც შეიძლება სწრაფად მოეშორებინათ ისინი თავიდან. რამდენიმე მონეტა ჰქონდა სამივეს, რომელთა გასაღებასაც უახლოესი გასეირნებისას აპირებდნენ. გერიდანისოლმა ეს მონეტები მოაგროვა და ორმოში ჩაყარა. იმავე საღამოს სტრუვილუც გააფრთხილა, რომელმაც მაშინვე სათანადო ზომები მიიღო.

# XVI

იმ საღამოსვე, ვიდრე ედუარდი თავის დისშვილთან, ჟორჟთან საუბრობდა, ოლივიესთან, ბერნარის წასვლის შემდეგ, არმანი მივიდა.

არმან ვედელს ვერ იცნობდი: სუფთად გაპარსულიყო, იღიმებოდა, თავი ამაყად ეჭირა, გამოყვანილი პიჯაკი ეცვა, შეიძლება, ცოტა სასაცილოდაც გამოიყურებოდა, ამას გრძნობდა კიდეც და არც მალავდა, რომ გრძნობდა.

„— უფრო ადრე გნახავდი, მაგრამ ბევრი საქმე მქონდა!.. გითხრეს, პასავანის მდივანი რომ ვარ? ანუ, თუ გირჩევნია, ჟურნალის მთავარი რედაქტორი, რომელსაც ის ხელმძღვანელობს. თანამშრომლობას არ გთხოვ, რადგან, რამდენადაც ვიცი, პასავანი შენზე ძალიან გულმოსულია. ჟურნალი ახლა მარცხნივ იხრება, ამიტომ, ჯერ ბერკელისა და მისი პასტორალებისგან გათავისუფლდა...

— მით უარესი ჟურნალისთვის. — თქვა ოლივიემ.

— ამავე მიზეზით ჩემი „ღამის ჭურჭელი" მიიღო; სიტყვამ მოიტანა და, თუ ნებას მომცემ, შენ მოგიძღვნი.

— მით უარესი ჩემთვის.

— პასავანს უნდოდა ჩემი გენიალური ლექსი პირველი ნომრის თავში მოეთავსებინა, მაგრამ ამის წინააღმდეგ ჩემი ბუნებრივი მოკრძალება აღსდგა, რომლისთვისაც მძიმე გამოცდა გამოდგა ქება-დიდება. თუ დარწმუნებული ვიქნებოდი, რომ გამოჯანმრთელების გზაზე დამდგარ შენს ყურებს არ დავღლი, მაშინ გიამბობდი, როგორ ჩაიარა ჩემმა პირველმა შეხვედრამ „ღერძის" სახელგანთქმულ ავტორთან, რომელსაც მანამდე ყურმოკრულად ვიცნობდი, ისიც შენი წყალობით.

— უკეთესს ვერაფერს ვიზამ, ვიდრე შენი მოსმენაა.

— ბოლი არ შეგაწუხებს?

— რომ დაგამშვიდო, მეც გავაბოლებ.

— უნდა გითხრა, — დაიწყო არმანმა და სიგარეტს მოუკიდა, — შენმა გაქცევამ ჩვენი ძვირფასი გრაფი მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. პირფერობაში ნუ ჩამომართმევ და არც ისე ადვილია ნიჭიერთა, სათნოთა და ღირსეულთა ამ დასტაში შემცვლელი იპოვო, რომელიც ქმნის...

— მოკლედ... — გააწყვეტინა ოლივიემ, რომელზეც მეგობრის მძიმე ირონია ნერვებზე მოქმედებდა.

— მოკლედ, პასავანს მდივანი დასჭირდა. აღმოჩნდა, რომ იცნობს ვინმე სტრუვილუს, მას მეც ვიცნობ, რადგან ერთი ტიპის ბიძაა და მეუ-რვე; ის ტიპი პანსიონში ცხოვრობს და იცნობს ჟან კობ—ლაფლერს, რომელსაც შენც იცნობ.

— რომელსაც მე არ ვიცნობ, — უთხრა ოლივიემ.

— არა? მაშინ უნდა გაიცნო, მეგობარო, უჩვეულო, გასაოცარი ტიპია, დამჭკნარ, დანაოჭებულ, დამახინჯებულ ახალშობილს ჰგავს, მხოლოდ აპერატივით ცხოვრობს და, როცა მთვრალია, საუცხოო ლექსებს წერს. შენ მათ ჩვენი ჟურნალის პირველ ნომერში ნაიკითხავ. სტრუვილუმ პასავანს შენი ადგილის დასაკავებლად გაუგზავნა. ნარმო-იდგინე მისი შესვლა ბაბილონის ქუჩაზე მდებარე სახლში. უნდა გითხრა, რომ კობ-ლაფლერი ძალიან ჭუჭყიანი ტანსაცმლით დადის, მხრებზე დაზეთილი თმის მთელი ძნა აყრია და ისე გამოიყურება, თითქოს ერთი კვირა არ დაუბანიაო. პასავანი, რომელიც ცდილობს მუდამ მდგომარე-ობის მფლობელი იყოს, ამტკიცებს, თითქოს კობ-ლაფლერი წარუდგა, როგორც სასიამოვნო, პირმომღიმარი, მორცხვი კაცი. როცა უნდა, შეუძლია გრენგუარ დე ბანვილს დაემსგავსოს. მოკლედ, პასავანი მოხიბლა და კინაღამ სამუშაოდ მიიღო. უნდა გითხრა, ლაფლერს სულს იქით გროში არ აბადია... ის გამოსამშვიდობებლად დგება და ეუბნება: „ — ვიდრე დაგშორდებოდეთ, ბატონო გრაფო, უნდა გაგაფრთხილოთ რომ რამდენიმე ნაკლი მაქვს". „ — ნაკლი ვის არ აქვს?" „ — და რამდე-ნიმე ზადიც. ოპიუმს ვეწევი". „ — რა მნიშვნელობა აქვს. — ეუბნება პასავანი, რომელსაც ასეთი ნვრილმანი ვერ გააოცებს. — როდესმე დაგპატიჟებთ, დიდებული ოპიუმი მაქვს". „ — მოწევის შემდეგ, — აგრ-ძელებს ლაფლერი, — სრულიად ვკარგავ ორთოგრაფიაზე წარმოდგე-ნას". პასავანმა ეს ხუმრობად ჩაუთვალა, ცდილობს გაიცინოს და ხელს უწვდის. ლაფლერი აგრძელებს: „ — ამასთან ჰაშიშსაც ვეწევი". „ — მეც მომიხდა რამდენჯერმე ჰაშიშის გასინჯვა", — ეუბნება პასავანი. „ — მაგრამ ჰაშიშის ზემოქმედების შედეგად ქურდობისგან თავს ვერ ვიკავებ". აი, აქ უკვე პასავანი მიხვედრას იწყებს, რომ ლაფლერი დას-ცინის, ეს უკანასკნელი კი ეშხში შედის და შეუბრალებლად აგრძელებს: „ — გარდა ამისა, ეთერსაც ვსვამ, აი, მაშინ კი ყველაფერს ვხედ და ვამსხვრევ". ამ სიტყვებს იტყვის, ბროლის ლარნაკს დასტაცებს ხელს და ისეთ სახეს იღებს, თითქოს ბუხარს უნდა ესროლოსო. პასავანი ლარნაკს ხელიდან გამოგლეჯს და ეუბნება: „ — მადლობელი ვარ, რომ გამაფრთხილეთ".

— და გარეთ გამოაგდო?

— მერე ფანჯრიდან უყურებდა, ლაფლერმა წასვლისას სარდაფში ბომბი არ ჩამიგდოსო.

— რატომ მოიქცა ასე, ეგ შენი ლაფლერი? — ჰკითხა ოლივიემ მცირე დუმილის შემდეგ. — იმის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ რაც მითხრი, მას ეს ადგილი ძალიან სჭირდებოდა.

— ოო, ჩემო მეგობრო, არსებობენ ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც მოთხოვნილებად აქვთ საკუთარი ინტერესების წინააღმდეგ იმოქმედონ. თანაც,აი, რა უნდა გითხრა: ლაფლერს... ყელში ამოუვიდა პასავანის ფუფუნება, მისი თავაზიანი მანერები, მისი შემწყნარებლობა, მუდამ ხაზგასმული უპირატესობა. დიახ, უბრალოდ შეეზიზღა. უნდა ვთქვა, რომ მისი კარგად მესმის... ისეთი გულის ამრევია ეგ შენი პასავანი.

— რატომ ამბობ „შენი პასავანი"? შენ ხომ მშვენივრად იცი, აღარ ვხვდები. და თანაც, შენ რატომ დათანხმდი მასთან მუშაობას, თუ ასე საზიზღრად მიგაჩნია?

— ზუსტად იმიტომ, რომ მიყვარს ის, რაც ზიზღს მგვრის... ასეთია ჩემი ნამდვილი ანუ ბინძური პიროვნება... და თანაც, არსებითად, კობლაფლერი მორცხვი კაცია და ასეთ რამეს არასოდეს იტყოდა, რომ არა მისი უხერხულობა...

— ოო! უყურე ერთი...

— მართალს გეუბნები. უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა და უსიამოვნოდ იგრძნო თავი, რომ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ისეთი ადამიანის წინაშე, ვინც, არსებითად, ეზიზღება. უხერხულობა რომ დაეფარა ფახაფუხი დაიწყო.

— მგონი, სულელურია.

— მეგობარო, ყველა ისეთი ჭკვიანი ხომ არ იქნება, როგორიც შენ ხარ.

— ამას წინათ, ეს უკვე მითხარი.

— აი, მეხსიერება!"

ოლივიემ გადაწყვიტა არ დაეთმო.

„— ვცდილობ, შენი მასხარაობა დავივიწყო. — თქვა მან. — მაგრამ უკანასკნელად რომ გნახე, და ბოლოს და ბოლოს, სერიოზულად დაიწყე ლაპარაკი; მაშინ ზოგი რამ ისეთი მითხარი, რომლის დავიწყებაც ვერ შევძელი".

არმანს გამოხედვა აემღვრა: ნაძალადევად გაიცინა:

„— ოო! მაშინ ისე ვლაპარაკობდი, მეგობარო, როგორც შენ გსურდა მელაპარაკა. რაღაც მინორულს მოითხოვდი, და მაშინ, შენთვის სიამოვნება რომ მომენიჭებინა, ჩემი მწუხრის სიმღერა შევასრულე; სულის ნამება პასკალისებურად... სხვა რაღა გინდა? როცა ვხუმრობ, მხოლოდ მაშინ ვარ გულახდილი.

— ვერ დამარწმუნებ, რომ მაშინ არ იყავი გულახდილი, როცა მითხარი ის, რაც მითხარი. აი, ახლა კი თამაშობ.

— ოო! გულუბრყვილო არსებავ, მაინც რა ანგელოზური სული გაქვს! თითქოს ჩვენ ყველა არ ვთამაშობდეთ, ცოტად თუ ბევრად გულწრფელად და შეგნებულად. ცხოვრება, ძვირფასო, ყველაზე ჩვეულებრივი კომედიაა. ჩემსა და შენს შორის ის განსხვავებაა, რომ მე ვიცი, რომ ვთამაშობ; მაშინ, როცა...

— მაშინ, როცა... — გამომწვევად გაიმეორა ოლივიემ.

— ... მაშინ, როცა, მაგალითად მამაჩემი, შენზე რომ არ ვილაპარაკო, თავით გადაეშვება ხოლმე პასტორის როლის თამაშში. რაც უნდა ვთქვა, ვაკეთო, რომელიღაც ჩემი ნაწილი ყოველთვის შორიახლოსაა და უყურებს მეორე ნაწილი როგორ ირცხვენს თავს, თვალყურს ადევნებს, დასცინის, უსტვენს ან ტაშს უკრავს. როცა ასე ხარ გაორებული, განა შეიძლება გულწრფელი იყო? იმასაც ვეღარ აღვიქვამ, რა არის მცნება — გულწრფელობა. ამ დროს ვერაფერს გააწყობ. როცა ნაღვლიანად ვარ სასაცილო მგონია და არ შემიძლია არ გავიცინო; ხოლო როცა მხიარულად ვარ, იმდენად სულელურად ვხუმრობ, სურვილი მიჩნდება ვიტირო.

— გისმენ და მეც ტირილი მინდა. არ მეგონა თუ ასე ავად იყავი".

არმანმა მხრები აიჩეჩა და სხვა ტონით თქვა:

„— რომ დაგამშვიდო, გინდა გითხრა რა დაიბეჭდება ჩვენი ჟურნალის პირველ ნომერში? მაშასადამე, იქნება ჩემი „ღამის ჭურჭელი", მერე კობ-ლაფლერის ოთხი სიმღერა, ჟარის პიესა, ჭაბუკი გერიდანი-სოლის, რომელიც ჩვენს პანსიონში ცხოვრობს, პოემები პროზად და კიდევ „უთო", ფართო ლიტერატურულ-კრიტიკული ესე, სადაც ახსნილი იქნება ჟურნალის მიმართულება. ეს შედევრი საერთო ძალისხმევით იშვა".

ოლივიემ არ იცოდა რა ეთქვა, ამიტომ როგორღაც მოუხერხებლად შეეპასუხა:

„— საერთო ძალისხმევით შედევრის შექმნა არ შეიძლება".

არმანმა გაიცინა:

„— მაგრამ, ჩემო კარგო, შედევრი ხუმრობით ვუწოდე, გასაცინებლად. რომელ შედევრზეა ლაპარაკი! ჯერ გასარკვევია, რა იგულისხმება სიტყვა „შედევრში". ზუსტად ამაზეა ლაპარაკი „უთოში". უამრავი ისეთი ნაწარმოები არსებობს, რომლებითაც მიმნდობი ადამიანები მხოლოდ იმიტომ არიან აღფრთოვანებულები, რომ ამ ნაწარმოებებით ყველა აღფრთოვანებულია, და იმიტომ, რომ ვერავინ მოიცალა ან ვერ გაბედა ეთქვა, ეს ნაწარმოებები აბდაუბდაოო. მაგალითად, ჟურნალის პირველი ნომრის გრეკანზე რეპროდუქცია გამოქვეყნდება — მიწებებულულვაშიანი „ჯოკონდა". ნახავ, მეგობარო, ეფექტი გამაოგნებელი იქნება.

— გინდა თქვა, რომ „ჯოკონდას" განიხილავ, როგორც უაზრობას?

— სულაც არა, ძვირფასო (თუმცა იგი განსაცვიფრებელი სულაც არა მგონია). ვერ მიმიხვდი. უაზრობა აქ საყოველთაო აღფრთოვანებაა. რაღაც ჩვეულება მიუთითებს, რომ მიღებულია ითქვას „შედევრიაო", ისევე როგორც ქუდის მოხდაა. „უთოს" მიზანს (სიტყვამ მოიტანა და ჟურნალს ასე ერქმევა) წარმოადგენს ამ მოკრძალების დაცინვა და დისკრიმინაცია. მკითხველს შევთავაზოთ კიდევ ერთი კარგი საშუალება ზედმეტჯერ აღფრთოვანდნენ რაღაც სულელური ქმნილებებით, მაგალითად, ჩემი „ღამის ჭურჭელით" და მისი ავტორით, რომელიც საერთოდ მოკლებულია ჯანსაღ აზროვნებას.

— და პასავანი ამას იწონებს?

— ძალიან ართობს.

— ვხედავ, დროზე გამოვასწარი.

— გამოასწარი... ადრე თუ გვიან, გვინდა თუ არ გვინდა, ყველაფერი ყოველთვის ასე მთავრდება. და ეს ბრძნული აზრი ახლა მკარნახობს, რომ უკვე დროა გამოგეთხოვო.

— კიდევ რამდენიმე წუთით დარჩი, უბედურო მასხარავ... მგონი რაღაც თქვი მამაშენის პასტორულ როლზე. შენ რა, გგონია, რწმენის გარეშე აკეთებს ყველაფერს?

— ბატონმა მამაჩემმა თავისი ცხოვრება ისე მოაწყო, რომ უფლებაც აღარ აქვს და არც შესაძლებლობა რწმენას გვერდი აუაროს. რწმენა ახლა მისი პროფესიაა. ის ჩვენი რწმენის პროფესორია; ადამიანებს რწმენა უნდა ასწავლოს; ეს გახლავთ მისი არსებობის აზრი; როლი, რომელიც მან აირჩია და, რომელიც ბოლომდე უნდა ითამაშოს. მაგრამ, გაიგო რა ხდება მის ეგრეთ წოდებულ „სულის სიღრმეებში"... გესმის

ალბათ, თვითონ მას რომ ვკითხოთ დიდი უტაქტობა იქნება. თუმცა, მგონი, თვითონაც არაფერს კითხულობს. ყველაფერს ისე აწყობს, რომ დრო არ დარჩეს მსგავსი კითხვები დაუსვას საკუთარ თავს; თავისი ცხოვრება უამრავი მოვალეობებით ამოავსო, რომლებიც ყოველგვარ აზრს დაკარგავდა, თუ მისი რწმენა შესუსტდებოდა; გამოდის, მისი რწმენა განპირობებული და დაცულია ამ მოვალეობებით. წარმოუდგენია, რომ ღმერთი სწამს, რადგან ისე იქცევა, თითქოს სწამს და უკვე აღარ შეუძლია არ სწამდეს. გესმის, მეგობარო, თუ მისი რწმენა უცბად შეირყევა, ნამდვილი კატასტროფა მოხდება! აბა, იფიქრე: ჩვენი ოჯახი უცბად მეჩეჩზე აღმოჩნდება. მაშასადამე, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ჩვენი მამიკოს რწმენა, ეს ჩვენი პურია არსობისა. მამიკოს რწმენის წყალობით, ჩვენ ვარსებობთ. ასე რომ, დამეთანხმე, შენი მხრიდან მაინაცდამაინც დელიკატური არ იქნება მკითხო, ჩემს მამიკოს ღმერთი სწამს თუ არა.

— მე კი მეგონა, ძირითადად პანსიონის შემოსავლით ცხოვრობდით.

— რაღაცა საზომით ასეც არის; მაგრამ, აი, ასე გაწყვიტო ჩემი ლირიული აღტკინება, არც ეს არის მაინცადამაინც დიდი თავაზიანობა.

— გამოდის, რომ შენ არაფერი გწამს? — ჰკითხა ნაღვლიანად ოლივიემ, რომელსაც არმანი უყვარდა და მისი ღვარძლიანობით იტანჯებოდა.

„— Jubes renovare dolorem[1]...“ ეტყობა დაგავიწყდა, ძვირფასო ჩემო, რომ ჩემს მშობლებს უნდოდათ ჩემგან პასტორი შეექმნათ. ამ მიზნით ღვთისმოსავური დარიგებებით დამტენეს, რწმენით რომ გავბერილიყავი, თუ შეიძლება ასე ითქვას; მერე აღმოჩნდა, რომ მოწოდება არა მაქვს. სამწუხარო კია. შეიძლება ჩემგან დიდებული მქადაგებელიც გამოსულიყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩემი მოწოდება იყო შემექმნა „ღამის ჭურჭელი“.

— საცოდავო, მეგობარო, როგორ მებრალები!

— შენ ყოველთვის გქონდა, როგორც მამაჩემი უწოდებს, „ოქროს გული“... რომლის ბოროტად გამოყენებაც აღარ მსურს“.

ქუდს ხელი წამოავლო; ზღურბლთან მისული უცებ შემობრუნდა:

---

1. „განმიახლე დარდი და ურვა“. (ლარ.)

„— არ მეკითხები, როგორ არის სარა?

— სულერთია, ისეთს ვერაფერს მეტყვი, რაც ბერნარისგან არ ვიცი.

— გითხრა, რომ პანსიონიდან წავიდა?

— მითხრა, რომ შენმა დამ, რაშელმა შესთავაზა წასვლა“.

არმანს ერთი ხელი კარის სახელურზე ედო, მეორეში ხელჯოხი ეჭირა; ხელჯოხით ფარდა ეჭირა და გასწია.

„— როგორც გინდა ისე გაიგე, — თქვა და მისმა სახემ ძალიან სერიოზული გამომეტყველება მიიღო. — რაშელი, მგონი, ერთადერთი ადამიანია ამ ქვეყანაზე, რომელიც მიყვარს და პატივს ვცემ. პატივს ვცემ იმიტომ, რომ სათნო, კეთილი ადამიანია. მაგრამ მუდამ ისე ვიქცევი, შეურაცხყოფას ვაყენებ მის სათნოებას. მან აბსოლუტურად არაფერი იცოდა ბერნარისა და სარას ურთიერთობაზე. მე ვუამბე... თანაც, ოკულისტი ურჩევს არ იტიროს! სრული გროტესკია....

— ახლა დავიჯერო, რომ გულწრფელი ხარ?

— დიახ, ვფიქრობ, ჩემში ყველაზე გულწრფელი რაც არის, ეს გახლავთ: ზიზღი, სიძულვილი ყველაფრისადმი, რასაც სათნოება ჰქვია. გაგებას ნუ ეცდები. ვერ წარმოიდგენ, რა შეიძლება გაუკეთოს ადამიანს პურიტანულმა აღზრდამ. იგი გულში ღვარძლს ტოვებს, რომლისგანაც განკურნება შეუძლებელია... თუ ჩემი მიხედვით განსჯით... — დაამთავრა ჩაცინებით. — მართლა, იქნებ, მითხრა, აქ რა მაქვს?"

ქუდი დადო და ფანჯარას მიუახლოვდა.

„— ნახე, ტუჩზე, შიგნით“.

ოლივიესკენ დაიხარა და თითით ტუჩი აიწია.

„— ვერაფერს ვხედავ.

— აი, აქ, კუთხეში“.

ოლივიემ ნაკეცში თეთრი ლაქა შენიშნა და ცოტა შეწუხდა.

„— უბრალო წყლულია“. — უთხრა დასამშვიდებლად.

არმანმა მხრები აიჩეჩა.

„— სისულელეს ნუ ამბობ; შენ ხომ სერიოზული ადამიანი ხარ. წყლული ჩვეულებრივ რბილია და, ბოლოს და ბოლოს, გაივლის ხოლმე. ეს კი რაღაც მაგარია და ყოველკვირა იზრდება; თანაც პირში უსიამოვნო გემოც გამიჩნდა.

— დიდი ხანია გაქვს?

— ერთ თვეზე მეტია რაც შევამჩნიე, მაგრამ, როგორც „შედევრებშია“ ნათქვამი: „ავადმყოფობა ჩემი შორიდან მოდის...“.

— თუ ეგრე განუხებს, ექიმთან უნდა მიხვიდე.

— შენ რა, გგონია შენს რჩევას ველოდი?

— რა გითხრა ექიმმა?

— შენს რჩევას აღარ დაველოდე, ისე მივხვდი, რომ ექიმთან უნდა მივსულიყავი. მაგრამ წასვლით მაინც არ წავედი, რადგან ეს თუ ის არის, რაც მე მგონია, მაშინ მირჩევნია არ ვიცოდე.

— სისულელეა.

— მართალია. მაგრამ ეს ადამიანურად ისე გასაგებია, გასაგები...

— თუ ავად ხარ და არ მკურნალობ, მაშინ სულელობაა.

— და აღარც ის შესაძლებლობა არსებობს მკურნალობის დაწყებისას გითხრან: „უკვე გვიანია!". ზუსტად ამაზე მშვენივრად თქვა კობლაფლერმა ერთ თავის ლექსში, რომელსაც მალე წაიკითხავ:

„ხანდახან უნდა მივხვდეთ როგორღაც,
რომ ზოგჯერ ცეკვა ამ ქვეყანაზე
თავიდან გვიწევს
ხოლმე სიმღერა მას შემდეგ მოსდევს"

— ლიტერატურა ყველაფრისგან შეიძლება შექმნა.

— სწორად თქვი — ყველაფრისგან. მაგრამ, იცი მეგობარო, ეს არც ისე ადვილია. კარგი, ნახვამდის... აჰ! კინაღამ დამავიწყდა: ალექსანდრესგან რაღაც-რაღაც ახალი ამბები მოდის... ხომ იცი, ჩემი უფროსი ძმა აფრიკაშია გადაკარგული, ვაჭრობა დაიწყო, არ გამოუვიდა, მთელი ფული გაფლანგა, რაც რაშელმა გაუგზავნა. ახლა კაზამანსის ნაპირებთან დაფუძნდა. მწერს, რომ მისი ვაჭრობა ყვავის, რომ მალე შეძლებს ვალის დაბრუნებას.

— რით ვაჭრობს?

— საიდან უნდა ვიცოდე? კაუჩუკი, სპილოს ძვალი, იქნებ, ზანგებითაც... ყველაფრით... თავისთან მეპატიჟება.

— წახვალ?

— ხვალვე წავიდოდი, არმიაში სამსახური რომ არ მინევდეს. ალექსანდრე უთავბოლო კაცია, ჩემსავით. ვფიქრობ, ერთმანეთს კარგად შევეწყობით. გინდა განახო? მისი წერილი თანა მაქვს".

ჯიბიდან კონვერტი ამოიღო, კონვერტიდან კი რამდენიმე ფურცელი, ერთი აირჩია და ოლივიეს გაუწოდა.

„— ყველას წაკითხვა აუცილებელი არ არის. ეს წაიკითხე".

ოლივიემ წაიკითხა:

„ორი კვირის წინ ჩემს ქოხში ერთი უცნაური ტიპი შევიფარე და ახლა ჩემთან ცხოვრობს. ამ ქვეყნის მზემ მეტისმეტად გადაახურა მისი თავის ქალა. ჯერ მეგონა ბოდავდა, მერე მივხვდი, რომ ტიპიური შეშლილია. ამ უცნაურმა ბიჭმა — დაახლოებით ოცდაათი წლისაა, მაღალი, ძლიერი, საკმაოდ ლამაზია, და თუ მისი მანერების, ლაპარაკისა და ნაზი ხელების მიხედვით ვიმსჯელებთ, სრულიად მიუჩვეველია ფიზიკურ შრომას, ასე რომ, როგორც იტყვიან, „კარგი ოჯახის შვილია“, — წარმოიდგინა, რომ ეშმაკი ჩაუსახლდა ან უფრო სწორად, თუ კარგად გავიგე, რასაც ამბობს, საკუთარი თავი ჰგონია ეშმაკი. ეტყობა, რაღაც ხათაბალაში მოხვდა, რადგან ძილში ან გონდაკარგვის დროს, რაც ხშირად ემართება (საკუთარ თავს ისე ესაუბრება ვერც მამჩნევს), განუწყვეტლივ, რაღაც წაკვეთილ ხელებზე ლაპარაკობს; თანაც მთელი ტანით კანკალებს, საშინლად ატრიალებს თვალებს, ამიტომ ვცდილობ ყოველანაირი იარაღი გადავმალო. სხვა დროს კი ძალიან სასიამოვნო ბიჭია, კარგი კომპანიონი, — რასაც ძალიან ვაფასებ, რადგან თვეები მარტოობაში გავატარე, — მუშაობაში მეხმარება. თავის წარსულზე არასოდეს ლაპარაკობს, ამიტომ ვერც გავიგე ვინ არის. ძირითადად მწერები და მცენარეები აინტერესებს; ზოგიერთი მისი ნათქვამი მაფიქრებინებს, რომ უჩვეულოდ განათლებულია. როგორც მგონია, აქ მოსწონს, ნასვლაზე არაფერს ამბობს; გადავწყვიტე დარჩენის ნება მივცე; იყოს იმდენ ხანს, რამდენსაც მოისურვებს; დამხმარე მჭირდებოდა და ისე მოხდა, რომ დროზე მომეელინა.

ის საშინელი ზანგი, რომელიც კაზამანსში მოგზაურობისას ახლდა და რომელთანაც ცოტა ვისაუბრე, ვილაც მის თანამგზავრ ქალს ახსენებდა; თუ კარგად გავიგე, ის მდინარეში დაიხრჩო, როცა მათი ნავი გადაბრუნდა. არ გავოცდები, თუ იმასაც გავიგებ, რომ ის ქალი ამისი ხელშეწყობითაც დაიხრჩო. ამ ქვეყანაში, როცა ვინმეს სურვილი უჩნდება ვილაცისგან თავი გაითავისუფლოს, არჩევანის დიდი საშუალებებია და არც არავის აინტერესებს, რა ხდება. თუ ამ ამბის შესახებ კიდევ რამეს გავიგებ, მოგწერ ან მოგიყვები, როცა ჩემთან ჩამოხვალ... მალე არმიაში გაგიწვევენ... რას იზამ! მოგიცდი. თუ ჩემი ნახვა გინდა, უნდა გადაწყვიტო და ჩამოხვიდე. მე კი დაბრუნება ყოველ წელს უფრო და უფრო ნაკლებად მინდა. აქ ისე ვცხოვრობ, როგორც მომწონს და როგორც კარგად შეკერილი კოსტიუმი ისე მარგია. ჩემი ვაჭრობა წინ მიიწევს, ხოლო ცივილიზაციის ცელულოიდის ყალბი საყელო, რკინის

საყელური მგონია, რომლის ტარებასაც აღარასოდეს მოვისურვებ.

კიდევ ერთ ჩეკს გიგზავნი და ისე გამოიყენე, როგორც მოისურვებ. ის, რომელიც ადრე გამოგიგზავნე რაშელისა იყო. ეს კი შენია...".

„— დანარჩენი საინტერესო არ არის", — თქვა არმანმა.

ოლივიემ უსიტყვოდ დაუბრუნა წერილი; აზრადაც არ მოსვლია, რომ მკვლელი, რომელზეც წერილში იყო ლაპარაკი, შეიძლება მისი ძმა ყოფილიყო. ვენსანი უკვე დიდი ხანია აღარაფერს იტყობინებოდა; მშობლები ფიქრობდნენ, რომ ის ამერიკაში იყო. სიმართლე რომ ითქვას, ოლივიეს მისი ბედი დიდად არც აწუხებდა.

# XVII

ბორისმა ბრონიას სიკვდილი მხოლოდ ერთი თვის შემდეგ შეიტყო, როცა პანსიონში ქალბატონი სოფრონიცკა მივიდა. იმ ნაღვლიანი წერილის შემდეგ ბორისს მეგობრის შესახებ აღარაფერი გაუგია. როცა ქალბატონ ვედელის სალონში, სადაც ჩვეულებრისამებრ დასვენების საათებს ატარებდა, შემოსული ქალბატონი სოფრონიცკა დაინახა, მაშინვე თვალში მოხვდა, რომ შავები ეცვა და, ვიდრე ის რამეს ეტყოდა, ყველაფერს მიხვდა. ოთახში მარტო იყვნენ. ქალბატონი სოფრონიცკა ბორისს მოეხვია და ორივე მწარედ ატირდა. ქალი სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა: „ჩემო საცოდავო ბიჭო... ჩემო საცოდავო ბიჭო...“; თითქოს ბორისს უფრო სჭირდებაო ნუგეში, ვიდრე მას; თითქოს ბიჭის უსაზღვრო მწუხარების შემყურეს დედური მწუხარება დაავიწყდაო.

მერე ქალბატონი ვედელი შემოვიდა; ტირილისგან აცახცახებული ბორისი განზე გადგა, ორივე ქალბატონს თავისუფლად რომ ესაუბრა. არ უნდოდა მათ ბრონიაზე ესაუბრათ. ქალბატონი ვედელი ბრონიას არ იცნობდა და მასზე, როგორც ჩვეულებრივ გოგონაზე, ისე ლაპარაკობდა; მისი შეკითხვები კი, თავისი ბანალურობით ბორისს მოურიდებლობად ეჩვენა. ერჩივნა, სოფრონიცკას არ ეპასუხა და იტანჯებოდა, რომ ქალი თავს ვერ იკავებდა და თავის მწუხარებას არ ფარავდა. ბორისმა საკუთარი დარდი და ტკივილი გულში განძივით ღრმად ჩაიმარხა. ცხადია, ბრონია მასზე ფიქრობდა, როცა სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე იკითხა:

„ — დედა, ძალიან მინდა ვიცოდე... ოღონდ ზუსტად მითხარი, იდილია რა არის?"

ეს სიტყვები გულს უკლავდა და ბორისს არ სურდა ვინმესთვის გაეზიარებინა.

ქალბატონმა ვედელმა ჩაიზე მიიპატიჟა ისინი. შესვენება დამთავრდა. ბორისმა ჩაი სწრაფად დალია და სოფრონიცკას დაემშვიდობა, რომელიც მეორე დღეს პოლონეთში მიემგზავრებოდა, სადაც საქმეები ელოდა.

სამყარო ბორისისთვის უცბად დაცარიელდა; დედა ძალიან შორს ეგულებოდა, თანაც არც ეცალა და გამუდმებით სხვაგან იყო; პაპა კი ძალზე მოხუცი გახლდათ; ბერნარი, რომლის გვერდითაც თავს კარგად

გრძნობდა, წავიდა. ბორისის ნაზი სული ვიღაცას საჭიროებდა, ვისაც თავის კეთილშობილებასა და სიწმინდეს შესწირავდა. ყოყლოჩინა არ იყო და არც თავმოწონების სურვილი ჰქონდა. ბრონია მეტისმეტად უყვარდა, ახლა იმედიც აღარ დარჩა, რომ ოდესმე ისევ იგრძნობდა სიყვარულის იმ აზრს, რომელიც გოგონას სიკვდილთან ერთად გაქრა. უიმისოდ როგორღა ირწმუნოს ანგელოზები, რომელთა ნახვაც უნდოდა? ახლა თვით ზეცაც კი მისთვის უდაბნოდ იქცა.

ბორისი კლასში დაბრუნდა, ისეთი შეგრძნება ჰქონდა თითქოს ჯოჯოხეთში ჩაეშვაო. გონტრან დე პასავანთან შეეძლო საერთო ენის გამონახვა; ის კარგი ბიჭია, თანაც თანატოლები არიან; მაგრამ გონტრანი სულ მეცადინეობაში იყო ჩაფლული. ფილიპ ადამანტიც არ იყო ცუდი ბიჭი, ალბათ, ბორისს სიხარულითაც დაუმეგობრდებოდა, მაგრამ გერიდანისოლს ისე ჰყავდა გამოჭერილი, დამოუკიდებელ აზროვნებას ვეღარ ბედავდა. გერიდანისოლს რაც უნდა გაეკეთებინა, ფილიპი მაშინვე იმეორებდა; გერიდანისოლი კი ბორისს უბრალოდ ვერ იტანდა; მისი ყველაფერი აღიზიანებდა: მუსიკალური ხმა, მოხდენილობა, გოგოსავით დახვეწილი სახე. შეიძლება იფიქროს კაცმა,რომ ბორისის დანახვაზე ინსტინქტურ სიძულვილს გრძნობდა; იმ სიძულვილს, ძლიერს რომ აიძულებს სუსტს თავს დაესხას. იქნებ, ეს სიძულვილი მისი ბიძის გაკვეთილების შედეგიც იყო და თეორიულ ხასიათს ატარებდა, მაგრამ მის თვალში ეს სიძულვილი თავისებურ გაკიცხვას წარმოადგენდა. ასე გეგონებოდათ, თავისი სიძულვილისთვის მიზეზს ეძებსო. გერიდანისოლი კარგად მიხვდა, რა ავადმყოფურად განიცდიდა ბორისი მისდამი ზიზღიან დამოკიდებულებას; მან ამითი ისარგებლა და ბიჭის თვალებში შეშფოთება რომ დაენახა, ისეთი სახე მიიღო, თითქოს ჟორჟსა და ფიფისთან ერთად შეთქმულებას აწყობდა.

„— ოო! რა ცნობისმოყვარეა, — ამბობს ჟორჟი, — იქნებ, მაგასაც ვუთხრათ?

— უაზრობაა. მაინც ვერ მიხვდება“.

„ვერ მიხვდება“, „ვერ გაბედავას“, „არ გამოუვა“, ბორისს მსგავსი გამონათქვამები გამუდმებით ესმოდა და საშინლად იტანჯებოდა, რომ თავიანთ კომპანიაში არ ღებულობდნენ. იმ დამამცირებელი მეტსახელის აზრსაც ვერ ხვდებოდა, მას რომ შეარქვეს — „შიშიბელა“. როცა მიხვდა, საშინლად აღშფოთდა. რას არ გააკეთებდა, ოღონდ ამათთვის დაემტკიცებინა, რომ მშიშარა არ იყო.

„— ბორისს ვერ ვიტან, — უთხრა გერიდანისოლმა სტრუვილუს.

— რატომ მთხოვე თავი დაანებეო? სიმშვიდე მაინც არ უნდა; სულ ჩემსკენ იყურება. ამას წინათაც მაგრად გვაცინა, თურმე, „ქალი ევას კოსტიუმში", რაღაც განსაკუთრებული სამასკარადო ტანსაცმელი ეგონია. ჟორჟმა კარგა მოილხინა! როცა ბორისი თავის შეცდომას მიხვდა, მეგონა ცრემლებს გადმოყრიდა".

მერე გერიდანისოლმა ბიძაშვილს უამრავი კითხვა დაუსვა; ბოლოს სტრუვილუმ ბორისის „თილისმა" მისცა და აუხსნა როგორ გამოეყენებინა.

რამდენიმე დღის შემდეგ, საკლასო ოთახში შესულმა ბორისმა თავის მერხზე ქაღალდის ნაგლეჯი აღმოაჩინა, რომლის არსებობაც აღარ ახსოვდა; მეხსიერებაში ყველაფერი წაშალა, რაც სიტყვა „მაგიას" უკავშირდებოდა და რისაც უკვე რცხვენოდა; ჯერ ვერც გაიგო, რა იყო, რადგან გერიდანისოლს ჯადოსნური ფორმულა:

„გაზი... ტელეფონი... ასი ათასი რუბლი".

მონდომებით ჩაესვა ფართო შავ-ნითელ ჩარჩოში. ირგვლივ, ჩემი აზრით, საკმაოდ კარგადაც, პატარა უხამსი ეშმაკუნები შემოეხატა, რამაც ფანტასტიკური სახე მისცა, „ჯოჯოხეთური სახე", — როგორც გერიდანისოლმა გაიფიქრა, რასაც მისი ვარაუდით, ბორისი უნდა აეფორიაქებინა.

შეიძლება ეს მხოლოდ თამაშიც იყო, მაგრამ თამაში, რომელიც ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. ბორისს სახე აელენა, არაფერი თქვა, მარჯვნივ გაიხედა, მერე მარცხნივ, მაგრამ გერიდანისოლი, რომელიც კარს უკან იმალებოდა და იქიდან უთვალთვალებდა, ვერ დაინახა. ბორისისთვის გაუგებარი იყო, როგორ მოხვდა მის მერხზე თილისმა; თითქოს ციდან ჩამოვარდაო, უფრო სწორად, სადღაც ჯოჯოხეთიდან გამოჩნდაო. ახლა ბორისი უკვე დიდი იყო და ამ თავის ბავშვურ ცელქობას დიდ მნიშვნელობას აღარ ანიჭებდა, მაგრამ მეხსიერებაში გადასული სახეები კი ამოუტივტივა. ბორისმა თილისმა აიღო, ქურთუკის ჯიბეში ჩაიდო. საღამომდე მიჰყვა თავისი „მაგიური" საქმიანობების მოგონებები. დიდხანს ებრძოლა პირქუშ ცდუნებებს, მაგრამ ამ ბრძოლაში აღარავინ ეხმარებოდა და ოთახში ასულმა ცდუნებას ვეღარ გაუძლო.

ეგონა, თავს იღუპავდა, ზეცას შორდებოდა, მაგრამ სიამოვნებდა ეს დაღუპვა; და დაღუპვა იგი დიდ სიამოვნებად აქცია.

და მაინც, მიუხედავად მწუხარებისა, თავისი ობლობის სიღრმეებში სინაზის დიდი მარაგი შეინარჩუნა; ამხანაგების მხრიდან ხაზგასმული

ზიზღით გამონვეული ისეთი მწვავე და მტანჯავი გრძნობები ჰქონდა, რომ მათი ოდნავი პატივისცემა რომ დაემსახურებინა, რას არ გააკეთებდა, მზად იყო ყოველგვარი, ყველაზე საშიში და ყველაზე უაზრო ქმედება ჩაედინა.

მალე შემთხვევაც მიეცა.

მას შემდეგ, რაც ყალბი მონეტების გასაღებაზე უარი თქვეს, გერიდანისოლი, ჟორჟი და ფიფი უსაქმოდ დიდხანს არ დარჩენილან. პირველი დღეებში წვრილმანი, უაზრო თამაშობები მხოლოდ ინტერმედია აღმოჩნდა. მალე გერიდანისოლის წარმოსახვამ უფრო რთული გასართობით მოამარაგათ.

ჯერ „ძლიერი ადამიანების ძმობა“ შექმნეს მხოლოდ ერთი მიზნით, რომ ბორისი არ მიეღოთ. მაგრამ მალე გერიდანისოლს აზრად მოუვიდა, თუ ბორისს „საძმოში“ მიიღებდნენ, უფრო მეტად ისიამოვნებდნენ, რადგან ისეთ მოვალეობებს დააკისრებდნენ, რითაც აიძულებდნენ რაიმე თავზარდამცემი საქციელი ჩაედინა. მას შემდეგ ეს აზრი აღარც მოუშორებია და როგორც ხშირად ხდება ხოლმე ასეთ წამოწყებებში, გერიდანისოლი უკვე თვით აქტზე კი აღარ ფიქრობდა, არამედ მისი განხორციელების საშუალებებზე. თითქოს ეს წვრილმანია, მაგრამ საშუალებას იძლევა ბევრი დანაშაულის მექანიზმის ასახსნელად. გერიდანისოლი ბუნებით სასტიკი ადამიანი ბრძანდებოდა, მაგრამ ხვდებოდა, რომ უმჯობესი იყო ეს სისასტიკე დაეფარა, ფიფისგან მაინც. ფიფის, პირიქით, სისასტიკისა არაფერი ეცხო და ბოლო წუთამდე დარწმუნებული იყო, საქმე მხოლოდ ხუმრობას ეხებოდა.

ყოველგვარ ძმობას საკუთარი დევიზი სჭირდება. გერიდანისოლს თავისი იდეა ჰქონდა და დევიზად ამხანაგებს — „ძლიერ ადამიანს სიცოცხლე არაფრად უღირს“ — შესთავაზა. დევიზი მიიღეს და ეს სიტყვები ციცერონს მიაწერეს. განმასხვავებელ ნიშნად ჟორჟმა მარჯვენა ხელზე სვირინგი გავიკეთოთო თქვა. მაგრამ ფიფის ტკივილისა ეშინოდა და დავა დაიწყო, კარგი მომსვირინგებლები მხოლოდ ნავსადგურებშიაო. თანაც გერიდანისოლმა დაამატა, სვირინგი სამუდამოდ რჩება და შეიძლება მომავალში ხელის შემშლელი გამოდგესო. ბოლოს და ბოლოს, ეს განამასხვავებელი ნიშანი არც აუცილებელია, საკმარისია ძმობის წევრებმა საზეიმო ფიცი დადონო.

როცა ყალბი მონეტების ოპერაციაზე იყო ლაპარაკი და გარანტიის საკითხი დადგა, მაშინ ჟორჟმა მამამისის წერილები გამოაჩინა. მას შემდეგ გარანტიებზე აღარც უფიქრიათ. საბედნიეროდ, ეს ბავშვები

დიდი სიმტკიცით არ გამოირჩეოდნენ. საბოლოოდ, „მიღების წესები“ არც შემოუღიათ და არც იმის შესახებ უთქვამთ რამე, რაც „აუცილებელ თვისებებს“ ეხება. არც იყო საჭირო, რადგან ძველებურად იგულისხმებოდა, რომ სამივენი „მაგრები იყვნენ“, ბორისი კი „მათ ბევრად ჩამორჩებოდა“. სამაგიეროდ, დაადგინეს: „ვინც ილაჩრებს, გამცემად ჩაითვლება და ძმობიდან სამუდამოდ გაძევდება“. გერიდანისოლმა, რომელმაც ძმობაში ბორისის ჩარიცხვა გადაწყვიტა, ამ პუნქტის მიღება აიხირა.

უნდა ვაღიაროთ, რომ უბორისოდ თამაში ძალიან მოსაწყენი იქნებოდა, ძმობის არსებობას კი აზრი აღარ ექებოდა. იმისთვის რომ ბორისი თამაშში ჩაეთრიათ, უმჯობესი იყო მასთან ჟორჟი მიეშვათ, რადგან გერიდანისოლის მისვლას შეიძლება ბორისში ეჭვი გამოეწვია. რაც შეეხება ფიფის, ის, ჯერ ერთი, უეშმაკო კაცი იყო, მეორეც, ამჯობინა სახელი არ გაეტეხა.

მე მგონია, ამ საშინელ ამბავში ყველაზე საზარელი როლი ჟორჟის როლი გახლდათ, რომელიც მეგობრობის კომედიის თამაშზე დათანხმდა. თავი მოიკატუნა, ვითომ უცბად გაუჩნდა ბორისისადმი მეგობრული გრძნობები, თუმცა ადრე საერთოდ ვერ ამჩნევდა მას. ისეთი ეჭვიც მაქვს, იგი ისე გაიტაცა თამაშმა, მისი ყალბი გრძნობები შეიძლება გულწრფელ გრძნობად ქცეულიყო, და შეიძლება გულწრფელიც იყო კიდეც იმ მომენტში, როცა ბორისი გაგებით გამოეხმაურა. ჟორჟი სათუთად ექცეოდა და ისე ელაპარაკებოდა, როგორც გერიდანისოლმა ასნავლა... და პატივისცემასა და სიყვარულს მონატრებული ბორისი უცბად წამოეგო ანკესზე.

მაშინ კი შეიმუშავა გეგმა გერიდანისოლმა, და ფიფისა და ჟორჟს გაანდო: საქმე „გამოცდას“ ეხებოდა, რომელიც ყველას უნდა გაევლო, ვისაც ძმობაში შესასვლელი კენჭი ერგებოდა. ფიფი რომ დაემშვიდებინათ, გერიდანისოლმა მიანიშნა, კენჭი მხოლოდ ბორისს შეხვდებაო; გამოცდა მისი სიმამაცის შემოწმების მიზნით უნდა ჩატარებულიყო.

ეს გამოცდა რაში მდგომარეობდა, ამაზე გერიდანისოლი დაწვრილებით არაფერს ამბობდა. ეშინოდა, ფიფის წინააღმდეგობა არ გაეწია.

„— არა! ეს არა. თანახმა არა ვარ, — გამოაცხადა მართლაც, როცა ცოტა მოგვიანებით გერიდანისოლმა შეპარვით დაიწყო, რომ პაპილო ლაპერის პისტოლეტს შეეძლო კარგი სამსახური გაეწია.

— სულელი ხარ! ეს ხომ მხოლოდ ხუმრობაა, — უპასუხა ჟორჟმა, რომელმაც ეს იდეა უკვე მიიღო.

— თანაც, — თქვა გერიმ, — თუ სიყეყეჩეს ამჯობინებ, თქვი და უშენოდაც მოვაგვარებთ საქმეს".

გერიდანისოლმა იცოდა, რომ ეს სიტყვები ფიფიზე უეჭველად იმოქმედებდა და რადგან ძმობის ქაღალდი უკვე მზად ჰქონდა, სადაც ყველა წევრს თავისი სახელი უნდა ჩაეწერა, მაშინვე დაუმატა:

„ – ახლავე თქვი, თორემ ხელს მოაწერ და გვიანი იქნება.

— კარგი! ნუ ბრაზობ, — თქვა ფიფიმ. — მომეცი ფურცელი". — და ხელი მოაწერა.

„— მე, ჩემო მეგობარო, — ამბობს ჟორჟი, თან ბორისს მხარზე ნაზად ეხვევა, — მინდა მიგიღო, მაგრამ გერიდანისოლია წინააღმდეგი.

— რატომ?

— არ გენდობა. ამბობს, შეეშინდებაო.

— საიდან იცის?

— პირველ გამოცდასაც ვერ გაუძლებსო.

— ვნახოთ.

— მართლა გაბედავ კენჭის ამოღებას?

— აბა, რა.

— იცი მაინც ეს რას ნიშნავს?"

ბორისმა არ იცოდა, მაგრამ უნდოდა სცოდნოდა. ჟორჟმა აუხსნა რას ნიშნავდა „ძლიერ ადამიანს სიცოცხლე არაფრად უღირს" და ისიც, რომ ამისი დამტკიცება იყო საჭირო.

ბორისმა წამით თავბრუსხვევა იგრძნო, დაიძაბა და დაფარა მღელვარება.

„— თქვენ მართლა მოაწერეთ ხელი?

— აი, ნახე, — და ჟორჟმა ფურცელი აჩვენა, სადაც ბორისს სამი სახელის ამოკითხვა შეეძლო.

— თქვენ თუ... — დაიწყო ბორისმა მორცხვად.

— რა, ჩვენ თუ?.. — ისე უკმეხად გააწყვეტინა ჟორჟმა, რომ ბორისმა გაგრძელება ვეღარ გაბედა. ჟორჟი მშვენივრად მიხვდა, ბორისს რა უნდოდა ეკითხა: ვალდებულება მათაც თუ აიღეს და დარწმუნებული თუ იყვნენ რომ არ შეეშინდებოდათ.

— არა, არაფერი, — თქვა და იმ წამსვე ეჭვი შეეპარა, რომ ისინი

გამოცდისთვის თავის არიდებას ცდილობდნენ და უპატიოსნოდ თამაშობდნენ; „ — ჯანდაბას, — გაიფიქრა, — შეეშინდეთ; მე ამათ ვაჩვენებ, რომ მათზე გამბედავი ვარ". მერე ჟორჟს თვალებში შეხედა და თქვა:

— უთხარი გერის, ჩემი იმედი ჰქონდეს.

— მოაწერ?"

ოო! ამისი აუცილებლობა უკვე აღარ იყო, მან ხომ სიტყვა მისცა და უბრალოდ დაუმატა:

„— თუ გინდა". — და იმ დაწყევლილ ქაღალდზე დაწერილი სამი „ძლიერი ადამიანის" ხელმოწერის ქვეშ დიდი, მონდომებული ასოებით თავისი სახელი გამოიყვანა.

ჟორჟმა ფურცელი ზეიმით წაუღო მეგობრებს. მათ დაადგინეს, რომ ბორისი ღირსეულად მოიქცა და თათბირს შეუდგნენ.

„— ცხადია, პისტოლეტს არ დავტენით. თანაც ვაზნები არ არის. — ფიფის შიში იმითაც აიხსნებოდა, რომ სადღაც გაეგო, ზოგჯერ ადამიანი შეიძლება ძლიერი მღელვარების შედეგადაც მოკვდესო. მამამისის ნაამბობი ერთი შემთხვევა გაიხსენა, დასჯის ინსცენირების დროს, როგორ... მაგრამ ჟორჟმა გააწყვეტინა:

— მამაშენი ხომ სამხრეთელია".

არა, გერიდანისოლი პისტოლეტს არ დატენის. ამისი აუცილებლობა არ იყო. ის ვაზნა, ოდესღაც ლა პერუზმა პისტოლეტში რომ ჩადო, უკან აღარ ამოუღია. გერიდანისოლმა ეს აღმოაჩინა და მეგობრებისთვის არაფერი უთქვამს.

ერთნაირად დაკეცილი, ერთმანეთისგან არაფრით განსხვავებული ქაღალდის ოთხ პატარა ნაგლეჯზე დაწერილი სახელები ქუდში ჩაყარეს. გერიდანისოლმა მეხუთე ქაღალდის ნაგლეჯზე ბორისს სახელი დაწერა და მუჭაში ჩამალა, მერე, რაღაც მანქანებით ბორისს უნდა შეხვედროდა ეს ქაღალდი. ბორისს ეჭვი ჰქონდა, რომ აქ რაღაც ეშმაკობა იმალებოდა, მაგრამ გაჩუმდა. რა აზრი ჰქონდა წინააღმდეგობას? უკვე იცოდა, განწირული იყო; თავდაცვისთვის არაფერი იღონა; კენჭი სხვას რომ შეხვედროდა მაინც საკუთარ თავს შესთავაზებდა, იმდენად დიდი იყო მისი სასოწარკვეთა.

„— ბედი არ გქონია, ჩემო საბრალო მეგობარო, — ამისი თქმა ჟორჟმა აუცილებლობად მიიჩნია. მისი ხმა იმდენად ყალბად ჟღერდა, რომ ბორისმა ნაღვლიანად შეხედა.

— ასეც ვიცოდი", — უპასუხა ბორისმა.

ამის შემდეგ რეპეტიციის მოწყობა გადაწყვიტეს. მაგრამ, რადგან დიდი საშიშროება იყო ვინმე გაიგებდა, შეთანხმდნენ, პისტოლეტს ახლა არ გამოიყენებდნენ. ვერავინ რომ ვერაფერს მიმხვდარიყო პისტოლეტს ყუთიდან მხოლოდ ბოლო წუთში ამოიღებდნენ, როცა „მართლა" ითამაშებდნენ.

იმ დღეს მხოლოდ დროზე და ადგილზე შეთანხმდნენ; ადგილი იატაკზე ცარცით შემოხაზეს. ისინი საკლასო ოთახის კუთხეში იდგნენ, ჩალურსმული კარის ახლოს, ოდესღაც შემოსასვლელის თაღის ქვეშ რომ იღებოდა. რაც შეეხება დროს, ისეთი საათი აირჩიეს, როცა გაკვეთილები მიმდინარეობდა; ყველაფერი მოწაფეთა თვალწინ უნდა მომხდარიყო: რა პირს დააღებდნენ?! რეპეტიცია სამივე შეთქმულის დასწრებით ცარიელ კლასში მიმდინარეობდა, მაგრამ მაინცადამაინც დიდი ვერაფერი შვილი აღმოჩნდა. უბრალოდ, მხოლოდ ის დაადგინეს, რომ იმ ადგილიდან, სადაც ბორისი იჯდა, ცარცის წრემდე, ზუსტად თორმეტი ნაბიჯი იყო.

„— თუ არ შეგეშინდება, ზედმეტ ნაბიჯს არ გადადგამ.

— არ შემეშინდება, — თქვა ბორისმა, რომელსაც ეს გამუდმებული ეჭვი შეურაცხყოფდა. ამ ბიჭის სიმტკიცე დანარჩენებზე თანდათან უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. ფიფი ფიქრობდა, რომ ეს საკმარისი იყო და უნდა შეჩერებულიყვნენ. მაგრამ გერიდანისოლის მიზანი ხუმრობის ბოლომდე მიეყვანა იყო.

— აბა, ხვალამდე, — თქვა მან და ტუჩის კუთხით რაღაც უცნაურად გაიღიმა.

— მოდი ერთმანეთს მოვეხვიოთ!" — შთაგონებით წამოიძახა ფიფიმ. მას გაახსენდა, გულად რაინდებს გამომშვიდობებისას როგორ ეხვეოდნენ და უცბად მოხვია ხელები ბორისს. ბორისმა ძლივს შეიკავა ცრემლი, როცა ფიფიმ ბავშვურად, ხმაურით აკოცა ორივე ლოყაზე. არც ჟორჟს და არც გერის ფიფისთვის არ მიუბაძავთ. ჟორჟს მოეჩვენა, რომ ფიფი ღირსეულად არ მოიქცა.რაც შეეხება გერის, მას ყველაფერი ფეხებზე ეკიდა.

# XVIII

მეორე დღეს, საღამოს, ზარის ხმამ პანსიონის ყველა მონაფე მოაგროვა.

ბორისი, გერიდანისოლი, ჟორჟი და ფილიპი ერთ მერხზე ისხდნენ. გერიდანისოლმა საათი ამოიღო და თავისსა და ბორის შორის დადო. საათი ხუთ საათსა და ოცდათხუთმეტ წუთს უჩვენებდა. გაკვეთილი ხუთ საათზე დაიწყო და ექვსამდე უნდა გაგრძელებულიყო. გადაწყდა, ექვსს რომ ხუთი დააკლდებოდა, ზუსტად მონაფეების წასვლამდე, ბორისი ყველაფერს დაამთავრებდა; ასე უკეთესი იყო; ამის შემდეგ სწრაფად გაპარვა შეიძლებოდა. მალე გერიდანისოლმა ბორისს ჩუმად უთხრა, ოღონდ ზედაც არ შეუხედავს, მისი აზრით, თავის სიტყვებს საბედისწერო მნიშვნელობა მიანიჭა:

„— ძველო, მხოლოდ თხუთმეტი წუთიღა დარჩა".

ბორისს ამას წინათ წაკითხული რომანი გაახსენდა, სადაც ყაჩაღებმა, ვიდრე ქალს მოკლავდნენ, ილოცეო უთხრეს, რითაც მიახვედრეს, რომ სიკვდილისთვის უნდა მომზადებულიყო. საზღვართან მისული უცხოელივით, რომელსაც ქვეყნის დატოვებისთვის აუცილებელი საბუთები წესრიგში მოჰყავს, ბორისმაც მზადება დაიწყო, ეცადა თავში და გულში რომელიმე ლოცვა ეპოვა, მაგრამ ვერაფერს მიაგნო და რადგან ძალიან დაღლილი და დაძაბული იყო, ამისთვის მაინცადამაინც თავი აღარ შეუწუხებია. თავს ძალა დაატანა, რომ ეფიქრა; ფიქრიც ვერ შეძლო; პისტოლეტი ჯიბეს უმძიმებდა და ხელის მიუკარებლად გრძნობდა.

„— ათი წუთიღა".

ჟორჟი გერიდანისოლის მარცხნივ იჯდა, გაცხარებული მუშაობდა და ამ სცენას თვალს ჩუმად ადევნებდა, თანაც ისეთი სახე ჰქონდა ვითომ ვერაფერს ამჩნევდა. საკლასო ოთახში ასეთი სიჩუმე ჯერ არ ყოფილა. ლა პერუზი თავის ანცებს ვეღარ სცნობდა და პირველად ამოისუნთქა თავისუფლად. მხოლოდ ფიფის ემჩნეოდა შეშფოთება; გერიდანისოლი აშინებდა; დარწმუნებული არ იყო, რომ ეს თამაში კარგად დამთავრდებოდა; გული უსკდებოდა, ეწინკნებოდა, დროდადრო მწარედ ოხრავდა. ბოლოს, ვეღარ მოითმინა, ისტორიის რვეულიდან ნახევარი გვერდი ამოხია, — გამოცდებისთვის ემზადებოდა, მაგრამ თვა-

ღლში ხაზები, ხოლო თავში ყველა მოვლენა და თარიღი ერთმანეთში ;აერია, — გვერდის ქვედა ნაწილში სწრაფად მიაწერა: „დარწმუნებული ;მაინც ხარ, რომ პისტოლეტი დატენილი არ არის?“ და ჟორჟს გადაანოდა, რომელმაც წერილი გერის გადასცა. გერიმ წაიკითხა, ფიფის არც კი შეხედა და მხრები აიჩეჩა, მერე წერილისგან ბურთულა გააკეთა და ნკიპურტით მოისროლა; ბურთულა ზუსტად ცარცით შემოსაზღვრულ წრეში ჩაეცა; მერე, კმაყოფილმა, რომ ზუსტად მოახვედრა მიზანს, გაიღიმა. ეს განზრახი ღიმილი სახეზე სცენის დამთავრებამდე ისე შეიყინა, თითქოს მისი სახის ნაკვთებზე ბეჭდით დასვესო.

„— კიდევ ხუთი წუთი“.

ეს უკვე საკმაოდ ხმამაღლა ითქვა; ფილიპმაც კი გაიგონა; გაუსაძლისმა მწუხარებამ შეიპყრო, თუმცა გაკვეთილი საცაა უნდა დამთავრებულიყო, ისეთი სახე გაუხდა, თითქოს სასწრაფოდ სჭირდებოდა კლასიდან გასვლა; იქნებ, მუცლის გვრემა მართლაც დაეწყო; ხელი ასწია და თითები გატკაცუნა, როგორც ამას მოწაფეები აკეთებენ, როცა მასწავლებელს გასვლის ნებას სთხოვენ; მერე ლა პერუზის პასუხს აღარ დაელოდა და სწრაფად წამოხტა მერხიდან; კარამდე რომ მიეღწია, ჯერ მასწავლებლის კათედრის წინ უნდა გაევლო; თითქმის სირბილით, ქანაობით გარეთ გავარდა.

მაშინვე, როგორც კი ფილიპი გავიდა, ბორისი ადგა. პატარა პასავანმა, მის უკან რომ გულმოდგინედ მუშაობდა, თავი ასწია. მოგვიანებით სერაფინს ეტყვის, ბორისი „საშინლად გაფითრებული“ იყოო. მაგრამ მსგავს შემთხვევაში ხომ ყოველთვის ასე ლაპარაკობენ; თანაც მან მხოლოდ ერთი წამით შეხედა და ისევ თავის სამუშაოში ჩაეფლო. მერე ამის გამო საკუთარ თავს ძალიან საყვედურობდა; მოგვიანებით კი ცრემლის ღვრით ამბობდა, რომ მივმხვდარიყავი, რაც ხდებოდა, აუცილებლად ხელს შევუშლიდიო... მაგრამ ვერ მიხვდა.

ამასობაში ბორისმა ცარცით მონიშნულ ადგილს მიაღწია; ნელა მიდიოდა, ავტომატივით, თვალი ერთი ადგილისთვის მიეშტერებინა; მარჯვენა ხელი უკვე პისტოლეტს ჩასჭიდა, რომელიც ისევ ქურთუკის ჯიბეში ჰქონდა დამალული; მხოლოდ უკანასკნელ წამს ამოიღო. ეს საბედისწერო ადგილი, როგორც ვთქვი, აჭედილი კარის გვერდით მდებარეობდა და კათედრის მარჯვნივ კუთხეს ქმნიდა, ამიტომ მასწავლებელი მას მხოლოდ მაშინ დაინახავდა, თუ გადმოიხრებოდა.

ლა პერუზი გადმოიხარა; ჯერ ვერ მიხვდა რას აკეთებდა მისი შვილიშვილი, თუმცა ბორისის უცნაურ, ზეიმურ მაძრაობას, არ შეიძლება

მისი ყურადღება არ მიეპყრო. მოხუცმა, რაც შეეძლო ხმამაღლა დაუძახა, თან ეცადა მბრძანებლური ტონი ჰქონოდა:

„— ბატონო ბორის, დაუყოვნებლივ თქვენს ადგილზე დაბრუნდით...“.

უცბად თავისი პისტოლეტი იცნო, რომელიც ბორისმა საფეთქელთან მიიტანა. ლა პერუზი მიხვდა და უცბად ისეთი საშინელი სიცივე იგრძნო, თითქოს მთელი სისხლი ძარღვებში ყინვად ექცაო; უნდოდა ამდგარიყო, ბორისთან მიჭრილაყო, შეეკავებინა, ეყვირა... პირიდან მხოლოდ ხრინწიანი, გაწელილი ხიხინი აღმოხდა, და ისევე დარჩა სკამზე მიკერული, დამბლადაცემული, აკანკალებულ-აცახცახებული.

სროლა გაისმა; ბორისი უცბად არ წაქცეულა; რაღაც წამების გაელვებაში სხეული შეკავდა, თითქოს კუთხეში ჩაიჭედაო, მერე თავი ჩამოუვარდა, სხეულიც თან გაიყოლა.

როცა მოგვიანებით პოლიციამ გამოძიება დაიწყო, ყველას გასაოცრად ბორისის ახლოს პისტოლეტი ვერ იპოვეს — მინდა ვთქვა: იმ ადგილას, სადაც დაეცა; მიცვალებულის პატარა სხეული, თითქმის მაშინვე მის საწოლზე გადაიტანეს. გასროლას დიდი ალიაქოთი მოჰყვა; გერიდანისოლი ადგილიდან არ დაძრულა, ისევ თავის ადგილზე იჯდა; ჟორჟი თავის სკამს მოსწყდა, მარჯვედ, შეუმჩნევლად დაეუფლა პისტოლეტს: ჯერ ფეხით უკან გაისროლა, მერე ხელი სტაცა, ქურთუკის ჯიბეში დამალა და ბოლოს ჩუმად გერიდანისოლს გადასცა. ყველას ყურადღება ერთ წერტილზე იყო მიპყრობილი, ამიტომ არც არავის შეუმჩნევია, გერიდანისოლი როგორ შევარდა ლა პერუზის ოთახში და პისტოლეტი იქ დადო, საიდანაც აიღო. მერე, ჩხრეკის დროს, პოლიციამ პისტოლეტი ბუდეში აღმოაჩინა, ამიტომ ეჭვი შეეპარათ, პისტოლეტი ბუდიდან იქნებ არც ამოუღიათ და ბორისს არც ეს პისტოლეტი გამოუყენებიაო, რადგან გერიდანისოლმა მოიფიქრა და ვაზნა იარაღიდან ამოიღო. ცხადია, ცოტა თავგზა აებნა, ერთი წამით თავშეკავებამაც უღალატა, მაგრამ საკუთარ თავს ეს უფრო უსაყვედურა, ვიდრე, სამწუხაროდ, ჩადენილი დანაშაული. ამ თავშეკავების დაკარგვამ გადაარჩინა კიდეც. როცა ძირს ჩასული სხვებს შეუერთდა, დაინახა ბორისის უსულო სხეული როგორ მიჰქონდათ, ააკანკალა, რაღაც ნერვული შეტევის მსგავსი დაემართა, რაშიც მასთან მისულ ქალბატონ ვედელსა და რაშელს გადაჭარბებული ემოციების დანახვა სურდათ. ადამიანები ამჯობინებენ რაც გნებავთ ის წარმოიდგინონ, ოღონდ ახალგაზრდის

არაადამიანურ ქცევაში ეჭვი არ შეიტანონ; ასე რომ, როცა გერიდანისოლი ალაპარაკდა დამნაშავე არა ვარო, დაუჯერეს. ჟორჟმა რომ ფიფის წერილი გადასცა, თვითონ კი დაგორგლა და წკიპურტით მოისროლა, მჭერე მერხის ქვეშ იპოვეს, მის სასარგებლოდ გამოიყენეს. ცხადია, ისიც, ისევე როგორც ჟორჟი და ფიფი დამნაშავეები იყვნენ იმაში, რომ ასეთ ულმობელ თამაშში მონაწილეობდნენ, მაგრამ ფიფი ხომ ამბობდა, არ ვითამაშებდი, რომ მცოდნოდა იარაღი დატენილი იყოო. მხოლოდ ჟორჟი იყო დარწმუნებული თავის აბსოლუტურ დანაშაულში.

ჟორჟი იმდენად როდი იყო ხელიდან წასული, გერიდანისოლისადმი მისი თაყვანისცემა ზიზღით არ შეცვლოდა. იმავე საღამოს სახლში დაბრუნდა თუ არა, დედას გულში ჩაეკრა, და პოლინმა უფალს მადლი შესწირა, რომ მან, თუმცა საშინელი ტრაგედიის ფასად, მაინც დაუბრუნა შვილი.

## ედუარდის დღიური

„ დაწვრილებითი ახსნის პრეტენზია არაფრისა არა მაქვს, მაგრამ მაინც არ მინდა არც ერთი ფაქტის დაუსაბუთებლად დატოვება. ამიტომ ჩემს „ყალბი ფულის მჭრელებში" არ ვაპირებ ბორისის თვითმკვლელობა გამოვიყენო. ჩემთვის ძალიან ძნელია ამაში გარკვევა. გარდა ამისა, არ მიყვარს „შემთხვევები". მათში არის რაღაცა კატეგორიული, უდავო, მძაფრი, მყვირალა რეალობა... თანახმა ვარ, რომ რეალობამ, როგორც არგუმენტამ, ჩემი აზრი განამტკიცოს, ოღონდ ნინ არ უნდა უსწრებდეს.

„მიუხედავად იმისა, რასაც ამ საკითხზე ლა პერუზი ფიქრობს, — მას მიაჩნია, რომ მისი შვილიშვილი უფრო გამბედავი იყო, ვიდრე თვითონ არის,— მე მაინც მგონია — თვითმკვლელობაში სიმხდალის რაღაც ნაწილი მაინც არის. ამ ბიჭს რომ გაეთვალისწინებინა ის კატასტროფა, რაც მისი საბედისწერო ქცევით ვედელების ოჯახს დაატყდა თავს, მაშინ გამართლება არ ექნებოდა მის მოქმედებას. აზაისს პანსიონის დახურვა მოუნია, მისი თქმით, დროებით, მაგრამ რაშელი შიშობს, რომ სამუდამოდ დაიხურება. უკვე ოთხმა ოჯახმა გაიყვანა პანსიონიდან თავიანთი შვილები. ვეცადე პოლინი დამერწმუნებინა ეს არ გაეკეთებინა, მაგრამ ამაოდ. უნდა ვთქვა, მისი ვაჟი, ამხანაგის სიკვდილით გულშეძრული, თითქმის გამოსწორების გზაზეა. რა გამოძახილი ჰქონდა ამ

უეცარ მწუხარებას! ოლივიეც კი შეძრწუნებული იყო. არმანს, მიუხედავად მისი მოჩვენებითი ცინიზმისა, ანუხებს, რომ მის ოჯახს გაკოტრება ემუქრება, და აპირებს მთელი თავისი დრო, რომელიც პასავანის სამუშაოს შემდეგ რჩება, პანსიონის საქმეებს დაუთმოს. მოხუცმა ლა პერუზმა აშკარად არ გაამართლა მასზე დაკისრებული იმედი.

„შიშით მივდიოდი მის სანახავად; თავის ოთახში მიმიღო, პანსიონის მესამე სართულზე; მაშინვე ხელი გამიყარა, თანაც რაღაც იდუმალი სახე ჰქონდა; თითქმის ილიმებოდა, რამაც ძალიან გამაოცა, რადგან ცრემლის ღვრას უფრო ველოდი:

„— იცით, ხმაური... ის ხმაური, იმ დღეს რომ გელაპარაკეთ...

„— რა მერე?

„— შეწყდა. საბოლოოდ. აღარ მესმის. როგორც უნდა მივაყურადო...“.

„ისე ვუპასუხე, თითქოს რაღაც ბავშვურ თამაშში ჩავები:

„— სანაძლეოს ვდებ, უიმისოდ უკვე მოწყენილი ხართ.

„— ოო! არა, არა... ისე კარგად ვისვენებ! ისე მჭირდება სიჩუმე... იცით, რა ვიფიქრე? ვიდრე ცოცოხლები ვართ, ვერასოდეს გავიგებთ, რა არის ნამდვილი სიჩუმე. ჩვენი სისხლიც კი, ჩვენს შიგნით განუწყვეტლივ ხმაურობს; ვერც კი ვამჩნევთ ამ ხმაურს, რადგან ბავშვობიდანვე მივეჩვიეთ... ასე მგონია, რომ არსებობს რაღაცები, რომელთა მოსმენაც სიცოცხლეში არ გამოგვდის, რაღაც ჰარმონიები... რადგან ხმაური მათ ახშობს. დიახ, მხოლოდ სიკვდილის შემდეგ შევძლებთ მათ გაგებას.

„— მეუბნებოდით, რომ არ გჯეროდათ...

„— სულის უკვდავება? ასე გითხარით?.. დიახ, ალბათ, მართალი ხართ. მაგრამ არ მჯერა, გამიგეთ, საპირისპიროც“.

„რადგან ვდუმდი, თავის ქნევითა და შემაგონებელი ხმით გააგრძელა:

„— ყურადღება მიგიქცევიათ, რომ ამ სამყაროში, ღმერთი გამუდმებით დუმს?განუწყვეტლივ მხოლოდ ეშმაკი ლაპარაკობს ან უკიდურეს შემთხვევაში, უკიდურეს შემთხვევაში... — გააგრძელა მან, — რამდენიც უნდა ვუსმინოთ, მხოლოდ ეშმაკის ხმა გვესმის... ჩვენ ისეთი სმენა არა გვაქვს, რომ ღმერთის ხმა გავიგონოთ. ღმერთის სიტყვები! გიფიქრიათ როდესმე, როგორია ეს სიტყვები?.. ოო! არა, მე იმ სიტყვებზე არ გელაპარაკებით, ადამიანთა ენით რომ იღვრება... გახსოვთ, როგორ იწყება ბიბლია: „პირველად იყო სიტყვა“. ხშირად ვფიქრობდი,

რომ ღვთის სიტყვა ყველაფერია, რაც უფალს შეუქმნია. მაგრამ ეშმაკი ყოველივე ამას დაეუფლა და ახლა მისი ხმაური ღმერთის ხმას ახშობს. ოო! გამაგებინეთ ერთი: ბოლო სიტყვა ხომ მაინც უფლისა იქნება?.. და თუ დრო სიკვდილის შემდეგ აღარ არსებობს, თუ პირდაპირ მარადისობაში გადავდივართ, მაშინ, როგორ გგონიათ, უფლის ხმასაც ხომ გავიგონებთ... უშუალოდ?"

„უცებ აცახცახდა, თითქოს სადაცაა ეპილეფსიის შეტევა მოუვა და დაეცემაო, მერე ატირდა.

„— არა! არა! — გაუგებრად ამოიძახა. — ეშმაკი და ღმერთი ერთი და იგივეა. ერთმანეთს შეუთანხმდნენ. ვცდილობთ თავი დავირწმუნოთ, რომ ყველაფერი, რაც დედამიწაზე ცუდია, ეშმაკისგანაა; მაგრამ ამას მხოლოდ იმიტომ ვაკეთებთ, სხვანაირად ჩვენში ძალას ვერ ვიპოვით უფალს მივუტევოთ. ის ისე გვტანჯავს და გვათამაშებს, როგორც კატა თაგვს... თანაც ჩვენგან იმასაც მოითხოვს მისი მადლიერები ვიყოთ. მადლიერი რისთვის? რისთვის?.."

„მერე ჩემსკენ გადმოიხარა და დაუმატა:

„— როდის ჩაიდინა თავისი ყველაზე საზარელი საქმე?.. როცა ჩვენი გადარჩენისთვის მსხვერპლად საკუთარი შვილი განირა. საკუთარი შვილი! საკუთარი შვილი!.. სიმკაცრე, აი, უფლის მთავარი თავისებურება".

„სანოლზე დაეცა და კედლისკენ გადაბრუნდა. ერთხანს ისევ ცახცახებდა, მერე თითქოს ჩაეძინა. მე ოთახიდან გამოვედი.

„ბორისზე სიტყვაც არ უთქვამს; მაგრამ ვფიქრობ, ეს მისტიკური სასოწარკვეთა ირიბი გამოხატულება იყო იმ უზარმაზარი მწუხარებისა, მეტისმეტად აუტანელი მწუხარებისა, რომლის თვალის გასწორებაც ვერ გაბედა.

„ოლივიესგან გავიგე, ბერნარი მამასთან დაბრუნებულა. ჩემი ღრმა რწმენით, ეს ყველაზე ჭკვიანური საქციელია. პატარა კალუსგან, რომელსაც შემთხვევით ქუჩაში გადავეყარე, შევიტყვე, რომ მოხუცი გამომძიებელი თავს კარგად ვერ გრძნობს. ბერნარმა კი მხოლოდ თავისი გულის ძახილს დაუგდო ყური. ხვალ შევხვდები, რადგან პროფიტანდიემ მოლინიესთან, პოლინთან და მათი ორივე შვილთან ერთად ვახშამზე მიმიწვია. ძალიან საინტერესოა ამ კალუს გაცნობა".

# ნიგნის თავების დასათაურებისთვის

## პირველი ნაწილი

### პარიზი


I — ლუქსემბურგის ბაღი. ..... 11
II — პროფიტანდიეს ოჯახი. ..... 17
III — ბერნარი და ოლივიე. ..... 31
IV — გრაფი დე პასავანი. ..... 41
V — ვენსანისა და პასავანის შეხვედრა ლედი გრიფიტთან. 50
VI — ბერნარის გამოღვიძება. ..... 59
VII — ლედი გრიფიტი და ვენსანი. ..... 63
VIII — ედუარდი პარიზში ჩამოდის. ლორას წერილი. ..... 69
IX — ედუარდი და ოლივიე ერთმანეთს ხვდებიან. ..... 79
X — ბერნარი და ჩემოდანი. ..... 83
XI — ედუარდის დღიური: ჟორჟ მოლინიე. ..... 87
XII — ედუარდის დღიური: ლორას ქორწილი. ..... 96
XIII — ედუარდის დღიური: ლა პერუზთან
პირველი სტუმრობა. ..... 117
XIV — ბერნარი და ლორა. ..... 126
XV — ოლივიე პასავანთან. ..... 136
XVI — ვენსანი ლედი გრიფიტთან. ..... 142
XVII — საღამო რამბუიეში. ..... 149
XVIII — ედუარდის დღიური: ლა პერუზთან
მეორე სტუმრობა. ..... 156


## მეორე ნაწილი

### საას-ფე


I — ბერნარის წერილი ოლივიესადმი. ..... 165
II — ედუარდის დღიური: პატარა ბორისი. ..... 170
III — ედუარდის აზრები რომანის შესახებ. ..... 177

IV — ბერნარი და ლორა. ..... 191
V — ედუარდის დღიური: საუბარი სორონიცკასთან. ..... 200
VI — ოლივიეს წერილი ბერნარისადმი. ..... 206
VII — ავტორი თავის პერსონაჟებს განსჯის. ..... 213

## მესამე ნაწილი

## პარიზი

I — ედუარდის დღიური: ოსკარ მოლინიე. ..... 217
II — ედუარდის დღიური: ვედელებთან. ..... 226
III — ედუარდის დღიური: ლა პერუზთან
მესამე სტუმრობა. ..... 236
IV — სწავლის დაწყება. ..... 243
V — ბერნარი გამოცდიდან გამოსვლისას
ოლივეს ხვდება. ..... 250
VI — ედუარდის დღიური: ქალბატონი მოლინიე. ..... 264
VII — ოლივიე არმან ვედელის სანახავად მიდის. ..... 270
VIII — არგონავტების ბანკეტი. ..... 277
IX — ოლივიეს თავის მოკვლა უნდა. ..... 291
X — ოლივიეს გამოჯანმრთელება. ედუარდის დღიური.... 296
XI — პასავანი ჯერ ედუარდს ღებულობს,
მერე სტრუვილუს. ..... 306
XII — ედუარდის დღიური: ედუარდი ჯერ დუვიეს
ღებულობს, მერე პროფიტანდიეს. ..... 317
XIII — ბერნარი და ანგელოზი. ..... 326
XIV — ბერნარი ედუარდთან. ..... 332
XV — ედუარდის დღიური: ლა პერუზთან
მეოთხე სტუმრობა. ..... 336
XVI — არმანი ოლივიეს სანახავად მოდის. ..... 346
XVII — ძლიერ მამაკაცთა საძმო. ..... 356
XVIII — ბორისის თვითმკვლელობა. ..... 364